

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
TECHNICAL UNIVERSITY OF GEORGIA

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის
ბენერალური კონსტრუქტორი

THE GENERAL CONSTRUCTOR OF THE FIRST
GEORGIAN SPACE OBJECT



რეკომენდებულია საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს
მიერ. 24.06.2016, ოქმი №2

თბილისი
2 0 1 6
TBILISI

- წიგნში მოხსენიებული სამუშაოები, ოფიციალური მასალები და დოკუმენტები გრიფით “სრულიად საიდუმლო” და “საიდუმლო” მოცემულ ეტაპზე განსაიდუმლოებულია.
- წიგნი შედგენილია ოფიციალური მასალების, დოკუმენტების და ელგუჯა მეძმარიაშვილის ჩანაწერებისა და მოგონებების მიხედვით სარედაქციო ჯგუფის მიერ.
- ოფიციალური მასალები, დოკუმენტები და აუდიო-ვიდეო ჩანაწერები, რომლებიც უკავშირდება პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის შექმნას და ელგუჯა მეძმარიაშვილის სამეცნიერო-სამხედრო მოღვაწეობას, ინახება საქართველოს ეროვნულ არქივში, აჭარის საარქივო სამმართველოში, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის “ოქროს ფონდში”, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, აჭარისა და ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმებში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ბიბლიოთეკასა და ელგუჯა მეძმარიაშვილის პირად არქივში.
- სარედაქციო ჯგუფის შემადგენლობა:
 - დოქტორი **ნოდარ წიგნაძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დირექტორი, (სარედაქციო ჯგუფის ხელმძღვანელი)
 - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი **მიხეილ ჯანიკაშვილი**
 - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი **მერაბ ადგიშვილი**
 - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი **შოთა წეროძე**
 - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, გენერალ-მაიორი **თენგიზ შუბლაძე**
 - გენერალ-ლეიტენანტი **გურამ ნიკოლაიშვილი**
 - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი **ვახტანგ გოგილაშვილი**
 - დოქტორი **კონსტანტინე ჩხიკვაძე**
 - დოქტორი **გურამ ბედუკაძე**
 - დოქტორი **მამუკა სანიკიძე**
 - **როზა ომანაძე** – ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე
 - **ნანა მაისურაძე** – ინსტიტუტის სპეციალური სამსახურის უფროსი

© საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი.

© საგამომცემლო სახლი “ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2016.

ISBN 978-9941-0-8406-5



<http://www.gtu.ge/>

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

მის ცხოვრებაში ღვთის ძალით და შეპყრობით
იყო ღიმილი გაუღვივების და გმირული წარმოჩენის პერიოდი,
როდესაც მან, ელოვუჯა მეძმარიაშვილმა, საქართველოს
ისტორიის მატეიანის სახელ ფურცელზე თქროს ასოებით ჩაწერა
— 1999 წლის 23 ივლისს ღია კოსმოსურ სივრცეში გავიდა
ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი.


ეს რეალობაა, ამ მოვლენას გვერდს ვერავინ აუვლის
და იგი შთამომავლობას გადაეცემა.

წილყნისა და დღეშეთის მიტროპოლიტი
ქალისი პე

In his life, there was a period of heroism and great glimpse with God's force and assistance, when he, Elguja Medzmariashvili, in the annals of Georgian history wrote down with golden letters - on July 23, 1999, First Georgian Space reflector launched in an open space.

This is a reality, no one can pass by this occurrence and it will hand down the generation.

metropolitan of Tsilkani and Dusheti




პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის
გენერალური კონსტრუქტორის,
ელგუჯა მემარიაშვილის
მოღვაწეობის პირითაღი ეტაპები



1999 წლის 23 – 28 ივლისს ორბიტულ სადგურზე, ღია კოსმოსურ სივრცეში წარმატებით გაიშალა და გამოიცადა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი.

1999 წლის 28 ივლისს პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი – გასაშლელი რეფლექტორი, მაქსიმალური გაბარიტით 6,42 მეტრი, ჩამომოსცილდა ორბიტულ სადგურს და დაიწყო მოძრაობა დედამიწის ირგვლივ, დამოუკიდებელ ორბიტაზე.

**MAJOR STEPS OF ACTIVITIES OF THE
FIRST GEORGIAN SPACE OBJECT GENERAL CONSTRUCTOR -
ELGUJA MEDZMARIASHVILI**



First Georgian space object was successfully spread and tested on orbital station, in an open space, on July 23-28,1999.

First Georgian Space Object – a six and four tenth meter maximum dimension deployable reflector, left orbital station and began movement around Earth, on the independent orbit.

- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
- გენერალ-მაიორი
- სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი
- ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი
- პროფესორი
- სახელმწიფო პრემიის ლაურეატი
- გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემიის ლაურეატი
- საქართველოს, საბჭოთა კავშირის, რუსეთის და საერთაშორისო ორგანიზაციების სახელმწიფო და საუწყებო ორდენებისა და მედლების, მათ შორის, საქართველოს უმაღლესი სამხედრო ჯილდოს, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი
- პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გენერალური კონსტრუქტორი



ელგუჯა მემმარიაშვილი

დაბადების თარიღი და ადგილი

1946 წლის 17 აგვისტო, ქ. ბათუმი

განათლება:

უმაღლესი

1964

— ბათუმის პირველი საშუალო სკოლა – **ოქროს მედლით**

1964–1969

— საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამშენებლო ფაკულტეტი. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა. ინჟინერ-მშენებელი – **დიპლომი წარჩინებით**

1970–1973

— საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამხედრო კათედრა. სამხედრო საინჟინრო ციკლი. სამხედრო ხიდები და გზები

— საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტურა სივრცითი კონსტრუქციების განხრით – **დასრულებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენით**

დაკავებული თანამდებობები:

1973–1990

• საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი – დოცენტი, შემდეგ პროფესორი, სამშენებლო კონსტრუქციების კათედრის გამგე

1976–1979

• საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გაერთიანებული პროფესიული კომიტეტის თავმჯდომარე

1977–1979

• საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე

1981–1989

• სამხედრო-კოსმოსური ტექნიკის მოსკოვის სამეცნიერო-საწარმოო ცენტრალური გაერთიანება “კომეტას” თბილისის ქვედანაყოფის – სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს მთავარი კონსტრუქტორი და უფროსი. **საკონსტრუქტორო ბიურო შეიქმნა ელგუჯა მემმარიაშვილის ინიციატივით**

1989–2006

• საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის გენერალური დირექტორი და გენერალური კონსტრუქტორი – **ინსტიტუტი შეიქმნა ელგუჯა მემმარიაშვილის ინიციატივით**

- 1991–2005 • საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამხედრო-საინჟინრო შეიარაღებისა და სპეციალური ნაგებობების კათედრის გამგე, პროფესორი – **კათედრა შეიქმნა ელგუჯა მექმარიაშვილის ინიციატივით**
- 1999–2002 • საქართველოს თავდაცვის მინისტრის მრჩეველი ჯარების საინჟინრო უზრუნველყოფის დარგში
- 1999–2004 • საქართველოს პარლამენტის წევრი. სამხედრო მრეწველობის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე და საპარლამენტო თემატური უმრავლესობის ლიდერი
- 2000–2006 • საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტი – **აკადემია შეიქმნა ელგუჯა მექმარიაშვილის ინიციატივით**
- 2001 წლიდან დღემდე • საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. ჯერ – წევრ-კორესპონდენტი, შემდეგ – აკადემიკოსი
- 2006 წლიდან დღემდე • საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის გენერალური კონსტრუქტორი, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე – **ინსტიტუტი შეიქმნა ელგუჯა მექმარიაშვილის ინიციატივით**
- 2009 წლიდან დღემდე • საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი
- 2014 წლიდან დღემდე • სამთო ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.

სამეცნიერო ინტერესების სფერო:

- კოსმოსური და მიწისზედა, სპეციალური დანიშნულების სამხედრო-საინჟინრო ნაგებობები და კომპლექსები
- ტრანსფორმირებადი საინჟინრო სისტემების თეორია
- საქართველოს თავდაცვისათვის საინჟინრო მომზადება
- საქართველოს ომის თეატრში საბრძოლო მოქმედებებისა და ბრძოლების სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფა
- სამხედრო თეორია

გამოქვეყნებული შრომების საერთო რაოდენობა

- **300-ზე მეტი** – მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, სტატიები და გამოგონებები გამოქვეყნებულია საზღვარგარეთ და საქართველოში, მათ შორის, ნაწილს მინიჭებული აქვს გრიფი **“სრულიად საიდუმლო”** ან **“საიდუმლო”**.

კონცეპტუალური სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი –

მონოგრაფიები:

- «СЕКРЕТНО». Постановка вопроса о разработке новых эффективных видов военно-инженерных и строительных конструкций. Отчет НИР. Грузинский Политехнический Институт. Тбилиси. Москва. Военно-Инженерная Академия. 1977г. Рукопись. 87с.
- Трансформируемые конструкции в космосе и на Земле. Изд. Германия – Лихтенштейн – Грузия. 1995 г. 446с.
- საქართველოს სამხედრო-საინჟინრო დოქტრინის საფუძვლები. მონოგრაფია. გამომცემლობა “ტექნიკური უნივერსიტეტი”. 2006 წ. 1059გვ.
- Novel approach to indirect of military theory. 2011. Munich. GRIN.
- და სხვები

სახელმძღვანელოები:

- **“საიდუმლო”**. საქართველოს ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის საფუძვლები. სამხედრო-საინჟინრო სტრატეგია და ოპერატიული ხელოვნება. მონოგრაფია. გამომცემლობა “ტექნიკური უნივერსიტეტი”, თბილისი, 2002 წ. 390 გვ.
- Трансформируемые системы. Академия Наук СССР. НПО «Прогностика и перспективные НИОКР», Тбилиси, 1990 г. 103 стр.

- საინჟინრო-სამშენებლო ხელოვნების სპეციალური ზოგადი კურსი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. 2005 წ. 838 გვ. (ელგუჯა მექმარიაშვილის საერთო რედაქციით).
- საინჟინრო საბრძოლო მასალები. სამხედრო-საინჟინრო აკადემია. 2006 წ. 720 გვ. (ელგუჯა მექმარიაშვილის საერთო რედაქციით).

— და სხვები

სტატიები და გამოგონებები:

- გარსთმშენებლობის განვითარების საკითხისათვის. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული №1, თბილისი, 1969 წ. 8 გვ.
- Теоретическое и экспериментальное исследование комбинированно - комплексного пространственного арочного покрытия. Научные труды «Строительство» - Тбилиси, Грузинский Политехнический Институт, 1974 г. Сборник № 5 (169). 5 стр.
- «СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО». Экспериментальный космический комплекс с трансформируемым радиотелескопом диаметром зеркала 30 м и наземный комплекс для его испытания. Научные труды Грузинского Политехнического Института. Специальное Конструкторское Бюро. Сборник № 1. Тбилиси, 1988 г. 28 стр.
- «СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО». Технические предложения по созданию СВЧ системы обнаружения баллистических ракет «Першинг-2», стартующих с территории ФРГ. Отчет НИР. Грузинский Политехнический Институт. СКБ «М-19», Тбилиси. Москва. ЦНПО «Комета». 1984г. 115 стр.
- A Space Experiment Confirms Reflector's High Reliability. Aerospace Courier, No 6, 1999. 4 p.
- Transformable Multiple Use of Assault Bridge with 48 Meter Span. Georgian National Academy of Science. Bulletin. Vol. 2, no 4. 2008, 8 p.
- Изобретение с грифом «Совершенно секретно». (Тематика – Военные штурмовые мосты, конструкция и способ). А.С. СССР № 109303, 4.10.1976г.
- Greeting and Testing Large Space Structures of High Precision Surface. Space Power, Volume 12, Number 1-2, 1993. 12p.
- Expandable Parabolic Antenna. International Publication Number WO 01/54228 A I. 2001 International Application Published Under the Patent Cooperation Treaty (P.C.T.).
- Deployable Space Reflector Antenna. "E.V.M." International Publication Number WO 03/003517 A I. 9.01. 2003. International Application Published Under the Patent Cooperation Treaty (P.C.T.).
- გასაშლელი ხიდი. საქართველო. საპატენტო სიგელი გამოგონებაზე № P 5554. პრიორიტეტი 2008-01-29. გაცემის თარიღი 2012-07-02.
- წყალზე მცურავი გასაშლელ-დასაკეცი საშუალება "E&GM"-3. საქართველო. საპატენტო სიგელი გამოგონებაზე № P 5455. პრიორიტეტი 2007-03-29. გაცემის თარიღი 2012-05-18.
- The Basic Principles of Creation of the Large Deployable Space Antenna. Transactions Technical University of Georgia N2(472) 2009. 20 p.
- The Newly Structured Deployable Bridge With 48 meter Span Abstract. Taller, Longer, Lighter. IABSE – IAASS Symposium, London. 2011. 12 p.
- New Variant Of The Deployable Ring-Shaped Space Antenna Reflector. An International Journal SPACE COMMUNICATIONS (IMPACT FACTOR: 0.077 (JCR 08) ISSN: 0924-8625. 2009. (<http://www.iospress.nl/09248625.php>). 8 p.
- Mechanical Supporting Ring Structure//CEAS Space Journal of European Aerospace Societies. ISSN 1868-2502. Published online: June 2013, 10 p.
- The possible options of conical v-fold bar ring's deployment with flexible pre-stressed center//. CEAS Space Journal of European Aerospace Societies. ISSN 1868-2502. Published online: June 2013, 9 p.

- Deployable Antenna Frame. კლ. H01Q1/1235; H01Q15/161. ამერიკის შეერთებული შტატების განაცხადი № US 2015288072 (A1) 2015-10-08 და ევროპის განაცხადი № EP 2904662 AO არსობრივი ექსპერტიზის სდადიაზეა.
- Mechanical Support Ring Structure. კლ. E04B1/344; F24J2/523; H01Q1/288; H01Q15/161. პატენტი გაცემულია ამერიკის შეერთებულ შტატებში. Patent US № 9153860 (B2) 2015-10-06.
- და სხვები

**ძირითადი სამეცნიერო სამუშაოები, რომლებიც რეალიზებულია
და პრაქტიკაში განხორციელებულია:**

საინციტივო სამუშაოები და პროექტები

- პეტერბურგის სპორტის სასახლე “იუბილეინის” დიდმალიანი დახურვის საკონკურსო პროექტი. დახურვის კონსტრუქციის მაკეტი ექსპონატად წარმოდგენილი იყო საკავშირო სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, მოსკოვში. Свидетельство №140071 ВДНХ СССР. 1974 г.
- «Штурмовой» механизированный военный мост пролетом 48 метров.
- განსაკუთრებული ტაქტიკა – ახალი ტიპის „საიერიშო“ ხიდის დაკეცილი, სატრანსპორტო პაკეტის მიტანა გამოყენების ადგილზე და მისი გაშლა გადასალახ წინააღმდეგობაზე უპირატესად ხორციელდება ვერტმფრენის გამოყენებით.
- სამხედრო ნაწილის 52684 მიმართვის საფუძველზე, 1979 წელს 12093–ე სამხედრო ნაწილმა, საექსპერტო განხილვის შემდეგ, თავდაცვის სამინისტროს საინჟინრო ჯარების სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის გადაწყვეტილებით, სამუშაო შეიტანა ნახაბინოს სამხედრო-საინჟინრო ცენტრალური სამეცნიერო ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევების გეგმაში.
- სამუშაო შეჩერდა ავტორის სამხედრო-საინჟინრო დარგიდან სამხედრო-კოსმოსურ დარგში გადასვლის გამო.
- მოსკოვის „ლუნიკების“ სტადიონის გასაშლელ-დასაკეცი დახურვის საკონკურსო პროექტი. 1993წ.

სახელშეკრულებო სამუშაოები

- **სამუშაოს საფუძველი** – სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეკვეთა. 1979 წ.
- რკინაბეტონ-ლითონის და ხე-ლითონის 18- და 24-მეტრიანი მაღის დახურვის კონსტრუქციები.
- **სამუშაოს საფუძველი** – Совместная работа по договору, утвержденному Министерством Радиопромышленности СССР, между ЦНПО «Комета» - Москва и Грузинским Политехническим Институтом – Тбилиси. Работы выполнены 1980÷ 1984 г.г.
- «СЕКРЕТНО». «РАЗРАБОТКА И ИССЛЕДОВАНИЕ КОСМИЧЕСКИХ И НАЗЕМНЫХ КРУПНОГАБАРИТНЫХ СПЕЦИАЛЬНЫХ КОНСТРУКЦИЙ И СООРУЖЕНИЙ»

სახელმწიფო პროგრამა

- «СОВ. СЕКРЕТНО». «НОВЫЕ ПЕРСПЕКТИВНЫЕ НАПРАВЛЕНИЯ ВОЕННОЙ ТЕХНИКИ И ФОРМЫ ИХ РЕАЛИЗАЦИИ».
- На основе предложенных материалов направлено письмо Председателя Государственного Комитета Науки и Техники СССР Г.Марчука и Председателя Государственной Военно-промышленной Комиссии Совета Министров СССР Л.Смирнова, на имя Председателя Совета Министров СССР Н.Рыжкова – П.П. – 21852 с. 2.02.Х. 1985.
- В письме отмечается „... В связи с важностью работ, проводимых в Грузинском Политехническом Институте, как для дальнейшего совершенствования системы предупреждения о ракетном нападении, так и для создания других средств, определяющих приоритетное направление развития вооружения и военной техники, полагаем целесообразным согласиться с предложением об образовании специального конструкторского бюро.

Программа работ для указанного конструкторского бюро будет утверждена решением Комиссии Президиума Совета Министров СССР по военно-промышленным вопросам”.

- Виза – СОВЕТ МИНИСТРОВ СССР. МОСКВА. КРЕМЛЬ
– СОГЛАСИТЬСЯ – Н.РЫЖКОВ. 17 ОКТЯБРЯ. 1985. П.П.-21852 С.
- Программа реализована:
 - Образовано Государственное Специальное Конструкторское Бюро;
 - Вышли Постановления ВПК.

სამხედრო დანიშნულების და სპეციალური, სამეცნიერო და ტექნოლოგიური სამუშაოები

- სამუშაოთა საფუძველი – «СОВ.СЕКРЕТНО». РЕШЕНИЕ ГОСУДАРСТВЕННОЙ КОМИССИИ СОВЕТА МИНИСТРОВ СССР ПО ВОЕННО-ПРОМЫШЛЕННЫМ ВОПРОСАМ №16. МОСКВА. КРЕМЛЬ. 12.12.1985. – «О работах по созданию антенн космического и наземного базирования» - В целях обеспечения работ по дальнейшему развитию и совершенствованию средств обнаружения стартующих баллистических ракет, заданных постановлением ЦК КПСС и Совета Министров СССР от 22 мая 1985 г.
 - Наземный стендовый комплекс полномасштабных испытаний и сборки крупногабаритных космических конструкций. Мцхетский район Грузинской ССР – в районе села Сагурамо. – აგებულია საქართველოში და ფუნქციონირებს. “ВПК”-ს 12.12.1985 №16 გადაწყვეტილებით განსაზღვრული, შესაბამისი სამუშაო შესრულდა.
 - База для испытаний наземных комплексов в экстремальных и сложных климатометеорологических условиях. Боржомский район Грузинской ССР – в районе села Тба. – აგებულია საქართველოში და ფუნქციონირებს. “ВПК”-ს 12.12.1985 №16 გადაწყვეტილებით განსაზღვრული, შესაბამისი სამუშაო შესრულდა.
 - Космическая развертываемая рефлекторная антенна диаметром 30÷50 и более метров для построения радиоканала обнаружения системы «УС-КМО». “ВПК”-ს 12.12.1985 №16 გადაწყვეტილებით განსაზღვრული, შესაბამისი სამუშაო შესრულდა.
 - Наземная перебазиремая антенна диаметром 30 и более метров для экспериментального наземного радиометрического поста обнаружения стартующих баллистических ракет по излучению их плазменных образований в диапазоне СВЧ. “ВПК”-ს 12.12.1985 №16 გადაწყვეტილებით განსაზღვრული, შესაბამისი სამუშაო შესრულდა.
 - Наземная развертываемая антенна для перебазиремого командного пункта системы «УС-КМО» – “ВПК”-ს 12.12.1985 №16 გადაწყვეტილებით განსაზღვრული, შესაბამისი სამუშაო შესრულდა.
 - Мобильный и развертываемый, рефлекторный радиотехнический инженерный пост для обнаружения баллистических ракет «Першинг-2», стартующих с территории ФРГ – სამუშაო ასევე განისაზღვრა თავდაცვის სამინისტროს სპეციალური დავალების საფუძველზე. ВПК 12.12.1985 №16 გადაწყვეტილებით განსაზღვრული, შესაბამისი სამუშაო შესრულდა.
- სამუშაოთა საფუძველი – «СОВ.СЕКРЕТНО». ЭКЗ.№ ЕДИНСТВЕННЫЙ. ПОСТАНОВЛЕНИЕ ЦК КПСС И СОВЕТА МИНИСТРОВ СССР №137-47. 27.01.1986. ПРОГРАММА ФУНДАМЕНТАЛЬНЫХ ИССЛЕДОВАНИЙ И ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНЫХ РАБОТ – «РАУНД».
 - “ვარსკვლავთ ომების” საინჟინრო უზრუნველყოფის რეფლექტორული და გრძივი კოსმოსური ნაგებობები. პროგრამა «РАУНД»-ის შესაბამისი სამუშაო შესრულდა.
- სამუშაოთა საფუძველი – Перспективные космические программы – «ПЛАНЕТА «МАРС». НПО имени С.П.Королева «Энергия».
 - პლანეტა “მარსის” ექსპედიციის საინჟინრო უზრუნველყოფის ტრანსფორმირებადი ნაგებობები. პროგრამა «ПЛАНЕТА «МАРС»-ი შესრულდა. 1989 წ.

- **სამუშაოთა საფუძველი** – «СОВ.СЕКРЕТНО». РЕШЕНИЕ ГОСУДАРСТВЕННОЙ КОМИССИИ СОВЕТА МИНИСТРОВ СССР ПО ВОЕННО-ПРОМЫШЛЕННЫМ ВОПРОСАМ №72. МОСКВА. КРЕМЛЬ. 09.03.1988. - «О разработке технического предложения на создание экспериментального космического комплекса радиоканала обнаружения» – заданного постановлением ЦК КПСС и Совета Министров СССР от 8 августа 1987 г. № 930-225.

... В техническом предложении должны быть проработаны вопросы изготовления и испытания средств, порядка вывода на орбиту и проведения эксперимента с космическим комплексом с использованием орбитального корабля МКС “Буран”».

- Экспериментальный космический автономный комплекс радиоканала обнаружения, построенный на базе развертываемой рефлекторной антенны повышенной жесткости, диаметром 30 метров. **“ВПК”-ს 09.03.1988 №72 გადაწყვეტილება შესრულდა ექსპერიმენტული კოსმოსური კომპლექსის არქიტექტურის განსაზღვრის და მისი ძირითადი შემადგენელის, დიდი გასაშლელი, მაღალი სიხისტის და სიზუსტის რეფლექტორული ანტენის შექმნის და მიწისზედა გამოცდების მხრივ.**

კონვერსიული პროექტი და მისი რეალიზაცია ღსთ-ში

- ЦНПО «Комета», ГКНПЦ им. Хруничева, НПО «Радио» и Институт Космических Сооружений – в составе АОЗТ «Ассоциация «КОСМОСВЯЗЬ» разработали конверсионный проект спутниковой связи «Зеркало-КС».
- Указом от 1 июля 1993 г. № 1020 Президент РФ Б.Н.Ельцин одобрил предложение по реализации проекта и поручил правительству РФ оказывать содействие в его реализации.
- 15 октября 1993 г. Российское Космическое Агентство выдало ЦНИИ «Комета» лицензию на «создание космической системы связи «Зеркало-КС».
- В ноябре 1994 г. это направление работ одобрил Экспертный Совет при правительстве РФ.
- კოსმოსური თანამგზავრული კავშირგაბმულობის სისტემის «Зеркало-КС»-ის რეალიზება, საერთო ღირებულებით 500 მილიონი აშშ დოლარი, სტაბილური ფინანსური უზრუნველყოფის არარსებობის გამო, რუსეთის ფედერაციამ შეწყვიტა.

კოსმოსური პროგრამები, რომლებიც ელგუჯა მექმარიაშილის მონაწილეობით და გენერალური კონსტრუქტორობით განხორციელებულია ორბიტებზე

არსებობს კოსმოსური პროგრამების ორბიტებზე განხორციელების და მათში ელგუჯა მექმარიაშილის უშუალო მონაწილეობის დამადასტურებელი ოფიციალური მასალები, სამეცნიერო ლიტერატურა, ფოტო და ვიდეოკადრები. რეალიზებული პროგრამები შეტანილია კოსმონავტიკის განვითარების მნიშვნელოვან ქრონიკათა ჩამონათვალში.

- **სამუშაოთა საფუძველი** – Космическая программа – «КРАБ»-«ПРОГРЕСС 40». НПО им.С.П.Королева «Энергия». თანამონაწილე – საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტი.
- სარადარო, კოსმოსური გაწვეილებული 20 მეტრი დიამეტრის წრიული ანტენა “კრაბი”, რომელიც განთვსდა კოსმოსურ ხომალდ “პროგრეს-40ზე”, კოსმოსური პროგრამა შესრულდა აკადემიკოს ბ.ე. პატონის თანამონაწილეობით – **განხორციელებულია ღია კოსმოსურ სივრცეში. 1989წ.**
- **სამუშაოთა საფუძველი** – Космическая программа «СОФОРА»-«МИР». НПО им.С.П.Королева «Энергия». თანამონაწილე – საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტი.
- ორბიტულ სადგურ – “მირის”, საინჟინრო უზრუნველყოფის ნაგებობა “სოფორას” საბაზო კონსტრუქცია – **განხორციელებულია ღია კოსმოსურ სივრცეში. 1991წ.**
- **სამუშაოთა საფუძველი** – “საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის”, კომპანია “საქართველოს პოლიტექნიკური ინტელექტის” და რუსეთის სარაკეტო-კოსმოსური კორპორაციის – РКК «Энергия» им. С.П.Королева – **საინიციატივო, არასაბიუჯეტო, კოსმოსური პროგრამა – “რეფლექტორი”.**

— **“პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი”** – 6,42 მეტრი მაქსიმალური გაბარიტის გასაშლელი რეფლექტორი, შეიქმნა და დაპროექტდა ქართული მხარის – საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ. იგი დამზადდა თბილისის საავიაციო ქარხანა “თბილაგამშენში”, სადაც კონსტრუქციამ გაიარა საქარხნო – ტექნიკური და ტექნოლოგიური გამოცდები. მას სრულმასშტაბიანი წინასაფრენოსნო გამოცდები ჩაუტარდა საქართველოში ქართული მხარის მიერ. საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის მიერ განისაზღვრა ღია კოსმოსურ სივრცეში ქართული კოსმოსური ობიექტის გამოცდების ძირითადი მიმართულებები. კოსმოსური ხომალდი “Прореец”-ი, რომელშიც განთავსებული იყო სამეცნიერო ტვირთი – ქართული კოსმოსური ობიექტი, ორბიტაზე გაიყვანა რაკეტამატარებელმა “Союз”-მა. “Прореец”-მა ორბიტულ სადგურ “მირზე” მიიტანა ქართული კოსმოსური ობიექტის დაკეცილი პაკეტი, სადაც ღია კოსმოსურ სივრცეში, კოსმონავტების ინტენაციონალურმა ეკიპაჟმა, პროგრამა “რეფლექტორის” მიხედვით გათვალისწინებული პროცედურებით, წარმატებით გაშალა და გამოცადა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი. კოსმოსური პროგრამების დასრულების შემდეგ, ქართული კოსმოსური ობიექტი ჩამოსცილდა ორბიტულ სადგურს და დაიწყო ფრენა დედამიწის ივრვლივ, დამოუკიდებელ თანამგზავრულ ორბიტაზე – **განხორციელებულია ღია კოსმოსურ სივრცეში. 1999წ.**

საქართველოს თავდაცვითი დანიშნულების სამეცნიერო და ტექნოლოგიური სამუშაოები

- **სამუშაოთა საფუძველი** – საქართველოს უშიშროების საბჭოს სპეციალური პროგრამა “ხევი”. და კომპანია “საქართველოს პოლიტექნიკური ინტელექტის” არასაბიუჯეტო სამუშაოები
- მობილური, ინვენტარული, სამხედრო მრავალმადიანი ხიდები – KM-01T; KM-02T. – **გაცემულია სახელმწიფო სერტიფიკატი. ხიდი რეალიზებულია და გამოიყენება. 2006წ.**
- **სამუშაოთა საფუძველი** – საქართველოს სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის დამატება სამხედრო-საინჟინრო დარგში.
- საქართველოს სამგანზომილებიანი სამხედრო-საინჟინრო ციფრული რუკა მასშტაბით 1 : 200 000 – **რეალიზებულია დანიშნულების მიხედვით. 2005წ.**
- საზღვარგარეთთან თანამშრომლობით საქართველოს, სპეციალურად დაზუსტებული რაიონების, მაღალი სიზუსტის კოსმოსური ფოტოგადაღების მასალები – **რეალიზებულია დანიშნულების მიხედვით. 2006წ.**
- საქართველოს ტერიტორიისა და მასზე განლაგებული ობიექტების სამხედრო-საინჟინრო დანიშნულების კატალოგის შექმნა – **რეალიზებულია დანიშნულების მიხედვით. 2007წ.**

სატელეკომუნიკაციო დიდი ზომის კოსმოსური რეფლექტორები და რეფლექტორული ანტენები, რომლებიც რეალიზებულია ევროპული კომპანიების და ევროპული კოსმოსური სააგენტოს კონტრაქტებით:

- DAIMLER BENZ AEROSPACE.Cjntract 150104/95011334 MIT DORIES SATELLITENSYSTEME. GMBH (DSS) 1996–1997 წწ. “ახალი თაობის კოსმოსური დიდი გასაშლელი რეფლექტორის კონსტრუირების პრინციპები”.
- ევროპული კოსმოსური სააგენტოს სატენდერო პროექტი. ESA. ESTEC. Contract 15230/01/NL JSC. 2001–2002–2003–2004–2005 წ.წ. “LDR” – Large Deployable Space Reflectors/Antenna.
შემსრულებლები: “EGS” – საქართველო; “Alenia Aerospacio” – იტალია; «Энергия» – რუსეთი; “Sener” – ესპანეთი; “Magna” – ავსტრია; “HTS” – შვეიცარია.
- TUM/4000102096/10/DE/LD – “ESA”, 2011წ. – რეალიზებულია 2012 წ.
- TUM/CCN1/4000102096/10/DE/LD – “ESA”, 2011 წ. – რეალიზებულია 2013 წ.
- TUM/4000105050/12/DE/LD – “ESA”, 2012 წ. – რეალიზებულია 2014 წ.
- TUM/4000105050/12/DE/LD-1 – “ESA”, 2012 წ. – რეალიზებულია 2014 წ.

საქართველოს სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა

- საქართველოს სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა – 2004-2005-2006 წწ. “საქართველოს თავდაცვის სისტემაში ტერიტორიული დაცვის ფუნქციური მიმართულებების, ძალების მართვისა და საკანონმდებლო სტრუქტურის განსაზღვრა; სტრატეგიული ობიექტების კლასიფიცირება, მათი მონაცემთა ბანკის შექმნა და ქვეყნის ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის სახელმწიფო კომპლექსის სრულმასშტაბიანი ფორმირება”. მიზნობრივი პროგრამა შესრულდა.

საგრანტო პროექტები:

- საერთაშორისო გრანტი. INTAS-OPEN-971-30866. 20002001 წწ. “Light from Space” – შუქი კოსმოსიდან.
- საერთაშორისო გრანტი. МНТЦ. G-499. 2001-2002-2003-2004-2005 წწ. «Разработка технологии получения сплавов на основе титана для обеспечения максимального проявления эффекта памяти формы, сверхупругости и деформирующих свойств».
- საგრანტო ხელშეკრულება N A-02-09. რუსთაველის ფონდი. 2009-2010-2011 წწ. “საქართველოს სამხედრო უსაფრთხოების მდგრადი განვითარებისათვის NATO-ს და მისი წევრი სახელმწიფოების ნორმატიული მასალების, კატეგორიების და ტერმინების მიხედვით ქართულ ენაზე სამხედრო ცნებების დადგენა და სრული, სისტემატიზებული და კლასიფიცირებული ნაშრომის შექმნა”.

კონსტრუქციული სისტემის რეალიზაცია საზღვარგარეთ ქართული პატენტის მიხედვით:

- ჩინეთი. ხარბინის ტექნიკური უნივერსიტეტი. პნემოსისტი გასაშლელი კოსმოსური რეფლექტორის ნ-მეტრიანი დიამეტრის ფუნქციური სისტემის შექმნა. საქართველოს პატენტი P2342-ის მიხედვით. პარტნიორული სამეცნიერო სამუშაო. 2004წ.

სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების და სამხედრო თეორიის დარგებში თემატური კვლევების ძირითადი მიმართულებები, რომლებიც აისახა საზღვარგარეთ და საქართველოში გამოცემულ მონოგრაფიებში, სტატიებში, მოხსენებათა კრებულებსა და თავდაცვის სამინისტროსთვის შექმნილ სპეციალურ ანგარიშებში

- სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების თეორია.
 - სამხედრო-საინჟინრო დარგის განვითარების ისტორიული პერიოდების და ეტაპების განსაკუთრებული კლასიფიცირება.
 - სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების ადგილი და როლი სამხედრო ხელოვნებაში.
 - საქართველოს სამოქალაქო ინფრასტრუქტურის სამხედრო მახასიათებლები.
 - ერთიანი – სამოქალაქო და სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის კომპლექსის შექმნის წინაპირობები და აუცილებლობა საქართველოში.
 - საქართველოს ტერიტორიის თავდაცვისათვის მომზადების საკითხები 2008 წლის შემდეგ ომის თეატრის პირობებში.
 - საბრძოლო მოქმედებებისა და ოპერაციების საინჟინრო უზრუნველყოფა საქართველოში, მათ შორის 2008 წლის შემდეგ შექმნილ ვითარებებში.
 - სამხედრო ხიდების ისტორია და თანამედროვე მოთხოვნები.
 - დაბრკოლებების გადალახვის სამხედრო ოპერაციები და საქართველოს პირობებში სამხედრო ხიდებისადმი წაყენებული მოთხოვნები.
- სამხედრო თეორია.
 - საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ვითარების სიმპაფრის საფეხურების განმსაზღვრელი პარამეტრები და მათ შორის სივრცის გეოპოლიტიკური კატეგორიები.

- სამხედრო სტრატეგიის, ოპერატიული ხელოვნების და ტაქტიკის ურთიერთდამოკიდებულების ახალი კონფიგურაცია და მისი რეალიზაციის შესაძლებლობები საქართველოს პირობებში.
- ქსელურ-ცენტრული ომის ცალკეული კომპონენტების ამოქმედების აუცილებლობა და შესაძლებლობები საქართველოს სამხედრო ორგანიზაციაში.
- საქართველოს სამხედრო ორგანიზაცია და სამხედრო მოღვაწეობა.
- მოწინააღმდეგე მხარეების ბრძოლისუნარიანობა.
- მეტროპოლი სისტემების დინამიკური და გეომეტრიული პარამეტრები.
- არაპირდაპირი მოქმედებების დინამიკური პროცესების ახალი სისტემატიზაცია სამხედრო ხელოვნებაში.
- სამხედრო მოქმედებათა გეგმების და დაგეგმარების სივრცეების მოდელები.
- ახალი შეხედულებები და ომების ტერმინების – ასიმეტრიული, ჰიბრიდული, სუროგატული და სხვა, შეფასებები და მათი წარმოების კონკრეტული მეთოდები.
- სამხედრო ისტორიის დარგი საქართველოში და მის შემდგომ განვითარებაში, მოცემულ ეტაპზე, სამხედრო ხელოვნების ისტორიისათვის უპირატესობის მინიჭების აუცილებლობა.
- სამხედრო-სამრეწველო კომპლექსების განვითარების ეტაპები და თავისებურებები საქართველოში.

მიმდინარე სამეცნიერო და ტექნოლოგიური სამუშაოები:

- სამუშაოთა კომპლექსი სამხედრო-საინჟინრო დარგში – 2008 წლის შემდეგ საქართველოს ომის თეატრის საინჟინრო მომზადების და ბრძოლებისა და ოპერაციების სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები;
- საქართველოს სამხედრო ორგანიზაციის აქტუალური საკითხები;
- გაზრდილმალიანი “საიერიშო” მექანიზებული სამხედრო ხიდები;
- გაზრდილმალიანი “გამყოლი” (“გამცილებელი”) მექანიზებული სამხედრო ხიდები;
- ვენახის სექციისაგან დაცვის სისტემა;
- წყლის სივრცეების ჯგუფური გადაცურვის ტრანსფორმირებადი სისტემა;
- ახალი ტიპის სარაკეტო ზაღპური ცეცხლის დანადგარი.

გამოსაცემად მზად არის:

- პირველი ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი;
- “ტრანსფორმირებადი კოსმოსური და მიწისზედა კომპლექსები”, რომელიც გამოიცემა როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე.

რეალიზებული სამეცნიერო სამუშაოების ადრესატები:

- თავდაცვის სამინისტრო;
- რადიომრეწველობის სამინისტრო;
- საერთო მანქანათმშენებლობის სამინისტრო;
- ს. პ. კოროლიოვის სახელობის სარაკეტო-კოსმოსური კორპორაცია „ЭНЕРГИЯ“;
- სამხედრო-კოსმოსური ცენტრალური სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება “КОМЕТА”;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
- საქართველოს სპეციალური დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი;
- საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო;
- ქართული კომპანიები;
- გერმანული კომპანია „Daimler-Benz Aerospace“ - „Dornier-Satellitensysteme“;
- ხარბინის ტექნოლოგიური ინსტიტუტი – ჩინეთი;

- იტალიური კომპანია „Alenia Aerospazio“;
- მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი „TUM“;
- ევროპული კოსმოსური სააგენტო „ESA“.

სამეცნიერო სამუშაოების ასახვა აკადემიურ დარგში:

- 2004–2005 წლებში საქართველოს შეიარაღებული ძალების, გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემიაში იკითხებოდა სალექციო კურსი – “საქართველოს ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფა”.
- 2010 წლიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში იკითხება აუცილებელი სალექციო კურსი სტუდენტებისთვის – “ტრანსფორმირებადი კონსტრუქციები”.
- 2014 წლიდან, პირველად საქართველოში, ამოქმედდა სადოქტორო პროგრამა სამხედრო-საინჟინრო დარგში.

მოღვაწეობა მეცნიერების ორგანიზაციაში, რამაც განაპირობა:

- სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორი ბიუროს დაარსება;
- საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის და საგურამოს და ბორჯომის მთიანი ზონის სასტენდო კომპლექსების შექმნა;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “სამხედრო-საინჟინრო შეიარაღების და სპეციალური ნაგებობების” კათედრის დაარსება;
- საქართველოს შეიარაღებული ძალების, გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის დაარსება;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დაარსება;
- 2001 წელს, თბილისში ევროპული და ამერიკის შეერთებული შტატების კომპანიების მონაწილეობით, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება – “დიდი აბრეშუმის გზის კოსმოსური სატელეკომუნიკაციო სისტემა”;
- 2009 და 2014 წლებში, თბილისში ევროპული კოსმოსური სააგენტოს მიერ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება დიდი გასაშლელი კოსმოსური რეფლექტორების დარგში, რომელსაც მსოფლიოს წამყვანი მეცნიერები და კონსტრუქტორები ესწრებოდნენ;
- სამეცნიერო ჟურნალ “სამხედრო ტექნიკა” დაარსება საქართველოში.
- სამეცნიერო ჟურნალ “სამხედრო მეცნიერება. საქართველო”/“MILITARY SCIENCE. GEORGIA”-ს დაარსება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში და მისი რედაქტორობა.
- საქართველოში დამატებით, რამდენიმე ათეული მილიონი დოლარის ეკვივალენტის ფინანსების შემოდინება, ასეულობით სამუშაო ადგილების შექმნა, ახალი ტექნოლოგიების შემოტანა და შეკვეთები წარმოებებში.

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის აღიარება:

- საქართველოში ყოველი წლის 23 ივლისი პრეზიდენტის ბრძანებულებით დაწესებულია “პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის დღე”.
- პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი საზღვარგარეთის ენციკლოპედიურ გამოცემაში, სამეცნიერო-ტექნიკურ ლიტერატურასა და ოფიციალურ დოკუმენტებში აღიარებულია ახალი პრიორიტეტული მიმართულების დასაწყისად კოსმოსურ ტექნიკაში, ხოლო მისი ორბიტაზე გაყვანის თარიღი შეტანილია კოსმონავტიკის განვითარების უმნიშვნელოვანეს ისტორიულ ქრონიკათა ჩამონათვალში.

- პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის – რეფლექტორის ორბიტაზე გაყვანისა და წარმატებული გამოცდისათვის და აღნიშნული მოვლენისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებისათვის, 1999 წლის 2 აგვისტოს საქართველოს სახელმწიფო ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია და ასევე, პრეზიდენტის მაღლობა გამოცხადდა საქართველოს და საზღვარგარეთის 79 მოქალაქეს.
- პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის დია კოსმოსურ სივრცეში გასვლის აღსანიშნავად საქართველოს სახელმწიფომ გამოსცა საფოსტო მარკები.

მოდვაწეობასთან დაკავშირებული სხვა მიღწევები:

- საქართველოს პატრიარქის საპატიო სიგელით დაჯილდოება, თბილისის ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობაში მონაწილეობისათვის
- საქართველოს პატრიარქის საპატიო სიგელით დაჯილდოება, მეცნიერებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.
- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო სიგელი კოსმოსური მექანიკის დარგში სამეცნიერო მოღვაწეობისათვის. 2014წ.
- საზღვარგარეთის და საქართველოს დიპლომები და სიგელები საუკეთესო გამოგონებებისა და პატენტებისათვის.
- ქალაქ მცხეთის საპატიო მოქალაქედ არჩევა.
- ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი.
- სხვადასხვა აკადემიის წევრობა.
- სამეცნიერო ჟურნალების – “Problems of Mechanics”, “მშენებლობა”, “ქართული პოლიტიკა”, “ტერმინოლოგია” და “სამხედრო თეორია” – სარედაქციო საბჭოების წევრობა.
- მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრობა.
- სამეცნიერო კვლევის შედეგები, გარდა ციტირებული ლიტერატურისა, განხორციელებული კოსმოსური ნაგებობის სახით, მოხსენიებულია ავტორის მითითების გარეშე მრავალ სამეცნიერო სტატიაში, ენციკლოპედიური და ქრესთომატიული გამოცემის ტექსტებში.
- მონოგრაფიების ნაწილი განთავსებულია საზღვარგარეთის და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკებში. მათ შორის: გერმანიის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში – N.B.G; ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში – British Library; და ბავარიის ბიბლიოთეკაში – Bavaria State Library.
- სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგები და ბიოგრაფია შეტანილია მსოფლიოს უმთავრეს ბიბლიოგრაფიულ გამოცემებში, მათ შორის – Who’s who in the World, USA. 2008, 2009; Who’s Who in Science and Engineering, USA. 2007, 2008, 2009; IBC Foremosr Engineers of the World; Cambridge, England. 2008. ქართულ, ინგლისურ და რუსულენოვან თავისუფალ ინტერნეტენციკლოპედია – ვიკიპედიაში.
- ინტერნეტსაიტი – Категория: Конструкторы ракетно-космических систем – 60 ცნობილი კონსტრუქტორი.
- ინტერნეტსაიტი – Космонавтика – Superwiki.ru 726
- ინტერნეტსაიტი – Ракетная техника – Superwiki.ru 206
- ინტერნეტსაიტი – Космическая техника – Superwiki.ru 297
- ინტერნეტსაიტი – [PDF] Earth Observation History. Pdf 621.
- ინტერნეტსაიტი – Хроника освоения космоса. 1999 год.
- ინტერნეტსაიტი – RSC “Energia” – Corporation – პროგრამა “რეფლექტორი” შეტანილია კოსმონავტიკის მნიშვნელოვანი ქრონიკების ჩამონათვალში.
- პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის და მისი სამეცნიერო მოღვაწეობის ოფიციალური მასალები ინახება საქართველოს სახელმწიფო არქივში.

- პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის დამზადების, ორბიტაზე გაშვებისა და გამოცდების კადრები ინახება საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლობის “ოქროს ფონდში”.
- მასალები აღიარების შესახებ, ასევე იძებნება ინტერნეტსაიტებზე რუბრიკით: NASA Medzmariashvili; ESA Medzmariashvili; Эксперимент «Рефлектор», Космическая станция «МИР»; Deployable Space Reflector – სათანადო ფოტოილუსტრაციებით; NATO E.Medzmariashvili; Images for Станция МИР. Эксперимент Рефлектор; Уникальные эксперименты, проведенные на ОК МИР; Elguja Medzmariashvili; Орбитальный пилотируемый комплекс «МИР» ; Images for МИР 1999 Космонавт Авдеев; Gunter’s Spusage Reflector; UFO Caught By Jean Pierre Haignere, Russian MIR Astronaut, 1999; Images for Astronaut Jean Pierre Haignere Mir 1999 და სხვა.

მოდგაწეობის ძირითად მიღწევათა ჩამონათვალი:

- I. პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის შექმნა, მისი ორბიტაზე გაყვანა და პროგრამა “რეფლექტორის” რეალიზაცია ღია კოსმოსურ სივრცეში.
- II. ტრანსფორმირებადი საინჟინრო სისტემების თეორიის შექმნა.
- III. კოსმონავტიკის დარგის – კოსმოსური ნაგებობების ქართული სამეცნიერო და ტექნიკური სკოლის ჩამოყალიბება.
- IV. საქართველოში სამხედრო-საინჟინრო დარგის სამეცნიერო მიმართულების განვითარება.
- V. ახალი თაობის ორბიტული სისტემების შექმნა და მათი რეალიზება საზღვარგარეთის კოსმოსურ პროგრამებში.
- VI. ახალი თაობის სამხედრო-საინჟინრო ტექნიკის შექმნა და მათი რეალიზება საქართველოსა და საზღვარგარეთ.
- VII. შექმნილი ახალი სამეცნიერო მიმართულების რეალიზება აკადემიურ სფეროში – ახალი დისციპლინის შექმნა და ლექციები უნივერსიტეტში, ასევე სადოქტორო პროგრამა სამხედრო მეცნიერების დარგში.

ელგუჯა მემზარიაშვილის პროფესიული მოღვაწეობის ძირითადი ეტაპები შედგენილია ოფიციალური მასალების და დოკუმენტების საფუძველზე 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სარედაქციო ჯგუფი

**სპეციალური სატელევიზიო გამოშვება –
ორბიტაზე პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი!**

1999 წლის 23 ივლისს 15 საათსა და 30 წუთზე საქართველოს ტელევიზიამ შეწყვიტა პროგრამით გათვალისწინებული გადაცემები და სპეციალური გამოშვებით გავიდა ეთერში. ტელევიზია და რადიო ამცნობდა ხალხს, რომ ორბიტაზე პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი – რეფლექტორი.

დღიდან დასაბამისა, ქართველი დედამიწაზე შრომობდა, იბრძოდა და ქმნიდა მრავალ შედეგს. იგი მხოლოდ ოცნების თვალთ შეჰყურებდა უკიდევანო, ვარსკვლავებით მოჭედელ ზეცას. და დადგა დრო, როდესაც საქართველოში, ქართველის ცოდნით და ხელით შექმნილი ნაკეთობა გასცდა დედამიწას და გავიდა უსასრულო ზეცაში – კოსმოსში.

ეს იყო სრულიად მოულოდნელი მოვლენა. სიამაყის განცდამ გამარჯვებას მოწყურებულ ქართველ ერში მთელი სისრულითა და ძალით იფეთქა. საქართველოში ადამიანები ტელეეკრანებს შესცქეროდნენ და რადიოს უსმენდნენ იმ იმედით, რომ პირველი ქართული კოსმოსური ქმნილება დედამიწისაგან შორს, უკიდევანო კოსმოსურ სივრცეში ასახელებდა ქართველებს.

ამ მოვლენას მრავალმხრივი დატვირთვა ჰქონდა. 1999 წლის 23 ივლისამდე საქართველოს მეტ-ნაკლებად ჰქონდა ყოველივე, რაც მსოფლიო ცივილიზაციამ შექმნა, გარდა კოსმოსური ობიექტებისა. ამ ფაქტით ჩვენმა ქვეყანამ ისტორიული ნაბიჯი გადადგა.

ჯერ ერთი, საქართველოს მატრიანეში ჩაიწერა, რომ 1999 წლის 23 ივლისს ორბიტაზე გავიდა ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი და მეორე, XX საუკუნის ბოლოს, გასაჭირში მყოფმა საქართველომ მაინც მოახერხა შესვლა მსოფლიოში უძლიერეს სახელმწიფოთა ჩამონათვალში, რომლებსაც საკუთარი ძალებით შექმნილი კოსმოსური ობიექტები ჰქონდათ.

დასასრულ, ეს იყო დემონსტრირება ქართველთა ნიჭის, შრომის, მიზანდასახულობისა და მიზანსწრაფვისა, რითაც მთელს მსოფლიოს ემცნო ამ პატარა ერის უდიდესი შესაძლებლობები და ქართველ ხალხში არსებული მძლავრი ინტელექტუალური და ემოციური მუხტი.

SPECIAL TV ISSUE – FIRST GEORGIAN SPACE OBJECT IS ON ORBIT!

In 1999, July 23, in half past three, Georgian television stopped forseen programmes and broadcasted for for special purpose. Television and Radio were announcing to people that First Georgian Space Object – Reflector is on orbit.

from the beginning, Georgians have been working, struggling and creating plenty of masterpieces on Earth. He was only looking to the infinite, star-spangled sky with dreamful vision. And the time had ripped, when, in Georgia, the creature made by georgians knowledge and hand, passed by the Earth and flew to the infinite sky – to the space.

That was absolutely unexpected appearance. A feeling of full pride exploded in triumphthirsty Georgian people with the full power. People in Georgia were looking at televisions and listening to radios hoping that first Georgian creature, far away from Earth, in boundless area, would bring a fame to Georgians.

This appearance had many-sided senses. Before July 23, 1999, Georgia more or less has what the world civilization had created, except space objects. Our country made a historical step with this fact.

In the first place, Georgia described in his annals, that on July 23, 1999, first Georgian space object moved on orbit, and in the second one, at the end of XX century, in spite of difficulties, Georgia could to enter in the list of Worlds strongest states, which had made space objects by their own.

And at last, this was a demonstration of Georgian talent, work, purposefulness, which made the whole world to know about great abilities of such a little nation and existing strong emotional and intelectual charge.

ელგუჯა მეძმარიაშვილის – პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის
ბენეფალური კონსტრუქტორის ჩანაწერები, მოგონებები
და ოზიციალური მასალები



. . . როდესაც ისტორიაში პირველ ქართულ კოსმოსურ ობიექტს ვქმნიდი საქართველოს პრესტიჟზე ვფიქრობდი . . .

. . . როდესაც სამამულო სამხედრო-საინჟინრო დარგის განვითარებას ვცდილობ, საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს ვემსახურები . . .

ელგუჯა მეძმარიაშვილი

RECORDS, MENTIONS AND OFFICIAL MATERIALS OF ELGUJA MEDZMARIASHVILI -
THE GENERAL CONSTRUCTOR OF THE FIRST GEORGIAN SPACE OBJECT



... When I was creating First Georgian Space object, I was thinking about Georgian prestige ...

... When I work for Military-engineering field, I serve for Georgian state interests ...

Elguja Medzmariashvili

1999 წლის 23 ივლისი

საქართველოს ტელევიზიამ ჩართო საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის სასტენდო დარბაზი, სადაც მიმდინარეობდა კოსმოსური ექსპერიმენტის დუბლირება დედამიწაზე და პროგრამის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი არასაშტატო სიტუაციების მართვა.

გამაფრთხილეს, რომ სპეციალურ გამოშვებაში, პირდაპირი ეთერით, როგორც სისტემის გენერალურ კონსტრუქტორს, სრულიად საქართველოსა და უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტისათვის უნდა მომეხსენებინა ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ღია კოსმოსურ სივრცეში გატანა და ამასთან, ამ ისტორიული მოვლენისათვის მიმეცა პირველი შეფასება, მათ შორის, კოსმოსური პროგრამის დაწყების შესახებ.

ძალიან დაძაბული წამები იყო. პირველ ეტაპზე, ჩემი მოთხოვნით, კოსმონავტებმა ათი წუთით დააყოვნეს კოსმოსური პროგრამის დაწყება. ამის მიზეზი გახდა ორბიტული სადგურიდან, სადაც ტენიანობა შედარებით დიდია, ღია კოსმოსურ სივრცეში გამოტანილი რეფლექტორის გამოშრობა მზის დასხივების ტემპერატურული რეჟიმის შერჩევით, რაც გამორიცხავდა მისი გახსნის შეფერხებას კვანძების გაყინვის გამო.

შემდეგ კოსმოსურმა რეფლექტორმა დაიწყო გახსნა. კოსმოსური ფრენის მართვის ცენტრსა და თბილისში – სასტენდო დარბაზში, პირადად ჩემთან, აუარებელი ინფორმაცია მოდიოდა. ყველაფერი განსაზღვრულ პარამეტრებში თავსდებოდა, გარდა ერთისა – გახსნა შენელებულად მიმდინარეობდა. მე ვითხოვე კიდევ რამდენიმე წუთი, რომ სიტუაციაში გავრკვეულიყავი, ვინაიდან მთელი არსით ვგრძნობდი პასუხისმგებლობას – როდესაც საქართველოსთვის უნდა მემცნო იმ მოვლენის შესახებ, რომლითაც ქვეყნის ისტორიაში იწყებოდა კიდევ ერთი ახალი დროის აღრიცხვა. იგი უკავშირდებოდა კოსმოსში პირველი ქართული ქმნილების გაშვებას, რაც თავისი შინაარსითა და ფორმით ქართველთა საგანძურში შევიდოდა, არა როგორც ერთი მეცნიერის, კონსტრუქტორის, თუნდაც ხელოვანის ან სპორტსმენის წარმოჩენად, არამედ ერის სახელმწიფოებრივ მიღწევად.

ასეთი განცდებით დამუხტულ ვითარებაში დაიწყო ჩემი გამოსვლა სპეციალურ გამოშვებაში. ქართველ ხალხს და პირადად პრეზიდენტს ვუპატიკე ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის – რეფლექტორის ორბიტაზე გაყვანა და კოსმოსში პროგრამის დაწყება.

როდესაც სრულიად საქართველოს ტელევიზიითა და რადიოთი მიემართავდი, ვეცადე, რომ ჩემ მიერ წარმოთქმული ტექსტი ჩემი განცდების შესაბამისი ყოფილიყო, მაგრამ ეს ვერ შევძელი. ემოციების სიტყვებით გადმოცემა წარმოუდგენელი იყო. მოხდა ერთგვარი გაორება სიტყვასა და განცდებს შორის. ამიტომ, კარგად არც კი მახსოვს ჩემი გამოსვლის სრული ტექსტი. ხოლო ემოციური ტალღები, რომლებიც იმ მომენტში ჩემში ბობოქრობდა, არ წაიშლება ჩემი მესხიერებიდან. ეს იყო დიადი წამები. საქართველომ თავის ისტორიაში პირველად გადადგა ნაბიჯი უკიდევანო კოსმოსში. მას მხოლოდ წუთები და საათები აშორებდა კოსმოსში ღირსეული გამარჯვების მომენტს. ეს იყო წამები, როდესაც უეცრად დამავიწყდა, რომ ვიყავი გენერალური კონსტრუქტორი ისტორიაში პირველი ქართული

კოსმოსური ქმნილებისა და ამ მოვლენას მხოლოდ ქართველი ადამიანის გადასახედოდან შევეყურებო.

იმ წუთებში ღმერთს შევთხოვე ჩვენი – ქართველების გამარჯვება და უფალმა შეისმინა ჩემი ვედრება.

როდესაც ტელემიმართვა დავაძინებდი ადამიანთა ჯგუფს გამოვეყო მერი ჩიქოვანი, რომელიც ჯერ კიდევ სტუდენტთა საკონსტრუქტორო ბიუროს დაარსების სათავეებიდან ჩვენი თანამშრომელი და ამასთან თანამებრძოლიც არის. იგი მომეგება და შესძახა – “ხომ გეუბნებოდი გავფრინდებით-მეთქი!”. რეზო გაბრიადის სცენარის მიხედვით გადაღებული ფილმიდან ნასესხებ, ამ ოდნავ სახეცვლილ, ფრაზას იგი ადრეც ყოველთვის ამბობდა, ოღონდ მომავალზე ორიენტირებით – “ხომ გავფრინდებით ქართველები კოსმოსში”. მერის ძალიან უნდოდა, რომ საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტს, არა მარტო საბჭოთა სისტემები გაგვეყვანა კოსმოსურ ორბიტამდე, არამედ ქართული ნაკეთობა გაგვეშვა კოსმოსში და ეს მიზანიც აუსრულდა მას და მთელ საქართველოს.

სპეციალური გადაცემის შემდეგ, როდესაც პირველი ემოციური ტალღა ოდნავ მიწყნარდა, თანამშრომლებს უნდოდათ მოელოცათ ჩემთვის, მაგრამ ამის ნება მათ არ მივეცი – საბოლოო გამარჯვებამდე ჯერ კიდევ ბევრი განსაცდელი იყო გასავლელი და ურთულესი გამოცდები – ჩასაბარებელი. მით უმეტეს რომ, კოსმოსური ობიექტი უკვე რუსეთის ორბიტულ სადგურ «მირზე» იყო და რუსეთთან საქართველოს, რბილად რომ ვთქვათ, არცთუ კარგი დამოკიდებულება ჰქონდა. ასე რომ, ამ ფაქტსაც თუ გავითვალისწინებთ, ყველაფერი იყო მოსალოდნელი.

ვიდრე კოსმონავტები ღია კოსმოსურ სივრცეში იმყოფებოდნენ, თბილისში პულტთან მორიგეობდა გურამ ბედუკაძე, რომელმაც მიიხრა, რომ სასტენდო დარბაზის წინ მდებარე პოლი, ტელევიზიების, რადიომაუწყებლობებისა და პრესის წარმომადგენლებით იყო სავსე და ჩემს გასვლას ელოდნენ. ვასო ურუშაძე, რომელიც დედამიწაზე ორბიტული პროგრამის იმიტაციისას კოსმონავტების ერთ-ერთი “დუბლიორი” იყო, ძლივს აკავებდა ცნობისმოყვარე ჟურნალისტებს, რომლებიც სასტენდო დარბაზში ცდილობდნენ შემოსვლას.

როდესაც კოსმოსური სადგური, რომელზეც კოსმოსური პროგრამა ტარდებოდა, გავიდა რადიოხედვის ზონიდან და შექმნილი პაუზის გამო, ნერვიულმა დაძაბულობამ ოდნავ იკლო, მე გავედი ჟურნალისტებთან. ისინი ცდილობდნენ დეტალურად გარკვეულიყვნენ ყველაფერში, რაც კოსმოსურ ორბიტაზე ხდებოდა.

მათთან საუბარი ჩემთვისაც საინტერესო იყო, ვინაიდან ისინი უკვე იშველიებდნენ სხვადასხვა ქვეყნების სააგენტოებისა და საინფორმაციო საშუალებების კომენტარებსა და შეფასებებს ამ ფაქტის მიმართ, რაც იმ მომენტში ჩემთვისაც ჯერ კიდევ უცნობი იყო.

ემოციებით დატვირთული ჟურნალისტები ცდილობდნენ ჩემგან გაეგოთ ყველაფერი იმის შესახებ, რაც პირველ ქართულ კოსმოსურ ობიექტთან იყო დაკავშირებული.

ასეთი აღტყინების პროცესში ერთ-ერთი გაზეთის კორესპონდენტმა, რომელსაც ალბათ სურდა რაიმე “სენსაციური” ნაკლი გამოეგლინა, ნიშნის მოგებით მკითხა თუ რამდენი ღარის მოგებას მოუტანდა საქართველოს ჩემ მიერ შექმნილი კოსმოსური რეფლექტორი. შეკითხვის წარმოთქმის ინტონაციის მიხედვით, რატომღაც მომეჩვენა, რომ იგი “ჩასაფრებულ” პოზიციაში მყოფი გაზეთის მხრიდან იყო დასმული. ამიტომ, ამ კითხვაზე პასუხი შედარებით მკაცრი ტონით გავეცი:

პირველ რიგში, დღეს ორბიტაზეა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი და ეს ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა საქართველოსათვის. ამ ფაქტთან შედარებით ნაკლებად ნიშანდობლივია ისიც, თუ რა მნიშვნელობა ექნება მას მეცნიერებისათვის საერთოდ და მით უმეტეს, ეკონომიკისათვის. მართალია დღეს, ხვალ და ახლო მომავალში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის – დიდი გასაშლელი კოსმოსური რეფლექტორის სამეცნიერო და გამოყენებით მხარეს საერთაშორისო არენაზე უდავოდ აქვს მნიშვნელობა, მაგრამ 15–20 წლის შემდეგ და მთლიანად საქართველოს შემდგომ ისტორიაში ამის შეფასებას არავინ დაიწყებს – მთავარია თვით ფაქტი, ქართული ქმნილების კოსმოსში პირველად გატანისა. ახლა კი მინდა გირჩიოთ, რომ აღნიშნული შეკითხვით საქართველოს მრეწველებს, ბანკებს და კომპანიებს მიმართოთ, რომელთა საკუთრებაშიც გადავიდა მთელი ინდუსტრია და ფინანსები. მათ ხელიდან არ უნდა გაუშვან შანსი იმისა, რომ ქართული ტექნოლოგიური მიღწევა საქართველოში არა მარტო ისტორიულ და სამეცნიერო-ტექნიკურ, არამედ კომერციულ შედეგებზე იქნეს ორიენტირებული. მე კი, როგორც მოქალაქემ, მეცნიერმა და მოღვაწემ, ჩემი საქმე გავაკეთე, შევქმენი პიველი ქართული კოსმოსური ობიექტი და უზრუნველყავი მისი გაყვანა ორბიტაზე, რასაც საქართველოსათვის განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

შეკითხვამ უსიამოვნო განცდა დატოვა იმ შურის თუ ღვარძლის გამო ზოგჯერ ქართველს, წარმატებული ქართული საქმის მიმართ, რომ გასჩენია.

ჟურნალისტები განაგრძობდნენ ჩემთვის შეკითხვების დასმას. ინტერვიუებმა საკმაოდ დრო წაიღო და ჩვენი საუბარი დასასრულისკენ მიდიოდა. ამ დროს, ჟურნალისტთა ჯგუფის ბოლოს, მორიდებით, ხელში დიქტოფონით მდგარი, სრულიად ახალგაზრდა გოგონა შევნიშნე. იგი, ჩემი აზრით, რომელიმე რადიოარხის კორესპონდენტი უნდა ყოფილიყო. გავარდვიე ჟურნალისტების რიგი და იმ გოგონასთან მივედი, რამაც იგი გააკვირვა და, ცოტა არ იყოს, დააბნია. მეკითხეთ რაც გინდათ – ვუთხარი მას. მან კი საკმაოდ “რთული”, უფრო სწორედ უხერხული შეკითხვა დამისვა: “ბატონო ელგუჯა, პირველმა ქართულმა კოსმოსურმა ობიექტმა განაპირობა ის, რომ საქართველო გახდა კოსმოსური სახელმწიფო და ეს მაშინ, როდესაც ჩვენს რეგიონში, ჩვენს მეზობლებს – აზერბაიჯანს, სომხეთს, თურქეთს და, როგორც ვიცი, მსოფლიოს მრავალ ძლიერ სახელმწიფოებსაც კი ასეთი, თავისი შექმნილი კოსმოსური ობიექტი არ ჰყავთ. როგორ მოხდა ისე, რომ ამ მხრივ ბევრი პრობლემით დატვირთულმა საქართველომ და პირადად თქვენ შეძელით ორბიტაზე გაგეშვათ ქართული ნაკეთობა”. ამ კითხვაზე პასუხის სრულად გაცემა, ჯერ ერთი, საკმაოდ ვრცელ განმარტებას მოითხოვდა, რომელიც ასევე ჩამოთვლილი სახელმწიფოების პოლიტიკურ, სამეცნიერო და ტექნოლოგიურ სპექტრს უკავშირდებოდა. გარდა ამისა, ჩემი მხრიდან მათი შეფასებები ცოტა უხერხულიც იქნებოდა. ამიტომ, ერთგვარი “დიპლომატიური გამოსავალი” ვიპოვე და ასე ვუპასუხე – საქართველოს გაუმარჯოს!

ინტერვიუები დამთავრდა. პოლში შევნიშნე, რომ თანამშრომლებს ჯერ კიდევ ვერ დაეოკებინათ ემოციები და ყველა არ იყო თავის სამუშაო ადგილზე. ბევრი მათგანი პროგრამასთან დაკავშირებულ საკითხებზე ჟურნალისტებს ესაუბრებოდა. ერთი სიტყვით, კოსმოსური ტექნიკის ტერმინით თუ განვსაზღვრავთ, ინსტიტუტში არ იყო “საშტატო სიტუაცია”.

საგანგებოდ შევკრიბე ყველა თანამშრომელი და კატეგორიულად დავუსვი საკითხი იმის შესახებ, რომ ვიდრე კოსმოსური პროგრამა მთლიანად არ დამთავრდებოდა, წინასწარი შეფასებებისაგან თავი შეეკავებინათ. იმ წუთიდან, ამ მხრივ, მე ვიკისრე მასმედიასთან ურთიერთობის მთელი პასუხისმგებლობა. ეს იყო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, რაშიც სულ მალე დავრწმუნდი.

ამის შემდეგ ორბიტული სადგური შემოვიდა რადიოხედვის ზონაში და, როგორც იტყვიან, მე უკვე “სატელეფონო ხაზზე ვიყავი”. ველაპარაკე მიხეილ ჯანიკაშვილს, რომელიც მოსკოვში, კოსმოსური ფრენის მართვის ცენტრში იყო წარგზავნილი ჩემს წარმომადგენლად. ასევე, ვესაუბრე პროგრამის მენეჯერ ლერი დათაშვილს და წარმომადგენლის მოადგილე ნოდარ ხატიაშვილს. ძალიან აფორიაქებული მესაუბრა “საქართველოს პოლიტექნიკური ინტელექტის” პრეზიდენტი გრიგორი კინტერაია, მას ძალიან აწუხებდა გასაშლელი რეფლექტორის შენელებული გახსნა. მქონდა საუბარი კოსმოსური ფრენის მართვის ცენტრის დირექტორის მოადგილესთან, პროფესორ ვიქტორ ბლაგოვთან. იგი კმაყოფილი იყო ექსპერიმენტის მიმდინარეობით და მეუბნებოდა, რომ ორბიტულ სადგურ «მირზე» მოგვარდებოდა ელექტროკვების საკითხები. რამდენიმეჯერ შედგა საუბარი ჩემსა და მოსკოვის მხრიდან რეფლექტორის კოსმოსში გამოცდების ხელმძღვანელთან ალექსანდრ ჩერნიავსკისთან. გასაგები და ბუნებრივი იყო ჩერნიავსკის განცდები, იგი, ერთი მხრივ, მორალურად თბილისის წინაშეც აგებდა პასუხს ექსპერიმენტის შეუცდომლად ჩატარებაზე და მეორე მხრივ კი, მისი უშუალო უფროსის, კოროლიოვის სახელობის სარაკეტო-კოსმოსური კორპორაცია “ენერჯის” გენერალური კონსტრუქტორის – იური პავლეს ძე სემიონოვის წინაშეც, რომელიც თავის იმედებს ამყარებდა ორბიტულ სადგურ “მირის” შემდგომ ბედზე, რაც დიდად იყო დამოკიდებული მასზე პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის, უმნიშვნელოვანესი ექსპერიმენტის – “რეფლექტორის” წარმატებით ჩატარების შესაძლებლობების არსებობაზე. მოგვიანებით მესაუბრა საქართველოს დელეგაციის წევრი – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი ივერი ფრანგიშვილი და საქართველოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მინისტრი, პროფესორი მერაბ ადეიშვილი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ელჩს რუსეთში მალხაზ კაკაბაძეს პირადად არ დაკავშირებივარ, გადმომცეს, თუ როგორ განიცდიდა იგი ყოველ სიახლეს, რაც იმ ვითარებაში კოსმოსიდან მოდიოდა.

კოსმოსური ფრენის მართვის ცენტრში სხვა ჩემი ბევრი ნაცნობი და უცნობიც იყო. ისინი კოსმოსურ პროგრამას დამსწრეების სახით აკვირდებოდნენ და მის შესაძლებლობებს სამომავლოდ ითვალისწინებდნენ. მათ შორის იყო “დაიმლერ ბენცის” და ევროპული კოსმოსური სააგენტოს წარმომადგენლები და სხვები.

რაც შეეხება ჟურნალისტებს, მოსკოვის ფრენის მართვის ცენტრი მათ ნაკლებობას არ განიცდიდა. იქ იყვნენ მსოფლიოს სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოებისა და ტელევიზიების წარმომადგენლები. მათ შორის იყო “რუსთავი 2-ის” კორესპონდენტი ნატა ამაღლობელი და პირველი არხის წარმომადგენელი მოსკოვში, თამარ გოცირიძე.

ყოველივე ამას ემატებოდა ისიც, რომ თბილისში, სასტენდო დარბაზში, მთელი პროგრამის მიმდინარეობისას, პირდაპირი ჩართვით იდგა მოსკოვის ნომრიანი ორი ტელეფონი, რაც უწყვეტ რეჟიმში მოსკოვთან ინფორმაციის გაცვლის საშუალებას იძლეოდა.

23 ივლისს კოსმონავტებმა სერგეი ავდევემა, ვიქტორ აფანასიემა და საფრანგეთის ბრიგადის გენერალმა ჟან-პიერ ენიერემ ყველაფერი გააკეთეს და მთელი პროგრამის შესრულებისათვის, მიუხედავად სადგურზე არსებული ცუდი მდგომარეობისა, რაც გამოიხატებოდა კოსმონავტების სკაფანდრებში ტემპერატურის მომატებით, დაბალი წნევითა და არასაკმარისი ვენტილაციით, ღია კოსმოსურ სივრცეში მაქსიმალური დრო – 5 საათი და 57 წუთი დაყვეს. კოსმონავტების სადგურ «მირზე» დაბრუნების დროს რეფლექტორი ნაწილობრივ იყო გახსნილი. ეს, ერთი შეხედვით, არავითარი სირთულე არ იყო და კოსმონავტები ამ პროცედურას შემდეგ გასვლაზე განაახლებდნენ, მაგრამ შემდეგი გასვლა ღია კოსმოსურ სივრცეში ხუთი დღის შემდეგ იყო დაგეგმილი. ეს კი მექანიზმების და ძრავების ამუშავებას გარკვეულ პრობლემებსაც უქმნიდა, ვინაიდან ღია კოსმოსურ სივრცეში, ტემპერატურა დიდ დიაპაზონში ცვალებადობს, ამასთან, ვაკუუმისა და რადიაციის მაღალი დონეა. ყოველივე ამას შეეძლო გართულებები გამოეწვია კოსმოსური პროგრამის შესრულებისას.

ასე რომ, პირველი დღის სამუშაო ორბიტულ სადგურზე დამთავრდა. კოსმონავტები ორბიტულ სადგურში დაბრუნდნენ და გარეთ გასასვლელი “ლუკი” გამოკეტეს. ისინი ძალიან დაქანცულნი იყვნენ.

კოსმოსური ფრენების მართვის ცენტრში შეიქმნა კომისია, რომელსაც უნდა დაეზუსტებია რეფლექტორის ნელი გახსნის მიზეზი. ძირითად მოტივად 27 ვოლტი ძაბვის სანაცვლოდ, რეფლექტორის ამძრავებზე გაცილებით დაბალი ძაბვის მიწოდება სახელდებოდა, რაც რესურსდაცლილ ორბიტულ სადგურზე ელექტრულ ქსელებში არსებული ხარვეზების ან სხვა მიზეზების შედეგი იყო.

თბილისში მივიღეთ დავალება, რომ გაგვესინჯა რეფლექტორი არასაშტატო, დაბალი ძაბვით გახსნაზე და შეგვედარებინა სურათები რეფლექტორის გახსნისა სასტენდო დარბაზსა და კოსმოსში. არადა რეფლექტორის გახსნა, რეალურად 5 ვოლტი ძაბვის პირობაშიც იყო შესაძლებელი. ეს ექსპერიმენტის ზედმეტად დაზღვევისათვის გადაკეთე. უფრო მეტიც, თუ 8 ძრავადან 2 იმუშავებდა რეფლექტორის გახსნას არც ამ შემთხვევაში ემუქრებოდა საფრთხე.

რეფლექტორის თბილისში, სასტენდო დარბაზში დაბალი ძაბვის პირობებში სახელდახელო არაერთმა გახსნამ და კოსმოსში შექმნილმა რეალურმა სურათმა აჩვენა, რომ ორბიტულ სადგურზე, იმ დროისათვის, რეფლექტორის ძრავებს 5-8 ვოლტამდე ძაბვა მიეწოდებოდა. მაგრამ ეს იყო წინასწარი დასკვნა.

ინსტიტუტის სასტენდო დარბაზიდან სახლში წავედი, ემოციებისგან დაცლილი ვიყავი. იქ კი ცოლიც და შვილებიც ჩემზე უფრო გადაღლილები ჩანდნენ. მიუხედავად იმისა, რომ 23 ივლისს ჩემი შვილის – გიორგის დაბადების დღეა, მთელი ოჯახის ყურადღება, მაინც რეფლექტორის კოსმოსში გატანასთან იყო მიპყრობილი. ამ მხრივ, მათ ორმაგი განცდა ჰქონდათ. ერთი ის, რომ სისტემა ღია კოსმოსურ სივრცეში გავიდა და ყველაფერი წარმატებით დაიწყო და მეორე, ერთ-ერთი ტელევიზიით გავრცელებულა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ “ზეიმი ნაადრევი იყო”.

ამ ინფორმაციის გავრცელების ამბავი ჯერ კიდევ სასტენდო დარბაზში მოგვიტანა საგურამოს კოსმოსური კონსტრუქციების სასტენდო კომპლექსის უფროსმა, ილო მახარაშვილმა. იგი ამ არაპროფესიული, არასწორი და ამასთან ცოტა ცინიკური ტონით

გავრცელებული განცხადებით აღშფოთებული იყო და ყველას გვეუბნებოდა – ხალხო, რატომ უნდა შურდეს ქართველს ქართული საქმის გამარჯვება.

არადა რა იყო “ნაადრევი” – ის, რომ ქართველებმა საქართველოში შექმნეს სისტემა, რომელიც კოსმოსურმა ცენტრმა, რომელმაც პირველი კოსმონავტი გაიყვანა ორბიტაზე, კოსმოსურ პროგრამაში ჩართო; ის, რომ მთელმა კონსტრუქციამ წინა საფრენოსნო გამოცდები წარმატებით გაიარა; ის, რომ ბაიკანურიდან რაკეტა-მატარებელმა უხიფათოდ წაიღო სისტემა კოსმოსში; ის, რომ კოსმოსურმა ხომალდმა იგი მშვიდობიანად მიიტანა და წარმატებით შეაპირაპირა ორბიტულ სადგურს; და ბოლოს, ნუთუ ნაადრევი იყო ზეიმი იმისათვის, რომ ქართველ ხალხს აღენიშნა ღია კოსმოსურ სივრცეში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის – რეფლექტორის გატანა. ეს ყველაფერი უკვე რეალურად მომხდარი იყო, ზოგიერთი დიდი სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, რომლებმაც კოსმოსურ ორბიტაზე თავიანთი ქვეყნის სახელით ვიშპელების გატანაში კოსმოსურ სახელმწიფოებს სხვადასხვა პირობით შეუთანხმდნენ და მხოლოდ “ვიშპელის” კოსმოსში გატანის შემდეგ ერთი კვირა მთელს ქვეყანაში ზეიმი ჰქონდათ გამართული.

უფრო მეტიც, საქართველოს კოსმოსში ტურისტი-კოსმონავტი ან სიმბოლური “ვიშპელი” კი არ გაუშვია, არამედ ორბიტაზე გაიტანა მაღალტექნოლოგიური, კონკურენტუნარიანი და მეცნიერებატევადი პროდუქტი, რომლის წარმატებული გაშლა კოსმოსში, მანამდე, თითქმის 25-წლიანი მცდელობების მიუხედავად დოკუმენტურად ვერც ერთმა სახელმწიფომ ვერ დაასაბუთა.

ამდენად, ერთ-ერთი ტელევიზიის მიერ ეკრანიდან “ნასროლი” ფრაზა – “ზეიმი ნაადრევი იყო”, სრულებით უადგილო და რბილად რომ ვთქვათ, არაკომპეტენტური აღმოჩნდა იმ ისტორიული მოვლენის მიმართ, რომელიც სხვა შეფასებას იმსახურებდა.

უცხო ქვეყნების ტელევიზიებითა და რადიოთი კი მრავალი ინფორმაცია ვრცელდებოდა ღია კოსმოსში დაწყებული ურთულესი ექსპერიმენტის შესახებ, მათ შორის, თვით რუსეთის სააგენტო “ინტერფაქსი” აღნიშნავდა:

“სადგურ «მირზე», კოსმოსში რეფლექტორული ანტენის გაშლის უნიკალური ექსპერიმენტი 28 ივლისს გაგრძელდება. ახლანდელი რეფლექტორი ექსპერიმენტული ვარიანტია მომავალი აჭურული ანტენებისა, რომლებსაც შეუძლიათ გაიშალონ კოსმოსში და, ამასთან, დიდი ფართობი მოიცვან. სპეციალისტთა შეფასებით მომავალი ასეთ რეფლექტორებს ეკუთვნის და ისინი გამოყენებას პოვებენ მომდევნო თაობების სხვადასხვა დანიშნულების თანამგზავრებში”.

რეალური სურათის გაცნობის შემდეგ ოჯახში დაწყნარდნენ. მე ხატების კუთხესთან მივედი სალოცავად. იქ ახლახან ჩამქრალი დიდი სანთლის ნამწვი იყო. მეუღლეს სანთელი კოსმოსში საქართველოს წარმატებისათვის დაენტო.

ტელეფონმა დარეკა. “რუსთავი 2” მოხოვდა, რომ სადამოს ტელეგადაცემაში სტუმრად მივსულიყავი ინტერვიუს მისაცემად. მეც დავთანხმდი და ექსპერიმენტის შესახებ ტელეპროგრამის წამყვან ეკა ბერიძესთან ვრცლად ვისაუბრე. ამასთან, კვლავაც დავადასტურე ჩემი პოზიცია, ისევე როგორც ექსპერიმენტის დაწყების წინა სადამოს, I არხის სადამოს სატელევიზიო გადაცემის სტუმრის როლში, ჟურნალისტთან და გადაცემის წამყვანთან გიორგი ახვლედიანთან, რომ კოსმოსურ სადგურზე არის სირთულეები კონსტრუქციის გაყინვისა და ელექტრული კვების მხრივ, მაგრამ საიმედოობით და

საერთო რესურსით რეფლექტორი ისე იყო დაპროექტებული და დამზადებული, რომ ექსპერიმენტს წარმატებით დავამთავრებდით.

როდესაც მანქანით სახლში ვბრუნდებოდი ჩემი ქალიშვილი მარინა და უფროსი ვაჟი ვიქტორი ტელეფონით დამიკავშირდნენ. მარინა მშვიდად და ყურადღებით ადევნებდა თვალს მოვლენათა განვითარებას. იგი ყოველთვის დარწმუნებული არის ჩემს წარმატებაში, მით უმეტეს, როდესაც საკითხი პროფესიულ საქმიანობას შეეხება. ვიქტორი კი, უფრო ემოციურად გამოხატავდა თავის პოზიციას. იგი ნერვიულობდა და სულ იმას მკითხებობდა თუ როგორ დამთავრდებოდა ექსპერიმენტი 28 ივლისს.

“რუსთავი 2-ში” გამოსვლის შემდეგ, როდესაც სახლში დავბრუნდი, დავიწყე ინფორმაციების ტელეფონით გაცემა გაზეთების რედაქციებისათვის, რომლებიც ამას მთელი დღის განმავლობაში მთხოვდნენ. მასსოვს ბოლო ინფორმაცია, სადღაც ღამის პირველი საათისთვის მივაწოდე გაზეთ “სვობოდნაია გრუზიას”.

ინფორმაცია ყველა გაზეთისათვის თითქმის ერთი და იგივე შინაარსის იყო – ორბიტულ სადგურ “მირზე”, კოსმონავტების ინტერნაციონალურმა ეკიპაჟმა, დაიწყო რუსეთ-საქართველოს პროგრამა “რეფლექტორი”, რომელიც მოიცავდა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ღია კოსმოსში გატანას, გაშლას, სრულმასშტაბიან მექანიკურ გამოცდას, შემდეგ მის ჩამოცილებას ორბიტული სადგურიდან და დამოუკიდებელ ორბიტაზე გადაყვანას.

სახლში უკვე ყველა იწვა. არ ვიცი ეძინათ თუ არა, მაგრამ ბინაში სრული სიწყნარე იყო. დაწოლა და მით უმეტეს, ძილი არ მინდოდა. აივნისგან გავხედე ზაფხულის გვიანი ღამის თბილისს. ხედმა ძალიან დამამშვიდა. შემდეგ სავარძელი მივიტანე აივნის ღია კართან და ჩავჯექი. განსაკუთრებული გრძნობა დამეუფლა. შემდეგ კი მოგონებებმა გამიტაცა. ჩემს მეხსიერებაში ფრაგმენტულად, ზოგჯერ ურთიერთკავშირის გარეშე ამოტივტივდნენ წარსულის სურათები და ეპიზოდები.

... ბათუმში ხშირად ღრუბელი ჩამოწვება და, როგორც იტყვიან, “ცა პირს შეკრავს” და იწვება წვიმა. წვიმს გადაუღებლად, თითქოს ციდან კოკებით ასხამდნენ წყალს. ისეთი შეგრძნება გეუფლება, რომ მზიანი ამინდი აღარასდროს დადგება.

ასეთ დროს, განმარტობისა და წვიმაში სეირნობისას, დიდი ოცნებები და ფიქრები გაგიტაცებს. ეს ის მოგონებებია, რომელიც პირვანდელი სახით შემომჩნა ბათუმიდან. ალბათ მაშინ გამოიკვეთა მომავლის საფუძვლები თუ არა, კონტურები მაინც, რაც შემდგომ მთელი ცხოვრება გამყვა ...

... მამაჩემის ცხოვრებისეული შთაბეჭდილებები დიდ სამამულო ომთან იყო დაკავშირებული. იგი, 1941 წლის 22 ივნისს, ომის გამოცხადებისთანავე მივიდა სამხედრო კომისარიატში, სამოქალაქო ტანსაცმლის სხვისი ხელით გამოგზავნა სახლში და ომში წავიდა. მან მთელი ომის პერიოდი, პირველივე დღიდან 1945 წლის 9 მაისამდე, ბრძოლებში გაატარა და გამარჯვებას ბერლინში შეხვდა. ამის შემდეგ, იგი ბერლინის ერთ-ერთი რაიონის მორიგე კომენდანტად დანიშნეს. მამის, ვიქტორ მექმარიაშვილის, სურვილი იყო, დედაჩემიც, ალექსანდრა გიორგაძე-მექმარიაშვილისა, წაეყვანა გერმანიაში და სწორედ ამიტომ ჩამოვიდა ბათუმში, მაგრამ მან ამ წინადადებაზე უარი მიიღო. ასე შეწყდა ოფიცრის კარიერა.

სწორედ ამის შემდეგ, 1946 წლის 17 აგვისტოს დავიბადე მე – ელგუჯა მექმარიაშვილი ...

... პირველი მოგონებები ბათუმში, ყოფილი გორკის ქუჩაზე მდებარე ბინას უკავშირდება. მახსოვს და დღესაც პატივს ვცემ ბავშვობის გამორჩეულ მეგობრებს, მათ შორის იმ წლებში ჩვენი ოჯახის უცვლელ მეკვლეს რიჩარდ ჯაშს.

სახლში უცხოელი მხატვრების რამდენიმე ფერწერული ტილო ეკიდა კედელზე, ისინი ჩემში განსხვავებულ ემოციებს იწვევდა. ძალიან კარგად დამამახსოვრდა ერთი ნახატი, რომელიც ზეთის საღებავებით იყო შესრულებული. მასზე გამოსატული იყო ფრონტალურად ჩამწკრივებული გემები ზღვისა და ცის ერთიან სივრცეში. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ნახატი ზუსტად ქმნიდა მშვიდი ზღვისა და მოწმენდილი ცის შეგრძნებას ზღვის დიდი ღელვისა და წვიმების შემდეგ. მახსენდება ეს ნახატი და ყოველთვის გაოცება მიპყრობს, თუ როგორ მიაღწია მხატვარმა ასეთ ეფექტს.

მაგრამ იყო ერთი დიდი ფოტოპორტრეტი, რომელიც სევდას მგვრიდა. ეს იყო ჩემი უფროსი ძმის, ზურაბის სურათი, რომელიც 1938 წელს, ორი წლისა გარდაცვლილა ...

... ბათუმის გარდა, ბავშვობიდან საქართველოს სამი კუთხე განსაკუთრებული მოგონებებით ჩამებეჭდა მეხსიერებაში. ეს არის გურია – ჯიხეთის მონასტერი; იმერეთი – ქუთაისი, სადაც მამა გაიზარდა და ბორჯომ-ბაკურიანის ხეობა.

ჯიხეთის დედათა მონასტერში, სულ რაღაც ორი წლის ასაკში, დედას ვყავდი აყვანილი. მიუხედავად ასაკისა, ამ წმინდა ადგილით ჩემში აღძრული განცდები დღესაც მკაფიოდ მახსოვს – დიდი ეზოს შუაში იდუმალებით მოცული ეკლესია, ზარი ხეზე, ირგვლივ მონაზვნების სახლებისკენ მიმავალი გზა და შესანიშნავი, მწვანეში ჩაფლული გარემო, საიდანაც შორს იშლება ულამაზესი, მთებით მოვარაყებული დაბლობის ხედი. მე სწორედ აქ მომნათლეს. დედაჩემის დეიდა მარიამი ამ მონასტრის მონაზონი იყო. ეს დვთისნიერი ქალი ყურადღებას და სიბოლს არ გვაკლებდა. იგი ხელში ამიყვანდა და

ეკლესიის ზარს მარეკინებდა, რაც ამაღლებულ განცდასთან იყო დაკავშირებული. ყველაზე საოცარი ის არის, რომ წარსულის ცხოვრებისეული სცენები, რომლებიც მონასტერში ყოფნის შემდეგ, უფრო დიდობაში მოხდა არ მახსოვს, ხოლო ის მოგონებები, რომლებიც ჯიხეთის მონასტერს უკავშირდება, კვლავაც გაუხუნარი შემომრჩა მესსიერებაში, თუნდაც ის რომ მონაზონი მარიაში ფიჩხის შესაგროვებლად რომ მიდიოდა ზურგზე მოკიდებულ გოდორში ჩამსვამდა და ასე მატარებდა.

... 1953 წელს დავიწვე სწავლა ბათუმის პირველ საშუალო სკოლაში. სკოლის შენობამ მაშინვე უდიდესი გავლენა მოახდინა ჩემზე. ამ სკოლის ყოველი კუთხე-კუნჭული დღესაც მახსოვს. კლასის დამრიგებელი პატივცემული ქეთევან მიქელაძე იყო. სწორედ მან შემასწავლა დედაენა, რომელიც ადამიანში ცნობიერად ამკვიდრებს მშობლიურობის და სამშობლოს განცდას, რომელიც პიროვნების ფორმირების მუდმივ პროცესში ქვეცნობიერად მარადისობისკენ არის მიმართული.

აღბათ ბავშვის მესსიერებაში ყოველი მოვლენა ტოვებს კვალს, მაგრამ ქალბატონი ქეთევანის სახემ, დიდსულოვნებამ და კეთილშობილებამ, ჩემში არა მარტო კეთილი მოგონება, არამედ მუდმივად განახლებადი ემოციური მუხტი შემოიტანა და როდესაც ცხოვრების ასპარეზზე რაღაც წარმატებას ვაღწევ, კვლავაც და კვლავაც, ქალბატონი ქეთო მიქელაძე მახსენდება, რათა მისგან ვირტუალური შეფასება მივიღო ...

... დაწყებით კლასებში ყოველ დღით სკოლის სასულე ორკესტრი ქართულ მარშს – “ჩემო ტკბილო მეგობაროს” უკრავდა. ეს მარში დღესაც ჩამესმის, ერთი მხრივ, როგორც ბავშვობის სასიამოვნო გახსენება და მეორე მხრივ, სხვა მარშებთან ერთად, როგორც სტიმული გამორჩეული საქმეების კეთებისა.

როდესაც მე-6 კლასში გადავედი, ბინა შევიცვალეთ. ოთხსართულიანი სახლის მე-4-ე სართულიდან, საცხოვრებლად ახალაშენებულ სახლში, მეორე სართულზე, ენგელსის, ახლანდელ პეტრე მელიქიშვილის ქუჩაზე, 23 ნომერში გადავედი. ამ ბინასთან სკოლის ასაკის საუკეთესო პერიოდი მაკავშირებს. ეს იყო ჩემი მყუდრო სავანე, სადაც აზრები და რომანტიზმი ერთად იყო. ამას ხელს ისიც უწყობდა, რომ ჩემი ბინის კაბინეტის ფანჯრებიდან “პიონერთა პარკის” მხარეს, ალექსანდრე მეფის დარგული ხე და შესანიშნავი პეიზაჟი ჩანდა, სადაც ხეების კენწეროების ზემოთ, სულ ახლოს “ზღვის ცა” მოჩანდა, და თანაც, თურქეთის საზღვარიც ერთი ხელის გაწვდენაზე იყო.

უცნაურია არა, როდესაც “ზღვის ცას” ვამბობ, მაგრამ ამ ტერმინს აქვს თავისი განსაკუთრებული დატვირთვა. “ზღვის ცა” განსხვავდება ხმელეთის ზემოთ მდებარე სივრცისაგან. ახლაც, როდესაც მანქანით ვმგზავრობ დასავლეთ საქართველოში და განსაკუთრებით ღრუბლიან ამინდში ცას ვუყურებ, გუმანით ვხვდები სად იწყება ზღვა.

საერთოდ, ზღვა დიდი ფენომენია. განსაკუთრებულია ცხოვრობდე ზღვის პირას. არ ვიცი, როგორ ხდებოდა ეს, მაგრამ, როდესაც ზღვას შევხედავდი და ცას გავხედავდი, იმის მიხედვით თუ საით უბერავდა ქარი, უნებურად, ყოველთვის თითქმის შეუცდომლად ვხვდებოდი, როგორი ამინდი იყო მოსალოდნელი ბათუმში.

ზღვა უმეტესობას ზაფხულში იზიდავს. მე კი, ზღვა ზამთარში მიჩვენია. დგახარ ზღვის პირას მარტო და აზვირთებული ტალღები შენ წინ ეხეთქება დედამიწას. ამ დროს პაერში სველი, მარილიანი, მათრობელა იოდნარევი სურნელია. ასე საათობით შემეძლო დგომა და ზღვის ცქერა.

დღესაც მენატრება ასეთი ზღვა, ასეთი ამინდი და ის დრო, როდესაც ზღვას მარადისობის გრძობით შევყურებდი.

... ღამით, როდესაც სრული სიწყნარე დაისადგურებდა, ჩემი სახლის კაბინეტში ისმოდა ზღვის დღეღის ხმა. ხოლო ზაფხულში, დღისით თუ ღამით, სახლის აივანზე გასაშლელ სავარძელში ჯდომას არაფერი სჯობდა. ქუჩის მეორე მხარეს, როგორც აღვნიშნე, “პიონერთა პარკია”, პარკში კი ტბა და ბევრი გასართობი იყო. იმ წლებში ჩემთვის ეზო პარკი გახლდათ, სადაც მთელ თავისუფალ დროს ვატარებდი. პარკში, ადრეულ გაზაფხულზე, მიმოხების, ზაფხულში კი მაგნოლიების არომატებით გაჯერებული ზღვისპირა ჰაერი იყო.

... თავისუფალი დრო ვთქვი, მაგრამ სად იყო ეს თავისუფალი დრო. სკოლაში სწავლა, მხოლოდ და მხოლოდ ხუთიანების მიღების დამღლევი პასუხისმგებლობით, რასაც ემატებოდა მამაჩემის უცვლელი და შეუვალე პოზიცია მოვემზადებინე ქართულში, მათემატიკაში, ფრანგულში, ფიზიკასა და ქიმიაში, არა იმისათვის, რომ იქ გაკვეთილები მესწავლა – არა, მას უნდოდა, სკოლის გარეშე პროგრამები ამეთვისებინა. უფრო მეტიც, მათემატიკაში ორ მასწავლებელთან ვემზადებოდი. ერთი მათგანი ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი სილოვან დადუნაშვილი გახლდათ და უმაღლეს მათემატიკაში – თეორიაში მამზადებდა, მეორე კი ვირტუოზი მათემატიკოსი მაკარ კილასონია სკოლის პროგრამისაგან განსხვავებულ ამოცანებს მახსენებდა.

ბათუმში, მოსკოვის ლომონოსოვის უნივერსიტეტმა ქალაქის ოლიმპიადა ჩაატარა. მე მათემატიკის განხრით ვმონაწილეობდი და გავიმარჯვე, რაც, არც მეტი არც ნაკლები, ლომონოსოვის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტზე უკონკურსო ჩარიცხვის უფლებას იძლეოდა, მაგრამ ამის სურვილი მე არ მქონდა ...

... კვლავ თავისუფალი დროის თემას დაგუბრუნდები. სწავლასთან ერთად, სხვადასხვა დროს მაინც ვახერხებდი იმასაც, რომ ვცეკვაავდი ანსამბლში, სადაც, გარკვეული პერიოდი, ჩემი მასწავლებელი სახელოვანი ქორეოგრაფი ენვერ ხაბაძე იყო. დავდიოდი ჩოგბურთზე, აქ კი ცნობილი გურამ თოხაძე იყო ჩემი მწვრთნელი. ვიღებდი სამოყვარულო ფილმებს. “ვმოგზაურობდი” სპორტული ველოსიპედით და კიდევ ერთი, ყველაზე მთავარი, ვიყავი “რაკეტმშენებელი”, ამ სიტყვის თავისი ადრეული გაგებით, როდესაც დიდი ოცნება ასახვას პოულობდა ადრეულ კონკრეტულ ქმედებაში.

... მახსოვს პირველად თბილისში ცეკვის ანსამბლს ჩამოვყევი. კონცერტი, რომელშიც აჭარის სხვა შემოქმედებითი კოლექტივებიც მონაწილეობდნენ, ოპერისა და ბალეტის თეატრში უნდა გამართულიყო. მე ცეკვა – “განდაგანათი” ვღებულობდი მონაწილეობას, ისიც დიდების გვერდით, ბავშვის სოლო-ნომერი უნდა შემესრულებინა. სცენაზე გასვლის წინ გაგვაფრთხილეს, რომ კონცერტს საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი – ვასილ მუავანაძე დაესწრებოდა. მონაწილეები ააფორიაქა ამ სიტყვებმა, ჩემთვის კი მაშინ ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ ვინ დაესწრებოდა ჩვენი “ნომრის” შესრულებას. მოხდა ისე, რომ ცეკვა “განდაგანის” დასრულების შემდეგ, როდესაც სცენაზე გამოსამშვიდობებლად გამოგვიძახეს, ერთმა უცნობმა პიროვნებამ ხელი მომიკიდა და მითხრა გავყოლოდი. კულისებიდან გამოვედი და გვერდითი შესასვლელით მთავრობის ლოჯაში მოვხვდი. იქ ვასილ პავლოვიჩი და მისი თანმხლები პირები იყვნენ. მუავანაძემ თავზე ხელი გადამისვა და საჩუქრად, წინასწარ მომზადებული მაჯის პატარა საათი გადმომცა. არ ვიცი ეს ანსამბლის წარმატებული გამოსვლისთვის გააკეთა, თუ ჩემი

“ნომერი” მოეწონა, მაგრამ ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა საქართველოს პირველ პირთან. შემდგომში ბევრი შეხვედრა მქონდა მათთან.

რაც შეეხება “რაკეტმშენებლობას” და მასთან დაკავშირებულ თავგადასავალს, მოსაგონარი ძალიან ბევრია, მაგრამ რატომღაც მხოლოდ ორი შემთხვევა წარმოჩნდა ჩემს მესსიერებაში.

პირველი ისტორია იწყება იმით, რომ თბილისში უნდა გამართულიყო საავიაციო წრეების წევრების მოღვაწეების საკონკურსო ფრენა. გადავწყვიტე, რომ აღნიშნულ შეჯიბრებაში, ოღონდ არა თვითმფრინავით, არამედ რაკეტის მოღვაწით, მეც მიმელო მონაწილეობა. წრის ხელმძღვანელმა მითხრა, რომ ვერაფრით დამეხმარებოდა და იმ შემთხვევაში თუ რაკეტის მოღვაწე საკუთარი ძალებით მოვამზადებდი, იგი მიშუამდგომლებდა, რომ შეჯიბრში კონკურს გარეშე მიმელო მონაწილეობა. ამის შესახებ ჩემს მეგობარს გია კვაჭანტირაძეს გაუუხიარე აზრი. სამზადისი დიდი ენთუზიაზმით დავიწყეთ. პირველი, რაც მოვახერხეთ, ორი მეტრი სიგრძის დიურალუმინის მილის მოძიება იყო, რომელიც ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნიდან მაღულად გამოვიტანეთ. ავტობუსში ავედით და მილით ხელში მის წასვლას ველოდებოდით. აღმოჩნდა, რომ იმ ადგილას მეკავა მილი ხელში, სადაც ავტობუსს ისედაც უნდა ჰქონოდა ხელის მოსაკიდებელი მილის დგარი, მაგრამ ჩვენს ავტობუსში იგი უბრალოდ არ იყო. ამ დროს ავტობუსი დაიძრა და მას შემოახტა გლეხი, რომელსაც კარტოფილიანი ტომარა ეჭირა და თავის შესაკავებლად ხელი წააგლო ჩემს მილს – ანუ “რაკეტის კორპუსს”. ბუნებრივია ამას არ ველოდი, მილი ხელიდან გამივარდა, გლეხი ავტობუსში ჩაიკეცა და კარტოფილი ავტობუსიდან გადაცვივდა. ჩვენი მილი ხელიდან გამოვტაცეთ მას, ავტობუსიდან ჩავხტით და გავიქეციეთ.

ამის შემდეგ, ავტორიტეტული სახით მივედი სკოლის დირექტორ ღურსუნ მახარაძესთან და ვთხოვე მუშაობის უფლება მოეცა ხელგარჯილობის კაბინეტში განთავსებულ სახარატო ჩარხზე, რათა ალუმინის მილი ჩარხით დაგვემუშაებინა. დირექტორი ჯერ ორჭოფობდა, მაგრამ ჩემმა “რკინისებრმა” არგუმენტაციამ თავისი გაიტანა და ნებართვა მივიღეთ. წარმოვიდგენიათ ორმეტრიანი მილი, ისიც ალუმინის, ჩამაგრებული ჩარხში. ამუშავდა თუ არა ჩარხი, მილი მოსწყდა სამაგრს და მიეხეთქა ჭერს. ეგ კიდევ არაფერი, მთელი ბათქაში ჩამოინგრა ჭერიდან.

როგორც იქნა დაიწყო მთავარი პროცედურა. “აგებული” რაკეტის საწვავით შევსება. აქ კი ეტყობა ძალიან გადავამლაშე.

ასე თუ ისე, რაკეტა მზად იყო “გასაფრენად” და ჩვენც თბილისში წამოვედით.

და დადგა სახეიმო წუთები. მართალია კონკურსში მონაწილეობაზე უარი გვითხრეს, მაგრამ უკონკურსოდ, პირველ ნომრად, აჭარის გუნდი რაკეტას გაუშვებდა სადემონსტრაციო ფრენაზე. იპოდრომზე იყო ხალხი, წითელი ნაჭრით გადაფარებული დიდი მაგიდა, რომელსაც ცალი მხრიდან უსხდნენ კომისიის წევრები, მაგიდაზე დიდი მიკროფონი იყო.

როდესაც ჩვენ გამოგვაცხადეს და დავიწყეთ რაკეტის სასტარტოდ მომზადება, იყო ერთი დეტალი, რამაც, როგორც შევატყვევ, იქ მყოფთა უნდობლობა გამოიწვია. რაკეტაზე ძაბვის მიწოდებისას ჩვენ “სიფრთხილისათვის” რაკეტისაგან ცოტა მოფარებულად მივუდექით პულტს.

ძაბვა ჩაირთო, მაგრამ რაკეტა არ დაძრულა. შემდეგ, რატომღაც, მისი გვერდითი ძრავა ამუშავდა და რაკეტა წააქცია ისე, რომ მისი წვერო ჟიურის წევრებისაკენ იყო მიმართული. ამას მოჰყვა გამაყრუებელი ხმა და რაკეტამ მიწის თხრით დაიწყო გადაადგილება ჟიურის მაგიდისაკენ. პანიკაში ჩავარდნილი ჟიურის წევრები თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ. რაკეტა მაგიდასთან მიღწევისთანავე აფეთქდა. მხოლოდ ის მახსოვს, რომ იმ მომენტში მიკროფონიც და მაგიდის წითელი გადასაფარებელიც ჰაერში იყო.

შემდეგ ყველაფერი ჩაწყნარდა. აჭარის გუნდი, უსაფრთხოების ტექნიკის დაუცველობისათვის მოხსნეს შეჯიბრებიდან.

საერთოდ, სკოლის პერიოდის “რაკეტმშენებლობაში” ძალიან ხშირად გვექონდა “არასაშტატო” ვითარებები. ამასთან დაკავშირებით, როგორც აღვნიშნე, კიდევ ერთი შემთხვევა გამახსენდა. იგი ნიშანდობლივია იმით, რომ მასში ჩემთან ერთად მონაწილეობდა ჩემი სამი მეგობარი – შემდეგ კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე – მიხეილ ჯანიკაშვილი; ასევე, შემდეგ საგურამოს სასტენდო კომპლექსის უფროსი – ვასილ ურუშაძე და ამჟამად მოსკოვში მცხოვრები, ცნობილი ექიმი ალექო გვარიშვილი.

ჩვენ, “ყველა პროცედურის დაცვით”, საწვავით დავტენეთ რაკეტა და წავედით ზღვის პირას მის გამოსაცდელად. მოვუკიდეთ ცეცხლგამტარ ზონარს და დავიმაღეთ. რაკეტის სტარტს უზარმაზარი ხმა ჰქონდა, ცაში დავიწყეთ რაკეტის ძებნა, მაგრამ ვასო ურუშაძემ ჩვენს ოცნებას “ცივი წყალი გადაასხა”. მან შენიშნა, რომ რაკეტა აფეთქებულია და ნარჩენები იქვე ჩვენ წინ ეყარა.

რას იხამ, ასეა, დიდ წინსვლას ხშირად დიდი წარუმატებლობა უსწრებს წინ და ამას ვეგუებოდი კიდევ ...

... კიდევ ერთი წარუშლელი შთაბეჭდილება ბათუმიდან. ეს არის საზღვაოსნო სასწავლებელი. მისი კურსანტების მარშირება ბათუმის ქუჩებში განსაკუთრებული ელევანტურობით და მხედრული შემართებით გამოირჩეოდა.

საზღვაოსნო სასწავლებელში ბიძაჩემი – გივი მეძმარიაშვილი სწავლობდა. შემდეგ მან სწავლა ნიკოლაევში გააგრძელა და იქ დაოჯახდა კიდევ. როდესაც ის ბათუმში ჩამოდიოდა, ეს უკვე მისი ქუთაისში ცხოვრებისას ხდებოდა, ერთ დღეში ვასწრებდით ფოტოწამლების, ფოტოფირებისა და ფოტოქადალდების შეძენას, მათ მომზადებას, იმავე დღეს ვიდებდით ფოტოებს და ვბეჭდავდით სურათებს ...

... რაც შეეხება ქუთაისს, აქ ბავშვობაშიც და შემდგომაც ხშირად ჩავდიოდით. მამაჩემი, რომელიც წარმოშობით ქუთაისელი იყო და ბათუმში მის ღირსებასა და ისტორიას უსვამდა ხაზს, ქუთაისში ყოფნისას კი ყოველთვის ბათუმზე და ბათუმელების გამორჩეულ პატიოსნებაზე საუბრობდა. თითქოს მასში საპირისპირო თვისებები იჩენდა თავს. მაშინ ეს ჩემთვის ძნელად ასახსნელი იყო. დროთა განმავლობაში, როცა ჯერ ბათუმში ვცხოვრობდი, შემდეგ თბილისში და მერე კი მოსკოვში, ასეთი განცდა ჩემთვის უცხო აღარ იყო.

გამორჩეული დღე ქუთაისისთვის იყო ქუთაისის “ტორპედოს” პირველი თამაში საბჭოთა კავშირის პირველობაზე უმაღლეს ლიგაში მოსკოვის “ტორპედოსთან”. ეს შეხვედრა, ქართველთა გამარჯვებით 4 : 2 დამთავრდა. მთელი დასაველეთ საქართველო იმ დღეს ქუთაისში იყო ჩამოსული. არც ხალხის და არც მანქანების ტევა არ იყო. ბათუმიდან

მამაჩემი, მე, მიხეილ ჯანიკაშვილი და ალექო გვარიშვილი ჩავედით. ბილეთები ბიძაჩემმა დაგვახვედრა. როდესაც თამაში დამთავრდა, ხალხის ნაკადმა იკლო და ქუთაისში ადგილობრივი მანქანები დარჩა, მამაჩემმა ტაქსი გააჩერა. მანქანაში ჩავსხედით და ვიფიქრეთ მამა ქუთაისის მისამართს ეტყოდა მძღოლს. მამამ კი გარკვევით უთხრა – ბათუმი, ენგელსის 23. ეს ისე დაბეჯითებით იყო ნათქვამი, რომ მძღოლი აღარ შეპასუხებია. ეს შემთხვევა იმიტომ გამახსენდა, რომ მამაჩემს – ვიქტორ მეძმარიაშვილს, ორი თვისება მკაფიოდ ჰქონდა გამოხატული – მას აღარ უყვარდა ღამის გათევა სახლში, რომელიც ერთ დროს უკვე დატოვა და მეორე, იგი ვერ იტანდა შეფერხებას ან შეჩერებას და მით უმეტეს, დასახული მიზნის მიღწევისაკენ მიმავალ გზაზე. არ ვიცი, რამდენად სწორი და მისაღებია იგი. ეს თვისება მეც გამოიყვანა.

ქუთაისი ჩემი წინაპრების ქალაქია. იქ არის დაკრძალული ჩემი ბაბუა – სიმონ მეძმარიაშვილი და ბებია – მარო კაკაბაძე. უფრო ადრე, ჩემი უძველესი წინაპრები “კარის აზნაურები” სოფელ ბაშიდან ძირითად ქუთაისში კომპაქტურად დასახლდნენ და ქუჩასაც მეძმარიაშვილების ქუჩა ეწოდა. ეს სახელწოდება ომის შემდეგ წლებშიც კი შემორჩა. ყოველთვის, როცა ქუთაისში ვარ, ვგრძნობ, რომ მე ამ კუთხის შთამომავალი ვარ და ეს ამალღებულ გრძნობას იწვევს ...

... არის კიდევ ერთი კუთხე საქართველოში, რომელსაც ჩემი ცხოვრების ყველა განსაკუთრებული მოვლენა უკავშირდება – ეს არის ბორჯომ-ბაკურიანის ადამიანური მასშტაბის მქონე არეალი, როცა განსხვავებით კავკასიონის მკაცრი მთებისაგან, გარემოს რელიეფი და ულამაზესი ბუნება მიმსვლელთათვის იოლად მიღწევადია.

პირველად ხუთი წლის ვიქნებოდი, როდესაც დეიამ და ბებიამ – ოღონდ გოგიტაძემ ბაკურიანში წამიყვანეს. ეს მგზავრობა მთელი სისრულით ჩამრჩა მეხსიერებაში. როდესაც ირიურაქა, “ბათუმი-თბილისის” მატარებელი ხაშურში ჩავიდა. მახსოვს ხაშურის ძველ სადგურში მერცხლების გუნდი ადამიანებთან სულ ახლოს დაფრინავდა. ხაშურში ბორჯომის მატარებელზე გადავჯექით. ვაგონის ფანჯარას არ მოვცილებივარ. რკინიგზა მდინარე მტკვარს დინების მარჯვენა მხრიდან მიჰყვებოდა. ვაკვირდებოდი მდინარეს. იგი სრულიად განსხვავდებოდა ზღვისაგან. სხვადასხვა ემოცია მეუფლებოდა. ჯერ იყო და მდინარეში ქვები, რომლებზეც წყალი ზემოდან გადადიოდა დიდი თევზები მეგონა, რომლებიც დინების საწინააღმდეგოდ მოცურავდნენ, შემდეგ წყალში ამოსული ხეები დავინახე და მატარებელიც ძალიან ახლოს მივიდა მდინარესთან, ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს წყალში უნდა შესულიყო. ეს გასაოცარი ხედები და შეგრძნება იყო. მეორე მხარეს კი საავტომობილო გზა მიჰყვებოდა მტკვარს. ასე გაგრძელდა ბოლომდე, სანამ მატარებელი ბორჯომ-პარკში არ შევიდა.

ბორჯომ-ბაკურიანის “კუკუშკა” სადღაც შუა დღეს უნდა ჩამოსულიყო და მეორე რეისით ისევ ბაკურიანში წავიდოდა. ამინდი კარგი იყო. ბებიამ და დეიამ პარკი დამათვალიერებინეს. ამასობაში დროც მოვიდა და “კუკუშკაში” ჩავსხედით. ის ემოციები, რაც ამ პატარა მატარებელს უკავშირდება, იმ დღიდან მოყოლებული, დღესაც არ ნელდება. განსაკუთრებით მატარებლის ვაგონიდან ნაძვის ტოტებთან შეხება მიხაროდა.

გადიოდა წლები და ყოველ ზაფხულს ჩვენ ბაკურიანში დავდიოდით.

მე-2 კლასში ვიყავი, როდესაც ამხანაგთან ერთად ტყეში წავედით მარწყვის მოსაკრეფად. ტყეში მხარი გვეცვალა და დავიკარგეთ. რამდენიმე საათის სიარულის შემდეგ ტყეში სამი ცხენი ვნახეთ. მივხვდი, რომ ღამით ცხენებს ტყეში არ დატოვებდნენ

და მათ პატრონს დაუწყვეთ ლოდინი. როდესაც ცხენების პატრონი მოვიდა და ჩვენი მდგომარეობა შეიტყო, ძალიან გაუკვირდა. თურმე სოფელ საკოჭაოს მახლობლად ვიყავით. მან გვითხრა, რომ დიდი მინდვრის ბოლოში გავსულიყავით და იქ მდგარი სამი ხის მიღმა რკინიგზას დავინახავდით. რკინიგზაზე კი აღმართის მიმართულებით უნდა გვევლო. შემოგვალამდა. შემდეგ გაწვიმდა. ბოლოს სულ დაღამდა. როდესაც ბაკურიანს მივუახლოვდით ტყეში ჩემსა და ჩემი მეგობრის სახელებს იძახდნენ. თურმე ჩვენს საძებნელად ხალხი გამოსულიყო. დედაჩემმა ძალიან ინერვიულა, ისე რომ, როდესაც სახლში მივედით საჭმელიც კი ვეღარ გამოიტანა. მასსოვს ჩემთვის ამოღებული ღობი მე თვითონ გავაცხელე და სულგუნი შევიწვი. საერთოდ, სულგუნის სხვადასხვა სახეობა სხვადასხვანაირად იწვება. ის კი, იმ დღეს, რაღაც განსაკუთრებული იყო.

ბაკურიანში იაგორას ველთან, ბოლო სახლში, ტყეში ვცხოვრობდით. იაგორას ველზე სტადიონი იყო, სადაც თბილისის 35-ე სკოლა და სპორტსკოლა ვარჯიშობდა ფეხბურთში, რასაც ჩვენ დიდი ინტერესით ვადევნებდით თვალს. აქ ფეხბურთს ეუფლებოდა ყველა იმდროინდელი ქართული ფეხბურთის მომავალი “ვარსკვლავი” ...

... მე-4 კლასში ვიყავი, როდესაც მამამ ბორჯომში წაგვიყვანა დასასვენებლად. ბინა საბაგირო გზასთან, პარკის შესასვლელთან გვექონდა ნაქირავები. შვიდი წელი იმ ბინაში ვცხოვრობდით. ჩვენი სახლის წინ, ოდნავ ხელმარცხნივ, სანატორიუმი “ფირუზა” იყო თავისი სარკეებიანი აივნით, სადაც ყოველ საღამოს კინოს აჩვენებდნენ. როდესაც კინომექანიკოსმა გაიგო, რომ მე კინოს გაშვება შემეძლო, ეს საქმე სულ მე მომანდო და თვითონ მეორე ადგილასაც დაიწყო მუშაობა. ასე რომ, ძალაუნებურად კინომექანიკოსობა ყოველ საღამოს გარანტირებული მქონდა .

სახლის წინ, ჯერ, ბორჯომის წყლის ჩამომსხმელი ქარხანა იყო, შემდეგ პერიოდში კი, პატარა მოედანი და მწვანე კუთხე მოეწყო. გვერდით კი ბორჯომის სახელოვანი პარკია, სადაც მინერალური წყლების წყაროებია.

მთელ დღეებს ბორჯომის პარკში ვატარებდით. დილით საბაგირო გზით პლატოზე ავდიოდით. იქ დასასვენებელი სახლები, გასართობი და ახალგაზრდობა ჭარბად იყო. შუადღისას დათქმულ დროს, დედაჩემი საბაგირო გზის ქვედა სადგურიდან ნიშანს იძლეოდა, რომ სადილი მზად იყო და ჩვენც ისევ საბაგიროთი ჩამოვდიოდით.

ბორჯომში ძალიან ბევრი ამხანაგი მყავდა. ერთი პერიოდი პნევმოთოფით ვიყავი გართული. ეს თოფი მეტირე სიმონამ მაჩუქა, იმ პირობით, რომ მის ტირში მოგებაზე აღარ გავისროდი. საწყალ კაცს ოფლი ასხამდა, როდესაც ვიგებდი და ეს ძალიან ხშირად ხდებოდა. თოფის ჩუქების შემდეგ პირობა აღარ დამირღვევია და ახლა უკვე “კისტის” თოფით, ოღონდ “დრობით”, დავდიოდი “სანადიროდ” ...

... საერთოდ, დღევანდელი გადასახედიდან, როცა ვიხსენებ წარსულს, ჩემთვის ბათუმის პირველი საშუალო სკოლა “პატარა მეცნიერებათა აკადემია” იყო, სადაც მასწავლებლების შესანიშნავი პლეადა გვასწავლიდა, რომელთა უმეტესობის ძირითადი ნიშანი იყო – სიმკაცრე, სამართლიანობა, სიკეთე, თანადგომა და მაღალი პროფესიონალიზმი.

სკოლის პერიოდიდან ასევე გამომყვა “სიმძიმის” გრძნობაც. ყოველ შაბათს დედაჩემი, ალექსანდრა გიორგაძე, მიმოწმებდა კვირის შედეგებს. გამომკითხავდა შესწავლილ საგნებს და გულდასმით ათვალთვლებდა ჩემს ნაწერებს, მაგრამ კმაყოფილი არასდროს რჩებოდა. ზოგჯერ კალიგრაფიას დამიწუნებდა, მისაყვედურებდა – ასეთ ნაწერში ხუთიანს

როგორ გიწერენო; ზოგჯერ თვით ნამუშევარში ნახავდა ნაკლს და, ხშირად, არც ჩემ მიერ ნასწავლი გაკვეთილებით იყო კმაყოფილი. ერთი სიტყვით, ყოველ შაბათს დიდი “განსაცდელის დღე” მადგა და მთელი კვირის განმავლობაში ჩემ მიერ მიღებულ ხუთიანებს დედაჩემის მიერ გადაფასება ელოდა.

შეიძლება ითქვას, რომ პასუხისმგებლობა გაკეთებული საქმის მიმართ, არა მისი სახელდასხელო შეფასებით, არამედ მისი შედეგების მთელ შემდგომ პერიოდში ღირსეული წარმოჩენით, სწორედ იმ “სიმძიმის” განცდასთან და შესაბამის მოვალეობასთან არის დაკავშირებული, რომელიც დედაჩემმა ჩამინერგა.

განსაკუთრებული ხასიათი ჰქონდა მამაჩემს – ვიქტორ მეძმარიაშვილს. მას მთელი აჭარისა და ნაწილობრივ გურიის სოფლების ელექტრიფიკაცია ევალებოდა და დროის უმეტეს ნაწილს სამსახურს უთმობდა. მიუხედავად ამისა, ყოველთვის მქონდა იმის შეგრძნება, რომ ის ჩემს გვერდით იდგა და ჩემი მეგობარი იყო. ეს გრძნობა დღევანდლამდე გრძელდება, მიუხედავად იმისა, რომ მამა, ნახევარი საუკუნეა ამქვეყნად აღარ არის.

საერთოდ არ მახსოვს, რომ მამაჩემს საყვედური ეთქვას ჩემთვის. მხოლოდ სამი პირობა უნდა შემესრულებინა – მოხდენილად უნდა ჩამეცვა, საზოგადოებრივ და პირად ურთიერთობებში უღირსი საქციელი არ უნდა ჩამედინა და სკოლასა თუ ინსტიტუტში მხოლოდ ფრიადზე უნდა მესწავლა. სხვა მხრივ, მამაჩემისაგან, სრული თავისუფლება მქონდა მონიჭებული.

მეცხრე თუ მეათე კლასში, საბილიარდოში დავიწყე სიარული. იმ დროს ბილიარდის თამაში კარგ ტონად არ ითვლებოდა და “საბილიარდოს საზოგადოებაც” ძალიან “შავი” იყო. მიუხედავად ამისა, მამაჩემს ჩემთვის არ აუკრძალავს საბილიარდოში სიარული და თამაში.

იგი გარიგებია საბილიარდოს “მარკიორს”, რომ მას თვალყური ედევნებინა ჩემი ქცევისათვის და მოთამაშეების ჩემდამი მოპყრობისათვის. ეს ფაქტი ცოტა მოგვიანებით გახდა ჩემთვის ცნობილი და მის შესახებ სწორედ “მარკიორი” მესაუბრა, როდესაც უკვე სტუდენტმა მოვინახულე საბილიარდო ...

... და ერთი განსაკუთრებული დეტალი – რატომ ვატარებდი სკოლამდე, სკოლაში სწავლის დროს, ინსტიტუტში და ინსტიტუტის დამთავრების შემდეგაც გემის კაპიტნის ქუდს. ეს ყოველგვარი ზეგავლენის გარეშე მოხდა. ჯერ იყო და გემის კაპიტნობაზე ვოცნებობდი და ქუდიც ოცნების გამოსატვა იყო. მოგვიანებით “პიონერთა პარკში” საბავშვო გემზე “მეზღვაური” ვიყავი და ქუდი უკვე ფორმის შემადგენელი ნაწილი იყო. შემდეგ კი, ჩემი ბათუმელობის გამოსახატავად და შეჩვეული ტრადიციის მიხედვით, უკვე თბილისსა და მოსკოვშიც, კაპიტნის ქუდი ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ბათუმში, ბავშვობაში მეტწილად ზედმეტსახელოდ “კაპიტანს” მეძახდნენ.

... სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე. გამოსაშვები საღამოც ძალიან თავისებური იყო, რატომღაც დიდ სიმარტოვეს ვგრძნობდი და მოწყენილი ვიყავი იმის გამო, რომ ბათუმში გატარებული სიყმაწვილის ხანა დამთავრდა. წინ რთული ცხოვრების გზა იწყებოდა.

მამას ძალიან უნდოდა, რომ ექიმი გამოვსულიყავი. ამ აზრს დედაჩემიც ეთანხმებოდა, თუმცა არც საინჟინრო სპეციალობას გამორიცხავდა. ჩემი მდგომარეობა კი უფრო რთული იყო. არჩევანი კინორეჟისორის, დიპლომატის, მშენებლის და საფრენი აპარატების კონსტრუქტორის სპეციალობებს შორის უნდა გამეკეთებინა.

და მე უკვე თბილისში ვარ. არჩევანი გაკეთებულია – სამშენებლო ფაკულტეტის სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობა. მისაღება რაოდენობა 25, მსურველთა განცხადება 625. მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ 25 მისაღები ადგილიდან რამდენიმე უკვე შევსებული იყო აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკებიდან, იმ აბიტურიენტების მიერ, რომლებმაც გამოცდები ადგილებზე ჩააბარეს.

როდესაც მამაჩემმა გაიგო, რომ საბუთები სამშენებლოზე შევიტანე და არა სამედიცინოზე, ტელეფონი დამიკიდა და მხოლოდ ბოლო გამოცდაზე ჩამოვიდა, რათა ჩემი ბინით უზრუნველყოფის საკითხი მოეგვარებინა.

რომ ვთქვა, გამოცდების წინ მთელი პერიოდი ინტენსიურად ვმეცადინებოდი, მართალი არ ვიქნებოდი. ერთი პერიოდი ბორჯომშიც ვაპირებდი წასვლას, შემდეგ, “მუშტაიდის ბაღის” საბილიარდოს მუდმივი კლიენტი გავხდი, სადაც ჩემი პარტნიორი იყო ბათუმელი მეგობარი – თამაზ გიორგაძე. მის მოწესრიგებულ და ტაქტიან ყოფაქცევაზე ყოველთვის მითითებდა დედაჩემი. აქ ისიც თამაშობდა როლს, რომ იგი დედაჩემის მოგვარეა.

მხოლოდ უშუალოდ გამოცდების დღეებში ავმოქმედდი მთელი ძალით. მიუხედავად ოქროს მედალოსნობისა, ყველა გამოცდა უნდა ჩამებარებინა და მეც ხუთივე გამოცდაში ხუთები მივიღე და 25 ქულით ჩავირიცხე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობაზე.

როგორც გითხარით მამაჩემი მხოლოდ ბოლო – ქართულის გამოცდაზე ჩამოვიდა. მან არაორდინარული გადაწყვეტილება მიიღო და სანამ თბილისში ბინას ვიშოვიდით, სასტუმრო “თბილისში” 315-ე ნომერი – “პოლულუქსი” დამიქირავა, სადაც თითქმის სამი თვე ვცხოვრობდი. ძალიან გაუკვირდათ სასტუმროს თანამშრომლებს, როდესაც სახაზავი დაფა შევიტანე ნომერში.

მახსოვს 30 აგვისტოს წამოვედი ბათუმიდან მატარებლით. უცნაური შეგრძნება მქონდა. თითქმის ზესტაფონამდე ვერ დავიძინე.

დილით, როდესაც გამომეღვიძა და ფანჯარასთან მივედი, მატარებელი უკვე ქართლის ზეგანის თავისუფალ სივრცეში, აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისისკენ მიჰქროდა.

სამი თვის შემდეგ, სასტუმრო “თბილისიდან”, საცხოვრებლად, ჩვენი ოჯახის მეგობრის, ცნობილი ექიმის შვილის, ალადაშვილის ბინაში გადავედი. ბატონი გივი ალადაშვილი, უკრაინაში, პატონის ინსტიტუტში მიიწვიეს სამუშაოდ. მან თავისი მეუღლე – ლეილა და შვილები – მარინა და გიორგი თან წაიყვანა კიევში, ბინა კი მე დამიტოვეს.

ხუთოთახიანი ბინა, წითელი პარტიზანების ქუჩაზე, სრულ წესრიგში იყო. ჩემთან ერთად, პირველ ხანებში, სკოლის მეგობარი გენო ქაცარავა, ერთი წლის შემდეგ კი, მამას მეგობრის შვილი გურიიდან, ანტონ ინგოროყვა ცხოვრობდა. ანტონი საქმიანი ბიჭი იყო.

დილით ძალიან ადრე დგებოდა და თავის მოწესრიგებას იწყებდა. სულ მომავალსა და ძირითადი საქმის არჩევაზე ფიქრობდა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ის პარტიულ სამუშაოს გაჰყვა, ხოლო შემდეგ სერიოზულ ბიზნესს მიჰყო ხელი და ერთ-ერთი უდიდესი ბანკის თანამფლობელიც გახდა ...

... პირველ კურსზე სწავლისას, უფრო მეტ დროს ახალ ურთიერთობებს ვუთმობდი, ვიდრე სწავლას. სკოლიდან გამოყოფილი ცოდნისა და ხუთიანების მიღების ტრადიციის იმედი მქონდა და ჩემს ახლებურ ქცევას ამითაც ვამართლებდი.

ინსტიტუტში სტუდენტთა სამოყვარულო კინოსტუდია იყო და ძალიან გამიტაცა ფილმების გადაღებამ, რაც ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში დავიწყე. მასსოვს ინსტიტუტმა იტალიის ახალგაზრდულ დელეგაციას უმასპინძლა. შედგა მეგობრული შეხვედრა ფესბურთში სტუმრებსა და მასპინძლებს შორის. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის კაპიტანი ჟიული შარტავა იყო. გადავწყვიტე, რომ შეხვედრა ფირზე აღმებეჭდა და იგი სადამოს შეხვედრაზე, პიონერთა სასახლეში მჩვენებინა. მატჩი ფირზე გადავიღე. შემდეგ ტელევიზიაში მივედი, სადაც კინოფირის გამჟღავნების საამქროს უფროსი ჩემი ნაცნობი იყო და ფირი ორ საათში გამიმჟღავნა. შემდეგ ფირი სახელდახელოდ დავამონტაჟე და ტექსტიც კი დავადევი – ტექსტი კი იტალიისა და საბჭოთა კავშირის ნაკრების ფესბურთელთა გუნდების შეხვედრის აუდიოჩანაწერი იყო. პიონერთა სასახლეში სხვებზე ადრე მივედი. ფილმი გასაშვებად მოვამზადეთ. შუა შეხვედრის დროს, სიურპრიზად, ფილმი გაუშვით, რამაც დიდი აჟიოტაჟი და მხიარულება გამოიწვია. შეხვედრას საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ოთარ ჩერქეზია ესწრებოდა. მან მოგვიწონა ფილმი და შეგვპირდა, რომ “გპის” რექტორს ეტყოდა, რომ ჩვენთვის დახმარება გაეწია. იგი სიტყვის კაცი გამოდგა.

საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში კინოჟურნალ “მახვილი თვალის” გამოშვება დამავალეს. მისი ჩვენება ინსტიტუტის პარტიულ კონფერენციაზე იყო დაგეგმილი. ფილმზე დღე და ღამე ვმუშაობდით. პარტიული კონფერენციისათვის გადაღებული ფილმის შესამოწმებლად ინსტიტუტის რექტორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი იოსებ ბუაჩიძე მოვიდა, არადა ფილმისათვის ტექსტი ჯერ მოფიქრებულად კი არ გექონდა. რას ვიზამდით, ფირი მოვამზადეთ გასაშვებად და გვერდითი ოთახიდან, საიდანაც მხოლოდ ეკრანი ჩანდა, ჯერ არდაწერილი სინქრონული ტექსტის მიკროფონში “წასაკითხად” მოვემზადე, თითქოს ტექსტი უკვე ფილმის შემადგენელი ნაწილი იყო. დაიწყო ფილმის ჩვენება და დავიწყე ტექსტის ზეპირად “კითხვა”. ხუთი წუთი იქნებოდა გასული, როდესაც ეკრანზე ქიმიკოსების ფანჯრებჩამსხვრეული კორპუსი გამოჩნდა. ამ კადრების ტექსტი შემდეგნაირად წარმოვთქვი – ჩვენმა ქვეყანამ ომით მიყენებული ჭრილობები მოიშუშა, ხოლო ქიმიკოსების კორპუსში ჟანგბადის ბალონის აფეთქებით ჩამსხვრეული მინების ჩასმა ვერა და ვერ მოხერხდა. “გააჩერეთ კინოს ჩვენება!” – გაისმა იოსებ ბუაჩიძეს ხმა. შემდეგ, სინუმე ჩამოვარდა. თანმხლებმა პირებმა არ იცოდნენ თუ რას ფიქრობდა ბატონი იოსები და ამიტომ, ვერც შენიშვნებს ბედავდნენ. ცოტა ხნით დაფიქრების შემდეგ, ბუაჩიძემ ბრძანა – ვფიქრობ უხერხულია ამ ეპიზოდის დიდ სამამულო ომთან დაკავშირება და თუ ეს შესაძლებელია, ამოიღეთ ის ფილმიდანო და წასასვლელად მოემზადა. სული მოვითქვი. გვეშველა ყველას. ფილმი, რომ გახმოვანებული არ იყო სტუმრებმა ვერ გაიგეს.

კინოს გადაღების სიყვარული დღემდე გამოძევა. ჯერ იყო და ღამის თბილისი გადავიდეთ ჩემს ლექტორთან, ფიზიკოს გურამ ჩიმაკაძესთან ერთად, შემდეგ კი – იმ პერიოდში პოპულარული ფილმის მსგავსად, ბათუმში, პიონერთა პარკში, ტბაზე მოთხილამურე პატარა ბიჭების ოსტატობა – “აღლუმი წყალზე” გადავიდეთ, რომელსაც იმ წლებში საქართველოს ტელევიზია, ზოგჯერ ფეხბურთის ტაიმებს შორის აჩვენებდა. მოგვიანებით კი მრავალი ფილმი გადავიდეთ, სადაც ჩვენი სამუშაო იყო ნახვენები.

“გპის” სამოყვარულო კინოსტუდიაში კი ჩემი საქმიანობა მეორე კურსზე მოულოდნელად შეწყდა და ამას თავისი ახსნა ჰქონდა ...

... მეორე კურსზე ვიყავი, როდესაც ცოლის შერთვა გადავწყვიტე. ეს მოულოდნელი ნაბიჯი იყო, რომელიც არა მარტო მშობლების, არამედ ახლობლებისა და მეგობრების გაოცებას იწვევდა. ამ პერიპეტიების გამო გაცდენილმა ლექციებმა გარკვეული დიდი დაახნიეს სწავლის პროცესს და მასალათა გამძლეობაში, შუალედურ, დიფერენციალურ ჩათვლაში, ოთხიანიც კი მივიდეთ, რაც მამაჩემისათვის არ მითქვამს.

ცოლი, მანანა კომახიძე, ერთი თვის მოყვანილი მყავდა, მამა რომ გარდამეცვალა, იგი ავტოკატასტროფაში მოყვა. ეს ჩემთვის მოულოდნელი და გამაოგნებელი ამბავი იყო. პირველ დღეებშიც და შემდეგაც ვერაფერს ვგრძნობდი. თითქოს დღეები ჩვეულებრივად მიდიოდა. მაშინაც კი, როდესაც დაკრძალვის შემდეგ, თბილისში წამოვედი განსაკუთრებული არაფერი მიგრძნობია, მაგრამ ამ განცდამ უკვე თბილისში ჩამოსვლიდან რამდენიმე დღეში გამოაჩინა თავისი ძალა.

დამეწყო კომპლექსები და დიდ სევდასთან ერთად, უკიდურესი სინანული იმისაც, რომ მამაჩემს დაუშვალე ინსტიტუტში მიღებული ოთხიანი. შეიძლება ესეც აღმოჩნდა იმის იმპულსი, რომ, ის იყო და ის, თავი დავანებე ყველაფერს და შევუდექი ინტენსიურ სწავლას. შედგენილი მქონდა დღის რეჟიმი 6–; 8–; 10–; 12– და 18–საათიანი მეცადინეობისა დღე-ღამეში. სტუდენტობის წლებში გამოვაქვეყნე პირველი სამეცნიერო შრომა. ნაშრომი ასაწყო გუმბათისებრ გადახურვებს შეეხებოდა. სტატიაში ვაანალიზებდი ასაწობი გუმბათების პერსპექტივას ალჟირის ბაზრის და თბილისის სპორტის სასახლის დახურვების კონსტრუქციების მაგალითზე. ჩემი ხელმძღვანელი კი პროფესორი იოსებ ბერიშვილი გახლდათ ...

... ინსტიტუტში სწავლა დასასრულს მიუახლოვდა. მე არჩევანის წინაშე ვიდექი. ან უნდა გამეგრძელებინა ჩემი საქმიანობა სამშენებლო კონსტრუქციების კათედრაზე, რომელსაც შესანიშნავი პროფესიონალი, გამოცდილი, მცოდნე და ამასთან მკაცრი და პატიოსანი პიროვნება პროფესორი დიმიტრი დოლიძე ხელმძღვანელობდა და მემუშავა მასთან მის მიერ განსაზღვრული თემატიკით, ან ჩამებარებინა ასპირანტურაში სივრცითი კონსტრუქციების განხრით, ლითონის კონსტრუქციების კათედრაზე, რომელსაც პროფესორი ალექსანდრე რაზმაძე უძღვებოდა, სადაც შემეძლო მეგრძნო სრული თავისუფლება და საკუთარი სურვილით განმესაზღვრა ჩემი სამუშაოც. სიმართლე გითხრათ ძალიან გამიჭირდა განშორება ბატონ დიმიტრი დოლიძესთან და იოსებ ბერიშვილთან, რომლებთანაც სტუდენტობის წლებშივე შევიგრძენი პირველი წარმატებების სიამოვნება, რომელიც სამეცნიერო მუშაობას და პირველ სამეცნიერო ნაშრომს შეეხებოდა. მაგრამ მეტის გაგრძელება აღარ შეიძლებოდა, მე გადავედი ლითონის კონსტრუქციების კათედრაზე და ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ჩავბარე

ასპირანტურაში. აქ, დიდი როლი შეასრულა პროფესორმა აგული სოხაძემ, რომელთანაც განსაკუთრებული ურთიერთობა მქონდა ...

... ასპირანტურის პირველ წელს სადისერტაციო სამუშაოსკენ არც კი გამიხედავს. დავდიოდი ლექციებზე, ვემზადებოდი ფრანგულ ენაში, სადაც ჩემთან ერთად არქიტექტურის ფაკულტეტიდან, შემდგომში კინომსახიობი – ნანა პირველი დადიოდა. დროის დიდ ნაწილს ბიბლიოთეკაში ვატარებდი, სადაც “ხირომანტიას” და სხვა მისტიკურ ლიტერატურას ვეცნობოდი და ვუსმენდი მუსიკას, რომელიც ჩემთვის ემოციური იმპულსების განუწყვეტელი წყაროა.

მეორე წელს მიმიწვიწს ლენინგრადის “იუბილენის” არენის დახურვასთან დაკავშირებით გამართულ კონკურსში. სამუშაო ძალიან საინტერესო გამოდგა, მან მთლიანად მომიცვია და დისერტაციის თემადაც ავირჩიე. იგი სცილდებოდა საკანდიდატო დისერტაციის მოთხოვნებს და სადოქტოროს აკმაყოფილებდა. ამის შესახებ ჩემს ხელმძღვანელს, პროფესორ ალექსანდრე რაზმაძესაც ვუთხარი. მაშინ ცოტა განსხვავებული დრო და სიტუაცია იყო. კათედრის გამგეები, რბილად რომ ვთქვა, არცთუ ენთუზიაზმით ეკიდებოდნენ კათედრის წევრების მიერ სადოქტორო დისერტაციის დაცვას. მოკლედ, რომ არ გავაგრძელოთ ეს ისტორია, ჩემი სამუშაოს სადოქტოროზე წარდგენა არ მოხერხდა. არადა მაშინ რომ დამეცვა სადოქტორო, დიდმალიანი დახურვების განხრით, შეიძლებოდა ავცდენოდი ჩემი ცხოვრების გზას – კოსმოსური და მიწისზედა სამხედრო-საინჟინრო კომპლექსების შექმნას, რომელიც ჩემი პროფესიული მიღწევის უმთავრეს მონაპოვრად მიმაჩნია ...

მესამე წელს, როდესაც სამუშაოს ვაფორმებდი დაცვისათვის, ძალიან გადავიღალე და დასასვენებლად წავიდი ლიკანში. იქ დაგუახლოვდი შემდგომში ჩემს მეგობარს, მათემატიკოსს, ტოპოლოგს, აკადემიკოს პეტრი სოლტანს. დაახლოება სწრაფად და უშუალოდ მოხდა. ამასთან საერთო საქმეც გამოგვიჩნდა მათემატიკაში და თან ჩემს მეგობრებთან, რევაზ და გია სულავებთან ერთად საბილიარდოშიც დავდიოდით. ერთ დღეს ლიკანში ახალი დამსვენებელი ჩამოვიდა – მანანა ტყეშელაშვილი. საბილიარდოში ტენისის მაგიდაც იდგა. სწორედ იქ გავიცანი მანანა. როდესაც საბილიარდოდან ვბრუნდებოდით, პეტრიმ მითხრა – შენ იმ ქალიშვილს ალბათ ცოლად მოიყვანო. ჩემთვის ეს სიტყვები, მაშინ რეალობას მოკლებული იყო, მაგრამ მაინც დამამახსოვრდა. ის კაცი წინასწარმეტყველი გამოდგა. ზუსტად 12 წლის შემდეგ, 1984 წელს, მანანა ჩემი ცოლი გახდა.

... ასპირანტურაში სწავლის დაწყების დღიდან მეოთხე წელს დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია. პაუზის გარეშე გავაგრძელე სამუშაო სადოქტორო დისერტაციაზე. ვმუშაობდი მთელი დატვირთვით, თუმცა, ზოგჯერ, სამხედრო-საინჟინრო დარგზე ვფიქრობდი.

ერთ სადამოს, მუშაობისას, ძილი მომერია. თითქმის ჩაძინებულს მამაჩემი გამომეცხადა, სამხედრო ფორმით იყო. მან ერთი ხელის მოსმით გადაწმინდა ჩემი მაგიდა, რომელზეც სადოქტორო დისერტაციის მასალები მქონდა გაშლილი და მითხრა – შენ ამ თემას თავი უნდა დაანებო, სამხედრო ფორმა ჩაიცვა და სულ სხვა, განსხვავებულ, გამოუცნობ დარგებში ორი სადოქტორო უნდა დაიცვა. ამ სიტყვებმა გამომაფხიზლა. მაგიდაზე ყველაფერი თავის ადგილას იყო. მეც თითქოს იმავე ენთუზიაზმით გავაგრძელე მუშაობა, მაგრამ უკვე სხვა განცდა მქონდა ...

... მაგრამ მოხდა ის, რასაც სრულებით არ ველოდი. სამეცნიერო ლაბორატორიაში, სადაც უკვე უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობა მეკავა, ერთ მშვენიერ დღეს გამოცხადდა ინსტიტუტის ხელმძღვანელობის წარმომადგენელი და მითხრა, რომ რექტორი მიბარებდა. მეც გავეყვი. ჯერ პარტიული კომიტეტის მდივანმა ჯემალ კუხალაშვილმა მიმიღო, გამომკითხა თუ რას ვაკეთებდი, ძველი “ცოდებებიც” გამახსენა სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებაში ჩემი საქმიანობის და კინოს გადაღების შესახებ და მითხრა, რომ განიხილება ჩემი კანდიდატურა გაერთიანებული პროფკომის თავმჯდომარედ. კონფერენცია დღის მეორე ნახევარში იყო დანიშნული და მოფიქრების დროც არ მქონდა. პირველი, რაც ვიკითხე, ეს ყოფილი თავმჯდომარის, ოთარ წეროძის შემდგომი ბედი იყო. ჯემალმა განმიმარტა, რომ ამ მხრივ პრობლემა არ არსებობსო და რექტორთან წამიყვანა.

პროფესორი არჩილ ძიძიგური, აკადემიკოსი, რექტორი, სანდომიანი პიროვნება იყო. იგი კეთილგანწყობით შემხვდა და ჯემალს უთხრა – ძალიან ახალგაზრდა ხომ არ არის ამ პოსტზე ასარჩევადო – მაგრამ პასუხს არ დაელოდა და დასძინა – თუ ახალგაზრდა კაცი წარმატებულია, ის ცხოვრებაშიც ივარგებს და საქმეშიცო. რექტორმა თანხმობა განაცხადა, ასე და ამგვარად, დღის მეორე ნახევარში, პროფკავშირის კონფერენციაზე გაერთიანებული პროფკომის თავმჯდომარედ ამირჩიეს.

პროფკავშირში ბევრი მეგობარი შევიძინე – შემდეგში პროფესორები: ნაზი კუციავა, შალვა ნატყებია, რეზო სტურუა, გია ნამგალაძე, დავით ჯაფარიძე და სხვები, რომლებთანაც ურთიერთობა ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში მქონდა.

ეს იყო დიდი სკოლა ადამიანებთან ურთიერთობის, საქმის კეთებისა და, რაც მთავარია, პიროვნული მოღვაწეობის მასშტაბების გაზრდის. 30 000-იანი კოლექტივი, მისი ყველა პროფესიური პრობლემით, თვითშემოქმედებით და სპორტით მოითხოვდა ჩემგან მთელი პოტენციალის ამოქმედებას.

ჩემი საქმიანობა გაერთიანებულ პროფკომში სასიამოვნო და მრავალმხრივი აღმოჩნდა.

ჯერ იყო და თვითშემოქმედების ხელმძღვანელად ბატონი იოსებ ტულუში დავაბრუნე, რომელიც ადრე საყოველთაოდ აღიარებულ «გპის» საესტრადო ორკესტრსს – «გპის» ჯახს ხელმძღვანელობდა, შემდეგ ინსტიტუტის თეატრის მხატვრულ ხელმძღვანელად სრულიად ახალგაზრდა ადამიანი - ნუგზარ ბუცხრიკიძე დავინიშნე. მან აღზარდა ახალგაზრდა მსახიობთა მთელი პლეადა. ჩემს პერიოდში ესტრადაზე «გპის» მრავალი ნიჭიერი შემსრულებელი გამოვიდა, რომლებმაც შემდგომ დიდ ესტრადაზე გააგრძელეს მოღვაწეობა.

განსაკუთრებული იყო ისტორია პაროდისტ ბიძინა მახარაძესთან დაკავშირებით. ფაკულტეტების ოლიმპიადაზე იგი პირველად გამოვიდა ესტრადაზე. მას თვალი დავადგი როგორც ნიჭიერ და განსაკუთრებული თვისებების მქონე შემოქმედს. ძალიან მინდოდა, რომ მას ფილარმონიაში გამართულ დასკვნით კონცერტში მიეღო მონაწილეობა. კონცერტის დღეც დადგა, ბიძინა არსად ჩანდა. ლადო ჩხაიძემ, რომელიც ბათუმელი იყო, თქვა, რომ ბათუმის მატარებელზე ვაცილებდი დედას და ბიძინა იქ ვნახე, მატარებელს უნდა გაყოლოდაო. საათს დავხედე. ბათუმის მატარებლის გასვლას 25 წუთი აკლდა. ლადო ჩხაიძეს ვუთხარი, რომ ტაქსით წასულიყო და რაღაც უნდა დასჯდომოდა, ბიძინა მოეყვანა ფილარმონიაში. მართლაც ნახევარ საათში ბიძინა ფილარმონიაში იყო. მახსოვს

რა მოკრძალებით გავიდა იგი სცენაზე, სადაც ფურორი მოახდინა და კულისებში უკვე ნამდვილი მსახიობი დაბრუნდა.

თავისი საქმის დიდოსტატი იყო იუზა კუბლაშვილი. მას უკვე მრავალი წლის წინ ჰქონდა დაარსებული «გპიში» ვაუთა კაპელა, რომელმაც ბევრი სახელოვანი მომღერალი შესძინა, არა მარტო სამოყვარულო, არამედ პროფესიულ სცენას.

შეიძლება ითქვას, რომ ქართულ საცეკვაო ხელოვნებას იშვიათად თუ ჰყოლია ისეთი პიროვნება, აღმზრდელი და ქორეოგრაფი, როგორც რეზო ჭოხონელიძე იყო. იგი ემოციებით სავსე ადამიანია ცხოვრებაში, მაგრამ ცეკვების დადგმის დროს დამუხტულია არა მარტო ემოციებით, არამედ საქმის განსაკუთრებული ცოდნით და, რაც მთავარია, გრძნობს ყოველი მოცეკვავის რიტმს და პლასტიკას, რომლებსგანაც ის ერთიან კოლექტივს ქმნის. რეზო «გპიში» ქართული ცეკვის ანსაბლის უცვლელი ხელმძღვანელი იყო. მრავალი სოლისტი, რომელიც მის ხელში გაიზარდა, შემდეგ უკვე ქართულ ქორეოგრაფიას ემსახურება.

«გპიში» ყოველთვის კარგი ესტრადა იყო. ამ ტრადიციას გაგრძელება უნდოდა. ამისათვის კი, ყოველმხრივი ზრუნვა იყო საჭირო, მათ შორის, თვით საესტრადო ორკესტრის ხელმძღვანელის არჩევა. მსურველი ძალიან ბევრი იყო, მაგრამ არჩევანი გოგი კალანდაძეზე შევაჩერე. იგი, ჯერ ერთი, ტელევიზიის საესტრადო ორკესტრს ხელმძღვანელობდა და მეორეც, სამშენებლო ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული. არ იყო ადვილი გოგისთვის გაგეგო, – რა სურდა და საით ჰქონდა ორიენტირი. მაგრამ ერთი მთავარი თვისება მას მოჭარბებულად ჰქონდა – იგი ქართული სიმღერის საფუძვლების პატივისმცემელი და მისი ტრადიციების გამგრძელებელი იყო ესტრადაზე.

მახსოვს ერთი კურიოზი. პროფკომში მოვიდნენ ერთი სტუდენტის მშობლები, რომლებიც ძალიან განიცდიდნენ, რომ მათი შვილი თითქმის მთელ დროს საესტრადო ორკესტრში საქმიანობას უთმობდა. ისინი მთხოვდნენ, რომ დამეთხოვა მათი შვილი ორკესტრიდან. არადა ვინ იყო ეს ახალგაზრდა არ იკითხავთ – კომპოზიტორი გიორგი მაჭარაშვილი ...

... მოხდა ასეთი შემთხვევაც. პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ, ქალბატონმა დარეჯან იოსელიანმა დამირეკა და მითხრა, რომ სასწრაფოდ გავსულიყავი ორთაჭალაში და იქ მდებარე საბავშვო ბაღიდან, მოსკოვის კომისიის უფროსი, ვინმე მარინა ვლადიმეროვნა წამომეყვანა. ეტყობა იმ მომენტში დარეჯან იოსელიანის მანქანას არ ეცალა და სხვაც არავინ იყო ამის შემსრულებელი. მე მაშინვე გამოვედი კაბინეტიდან და გავედი ქუჩაში მანქანის გასაჩერებლად. ტაქსი ვერ გავაჩერე და “სახელმწიფო ვოლგა” ავიყვანე. მძღოლს ვუთხარი თუ სად მივდიოდი და მანაც, მანქანის აჩქარებული სვლით, საბავშვო ბაღთან მიმიყვანა.

საბავშვო ბაღში შესვლითანავე აღმოვჩნდი მოსკოვის კომისიის უფროსის წინაშე. ძალიან სიმპათიური ქალბატონი, ოქროსფერთმიანი და ცისფერთვალება – მარინა ვლადიმეროვნა უკვე ელოდებოდა მის წასაყვანად მიმსვლელს. მანქანაში ჩავსხედით და პროფსაბჭოს შენობისაკენ წავედით. საუბრის დაწყება გამიჭირდა. მძღოლმა რადიო ჩართო და ქართული სიმღერების ჰანგებმა დაარღვია მანქანაში ჩამოვარდნილი სიჩუმე. ცოტა ხნის შემდეგ მარინამ თქვა, რომ სიამოვნებით შეიძენდა ასეთი სიმღერების ჩანაწერს. ამ მომენტის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა და მეც შევპირდი კასეტის მიცემას ჩემი პირადი კოლექციიდან, თან ამისათვის მისი მოსკოვის ტელეფონის ნომერიც ჩავიწერე.

პირობა შევასრულე. მოსკოვში ჩავედი და ქართული სიმღერების კასეტა ჩავიტანე მარინასთვის. მას სამსახურში, საკავშირო პროფსაბჭოში, სადაც დიდი თანამდებობა ეკავა, დაფურეკე და ნახევარსიმართლე ვუთხარი, რომ ჩემი მეგობარი თბილისიდან წამოვიდა მოსკოვში. ახლა იგი შენს სამსახურთან არის და კასეტის გადმოსაცემად ზუსტად 15 წუთის შემდეგ პროფსაბჭოს შენობის გამოსასვლელში დაგელოდება. რამდენიმე წუთის შემდეგ მარინა ქურქმოსხმული გამოჩნდა გამოსასვლელში. როცა დამინახა, ერთი წამით გაოცებული შედგა, შემდეგ კი ისე გამოიქცა ჩემკენ, რომ მოხურული ქურქი ჯერ ჰაერში ავარდა, შემდეგ კი ძირს დაუვარდა ...

მახსოვს, როდესაც მოსკოვში ყრილობის დელეგატად ამირჩიეს და ქართულ დელეგაციასთან ერთად წავედი, იქ, ჩვენი დელეგაციის კურატორი მარინა ვლადიმეროვნა იყო. მარინამ დელეგაცია სასტუმრო “როსიაში” მიიყვანა და დაიწყო სტუმრების განაწილება ნომრებში. მოხდა ისე, რომ ცენტრალური კომიტეტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განყოფილების გამგე, აკადემიკოსი ემილ სეხნიაშვილი და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, აკადემიკოსი არჩილ ძიძიგური ერთ ნახევრად ლუქსში უნდა განეთავსებინა მარინას, ჩემთვის კი ლუქსი ჰქონდა დაჯავშნილი. მარინას წინაშე გავაპროტესტე ასეთი “არაკანონზომიერი” გადანაწილება სასტუმროს ნომრებისა, რამაც ვფიქრობ, რომ “ქართულ დელეგაციაში”, გარკვეულწილად გაანეიტრალა შექმნილი უხერხული ვითარება.

ამის შემდეგ ყველანი “იკარუსში” ჩავსხედით და წავედით ლომონოსოვის უნივერსიტეტის დასათვალიერებლად. მანქანაში ჩემთვის ვიჯექი და ახლახან განცდილ ისტორიას ვაანალიზებდი. ერთი სიტყვით, კარგ გუნებაზე ვერ ვიყავი. ამ დროს მოვიდა ჟურნალისტი, რომელიც ავტობუსს გამოჰყვა და ახლა მე, როგორც პერიფერიიდან ჩამოსულ დელეგატს, რომელიც მისი შეხედულებით “არ იყო ჯერ მოსკოვში ნამყოფი”, მეკითხება – თუ რა შთაბეჭდილებები მაქვს მოსკოვზე. ვთხოვე, რომ თავი დაენებებინა ჩემთვის, მაგრამ ის მაინც არ იშლიდა თავისას და მეც ვუპასუხე – მოსკოვში ჩემს შთაბეჭდილებებს შორის არის ლამაზმანები, ძალიან დიდი რიგები მაღაზიებში და ყვავების სიმრავლე. ჟურნალისტი უსიტყვოდ გამეცალა. ეს, მასხრობით და ნახევრად გაბრაზებით წარმოვთქვი. მოსკოვი ხომ ნამდვილად კარგი ქალაქია და ჩემზე ყოველთვის წარუშლელი შთაბეჭდილებების მომხდენი გახლდათ.

ამ სიტყვების თქმა დავამთავრე და “იკარუსმა” “ყირიმის ხიდზე” დაიწყო გადასვლა. არ შეიძლება ამ ხიდის კონსტრუქციამ დამკვირვებელს კითხვები არ გაუჩინოს. ყველამ მზერა ხიდს მიაპყრო. ამ დროს ბატონმა ემილ სეხნიაშვილმა განმარტა, რომ ეს კიდული ხიდი პროფესორ იაკობსონის კონსტრუქციით არის აშენებული. მე, არც ვაცოცხლე და არც ვაცხელე, პირდაპირ შევეკადრე აკადემიკოსს და პარტიის ცენტრალური კომიტეტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განყოფილების გამგეს – არა ბატონო ემილ, ამ ხიდის კონსტრუქცია იაკობსონს არ ეკუთვნის, მან მხოლოდ იგი გაიანგარიშა თავისი მეთოდით. ბატონ ემილს ჩემს შენიშვნაზე პასუხი არ გაუცია. სადამოს დამირეკა და მითხრა, რომ მასთან მივსულიყავი ნომერში, სადაც ფლომასტერების შეკვრა მაჩუქა და თან დასძინა შენ მართალი იყავიო ...

... როდესაც ჩემს ხანმოკლე, მაგრამ ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვან კარიერას ვისხენებ პროფკავშირში, არ შემიძლია, არ შევაჩერო ყურადღება ჯემალ კუხალაშვილზე.

ჯემალ კუხალაშვილი სტუდენტობის წლებიდან მასსოვს, როგორც მოწესრიგებული ახალგაზრდა – თმა ყოველთვის კოსტად და გვერდზე ჰქონდა დავარცხნილი, აკურატულად და, რაც მთავარია, თვალშისაცემად სუფთად ეცვა. დამამასოვრდა მისი გამოსვლა ინსტიტუტის კომკავშირის კონფერენციაზე. იგი უკვე ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი იყო. მან თავის მოხსენებაში მკაცრად გააფრთხილა, როგორც ინსტიტუტის, ისე ქალაქის და მთლიანად რესპუბლიკის ხელმძღვანელობა და ილაპარაკა იმაზე, თუ როგორი უნდა ყოფილიყო რეალური დამოკიდებულება სტუდენტისადმი. ეს იმ დროში იშვიათობა იყო.

როდესაც მე მას დაუახლოვდი, როგორც პარტიული კომიტეტის მდივანს, გამაკვირვა მისმა ცხოვრების წესმა. იგი ჯერ კიდევ ნაქირავეებში, ვაჟა ფშაველას პროსპექტის ბოლოში, ერთოთახიან ბინაში ცხოვრობდა. მას შესანიშნავი მეუღლე და შვილები ჰყავს. პარტიული კომიტეტის მდივანობის შემდეგ იგი, ჯერ რაიკომის, შემდეგ კი, ქალაქკომის მდივანი იყო. მისი ცხოვრების წესი და, რაც მთავარია, ცხოვრებისადმი დამოკიდებულება წლების განმავლობაში არ შეცვლილა.

მიუხედავად იმისა, რომ დავმეგობრდით და შემდეგ ნათელ-მირონები გავხდით, ჩვენს შორის დღესაც კი არსებობს დისტანცია და ეს არის დიდი პატივისცემა და, ასე ვთქვათ, ჩემი დამოკიდებულება თითქმის ჩემი ასაკის მასწავლებლისადმი. მას შეუძლია ძალიან შეიყვაროს და იამაყოს ადამიანით, მაგრამ არ შეუძლია შეიძულოს და ეს მისი განსაკუთრებული თვისებაა.

მე კი ძალიან დავაღებული ვარ ჯემალისგან. ის ჩემს მიმართ იყო ძალიან მკაცრი, მომთხოვნი და სამართლიანი. ხოლო სხვებთან დამოკიდებულებაში ჩემი დიდი დამცველი და წინა პლანზე წამომწევი.

საზოგადოდ, დღეს, როდესაც პარტიის მუშაკებს ასე ორაზროვნად და უმეტესად უარყოფითადაც აფასებენ, ყველას უნდა ახსოვდეს და იცოდეს, ნამდვილი ადამიანი, თავისი სიკეთით, პატრიოტიზმით, წესიერებით და საქმისადმი თავდადებით მაშინაც იყო და ახლაც არის ...

... იმ წლებში ბევრი ადამიანის ხასიათი შევიცანი, რომელთა პიროვნული ღირსება უდავოდ იმსახურებს პატივისცემას.

მასსოვს მისადები გამოცდები როგორი ვნებათა ღელვით იყო დატვირთული. ეს იყო ბრძოლა ცოდნასა და პროტექციას და, რამდენადაც უჩვეულოდ უნდა მოგვეჩვენოს, გამომცდელსა და გამოსაცდელს შორის. მაგრამ ყოველთვის იყვნენ ადამიანები, რომელთა პატიოსნებაში ეჭვს ვერავინ შეიტანდა, ისინი თავიანთი საქმის პროფესიონალები და თავისი პრინციპულობით გამორჩეულები იყვნენ. სწორედ ასეთი იყო პროფესორი ელიზბარ ცისკარიშვილი.

ინსტიტუტის რექტორმა, აკადემიკოსმა არჩილ ძიძიგურმა, «გპიში» ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ – არქიტექტურის ფაკულტეტზე მისადებ გამოცდაზე სამი პიროვნება დაასახელა, რომლებსაც მთელი საგამოცდო პროცესისათვის უნდა გაეწიათ კონტროლი. ესენი იყვნენ: პროფესორი ირაკლი ციციშვილი – კომისიის თავმჯდომარე; პროფესორი ელიზბარ ცისკარიშვილი და მე. ეს ძალიან საპასუხისმგებლო და ამასთან ერთად, ძალიან საინტერესო დავალება იყო. დაიწყო გამოცდები. ბატონი ელიზბარი, როგორც წესი, ნახევარი საათით ადრე მოდიოდა. გამოცდის დაწყებამდე იგი დინჯად და დაკვირვებით ათვალთვლებდა ყველა იმ ატრიბუტს, რაც გამოცდებთან იყო დაკავშირებული. შემდეგ კი,

მთელი გამოცდის პერიოდში არ სცილდებოდა აბიტურიენტებს. იყო მომენტი, როდესაც ერთად ჩამოვსხდებოდით დასასვენებლად. იგი ძალიან კორექტული და სამართლიანი პიროვნება იყო, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა მას საუკეთესო ადამიანური გრძნობების გამომჟღავნებაში. მიმდინარეობდა მათემატიკის გამოცდა, ერთი ძალიან ღარიბულად ჩაცმული ბიჭი, რაღაცაზე ძალიან ნერვიულობდა. ბატონი ელიზბარი მივიდა მასთან, შეუმოწმა საგამოცდო ფურცელი და აღმოჩნდა, რომ ბიჭს ხატვაში ხუთიანი ჰქონდა მიღებული. შემდეგი შემოვლის დროს, ისევ შეჩერდა იმ ყმაწვილთან და გამოეცაპრაკა. როდესაც ერთად დავსხედით მითხრა – ეს ბიჭი მესამე წელია აბარებს გამოცდებს და ორჯერ თითო ქულა დაჰკლებია. არადა, ამბობს თუ წელსაც ვერ მოვხვდი, სოფელში უნდა წავიდეთ, ვინაიდან ამდენი წელი ოჯახის მიტოვება არ შეეძლო. შემდეგ კი მითხრა – იქნებ მიხვიდე და აუხსნა თუ როგორ ამოხსნას ამოცანაო.

მეორე დღეს, როდესაც დღის ბოლოს ინსტიტუტიდან გამოვდიოდით, აბიტურიენტები ნიშნებს ეცნობოდნენ. უცებ ხალხში ატყდა ყვირილი-ხივილი, გავიხედე და ის ყმაწვილი შევიცანი, თურმე ხუთიანი მიეღო და მთელი ოჯახი, ალბათ – დედა, მამა და ხუთი თუ შვიდი და-ძმა, ირგვლივ ეხვია და ულოცავენ. როდესაც ეს ამბავი ბატონ ელიზბარს ვუთხარი, გამიღიმა და მითხრა – ყოჩაღ ელგუჯა, მათემატიკა ნამდვილად კარგად გცოდნიაო.

... და, გარდა ამისა, პროფკავშირული საქმიანობის დროს იყო დიდი გამოცდა, რომელსაც გაეუძელი. ჯერ იყო და ტრესტის მმართველობა შემომთავაზეს, შემდეგ – ერთ-ერთი რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარეობა. ამას მოჰყვა ინსტრუქტორის ადგილის დაკავების რეალური პერსპექტივა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. მაგრამ ყოველთვის, როდესაც ჩემი სადმე დანიშვნა განიხილებოდა, დედაჩემი მეტყობდა – შვილო შენ მეცნიერებას არ უნდა უღალატო, დროა მას მიხედო და, ამის დროც დადგა. პროფკომში საქმიანობა ჩემი სურვილით შევწყვიტე და კვლავ მეცნიერებას დავუბრუნდი. პირველი ეტაპი სტუდენტთა საკონსტრუქტორო ბიურო – “მშენებლის” შექმნა იყო ...

საკონსტრუქტორო ბიუროსათვის საჭირო იყო ემბლემა. ისეთი ემბლემა უნდა შექმენა, რომელიც პერსპექტივაზე იქნებოდა გათვლილი, თანაც მისი ამოსავალი პოზიცია უნდა ყოფილიყო მშენებლობა, თავისი კლასიკური გაგებით. ამიტომ ანტიკური ხანის სვეტის თავი შევარჩიე. ამ უძველეს სამშენებლო კონსტრუქციაზე განვათავსე ბუმბული, რომელიც განასახიერებდა სიმსუბუქეს და ასევე ფრენას. ბუმბულის სიმსუბუქე კი შესატყვისი იყო ჩვენი მუშაობის თემატიკასთან, რომელიც უკავშირდებოდა მსუბუქი კონსტრუქციების შექმნას, მაგრამ იმ პერიოდში არ არსებობდა არავითარი ნიშანწყალი იმისა, რომ შემდეგ კოსმოსში მფრინავ კონსტრუქციებს შევქმნიდით. საკონსტრუქტორო ბიუროს ემბლემის ასეთი გადაწყვეტა წინასწარმეტყველური აღმოჩნდა ...



... სტუდენტთა საკონსტრუქტორო ბიურო “მშენებელში” შესანიშნავმა და საინტერესო ადამიანებმა მოიყარეს თავი. ბიუროს უფროსი მე ვიყავი, მოადგილე კი გახლდათ მერაბ ადგიშვილი. იგი ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დიდ კომკავშირულ გზაზე უნდა გასულიყო, მაგრამ მამამისმა – ნოდარ ადგიშვილმა მთხოვა, რომ მის პროფესიულ ფორმირებაზე მეზრუნა, რაც პირნათლად შევასრულე. მერაბმა ჩემთან დაიცვა ჯერ საკანდიდატო დისერტაცია, შემდეგ კი – სადოქტორო. მან ცხოვრების რთული და საინტერესო გზა განვლო.

ბიუროში მოვიწვიე ცნობილი მკვლევარი ოთარ ფაღავა, რომელიც თავისი საუკეთესო პროფესიული და ადამიანური ღირსებებით იყო ცნობილი. მასთან ერთად იყო როინ იმედაძე, ჩემი მეგობარი და შესანიშნავი პიროვნება. შემდეგ იგი სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი გახდა.

სტუდენტები ნამდვილად დამსახურებულად მოხვდნენ ბიუროში, რაც სათანადო რეკომენდაციებმა განსაზღვრა. მათ შორის სტუდენტური საკონსტრუქტორო ბიუროს ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე ჩვენთან, სამუშაოებში ჩაებნენ ნოდარ წიგნაძე, გელა სალუაშვილი და მამუკა სანიკიძე. ცოტა მოგვიანებით ჩვენთან დაიწყო საქმიანობა, ჩემმა თანაკურსელმა და მეგობარმა რევაზ ჩალაძემ, რომელიც შემდეგ დეკანის მოადგილედ გახდა.

ადმინისტრაციული ფუნქციები დაევალა, ჩემთან ერთად პროფკავშირიდან წამოსულ როზა ომანაძეს და, ასევე, მერი ჩიქოვანს. როზა უკვე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა, მერი კი ინსტიტუტის ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს.

ასეთი იყო სასტარტო პოზიციაში სტუდენტთა საკონსტრუქტორო ბიურო.

დავიწყეთ ფიქრი თუ სად მოგვეპოვებინა შეკვეთები. გადავწყვიტეთ, რომ ქუთაისში მივსულიყავით ტრესტის მმართველთან, ბატონ ამირან დახუნდარიძესთან.

შექმნილ საკონსტრუქტორო ბიუროში, პირველ ეტაპზე აუცილებელი იყო რაიმე ხელშეკრულების გაფორმება და ფინანსების მოზიდვა. ამ მხრივ სახელდახელო პრობლემატიკა მოფიქრებული იყო – ხის დახურვები და დიდმალიანი რკინაბეტონის ფერმები. ქუთაისში მანქანით წაყვანა ჩემს მეგობარს – სულხან არჩვაძეს ვთხოვეთ, რომელიც შესანიშნავად ატარებდა ავტომობილს. გაუწყვეით გზას დასავლეთისაკენ. მშენებლებს “ოქროს კოშკებს” ძალიან იაფად ვპირდებოდით და სიტყვასაც ვასრულებდით. მაგრამ ეს არ იყო ის, რისთვისაც ვიყავით მოწოდებულნი... ჩავედით ქუთაისში, სადაც ბატონი ამირან დახუნდარიძე დაგვხვდა. სუფრაც გაგვიშალა, ღვინით სავსე ბოთლები სუფრაზე დააწყო და გვითხრა – თუ ყველა ბოთლს დაცლით ხელშეკრულებასაც დაგიდებთო. ის კი მახსოვს თუ როგორ ავდექით სუფრიდან და წამოვედით, მაგრამ როგორ ჩამოვედით თბილისში ნამდვილად არ მახსოვდა ...

საქმე ნელ-ნელა დაიძრა. ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ ახალი ოთახები გამოგვიყო. საჭირო იყო მათი რეკონსტრუქცია. ამ საკითხში დიდი დახმარება გაგვიწია მერაბ ადგიშვილის მამამ, რომელიც სპეციალობით მშენებელი იყო და საქართველოში ერთ-ერთ უდიდეს სამშენებლო ტრესტს ხელმძღვანელობდა.

მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტთა საკონსტრუქტორო ბიუროში თემატიკა მეტ-ნაკლებად უკვე თითქოს განისაზღვრა, ჩემი ძირითადი კვლევები, რომლებიც ახალ პერსპექტივებზე იყო გათვლილი, მაინც შეეხებოდა სამხედრო, გასაშლელ, სწრაფადასაგებ ხიდებს.

ეს დარგი თავისთავად ძალიან მიმზიდველია. ზოგადად, ხიდი ისეთი ნაგებობაა, რომელიც ნაკლებად არის “შეფუთული” არქიტექტორის შემოქმედებით. აქ მთლიანად გლინდება საინჟინრო ხელოვნება, რომლის სწორად გამოყენების შემთხვევაში წარმოიხდება ნაშენის კონსტრუქციული სრულყოფილება.

მოკლედ რომ ვთქვათ, ხიდის შექმნაში უპირატესი როლი ინჟინერს ეკუთვნის, რომელიც ჩემი განმარტებით გრძნობს ძალას, ხედავს სივრცეს და კონსტრუქციის შექმნისას აღწევს მათ ჰარმონიულ და ესტეტიკურ ერთიანობას.

ამ მხრივ, კიდევ უფრო საინტერესოა სამხედრო ხიდი, რომელიც ექსტრემალურ პირობებზე უნდა იყოს გათვლილი. ექსტრემალური მოთხოვნებით სამხედრო ხიდის სხვადასხვა ტიპი არსებობს.

პირველი მათ შორის არის ეგრეთ წოდებული “ზურგში” გამოსაყენებელი ხიდი. ის, როგორც ერთმალისანი, ისე მრავალმალისანია. მისი ასაგები დრო ნაწილობრივ შეზღუდულია.

შემდეგ საფეხურზე დგას “გამცილებელი” ხიდი, რომელიც, ძირითადად მეორე ეშელონში და ნაწილობრივ პირველში, უზრუნველყოფს ჯარების გადაადგილებასა და მანევრს. ის, ასე ვთქვათ, გადაადგილდება საჯარისო ნაწილებთან ერთად და, ამიტომ უწოდებენ “გამყოლ” ან “გამცილებელ” ხიდს. მისი აგების დრო კი მკაცრად არის შეზღუდული. მაგალითისთვის შეიძლება ითქვას, რომ 48 მეტრი სიგრძის ხიდის აგების დრო არ უნდა აღემატებოდეს მაქსიმუმ ერთ საათს. აღნიშნული ხიდი არის როგორც მრავალმალისანი, ისე ერთმალისანი.

სამხედრო ხიდებს შორის, შესაქმნელად და გამოყენების თვალსაზრისით, ყველაზე მაღალი რანგის არის “საიერიშო” ხიდი. ის, როგორც წესი, 3-5-7 წუთში უნდა გაიღოს გადასალახავ წინაღობაზე. ხიდის აგება რეალურად მტრის საცეცხლე შემოქმედების პირობებში ხორციელდება. ხიდის სატრანსპორტო-სამონტაჟო პაკეტი ტანკზეა განთავსებული, ხოლო მომსახურე პერსონალის გადმოსვლა ჯავშანტექნიკიდან აკრძალულია.

სწორედ ასეთი განსხვავებული და მკაცრი წინაპირობა განსაზღვრავს ჩემს განსაკუთრებულ ინტერესს სამხედრო ხიდებისადმი.

სამხედრო ხიდების შესახებ ცოდნა ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს შევიძინე, ჩემი სამხედრო სპეციალობა, რომელიც სამხედრო კათედრაზე ავითვისე, სამხედრო-საინჟინრო დარგი იყო.

რადგან ასპირანტურის დამთავრების შემდეგ სამხედრო დარგს “არ ვეშვებოდი” და სამხედრო გასაშლელი ხიდების კვლევით ვიყავი გატაცებული, შემდეგი მუშაობისთვის, ჯერ ერთი, ლიტერატურა იყო საჭირო, რომელიც მეტწილად და განსაკუთრებით იმ პერიოდში გასაიდუმლოებული იყო და მეორე, მიზნის მისაღწევად კვლავაც მჭირდებოდა სამხედრო სამსახურში დაბრუნება.

ამ განზრახვით მივმართე მაშინდელი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის საინჟინრო ჯარების უფროსს, გენერალ-მაიორ კუშნიკოვს. მან მიმიღო და ყურადღებით მომისმინა, შემდეგ კი გამოსავალი ნახა და შემომთავაზა მემსახურა საინჟინრო ჯარების ბიბლიოთეკაში. მე ამ წინადადებას დავეთანხმე ოღონდ ნახევარ განაკვეთზე გაფორმებით, რადგან ჩემი ძირითადი საქმიანობიდან მოუწყვეტლივ მეძლეოდა წიგნებთან წვდომის საშუალება და, რაც მთავარია, რაღაც პერიოდის შემდეგ, მექნებოდა სამხედრო

სამსახურში დაბრუნების ფორმალური მხარდაჭერა, რაც მიხსნიდა სამხედრო-საინჟინრო განხრით სამუშაოებში მონაწილეობის გზას.

როდესაც ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის საინჟინრო ჯარების უფროსი, გენერალ-მაიორი კუშნიკოვი გერმანიაში გადაიყვანეს საბჭოთა ჯარების დაჯგუფების საინჟინრო ჯარების უფროსად, ბიბლიოთეკის “მთელი საგანძური” ფრიაღზე მქონდა ათვისებული – ასე ვთქვათ “დავალება შესრულებული იყო”.

“... ვბრძნობდი, რომ დიდი და საინტერესო ცხოვრების გზა იწყებოდა”

მოზონეაბი

... ნელ-ნელა გამოიკვეთა სამუშაოს პროფილი. ეს იყო გასაშლელი – ტრანსფორმირებადი სისტემები. მათი გამოყენების ყველაზე გავრცელებული და ჩემთვის ცნობილი მიმართულება, როგორც აღვნიშნე, იყო საიერიშო სამხედრო მექანიზებული ხიდები. დავიწყე ახალ ვარიანტებზე ფიქრი და ნახაზების შედგენა, მაგრამ მივხვდი, რომ განმარტობა იყო საჭირო, რადგან დაწყებული კვლევები დიდ ამოცანებს მოიცავდა. ავიღე სამუშაო მასალები და ჩემი მანქანით, ამჯერადაც ბორჯომში – ლიკანში წავიდი.

სექტემბერი იდგა. ეს დრო განსაკუთრებულია ბორჯომში. ლიკანში იყო სიმშვიდე, კარგი ამინდი, ნაირფერად შეფოთილი ხეები და, რაც მთავარია, ცოტა დამსვენებელი. ყოველივე ეს ნამდვილ კომფორტს ქმნის მუშაობისათვის.

იმ დღეს, სადილის წინ, ბორჯომის წყაროდან სასადილოსკენ მიმავალ გზაზე, მე-2 კორპუსის გვერდით ვიჯექი და სამუშაოში ვიყავი ჩაფლული. შეუმჩნეველად ჩემთან მოვიდა მაღალი, სიმპათიური, ცისფერთვალემა მამაკაცი და ძალიან სხვანაირი გამოხედვით. იგი ჩამოჯდა გვერდით სკამზე და გაზეთის თვალთვლით დაიწყო. შემდეგ ჩემი სამუშაო შეათვალა. ნებართვა მთხოვა და ნახაზებსაც გაეცნო. ცოტა ხანს ისევ გაზეთის თვალთვლით განაგრძო, მაგრამ, მოულოდნელად კვლავ მომმართა და მკითხა – თუ რას და რატომ ვაკეთებდი. როდესაც საუბრობდა აქცენტი ჰქონდა, მაგრამ სუფთა ქართულით კი ლაპარაკობდა. ეს პიროვნება, მაშინ ჯერ კიდევ გენერალ-მაიორი, შემდეგში კი გენერალ-ლეიტენანტი, პროფესორი, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი ირაკლი ჯორჯაძე გამოდგა. მან, ცოტა მოგვიანებით, ორი დღის შემდეგ შემომთავაზა, რომ ჩავსულიყავი მასთან მოსკოვში და დამაკავშირებდა სამხედრო-საინჟინრო საქმის პატრიარქს, საბჭოთა კავშირის გმირს, გენერალ-ლეიტენანტ გრიგორი სამოილოვიჩს გენშტაბის აკადემიაში.

ამ წუთიდან დაიწყო ახალი დროის ათვლა ჩემს ცხოვრებაში. ვგრძნობდი, რომ დიდი და საინტერესო ცხოვრების გზა იწყებოდა. თბილისში წამოსასვლელად მოვემზადე, მაგრამ პასპორტი, რომელიც ადმინისტრატორთან იყო ჩაბარებული, მისი სამსახურში არყოფნის გამო ვერ ავიღე და წამოსვლა დილაზე გადავდე. აფორიაქებულმა, წამოსვლის მოლოდინში, ცოტა ხანს რამაზ საყვარელიძესთან ვისაუბრე.

ერთ აღვიღზე ვერ ვჩერდებოდი. იმ დროს ბორჯომის მთავარი ექიმი ჩემი ძველი მეგობარი ბათუმიდან, და თანაც, ბილიარდის პარტნიორი – თამაზ გიორგაძე იყო. მასთან მაშინ გავედი, როცა მანქანაში ჯდებოდა და შემოწმებაზე სოფლებში, ტბასა და ლიბანში მიდიოდა. მეც გავეყვი და გვიან დამემდე ერთად ვიყავით. დილით კი თბილისში წამოვედი.

მოსკოვში ჩასასვლელად სერიოზულად მოვემზადე. ჩემ მიერ შეთავაზებული, საიერიშო ხიდი, რომელიც ვერტმფრენების გამოყენებაზე იყო გათვლილი, წყლისმიერ წინააღმდეგობაზე სახიდე ნაგებობის 7 წუთში გადების საშუალებას აძლევდა საჯარისო ნაწილებს. ანგარიშს თან ახლდა კონკრეტული პროექტი ნახაზებისა და გაანგარიშებების სახით.

... ოქტომბრის ბოლოს უკვე მოსკოვში ვიყავი. ჯერ ბატონ ირაკლისთან მივედი, მოსფილმის ქუჩაზე მდებარე სახლში. იგი დეტალურად გაეცნო ჩემს წინადადებას. შევთანხმდით, რომ მეორე დღეს მივიღოდი გენშტაბის აკადემიაში, სადაც სამოილოვიჩი მიმიღებდა.

გრიგორი სამოილოვიჩი, გენერალ-ლეიტენანტი, საბჭოთა კავშირის გმირი და ქართველებისადმი დიდი პატივისცემით განწყობილი პიროვნება აღმოჩნდა. იგი ბელორუსი იყო და ახსოვდა, ძალიან პატარას თუ როგორ უმასპინძლებოდა ღვინით თავადი ჭაჭაყაძე, რომელსაც მეფისაგან ჰქონდა ბოძებული მიწები მის სოფელში. საბჭოთა კავშირის გმირობა მას მიღებული ჰქონდა კიევში, მდინარე დნეპრის ფორსირებისათვის. მაშინ ბევრი სამხედრო ინჟინერი დაჯილდოვდა სხვადასხვა ორდენითა და მედლით და იგი ძალიან კარგად იცნობდა საბჭოთა კავშირის გმირს, ასევე, დნეპრზე ხიდის ამგებს, პროფესორ ირაკლი ციციშვილს. ჩემთან მის ურთიერთობაზე ამ ფაქტორმაც იქონია გავლენა, რადგან ბატონ ირაკლი ციციშვილს მეც კარგად ვიცნობდი, მაგრამ მთავარი მაინც ირაკლი ჯორჯაძე იყო. მას გენშტაბის აკადემიაში დიდი ავტორიტეტი ჰქონდა.

პირველი შეხვედრისას გენშტაბის აკადემიაში, მოსკოვში – ხოლზუნოვის შესახვევის 14-ში, გრიგორიმ მიმიყვანა ევროპის საომარი მოქმედებების თეატრის რუკასთან და დამისვა ამოცანა – მომემზადებინა პროექტი ევროპაში არსებული არხების, რომელთა სიგანე 40 მეტრს აღწევდა, ერთმალისადაც ხიდით ფორსირებისათვის. ამ საკითხის შესახებ იგი დაუკავშირდა, შემდგომში ჩემთვის პატივცემულ პიროვნებას, კუიბიშევის სახელის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის კათედრის გამგეს, იური გლაზუნოვს, რომელიც პონტონების ხიდების შექმნისათვის ლენინური პრემიით იყო დაჯილდოებული. იგი პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი და პოლკოვნიკი იყო. ყველაფერთან ერთად, იური გლაზუნოვს ძალიან უყვარდა საქართველო. თავისი პონტონის ხიდის პირველი გამოცდა მან საქართველოში – მდინარე ხრამზე განახორციელა.

სამხედრო-საინჟინრო აკადემია, რომელიც მოსკოვში პოკროვსკის ბულვარის №11-ში მდებარეობდა, ერთ-ერთი უძველესი სამხედრო სასწავლო დაწესებულება იყო ჯერ კიდევ მთელს რუსეთის იმპერიაში. იგი იმპერატორმა ალექსანდრე I-მა დააარსა სანქტ-პეტერბურგში, მიხაილოვსკში 1819 წლის 24 ნოემბერს. დიდი ტრადიციების აკადემიამ რთული და სახელოვანი გზა განვლო. მის მსმენელთა შორის შემდგომში გამოჩენილი მოღვაწეები იყვნენ, მათ შორის, ვ.დოსტოევსკი, ი.სეჩენოვი და სხვები. აღსანიშნავია ისიც, რომ სამხედრო-საინჟინრო განათლება ჰქონდა მიღებული მხედართმთავარ მიხეილ კუტუზოვს.

გარკვეული პერიოდი მე და გლაზუნოვმა ერთად ვიმუშავეთ. შემდეგ გრიგორი სამოილოვიჩი დაუკავშირდა თავდაცვის სამინისტროს საინჟინრო ჯარების სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის უფროსს, გენერალ-მაიორ ციგენკოს და სთხოვა მის დაქვემდებარებულ ინსტიტუტში, მოსკოვთან ახლოს, ნახაბინოში განეხილათ ჩვენი წინადადება და შესაბამისად შეეტანათ იგი სამუშაო გეგმაში.

თბილისთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ გრიგორი დაუკავშირდა ამიერკავკასიის საინჟინრო ჯარების უფროსს, გენერალ-მაიორ ლეონიდ მედლევს და სთხოვა, რომ ჩემი თბილისში ყოფნის დროს, ყველა საჭირო დახმარება აღმოეჩინა. მედლევი მართლაც კარგი პიროვნება აღმოჩნდა. ჩვენ დავმეგობრდით. შემდეგ იგი კუიბიშევის აკადემიაში იყო უფროსის მოადგილე სამეცნიერო დარგში. ამჟამად იგი გენერალ-ლეიტენანტია და აკადემიის პროფესორი.

... იმ პერიოდში სასტუმრო “როსიაში” ვცხოვრობდი, სადაც ჩამოვიდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, აკადემიკოსი არჩილ ძიძიგური და მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა პროფესორი, შემდეგ კი აკადემიკოსი, მინდია სალუქვაძე. ბატონმა

არჩილმა მითხრა, რომ მასთან “ლუქსში” გადავსულიყავი და მეც სიამოვნებით დავთანხმდი.

გვიანობამდე ვმუშაობდი. უკვე დაღამებული იყო, როცა ბატონი არჩილი დაბრუნდა. გარკვეული პერიოდის შემდეგ საწერ მაგიდასთან მოვიდა და იქვე სავარძელში ჩაჯდა. მან სრული სერიოზულობით მკითხა, თუ როგორ მიდიოდა ჩემი თანამშრობლობა მოსკოვთან და რა ხდებოდა გასაშლელი ხიდის შექმნასთან დაკავშირებით. დაახლოებით ნახევარ საათს ვსაუბრობდით. შემდეგ ისიც ვუთხარი, რომ ხვალ აკადემიაში, 5 საათზე შეხვედრა მქონდა დაგეგმილი. მას არაფერი უთქვამს ისე წავიდა დასაძინებლად.

დილით, როდესაც ვსაუბრობდით, ბატონმა არჩილმა მითხრა: “ელგუჯა, რასაც შენ აკეთებ, მეტად მნიშვნელოვანი და ძალიან საპასუხისმგებლო საქმეა. მე მაინტერესებს უშუალოდ შეხვედრა სამხედროებთან და მაქვს სურვილი გავესაუბრო მათ”. საუბრის დასასრულს მან დასძინა, იქნებ სამხედროები მიმეწვია მასთან სასტუმროში.

ბატონ არჩილისაგან ასეთი გააქტიურება და მისგან გამოჩენილი ინტერესი ჩემი საქმის მიმართ ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო. მე შევპირდი, რომ მის თხოვნას გენერლებს გადავცემდი.

გენერალური შტაბის აკადემიაში 5 საათზე დანიშნული შეხვედრის ბოლოს, გენერლებს გადავეცი ბატონი არჩილის თხოვნა. ამ მოწვევას ყველა დიდი აღფრთოვანებით შეხვდა, განსაკუთრებით ირაკლი ჯორჯაძე.

დანიშნულ დროს სასტუმროს მოადგა ორი “ზილ 111” და ორი “ვოლგა”. “ზილებიდან” გადმოვიდნენ გენერლები, “ვოლგებიდან” კი სპეც.სამსახურის თანამშრომლები, რომლებმაც გენერლები სასტუმროს შესასვლელთან მიაცილეს. მე მათ შევეგებე და ავიყვანე ბატონ არჩილთან, სადაც უკვე მისულიყო ბატონი მინდია საღუქვაძე, რომელიც გენერალიტეტისა და მასპინძლების თავყრილობას შესანიშნავად წარმართავდა.

შემდეგ ინიციატივა ირაკლი ჯორჯაძემ აიღო და იგი ჯერ სტალინის ფენომენზე, შემდეგ კი კახელი კაცის სტუმარ-მასპინძლობის შესახებ საუბრობდა. ამ დისკუსიაში იქ დამსწრე სხვა გენერლებიც ჩაერთნენ.

ბატონი არჩილი ყურადღებით უსმენდა გენერლებს და შემდეგ, როდესაც ყველა ჩაწყნარდა, აკადემიური სიდიხით მიმართა მათ თუ რას ფიქრობდნენ ჩემი ინიციატივის შესახებ.

თითქოს ამ კითხვას ელოდა და საუბარში ჩაერთო გენერალ-ლეიტენანტი გრიგორი სამოელოვიჩი. მან ჯერ სამუშაოს არსი დაახასიათა, შემდეგ კი დეტალურად ისაუბრა არსებული პრობლემის გადაწყვეტაში ჩემს როლსა და წარმოებულ კვლევებზე. საუბრის ბოლოს, სრულიად მოულოდნელად მან ასეთი ფრაზა წარმოთქვა: “მიმანჩია, რომ შემდგომში, საქართველოში სამხედრო-საინჟინრო დარგის სამეცნიერო საფუძვლების შექმნასაც ელგუჯა ვიქტორის ძე უნდა ჩაუდგეს სათავეში”.

ამ ფრაზის შემდეგ გარკვეული სიჩუმე ჩამოვარდა. იმ პერიოდში საქართველოს ცალკე დასახელება და ისიც სამხედრო დარგში, ყველას წარმოუდგენელად ეჩვენა.

ქვეცნობიერად იქ მყოფნი ბატონი არჩილის სიტყვას ელოდნენ. გარკვეული პაუზის შემდეგ, ბატონმა არჩილმა დინჯად და არცთუ ხმამაღლა განმარტა: “მე მაინტერესებდა არა იმდენად სამხედრო ხიდების სამუშაო, რამდენადაც ის, თუ რა მასშტაბის და დონის პრობლემას შეექმნა ელგუჯა, რომელიც ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერია. თქვენთან ხანმოკლე საუბარი მაძლევს იმის საფუძველს, რომ დარწმუნებული ვიყო მის დიდ გზაზე

მეცნიერებაში და განსაკუთრებით იმაში, რომ იგი გაამართლებს ქართველობას. ყველა მისვლა, რომ ბატონმა არჩილმა ბოლოს წარმოთქმული სიტყვებით გენერალ გრიგორი სამოელოვიჩის ბოლო ფრაზას უპასუხა.

აკადემიკოს არჩილ ძიძიგურის ეს სიტყვები მთელი ცხოვრების განმავლობაში ყოველთვის ჩამესმის. განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც სიძნელეებს ვაწყდები. მჯერა ბატონი არჩილის წინასწარმეტყველური შეფასების.

მინდა აღვნიშნო, რომ მთელი სცენა სტუმრობისა იყო აკადემიკოს არჩილ ძიძიგურის მხრიდან გამომჩენილი ზრუნვა ახალგაზრდა ქართველი მეცნიერის მომავალზე, რაც მან ძალიან ეფექტურად ჩაატარა.

... დაინიშნა ჩემი მოხსენება ნახაბინოში. პროექტი წინასწარ გაიგზავნა ექსპერტიზაზე და მე თბილისში წამოვედი.

ნახაბინოს სამხედრო-საინჟინრო სამეცნიერო ინსტიტუტი დიდი ტრადიციებისაა. 1934 წლის 17 აგვისტოს სერგეი კოროლიოვმა და მისმა გუნდმა, საბჭოთა კავშირში, სწორედ აქ წარმატებით გამოსცადეს პირველი, თხევადი საწვავით მომუშავე რაკეტა.

დანიშნულ დროს კვლავ ჩავედი მოსკოვში. მეორე დღეს, დილით ადრე გავედი სასტუმროდან. გადაუღებლად თოვდა. არც ერთი მანქანა არ გამომყვა ნახაბინოში. ბოლოს, სასტუმრო “მოსკოვის” წინ “ჩაიკა” იდგა. მანქანის ძრავა მუშაობდა. “ჩაიკას” სალონი “გალუღუნებული” იყო და მძღოლიც მუსიკას უსმენდა. მოველაპარაკე მძღოლს და დავითანხმე ჩემს წაყვანაზე ნახაბინოში, იქ დაცდაზე და უკან წამოყვანაზეც. მე რუხი ფერის პალტო მეცვა და კარაკულის მაღალი ქუდი მეხურა. როდესაც ნახაბინოში ინსტიტუტის შესასვლელ პოსტს მივუახლოვდით, მორიგე ჯარისკაცებმა ერთი კი შემოხედეს მანქანას და თავკუთმოგლეჯილები მივარდნენ შლაგბაუმს გასახსენლად. გავიარეთ პოსტი. ჯარისკაცები გაჭიმულები იდგნენ და “ჩესტი” ჰქონდათ აღებული. მანქანა შენობის წინ გაჩერდა. მე გადმოვედი და შენობაში შევედი. პირველ სართულზე მორიგე ოფიცერი საქმის კურსში იყო მოხსენების შესახებ. ჩემი ოპონენტი პოლკოვნიკი ვლადიმერ პეტრეს ძე შვუხოვი იყო. ერთი სიტყვით, მოხსენება დავიწყე. დაიწყო გაუთავებელი შეკითხვები, მაგრამ არა ხიდის აგების ძირითად პრინციპებზე, არამედ იმ პერიოდისთვის ჩემთვის მეორეხარისხოვანი დეტალების გადაწყვეტაზე.

მაშინ ამან ძალიან გამაღიზიანა, განსაკუთრებით იმან, როდესაც ერთმა ოფიცერმა სრული სერიოზულობით მკითხა: ხიდის დაკეცვის დროს, როგორ ვწყვეტდი ხიდზე დაგროვილი ტალახის კონსტრუქციიდან მოცილების საკითხს. ახლა კი კარგად ვხვდები, რომ ეს მეორეხარისხოვანი დეტალები, ბევრ შემთხვევაში განაპირობებს ხიდის უმნიშვნელოვანეს საექსპლოატაციო თვისებებს.

ამ დროს, მოულოდნელად, გაიღო დარბაზის კარი და გენერალ-ლეიტენანტი გრიგორი სამოელოვიჩი შემოვიდა. მან იცოდა თუ როდის უნდა მქონოდა მოხსენება და სპეციალურად ჩამოვიდა ნახაბინოში მოსკოვიდან. იგი, გენერლისათვის ტრადიციული ჩვევით, უცერემონიოდ, დაჯდა მაგიდის თავში და ბრძანა თავიდან დამეწყო თხრობა. შემდეგ მიუბრუნდა პოლკოვნიკ შვუხოვს და შეახსენა, რომ იგი თბილისში მუშაობდა და განაცხადა – ასე ხდება, მოდის თქვენთან ნიჭიერი ახალგაზრდა, თქვენ მას ნაკლებად უსმენთ, შემდეგ ის აქვეყნებს თავის სამუშაოს, მის წინადადებას აიტაცებს ვინმე “ბრაუნი” და მერე, თქვენ, “ბრაუნისგან” იწყებთ მისი პროექტების გადახაზვას.

მოხსენებამ წარმატებით ჩაიარა. მე წამოვედი. ტერიტორიიდან გამოსვლისას მომთხოვეს საშვი. არა და საშვი შესვლის დროს არ მოუთხოვიათ ჯარისკაცებს. მათ

ინსტიტუტში “ჩაიკით” და გენერლის ქუდის მაგვარი კარაკულის ქუდით ნაკლებად სტუმრობდნენ, ამიტომ იფიქრეს “დიდი სტუმარიანო” და საშვის გარეშე, “ჩესტი” გამატარეს. ამ შემთხვევის გამო ისინი “შეახურეს”.

ერთი სიტყვით, სამხედრო “საიერიშო” ხიდებზე სამუშაოთა არსი და შემსრულებლები უკვე განსაზღვრული იყო.

სამხედრო “საიერიშო” ხიდების შექმნა და მათი გამოყენების ხელოვნება ჩემი პირველი ოფიციალური სამუშაო იყო, რომელიც დასავლეთ ევროპის საომარი მოქმედებების თეატრებისთვის საიერიშო, დიდმალიანი, სწრაფადასაგები და მრავალჯერადი გამოყენების სამხედრო ხიდების შექმნას შეეხებოდა. ახალი კონსტრუქციული სქემის განსაზღვრა და მისი გამოყენების განსაკუთრებული ტაქტიკურ-ტექნიკური პარამეტრების შემუშავება გახლდათ ჩემი კვლევის ობიექტი, რომელშიც დიდად დამეხმარა ჩემი მეგობარი ელდარ კრავეიშვილი. ელდარი ჯერ კიდევ მაშინ, გამომთვლელ მანქანაზე კონსტრუქციათა გაანგარიშების პროგრამულ უზრუნველყოფას ფლობდა. ამ სამუშაოში მნიშვნელოვანია ის, რომ მე პირველად წამოვაყენე იდეა სამხედრო საიერიშო ხიდების ვერტმფრენით მონტაჟისა. დაახლოებით 86-გვერდიანი ანგარიში – “Постановка вопроса о разработке новых эффективных видов военно-инженерных и строительных конструкций” დღესაც აქტუალურია. ამავე თემატიკას მივუძღვენი ორი გამოგონება, რომლებიც გასაიდუმლოებულია. ეს არის мост «штурмовой» და мост «сопровождения».

სამუშაოთა საფუძველი გახლდათ საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს საინჟინრო ჯარების სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის დავალება, რომელსაც ხელს გენერალ-მაიორი პაველ ციგენკო აწერდა.

სამუშაოთა თანამონაწილენი და კოორდინატორები იყვნენ – შეიარაღებული ძალების გენშტაბის აკადემია, საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ-ლეიტენანტ გრიგორი სამოილოვიჩის წარმომადგენლობით; კუიბიშევის სახელობის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის – ლენინური პრემიის ლაურეატის, დოქტორის, პროფესორის, პოლკოვნიკ იური გლაზუნოვის მონაწილეობით და ამიერკავკასიის საინჟინრო ჯარების უფროსის – გენერალ-მაიორ ლეონიდ მედლევის კონსულტანტობით.

ჩამოვედი თბილისში და ველოდებოდი გადაწყვეტილებას დაფინანსების გამოყოფის შესახებ, მაგრამ ამ დროს მოხდა გაუთვალისწინებელი და ძალიან მნიშვნელოვანი ისტორია.

... 1975 წლიდან, რაკეტის სტარტის ადრეული აღმოჩენის სისტემის შესაქმნელად საჭირო გახდა კოსმოსურ ორბიტებზე დიდი ზომის რეფლექტორული ანტენის შექმნა. მისი დიამეტრი წინასწარი გაანგარიშებით, პირველ ეტაპზე, 10-დან 30-მეტრამდე უნდა ყოფილიყო. აღნიშნული მიმართულებით მუშაობდა ძირითადად ორი სახელმწიფო – ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი.

ვისაც უფრო დეტალურად უნდა კოსმოსურ ტექნიკაში გარკვევა, ვთავაზობ ქვემოთ მოყვანილ ტექსტს.

მნიშვნელოვანია იმის განმარტება, თუ რა არის კოსმოსური ტექნიკა ზოგადად და რას წარმოადგენს თვით რეფლექტორული ანტენა.

აღამიანისა და საერთოდ ცივილიზაციის ინტერესი და დამოკიდებულება კოსმოსისადმი ორი ძირითადი მოთხოვნითაა განპირობებული, რომლებიც მოიცავენ – კოსმოსის შესწავლას და კოსმოსის ათვისებას. ორივე მათგანი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და მათი განვითარების დონე დამოკიდებულია მეცნიერების,

ტექნიკისა და ტექნოლოგიის პროგრესზე. ასევე, კაცობრიობის მიერ აღნიშნულ სფეროებში დასახულ მიზნებსა და ამოცანებზე.

კოსმოსის შესწავლისა და ათვისების გარემოა კოსმოსური სივრცე, რომელიც მოიცავს მთელ სამყაროს. ამასთან, დედამიწის მდებარეობის მიმართ, კოსმოსური სივრცე პირობითად განიხილება ცალკეულ სივრცეებად, რომლებსაც ეწოდება დედამიწის ახლო, პლანეტური და ვარსკვლავთშორისი კოსმოსური სივრცეები. ამასთან, დედამიწის ახლო კოსმოსური სივრცე დაყოფილია დედამიწასთან არსებული ახლო, საშუალო და შორეულ კოსმოსებად.

უნდა აღინიშნოს, რომ დედამიწასთან ახლო კოსმოსური სივრცე ვრცელდება დედამიწის ბუნებრივი რადიაციული სარტყელების ქვემოთ, რის გამოც ხასიათდება შედარებით დიდი სიმკვრივის ატმოსფეროთი, რაც მას ხანგრძლივი კოსმოსური ფრენისათვის პრაქტიკულად გამოუსადეგარ სივრცედ აქცევს.

კოსმოსური სივრცე, თავის მოვლენებიანად, მრავალმხრივი და მრავალდარგიანი კვლევის სფეროა, რაც უშუალოდ უკავშირდება კოსმოსურ სივრცეში მყოფ კოსმოსურ სხეულებსა და ობიექტებს. საერთაშორისო კოსმოსურ სამართალში ტერმინი “კოსმოსური ობიექტი” გამოყენებულია მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნურად შექმნილი ობიექტის აღსანიშნავად. რაც შეეხება კოსმოსური სივრცის ბუნებრივი წარმოშობის ობიექტებს, მაგალითად – ვარსკვლავებს, პლანეტებს, ასტეროიდებს, კომეტებსა და მეტეორიტებს, მათ ციური სხეულები ეწოდება.

ამდენად, ბუნებრივია, რომ ადამიანის მიერ კოსმოსის შესწავლა და ათვისება უშუალოდ არის დამოკიდებული კოსმოსური ობიექტების შექმნისა და ექსპლუატაციის სამეცნიერო, ტექნიკურ და ტექნოლოგიურ დონესთან.

ამ მხრივ, კაცობრიობამ პირველი ნაბიჯის გადადგმა მხოლოდ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან შეძლო, როდესაც 1957 წლის 4 ოქტომბერს ორბიტაზე გავიდა პირველი კოსმოსური ობიექტი – დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი.

მას შემდეგ – ნახევარი საუკუნის განმავლობაში მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფომ შეძლო, ძირითადად საკუთარი სამეცნიერო და საწარმოო პოტენციალით, შეექმნა კოსმოსური ობიექტი. ამ მხრივ, წარმატებულ სახელმწიფოთა შორის საქართველოც არის. 1999 წლის 23 ივლისს ორბიტაზე გავიდა ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი – “რეფლექტორი”.

კოსმოსური ობიექტისა და სხვა კოსმოსური ტექნიკის შექმნისათვის მრავალი ზოგადი და კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტაა საჭირო. ზოგად ამოცანებს შორის უმთავრესია სამი მოთხოვნის დაკმაყოფილება – კოსმოსში გადაადგილების აუცილებელი სიჩქარის მიღწევა, გადაადგილების ენერგორესურსით დაკმაყოფილება და ტექნიკის გამართული მუშაობა და კოსმონავტებისთვის სასიცოცხლო პირობებისა და მათი შრომისუნარიანობის უზრუნველყოფა. აღნიშნული ამოცანების გადაწყვეტა უშუალოდ უკავშირდება კოსმოსური ობიექტების დედამიწიდან კოსმოსში გაყვანის, მათი კოსმოსურ სივრცეში განთავსების, მანევრირების, გადაადგილების, ორიენტაციის, სტაბილიზაციისა და ინფორმაციის მიღება-გადაცემის საკითხებს.

აღსანიშნავია, რომ კოსმოსის ათვისება, უმთავრესად, დედამიწიდან კოსმოსში გადაადგილების სიჩქარის მიღწევით გახდა შესაძლებელი. ცნობილია, რომ დედამიწიდან, სხვადასხვა დაშორების კოსმოსურ სივრცეში, კოსმოსური ობიექტის გასაყვანად აუცილებელია მას მიენიჭოს პირველი, მეორე და მესამე კოსმოსური სიჩქარეები

შესაბამისად – დაახლოებით 7.91; 11.19 და 16.67 კილომეტრი წამში, რომლებიც რიგითობის მიხედვით აუცილებელია ჯერ დედამიწის, ხოლო შემდეგ სხვა პლანეტებისა და მზის სისტემის მიზიდულობის დასაძლევად.

სწორედ კოსმოსურ სივრცეში კოსმოსური ობიექტებისა და ადამიანების ფუნქციონირებას უკავშირდება ტერმინი “კოსმონავტიკა”, გამოიყენება აგრეთვე ტერმინი “ასტრონავტიკა”.

კოსმონავტიკა, თანამედროვე გაგებით, არის ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური დარგი, რომელიც მოიცავს კოსმოსის შესწავლისა და ათვისების თეორიასა და პრაქტიკას, მათ შორის – კოსმოსური ობიექტების შექმნას; კოსმოსურ სივრცეში მათ გაფრენას, ფუნქციონირებას და ენერგოუზრუნველყოფას; ტექნიკისა და კოსმონავტების უსაფრთხოებას და სიცოცხლისუნარიანობის პირობის შექმნას; კოსმოსური საშუალებების გამოყენებას სამეცნიერო და პრაქტიკული მიზნებისათვის და სხვა მრავალ მიმართულებას.

კოსმონავტიკის რეალური განვითარების საფუძველია კოსმოსური ტექნიკა, რომლის დაპროექტება, დამზადება და ამოქმედება მრავალი დარგის მიღწევაზეა დამოკიდებული.

ამ მხრივ, კოსმოსური ტექნიკა შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად – რაკეტა-მატარებლებად და კოსმოსურ აპარატებად.

რაკეტა-მატარებელი არის მრავალსაფეხურიანი ბალისტიკური რაკეტა, რომლის დანიშნულებაც კოსმოსში კოსმოსური აპარატის გაყვანაა.

კოსმოსური აპარატი არის საერთო სახელწოდება კოსმოსური და საჰაერო-კოსმოსური საფრენი ტექნიკისა, რომლებიც ავტომატურ ან პილოტირებად რეჟიმში გამიზნულია სხვადასხვა დაშორების კოსმოსურ სივრცეში სამეცნიერო ან გამოყენებითი ამოცანების გადასაწყვეტად.

კოსმოსური აპარატების უკვე შექმნილი სახეობებია ავტომატური პლანეტშორისი სადგურები, დედამიწისა და სხვა პლანეტების ხელოვნური თანამგზავრები, ორბიტული სადგურები, ორბიტათშორისი ბუქსირები, ასევე სატრანსპორტო და კოსმოსური ხომალდები.

კოსმოსური ხომალდი ეწოდება პილოტირებად კოსმოსურ აპარატს, რომელსაც აქვს ჰერმეტიკი კაბინა და კოსმონავტის სიცოცხლის უზრუნველსაყოფი ყველა საშუალება და პირობა.

იმ შემთხვევაში, როდესაც კოსმოსური ხომალდი გადაადგილებს არა კოსმონავტს, არამედ სხვა ეგრეთ წოდებულ “სასარგებლო ტვირთს”, მას სატრანსპორტო კოსმოსური ხომალდი ეწოდება.

კოსმოსური ხომალდი არის როგორც ერთჯერადი, ისე მრავალჯერადი გამოყენების. კოსმოსურ ხომალდს, მათ შორის მრავალჯერადი გამოყენებისას, რომელსაც ატმოსფეროს გავლა უწევს, ასევე საჰაერო-კოსმოსური ხომალდი ეწოდება.

კოსმონავტიკის ამოცანების გადაწყვეტა ხორციელდება კონკრეტული სამეცნიერო, სამოქალაქო თუ სამხედრო დანიშნულების კოსმოსური სისტემის საშუალებით, რომელიც შედგება შეთანხმებულად მომუშავე კოსმოსური კომპლექსებისაგან. თავისთავად, კომპლექსები ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებული ორბიტული და მიწისზედა მოძრავი და უძრავი ტექნიკური საშუალებებია.

მოცემულ ეტაპზე, კოსმოსური სისტემები იყოფა საინფორმაციო-ტექნიკურ, სატრანსპორტო-ტექნიკურ და სამხედრო-საბრძოლო ჯგუფებად, რომლებიც, არაერთ შემთხვევაში, ერთი და იმავე თვისებების მქონე კოსმოსური კომპლექსებისაგან შედგება.

სამივე სახის, განსაკუთრებით კი საინფორმაციო-ტექნიკური და სამხედრო-საბრძოლო კოსმოსური სისტემებისათვის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია ორბიტული და მიწისზედა რადიოტექნიკური კომპლექსები. მათი უმთავრესი ინსტრუმენტია რეფლექტორული ანტენა, რომლის საშუალებითაც ხდება ელექტრომაგნიტური ტალღების ნაკადის კონცენტრაცია, მიმართვა კონკრეტული რეგიონებისა და ობიექტებისადმი და რადიოტალღის სიგნალის მიღება-გადაცემა.

თავისთავად რეფლექტორული ანტენა, უმეტეს შემთხვევებში, წარმოადგენს პარაბოლოიდის ფორმის კონსტრუქციას, ელექტრომაგნიტური ტალღების ამრეკლი ზედაპირით – ეკრანით, რომელზეც დაცემული და შემდეგ არეკლილი ელექტრომაგნიტური ტალღები, ერთ შემთხვევაში, იკრიბება ფოკუსურ სიბრტყეზე მდებარე ფოკუსში, სადაც მიმღებია განთავსებული.

ასეთ რეფლექტორულ ანტენას, რომლებიც მუშაობს ელექტრომაგნიტური ტალღების – სიგნალის მიღებაზე, მიმღები ანტენა ეწოდება. მას ასევე, პასიურ ანტენას უწოდებენ.

მეორე შემთხვევაში, რეფლექტორული ანტენის ასევე, ფოკუსურ სიბრტყეში განთავსებულ გამომსხივლებიდან, გამოსხივებული ელექტრომაგნიტური ტალღები პარაბოლოიდური ფორმის ეკრანიდან აირეკლება და მახვილად მიმართული ნაკადის სახით ვრცელდება განსაზღვრული ორიენტაციით.

თანამედროვე ორბიტულ კომპლექსებში, სულ უფრო ხშირად, გამოიყენება ელექტრომაგნიტური ტალღების მიღებისა და გადაცემის რეჟიმში ერთდროულად მომუშავე რეფლექტორული ანტენები. მათ აქტიურ ანტენებსაც უწოდებენ.

იმის გამო, რომ რეფლექტორულ ანტენებში ტალღების არეკვლის პრინციპი მეტწილად თითქმის ანალოგიურია ჩაზნექილი სარკის ოპტიკური თვისებებისა, ხშირად მათ სარკისებრ რადიოტელესკოპის სახელით მოიხსენიებენ.

იმისათვის, რომ რეფლექტორული ანტენა იყოს ძალიან მგრძობიარე, რაც იმას გულისხმობს, რომ შეძლოს შორს მდებარე საძიებო ობიექტის აღმოჩენა, მისი კოორდინატების განსაზღვრა და ჰქონდეს უნარი სხვადასხვა სიხშირის ელექტრომაგნიტური ტალღების დროის უმცირეს შუალედში მაღალი ხარისხითა და დიდი ენერგიით მიღების და გადაცემის, მის ეკრანს უნდა ჰქონდეს ზუსტი გეომეტრიული ფორმა, უნდა იყოს დიდი ზომის, ნაკლებად დეფორმირებადი და რადიოტალღების კარგი ამრეკლი.

კოსმოსურ ტექნიკაში და ზოგადადაც, რეფლექტორულ ანტენას ძირითადად იყენებენ ზემადალი სიხშირის რადიოტალღების მიღება-გადაცემისათვის. ეს ისეთი ელექტრომაგნიტური ტალღებია, რომელთა სიგრძე სანტიმეტრებით და მილიმეტრებით იზომება. ასეთი ტალღების მიღება-გადაცემისათვის ძალიან დიდი ზომის, თითქმის ათსართულიანი სახლის სიმაღლის ტოლი დიამეტრის, რეფლექტორის რეალური ზედაპირის გადახრა, საპროექტო ზედაპირიდან, მილიმეტრების ან კიდევ უფრო ნაკლები სიდიდის ფარგლებშია დასაშვები.

ასეთი რეფლექტორის შექმნა ძალიან რთული ტექნიკური და ტექნოლოგიური ამოცანაა არათუ კოსმოსში, არამედ დედამიწაზე სამუშაოდაც. რეფლექტორისადმი წაყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილებას დედამიწაზე, ართულებს გრავიტაციული ძალების, ქარის, თოვლის, წვიმისა და ტემპერატურის ზემოქმედება. კოსმოსურ სივრცეში ამოცანის გადაწყვეტის პირობები კიდევ უფრო რთულია.

ჯერ ერთი, უნდა აღინიშნოს, რომ სამ-ოთხ მეტრზე მეტი გაბარიტის მქონე რეფლექტორის კონსტრუქცია, როგორც წესი, თანამედროვე კოსმოსური ტექნიკის პირობებში, კოსმოსურ სატრანსპორტო ხომალდშიც კი ვერ თავსდება, რაც გამორიცხავს დიდი ზომის რეფლექტორის დაკეცვის ან დანაწევრების გარეშე მის გატანას კოსმოსში. ეს კი, დამატებით, მნიშვნელოვან სირთულეებს ქმნის, როგორც კონსტრუქციის შექმნის, ისე, ექსტრემალურ პირობებში – კოსმოსში, მისი გაშლისა ან აწყობის დროს.

მეორე, კოსმოსში რეფლექტორის კონსტრუქცია, მონაცვლეობით – ძალიან ცხელდება და ძალიან ცივდება. ისე რომ, ტემპერატურათა სხვაობა, უმეტეს შემთხვევაში, 300°C–საც კი აჭარბებს, ასევე, დიდია რადიაციის ზემოქმედებისა და სხვა ფაქტორების მნიშვნელობა. ყოველი მათგანი, კონსტრუქციის შექმნისას, კიდევ უფრო მკაცრ მოთხოვნებს განაპირობებს.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში მრავალი ქვეყნის სპეციალისტებმა ვერ შეძლეს, რომ შეექმნათ და კოსმოსურ სივრცეში წარმატებით გამოეცადათ დიდი ზომის ხისტი და ზუსტი გეომეტრიული ფორმის რეფლექტორული ანტენა.

სწორედ ამის გადაწყვეტას მოითხოვდა სამხედრო ამოცანა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ორბიტაზე გაუშვეს რეფლექტორული ანტენა ATS-6, რომელიც არ შეესაბამებოდა ახალ სამხედრო ამოცანებს. საბჭოთა კავშირში, ტაშკენტთან ახლოს, ათეულობით მილიონი დაიხარჯა ამ პრობლემის გადასაწყვეტად, მაგრამ შედეგი ვერ მიიღეს. შემდეგ “ვარსკვლავთმების” ნათლიმამას, აკადემიკოს ანატოლი სავინს ჰქონდა მცდელობა ორბიტულ სადგურ “სალიუტ ზე” 10-მეტრიანი ანტენა KPT-10-ის გამოცდისა. იგი მხოლოდ ნაწილობრივ გაიშალა და კოსმოსურ სადგურ “სალიუტიდან” ჩამოცილებისას დამატებითი ჩაბმა წარმოიშვა. კოსმონავტმა რიომინმა, უკიდურესად “არასაშტატო” ვითარებაში, შეძლო მოეცილებინა იგი ორბიტული სადგურიდან.

ასეთ ვითარებაში, თავდაცვის მინისტრი, მარშალი დიმიტრი უსტინოვი, თავის მოადგილეს შეიარაღების დარგში, არმიის გენერალს, ინჟინერ ვიტალი შაბანოვს, აძლევს დავალებას – მონახოს ახალგაზრდა სპეციალისტი, სრულიად ახალი და განსაკუთრებული იდეებით და ხელახლა დაიწყოს მუშაობა. ამ დავალების შესრულება ხელმძღვანელობამ დაავალა ცენტრალურ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება “კომეტას”.

სწორედ ამ მისიით ჩამოვიდა თბილისში გაერთიანება “კომეტას” გენერალური კონსტრუქტორის მოადგილე, პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი იური ივანეს ძე დანილოვი, რომელმაც შემდეგ გვიამბო თავდაცვის მინისტრის, მარშალ უსტინოვის ზემოთ ხსენებული გადაწყვეტილების შესახებ და PATAH-600-ის მთავარი კონსტრუქტორი, მარშალ კულიშოვის შვილი – იური პავლეს ძე კულიშოვი. ისინი შეხვდნენ ინსტიტუტის პრორექტორს, აკადემიკოს თეიმურაზ ლოლაძეს და ჰკითხეს მას – რა პიროვნება და როგორი მეცნიერია ელგუჯა მემმარიაშვილი, რომელსაც აქვს საიდუმლო გამოგონებები სამხედრო-საინჟინრო დარგში – კონკრეტულად მცირეგაბარიტიანი დაკეცილი პაკეტიდან დიდი ზომის გასაშლელი ხიდების შექმნაში.

თეიმურაზ ლოლაძის პასუხი ცალსახა იყო – ელგუჯა არის ახალგაზრდა, უკიდურესად მიზანწრაფული მეცნიერი და იგი ამუშავებს ახალი ტიპის კონსტრუქციების შექმნის სრულიად განსაკუთრებულ, ორიგინალურ თეორიას. ეს პასუხი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ იური დანილოვს, რომელმაც იცოდა ჩემი კვლევების შესახებ სამხედრო-საინჟინრო დარგში, საქმიანობა გენშტაბის აკადემიაში და გამოგონებები ახალი ტიპის გასაშლელი საიერიშო ხიდებისა, რომელთაც ელო გრიფი “სრულიად საიდუმლო”,

გამოვეძახე და დაევალებინა ჩემთვის სათანადო მასალების ჩვენება და მოკლე მოხსენების გაკეთება.

აღსანიშნავია, რომ იური დანილოვი აკადემიკოს იგორ კურჩატოვის თანამებრძოლი და, ბოლო პერიოდში, ატომური ენერგეტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე იყო. მაგრამ, იმის გამო, რომ ის ენდო ახალგაზრდა ფიზიკოსს, რომელმაც ვერ დასძლია დასმული ამოცანა, გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან და გადაიყვანეს კოსმოსური ტექნიკის გენერალური კონსტრუქტორის, აკადემიკოს ანატოლი სავინის მოადგილედ.

სწორედ იური დანილოვი იღებს მეორეჯერ პასუხისმგებლობას სამეცნიერო მიმართულების დასაძლევად ახალგაზრდა მკვლევრის შერჩევაზე და ჩემი მოხსენების მოსმენის შემდეგ, მიწვევს მოსკოვში უკვე თემასთან დაკავშირებით სერიოზული მოხსენების გასაკეთებლად.

მოსკოვში მე და მერაბ ადეიშვილი წავედით. როდესაც დანილოვს დავურეკე სასტუმროდან, მან მკითხა – ფორმა ხომ თან გაქვთო. მე ვიფიქრე ჩაცმულობაზე მეკითხებოდა და ვუპასუხე, რომ სამოქალაქო ტანისამოსი გვეცვა. იური ივანოვიჩმა უფრო დაზუსტებულად მკითხა – საიდუმლოებასთან დაშვების ფორმები თუ გაქვთო. ამაზე მე უარით ვუპასუხე. ცოტა ხნის შემდეგ დამირეკა და მითხრა – შენ წამოდი და სპეციალური ნებართვით მე შეგიყვან წარმოებაშიო, ხოლო ადეიშვილი დარჩესო. როდესაც სასტუმრო “როსიადან” გავდიოდი, მერაბმა მთხოვა, – თუ ძმა ხარ, რაიმე ხელშეკრულება თუ გაგვიფორმეს, დამირეკე და მიმანიშნე, რომ წიგნი ვიყიდე და მომაქვსო.

ერთი საათის შემდეგ, უკვე “კომეტაში” – ველოზავოდსკაიას ქუჩა №7-ში ვიყავი. როგორც კი შესასვლელს მივუახლოვდი, ეტყობა ქართული იერის მიხედვით მიცნეს. დაცვის უფროსი მოვიდა და მითხრა აქედან შესვლა არ გამოვა, მე გამომყევით და შეგიყვანთო. გარეთ გამოვედი. “კომეტას” გენერალური დირექტორის მოადგილის იოსებ რუდელსონის “ჩაიკა” იდგა, რომელშიც ჩამსვეს და ორმაგი შლაგბაუმის – “ლაგუშკას” გავლით ტერიტორიაზე შევედი. იქ იური დანილოვი მელოდებოდა და ეგრეთ წოდებულ სასტენდო კორპუსისკენ ფეხით წავედით.

ქარხნის ეზოში ყველაფერი იმაზე მიანიშნებდა, რომ სამხედრო-კოსმოსურ საწარმოში ვიყავი. მივედი სასტენდო კორპუსთან და შიგ შევედი. არავის გაუჩერებია, ვინაიდან გენერალური კონსტრუქტორის მოადგილე მიმიძღვოდა წინ. ასე ავედით მე-3 სართულზე და იური პავლეს ძე კულიშოვის კაბინეტში შევედით, სადაც კულიშოვის გარდა დაგვხვდნენ – მთავარი კონსტრუქტორი მიხეილ ზაქსონი, კულიშოვის მოადგილე კაცარი, მთავარი კონსტრუქტორის მოადგილე არსენტიევი და სხვები.

უშუალო გაცნობისა და თბილისში ამინდის გამოკითხვის შემდეგ, დავიწვე მოხსენება. ჩატანილი მქონდა 19 ვარიანტი. სულ ერთი საათი მოვანდომე ყველა ვარიანტის გარჩევას. დარბაზში სრული სიჩუმე იყო. იური დანილოვმა მითხრა, რომ მოხსენება თავიდან გამეკეთებინა. ამჯერად უფრო სწრაფად წარმოვადგინე მასალა და დაახლოებით 45 წუთი მოვანდომე. დარბაზში მყოფი სპეციალისტები ერთმანეთს ხმადაბლა უზიარებდნენ შთაბეჭდილებებს, შეკითხვებს კი არ მისვამდნენ. იური დანილოვი ადგა, სადღაც გავიდა და ნახევარ საათში დაბრუნდა. მას გენერალური კონსტრუქტორი, აკადემიკოსი ანატოლი სავინი ახლდა.

როდესაც ანატოლი სავინი დარბაზში შემოვიდა, ყველა ფეხზე წამოდგა. სავინმა მიანიშნა, რომ დამსხდარიყვნენ. დაბნეული ვიდექი. ეს უხერხულობა სავინმა განმუხტა და

მითხრა, რომ უფრო დეტალურად, ვრცლად მესაუბრა. დავიწყე თითოეული ვარიანტის გარჩევა, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების ჩამოთვლა. მე-14 ვარიანტის გარჩევა რომ დავიწყე, აუდიტორიაც ალაპარაკდა და გულდასმით დამიწყეს გამოკითხვა. შემდეგ მთხოვეს 10–15-წუთიანი პაუზა, რაღაცაზე იმსჯელებს და ერთი სართულით ქვემოთ – სასტენდო დარბაზში ჩამიყვანეს, სადაც უწონობის იმიტაციის პირობებში ჩემი მე-14 ვარიანტი იყო გამოფენილი. ეს იყო KPT-10 კონსტრუქცია, რომლის ანალოგმა უკვე იფრინა კოსმოსში, მაგრამ ბოლომდე არ გაიშალა. რა თქმა უნდა, ამის შესახებ მაშინ არაფერი ვიცოდი და ეს გასაგები იყო “კომეტას” თანამშრომლებისთვის.

ამის შემდეგ მოხსენება ძალიან სწრაფად გაგრძელდა და მე-19 ვარიანტმა სრული მოწონება დაიმსახურა. მსმენელებმა ტაშიც კი დაუკრეს. ანატოლი სავინი ადგა და დანილოვს უთხრა – მიეცით დავალება პირველი “კატუშკის” მიხედვით და, წავიდა.

ყველას თანდასწრებით იური დანილოვმა მკითხა თუ რამდენს მოვითხოვდით ამ სამუშაოს შესრულებაში. მე სამუშაოც არ მქონდა ბოლომდე წარმოდგენილი და არც მისი ფასი ვიცოდი. უბრალოდ საქართველოში თითო კაპიკის თხოვნით გაწამებულმა ვუთხარი 20 ათასი მომეცით და შემდეგ ვნახოთ – მეტქი. დანილოვმა, უარის ნიშნად, თავი გადააქნია. არა, მითხრა მან, შენ 20 ათასს ვერ მოგცემთ. შენ წელს 1 000 000 მანეთზე გაგიფორმებთ ხელშეკრულებას და თუ გაამართლებ, შემდეგ მეორე “კატუშკის” მიხედვით დაგიდებთ კიდევ უფრო დიდ ხელშეკრულებასო.

არ ვიცი იმ წუთებში რა დამემართა, მაგრამ ეს კი მახსოვს, იქ მყოფთ მერაბთან დარეკვის ნებართვა ვთხოვე – მოვიმიჯეზე სასტუმროს ოთახის გასაღები გამომეცა – მეტქი. როდესაც სასტუმროს ტელეფონის ნომერს ვკრეფდი, აპარატზე გაკეთებული წარწერა მაფრთხილებდა, რომ საიდუმლო არ გამეცა. მერაბმა მიპასუხა და მეც ვუთხარი – მერაბ წიგნი არა, მაგრამ საბჭოთა ენციკლოპედიის 53-ტომეული ვიშოვე და მომაქვს. ისიც ვუთხარი, რომ ნომერში კი არა, სასტუმრო “როსიას” დასავლეთის ბლოკში რესტორანთან დამლოდებოდა.

მოვლენები კინოსცენარივით ვითარდებოდა. “კომეტიდან” გამომაცილეს თუ არა, პირველივე მანქანა გავაჩერე და სასტუმროში წავედი. ვერ ვითმენდი, მინდოდა ყველასათვის გამეზიარებინა ეს ამბავი, მაგრამ ვიცოდი – არ შეიძლებოდა, მხოლოდ მერაბს თუ ვეტყოდი. იმ საღამოს ორმა ქართველმა, მოსკოვში, სასტუმრო “როსიაში”, პირველი წარმატება აღნიშნა.

მეორე დღესვე თბილისში წამოვედი. ჯერ კიდევ მოსკოვიდან დავუბრუნე თემო ლოლაძეს და შევატყობინე, რომ “კომეტასთან” მილიონიანი ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს. მან ეს ამბავი ინსტიტუტის დიდ სამეცნიერო საბჭოს მოახსენა, რომელიც მეორე დღეს გაიმართა თბილისში.

ხელშეკრულებისათვის მრავალი დოკუმენტი იყო მოსამზადებელი. მათ შორის იყო განსაკუთრებული ფინანსური ანგარიშები, სადაც აუცილებელი იყო ყველა ჩასატარებელი სამუშაოს მატერიალური და ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის დეტალური განსაზღვრა. ოც დღეში დოკუმენტაცია მზად იყო და მე ისევ მოსკოვში ვარ.

მოსკოვში, ხელშეკრულების საბოლოოდ გაფორმებამდე, მივედი იური გლაზუნოვთან – სამხედრო-საინჟინრო აკადემიაში და ვაცნობე ახალი შემოთავაზების შესახებ, რომელიც კოსმოსურ თემატიკაში მივიღე. გლაზუნოვმა მითხრა, რომ ეს ყველაფერი გრიგორი სამოილოვიჩისთვის მომესხენებინა, ვინაიდან თავდაცვის სამინისტროს საინჟინრო ჯარების სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტს წინადადებები 1981 წელს სამუშაოს ძირითად თემატიკაში

ჩასმისა და თბილისთან ხელშეკრულების გაფორმების შესახებ უკვე მომზადებული აქვს და თავდაცვის მინისტრის მოადგილის ვიზას ელოდებაო.

დრო აღარ დამიკარგავს და გენერალ-ლეიტენანტ გრიგორი ფიოდოროვიჩთან მივედი გენშტაბის აკადემიაში. გრიგორი უჩვეულოდ მხიარულად შემხვდა. მე მინდოდა მასთან საუბარი დამეწყო, მაგრამ შემაჩერა და მითხრა – დამირეკეს, ყველაფერი მითხრეს, ძალიან გახარებული ვარ, თუმცა, ჩვენგან რომ მიდიხარ ეს კი მეწყინაო. შემდეგ კი დღის ბოლოსათვის სასტუმრო “უკრაინას” ჰოლში დამიბარა და მითხრა აუცილებლად უნდა მოხვიდეთ.

მეც დათქმულ დროს მივედი. პრაქტიკულად ყველა ერთად მოვიდა. ეს იყო გენშტაბის აკადემიის ელიტა. გრიგორიმ გადაწყვიტა, რომ ჩემთვის გზა დაელოცა ახალ – “კოსმოსურ თემატიკაში” და “შინაურული” ბანკეტი მოაწყო. ბანკეტზე ირაკლი ჯორჯაძეც იყო. მან თან მოიყვანა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, გენერალ-პოლკოვნიკი პაველ ჟილინი.

გენშტაბის გენერალიტეტი, სამუშაო დღის შემდეგ დაღლილი ჩანდა. მიუხედავად ამისა “Военачальник”-ების სუფრის ტრადიციას არ დალატობდნენ და ოფიცრებისათვის ჩვეული ტონალობით საინტერესო ისტორიებს ჰყვებოდნენ, მჭევრმეტყველებით გენერალ-ლეიტენანტი ირაკლი ჯორჯაძე გამოირჩეოდა.

ირაკლის ქართველების, ქართული საქმის, საქართველოს და განსაკუთრებით ქართველი მხედართმთავრებისა და მებრძოლების წარმოჩენა ჩვევად ჰქონდა. მას, თავისი ქართული პატრიოტული განწყობის გამო, რასაც მისი კახელობაც ემატებოდა, გენშტაბის აკადემიაში ირაკლი III შეარქვეს. მისი მოღვაწეობა სამხედრო მეცნიერებაში ბოლო პერიოდში სამხედრო ისტორიას – ომების ისტორიას და სამხედრო ხელოვნების ისტორიას მოიცავდა. იგი მჭიდროდ თანამშრომლობდა სამხედრო ისტორიის გამოჩენილ მეცნიერებთან, განსაკუთრებით კი თავის მეგობართან – აკადემიის წევრ-კორესპონდენტთან, გენერალ-ლეიტენანტ პაველ ანდრეის-ძე ჟილინთან, რომელიც ბოლო წლებში სამხედრო ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი იყო.

ასე რომ, სამხედრო ისტორიით გატაცებული პროფესორი, გენერალ-ლეიტენანტი ირაკლი ჯორჯაძე საბჭოთა კავშირის და მსოფლიოს მრავალ ადგილას კითხულობდა ამ თემაზე ლექციებს.

ერთი ასეთი ლექციის დროს, რომელსაც ის ატარებდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ სან-ფრანცისკოში, იგი შეეხო ქართველების – 300 არაგველის გმირობას. ამან, იქ დამსწრე ბერძნებში გარკვეული საპროტესტო განწყობა შექმნა, რასაც მოჰყვა მათი მხრიდან შეკითხვა – ბატონო გენერალო, მართალია ცოტა ტაქტს ვარღვევთ, მაგრამ მაინც გვაინტერესებს: 300 არაგველის ისტორია უფრო შთამბეჭდავია, თუ მსოფლიოში აღიარებული 300 სპარტელის მებრძოლი სულისკვეთება?

ირაკლი ჯორჯაძემ შეკითხვის ავტორს მშვიდად უპასუხა, თუმცა პასუხი გენერლის დაყენებული ხმით გასცა – 300 спартанцев защищались на смерть, а 300 арагвийцев шли в бой на осознанную смерть.

ჯორჯაძე ყოველთვის დიდი შემართებით საუბრობდა ქართველთა საბრძოლო ხელოვნებაზე. მასსოვს, მისი განმარტებით, რა ეფექტურად იყენებდნენ ქართველები ხიდებს სამხედრო ხელოვნებაში. ამის დასტურად იგი ხშირად იხსენებდა ნაწყვეტს ჩანაწერებიდან “წამებაი ლუარსაბისა” – “მსწაფლ მოიწივნენ ტასისკარს და ხიდსა ზედა ახალდაბისასა, ხოლო მოურავი გიორი სააკის ძე ძველი იგი მხედარი და უშიში გონებითა

რომელი სიმხნითა და ახოვნებითა ზეშთა ჰმატდა ყოველთა კაცთა ... დევნა უყვეს უკანა მასთა, ხოლო უმრავლესი მათი წყალთა შინა დაინთქეს”.

ბანკეტი დიდხანს არ გაგრძელებულა. ბოლოს, გრიგორი სამოილოვიჩი ადგა და მე მომმართა – “ელგუჯა ვიქტორის ძევ, შენ სამხედრო ინჟინერი ხარ. დღეს შენ თავდაცვის სამინისტრომ და რადიომრეწველობის სამინისტრომ დიდი ნდობა გამოგიცხადა და კოსმოსში დიდგაბარიტიანი კონსტრუქციის შექმნა დაგავალა. მე მჯერა შენი. შენ დასმულ ამოცანას შეასრულებ – ოღონდ გახსოვდეს, საბოლოოდ ნუ დაივიწყებ სამხედრო-საინჟინრო დარგს. შენ უნდა განავითარო საქართველოში ეს უძველესი და მარად ახალგაზრდა დარგი. თქვენ – ქართველებს, ამის უნარი, ძალა და, რაც მთავარია, სასახელო ტრადიციებიც გაქვთ. ყოველთვის გახსოვდეს ეს და იმოქმედე”.

ძნელია, დღეს შეაფასო ეს სიტყვები, რომელიც გენერალ-ლეიტენანტმა გრიგორი სამოილოვიჩმა ჩემს მიმართ მეორეჯერ წარმოთქვა. რა იყო ეს – ნათქვამი საბჭოთა პერიოდისათვის, თუ უფრო შორს მიმავალი აზრები. არ ვიცი, ეს კითხვა ყოველთვის მებაღება და რაც დრო გადის, იქეთკენ ვიხრები, რომ გრიგორიმ მოვლენებს გაუსწრო წინ და თავისი სათქმელიც ამ ლოგიკას დაუმორჩილა.

თბილისში მუშაობა დაიწყო. თეორიული კვლევებისა და პირველი მაკეტების კეთების გარდა, საჭირო იყო ახალი თანამშრომლების აყვანა და სამუშაო ადგილების მოწყობა.

ასე, ეტაპობრივად შეივსო ჩვენი კოლექტივი ახალი თანამშრომლებით, რომელთა საერთო რაოდენობამ 500-ს მიაღწია. მათ შორის იყვნენ – ალექსანდრე იაკობაშვილი, გურამ მანჯგალაძე, მერაბ ყურაშვილი, კოტე ოდიშვილი, ვახტანგ გოგილაშვილი, თენგიზ კახეთელიძე, ნუგზარ ხაჩიძე, შემდეგ მათ შემოემატა ირაკლი ბიუსი, მიხეილ ჯანიკაშვილი და მთელი პლეადა თანამშრომლებისა, მათ შორის – შოთა ნასყიდაშვილი, ონისე გოგილაშვილი, ვლადიმერ გაზაშვილი, გია ხაზარაძე და სხვები.

ჩვენთვის I სასწავლო კორპუსში დამატებით გამოიყო აუდიტორიები და, რაც მთავარია, სასტენდო დარბაზი, თავისი მიმდებარე დერეფნებითა და ანტრესოლებით.

უკვე საკმაოდ დიდი კოლექტივის ახალგაზრდა ხელმძღვანელი ვიყავი, არც მაშინ და არც შემდეგ სამსახურიდან არავინ დამითხოვია. ამბობენ, რომ ადამიანის შერჩევაში არასდროს ვცდებოდი. ამის მიზეზი არის ის, რომ ადამიანს ადვილად ისეთად, როგორც ის არის. ვცდილობ მის რეალობაში გამოვნახო საქმისათვის საჭირო თვისებები და არ ვცდილობ ის მოვარგო ჩემს სურვილებსა და კაპრიზებს. ეს არც არის საჭირო და ამას მაინც ვერ შევძლებ.

და კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს თანამშრომელთა საქმიანობის სტაბილურობას, არის ხელმძღვანელის მოღვაწეობის, ქცევის, პასუხისმგებლობისა და სახელმწიფოს სამსახურის პირადი მაგალითი.

დიდი გასაშლელი კოსმოსური რეფლექტორის პირველი ვარიანტი, რომელიც თბილისის საავიაციო – 31-ე ქარხანაში დამზადდა, წარმოადგენდა, ეგრეთ წოდებული “მფრინავი” ხისტი ღეროებისაგან და ლითონის “ტროსებისაგან” – “ძაფებისაგან” შექმნილ სტრუქტურას – კონსტრუქციაში რეალიზებული იყო იდეა ისეთი სტრუქტურის შექმნისა, როდესაც ხისტი ღეროები ერთმანეთს უკავშირდებიან მხოლოდ მოქნილი ღეროებით – “ტროსებით”. ამასთან, სტრუქტურას აქვს გუმბათის ფორმა. მთელი გუმბათის ფორმად წარმოქმნას განაპირობებს მის პერიფერიულ ნაწილში განთავსებული გამშლელი რგოლი. 15-მეტრიანი დიამეტრის მქონე კონსტრუქცია იკვცება კომპაქტურად და წარმოქმნის

სატრანსპორტო პაკეტს. აღსანიშნავია, რომ “მფრინავდერობიან” კონსტრუქციაზე ცოტა მოგვიანებით გაიცა პატენტი გრიფით “სრულიად საიდუმლო”.

1981 წლის ბოლოს პირველი ვარიანტი 15-მეტრიანი ანტენისა გასაშლელად მზად იყო. იგი I სასწავლო კორპუსის მუზეუმის, ახლა უკვე, ვგრეთ წოდებულ, სასტენდო დარბაზში იყო უწონობის იმიტაციის მდგომარეობაში დამონტაჟებული. ანტენის გახსნა 31 დეკემბერს დაინიშნა. ეს იყო რეფლექტორის პირველი გამოცდა, რომელსაც მოსკოვის წარმომადგენლები ჯერ არ ესწრებოდნენ. თემო ლოლაძემ რეფლექტორის პირველი გახსნის შესახებ საქართველოს ცენტრალურ კომიტეტს აცნობა. გახსნაზე პირველმა მდივანმა გადაწყვიტა მოსვლა.

ელუარდ შევარდნაძე, ერთი წლის წინ, უკვე იყო ნამყოფი სტუდენტთა საკონსტრუქტორო ბიუროში. მაშინ იგი გაეცნო სამუშაოებს, მოუსმინა ინსტიტუტის რექტორს, არჩილ ძიძიგურს და, მაშინ ჯერ კიდევ, პრორექტორ თემო ლოლაძეს. მან დეტალურად გამოძიოთხა სამომავლო გეგმების შესახებ. როდესაც სტუმრები გავიდნენ საკონსტრუქტორო ბიუროდან, თბილისის აღმასკომის თავმჯდომარე გურამ გაბუნია შემობრუნდა და ასე ვთქვათ, “საიდუმლო გაგვანდო” – შევარდნაძემ ყველას მითითება მოგვცა, რომ დაგეხმაროთო და დასძინა მისი სიტყვები – “ეს ბიჭები არაორდინარულად აზროვნებენ და ისინი დიდ წარმატებას მიაღწევენ”.

დღის ბოლოს ყველაფერი მზად იყო 15-მეტრიანი რეფლექტორის გასახსნელად. მიუხედავად იმისა, რომ ინტერესი დიდი იყო და დამკვირვებელიც საკმაოდ ბლომად ესწრებოდა, მათ გახსნის პროცესისათვის ხელი არ შეუშლიათ – ისინი დარბაზის ანტრესოლიდან აკვირდებოდნენ პროცესს. პულტთან მივედი. ეს იყო პირველი დაჭერა დილაკზე, რომლითაც ცხოვრებაში დიდი და საინტერესო გზა იწყებოდა. დაიწყო ათვლა: 10-9-8-7-6-5-4-3-2-1 – და დილაკს ხელი დავაჭირე. 15-მეტრიანი რეფლექტორი 35 წამში გაიშალა. პროცესი უნაკლოდ ჩატარდა. დარბაზი ტაშით შეხვდა პირველი ქართული რეფლექტორის გაშლას. ეს იყო დიდი გამარჯვების დასაწყისი.

იმ დღიდან მოყოლებული დღემდე, მათ, ვინც არ იცნობს ამ ურთულეს პრობლემას, გონიათ, რომ ძირითადი მოთხოვნა ტრანსფორმირებადი კონსტრუქციების და მათ შორის დიდი კოსმოსური რეფლექტორის შექმნისა არის მისი გაშლა. არადა ასე არ არის. გაშლა არის ერთ-ერთი პირველი იმ ასზე მეტ მოთხოვნას შორის, რომლის დაკმაყოფილება აუცილებელია გასაშლელი, ზუსტი, მსუბუქი და ამასთან ხისტი რეფლექტორის შესაქმნელად. გაშლა კი ის ეფექტია, რომელიც ყველა მნახველისათვის გასაგებია და თვალსაჩინო. ამიტომ, ურთულეს ექსპერიმენტებს, რომელსაც ვატარებდით, უბრალოდ უწოდებდნენ კონსტრუქციის გამოცდას მის გაშლაზე.

1982 წლის ზაფხულისათვის დაიგეგმა სამხედრო-კოსმოსური ტექნიკის გენერალური კონსტრუქტორის – აკადემიკოს ანატოლი სავინის ჩამოსვლა თბილისში. მანამდე, შექმნილი კონსტრუქციის შესასწავლად უკვე ჩამოსულები იყვნენ მიხეილ ზაქსონი და იური დანილოვი. მათ ჩათვალეს, რომ რეფლექტორის მზადყოფნა ანატოლი სავინის მოსკოვიდან ჩამოსვლის საშუალებას იძლეოდა.

ისე, სტუმრები და დამთვალეირებლები არც მანამდე გვაკლდა. საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ზურაბ პატარძეს ჩვევად ჰქონდა – თუ საკავშირო მინისტრი ან რომელიმე გენერალური კონსტრუქტორი ჩამოვიდოდა საქართველოში, აუცილებლად მოიყვანდა ჩვენთან.

აღსანიშნავია ისიც, რომ საკონსტრუქტორო ბიუროში რადიომრეწველობის მინისტრის და ცენტრალური კომიტეტის თხოვნით, თბილისში ყოფნის დროს, საგანგებოდ მოვიდა სამგზის სოციალისტური შრომის გმირი, ბირთვული ბომბის ერთ-ერთი შექმნელი აკადემიის პრეზიდენტი ანატოლი პეტრეს ძე ალექსანდროვი. იგი, ასევე, ლენინური პრემიისა და ოთხგზის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი იყო.

მაგრამ შემკვეთის, ცენტრალური სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება “კომეტას” გენერალური კონსტრუქტორის ვიზიტს სულ სხვა დატვირთვა ჰქონდა.

ანატოლი სავინი ციმბირელი იყო და ძალიან ღარიბ ოჯახში იზრდებოდა. სკოლაც ციმბირში დაამთავრა და მოსკოვში “MBTY”-ში გააგრძელა სწავლა. სწავლობდა ფრიადზე. ის მესამე კურსის სტუდენტი იყო, როდესაც ომი დაიწყო და მოხალისედ ჯარში წავიდა. მან თავისი შრომით და პროექტებით, ჯერ კიდევ სტუდენტმა, დაკავებულ პოსტზე შეცვალა არტილერიის ცნობილი კონსტრუქტორი ვასილი გავრილის ძე გრაბინი. შემდგომში ტექნიკური ჯარების გენერალ-პოლკოვნიკი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სოციალისტური შრომის გმირი, ოთხგზის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

როდესაც ომი დამთავრდა და დიპლომის დაცვის დრო დადგა, ანატოლი სავინი უკვე ორგზის სტალინური პრემიის ლაურეატი იყო. ამის შემდეგ, იგი მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი და კონსტრუქტორი ხდება სამხედრო-კოსმოსურ სისტემებში და მას “ვარსკვლავთ ომების ნათლიმამად” მოიხსენიებენ ამერიკის შეერთებულ შტატებში. ცნობილია ისტორია, როდესაც ანატოლი სავინი ცდიდა მოეხერხებინა თანამგზავრს, რომელსაც მეორე თანამგზავრი პირდაპირი დამიზნებით, კოსმოსში საცეცხლე ზემოქმედებით უნდა დაეზიანებინა. ექსპერიმენტის შედეგებს თავდაცვის მინისტრი – მარშალი დიმიტრი უსტინოვიც მოუთმენლად ელოდებოდა. როდესაც გამოცდა წარმატებით დამთავრდა, ანატოლი სავინი “პოლიგონიდან” ჩვეულებრივი ტელეფონით დაუკავშირდა უსტინოვს და “დაშიფრულად” უთხრა – პატარძალი და სასიძო ერთმანეთს შეხვდნენ და სასიძომ 17-ჯერ აკოცაო – 17 კოცნა 17 საცეცხლე დაზიანების მიყენებაზე მიანიშნებდა. ამ ექსპერიმენტისათვის იგი ლენინური პრემიის ლაურეატი გახდა. ანატოლი ივანეს ძე სავინი არის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი, სახელმწიფო და ლენინური პრემიების ლაურეატი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,

ცენტრალური სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება “კომეტას” გენერალური დირექტორი და გენერალური კონსტრუქტორი.

ანატოლი სავინის დასახვედრად ყველა ემზადებოდა – ცენტრალური კომიტეტით დაწესებული და ჩემით დამთავრებული. გადაწყდა, რომ სავინი, რომელიც სოჭში ისვენებდა, მანქანით წამოეყვანათ, სპეციალური ესკორტით, რომელსაც ავტონისპექცია გაუძღვებოდა წინ. დაიგეგმა შეხვედრა ცენტრალურ კომიტეტში, განისაზღვრა ბაზების მშენებლობის შესაძლო ტერიტორიების დათვალიერება და, რა თქმა უნდა, მთავარი მიზეზი ვიზიტისა – რეფლექტორის გახსნა და დათვალიერება.

სავინი ჩამოვიდა. უპირველესად, ჩვენთან, სასტენდო დარბაზში მოვიდა. რეფლექტორული ანტენის გახსნა წარმატებით ჩატარდა. შემდეგ მისი დათვალიერება დაიწყო. მიხეილ ზაქსონი და იური დანილოვი, თემო ლოლაძესთან ერთად, ცდილობდნენ კომენტარები გაეკეთებინათ გასაშლელი რეფლექტორის ავკარგიანობაზე, მაგრამ სავინი მათ ნაკლებად უსმენდა. ყველა კვანძი, დერო, დეტალი, ფრაგმენტები და მთელი კონსტრუქცია დაათვალიერა. მხოლოდ ერთხელ თქვა – “ეს სისტემა კოსმოსში გასაშვებადაც კი მზად არისო”. შემდეგ სტუმრები, თემო ლოლაძე და მე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან – ედუარდ შევარდნაძესთან წავედით, სადაც ანატოლი სავინს ელოდებოდნენ. საუბარი კონკრეტულ ნაკეთობას და ზოგად თემებს შეეხებოდა. საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, რომელიც სტუმარს დიპლომატიურად შეფუთული რიდით ესაუბრებოდა, მოულოდნელად “გაშიშვლებული” ტონით მიმართა – ჩვენ განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოვეკიდებით სამუშაოს იმ შემთხვევაში თუ კონსტრუქციის შექმნის მთელი ეტაპები, მათ შორის მისი გამოცდებიც საქართველოში ჩატარდება. ვიცით, რომ ამისათვის დიდი ხარჯების გაწევა მოგვიწევს. ჩვენ ამაზე თანახმა ვართ. სავინი ედუარდის ასეთ გააქტუალებას დინჯად შეხვდა და შეპირდა მას, რომ მოსკოვში შეათანხმებდა საკითხებს და შემდეგ უფრო კონკრეტულად ისაუბრებდა სამომავლო გეგმებზე.

საკითხი ბაზებისათვის ტერიტორიების მოძიებას შეეხო. სტუმარს განუმარტეს, რომ ძირითადი გაშლის სტენდის აგება ინსტიტუტის საწარმოო ბაზის ეზოში, დიღომში იყო განსაზღვრული. ამ დროს სავინმა ასევე დასვა საკითხი შესაძლო ადგილის გამოძებნისა, რატომღაც ბორჯომის ხეობაში, კონკრეტულად მის მაღალმთიან ზონაში. ეს უკვე მეორე ბაზის მშენებლობას ნიშნავდა, მაგრამ ამის შესახებ ჯერ არაფერი ვიცოდით.

მეორე დღეს ბორჯომში წავედით. მახსოვს, გორის უღელტეხილის გადასასვლელიდან, როდესაც მანქანები დადმართზე ჩამწკრივდა, ესკორტში 17 მანქანა დავთვალე. იმ მომენტში რაღაც განსაკუთრებული ვიგრძენი. ამდენი ხალხის შეკრების მიზეზი ხომ მე ვიყავი. ამ ესკორტის მე-10 მანქანაში კოსმოსური სისტემის მთავარი კონსტრუქტორი – მე ვიჯექი.

ბორჯომში ადგილობრივი ხელისუფლება დაგვხვდა, შემდეგ ბაკურიანისკენ გაგუყვით გზას, ბაზისათვის შესაძლო ადგილი დავათვალიერეთ და, ბოლოს, კომპოზიტორების სახლში ვივახშმეთ.

ერთი სიტყვით, გენერალური კონსტრუქტორის პირველი ვიზიტი დასასრულს უახლოვდებოდა. ჩვენ მას აეროპორტში ვაცილებდით. სავინი მომიახლოვდა, იქვე ჩამოეჯექით და მითხრა, რომ ერთი თვის შემდეგ მოსკოვში ჩავსულიყავი და თან პირადი

საქმე და სამხედრო ბილეთი წამელო. გარდა ამისა, 30-მეტრიანი ანტენის საბოლოო ვარიანტზე ისევ მეფიქრა და ბაზების განთავსების საკითხებშიც საბოლოოდ გავრკვეულიყავი. ბოლოს კი, ნანახი გასაშლელი რეფლექტორული ანტენა შემიფასა – “ბრწყინვალე იყო და ნანახმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა”.

ნახევარი საათის შემდეგ ყველამ ერთად გავაცილეთ ანატოლი სავინი, მიხეილ ზაქსონი, იური დანილოვი და სავინის ქალიშვილი – ლილია, რომელიც მას სოჭიდან ჩამოჰყვა.

ახლა ჩემი ძირითადი საფიქრალი ბაზებისათვის ტერიტორიების შერჩევა იყო. არ მინდოდა, რომ დიღომში, შეზღუდულ ტერიტორიაზე და, ისიც სხვასთან, ინსტიტუტის საწარმოო ბაზაზე აშენებულიყო გაშლის სტენდი, რომლის გარდა სხვა სასტენდო დანადგარებიც იყო საჭირო და ყოველივე ამას ადგილიც შესაფერისი სჭირდებოდა. ერთადერთი, რაც მოტივად გამომადგებოდა იყო მომავალი ბაზის ტერიტორიიდან ვარსკვლავ “კასიოპეა A-ს“ ხილვადობა, რომელიც ანტენების ტესტირებისათვის არის საჭირო და ამიტომ ავიღე კომპასი და კვირადღეს, ჩემი მანქანით წავვედი ტერიტორიის შესარჩევად.

უპირველეს ყოვლისა, უარი უნდა მეთქვა დიღომზე. მივედი ინსტიტუტის ბაზაზე და ავიღე კომპასი – ვარსკვლავი “კასიოპეა” არ ჩანდა. ეს დიდი მოტივი იყო უარისათვის. ახლა გზა გახსნილი იყო მოქმედებისათვის. წავვედი საგურამოსკენ და არაგვის ველზე აღმოვაჩინე უზარმაზარი თავისუფალი ტერიტორია, ზუსტად შესაფერისი დიდი ბაზისათვის, რომელიც ასევე დიდ პერსპექტივებზე იქნებოდა გათვლილი.

შემდეგ კი ბორჯომის მთიანი ზონის ტერიტორია იყო მოსაძებნი. სიმართლე ვითხრათ, არ ვიცოდი, თუ რისთვის იყო ეს საჭირო. ჩემს მეგობარს – სულხან არჩვაძეს ვთხოვე წამოსულიყო თავისი მანქანით და თეოდოლიტიც თან წამოეღო. ამასთან, გავაფრთხილე – სადაც შეგუკითხები ამ ადგილიდან კარგად ჩანს თუ არა ვარსკვლავი “კასიოპეა”, სწორედ იქ მითხარი, რომ კარგად ჩანს-თქო. საშა იაკობაშვილიც თან წავიყვანეთ და გავუდექით გზას.

ბორჯომში ადგილობრივი ხელმძღვანელობა ცკ-დან წინასწარ გააფრთხილეს. როდესაც ბორჯომში ჩავედით მიწათმომწეობი შეგვხვდა. მივესალმეთ. ამ დროს სულხან არჩვაძემ თავი პოლკოვნიკ არჩვაძედ წარუდგინა, რამაც ძალიან გამაბრაზა. ასეთი ტყუილი საჭირო არ არის – ვუთხარი სულხანს. დავიწყეთ ტერიტორიების დათვალიერება. ჯერ იყო და მზეთამზეზე ვთქვი უარი, შემდეგ კი – “ტიმოთესუბნის” განაპირა ტერიტორიაზე. ერთი სიტყვით ტერიტორია უკვე მონიშნული მქონდა, სოფელ ცემთან და მთელი ჯგუფი ნელ-ნელა იქეთ მიმყავდა. როდესაც ადგილზე მივედით, სულხანს მივანიშნე “კასიოპეას” შესახებ. სულხანი ანერვიულდა და თეოდოლიტი უკუღმა დაიკავა. შემდეგ შესძახა – მოჩანსო. მიწათმომწეობმა თქვა – ამ ადგილზე სამხედრო სანატორიუმის მშენებლობა დაგეგმილი და რაიკომის მდივნის გარეშე საკითხი არ გადაწყდებაო. გაგზავნეს კაცი და 2 საათის შემდეგ რაიკომის მდივანიც ამოვიდა. როდესაც ყველა შეიკრიბა, უცებ ისევ აღაპარაკდა სულხანი – ელგუჯა ვიქტორის ძეგ აქ ტანკები ხომ შემოტრიალდებაო. ამ სიტყვებმა, სადაც სიმართლის ნატამალიც კი არ იყო, სულ გააგვიჟა მიწათმომწეობი და რაიკომის მდივანი. “რა უნდა ამხანაგო აქ ტანკებს, აქ ხომ დასვენების ზონაა” –

თავისთვის აღშფოთებით გაიძახოდა მიწათმომწყოები. ერთი სიტყვით საკითხი ცენტრალურ კომიტეტში უნდა გადაწყვეტილიყო.

დათქმულ დროს მოსკოვში ჩავედი. ზაქსონმა მითხრა, რომ მარტო უნდა შევსულიყავი სავინთან. ლიუბოვ მიხაილოვნამ, სავინის მდივანმა, როგორც კი ვუთხარი, რომ ელგუჯა ვიქტორის ძე მეძმარიაშვილი ვიყავი, მაშინვე მოახსენა ანატოლი ივანეს ძეს ჩემი მისვლის შესახებ. სავინი ძალიან თბილად შემხვდა. იკითხა – როგორ არის საქმეები საქართველოშიო. შემდეგ კი, საკმაოდ სერიოზულად დაიწყო საუბარი. პირველ რიგში, უნდა დამეწყო 30-მეტრიანი ანტენის კეთება და იგი ბალისტიკური რაკეტების სტარტის ადრეული აღმოჩენის ერთიან სისტემაში, თანამგზავრზე უნდა განთავსებულიყო. გარდა ამისა, აუცილებელი იყო კოსმოსური სისტემების სასტენდო კომპლექსების და მიწისზედა რადიოტექნიკური კომპლექსების შექმნის ბაზებისთვის ტერიტორიები და, რა თქმა უნდა, შემდეგ, უმოკლეს დროში მათი მშენებლობა. ისე, რომ სულ რაღაც 2 წელიწადში 30-მეტრიანი რეფლექტორული ანტენა და მიწისზედა რადიოტექნიკური კომპლექსები უკვე ახალ ბაზებზე უნდა გამოგვეცადა. განსაკუთრებული და სიახლე იყო ისიც, რომ ყოველივე ამის შესახებ საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო სამხედრო-სამრეწველო კომისიის გადაწყვეტილებაც იყო მოსამზადებელი, რომელშიც უშუალო მონაწილეობა მე უნდა მიმეღო.

ყოველივე ეს უკვე რეალობა იყო, რომელიც გავისივრძეებო და ეს ძალიან მსიამოვნებდა. სავინის კაბინეტიდან გამოსვლისთანავე იური დანილოვთან შევედი. “რაო დაგტვირთა ანატოლი ივანეს ძემ” – მკითხა იური ივანეს ძემ. ახლა მან დაიწყო ჩემთან სიტუაციის გარკვევა. ჯერ იყო და პირადი საქმის დოკუმენტაცია მომთხოვა, შემდეგ სამხედრო ბილეთი, დასასრულ კი მითხრა, რომ გარკვეული დროის შემდეგ, თბილისში “კგბს” შეფი ალექსი ინაური დამიბარებდა და “კგბს” პოლკოვნიკს მოადგილედ დამინიშნავდა.

დანილოვს ღიმილით ვუთხარი – დღეს მეტი ინფორმაცია არ დაამატოთ, თორემ გაგვიუღებინებო. მან მიპასუხა – არა, მეტს არაფერს გეტყვი იმის გარდა, რომ ელოდე კიდევ ერთი პიროვნების გაცნობასო.

როდესაც გამოსვლა დავაპირე, დანილოვმა სავინის მოადგილეს იოსებ რუდელსონს სთხოვა შემოსულიყო და გამაცნო იგი, თუმცა მან უკვე საკმაოდ იცოდა ჩემს შესახებ. მკითხა, სად ვაპირებდი წასვლას და როდესაც გაიგო, რომ სასტუმროში მივდიოდი, მითხრა – შენობიდან რომ გახვალ ჩემი “ჩაიკა” დაგელოდება და სასტუმროში წაგიყვანსო.

მოსკოვში ორი დღე დავრჩი და კვლავ თბილისში წამოვედი. მთელი გზა უკვე ბაზების მშენებლობაზე ვფიქრობდი.

... ცენტრალურ კომიტეტში ჩვენი საკითხის კომპლექსური განხილვის წინ, რამდენიმე დღით ადრე ელჟარდ შევარდნაძესთან დაინიშნა ჩემი აუდიენცია. შეხვედრაზე მან მკითხა მეცნიერების განვითარების რესპუბლიკურ საბჭოზე განსახილველი საკითხის სამზადისის შესახებ ჩემი მოსაზრება, შემდეგ კი უშუალოდ შევხო ბაზების განლაგების ადგილებს. ეტყობა, ჩემი გამოძახების ძირითადი მიზეზი ბაზების ტერიტორიებს შეეხებოდა. მე განუმარტე, რომ არაგვის ველზე, სოფელ საგურამოსთან, შეირჩა ტერიტორია, რომელიც სრულად აკმაყოფილებდა კოსმოსური დიდი გასაშლელი რეფლექტორის მიწისზედა პირობებში სრულმასშტაბიანი გამოცდის და აწყოების სტენდების განთავსების

შესაძლებლობებს და ასევე მოთხოვნებს რეფლექტორის რადიოპარამეტრებზე ტესტირებისათვის. შემდეგ შევეხე ექსტრემალურ პირობებში მიწისზედა სამხედრო-საინჟინრო კომპლექსის გამოცდების პოლიგონს, რომლისთვისაც ტერიტორია ბორჯომის რაიონში სოფელ ცემსა და სოფელ ტბას შორის შეირჩა.

ედუარდ შევარდნაძემ შემაჩერა და ახლა თვითონ დაიწყო საუბარი – როდესაც ბაზების ტერიტორიას არჩევ, რა თქმა უნდა, მათი მდებარეობა აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს ყველა ტექნიკურ და სამეცნიერო მოთხოვნებს, რაც თქვენ გაქვთ. მაგრამ, ამასთან ერთად, მეტად მნიშვნელოვანია, რომ მათი მდებარეობა იყოს მიმზიდველი, თუნდაც დასვენების მიზნითაც იმ ჩამოსული მეცნიერებისთვის, რომლებიც თქვენი შემკვეთები არიან ან იქნებიან მომავალში. მაგალითისთვის შეიძლება განვიხილოთ აბასთუმნის ობსერვატორია, სადაც სამეცნიერო სამუშაოს მრავალი ჩამოსული მეცნიერი ატარებს. მიმაჩნია, რომ მათი ჩამოსვლის და სამომავლო პერსპექტივების ერთ-ერთი, შეიძლება მცირე, მაგრამ ფაქტორი არის აბასთუმნის ობსერვატორიის მდებარეობა შესანიშნავ ბუნებაში და ულამაზეს ადგილას. ასე რომ, კოსმოსური ტექნოლოგიების შემდგომი განვითარებისთვის საქართველოში ეს ფაქტორიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ.

როდესაც ბატონი ედუარდის კაბინეტიდან გამოვედი, ვფიქრობდი, თუ როგორ დამთხვა ერთმანეთს ის მიზნები, რაც განსაკუთრებით ბორჯომის მთიანი ზონის პოლიგონის ტერიტორიის შერჩევას ედო საფუძვლად.

როდესაც ცენტრალური კომიტეტისგან დახმარებისა და თანადგომის საკითხს ვეხები, არ შემიძლია მაღლიერების გარეშე მოვიხსენიო ცკ-ის განყოფილების გამგე, ბატონი ავთანდილ საყვარელიძე და მეცნიერების განვითარების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ოთარ კუპატაძე. ეს ორი პიროვნება, ერთის მხრივ, გრძნობდა იმ სამუშაოს სერიოზულობას, რაც მე დამავალეს და ამასთან, როგორც ახალგაზრდა მეცნიერს და ახლა უკვე მეცნიერების ორგანიზატორს, ყოველმხრივ მიკვალავდნენ გზას საკითხების გადაწყვეტისათვის საქართველოს სახელისუფლებო სტრუქტურებში.

თბილისში, ბაზებისთვის ტერიტორიების დამტკიცება დაჩქარდა. აღნიშნული საკითხი მეცნიერების განვითარების რესპუბლიკურ საბჭოზე განიხილეს და დადებითად გადაჭრეს. საბჭოს სხდომას საქართველოს მთელი ხელისუფლება და ცკ-ს პასუხისმგებელი პირები ესწრებოდნენ. გადაწყდა, რომ საგურამოს და ცემის ნაკვეთებს გამოგვიყოფდნენ. მშენებლობაზე პასუხისმგებლობა სასოფლო მშენებლობის მინისტრ იოსებ ხარატიშვილს, სპეცმონტაჟშენის უფროს გივი გამყრელიძეს და რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხანის დირექტორ ანზორ დოლიძეს დაავალეს; პროექტი სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტს უნდა გამოეცა და, ამ მხრივ, პასუხისმგებელი რევაზ თოფურია იყო; ცემის და საგურამოს ბაზებზე გზები, ელექტროენერგია, გაზი და ტელეფონის ხაზები უნდა მიეყვანათ. რაც შეეხებოდა თვით სპეცნაკეთობას – 30 მეტრი დიამეტრის კოსმოსური ბაზირების რეფლექტორული ანტენის კონსტრუქციას, მისი დამზადება ვაჟა თორდიას – თბილისის საავიაციო, 31-ე ქარხანას დაევადა, იმ პირობით, რომ ეს საკითხი “შეთანხმდებოდა” და შემდგომ სამხედრო-სამრეწველო კომისიის გადაწყვეტილებით დადასტურდებოდა. თანხებს მოსკოვი, საქართველოს ბიუჯეტის გარეშე იხდიდა.

სამუშაოთა კომპლექსზე, რაც საქართველოში უნდა შესრულებულიყო, საკავშირო მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამხედრო-სამრეწველო კომისიის გადაწყვეტილების მიღებამდე, პასუხისმგებლობა დაეკისრა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანს, ბორის ნიკოლსკის.

ბოლოს, ედუარდ შევარდნაძე ადგა და თქვა – ეს საქმე, პროექტით თუ უპროექტოდ, ფულით თუ უფულოდ, კანონით თუ უკანონოდ, უნდა გაკეთდეს, ვინაიდან იგი საქართველოს მომავალს და ღირსებას უკავშირდება ...

VI თავი

კედლის საათის სამჯერ ჩამოკვრამ წარსულზე ფიქრები შემაწვევტინა. სავარძლიდან ავდექი. ძილი კიდევ არ მეკიდებოდა. შემდეგ ოთახის იმ კუთხესთან მივედი, სადაც სახელდასელო სამუშაო “კაბინეტი” მქონდა მოწყობილი.

ზალის მყუდრო კუთხეში დივანი იდგა. იქვე პატარა მაგიდაზე “ნაჩნიკი” და გვერდით დოკუმენტებით სავსე საქაღალდეები იდო. დივანის წინ, ტაბურეტზე, თავისუფალი ფურცლები, პატარა კალკულატორი, სახაზავი, ფანქრები და ფარგალი უწესოდ ელაგა.

ყურადღება ერთი წამით მათზე შევაჩერე. გამახსენდა სამსახურიდან მოსული, დივანზე დამჯდარი, ტაბურეტზე, როგორ ვამზადებდი კოსმოსური რეფლექტორის კონსტრუქციის სქემებს, რომ მეორე დღეს თანამშრომლებისათვის დავალება მიმეცა.

შემდეგ დივანში ჩავჯექი და მაგიდიდან საქაღალდეები გადმოვაღაგე. დავიწყე მათში ჩალაგებული დოკუმენტების თვალიერება. ნელ-ნელა, ჩემს თვალწინ, მესხიერებაში ისევ გაცოცხლდა გაგლილი შემოქმედებითი გზის კადრები.

“... კაბინეტში “ვ.ჩ.”-ემ დაჩეკა ...”

მოგონებები

... სამუშაოში თავდავიწყებით ჩავები. ერთდროულად ორ “ფრონტზე” მიწევდა “ბრძოლა”. მოსკოვში ვათანხმებდი ბალისტიკური რაკეტების სტარტის ადრეული აღმოჩენის კოსმოსური სისტემის – დიდი ორბიტული რეფლექტორული ანტენის გამოყენების იდეოლოგიას, კოსმოსურ აპარატთან ურთიერთშეკავშირების სქემებს და ტაქტიკურ-ტექნიკურ პარამეტრებს.

სამუშაოთა მოსკოვის მიმართულებაზე, განსაკუთრებულად ორგანიზაციულ საკითხებში თანადგომას მიწევდა ჩემი მოადგილე ალექსანდრე იაკობაშვილი. თბილისში კი მუშაობა სამი მიმართულებით მიწევდა: საგურამოს სასტენდო კომპლექსის დაპროექტება და მშენებლობის ორგანიზება; კოსმოსური ბაზირების, გასაშლელი, 30 მეტრი დიამეტრის მქონე რეფლექტორის შექმნა; და ბორჯომის მთიანი ზონის პოლიგონის დაპროექტება და მშენებლობა.

კოსმოსური კონსტრუქციების ძირითად სქემებს, კვანძებისა და დეტალების გადაწყვეტის იდეოლოგიას მე ვამუშავებდი, ასევე განვსაზღვრავდი რეფლექტორის კონსტრუქციის გაანგარიშებისა და ექსპერიმენტული კვლევების ძირითად პრინციპებსა და ამოცანებს.

საგურამოს ბაზის სტენდების ესკიზებს სადამოლობით სახელში ვაკეთებდი და მეორე დღეს რეზო ჩიკვაიძეს ვაძლევდი, რათა მას და მის ჯგუფს, ჩემი ნახაზების მიხედვით, საპროექტო დოკუმენტაცია შეექმნათ “სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტში” – “გოსპროექტში”, რომლის დირექტორიც რეზო თოფურია იყო. უშუალოდ ობიექტის მშენებლობას გამოცდილი ინჟინერი სერგო თევზაძე ხელმძღვანელობდა.

კონსტრუქციის გაანგარიშებით კოტე ოდიშვილი, მერაბ ყურაშვილი და კოტე ჩხიკვაძე იყვნენ დაკავებული. შემდგომში მათ მათემატიკოსები – ალექო ჩარგეიშვილი და ალექსანდრე სარჩიმელია შეემატათ.

კონსტრუქციების მუშა ნახაზებს ამუშავებდნენ ვახტანგ გოგილაშვილი, ნუგზარ ხაჩიძე, თენგიზ კახეთელიძე, ინგა პაპალაშვილი, გურამ მანჯგალაძე და 31-ე ქარხნიდან, ნუგზარ სირაძე, რომელიც მოგვიანებით ჩემთან გადმოვიდა.

ტექნიკური დოკუმენტაციის კომპლექტს მიხედვით ჯანიკაშვილი ამოწმებდა, რომელიც კონსტრუქციების დამზადებისა და აწყობის საქარხნო პროცესებს ხელმძღვანელობდა, იგი ასევე ხელმძღვანელობდა ნაკეთობის აწყობას საგურამოს სასტენდო კომპლექსში.

ნაკეთობის ექსპერიმენტულ კვლევას და კომპლექსის გამოცდებს უშუალოდ გურამ ბედუკაძე, სოსო ბუჩიკაშვილი, ვასო ურუშაძე და ნოდარ ხატიაშვილი უძღვებოდნენ, მათთან ერთად ინტენსიურად მუშაობდნენ პაატა ბუხსიანიძე, მიშა აბეხსრიშვილი, მერაბ ცხენოსანიძე, ნუგზარ ცხვედიანი, რამაზ აბუაშვილი, გოგი მგელაძე, გია ხაზარაძე, გია ჯანეზეშვილი და სხვები.

როდესაც საკითხი თანამშრომლებს შეეხება, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ის პიროვნებები, რომლებიც არ იყვნენ უშუალოდ ჩემი გუნდის ძირითადი წევრები, მაგრამ მათ, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში უკვე თავიანთი ცოდნით, გამოცდილებით და პირადი ღირსებით განსაკუთრებული ადგილი დაიკავეს.

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მერაბ თევზაძე, ცნობილი მეცნიერისა და მოღვაწის ნიკოლოზ თევზაძის შვილი, აქტიურად იყო ჩაბმული ჩვენი სისტემების გეოდეზიურ კვლევებში.

მან და მისმა გუნდმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა მაღალი კლასის სპეციალისტი სულიკო ფირალიშვილი, უზუსტესი გაზომვები ჩაატარეს 30-მეტრიან ანტენაზე და ამას იმ პერიოდში, მთელს საბჭოთა კავშირში, მათზე უკეთესად ვერავინ გააკეთებდა.

ცნობილია ჩემი მიდრეკილება გამომგონებლობისადმი. ამ მხრივ კი, ბატონ გივი სიბაშვილის ღვაწლი ძალიან დიდია, ისევე როგორც მისი ადამიანური თვისებები. შემდეგ საპატენტო საქმეს თინა ჩალაური ჩაუდგა სათავეში. აღსანიშნავია სამეცნიერო განყოფილების უფროსის, ბატონ გურამ დემეტრაშვილის კეთილგანწყობა და ხელშეწყობა იმ საკითხების მოგვარებაში, რაც საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს და ჩემს საქმიანობას უკავშირდებოდა.

ბორჯომის მთიანი ზონის პოლიგონის შესაქმნელად, განსაკუთრებული სქემები შევქმენი. მათში გათვალისწინებული იყო ნაკეთობის სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფა, რაც გულისხმობდა კონსტრუქციის ტრანსპორტირებისა და განთავსების ექსტრემალურ პირობებს. დაპროექტებაზე “ბორჯომის ჯგუფის” შემადგენლობაში იყვნენ გია შაყულაშვილი, ოთარ ტუსიშვილი, გივი გაგნიძე, ვახტანგ გოგილაშვილი და ნუგზარ რატიანი. აღნიშნულ ჯგუფს ხელმძღვანელობდა ნოდარ წიგნაძე.

ძალიან დაგვაკლდა მერაბ ადგიშვილი, რომელიც მთლიანად ჩაება ახალი ფუნქციის შესრულებაში, იგი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი გახდა, შემდეგ კი – ინსტიტუტის პრორექტორი. ცოტა მოგვიანებით იგი პრეზიდენტის აპარატში გადავიდა სამუშაოდ, საიდანაც დაინიშნა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრად.

საკონსტრუქტორო ბიუროში ორგანიზაციულ საკითხებს, ჩემი “ძველი” თანამშრომლები – როზა ომანაძე და მერი ჩიქოვანი ასრულებდნენ. მათ ახალი კადრებიც დაემატა.

ერთი სიტყვით სამუშაოთა კომპლექსი სრული სვლით მიდიოდა წინ. ყოველი წუთი გაწერილი მქონდა. ნელ-ნელა შედეგებიც წარმოჩნდა. ჩვენ მთლიანად კონცენტრირებულნი ვიყავით ჩამოთვლილი პრობლემების გადაწყვეტით, რომ არა ჩემს წინაშე მოსკოვიდან ახალი ამოცანის დასმა, რომელიც ასევე, სახელმწიფო მნიშვნელობის იყო.

საგურამოს სასტენდო კომპლექსის მშენებლობაზე, სადაც რეფლექტორის პირველი ვარიანტის აწყობა დაწყებული იყო, სახელდახელოდ მოწყობილ კაბინეტში “ვჩ”-მ დარეკა მოსკოვიდან. ანატოლი სავინი იყო ტელეფონთან. მან მითხრა, რომ თავდაცვის მინისტრთან ტარდებოდა სპეციალური თათბირი, რომლისთვისაც აუცილებელი იყო მიწისზედა რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსების ვარიანტები და დასაბუთებები, ბალისტიკური რაკეტის «პერშინგ-2-ის» გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიიდან სტარტის ადრეული ფიქსაციისათვის და ეს ამოცანა მე უნდა გადამეწყვიტა. ეს კომპლექსები უცხოეთის ტერიტორიაზე, კონკრეტულად კი ჩეხოსლოვაკიაში, 48 საათში უნდა ჩავიდეს, დამონტაჟდეს – საჭიროების შემთხვევაში სამალავში მყოფი მიწისზედა რაკეტსაწინააღმდეგო რადიოტექნიკური კომპლექსი ნახევარ საათში უნდა გაიშალოს და დადგეს საბრძოლო მზადყოფნაში. გარდა ამისა, მისი ტრანსპორტირება საკუთარ ტერიტორიაზე და უცხოეთშიც, კითხვას არ უნდა ბადებდეს მოსახლეობაში და განსაკუთრებით მოწინააღმდეგე მხარის დაზვერვაში.

მე ვკითხე, თუ რამდენ თვეს მაძლევდა ის ამ ამოცანის გადასაწყვეტად. მან სრული სერიოზულობით განმიმარტა – ორშაბათს 3 საათზე 100 გვერდიანი ანგარიში ჩემს მაგიდაზე უნდა იდოსო. დანარჩენს აქ გეტყვიო და ლაპარაკი დაამთავრა.

დავალემა გასაგები იყო. “ზემოთ” რაღაც ხდებოდა და კომპლექსიც ამ ვითარების მიხედვით უნდა დამეპროექტებინა. არადა ხუთშაბათი იწურებოდა და დავალების შესასრულებლათ სულ 3 დღე მრჩებოდა.

პირველი, რაც გავაკეთე, ცენტრალური კომიტეტის თავდაცვის განყოფილებაში დავრეკე და ვთხოვე ორი ორადგილიანი კუპე დაეჯავშნათ მატარებელზე – “CB” ვაგონში. გარდა ამისა, სასტუმრო “ივერიის” მთავარ ინჟინერს – რენო ახობაძეს, მაინც დავაბრონინე ბილეთები. ეს უბრალოდ დუბლირებისათვის. შემდეგ, წავედი მხატვართან, რომელიც პლანშეტებს ამზადებდა. ავუხსენი მდგომარეობა და დავითანხმე, რომ მატარებლის ცალკე კუპეში შევუქმნიდი პირობებს და იმუშავებდა სამეცნიერო ანგარიშის ილუსტრაციებზე. ბოლოს, საშა იაკობაშვილს, ჩემს მოადგილეს, ვუთხარი – მოემზადე მოსკოვში წამოსასვლელად, ოღონდ ხვალ კარგად გამოიძინე სახლში, ვინაიდან მატარებელში, დღეც და ღამეც, ანგარიშის ტექსტი უნდა გიკარნახო-მეთქი.

პარასკევს ერთი დღე მქონდა, რომ კომპლექსების შესახებ მეფიქრა, ვარიანტები შემერჩია და წინასწარი სქემები გამეაზრებინა.

შაბათს უკვე მატარებელში ჩავსხედით. შევედით თუ არა ვაგონში, მაშინვე მივაღაგ-მოვაღაგეთ კუპეები, ამოვიღეთ ფურცლები, ავტოკალმები, პლანშეტების მასალები და დავიწყე კარნახი. კუპეში დახუთული ჰაერი იყო და კარი გავადეთ. ვაგონში ხალხი ამოდოდა, ზოგს აცილებდნენ, ზოგს რაღაცას ატანდნენ, ისე რომ, სანამ მატარებელი დაიძვრებოდა, ჯერ კიდევ თბილისური სიტუაცია იყო. მე კი უკვე აზარტში შესული ანგარიშის ტექსტს ვკარნახობდი, საშა იაკობაშვილი კი იწერდა ჩემს ნაკარნახევს. მგზავრებმა შეამჩნიეს ჩვენი განსაკუთრებული ქცევა. შემდეგ პლანშეტების მხაზველს – სეროვს, რომელიც ჯერჯერობით თავისუფალი იყო და მატარებლის ვიწრო დერეფანში იდგა, დაინტერესებული მგზავრებისათვის უთქვამს – რაღაც სასწრაფო საქმე დაავადეს და იმას წერენო. ყველა გვერიდებოდა. განსაკუთრებით ჩვენ კუპესთან გავლის დროს. მეორე დღეს ვაგონის გამცილებელი შემოვიდა კუპეში და გვითხრა, რომ ჩვენ ხმა უნდა მიგვეცა და სხვა ვაგონში დადგმულ საარჩევნო ურნასთან უნდა მივსულიყავით. თურმე სსრკ უმაღლესი საბჭოს არჩევნები იყო. მე უარი განუცხადე. შემდეგ კი მასხრობით

დავამატე – ურნა აქ მოიტანეთ და გავაგრძელებ კარნახი. სადამოვდებოდა, როცა ვაგონში რაღაც დიდი, ხმაურით შემოიტანეს. ეს საარჩევნო ყუთი იყო, რომელსაც კომისიის 5 წევრიც მოჰყვა, ასე რომ, მთელი პროცედურა ჩვენთვის ჩატარდა და ჩვენც მივეცით ხმა, მაგრამ ვინ ავირჩიეთ არ მიკითხავს.

მეორე ღამეს ცოტა ვიძინე და გამთენიას ისევ დავიწყე კარნახი. როდესაც ბოლო მე-100 გვერდის კარნახი დავამთავრე, მატარებლის ფანჯარაში გავიხედე. “კურსკის” ვაგზალს ვუახლოვდებოდი. წარწერა დავინახე “სერპი მოლოტ” და “კურსკამდე” 2 კილომეტრი იყო დარჩენილი.

მატარებელი მოსკოვში ჩავიდა. ვაგონში ამოვიდნენ “კომეტის” თანამშრომელი: იური ცაპლინი და სპეცსამსახურის ბიჭები. მათ დიდი, რკინის ძაფებისაგან ნაქსოვი ტომარა-სეიფი ჰქონდათ, რომელიც გახსნეს და ჩვენი ფურცლები და პლანშეტები შიგ ჩაყარეს. მატარებლიდან ჩამოვედით და 11 საათზე, მანქანით “კომეტაში” გავემართეთ.

როდესაც ცენტრალურ სამეცნიერო-საწარმო გაერთიანება “კომეტაში” მივედით, უკვე დაახლოებით 20-მდე მბეჭდავი გველოდებოდა. მათ თავისი საქმე იდეალურად გააკეთეს. ზუსტად 2 საათზე სავინის კაბინეტში, აკინძული 100-გვერდიანი ანგარიშით შევედი. მან კაბინეტიდან გამოსვლისას მითხრა, რომ იგი ალბათ 3 საათში დაბრუნდებოდა და დავლოდებოდი.

სავინის მდივანიც სადღაც წავიდა. კაბინეტის მისაღებში მე და სავინის თანაშემწე დავრჩით. ვკითხე გენერალური კონსტრუქტორის მოადგილე იური ივანოვიჩი სად არის-მეთქი, მან მიპასუხა, რომ ისიც თათბირზე იყო წასული თავდაცვის სამინისტროში. მივხვდი, რომ ანატოლი ივანოვიჩი სწორედ იქ გაემგზავრა. ადმინისტრაციული კორპუსი დავტოვე და სასტენდო კორპუსში მთავარ კონსტრუქტორთან, მიხეილ ზაქსონთან გადავედი. მიხეილ ბორისოვიჩი ადგილზე დამხვდა. იგი კაბინეტში, საწერ მაგიდასთან იჯდა და ჩაის სვამდა. ვიფიქრე შესვენებაზე ისადილა და ახლა დესერტად ჩაის მიირთმევს-მეთქი. მიხეილ ბორისოვიჩი თითქოს მიხვდა ჩემს ფიქრებს და თქვა, რომ შესვენებაზე არ გასულა და მხოლოდ ტკბილი ჩაით უნდა შეევესო ენერგია. მიზეზი რომ ვკითხე, ერთი შემომხედა და თავისთვის ჩაილაპარაკა – დღეს “კომეტაში” არასაშტატო ვითარებაა. შემდეგ კი ჩემსკენ შემობრუნდა და თქვა – დღეს თუ გავიმარჯვეთ, მოსალოცად გვექნება საქმე და პირველ რიგში შენო. ამ სიტყვებმა სიცხადე შეიტანა სიტუაციაში.

სავინი გვიან – რვის ნახევარზე დაბრუნდა.

კაბინეტის მისაღებში მას, ჩემ გარდა, კიდევ ათამდე პიროვნება ელოდებოდა. კაბინეტის კარი თვითონ გააღო და ღია დატოვა. ჩვენ კი კაბინეტში გვიხმო და სათათბირო მაგიდისკენ მიგვითითა.

შემდეგ განმარტა – ჩვენ დღეს სანახევროდ გავიმარჯვეთ. მინისტრმა თათბირზე ორი სამუშაო აღნიშნა. ერთ-ერთი მათგანი ჩვენი ანგარიში იყო და მე გადმომხედა – ელგუჯა ვიქტორის ძეგ, ეს თქვენი ანგარიში იყო. სათათბირო მაგიდასთან სრული სიჩუმე იდგა. იქ მყოფთა სახეებზე რაღაც გაურკვეველობა, გაოცება თუ ჩემდამი მათგან გამოსატყული კონკურენციის გრძნობა დავინახე. სავინი მიხვდა შექმნილი უხერხულობის მიზეზს და იქ მყოფნი დაითხოვა. მე კი მითხრა, რომ დავრჩენილიყავი. ამასობაში კაბინეტში იური დანილოვი და მიხეილ ზაქსონი შემოვიდნენ. ისინი ვერ მაღავედნენ ემოციებს და გულითადად მომილოცეს წარმატება. სავინი ჩაფიქრდა და თქვა – წინ

გველოდება კიდევ ერთი საპასუხისმგებლო მოხსენება. ამჯერად იგი ოლეგ ანდრევიჩთან ჩატარდება. იმედია ელგუჯა ვიქტოროვიჩ არ შეგვარცხვენთ.

გარკვეული პაუზის შემდეგ ანატოლი სავინმა მითხრა – ელგუჯა ვიქტოროვიჩ თქვენ ერთი თვე მოსკოვში დარჩებით და თავდაცვის სამინისტროსა და მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამხედრო-სამრეწველო კომისიისათვის მოამზადებთ წინადადებებს ყველა იმ საკითხზე, რაც შეეხება მიწისზედა რაკეტაწინააღმდეგო რადიოტექნიკური საინჟინრო კომპლექსების შექმნას, ტრანსპორტირებას, ტაქტიკურ-ტექნიკურ პარამეტრებს, ადგილზე მონტაჟს და მის საბრძოლო მდგომარეობაში ჩაყენებას.

დავალევა გასაგები იყო. მიხეილ ზაქსონმა აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა თუ მე აღნიშნულ საკითხებზე მასთან, სასტენდო კორპუსში ვიმუშავებდი. სავინი დაეთანხმა. შეხვედრის ბოლოს სავინმა თავისი მოადგილე საერთო საკითხებში, იოსებ რუდელსონი იხმო და დაავალა ჩემთვის მოსკოვში დიდი ხნით სასტუმრო შეეკეთა და, თანაც, გამოძახებით სამსახურებრივი მანქანა გამოეყო.

სასტუმროში დამით მივედი. მიუხედავად იმ დღეს მიღწეული წარმატებისა, მაინც საბოლოო შედეგზე ვფიქრობდი, რომელიც შემდგომი მოხსენების შემდეგ გაირკვეოდა.

ორშაბათს დილით მივედი “კომეტაში” და შევუკვეთე “საიდუმლო” მასალები, რომლებიც შეეხებოდა: NATO-ს და ამერიკის სამხედრო დოქტრინებსა და კონცეფციებს; ცნობებს ცენტრალური ევროპის საომარი მოქმედების თეატრის შესახებ და მის ოპერაციულ მიმართულებებს; ასევე, მონაცემებს საომარი მოქმედების თეატრის ინფრასტრუქტურის და მთიანი მასივების გადალახვების შესახებ; მდინარეთა და არხების მახასიათებლებს. სპეციალური განყოფილების უფროსმა მითხრა, რომ აღნიშნული ინფორმაციის მოძიება, ალბათ, მხოლოდ სამინისტროს საშუალებით შეიძლებოდა და მას ათი დღე მაინც დასჭირდებოდა.

ჩემი მიზანი იმ მომენტში იყო, გასაშლელი რადიოტექნიკური მიწისზედა კომპლექსისთვის გარდა “პერშინგ-2-ის” აღმოჩენისა კიდევ სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფუნქცია მომეძებნა. ჩავთვალე, რომ ეს იქნებოდა ძირითადი კოზირი მომავალ შეხვედრაზე გამარჯვების მისაღწევად.

შემდეგ, გენერალური კონსტრუქტორის მოადგილეს, პროფესორ იური ივანეს ძეს ვთხოვე, რომ ნებართვა მიეღო, რათა აღნიშნულ საკითხში გენერალური შტაბის აკადემიას, ჩემთვის კონსულტაციები გაეწია სამხედრო საკითხებში. ვიმედოვნებდი, რომ სამხედრო ინჟინრები რაღაც არგუმენტებს მოიფიქრებდნენ და ამაში ჩემი მასწავლებლის, გენერალ-ლეიტენანტ გრიგორი სამოილოვიჩის დიდი იმედი მქონდა.

მეორე დღის ბოლოს, დანილოვმა ტელეფონით გამომიძახა და მითხრა გენერალური შტაბის აკადემიასთან მიღწეული შეთანხმების შესახებ.

საკითხის საბოლოო გადაწყვეტისათვის შემდგომი შეხვედრა დაგვიანდა და იგი მხოლოდ მაისის ბოლოს დაინიშნა, ოღონდ, როგორც ცნობილი იყო, ამჯერად მას გენერალ-ლეიტენანტი ოლეგ ლოსევი გაუძღვებოდა. შეხვედრას, სადაც ჩემი და ჩვენი კონკურენტების მოხსენებები განიხილება, “კომეტიდან” მიხეილ ზაქსონი და იური დანილოვი დაესწრებოდა.

დილით მოხსენებაზე მივედი. ჩვენი კონკურენტი, თავის თანამზრახველებთან ერთად, თავს შინაურულად გრძნობდა. ისინი მასხრობდნენ და ყველას ეკონტაქტებოდნენ. მე კი ჩემთვის ვიდუქი დერეფნის ბოლოს და კვლავ ვაანალიზებდი სათქმელს, მით უმეტეს, რომ ჩემი გამოსვლა მეორე იქნებოდა.

დაიწყო პირველი მოხსენება. კონკურენტმა შესანიშნავი, ოღონდ ინვენტარული, ასაწყობი საინჟინრო კომპლექსი წარმოადგინა და დაასაბუთა, რომ ასეთი კონსტრუქციული სისტემა სრულად აკმაყოფილებდა მისდამი წაყენებულ მოთხოვნებსა და ადგილზე მიტანისა და აწყობის შემდეგ საჭიროების შემთხვევაში, ორ საათში, სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იქნებოდა.

მართალია, ორი საათი საექსპლოატაციო მომზადებისათვის საკმაოდ დიდი, ეგრეთ წოდებული მაქსიმალური, ზღვრული დრო იყო, მაგრამ სხვა მხრივ კონკურენტების მიერ შემოთავაზებულ წინადადებას რაიმე ნაკლი არ გააჩნდა. ისე კი იგრძნობოდა, რომ სისტემის შექმნა არ იყო “ერთი კაცის” ნააზრვეი და იგი კოლექტიური შრომის შედეგი იყო, რაც პროექტში შემოქმედებითი მიდგომის ნაკლებობით წარმოჩნდა.

ასევე, მოხსენებაში არ იყო განხილული მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც შეეხებოდა გადაადგილების პროცედურებს და მანიპულაციებს. ამასთან, რეფლექტორის სტრუქტურა იყო არა გასაშლელი, არამედ ასაწყობ პრინციპებზე აგებული.

ამან ცოტა არ იყოს გამამხნევა. დადგა ჩემი მოხსენების ჯერი. როდესაც დამსწრეთა წინაშე, სადაც უმეტესობა სამხედროები იყვნენ, წარმადგინეს, იქ მყოფთ არავითარი რეაქცია არ გამოუხატავთ.

თითქოს მშვიდად ვიყავი, მაგრამ ეს ასე არ იყო. სხეულით, განცდებით და შემართებით სრულ მზადყოფნაში ვიყავი იმისათვის, რომ იმ დღეს გამარჯვებისთვის მიმედწია. რატომღაც, მოხსენების დაწყების წინ, ბოლო მომენტში თვალწინ ბათუმი და მამაჩემი წარმომიდგა. ეს კარგის მომასწავლებელ ნიშნად მქონდა დაცდილი.

მოხსენება მოკრძალებით და გარკვეულწილად ქართული აქცენტით დავიწყე. პირველად განვიხილე “პერშინგ-2-თან” დაკავშირებული საკითხები:

ამერიკული, საშუალო სიშორის, მობილური ბაზირების, მყარ საწვავზე მომუშავე, ორსაფეხურიანი ბალისტიკური რაკეტა “პერშინგ-2”, რომლის კოდი არის MGM-31G დაამუშავა ფირმა “მარტინ მარიეტმა”. განსხვავებით “პერშინგ-1-საგან”, რომლის ბირთვული ქობანი 400 კილოტონის ეკვივალენტი იყო. “პერშინგ-2-ზე” დამონტაჟდა გაცილებით ნაკლები სიმძლავრის ბირთვული ქობანი, რომლის სიმძლავრე იყო 5-დან 80 კილოტონამდე ეკვივალენტის.

ეს პარამეტრიც მოვიყვანე იმისათვის, რომ განმემარტა “პერშინგ-2-ის” გაცილებით დიდი სიზუსტე დამიზნებისა და, რაც მთავარია, მისი მზადყოფნაში მოყვანის სისწრაფე, რომელიც მოითხოვს მისი ფიქსაციის ინსტრუმენტის უსწრაფეს საბრძოლო მზადყოფნას. ეს თვისება გაცილებით მოკლე დროში რეალიზდება გასაშლელი – ტრანსფორმირებადი სტრუქტურის გამოყენებით, ვიდრე ასაწყობი სტრუქტურებით, რომელიც ჩემს კონკურენტს ჰქონდა წამოდგენილი.

“პერშინგ-2-ის” მოქმედების რადიუსი 1400 კილომეტრამდეა გაზრდილი, მიუხედავად ამისა მისი მიწვდომა საბჭოთა კავშირის თუნდაც ევროპული ნაწილის ნებისმიერ ნერტილში შეუძლებელი იყო იმ შემთხვევაშიც კი თუ მათ ამერიკის შეერთებული შტატები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში განალაგებდნენ. სწორედ ამიტომ 1979 წელს NATO-მ მიიღო გადაწყვეტილება გერმანიაში მხოლოდ 108 «პერშინგ-2-ის» განთავსების შესახებ, რომელსაც დამატა უფრო ნელი, 464 ფრთოსანი რაკეტა BGM-109G, “Томагавк”-ი, რომელიც ასევე იყო მობილური ბაზირების. ამდენად ჩვენ მიერ შექმნილ რადიოტექნიკურ საინჟინრო კომპლექსს, უნდა ჰქონოდა შესაძლებლობები გაეკონტროლებინა ორივე ტიპის რაკეტის სტარტი, რომლებიც შეიძლება ერთი არეალიდან

არც კი ყოფილიყო გაშვებული. ეს კი კიდევ უფრო ამცირებდა კონკურენტის წინადადების ეფექტურობას საბრძოლო მორიგებაზე ფიქსირებულად მიმართული და ამასთან ასაწყობი სტრუქტურების გამოყენებისა.

ამის შემდეგ გადავდივით თვით მობილური, გასაშლელი და სრული ბრუნვის რეჟიმში მომუშავე რეფლექტორული კომპლექსის სქემების და დანადგარის ტაქტიკურ-ტექნიკური პარამეტრების განხილვაზე.

მოხსენების ბოლო ნაწილი დაგუთმე ნაკეთობის დაჩქარებულ ტრანსპორტირებას დანიშნულების ადგილამდე. ფარული ტრანსპორტირების დროს წინა პლანზე წამოვიყვანე გადაადგილების სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის სრული კომპლექსი. ტრანსპორტირებისას ისიც კი იყო განსაზღვრული თუ რა საშუალებით მოხდებოდა მოძრაობის მარშრუტზე დაბრკოლების, თუნდაც ფორსირებული დაძლევა. მოხსენებაში, ასევე იყო განსაზღვრული ნაკეთობის და მისი განთავსების ადგილმდებარეობის შენიღბვა, რომელიც ასევე შეიძლება საჭირო გამხდარიყო რეფლექტორული ანტენის ექსპლუატაციისას.

ბოლოს დასკვნა და რეკომენდაციები წავიკითხე.

მსმენელებმა იგრძნეს, რომ საკითხის მომზადებისას გარდა ჩემი, როგორც ტრანსფორმირებადი სტრუქტურების სპეციალისტისა, წარდგენილ მასალებში, საკითხის კომპლექსური განხილვისათვის, სხვა არაერთი ადამიანის სკურპულოზური შრომა იყო. ეს იყო გენშტაბის აკადემიის სამხედრო-საინჟინრო – გენერალ-ლეიტენანტ გრიგორი სამოილოვიჩის სკოლა.

ყველამ ჩათვალა, რომ მოხსენება დავამთავრე, ამიტომ კმაყოფილი სახით და ოდნავ ღიმილით გენერალ-ლეიტენანტმა ოლეგ ლოსევმა მკითხა – ელგუჯა ვიქტორის ძეგ თუ გაქვთ დამატებით რაიმე სათქმელი. ამხანაგო გენერალო, თუ შეიძლება მოხსენებას გავაგრძელებ – ვუთხარი მე. გენერალი ოდნავ გაკვირებული სახით დამეთანხმა.

პატივცემულ ოლეგ ანდრეევიჩ, რიხიანად განვაგრძე მოხსენება - ამ თვენახევარში ჩავატარე დამატებით გამოკვლევები NATO-ს და აშშ-ის დოქტრინებისა და საბრძოლო მოქმედებების კონცეფციების შესახებ. შევისწავლე მათი ხელოვნება და ახალი სტილი, – ჩვენი მოწინააღმდეგე ცდილობს არა ოპერატიული, არამედ ტაქტიკური ქმედებებით სამხედრო-სტრატეგიული მიზნის მიღწევას. ამან მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ შემოთავაზებული კონკრეტული სისტემით, მარტო მიწისზედა რაკეტების სტარტის აღმოჩენისათვის, საბრძოლო მორიგებაზე ისეთი ძვირად ღირებული რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსის დაყენება, რომელიც დღეს აქ განვიხილეთ არ იქნება სწორი. აუცილებელია გაიზარდოს მათ წინაშე მდგარი ამოცანების სპექტრი. სწორედ ამის შესახებ მინდა მოგახსენოთ.

ჩემს ამ წინადადებებს მოჰყვა კონკურენტი მხარის პროტესტი. მათი რიგებიდან ერთი წამოდგა და ხაზგასმით აღნიშნა – ჩვენ აქ მოვედით კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტის შესაძლებლობის შესარჩევად. რაც შეეხება ფილოსოფიურ მსჯელობებს რასაც ვისმენთ მიმანჩია, რომ ამის არც დრო გვაქვს და არც ადგილი არის შერჩეული სწორად.

ასეთმა განცხადებებმა გენერალ-ლეიტენანტი განრისხებამდე მიიყვანა. მან უბრძანა იქ მყოფთ, რომ მოხსენება გრძელდებოდა და კეთილი ენებათ მოესმინათ იგი.

მოხსენება გაავაგრძელე. აღვნიშნე, რომ 1981 წლიდან ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაიწყო კორექტირება ადრე მიღებული “прямого противоборства”-ს სტრატეგიის.

ახლახან NATO-მ და აშშ-მა წამოაყენეს თავისი სტრატეგიის ახალი კონცეფცია, რომელიც ეფუძნება პრინციპს – “ბრძოლა მეორე ეშელონთან”.

ჩემს გამოსვლას კვლავ მოჰყვა პროტესტი კონკურენტი მხარის დამსწრეთაგან. ორი მათგანი, რომლებიც სამოქალაქო პირები იყვნენ, წამოდგა და წასვლასაც აპირებდა. დანილოვი და ზაქსონი კი გააკვირვებულნი შემომტკეპროდნენ და ერთმანეთსაც გადახედეს, ჩემი წინადადება მათთვისაც მოულოდნელი იყო.

ამ ვითარებაში გენერალ-ლეიტენანტ ოლეგ ანდრეევიჩმა, უკვე მეორედ და ახლა კატეგორიული ტონით თქვა – “ამხანაგებო დაწინარდით”. ელგუჯა ვიქტოროვიჩ, შეგიძლიათ გააგრძელოთ მოხსენება. შემდეგ წამიერად შებრუნდა, გადახედა ჩვენს კონკურენტებს და დინჯად, თითქოს თავისთვის, ოღონდ მათ გასაგონად, წარმოთქვა ფრიდრიხ დიდის ცნობილი სიტყვები – “ომი გამორჩეული ადამიანებისთვის არის მეცნიერება, განათლებული ადამიანებისთვის ხელოვნებაა, უსწავლელთათვის კი ხელობა”.

ახლახან ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და NATO-მ წამოაყენეს თავი სტრატეგიის ახალი კონცეფცია, რომელიც ეფუძნება პრინციპს – “ბრძოლა მეორე ეშელონთან” – განმეორებით განვმარტე ეს კონცეფცია. იგი ძირითადად გულისხმობს საბრძოლო მოქმედების თეატრზე მოწინააღმდეგის შესაძლო ძალების პირველი ეშელონის მოულოდნელ განადგურებას, იმ მიზნით, რომ ისინი არ ჩაერთონ ბრძოლებში.

ძირითადი მიზანი არის ის, რომ საომარი მოქმედებების თეატრზე, მოწინააღმდეგის განთავსების 500 კილომეტრ სიღრმეზე გავრცელდეს ყველა სახის და მათ შორის, სარაკეტო-ატომური იარაღით ზემოქმედება.

ამასთან ბირთვული იარაღის გამოყენება წარიმართება აქტიური “противодействия” სცენარით, რასაც NATO უზრუნველყოფს “применением ядерного оружия по выборочным, разоружающим и “обезглавливающим” методებით.

ყველა შემთხვევაში ჩვენი მოწინააღმდეგეები, განურჩევლად იმისა, თუ რომელ მეთოდს ან მეთოდებს მიანიჭებენ უპირატესობას, პირველ რიგში განიხილავენ სალოკაციო და სატელეკომუნიკაციო სადგურების უმოკლეს დროში, პირველი ერთი საათის განმავლობაში, სრულ განადგურებას.

ამის შედეგად მივიღებთ იმას, რომ მიუხედავად იმისა თუ სად იქნება ჩვენი სადგურები განთავსებული, თუნდაც “боевые соприкосновения”-ს ზონის გარეთ ისინი დიდი ალბათობით შეწყვეტენ ფუნქციონირებას. ამას კი შედეგად მოჰყვება ჩვენი საკომანდო პუნქტების კავშირის შეწყვეტა სამხედრო თანამგზავრების დაჯგუფებასთან, რაც საბოლოო ჯამში გამოიწვევს მათ გათიშვას საბრძოლო მოქმედებისგან, როგორც კოსმოსში ისე დედამიწაზე.

ამდენად ჩვენი უპირველესი ამოცანაა, არის სამალავებში მომზადებული გვყავდეს არა სტაციონარული არამედ მობილური რადიოტექნიკური საინჟინრო კომპლექსები, რომლებიც სულ რაღაც 10-15 წუთში სრულ საბრძოლო მზადყოფნაში დადგებიან საბრძოლო მორიგეობაზე. ეს კი შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ მათი აგება განხორციელდება გასაშლელი, 12-30 მეტრი, რეფლექტორული ანტენის ბაზაზე. სწორედ ეს არის ერთერთი გზა უსწრაფესად აღდგეს კავშირი საბრძოლო თანამგზავრებთან.

ამ ამოცანის გადაწყვეტა, მინიმალური დანახარჯებით არის შესაძლებელი იმ კომპლექსის გამოყენებით, რომელიც მე განვიხილე «პერშინგ-2-ის» სტარტის ადრეული აღმოჩენისას. ამდენად განვიხილავთ უნივერსალურ მობილურ, გასაშლელ რადიოტექნიკურ კომპლექსს გასაშლელი რეფლექტორის ბაზაზე.

შემდეგ გავშალე პლაკატები, სადაც განხილული იყო შესაბამისი სქემები, კონსტრუქციული გადაწყვეტები და ტექნიკურ-ტექნიკური პარამეტრები.

მოსხენება დავამთავრე და საჩვენებელი ჯოხიც დავდე. დარბაზის სრულ სიჩუმეში მიხეილ ბორისის ძეს ხმამაღალი შეძახილი გაისმა – “это же логично, это прекрасно” და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. დარბაზში მყოფთ ჩვენთანავე და კონკურენტებსაც ერთნაირი დაფიქრებული სახეები ჰქონდათ.

სიჩუმე ახლა ოლეგ ანდრევიჩისა დაარღვია – იური ივანოვიჩ, მიმართა მან “комета”-ს გენერალური კონსტრუქტორის მოადგილეს, ჩვენ ამ წინადადებას განვიხილავთ და შედეგს ანატოლი ივანოვიჩს ვაცნობებთო.

ცხადი იყო, რომ ამ ეტაპზე გამარჯვების შანსები ჩვენს მხარეს გადმოვიდა.

შემდეგ მე მიბრძანა – ელგუჯა ვიქტორის ძე, თქვენი მოხსენებიდან გამომდინარე ორ დღეში მოამზადეთ წინადადება თავდაცვის სამინისტროს, რადიომრეწველობის სამინისტროს და მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამხედრო-სამრეწველო კომისიისათვის. მე ვუთხარი, რომ წინადადებები უკვე მზად მაქვს და ისინი აკინძული გადავეცი ოლეგ ლოსევს. გენერალი სამხედრო ჟესტით, უსიტყვოდ ყველას გამოგვემზიდობა და გავიდა საათობირო დარბაზიდან.

ათი დღის შემდეგ სასტუმრო “როსიაში”, 23-ე სართულზე, რესტორანში შამპანიურით აღვნიშნეთ დიდი წარმატება. ჩვენ გავიმარჯვეთ, ამასთან ავიღეთ კიდევ ერთი დიდი პასუხისმგებლობა მნიშვნელოვანი და საინტერესო საქმის კეთებისა.

მეორე დღეს სავინმა კვლავ მიხმო და მომცა საგანგებო დავალება. უსწრაფესად დამეწყო მიწისზედა რაკეტაწინააღმდეგო რადიოტექნიკური კომპლექსის შექმნა და 31-ე ქარხანაში მისი დამზადება, როგორც ცალკეული ფრაგმენტების, ისე მთლიანად მობილური რეფლექტორული რადიოტექნიკური კომპლექსისა და გამომეცადა იგი. აუცილებელი იყო წინასწარ დაგროვებულიყავით კომპლექსის შექმნის რეალობაში. მან ასევე დასძინა, რომ თანხების შეფერხებები არ იქნებოდა და სამუშაოთა კომპლექსის ღირებულებას მთლიანად “კომეტა” დაფარავდა. მან ასევე გამოიკითხა კოსმოსში გასაშლელი, 30-მეტრიანი რეფლექტორის დამზადების და შემდეგ გამოცდების მდგომარეობა. შეეხო საგურამოს და ცემის კომპლექსების მშენებლობას, დასასრულ კი მითხრა რომ, თუ სხვა საქმე არ მქონდა მოსკოვში, თბილისში წამოვსულიყავი, რათა მიმეხედა საქმისათვის.

დავალებების მიღების შემდეგ ვთხოვე ანატოლი ივანეს ძეს, რომ თუ შესაძლებელი იქნებოდა, დავესწრებოდი კონფერენციას, რომელიც მოსკოვში იმ დღეებში იმართებოდა, სადაც ამერიკელი სპეციალისტები განიხილავდნენ ორბიტაზე 18-მეტრიანი გაბარიტის მქონე ძალოვანი მოდულის შექმნის საკითხებს. სავინი ჩაფიქრდა და შემდეგ მითხრა, რომ იგი თანახმა იყო, ოღონდ მის მოადგილეს რეჟიმის დარგში, პოლკოვნიკ ფოკინს დაეკავშირებოდი.

... მოსკოვში არის ცნობილი დაწესებულება – კოსმოსური კვლევების ინსტიტუტი. ამ ორგანიზაციასთან მე ადრეც მქონდა ურთიერთობა. იქ იყო ანტენების ცნობილი გამომყენებელი კარდაშოვი, რომელიც უცხო ცივილიზაციების ძიებით იყო დაკავებული. ამ ინსტიტუტთან თანამშრომლობდა ალექსანდრე დვამინავაც, რომელიც KPT-10-ის ავტორებს შორის იყო. ინსტიტუტის დირექტორი იყო, ასევე ცნობილი აკადემიკოსი რონალდ საგდევევი, რომელიც შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა საცხოვრებლად და ეიზენჰაუერის შვილიშვილი შეერთო ცოლად. აკადემიკოს საგდევეთან მჭიდრო

ურთიერთობა შემდგომშიც დამყარდა. იგი აკადემიკოს ჯუმბერ ლომინაძესთან ერთად სწავლობდა და მისი დიდი მეგობარია. სწორედ ბატონმა ჯუმბერმა შემახვედრა ისევ საგლევეთან და დაეიწყეთ პროექტზე ერთად ფიქრი.

კოსმოსური კვლევებისა ინსტიტუტში შედგა მოხსენება ამერიკელი მკვლევარებისა, რომლებმაც კოსმოსში, “მატლზე”, 18-მეტრიანი მზიდი კარკასი ააწყვეს. ჩემთვის საინტერესო იყო რამდენიმე საკითხის გარკვევა, სწორედ ამიტომ ვთხოვე ჩემს ხელმძღვანელებს გაეშევი კონფერენციაზე. სიმართლე გითხრათ არ ველოდი იმ დიდ წინააღმდეგობას და ფორმალობას, რაც ამ კონფერენციაზე წასვლის შესახებ ჩემმა წინადადებამ გამოიწვია. ჯერ იყო და ფოკინმა, რომელსაც საიდუმლო სამსახური ებარა, დეტალური ანგარიში დამაწერინა, თუ რა მიზნით, და რა საკითხების გარკვევას ვაპირებდი უცხოელებთან. შემდეგ ვიღაცას აზრად მოუვიდა, რომ მე სხვა გვარით და სახელით მივსულიყავი კონფერენციაზე, ბოლოს კი მითხრეს – შეკითხვას შენ ნუ დასვამ, თორემ უცხოელები შენი შეკითხვის მიხედვით შენს კვალიფიკაციას და სამეცნიერო სამუშაოების მიმართულებას დაადგენენო, ამიტომ კაცი გამაყოლეს, რომელიც ჩემთვის საჭირო შეკითხვებს დაუსვამდა მათ. ასეთი სიმკაცრით ასაიდუმლოებდა მოსკოვი თავის მთავარ კონსტრუქტორს ელგუჯა მექმარიაშვილს და იმ სამუშაოს, რასაც მაშინ ვასრულებდი ...

როდესაც კონფერენციის მეორე დღეს, სამსახურში მივედი, ზაქსონის მდივანმა მითხრა, რომ სავინის თანაშემწემ დარეკა და დაიბარა, ელგუჯა ვიქტოროვიჩი 12 საათზე სავინთან უნდა იყოსო. რა თქმა უნდა, ზუსტად 12 საათზე ანატოლი სავინთან ვიყავი მიღებაზე. სავინმა მიმიღო, და ისე, რომ ჩემთვის სამუშაო მაგიდასთან დაჯდომაც არ შემოუთავაზებია, ოღნავი ღიმილით მითხრა, – ელგუჯა ვიქტოროვიჩ, მეცნიერებაში ორი ტიპის ადამიანები გვხვდება: ერთი ჯგუფი მეცნიერებისა, რაიმე მნიშვნელოვანს და ამასთან, ღირებულს არ ამუშავენ, მიუხედავად ამისა, ისინი იცნობენ მთელ სამეცნიერო წრეებს საბჭოთა კავშირშიც და უცხოეთშიც, იციან ვინ და რას აკეთებს, ესწრებიან კონფერენციებს და მონაწილეობას იღებენ ყველა მნიშვნელოვან სამეცნიერო ფორუმში, მათთან ერთად პოზირებენ და იღებენ სამახსოვრო ფოტოებს, და ამით მეცნიერებაში მაღალ ტიტულებსა და საზოგადოებაში დიდ აღიარებასაც აღწევენ. მეორე ჯგუფი მეცნიერებისა კი ძირითადად კვლევებით, ახალი პროექტებით და სიახლის ძიებით არის დაკავებული და უფრო ხშირად, ისინი საზოგადოებაში ნაკლებად პოპულარული ან, კიდევ უფრო სწორად რომ ვთქვათ, ნაკლებად ცნობილი არიან. პირველი ჯგუფი მეცნიერებისა, რომლებიც ცნობილი პიროვნებები არიან საზოგადოებაში, უდავოდ საჭიროა, მაგრამ ისინი, ხშირ შემთხვევაში, არ არიან ნამდვილი მკვლევარები. მეორე ჯგუფი კი, მიუხედავად იმისა, იცნობენ მათ თუ არა, ნამდვილად დასაფასებელია, რადგან ისინი ჭეშმარიტ მეცნიერებას ქმნიან.

როდესაც სავინმა თხრობა დაამთავრა, მკითხა – ელგუჯა ვიქტორის ძევ, შენ რას ფიქრობ ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩემი პასუხი მოკლე და კონკრეტული იყო. ანატოლი ივანოვიჩ – “ნამიოკ პონიალ” და იმ მომენტში მივხვდი, რომ არ იყო “მთლად მიზანშეწონილი” ჩემი დასწრება და მით უმეტეს აქტიურობა “ღია” კონფერენციებში.

ამის შემდეგ, ახლაც, საქართველოშიც მახსოვს ეს სიტყვები, რომლებიც ზოგჯერ მართლაც შეესაბამება სიმართლეს, მაგრამ ბევრი მეცნიერის მიმართ ასეთი სავინისეული მიდგომა, რატომღაც, სწორად არ მიმაჩნია.

მახსოვს, ერთ-ერთ “დახურულ” შეხვედრაზე, ნოვოსიბირსკის ინსტიტუტის – “ატმოსფეროს” დირექტორი, აკადემიკოსი ზუევი აკეთებდა მოხსენებას თავისი სამეცნიერო კონცეფციის შესახებ – თუ არ ვცდები, ატმოსფეროს ზედა შრეებში მიმდინარე მოვლენებზე, რაც უშუალოდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული მყარი საწვავით მომუშავე რაკეტების გაშვებასთან. როგორც გაირკვა, თუ სწორად მახსოვს, რვა-ათი სტარტიდან, საშუალოდ 1 სტარტი რაკეტებისა იწვევდა ატმოსფეროს ზედა შრეში ნაპერწკლების წარმოშობას, რომელთაც ელექტრომაგნიტური ველის ზემოქმედებით, სრულიად განსხვავებული ფორმის მიღება შეეძლო და მათი გამოვლენაც სხვადასხვა სახით შეიძლებოდა. ეს კი გარკვეულ ისტორიებს, რომლებიც კოსმოსიდან მოვლენილ უცნობ საფრენ აპარატებს უკავშირდებოდა, “მიწიერ” ახსნასაც უკეთებდა.

... დახურულ კონფერენციასა და განსაკუთრებით სამუშაოთა მიმართულებების ხელმძღვანელთა სპეციალურ თათბირებზე, რომლებიც სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს სახელწოდებით იყო ცნობილი, მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი იხილებოდა, რომელთა შესახებ ყოველგვარი ინფორმაციის გაცემა უკიდურესად შეზღუდული იყო.

... საერთოდ, როგორც აღვნიშნე, კონფერენციებს ნაკლებად მასწრებდნენ. აი “კომეტაში” კი, სადაც დახურული კონფერენციები იმართებოდა, ყოველწლიურად გამქონდა მოხსენებები. ძალიან კარგად მახსოვს, როდესაც პირველი შედეგებით გამოვედი მოხსენებაზე. დარბაზში მსმენელებს შორის, არც მეტი არც ნაკლები – ისხდნენ და მოხსენებას უსმენდნენ – კოსმოსური ტექნიკის გენერალური კონსტრუქტორი ვლადიმერ პეტრეს ძე გლუშკო; თავდაცვის მინისტრის მოადგილე სერგეი გიორგის ძე გორშკოვი, ფლოტის ადმირალი, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი; თავდაცვის მინისტრის მოადგილე, არმიის გენერალი, ინჟინერი ვიტალი მიხეილის ძე შაბანოვი, სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი; კოსმოსური ტექნიკის გენერალური კონსტრუქტორის მოადგილე იური სემიონოვი, შემდგომში, აკადემიკოსი და სერგეი კოროლიოვის სახელობის სარაკეტო-კოსმოსური კორპორაციის გენერალური კონსტრუქტორი და სხვები.

მოხსენებასთან ერთად პირველ კონფერენციაზე წარვადგინე რეფლექტორული ანტენის სამმეტრიანი მოქმედი მაკეტი. მოხსენების დამთავრებისთანავე ჩამოთვლილი სტუმრები სცენაზე ამოვიდნენ და რეფლექტორული ანტენის დათვალიერება დაიწყეს. ყველამ ყველაფერი იცოდა. იცოდნენ ისიც, რომ თუ საბჭოთა კავშირში ახლო მომავალში დიდი რეფლექტორული გასაშლელი ანტენა გაკეთდებოდა, მისი ავტორი მე ვიქნებოდი, განგებამ ასე ინება ...

... კონფერენციის ბოლოს სავინის თანაშემწე შემოვიდა დარბაზში, ჩემთან მოვიდა და კონფერენციის დამთავრების შემდეგ ანატოლი სავინის მისაღებში მისვლა მოხოვა. მცირე დროის შემდეგ მიხმეს. სავინის კაბინეტში, მოსკოვში ტრადიციად ქცეული, საუფროსო “ჩაეპიტეი” იყო გამართული. სუფრაზე იყო ჩაი გამჭვირვალე მინის ჭიქებში, რომლებიც მოვერცხლილ, კრემლისბარელიეფიან ბუდეებში იყო მოთავსებული, ჩაის კოვზები, დაჭრილი ლიმონი, საშაქრე და “პეჩენიები”. რადგან “ჩაეპიტეი” საუფროსო იყო, “პეჩენიაც”, როგორც წესი, “იუბილეინი” იყო “კრასნი ოქტიაბრის” მიერ წარმოებული.

სათათბირო მაგიდასთან, რომელიც ამჯერად “ჩაეპიტეის” სუფრის როლს ასრულებდა, სულ რამდენიმე პერსონა იჯდა – ანატოლი სავინი, იური დანილოვი, ორი სამოქალაქო პირი და არმიის გენერალი. სწორედ ერთ-ერთი ის პიროვნება, რომელმაც რამდენიმე წუთის წინ დარბაზში დიდი ყურადღებით დაათვალიერა სადემონსტრაციო

მაკეტი კოსმოსური კონსტრუქციისა. ეს იყო თავდაცვის მინისტრის მოადგილე შვიარაღების დარგში, არმიის გენერალი ვიტალი მიხეილის ძე შაბანოვი. სავინმა წარმადგინა სტუმრების წინაშე – ვიტალი მიხაილოვიჩი, აი, ის ახალგაზრდა, ახალი იდეებით, რომელიც ჩვენ თქვენი მოთხოვნების მიხედვით შევარჩიეთ.

შაბანოვმა ჩაის ჭიქა მაგიდაზე დადო, ადგა, ჩემთან მოვიდა, ხელი ჩამომართვა და მითხრა – თქვენი მოსხენება მომეწონა, იგი ყველასგან განსხვავებული იყო. იგრძნობოდა, რომ სისტემების კვლევაში შემოქმედებაც არის და ეს მეტად მნიშვნელოვანია. მჯერა, რომ ანატოლი ივანოვიჩის ნდობას გაამართლებთ. ისე, ქართველები შესანიშნავი კონსტრუქტორები ხართ. შემდეგ დამსწრეებს მიუბრუნდა და თქვა, რომ ნადირაძეს სულ მალე კონკურენტი გაუჩნდებაო. შემდეგ დასძინა, რომ ეს სინამდვილეში ასე არ მოხდება, ვინაიდან ნადირაძე ქმნიდა საბრძოლო ქობინებიან კონტინენტშორის ბალისტიკურ რაკეტებს, ხოლო ეს ახალგაზრდა უფრო შორს წავიდა და სტრატეგიულ სისტემებს ქმნის, რომელიც ღია კოსმოსურ სივრცეში იფუნქციონირებს და უახლოეს მომავალში ამერიკულ სისტემებს დიდი უპირატესობით გაუწევს კონკურენციას.

მან ისევ ჩამომართვა ხელი, ახლა უკვე გამოსამშვიდობებლად და მისურვა წარმატებები. შემდეგ კი სავინს უთხრა, რომ ჩემი სამუშაოს ეფექტურობისთვის აუცილებელი იქნება საზღვარგარეთიდან დაზვერვის მასალებით უზრუნველყოფა.

შაბანოვი კვლავ მიუბრუნდა “ჩაეპიტეის”. მე გამოვემშვიდობე იქ მყოფ პერსონებს და კაბინეტიდან გამოვედი ...

... ერთი სიტყვით, მოსკოვიდან თბილისში “დატვირთული” ჩამოვედი. იმავე დღეს პარტიის ცკ-ში ჯერ თავდაცვის განყოფილებაში მივედი და შემდეგ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანს, ბორის ნიკოლსკის შევხვდი. პირველ რიგში მოვახსენე თავდაცვის მინისტრის მოადგილესთან, არმიის გენერალ შაბანოვთან ჩემი შეხვედრის შესახებ, რამაც იგი ძალიან დააინტერესა და მითხრა, რომ ამის შესახებ მოახსენებდა ცკ-პირველ მდივანს. ვუამბე ახალი დავალების მიღების შესახებ, რაც მიწისზედა კომპლექსების შექმნას უკავშირდებოდა და ვთხოვე აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით თათბირი მოწვეულიყო. მან იქვე კალენდარზე თათბირის მოწვევის დღე და საათი მონიშნა. შემდეგ თავდაცვის განყოფილების უფროსს სელექტორით მისცა დავალება – ზეგ, პირველ საათზე, შეკრიბე ყველა შემსრულებელი, რომელიც “ანტენის” თემატიკასთან არის დაკავშირებული, თათბირი ჩემთან ჩატარდება. პირადად მინდა გავეცნო ბოლო ვითარებას. შემდეგ ჰკითხა აღექსანდრე მიხაილოვს – სახელმწიფო სამხედრო-სამრეწველო კომისიიდან რა ისმოდა. პასუხი გაურკვეველი იყო.

სელექტორზე საუბრის შემდეგ ბორის ნიკოლსკის განუმარტე, რომ მოსკოვი სპეციალურად აჭიანურებდა ВПК-ს გადაწყვეტილების მიღებას. ისინი თვლიდნენ, რომ სამუშაო რთული და მეცნიერებატევადი იყო. ამდენად, იყო დიდი ალბათობა იმისა, რომ ელოდებოდნენ ექსპერიმენტული ნაკეთობის საქართველოში პირველადი გამოცდების შედეგებს. ნიკოლსკი ჩაფიქრდა. შემდეგ კი მითხრა – ელგუჯა ვიქტორის ძეგ, ხომ ხედავთ, ყველაფერი შენზეა დამოკიდებული.

ცენტრალურ კომიტეტში მიღებული ახალი იმპულსები საკმარისი აღმოჩნდა ყველა ჯგუფისათვის, რომ მაქსიმალური დაძაბვით და ენთუზიაზმით ამოქმედებულიყო. საქმეები და სამუშაოები მთელი სვლით მიიწვედა წინ.

1984 წლის სექტემბრის ბოლოს უკვე აგებული იყო რამდენიმე სტენდი საგურამოში, რომელიც ნაკეთობის გამოცდის საშუალებას იძლეოდა. 31-ე ქარხანაში დამზადდა და

საგურამოს სასტენდო კომპლექსში გამოიკადა გასაშლელი კოსმოსური ბაზირების ორი 30-მეტრიანი დიამეტრის მქონე გასაშლელი რეფლექტორი, რომელთა გამოცდებმა კარგი შედეგი აჩვენა.

და მაინც, ისევ მინდა აღვნიშნო თუ რას ნიშნავს განმარტება, რომ 30-მეტრიანი გასაშლელი კოსმოსური რეფლექტორის გამოცდებმა კარგი შედეგი აჩვენა.

ერთი შეხედვით, საქმეში ჩაუხედავი ადამიანისთვის, როგორც ნაწილობრივ ადრე აღვნიშნე, ეს მარტივი პროცედურა უნდა იყოს – საკმარისია, ოცდაათმეტრიანი რეფლექტორის დაკეცილი პაკეტი, რომლის სიგრძე არის სამი მეტრი და სიგანე – ორი მეტრი, სულ რამდენიმე წამში ან წუთში უნდა გაიხსნას და დაიკავოს გაშლილი, 30-მეტრიანი დიამეტრის მქონე რეფლექტორის შესაბამისი ფორმა.

მაგრამ კოსმოსური ბაზირების გასაშლელი რეფლექტორის დედამიწის პირობებში ექსპერიმენტული შესწავლა და მისი გამოცდები ძალიან რთული, ხანგრძლივი და მაღალტექნოლოგიური პროცედურაა. ინტენსიური პროცესებით მისი ჩატარების შემთხვევაშიც, ერთი ციკლის სრულად გამოცდას მინიმუმ სამი-ოთხი თვე მაინც სჭირდება.

ეს პროცესები რამდენიმე სტენდის მონაცვლეობით გამოყენებას მოითხოვს და მოიცავს: კონსტრუქციის მექანიკურ გაუწონადობას და ჰიდროგაუწონადობას; რეფლექტორის ეკრანის მრავალი წერტილის კოორდინატების უზუსტეს გაზომვებს, რათა შემოწმდეს მათი მაქსიმალური გადახრა საპროექტო მდგომარეობიდან, რაც არ უნდა აღემატებოდეს $0,1 \pm 0,7$ მმ-ს; რეფლექტორის ეკრანის მრავალი წერტილის გეომეტრიული პარამეტრების ზუსტ გამეორებადობას რეფლექტორის მომდევნო და მრავალჯერადი გახსნის დროს; რეფლექტორის კონსტრუქციაში ძაბვის შემოწმებას და მის შედარებას თეორიულ მაჩვენებლებთან; კონსტრუქციის დინამიკის შესწავლას და ამ ვითარებაში მაქსიმალური გადახრის და რხევის სიხშირის და ფორმის დადგენას, რაც ძალიან გართულებულია დედამიწის პირობებში; რეფლექტორზე, სხვადასხვა სურათით და ზომით, მაღალი და დაბალი ტემპერატურული ველების ზემოქმედების სხვადასხვა კომბინაციის შესწავლას კონსტრუქციის ცალკეული კვანძების გადაადგილების გათვალისწინებით; სისტემის ელექტროამპრაჟების, ელექტრული და მექანიკური პარამეტრების შესწავლას; ეკრანის ბადის – განსაკუთრებული შედგენლობის ლითონის ტრიკოტაჟული ბადის არაწრფივი დეფორმაციის ფაქტორების გამორკვევას; 30-მეტრიანი რეფლექტორის რადიოპარამეტრებზე შემოწმებას, რომელიც მოითხოვს რამდენიმე სტენდის გამოცვლის აუცილებლობას და რეფლექტორის ეკრანის გეომეტრიული ფორმის შენარჩუნებას, რაც ასევე რთულია გრავიტაციის პირობებში და ასე შემდეგ. მხოლოდ საბოლოო ეტაპზე მოწმდება გაშლა, ფორმის ფიქსაცია, გაშლის დროს გაუთვალისწინებელი ბმების “ზაცეპკების” წარმოქმნა და კიდევ სხვა მრავალი ფაქტორი, რომ არაფერი ვთქვათ 30-მეტრიანი რეფლექტორის დაკეცილი სატრანსპორტო პაკეტის მინიმალური ზომების მიღწევაზე.

... ბორჯომის მაღალმთიან ზონაში პოლიგონის მშენებლობასთან ერთად, დამზადდა და გამოიკა მიწისზედა რადიოტექნიკური კომპლექსის სტაციონარული მოდელები.

შეიძლება ითქვას, რომ სამეცნიერო და ტექნოლოგიური პრობლემები უკვე დაძლეული იყო და ახლა შესაძლებელი იყო ცენტრისთვის მომეხსენებინა სამუშაოთა შედეგები, რასაც ჩემი ვარაუდით მოსკოვში ელოდნენ, რათა ВПК გადაწყვეტილება მიეღოთ.

მოსკოვში სამი თვით წავედი. თან ჩემი ახალმოყვანილი მეუღლე მანანა ტყეშელაშვილი მახლდა.

სამი თვის განმავლობაში მოსკოვიდან მრავალ ქალაქში მომიწია მივლინება და მრავალ მნიშვნელოვან ღონისძიებაში მივიღე მონაწილეობა. მათ შორის იყო ცენტრალური სამრეწველო-საწარმოო გაერთიანება “კომეტის” იუბილე, რომელიც სასტუმრო “როსიას” დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა.

“კომეტის” შექმნას დასაბამი მისცა 1934 წელს ქარხანა “მოსპრიბორის” შექმნამ.

1937 წელს “მოსპრიბორმა” გამოუშვა პირველი საბჭოთა საბავშვო ველოსიპედები, რომელთა დემონსტრირება მოხდა საშვიდნოემბრო აღლუმზე, რამაც იოსებ ბესარიონის ძე ძალიან გაახარა. ამის აღსანიშნავად ქუჩას, სადაც ახლა “კომეტა” მდებარეობს, ეწოდება “ველოზავოდსკოე”. შემდეგ, ეტაპობრივად, “მოსპრიბორი” “კომეტად” გარდაიქმნა და უკვე სამხედრო კოსმოსური თანამგზავრების და მათზე განთავსებული ნაკეთობების დამზადება დაიწყო.

პრეზიდენტში მეც მიმიწვიეს. პირველი ოფიციალური განყოფილება საიუბილეო საღამოსი, სადაც მეც გადავეცი მისასალმებელი “ადრესი” “კომეტას”, დამთავრდა. მეორე განყოფილების დაწყებამდე იქვე სასტუმრო “როსიას” საკონცერტო დარბაზის განცალკევებულ ფოიეში სტუმრებისათვის საზეიმო სუფრა იყო მოწყობილი – სტუმრებს შორის უმეტესობა «военноначальник»-ები და სამხედრო მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელობა იყო. სავინმა გვერდით დამიყენა და ვისაც კი გაესაუბრებოდა, პირველ რიგში ეტყოდა – ეს ჩვენი თბილისელი მთავარი კონსტრუქტორია, იგი დიდი ზომის გასაშლელი კოსმოსური რეფლექტორის შექმნაზე მუშაობს, რომელიც ბალისტიკური რაკეტის სტარტის აღმოჩენის კოსმოსური სისტემების უმთავრესი ინსტრუმენტი იქნებაო. არ ვიცი რატომ გააკეთა სავინმა ასეთი სვლა. ვფიქრობ, ჩემს წარმოჩენაზე უფრო, იგი ცდილობდა, რომ იქ მყოფთ გაეგოთ და სამომავლოდ გაეთვალისწინებინათ, რომ დიდი კოსმოსური ანტენის შექმნის პატრონაჟი გენერალურ კონსტრუქტორ ანატოლი სავინს ჰქონდა სახელმწიფოს მეთაურებისაგან დავალებული.

რაც შეეხება მოვლენებს იმ სამი თვის განმავლობაში, მოსკოვიდან ჩავედი ლენინგრადში, დნეპროპეტროვსკში სადაც КБ “იუჟნაიას” გენერალური დირექტორი ლეონიდ კუჩმა იყო და წლის დასასრულს, უკვე ხარკოვში ვიყავით.

1985 წელს ხარკოვში შევხვდით, სასტუმრო “მირში”. ახალი წლის სამზადისი სასტუმრო “მირის” რესტორანში ორი დღით ადრე დაიწყო. მეც შევუკვეთე ადგილი. 31-ში საღამოს 10 საათზე დავიკავეთ ადგილი. ერთი ახალგაზრდა, სიმპათიური ქალი გვემსახურებოდა. რესტორნის შეზარხოშებული სტუმრები დროს ატარებდნენ. ვინ ვისთან ცეკვავდა და ვინ მღეროდა ძნელი გასარჩევი იყო. ჩვენი სიმპათიური მიმტანი ქალი კარგი მსმელიც გამოდგა. ისეთი დოზით ჰქონდა მიღებული ალკოჰოლი, რომ სადღაც შუა ღამის შემდეგ, როდესაც წამოსვლა დავაპირეთ, ვეძებე, მაგრამ ვერსად ვიპოვე. ბოლოს გვითხრეს დასაძინებლად წავიდაო და ფული სხვას გადაუხადა.

1985 წელი მოვლენათა მრავალმხრივობით აღინიშნა, განსაკუთრებით დამამახსოვრდა წლის დასაწყისი. «კვბს» პოლკოვნიკმა მურმან შელიამ მიმიწვია კომიტეტში და მითხრა, რომ ალექსი ინაურს სურდა ჩემი ნახვა. დრო აღარ დაგვიკარგავს და მისი კიბინეტისკენ გავეშურეთ. კაბინეტში ჯერ მურმან შელია შევიდა, შემდეგ მეც დამიძახეს. გამაკვირვა კაბინეტის სისადავემ და საერთოდ იქ არსებულმა ვითარებამ. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ იქ ზედმეტი ნივთი არ იყო და ყველაფერი უპრეტენზიოდ “ბოლშევიკური სისადავით” იყო მოწყობილი. ალექსი ინაური, ერთი შეხედვით, ძალიან უბრალოდ და ადამიანური უშუალოებით შემხვდა. გამომკითხა – თუ როგორ და განსაკუთრებით რა პირობებში ვაკეთებდი რეფლექტორულ ანტენას, რა ხდებოდა მშენებლობაზე, რას ვსაქმიანობდი მოსკოვში და ა.შ. კითხვებში იგრძნობოდა, რომ მოსკოვიდან სრული ინფორმაცია ჰქონდა მიღებული ჩემს შესახებ და ეს კითხვა-პასუხი არა საქმის, არამედ პიროვნული თვისებების გამოსავლენად უფრო სჭირდებოდა. შემდეგ იგი მონოლოგზე გადავიდა. აღნიშნა, რომ საბჭოთა რესპუბლიკებში არიან ადამიანები, რომლებიც ძალიან დიდ საქმეებს აკეთებენ და მათ დაცვა და ხელის შეწყობა სჭირდებათ. ასევე, მიუთითა მოსკოვის წინადადებაზე, იქ სამხედრო უწყებაში ჩემი მუშაობის აუცილებლობის შესახებ და რა თქმა უნდა, ჩემს მოადგილედ «კვბს» პოლკოვნიკის დანიშვნის შესახებაც განაცხადა. ერთი სიტყვით, მან გაამხილა ის, რასაც მოსკოვიდან ჩამოსვლის შემდეგ ველოდი.

ამის შემდეგ ალექსი ინაურის შავი ვოლგა, ხშირად მოულოდნელად სტუმრობდა საგურამოს სასტენდო კომპლექსს ...

«კვბს» თანამშრომლებს – “მოქმედი რეზერვის” სტატუსით, რომლებიც ჩემთან მუშაობდნენ თბილისში და მოსკოვშიც, არ მახსოვს, რომ ტაქტი დაერღვიოთ. ისინი ყოველთვის აფიქსირებდნენ, რომ მათ ხელი უნდა შეეწყოთ ჩემი სამუშაოებისათვის და არასდროს გადმოულახავთ ეს მიჯნა.

ჩემი სამუშაოს გარკვეულწილად აკონტროლებდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი. მისი ცალკეული თანამშრომლები, მოსკოვშიც და თბილისშიც, კურირებდნენ ჩვენს საქმიანობას. საკითხი შეეხებოდა სახელმწიფო საიდუმლოს დაცვას; სამუშაოს მსვლელობისას სხვადასხვა განსაკუთრებული მნიშვნელობის ხელშემშლელი პირობების დაფიქსირებას, პროფილაქტიკას და აღმოფხვრას; ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებების განეიტრალებას, რაც შეიძლებოდა გარკვეულ დივერსიასთან ყოფილიყო დაკავშირებული; სამუშაოს შესახებ ლეგენდების შექმნას; კონტრდაზვერვას და, დასასრულ თვით თანამშრომლების მიერ საიდუმლოს დაცვას.

ამ მხრივ, საერთო მიდგომების მიუხედავად, მოსკოველებთან შედარებით სრულიად განსხვავებული პოზიცია ჰქონდათ ქართველ “ჩეკისტებს”. ორივე ჯგუფი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა თითქმის ერთსა და იმავე ინსტრუქციებს ასრულებდა, მაგრამ სხვა იყო მიდგომები თბილისში. მიუხედავად ზოგიერთი თანამშრომლის ცბიერი და ღვარძლიანი დამოკიდებულებისა, საქართველოს კონტინგენტი, რომელიც ჩვენს საქმეზე იყო განპირობებული, ქართული საქმის სამსახურის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომელთა შორის იყვნენ: ბესარიონ თევდორაძე, ბიჭიკო გოქსაძე, ლევან შანიძე, ნიკოლოზ პირუმოვი, ტარიელ ჩხიკვაძე, დავით ჩიხლაძე, გიორგი ბახტაძე და გიორგი გლოველი, ასევე, მურმან

შელია, თედო ბარკალია, თამაზ სალუქვაძე, კოტე ბასილაშვილი, ზაზა მაზმიშვილი და სხვები.

მათ შექდეს ის, რომ დღეს, აბსოლუტური უმრავლესობა დოკუმენტებისა, რომლებიც საიდუმლოების დაცვის ძალიან მაღალი გრიფით, სულ “ზემოთ” გამოიცემოდა, თბილისში, ინსტიტუტში ყოფილიყო, რამაც საშუალება მოგვცა სრულად და დოკუმენტური დასაბუთებით შემოგვენახა და წარგვედგინა ჩვენი – ქართველების საქმის განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა.

ასე რომ, როდესაც ადამიანებზე ვსაუბრობთ, რომლებიც საქართველოს უშიშროებაში მუშაობდნენ, ისევე როგორც პარტიული მუშაკები, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართველობამ იმ პერიოდშიც, ნაწილობრივ მაინც, შეძლო თავისი სახისა და სულის შენარჩუნება და მიუხედავად იმისა, რომ თაობები ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ყალიბდებოდა, უშიშროებაშიც იყვნენ “ეჭვიანი”, მაგრამ პატიოსანი ადამიანები ...

... ამასობაში, მშენებლობა საგურამოს სასტენდო ბაზაზე სულ უფრო და უფრო აჩქარებული ტემპით მიმდინარეობდა და ამაში, როგორც ცენტრის, ისე რესპუბლიკური ხელმძღვანელობის დიდი წვლილი იყო.

მახსოვს, ერთ-ერთ თათბირი ცკ-ში, მეორე მდივანთან. იგი ჩემმა სკოლის მეგობარმა, ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორმა, რომელიც მოგვიანებით 31-ე ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი იყო, შემდეგ კი ჩვენთან ინსტიტუტში მუშაობდა, მამია ჯორბენაძემ და, ასევე, შესანიშნავმა და მცოდნე პიროვნებამ, თემურ მესხიშვილმა მოამზადეს თავდაცვის განყოფილებიდან, რომელსაც ალექსანდრე მიხაილოვი ხელმძღვანელობდა. თათბირზე დაისვა საკითხი მშენებლობაში ჩამორჩენის შესახებ. ყველა სამშენებლო უწყებას ვახსენებდი მათ დაპირებებს ხარისხსა და მშენებლობის ვადებზე.

ისინი კი სდუმდნენ და ჩემს საყვედურებს შენიშვნების გარეშე დებულობდნენ. ამაზე ძალიან აღელდა ცკ-ის მეორე მდივანი ბორის ნიკოლსკი. მან უსაყვედურა მშენებლებს, რომ ისინი არ მეწინააღმდეგებოდნენ. შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. თათბირს ბატონი იოსებ ხარატიშვილიც ესწრებოდა. მან დინჯად, კახური სიდარბაისლით, ოღონდ რუსულად, წარმოთქვა – ბორის ნიკოლაევიჩ, ეს, ალბათ ერთადერთი შემკვეთია, რომელიც მშენებლებიდან “წილს” არ იღებსო, ამიტომ არის ასეთი აგრესიული და მომთხოვნი შემკვეთი. ეს, თითქოს მასხრობით იყო ნათქვამი, მაგრამ ისე კი ზუსტი განმარტება იყო შექმნილი სიტუაციისა. თათბირის მომზადებისას და მიმდინარე საკითხების განხილვისათვის პრობლემის გადაწყვეტაში აქტიურად იყვნენ ჩაბმული მინისტრთა საბჭოს თანამშრომლები, განსაკუთრებით კი თემურ ლობილაძე და გუჯა შაბათავა. მინისტრთა საბჭოში ხშირი და საქმიანი თანამშრომლობა გექონდა.

... ყოველდღე მატულობდა სამუშაოების სერიოზულობის მაჩვენებელი.

მე, კვლავ, დიდი ხნით მოსკოვში მომიწია საქმიანობა.

ამჯერად მე და მიხეილ ბორისის ძემ მივიღეთ დავალება, კრემლის ეზოში, დიდი კარის უკან მდგარ შენობაში, სადაც მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამხედრო-სამრეწველო კომისია იყო განთავსებული, БНК-ს გადაწყვეტილების მომზადების საბოლოო ეტაპზე, სამუშაოთა ცალკეული შემსრულებლებისაგან მიგველო დადებითი ვიზები. ეს არ იყო მხოლოდ მეცნიერის საქმე და იგი უფრო მოითხოვდა მეცნიერების ორგანიზატორის და დარგის პოლიტიკის ცოდნას და პროფესიულ ჩვევებს.

დაწესებულებების, უწყებებისა და თვით სამინისტროების ხელმძღვანელობასთან საკითხების საბოლოო შეთანხმებისათვის, მათი ურთიერთგამომრიცხავი ინტერესების შეთანხმებისა და დასასრულ დადგენილების ფორმულირებებისადმი მათი თანხმობის მიღწევისათვის დიდი ჯაფა დაგვაძღა.

ჩვენ, ფაქტობრივად, მოგვიწია ხელახლა ამოქმედება “მანქანისა”, რომელშიც ჩართულნი იყვნენ გენერალური და მთავარი კონსტრუქტორები, გენერალური დირექტორები, სამხედროები და თვით საკავშირო სამინისტროს ხელმძღვანელები. ВПК-ს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ბევრი გამტყუნება და გამართლება იყო.

მახსოვს კოსმოსური ხომალდის შერჩევისათვის, ერთ-ერთ ვარიანტად განიხილებოდა “პროგრეს-40”, რომელიც ს.პ. კოროლიოვის სახელობის გაერთიანება “ენერჯის” მფლობელობაში იყო. სავინმა მითხრა, რომ გავყოლოდი მას “ენერჯის” გენერალურ კონსტრუქტორთან, აკადემიის წევრ-კორესპონდენტ იური სემიონოვთან, სადაც განიხილავდა “პროგრეს-40-ის” შესაძლო გამოყენებას 30-მეტრიანი რეფლექტორული ანტენის მიმაგრებისათვის.

პოდლიპკებში, პოდმოსკოვიეში, სადაც “ენერჯის” სათავო სამეცნიერო სტრუქტურები და საწარმოები არის განთავსებული, დილით სავინის მანქანით წავვედი. სემიონოვი გულთბილად შეეგება სავინს. მე ოფიციალურად მომიკითხა. სავინმა განუმარტა საკითხის არსი, შეახსენა მას, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მას ესაუბრნენ ВПК-ში.

შეხვედრა ერთ საათზე მეტხანს გაგრძელდა. სემიონოვი აღფრთოვანებული იყო საკითხის მნიშვნელობით და ტექნიკური გადაწყვეტითაც. ამასთან, მთელი საუბრის განმავლობაში, არცერთი შეკითხვა არ დაუსვამს და არც რაიმე განსხვავებული შეხედულება ან კრიტიკული აზრი საკითხისადმი არ გამოუხატავს.

შეხვედრა დამთავრდა. მე და სავინი, ასევე, “გულთბილად” გამოგვაცილა გენერალურმა კონსტრუქტორმა. მე გახარებული ვიყავი შეხვედრის მსვლელობით. სავინი კი მოღუშული ჩაჯდა მანქანაში. როდესაც მანქანა დაიძრა, სავინმა ლაზათიანი, რუსული ფრაზა წარმოთქვა – “იადრიონა მატ”. შემდეგ არც შემობრუნებულა ისე დამიწყო საუბარი: ელგუჯა ვიქტოროვიჩ, როდესაც ისეთ პრობლემურ საკითხზე, როგორც 30-მეტრიანი რეფლექტორის კოსმოსურ ხომალდზე განთავსებაა და ხომალდის გენერალური კონსტრუქტორი კი ერთი საათის განმავლობაში მხოლოდ აღფრთოვანებას გამოხატავს და კრიტიკა, ან რაიმე შენიშვნა არ აქვს, ჩათვალე რომ იგი თვალთმაქცობს და ამ საქმიდან არაფერი გამოვა. შემდეგ კი დაამატა – სემიონოვმა ვერ მოინელა ის, რომ აკადემიაში აკადემიკოსად არჩევის დროს მე მას ხმა არ მივეციო. ასეთი ფაქტის და განსაკუთრებით მისი სავინისეული გაშიფრვა ჩემთვის მაშინ სიახლე იყო. შემდეგ ყოველთვის ყურადღებით ვაკვირდებოდი შეხვედრების მსვლელობებს და გარკვეულწილად ჩემთვის მნიშვნელოვან დასკვნებს ვაკეთებდი.

ასეთი იყო დამოკიდებულება სამხედრო მრეწველობის გენერალურ კონსტრუქტორებს შორის. ისინი “ფეოდალები” იყვნენ და არავის აპატიებდნენ საკუთარი ინტერესების სფეროებში შეჭრას, თუნდაც ეს მათი ქმედება ზოგჯერ სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგაც ყოფილიყო.

... მოსკოვში შევიტყვე, რომ თბილისში ცვლილება მოხდა. ეღუარდ შევარდნაძე მოსკოვში, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად გადაიყვანეს და პოლიტიბიუროს წევრად აირჩიეს. საქართველოში კი ცენტრალური კომიტეტის პირველ

მდივნად ჯუმბერ პატიაშვილი დაინიშნა. ამ დროს, ბაზების მშენებლობა უკვე დაწყებული იყო და ბატონი ჯუმბერი, ბორის ნიკოლსკისთან, დიმიტრი ქართველიშვილთან და მთელ ქართულ სახელისუფლებო პირველ პირებთან ერთად, სწორედ საგურამოში, მშენებარე ბაზაში მოვიდა.

ცკ-ს ახალ პირველ მდივანთან შესახვედრად სასტენდო კომპლექსის მშენებლებიც სრული შემადგენლობით იყვნენ წარმოდგენილნი – იოსებ ხარატიშვილი, ვანო ყიფიანი, ელგუჯა ბუბუტეიშვილი, რეზო თოფურია, ვიქტორ ბოტეზატი, გრიშა გორდინი, გივი გამყრელიძე, იუზა თოფურია, იუზა ხარაბაძე, სერგო თევზაძე, თამაზ კოპალეიშვილი, ელდარ ჩუბინიძე და ანზორ დოლიძე იმ დღეს, როგორც იტყვიან, შესანიშნავ “ფორმაში” იყვნენ.

ჯუმბერ პატიაშვილმა დეტალურად დაათვალიერა სამუშაოები, როგორც მშენებლობის, ისე ანტენის შექმნის მხრივ. შემდეგ კი მკითხა – ღირდა თუ არა, რომ იმ დღეს სპეციალური თათბირი გაემართა და თავისი აზრი გამოეთქვა. მე ვუთხარი, რომ არ იყო საჭირო ამის გაკეთება, სანამ იგი გენერალურ კონსტრუქტორს, აკადემიკოს ანატოლი საეინს არ შეხვედებოდა და უშუალოდ მისგან გაიგებდა იმ მოსაზრებების შესახებ, თუ რა გეგმებს ისახავდნენ თავდაცვის სამინისტრო და რადიომრეწველობის სამინისტრო ჩვენს მიმართ, მით უმეტეს, რომ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამხედრო-სამრეწველო კომისიის გადაწყვეტილებაზე უკვე ინტენსიურად ვმუშაობდით მოსკოვში. ბატონი ჯუმბერი დამეთანხმა.

ამის შემდეგ იგი ხშირი სტუმარი და თანმხლები იყო საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრების, მინისტრების, აკადემიის პრეზიდენტების და ვიცე-პრეზიდენტების, სამხედრო-სამრეწველო კომისიის თავმჯდომარეებისა და სხვა სტუმრების, რომლებიც გეგმაზომიერად მოსკოვიდან, “ცენტრიდან” და “ზემოდან” მიღებული დავალებებით მოდიოდნენ ბაზაში ...

... არ შეიძლება არ აღვნიშნო ჯუმბერ პატიაშვილის განსაკუთრებული მხადრაჭერა ჩემ მიერ წარმოებულ საქმიანობაში, მისი პასუხისმგებლობა, როგორც რესპუბლიკის ხელმძღვანელის წინაშე დასმული, აღნიშნული ამოცანების რეალიზაციისა, და დასასრულ, ამ პიროვნების განსხვავებული პატივისცემა კოსმონავტიკისა და ამ დარგის მკვლევრების მიმართ. ეს კიდევ დამატებითი ფაქტორი იყო მისი ჩვენდამი და პირადად ჩემს მიმართ უშუალო დამოკიდებულებისა.

... მახსოვს საგურამოში მოვიდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, აკადემიკოსი გური მარჩუკი – შემდეგ იგი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი გახდა. მან დაათვალიერა საგურამოს სასტენდო კომპლექსი. მას «ВПК» გადაწყვეტილებაზე ჰქონდა ხელი მოსაწერი, სადაც ჩვენს მიმართ ბევრი დავალება იყო და ის საკითხებიც მოიკითხა.

შემდეგ კი მითხრა – კარგია დიდ და ზუსტ რეფლექტორებს რომ აკეთებთ, მაგრამ იაპონიაში ყოფნის დროს ვნახე რეფლექტორული ანტენა, რომელიც დეფორმაციის შემთხვევაში თვითონ იცვლის ზედაპირის ფორმას. ასე რომ, ბევრი უნდა იშრომოს, რომ იაპონელებს დაეწიოთ. მე პასუხი დავაგვიანე. დელეგაციის ჩვენს წევრებს გადავხედე იმ მოტივით, რომ გამეგო – შევპასუხებოდი თუ არა აკადემიკოსს. ნიკოლსკიმ ჩერქეზიას გადახედა და ნახევრად მასხრობით, მითხრა – რა იყო ელგუჯა ვიქტორის ძე, რატომ შეეყოვნდი, ნუთუ მართლა გვჯობიან იაპონელები.

მეც ასეთ მომენტს ველოდი და პირდაპირ ვუპასუხე ბატონ მარჩუკს – თქვენ რომ ანტენა ნახეთ იაპონიაში, იგი კოსმოსური რეფლექტორი კი არ არის, არამედ დედამიწის პირობებისათვის არის განსაზღვრული. ამას გარდა, აღნიშნული ანტენა არც გასაშლელია, მას დიდი წონა აქვს და მისი უმეტესი ნაწილი სწორედ სიზუსტის შემსრულებელ მექანიზმზე მოდის. მისი ფასი 12-ჯერ აღემატება ჩვეულებრივი ანტენის ფასს და დასასრულ, ანტენის ზედაპირის დეფორმაციების განსაზღვრის ლოკაციის დასრულების შემდეგ, თვით კომპიუტერს დაახლოებით 5÷7 წუთი სჭირდება ამოცანის ოპტიმიზაციისათვის.

ამდენად, აქ საკითხი ეხება მათემატიკურ მოდელს, კომპიუტერულ ტექნიკას, ფულსა და წონას და არა თვით ანტენის კონსტრუქციას. სწორედ ამ პრობლემების გათვალისწინებით აკეთებენ მოწინავე სახელმწიფოებში და მათ შორის იაპონიაში უფრო მარტივ, ეგრეთწოდებულ “გობოლოგიურ” რეფლექტორულ ანტენას, რომელიც ორიენტაციის შეცვლის შემთხვევაში, სიმძიმის ძალის მოქმედებით იცვლის ზედაპირის ფორმას და კვლავ იღებს პარაბოლოიდის ფორმას, ოღონდ ზედაპირი განსხვავებულია, რომლის შესაბამისად შესწორებები ხდება არა ზედაპირის გეომეტრიის შეცვლით, არამედ ფოკალურ კონტეინერში განთავსებული დამსხივებლის ორიენტაციის ცვალებადობით.

ეს სიტყვები ერთი ამოსუნთქვით მივახალღე მარჩუკს. უბრალოდ არ მინდოდა, რომ მას ქართველებისათვის ნიშანი მოეგო.

მარჩუკმა ჯერ გაიღიმა, შემდეგ კი სერიოზულად წარმოთქვა, რომ მართლაც რეალური დროის რეჟიმში მათემატიკურ და პროგრამულ უზრუნველყოფაშია ამ ამოცანის ძირითადი სირთულე. შემდეგ კი ნახევრად მასხრობით მითხრა – თქვენ კი დღეს, აკადემიკოსს, “ერთით – ნოლი” მოუგეთ.

როდესაც მარჩუკმა საგურამოს სასტენდო კომპლექსის და 30-მეტრიანი კოსმოსური რეფლექტორის გაცნობა დაამთავრა, ბორის ნიკოლსკის ჰკითხა, თუ სად შეიძლებოდა სერიოზულად ესაუბრა სამომავლო საკითხებზე. მე მათ ჩემი კაბინეტი შევთავაზე ლაბორატორიულ კორპუსში. ისინიც დამთანხმდნენ და როდესაც მეორე სართულზე ავედით, საკონფერენციო დარბაზის ღია კარიდან რბილი სკამების რიგები გამოჩნდა. გარეთ ცხელოდა. მარჩუკმა გადაწყვიტა, საკონფერენციო დარბაზი, სადაც მუქი ფარდები იყო ჩამოფარებული ფანჯრებზე და შედარებით დიდი სივრცე იყო, უფრო გრილი და მყუდრო იქნებოდა ვიდრე ჩემი კაბინეტი. ამიტომ იქ შევედით და ყველანი დავსხედით.

მარჩუკმა მომმართა. ელგუჯა ვიქტოროვიჩ, თქვენ ჩემს სახელზე უნდა მოამზადოთ წერილი, სადაც განსაზღვრული უნდა იყოს ყველა ის წინადადება, რაც ახალი სტრატეგიული სამხედრო ტექნიკის შექმნასთან გაგაჩნიათ. ეს შეეხება როგორც კოსმოსურ, ისე მიწისზედა სამხედრო-საინჟინრო კომპლექსებს. გარდა ამისა, აღწერეთ რა დროში და როგორი ორგანიზაციული ფორმით წარმოგიდგენიათ მისი რეალიზება. საუბრისას ცოტა ხნით შეჩერდა და დააზუსტა – მოდი, ამ დოკუმენტს “პროგრამა” დაარქვითო. ამასთან, მან ნიკოლსკის სთხოვა, რომ თუ შესაძლებელი იყო, წერილის სამთავრობო ფოსტით გადაეგზავნათ მისთვის.

შემდეგ მოულოდნელად ადგა, საათს დახედა და თქვა – ჩვენ უკვე აეროპორტში ვაგვიანებთო და სტუმრები წავიდნენ.

ვიდრე მარჩუკის წინადადების მიხედვით პროგრამას დავწერდი და მოსკოვში გადავაგზავნიდი საქართველოს ხელმძღვანელების და საკავშირო რადიომრეწველობის

მინისტრთან შეთანხმებით ВПК-ში კიდევ ერთი ინიციატივა შევიდა, რომელშიც აღნიშნული იყო:

В целях дальнейшего развития этих работ Центральный Комитет Коммунистической партии Грузии (т. Патиашвили), Совет Министров Грузии ССР (т. Картвелишвили) и Министерство радиопромышленности (т. Плешаков) сакავშირო მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტში და მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამხედრო-სამრეწველო კომისიაში. обратились с предложением об образовании на базе существующего научно-конструкторского подразделения Грузинского политехнического института имени В.И.Ленина специального конструкторского бюро с самостоятельным расчетным счетом”...

ეს სვლა კი უდავოდ საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ჯუმბერ პატიაშვილის დამსახურება იყო.

საბოლოოდ სპეციალური სახელმწიფო საკონსტრუქტორო ბიუროს შექმნის შესახებ წინადადებით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, ნიკოლოზ რიჟოვს, წერილობით მიმართეს საბჭოთა კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა გური ივანეს ძე მარჩუკმა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სახელმწიფო სამხედრო-სამრეწველო კომისიის თავმჯდომარემ, ლეონიდ ვასილის ძე სმირნოვმა. ისინი თავის წერილში ნ. რიჟოვს წერდნენ – «Как для дальнейшего совершенствования системы предупреждения о ракетном нападении, так и для создания других средств, определяющих приоритетное направление развития вооружения и военной техники, полагаем целесообразным согласиться с предложением об образовании специального конструкторского бюро.

Программа работ для указанного конструкторского бюро будет утверждена решением Комиссии Президиума Совета Министров СССР по Военно-Промышленным Вопросам».

სამთავრობო გადაწყვეტილება ჩემი – ელგუჯა მექმარიაშვილის სამუშაოებისათვის სპეციალური დაწესებულების შექმნის შესახებ განისაზღვრა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანხმობით:



– შეიცვალა თბილისის ორგანიზაციის სახელწოდებაც. ადრე არსებულ სტუდენტთა საკონსტრუქტორო ბიურო – “მშენებელს” 1982 წლიდან ეწოდა სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო – “M-19”, ახლა კი იგი სახელმწიფო სტატუსის, დამოუკიდებელი სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო გახდა, ისეთი როგორც იყო კოროლიოვის, ტუპოლევის და სხვა ორგანიზაციები.

რაც შეეხება თვით ორგანიზაციის დაქვემდებარებას, ამ საკითხის გადასაწყვეტად თბილისში გენერალ-ლეიტენანტი ოლეგ ლოსევი და სამხედრო კოსმოსური ტექნიკის გენერალური კონსტრუქტორი ანატოლი სავინი ჩამოვიდნენ. ორივეს საბჭოთა კავშირის გმირის ოქროს ვარსკვლავები ამშვენებდა. ჯუმბერ პატიაშვილთან ისინი პირდაპირ აყენებდნენ საკითხს, რომ უნდა გამოვსულიყავით უმაღლესი სკოლის სამინისტროს შემადგენლობიდან და დავექვემდებარებოდით რადიომრეწველობის სამინისტროს.

ამ წინადადებას საქართველოში მომხრეებიც ჰყავდა და მოწინააღმდეგეებიც. პირადად მე რადიომრეწველობის სამინისტროს ვარიანტს ვუჭერდი მხარს. ეს ნაკარნახები იყო მხოლოდ ერთი მოტივით – მეტი თავისუფლება, მეტი დაფინანსება და თბილისში 9-სართულიანი ლაბორატორიული კორპუსის აშენება ვახუშტის ხიდთან, საბურთალოზე და ა.შ.

მოწინააღმდეგეებში აღმოჩნდნენ ჩემი მასწავლებელი თეიმურაზ ლოლაძე, რომელსაც მხარს ჩემი გუნდის ზოგიერთი წევრიც უჭერდა – მერაბ ადგიშვილი და მიხეილ ჯანიკაშვილი. ლოლაძე თვლიდა და ეს აზრი მან ჯუმბერ პატიაშვილს მიაწოდა, რომ სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო უმაღლესი სკოლის სამინისტროში უფრო “ქართული” იქნება ვიდრე რადიომრეწველობის სამინისტროში. ეს, რა თქმა უნდა, არ იყო სწორი, ვინაიდან ასეთი გადაწყვეტის შემთხვევაში, ბაზები, რომლებიც ჩვენთვის უმთავრესი ღირებულების იყო, ბატონ იური მეიშვილს, ქარხანა «ЭБТ»-ს ანუ რადიომრეწველობის სამინისტროს რჩებოდა და, საბჭოთა კავშირის დაშლამდე, კიდევ დარჩა და იყო მის ბალანსზე.

თვით ოლეგ ლოსევი ძალიან საინტერესო პიროვნება იყო. იგი, რადიომრეწველობის მინისტრის მოადგილისა და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის ფუნქციებს ასრულებდა, მანამაღე კი ლიბანის რევოლუციის ლიდერის – კადაფის მრჩეველი გახლდათ.

გაგუსწრებ მოვლენებს და აღვნიშნავ, რომ თავდაცვის სამინისტრომ მას დაავალა ეხელმძღვანელა საუწყებათაშორისო ჯგუფისათვის, რომელსაც სწორედ დიდი რეფლექტორული ანტენების ბაზაზე უნდა შეექმნა კოსმოსური, აქტიური რადიოტექნიკური კომპლექსი, რომელიც აღმოაჩენდა სტარტს რაკეტებისა, კიდევ გაანადგურებდა მათ და შედეგსაც გააკონტროლებდა. ამდენად, ახალი ამოცანა, რომელიც ჩემს წინაშე ახლო მომავალში დადგებოდა შეეხებოდა სხვადასხვა სამხედრო უწყებას. უფრო მეტიც, რაკეტის ჩირაღდნის აღმოჩენისათვის გამოყენებული იყო ახალი მეთოდი – პლაზმური გამოსხივება, რაც კიდევ უფრო საიმედოს ხდიდა სისტემას.

... ოლეგ ლოსევი ძალიან მოწესრიგებული პიროვნება – ნამდვილი კადრის უმაღლესი წოდების სამხედრო ოფიცერი იყო. როდესაც იგი ბორჯომში ჩამოვიდა, ბაზაში მიმდინარე სამუშაოების შესამოწმებლად, საღამო იყო. მას ტელეფონით რაიკომის მდივანი თემურ პეტრიაშვილი დაუკავშირდა და სთხოვა 10 საათზე მასთან შეხვედროდნენ და შემდეგ წასულიყვნენ ბაზაში. ჩვენ და ლოსევიც სანატორიუმ “ლიკანში” დავბინავდით. დილით

ლოსვეის მანქანა 9 საათსა და 00 წუთზე მომადგა და მითხრა, რომ წავსულიყავით. საინტერესოა, მაგრამ ფაქტია, რაც ოლეგ ლოსვემა მითხრა იმ დილით – რაიკომის მდივნებთან ნახევარი საათით ადრე მივდივარ მათ კაბინეტთან და ვემზადები მათთან სასაუბროდ, ხოლო მინისტრებთან 1 საათით ადრე მივდივარ, რაც შეეხება პოლიტიურის წევრებს, იქ ორი საათით ადრე უნდა გამოვცხადდეო ...

ურთიერთდაპირისპირება და ჭიდილი თუ ვის დაქვემდებარებაში უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი სტრუქტურის მქონე სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო, კიდევ თითქმის ერთ წელს გაგრძელდა.

... 1985 წლის ბოლოს გამოვიდა სამხედრო-სამრეწველო კომისიის პირველი გადაწყვეტილება, სადაც, ერთი მხრივ, დაკანონდა საქართველოში 1981 წლიდან წარმოებული სამუშაოები და მათი დაფინანსების საკითხები და მეორე მხრივ, განისაზღვრა ამოცანები შემსრულებლების მიხედვით, როგორც კოსმოსში – ბალისტიკური რაკეტების სტარტის ადრეული აღმოჩენის სისტემის, ისე მიწისზედა რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსების მხრივ.

ВПК-ს გადაწყვეტილებას ხელს აწერდა საკავშირო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სახელმწიფო სამხედრო-სამრეწველო კომისიის თავმჯდომარე იური დიმიტრის ძე მასლიუკოვი.

მოსკოვი ქართველების სამუშაოებს კოსმოსურ და მიწისზედა სამხედრო-საინჟინრო ტექნიკაში მოწონებით, გარკვეული სიფრთხილით და დროში გაჭიმული ქმედებებით შეხვდა. მათ ორ წელზე მეტი დრო მოანდომეს აღნიშნული ВПК-ს გადაწყვეტილების მიღებას და იგი მიიღეს მაშინ, როდესაც საქართველოს წინადადებებსა და პროგრამებში ყველა საკითხი პრინციპულად, მეცნიერულად, ტექნიკურად და ტექნოლოგიურად უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა.

განსაკუთრებით ღირებულია ის ფაქტი, რომ საქართველომ ცენტრიდან წამოიღო და განავითარა დიდი კოსმოსური გასაშლელი კონსტრუქციული სისტემების მთელი მეცნიერებატევადი, მაღალტექნოლოგიური და პერსპექტიული მიმართულება მათი შექმნით, თეორიული და ექსპერიმენტული კვლევებით, დამზადებით და წინასაფრენოსნო გამოცდებით. ეს სრული ტექნოლოგიური ციკლი, ნაკეთობის ფინიშტექნოლოგიით, დიდი მონაპოვარი იყო, რომელიც მომავალშიც გამოადგება ჩვენს ქვეყანას.

კონკრეტულად საქართველოში შეიქმნა მსოფლიოში უნიკალური, დიდგაბარიტიანი კოსმოსური კონსტრუქციების მიწისზედა აწობისა და სრულმასშტაბიანი გამოცდის სასტენდო კომპლექსი. მის შემადგენლობაში შევიდა რეკორდული ზომის ჰიდროაუზი, სადაც “ჰიდროუწონობის” პირობებში ხდება კოსმოსური ტექნოლოგიების აპრობაცია. ჰიდროაუზის დიამეტრი 40 მეტრია, ხოლო სიმაღლე – 21 მეტრი. მისი სასარგებლო ტევადობა 20000 მ³-ია.

აშენდა კონსტრუქციათა აწობისა და მათი მექანიკური უწონობის პირობებში გაშლის 40-მეტრიანი დიამეტრის მრგვალი სტენდი. ლითონის ბლოკებისაგან შედგენილი მისი იატაკი პრეცეზიულია და საშუალებას იძლევა მისი ზედაპირის სიზუსტის 0,1 მმ-ის ფარგლებში რეგულირების.

განსაკუთრებით შთამბეჭდავია მექანიკური უწონობის პირობებში კონსტრუქციათა გაშლის 36მX36მX36 მ. ზომის დიდი სტენდი. მას აქვს შენობაში განთავსებული მოძრავი პლატფორმა, რომლის ზომაა 32მX32 მ. და რომელზეც უწონობის სისტემაა მოწყობილი.

РЕШЕНИЕ

ГОСУДАРСТВЕННОЙ КОМИССИИ СОВЕТА МИНИСТРОВ СССР
ПО ВОЕННО-ПРОМЫШЛЕННЫМ ВОПРОСАМ

№ 16

Москва, Кремль

12 декабря 1985 г.

О работах по созданию антенн космического
и наземного базирования

В целях обеспечения работ по дальнейшему развитию и совершенствованию средств обнаружения стартующих баллистических ракет, заданных постановлением ЦК КПСС и Совета Министров СССР от 22 мая 1985 г. № 465-150, Государственная комиссия Совета Министров СССР по военно-промышленным вопросам решила:

I. Принять предложение Минрадиопрома и Совета Министров Грузинской ССР о проведении в 1985-1989 годах научно-исследовательских и экспериментальных работ, направленных на создание развертываемых и перебазированных антенн, в том числе:

- наземных антенн для перебазированного командного пункта системы "УС-КМО";
- наземных и космических развертываемых и перебазированных фазированных антенных решеток для дальнейшего совершенствования системы "УС-КМО";
- космических развертываемых антенн диаметром 30-50 и более метров для построения радиоканала обнаружения системы "УС-КМО";
- наземных перебазированных антенн диаметром 30 и более метров для экспериментального наземного радиометрического поста обнаружения стартующих баллистических ракет по излучению их плазменных образований в диапазоне СВЧ.

ВП-20490сс

2. Возложить:

- на Минрадиопром (ЦНПО "Комета") - руководство работой в целом, разработку и изготовление радиотехнических средств и оказание содействия Грузинскому политехническому институту имени В.И.Ленина Минвуза Грузинской ССР в материальном обеспечении научно-исследовательских и экспериментальных работ по созданию разворачиваемых и перебазированных антенных систем космического и наземного базирования;
- на Минвуз Грузинской ССР (Грузинский политехнический институт имени В.И.Ленина) - разработку, создание и исследование конструкций разворачиваемых и перебазированных антенн космического и наземного базирования, создание экспериментальной базы и проведение испытаний;
- на Минавиапром (Тбилисское авиационное производственное объединение имени Г.М.Димитрова) - изготовление конструкций экспериментальных антенн;
- на Академию наук СССР (Институт проблем механики) - разработку математических моделей антенн и принципов гиросtabilизации, ориентации и управления космическими комплексами, оснащенными этими антеннами;
- на Минвуз Белорусской ССР (Гродненский государственный университет) - теоретическое исследование конструкций разворачиваемых антенн космического базирования;
- на Минлегпром СССР (Всесоюзный НИИ текстильно-галантерейной промышленности) - разработку и изготовление отражателей антенн и радиопрозрачных укрытий нежесткого типа;
- на Госстандарт (Всесоюзный НИИ радиофизических измерений) - измерение характеристик антенн;
- на Минмонтажспецстрой СССР (Руставский завод металлических конструкций, Грузглавмонтажспецстрой) - изготовление и монтаж металлоконструкций стенов сборки и испытаний антенных систем космического и наземного базирования;
- на Минстройдогмаш (Руставский краностроительный завод) - изготовление комплектующих механизмов для опорно-поворотных систем наземных перебазированных антенн;

ВП-20490сс

- на Минстрой Грузинской ССР - проведение общестроительных работ по созданию стендов для сборки и испытаний антенных систем космического и наземного базирования.

3. Утвердить представленный Минрадиопромом и согласованный с Минобороны (ПВО) и другими заинтересованными министерствами и ведомствами план основных работ по созданию развертываемых и перебазируемых антенн космического и наземного базирования согласно приложению, предусматривающий разработку, изготовление, исследования и испытания в 1985-1989 годах экспериментальных образцов антенн для дальнейшего совершенствования системы "УС-КМО".

Минрадиопрому, Минавиапрому, Минстройдормашу, Минлегпрому СССР, Минмонтажспецстрою СССР, Академии наук СССР, Минстрою Грузинской ССР, Минвузу Грузинской ССР, Минвузу Белорусской ССР обеспечить проведение работ, предусмотренных указанным планом.

4. Финансирование работ, предусмотренных настоящим решением, производится по договорам с Минрадиопромом (ЦНПО "Комета").


Д. МАСЛКОВ

Приложение

к решению Государственной Комиссии Совета
Министров СССР по военно-промышленным
вопросам от 12 декабря 1985 г. № 16

П Л А Н

основных работ по созданию развертываемых и перебазирующихся
антенн космического и наземного базирования

№ п/п	Наименование работ	Исполнители работ	Сроки выполнения работ
✓ 1.	Разработка технического предложения по созданию развертываемой антенны космического базирования для радиоканала обнаружения системы "УС-КМО"	ЦНПО "Комета" Минрадиопрома, Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина Минвуза Грузинской ССР, Институт проблем механики АН СССР, Гродненский Государственный университет Минвуза Белорусской ССР	II квартал 1986г.
✓ 2.	Создание стенов сборки и испытаний антенных систем космического и наземного базирования: в районе селения Сагурамо Мцхетского района Грузинской ССР в районе селения Тба Боржомского района Грузинской ССР	Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина Минвуза Грузинской ССР, Министрой Грузинской ССР, Руставский завод металлических конструкций и Грузглавмонтажспецстрой СССР	II квартал 1986г. II квартал 1986г.
✓ 3.	Изготовление трех экспериментальных образцов развертываемой антенны диаметром 30 м для радиоканала обнаружения системы "УС-КМО"	Тбилисское авиационное ПО им. Г.М. Димитрова Минавиапрома (в части изготовления конструкций экспериментальных антенн), Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина Минвуза Грузинской ССР, Всесоюзный НИИ текстильно-галантерейной промышленности (ВНИИТГП) Минлегпрома СССР	первый образец - II квартал 1987г. второй образец - I квартал 1988г. третий образец - IV квартал 1988г.

ВП-20490сс

№ п/п	Наименование работ	Исполнители работ	Сроки выполнения работ
✓ 4.	Разработка эскизного проекта антенной системы радиоканала обнаружения системы "УС-КМО" с проведением экспериментальных работ	ЦНПО "Комета" Минрадиопрома, Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина Минвуза Грузинской ССР, Институт проблем механики АН СССР, Гродненский государственный университет Минвуза Белорусской ССР	I квартал 1988
✓ 5.	Исследования и испытания экспериментальных образцов развертываемой антенны диаметром 30 м для радиоканала обнаружения системы "УС-КМО"	ЦНПО "Комета" Минрадиопрома, Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина Минвуза Грузинской ССР, Институт проблем механики АН СССР	II квартал 1988
✓ 6.	Разработка технического задания на наземную антенну для перебазирующегося командного пункта системы "УС-КМО"	ЦНПО "Комета" Минрадиопрома, Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина Минвуза Грузинской ССР	I квартал 1988
✓ 7.	Изготовление экспериментального образца наземной антенны для перебазирующегося командного пункта системы "УС-КМО"	Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина Минвуза Грузинской ССР, Руставский краностроительный завод Министройдормаша, ВНИИТГП Минлегпрома СССР	II квартал 1988
✓ 8.	Исследования и испытания экспериментального образца наземной антенны для перебазирующегося командного пункта системы "УС-КМО"	ЦНПО "Комета" Минрадиопрома, Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина Минвуза Грузинской ССР	II квартал 1988
✓ 9.	Разработка технического задания на фазированные антенные решетки для построения радиоканала обнаружения системы "УС-КМО"	ЦНПО "Комета" Минрадиопрома, Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина Минвуза Грузинской ССР	III квартал 1988

ВП-20490сс

6.

№	Наименование работ	Исполнители работ	Сроки выполнения работ
12.	Изготовление, исследования и испытания экспериментальных образцов фазированных антенных решеток для построения радиоканала обнаружения системы "УС-КМО"	Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина Минвуза Грузинской ССР, ЦНПО "Комета" Минрадиопрома	IV квартал 1968

Начальник секретариата
Комиссии

Б. Чуприн Б. ЧУПРИН

отп 10 экз мк № ВП-20490сс
13 12 85 шв

საგურამოს სასტენდო კომპლექსს აქვს 30 მეტრამდე დიამეტრის კოსმოსური რეფლექტორების მიწისზედა პირობებში რადიოპარამეტრებზე ტესტირების ბრუნავი მოწყობილობა, რომლის დიამეტრია 36 მეტრი, ხოლო სიმაღლე – 18 მეტრი. მასზე ჩამაგრებულ ლითონის თევზში – ანტისტაპელში განთავსდება კოსმოსური რეფლექტორული ანტენა, ამით ხდება გრავიტაციისაგან რეფლექტორის დეფორმაციების მოხსნა და იგი სრული ბრუნვის რეჟიმით, საშუალებას იძლევა რეფლექტორული ანტენის რადიოტესტირებისა შორეული დასხივების მეთოდით.

ანტისტაპელში განთავსებული, გაშლილი კოსმოსური რეფლექტორი, გაშლის დიდი სტენდიდან, მბრუნავ მოწყობილობაზე გადაადგილდება სარკინიგზო პლატფორმით.

სასტენდო კომპლექსების ტერიტორიაზე განთავსებული იყო ლაბორატორიული კორპუსი და სხვა ნაგებობები.

აღსანიშნავია ისიც, რომ საგურამოს სასტენდო კომპლექსში შევქმელი იმ ტექნოლოგიური ციკლის რეალიზება, რომელიც სრულფასოვნად შეესაბამება თანამედროვე კოსმოსური ტექნიკის შექმნას და მის მოთხოვნებს.

ასევე, შეიქმნა ცემის საცდელი პოლიგონი. იგი განკუთვნილია მიწისზედა მობილური კონსტრუქციებისა და რადიოტექნიკური კომპლექსების მთიან, ექსტრემალურ და რთული კლიმატურ-მეტეოროლოგიურ პირობებში გამოსაცდელად.

შეიქმნა 30 მეტრი დიამეტრის კოსმოსური გასაშლელი რეფლექტორული ანტენის რამდენიმე საცდელი ვარიანტი. დასასრულს უახლოვდება უკვე გამოცდილი მიწისზედა რაკეტაწინააღმდეგო რადიოტექნიკური კომპლექსის ფუნქციური კონსტრუქციის დამზადება.

აი ასეთი პოზიციით შევხვდით ВПК-ს პირველ გადაწყვეტილებას, სადაც ყველა აღნიშნული, უკვე ჩატარებული სამუშაო, მხოლოდ სამომავლოდ იყო განსაზღვრული შესასრულებლად. ეს დიდი წინსვლა ქართულ სამეცნიერო-ტექნოლოგიური სკოლის აღიარება იყო. შედეგებმაც არ დააყოვნა.

და მაინც რა იყო ჩვენი სამუშაოს ძირითადი სამხედრო სტრატეგიული და ოპერატიული ფუნქციები. თუ მკითხველს ამ საკითხებში გარკვევის სურვილი აქვს, გავაცნობ რუსულენოვან ინტერნეტსაიტს ვიკიპედიაში, რომელშიც პროორიტეტულად არის განხილული და შეფასებული ბალისტიკური რაკეტების სტარტის აღმოჩენის სისტემა “УС-КМО”, რომლის ახალი კომპლექსების შექმნა ВПК-ს გადაწყვეტილებით სწორედ ჩვენ, ქართველებს დაგვეკავალა.

«Система предупреждения о ракетном нападении– специальная комплексная система для обнаружения запуска баллистических ракет, вычисления их траектории и передачи в командный центр противоракетной обороны информации, на основе которой фиксируется факт нападения на государство с применением ракетного оружия и принимается оперативное решение об ответных действиях. Состоит из двух эшелонов – наземные РЛС и орбитальная группировка спутников.

Работы по созданию РЛС дальнего обнаружения (ДО) начались в 1954 г. после принятия решения Правительства СССР о разработке предложений по созданию противоракетной обороны (ПРО) Москвы. Ее важнейшими элементами должны были стать и РЛС ДО для обнаружения и определения с высокой точностью координат ракет противника и головных частей на расстоянии нескольких тысяч километров. ამ სამუშაოებში, ადრეულ პერიოდში, აქტიურად იყო ჩართული პროფესორი მიხეილ ზაქსონი.

ახლა რაც შეეხება კოსმოსურ ეშელონს.

В соответствии с проектом системы предупреждения о ракетном нападении, помимо надгоризонтных и загоризонтных РЛС в нее должен был входить и космический эшелон. Он позволял значительно расширить ее возможности за счет способности обнаруживать баллистические ракеты практически сразу после старта.

Главным разработчиком космического эшелона системы предупреждения был (ჩვენი შემკვეთი და ერთიანი სამუშაოს წარმმართველი) ЦНИИ «Комета», а за разработку космических аппаратов отвечало КБ им.Лавочкина (რომელსაც ასევე, ევალეობოდა ჩვენი უზრუნველყოფა კოსმოსური აპარატით).

К 1979 году была развернута космическая система раннего обнаружения стартов МБР из четырех космических аппаратов (КА) УС-К (система «Око») на высокоэллиптических орбитах. Для приема, обработки информации и управления космическими аппаратами системы в Серпухове-15 (70 км от Москвы) был построен пункт управления СПРН. После проведения летно-конструкторских испытаний система первого поколения УС-К была принята на вооружение в 1982 году. Она предназначалась для наблюдения за континентальными ракетоопасными районами США. Чтобы обеспечить круглосуточное наблюдение, необходимо было иметь на орбите не менее четырех космических аппаратов одновременно. В действительности же, для обеспечения надежности и достоверности наблюдений в состав группировки должны были входить девять спутников. Это позволяло иметь необходимый резерв на случай преждевременного выхода

спутников из строя. К тому же, наблюдение велось одновременно двумя либо тремя КА, что снижало вероятность выдачи ложного сигнала от засветки регистрирующей аппаратуры прямым или отраженным от облаков солнечным светом. Такая конфигурация из 9 спутников была впервые создана в 1987 году.

В дополнение с 1984 года на геостационарной орбите размещался один КА УС-КС (система «Око-С»). Он представлял собой тот же базовый спутник, несколько модифицированный для работы на геостационарной орбите.

Увеличение числа ракетопасных районов потребовало обеспечить обнаружение стартов БР не только с континентальной территории США, но и из остальных районов земного шара. В связи с этим ЦНИИ «Комета» приступил к разработке системы второго поколения для обнаружения стартов БР с континентов, морей и океанов, которая являлась логическим продолжением системы «Око». Название этой системы было УС-КМО.

ვიკიპედიაში გამოქვეყნებული УС-КМО სწორედ ის სისტემაა, რომლის მოდერნიზაციაშიც განსაკუთრებული წვლილი ჩვენ – საქართველოს და ქართველებს მიგვიძღოდა და, როგორც აღვნიშნე, ეს ყველაფერი ВПК-ს № 16 გადაწყვეტილებებშია დაფიქსირებული (იხ. გვ. 97).

ВПК-ს გადაწყვეტილების ზედაპირულად გაცნობაც კი საკმარისია იმისათვის, რომ გავერკვეთ, თუ რატომ და რისთვის იყო საჭირო საქართველოში შექმნილი დიდი, გასაშლელი კოსმოსური რეფლექტორული ანტენების განთავსება კოსმოსურ ორბიტებზე. გადაწყვეტილების მიღებამ დღის წესრიგში დააყენა ბალისტიკური რაკეტების სტარტის აღმოჩენის პერსპექტიული УС-КМО-ს ისეთი სისტემის შექმნა, რომლებიც სამხედრო მიზნებისათვის, გეოსტაციონარული ან კვაზიგეოსტაციონარული ორბიტებიდან, საბრძოლო მორიგეობის რეჟიმში, დღე-ღამის ნებისმიერ დროს და ნებისმიერი ამინდის შემთხვევაში გააკონტროლებდნენ დედამიწაზე ბალისტიკური რაკეტების სტარტებს, წყალქვეშა ნაგების გადაადგილებას და მრავალ სხვა ამოცანას, მათ შორის მფრინავი ობიექტების გადაადგილების კოორდინატებს. ასეთი შესაძლებლობები კი მოითხოვს დიდ რეფლექტორულ ანტენებს. მაგალითისათვის შეიძლება განვიხილოთ სანტიმეტრული სიგრძის ელექტრომაგნიტურ ტალღებზე მომუშავე 30 მეტრი დიამეტრის მქონე რეფლექტორები, რომლებიც 300 კილომეტრზე ანთებულ ასანთის დერსაც კი ამჩნევენ.

მოსკოვიდან მივიღეთ დავალება, რომ პერსპექტიული სამუშაოებისათვის დაგვეპროექტებია 90 მეტრი დიამეტრის მქონე სპეციალური შენობა, რომელშიც აიწყობოდა და გამოიცდებოდა 80 მეტრი დიამეტრის გასაშლელი კოსმოსური რეფლექტორი. ტერიტორია ნაგებობისათვის ბაზის ტერიტორიასთან ახლოს ან მის მომიჯნავედ უნდა ყოფილიყო. პროექტირებისას საჭირო იყო ტერიტორიის მონიშვნა, რასაც ჩვენი გეოდეზისტები ასრულებდნენ. მუშაობისას ისინი გადაეყარნენ გეოდეზისტების სხვა ჯგუფს, რომლებიც, როგორც გაირკვა, იქვე ტერიტორიაზე ტრანსკავკასიური რკინიგზის მაგისტრალის მონიშვნას აწარმოებდნენ. მოხდა ისე, რომ ერთსა და იმავე ტერიტორიაზე პრეტენზია გვქონდა ჩვენ – კოსმოსური სამხედრო ტექნიკის შემქმნელებს და ახალი სარკინიგზო ხაზის, თბილის-მოსკოვის, ტრანსკავკასიური მაგისტრალის მშენებლებს. ახლა საკითხი მოსკოვში უნდა გადაწყვეტილიყო. ველოდით გადაწყვეტილებას, თუ რომელ სამუშაოს მიანიჭებდა მოსკოვი

უპირატესობას. ერთი თვეც არ იყო გასული, რომ დამიბარეს საქართველოს მინისტრთა საბჭოში, სადაც მითხრეს – შეგიძლიათ გააგრძელოთ თქვენი სამუშაოები, სარკინიგზო ტრასა გადაადგილდეს. ეს, იმ დროს, ჩვენი პრესტიჟის აღიარება იყო. ამას მოჰყვა ის, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება – ბაზის ირგვლივ, 2 კილომეტრის რადიუსით, არავითარი მშენებლობა არ წარმოებულყო ჩვენთან შეთანხმების გარეშე. ეს გადაწყვეტილება იმით იყო განპირობებული, რომ ჩვენს ირგვლივ ტერიტორიაზე უბრალო შედუღების აპარატის ამუშავებაც კი იწვევდა ცვლილებებს კოსმოსური ანტენის ტესტირებაში. ასე რომ, ჩვენს ბაზაზე წარმოებული ექსპერიმენტული კვლევები ეკოლოგიურად უკიდურესად სუფთა გარემოს მოითხოვდა.

ასეთმა რეალობამ ჩვენში რომანტიზმის გაძლიერება და, ცოტა არ იყოს, ეიფორიული განცდები გაზარდა. ეს არც იყო გასაკვირი. ქართველები თანამედროვე და პრიორიტეტული კოსმოსური ტექნიკის შექმნაში, სახელმწიფოს მიერ წინა პლანზე იყენებდნენ დაყენებული და მათ აუცილებლად უნდა შეექმნათ ორბიტული ტექნიკის უმნიშვნელოვანესი ნაკეთობა – დიდგაბარტიანი, გასაშლელი, რეფლექტორული ანტენა, რომელიც კომპლექსში კოსმოსურ აპარატთან იქნებოდა დაკავშირებული და ერთდროულად იფუნქციონირებდა უკიდურეს კოსმოსში. ამას ემატებოდა მიწისზედა, რაკეტაწინააღმდეგო, მობილური რადიოტექნიკური კომპლექსების შექმნა და საერთოდ საქართველოში კოსმოსური ტექნიკის შექმნის და გამოცდების უნიკალური სასტენდო კომპლექსების აგება.

ასე რომ, განცდები, ემოციები და თვით სამუშაო დიდი იყო, როდესაც “ჰორიზონტზე” მოულოდნელად გამოჩნდა კიდევ ერთი, მეტად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო დავალება.

აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებით მე ჯერ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, შემდეგ მინისტრთა საბჭოში, ბოლოს კი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში გამომიძახეს. სათანადო დავალებები და, რაც მთავარია, ინსტრუქტაჟი გამიწიეს სამუშაოს განსაკუთრებულ გასაიდუმლოებულ რეჟიმში ჩატარებისა. ცოტა მოგვიანებით კი მომავალ სამუშაოსთან დაკავშირებით ახალი “ლეგენდა” შეიქმნა, რომელსაც არა მარტო უცხო პირებისათვის, არამედ თვით, უკლებლივ ყველა ჩვენი თანამშრომლისათვის უნდა შეექმნა ილუზია, რომ მათი ახალი საქმიანობა შეეხება კოსმოსური ტექნოლოგიების მშვიდობიანი მიზნით გამოყენებას და სამშენებლო კონსტრუქციისა და ნაგებობის შექმნას. მათი გამოყენების არეალი ასევე თითქოს მოიცავდა სპორტის სასახლეების, საგამოფენო პავილიონების და სხვა დიდმალიანი შენობების გადახურვის სისტემის შექმნას.

რეალურად ამოცანის არსი და დანიშნულება პირადად მე და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ზოგიერთ საქმესთან უშუალოდ დაკავშირებულ მოსამსახურეებს უნდა სცოდნოდათ.

სრულყოფილად ინფორმაცია სამუშაოს შესახებ, საკავშირო მინისტრის ბრძანების გაცნობის შემდეგ და მომდევნო პერიოდში გახდა ჩემთვის ცნობილი.

საბჭოთა კავშირში დღის წესრიგში იდგა ამერიკული “ვარსკვლავთომების” საპირწონე პროგრამის “რაუნდის” რეალიზება.

სანამ საკითხს შევეხებოდე, უფრო დაინტერესებული მკითხველისათვის ცოტა რამ “ვარსკვლავთომების” პროგრამის, ეგრეთ წოდებულ “COI”-ს შესახებ.

«СОИ» – (აქაც საკითხის საბჭოთა ხედვის შეფასებისთვის მოვიშველიოთ მასალები რუსული ინტერნეტიდან) – «Стратегическая оборонная инициатива, основной целью которой являлось создание широкомасштабной системы противоракетной обороны (ПРО) с элементами космического базирования, исключающей или ограничивающей возможное поражение наземных и морских целей из космоса.

Ее конечными целями предполагались завоевание господства в космосе, создание противоракетного «щита» США для надежного прикрытия всей территории Северной Америки посредством развертывания нескольких эшелонов ударных космических вооружений, способных перехватывать и уничтожать баллистические ракеты и их боевые блоки на всех участках полета.

Стратегические задачи программы СОИ – это оборона, предполагающая выполнение самостоятельных активных действий, вплоть до нападения.

Основные элементы такой системы предусматривалось базировать в космосе. Для поражения большого числа целей – несколько тысяч, в течение нескольких минут. ПРО по программе СОИ предусматривалось использование активных средств поражения, основанных на новых физических принципах, в том числе лучевых, электромагнитных, кинетических, сверхвысокочастотных, а также нового поколения традиционного ракетного оружия «земля-космос», «воздух-космос».

Весьма сложными являются проблемы: вывода элементов ПРО на опорные орбиты, распознавания целей в условиях помех, расходимости лучевой энергии на больших расстояниях, прицеливания по высокоскоростным маневрирующим целям и многие другие.

Работы по программе СОИ принципиально отличаются от выдающихся разработок прошлого – таких как, например, создание атомной бомбы («Манхэттенский проект») или высадка человека на Луну (проект «Аполлон»). При их решении авторы проектов преодолевали достаточно предсказуемые проблемы, обусловленные лишь законами природы. При решении проблем по перспективной ПРО авторы будут вынуждены вести борьбу также и с разумным противником, способным к разработке непредсказуемых и эффективных контрмер.

Противоракеты являлись наиболее «классическим» решением в рамках СОИ и представлялись основной составляющей последнего эшелона перехвата».

ამასთან, დიდი რაოდენობის და სწრაფად მოძრავი ქობინების და მათი აქტიური და პასიური ნამსხვრევების და ნაწილების გამო, ტრადიციული რესურსით მათი დაფიქსირება, და მით უმეტეს “შეხერხება” კოსმოსში ძალიან ძნელი ამოცანა ჩანდა.

ამ მიზნის მისაღწევად СОИ-ს სისტემაში დაიწვეს ფიქრი Lockheed-ის მიერ 1970 წელს პოლანდიაში დამუშავებული პროექტი - (Homing Overlay Experiment) HOE-ს, გამოყენების შესახებ, რომელიც იყო პრიორიტეტული პროექტი – системы кинетического перехвата.

«Так как идеально точное кинетическое попадание на том уровне развития электроники все еще представляло некоторую проблему, создатели HOE попытались расширить область поражения. Поражающий элемент HOE представлял собой раскладную структуру, напоминающую каркас зонтика, который при выходе за пределы атмосферы разворачивался и раздвигался за счет вращения и центробежного действия грузов, закрепленных на концах «спиц». Таким образом, площадь поражения увеличивалась до нескольких метров: предполагалось, что

энергии столкновения боеголовки с грузом при суммарной скорости сближения около 12-15 км/с полностью разрушит боеголовку».

სხვა მრავალ მიმართულებებთან ერთად ყველაზე აქტიურად СОИ-ს პროგრამას ამერიკული სპეციალისტები და ექსპერტები განიხილავენ სისტემაში Орбитальные зеркала и наземные лазеры-ს ფართო გამოყენებას.

«В 1980-х в рамках СОИ рассматривалась идея частично-космической лазерной системы, которая включала бы мощный лазерный комплекс, расположенный на Земле, и перенаправляющее орбитальное зеркало (вернее, систему зеркал), наводящее отраженный луч на боеголовки. Расположение основного лазерного комплекса на Земле позволяло решить целый ряд проблем, связанных с обеспечением энергией, отводом тепла и защитой системы (хотя в то же время приводило к неминуемым потерям мощности луча при прохождении атмосферы).

Предполагалось, что комплекс лазерных установок, расположенных на вершинах высочайших гор США, в критический момент атаки будет приведен в действие и направит лучи в космос. Расположенные на геостационарных орбитах концентрирующие зеркала должны были собрать и сфокусировать рассеянные атмосферные лучи, и перенаправить их на более компактные, расположенные на низкой орбите перенаправляющие зеркала – которые нацелили бы дважды отраженные лучи на боеголовки.

Преимуществами системы была простота (принципиальная) постройки и развертывания, а также малая уязвимость для ударов противника – концентрирующие зеркала, изготовленные из тонкой пленки, было относительно легко заменить. Кроме того, система могла потенциально использоваться и против взлетающих МБР и блоков разведения – гораздо более уязвимых чем сами боеголовки – на начальном этапе траектории».

ვეფიქრობ, რომ რაკეტის ქობინებს და მისი ნაწილების კინემატიკური შემფერხებლები, რომლებიც კოსმოსში უსწრაფესად უნდა გაიშალოს რამდენიმე კვადრატული მეტრის მქონე ფართზე და ორბიტული სარკეები აღმოჩნდა განმსაზღვრელი იმისა, რომ ბრძანებით, რომლის შესახებ ქვემოთ მექნება საუბარი, ქართველებს დაგვევალა მათ შექმნაში მონაწილეობის მიღება.

“СОИ”-ს ასევე, გააჩნდა სხვა მიდგომებიც და შექმნის განსხვავებული იდეოლოგიაც, რომელსაც აქ არ განვიხილავ, ვინაიდან მათი შესრულება სრულიად განსხვავებულ პრინციპებს ეფუძნება, თუნდაც რამდენიმე ათასი მინიატურული, 10–15 კილოგრამი წონის თანამგზავრების გაყვანა ორბიტაზე, რომლებიც რაკეტებთან შეტაკებით იწვევენ როგორც რაკეტის განადგურებას, ასევე მის თვითგანადგურებასაც.

ახლა “СОИ”-ს სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიურ რეალობას შევეხები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და მრავალ პოლიტიკურ მიზანს ემსახურებოდა. მათ შესახებ მასალები მოიპოვება ინტერნეტში – რუსულ საიტებზე:

«Я отдал приказ предпринять всеобъемлющие и интенсивные усилия для проведения долгосрочной программы исследований и разработок, чтобы достичь нашей конечной цели – ликвидации угрозы, которую представляют стратегические ракеты с ядерными боеголовками», - заявил президент США Рональд Рейган 23 марта 1983 года.

Этой речью было положено начало программе Стратегической оборонной инициативы (СОИ), которая более известна, как программа «звездных войн». СОИ – без сомнений – одна из

наиболее известных в мире военных программ, которые реализовывали Соединенные Штаты Америки. Это был также один из наиболее амбициозных проектов в сфере национальной безопасности США, о результатах которого продолжают спорить и на сегодняшний день.

1983 год стал пиком «холодной войны». За четыре года до этого СССР оккупировал Афганистан: США начали тайную программу помощи моджахедам. Численность армий НАТО и Организации Варшавского договора достигла своего максимума. Никогда еще ядерные арсеналы СССР и США не были столь значительны: было подсчитано, что этих ядерных зарядов хватило бы, чтобы сотни раз уничтожить всю человеческую цивилизацию. Провалились переговоры между Москвой и Вашингтоном по ряду соглашений о контроле над вооружениями.

СОИ была начата, чтобы продемонстрировать советским лидерам, что если они хотят вести гонку вооружений с Соединенными Штатами, то США будут способны принять этот вызов и имеют для этого технологические основания.

СОИ изрядно напугала наше высшее военно-политическое руководство, и мы всерьез втянулись в гонку вооружений в этой сфере. Это была большая афера президента Рейгана, которая внесла заметную роль в перенапряжение военно-промышленного комплекса и всей экономики страны. Свою разрушительную роль она, безусловно, сыграла.

СОИ, в процессе «гонки вооружений» и совместно с другими причинами, привели к краху Советского Союза – социалистический строй и экономика не выдержали соревнования с капиталистическим».

ეს არის «СОИ»-ს რუსული შეფასებები, რომლებშიც თვით რუსეთის მიერ აღიარებულია საბჭოთა კავშირის დაშლის ერთ-ერთი მოტივი და მიზეზი.

საკავშირო მინისტრის ბრძანება, მე და ჩვენი პირველი განყოფილების უფროსს, მინისტრთა საბჭოს პირველ განყოფილებაში გადმოგვცეს. ბრძანებას თან ერთვოდა სამუშაოთა გრაფიკი.

მუშაობის პრაქტიკამ სამხედრო კოსმოსური ტექნიკის დარგში მასწავლა, რომ საღირებულო დოკუმენტების ტექსტებში ქვეტექსტებიც ამოგვცნო. სწორედ ასე დავიწყე კითხვა და ქვეტექსტების ამოცნობა “ვარსკვლავთმების” საპირწონე საბჭოთა პროგრამა “Раунд”-ისა.

ბრძანების ტექსტში იყო მინიშნება – ЭКЗ. ЕДИНСТВЕННЫЙ. ეს გაცილებით მეტს ნიშნავდა ვიდრე მის თავზე გაკეთებული წარწერა “СОВ.СЕКРЕТНО”.

ამასთან დამაფიქრებელი იყო ის გარემოება, რომ ბრძანების პრეამბულაში ჩამოთვლილი საკითხების საფუძველი იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 27 იანვრის №137-47 გადაწყვეტილება, ხოლო საბჭოთა კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ბრძანება № 82, С.С., თარიღდებოდა 1986 წლის 31 მარტით. საინტერესოა, როგორ მოხდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, მეცნიერებატევადი, მაღალტექნოლოგიური და სხვადასხვა უწყებასა და ორგანიზაციაზე დამოკიდებული, ურთულესი დოკუმენტის მხოლოდ ორ თვეში მომზადება. ეს მიანიშნებდა, რომ ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში ძალიან ჩქარობდნენ სამინისტროს მიერ ბრძანებების გამოცემას. ამასთან, დროის სიმცირის გამო, დიდი ალბათობით, მისი

მომზადების პერიოდში, არ იყო ჩატარებული წინასწარი, ძალიან შრომატევადი ორგანიზაციული საქმიანობა და თუნდაც პრობლემის გადაწყვეტის სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერტიზა.

ხელისუფლების მცდელობას გამოცემული ბრძანებების დაუყოვნებლივი შესრულებისა, ტექსტის მიხედვით, ისიც მიუთითებდა, რომ პროგრამა “რაუნდი” უნდა განხორციელებულიყო სამინისტროებსა და უწყებებში არსებული ნებისმიერი რესურსის გამოყენებით.

რაც შეეხება პროგრამა “რაუნდის” სამეცნიერო-ტექნიკურ არათუ ორიგინალურ გადაწყვეტას, არამედ უბრალოდ მის ამ მხრივ უზრუნველყოფას, იგი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა. პროგრამა “რაუნდი”, რომელიც როგორც ჩემთვის მოსკოვში გახდა ცნობილი, როგორც აღვნიშნე, წარმოადგენდა ამერიკული “ვარსკვლავთომების” – COI-ს საპირწონე საბჭოთა პროგრამას. მის განხორციელებას, თავი რომ დავანებოთ ეკონომიკურ და სხვა საკითხებს, მაშინ ექნებოდა წარმატების წინა პირობა, რომ იგი დაფუძნებული ყოფილიყო ნოვატორულ კონცეფციაზე, რომელიც მწყობრი სისტემის სახით მაინც უნდა ასახულიყო ბრძანებაში, თუნდაც დავალებების დასახელებისა და შემსრულებლების სახით, რაც დოკუმენტებში არც კი იგრძნობოდა.

არადა ამ დროს ამერიკული სამეცნიერო-ტექნიკური, თუნდაც ჩვენთვის ცნობილი დოკუმენტები სრულიად ახალ კვლევებს და მათში ახალი ფიზიკური ბუნების პროცესების გამოყენებას ეფუძნებოდა.

ჩვენთვის განკუთვნილ სამუშაოთა ჯგუფში დავალების შემსრულებლად საქართველოს პილიტექნიკური ინსტიტუტი იყო ჩაწერილი, სათავე ორგანიზაციად ს.პ.კოროლიოვის სახელობის სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება “ენერჯია” იყო განსაზღვრული.

სიტუაციაში გასარკვევად მოსკოვში წავედი, როგორც აღვნიშნე, ადგილზე გავეცანი პროგრამის სრულ შინაარსს, ჩემი წინასწარი ვარაუდი და შეფასებები თითქმის გამართლდა.

“კომეტაში” მიხეილ ზაქსონს გავუზიარე ჩემი შეხედულებები პროგრამა “რაუნდთან” დაკავშირებით. იგი არა მარტო დამეთანხმა, არამედ სხვა ისეთი ფაქტორები დაასახელა, რომლებიც ნაკლებად იძლეოდა იმის შანსს, რომ ეს “ზარზემით” დაწყებული პროგრამა ბოლომდე თუ არა, რაიმე დადებით შედეგამდე მაინც იქნებოდა მიყვანილი. მან, ასევე მიანიშნა, რომ სამხედროებისა და ზოგიერთი გენერალური კონსტრუქტორის ინტერესებში იყო პროგრამა მთლიანად ამოქმედებულიყო, რისთვისაც ძალიან დიდი თანხები გამოიყოფოდა. ეს კი შემოსავლის კარგი შესაძლებლობა იყო, განსაკუთრებით სამხედროებისათვის – გამანდო მან.

რადგან პროგრამაში სამხედროების ინტერესები ასე მკაფიოდ გამოხატა მიხეილ ზაქსონმა, სამუშაოს თემატიკის დაზუსტებასთან დაკავშირებით, ჩემი ძველი პროტეჟე, გენერალ-ლეიტენანტი გრიგორი ფიოდოროვიჩი მირჩია. იგი ისევ გენერალური შტაბის სამხედრო აკადემიაში მსახურობდა. სამუშაო საათების შემდეგ მასთან სახლში მივედი. გრიგორი ფიოდოროვიჩი და მისი მეუღლე კარგი მასპინძლები გამოდგნენ. შემდეგ მე და გრიგორი განვმარტოვდით. პირველ რიგში ვკითხე თუ როგორი შეხედულება ჰქონდა პროგრამა “რაუნდ“-ზე. გრიგორიმ პირდაპირ მითხრა – ეგ პროგრამა თავიდანვე

განწირულია ჩასავარდნად. რეიგანის ავანტიურისტულ სვლაზე ჩვენები წამოვეგნენ. შესასრულებლად კი, საბჭოთა კავშირს არც ფინანსური და არც სათანადო, ახალ მიღწევებზე დაფუძნებული, ტექნოლოგიური რესურსები არ გააჩნდა. ჩემთვის საბოლოო დასკვნა გამოვიტანე. გრიგორის და მის მეუღლეს გამოვემშვიდობე და მათგან წამოვედი.

თბილისისკენ მატარებლით ვიმგზავრე. კუპეში მარტო ვიყავი და საკმაოდ დრო მქონდა მეფიქრა თუ რა კონსტრუქციული სქემების შექმნა და რეალიზაცია შემეთავაზებინა პროგრამა “რაუნდის” მესვეურებისთვის. ცხადი იყო, რომ ამ ეტაპზე ეს უნდა ყოფილიყო გასაშლელი რეფლექტორი და გრძივი გასაშლელი ელემენტები. ასეთი იყო პროგრამის მოთხოვნა. საკითხი შეეხებოდა იმას, თუ რა სტრუქტურის და სახის უნდა ყოფილიყო ეს კოსმოსური სისტემები. ასეთი მიდგომა ჩემთვის ორმაგად იყო სასარგებლო. პირველ რიგში, მე პროგრამა “რაუნდის” ფარგლებში, მეძლეოდა საშუალება დამატებითი ფინანსური და მატერიალური რესურსების მოძიებისა, ახალი ტიპის, უკვე დაგეგმილი კოსმოსური დიდი, გასაშლელი ანტენების და გრძივი ელემენტების შესაქმნელად. მეორე მხრივ კი ჩამეწერა პლიუსები პროგრამა “რაუნდით” გათვალისწინებულ სამუშაო გეგმაში.

ეს მგზავრობა განსაკუთრებულად დამამახსოვრდა. ფიქრებს სამუშაოს შესახებ თან ახლდა სენტიმენტალური გადახვევებიც. ჯერ კიდევ მოსკოვში, “კურსკის ვაგზალში”, როდესაც მატარებელში უნდა ავსულიყავი, გაწვიმდა. ვაგონში, მატარებლის ბორბლებიც მონოტონური ხმები აღწევდა. რადიოქსელში ზიკინას რუსული მელოდიები ჟღერდა. გარეთ კი, წვიმის წვეთებით დაფარული ფანჯრის იქით, არყის ხის ტყეები, მცირე ზომის ტბები და რუსეთის ველები ჩანდა. მეორე დღე ჯერ უფრო საქმეზე ფიქრებს დაეთმო. შემდეგ როსტოვის სადგურში მდინარე დონის თევზი, “რიბეცი” ვიყიდე, რომელიც მოსკოვურ ლუდს და შავ პურს ძალიან მოუხდა. გვიან დამით, სადღაც პირველ საათზე, მატარებელი სოჭის დიდ გვირაბში შევიდა. იმ პერიოდში სოჭის გვირაბი გამორჩეული იყო თუნდაც წიფის გვირაბისაგან. მასში განთავსებული იყო “უნაკერო” რელსები, რომლებზეც მატარებლის ბორბლები ნაცნობი “დუგ-დუგის” გარეშე გადაადგილდებოდნენ. როდესაც ამ გვირაბს გამოცდები და კავკასიონის ქედი უკან რჩება, ქართველი კაცი უკვე სახლში გრძნობს თავს. მეც ამეკვიტა საქართველოს კუთხეზე მოგონებები. მერე წიფის გვირაბიც გამოვიარეთ. უცებ, ჩემდა უნებურად, მატარებლიდან ჩასასვლელად მზადება დაიწყო. გადავწყვიტე ჯერ ბორჯომში წავსულიყავი. ხაშურში ჩამოვედი მატარებლიდან, ტაქსი გავაჩერე და მძღოლს ვუთხარი, რომ ბორჯომის პარკის შესასვლელთან მივეყვანე. როდესაც ახალდაბასთან ხიდზე გადავედით და ხეობაში შევედით, საკმაოდ კარგ გუნებაზე დავდექი. თითქოს ბავშვობის კადრები ცოცხლდებოდა ჩემს წინ.

პარკის შესასვლელთან ჩამოვედი და პარკში შევედი. ბორჯომის წყაროსთან არავინ იყო თბილი ბორჯომი მოვსვი და მივხვდი თუ რამდენად მშობლიური იყო ეს მხარე ჩემთვის. გამოვედი პარკიდან და “ჩემი სახლის” წინ, სანატორიუმ “ფირუხას” მხარეს ვიდექი. სახლის კიბეზე შევნიშნე ჩემი “ხაზეინი” სტილო მოისიადი. მან თავიდან ვერ მიცნო, შემდეგ სახე გაუბწყინდა და მითხრა, – ელგუჯა, აქ როგორ მოხვდიო. სახლში მიპატიუებაზე უარი ვუთხარი და იქვე, სასტუმრო “თბილისის” რესტორანში დავსხედით.

რესტორნიდან გამოსვლის შემდეგ სტილოს დავემშვიდობე. სადამოს მატარებლის გასვლამდე კიდევ რჩებოდა დრო და ლიკანში წავედი, “რომანოვების სასახლემდე” მივედი და ამ შესანიშნავ ბუნებაში ჩაფლული მოხდენილი სასახლე ყველა მხრიდან ისევე

დავითავალიერე, რამაც პეტრე ჩაიკოვსკის ცნობილი სიტყვები გამახსენა, რომელიც მან ბორჯომთან დაკავშირებით გამოთქვა: “ჩემი აზრით, ეს არის ერთ-ერთი ულამაზესი ადგილი მსოფლიოში”. ისე კი ბევრი სხვა წარჩინებული რუსიც ხოტბას ასხავდა საქართველოს, მის ისტორიას და ხალხსაც, მაგრამ თავისი ბუნებით, საქართველოში ხედავდნენ იმ მიმზიდველ განძს, რომელიც რატომღაც იმპერიის შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო და ამას თავისი ახსნა აქვს.

“Древнерусское государство” სლავური ტომების გაერთიანებით მხოლოდ IX საუკუნიდან იწყება და XVI საუკუნეში “Русское царство”-ს ქმნის. XVIII საუკუნეში ეკატერინე დიდის დევიზით “Отторженная возвратихъ” შეიქმნა რუსეთის იმპერია. ეს ძალიან ახალგაზრდა იმპერია იქცეოდა ისე, როგორც თავის დროზე, ასევე ახალგაზრდა სპარსეთის, საბერძნეთის, რომისა და სხვა იმპერია. ქართველებს უნდა გვქონდეს იმედი, რომ დროთა განმავლობაში ჩვენს მეზობელს – რუსეთს გაუვლის ახალგაზრდა ერის “საყმაწვილო სენი”.

ამასობაში მატარებლის გასვლის დროც ახლოვდებოდა. ლიკანიდან ისევ ბორჯომში დავბრუნდი.

მატარებელი თბილისისკენ დაიძრა ...

... იმ პერიოდში, თბილისში, საინიციატივო სამუშაოს ფარგლებში, ვქმნიდით დიდ, გასაშლელ პნევმოხისტი რეფლექტორს, რომელიც ორბიტაზე გაშვების შემდეგ, კონსტრუქციული მასალის თვისებებიდან გამომდინარე, კოსმოსური ზემოქმედებით უნდა გამყარებულიყო. აქვე ვფიქრობდით ВПК-ს გადაწყვეტილების ფარგლებში, რეფლექტორის დამსხვივების გაუმჯობესებული საყრდენების – გრძივი ელემენტების ახალ სქემაზე.

მივიღე გადაწყვეტილება ВПК-ს გადაწყვეტილების პარალელურად, პროგრამა “რაუნდით” შეემქმნა პნევმოხისტი გასაშლელი რეფლექტორი და გრძივი გასაშლელი ელემენტები. ასეთი შეთავსება ორი პროგრამისა ოპტიმალურად მივიჩნიე. თბილისში ჩამოსვლისთანავე თათბირი მოვიწვიე.

თათბირზე ერთი სიტყვაც არ მითქვამს, რომ ჩვენ ვიწყებთ პროგრამა “რაუნდის” შესრულებას. და მიღებული გადაწყვეტილება ავხსენი ჩვენი სამუშაოს ფარგლებში, ახალი პერსპექტიული სისტემის შექმნის აუცილებლობით. ასეთი მიდგომის შესახებ მოსკოვში, უშიშროების სამსახურშიც მომცეს მითითებები.

პნევმოხისტი რეფლექტორის, ჩემ მიერ შექმნილი წინასწარი სქემები, ზურაბ გოგავას გადავეცი. დარწმუნებული ვიყავი, რომ იგი ამ საქმეს სწრაფად, მაღალხარისხიანად და დამატებითი რესურსების გამონახვით გააკეთებდა, ვარაუდში არ შევმცდარვარ.

რაც შეეხება გრძივ გასაშლელ კონსტრუქციებს, ამ მიმართულებით სქემები ჯერ-ჯერობით ბოლომდე არ მქონდა დამუშავებული. მათი დახვეწის შემდეგ ისინი გადავეცი ლერი დათაშვილს და ნოდარ წიგნაძეს.

სულ მალე ამ მიმართულებით შესანიშნავი შედეგები მივიღეთ. დამზადდა და გამოიცადა 12 მეტრი დიამეტრის მქონე პნევმოხისტი, გასაშლელი რეფლექტორი. იგი, დახურვის კონსტრუქციის სახით, დედამიწის პირობებშიც იძლეოდა გამოყენების საშუალებას.

დამზადდა და სასტენდო კომპლექსში, ჰიდროაუზში და მექანიკური უწონობის სტენდში გამოიკადა გრძივი გასაშლელი სტრუქტურის ორი ვარიანტი.

ორივე მიმართულებამ მისი შემდეგი გამოყენების კარგი პერსპექტივა შექმნა.

... თათბირებზე, რომელიც “კომეტაში” იმართებოდა, ზოგჯერ დამთრგუნველ, საიდუმლო ინფორმაციებსაც ვისმენდი. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა შეეხებოდა “კოსმოსური ომების” შემთხვევაში, საკუთარ ტერიტორიაზე ელექტრომაგნიტური ტალღების “ფარდის” შექმნას. ამ წინადადების ავტორი იყო სპეციალისტი, ჩვენთან, საქართველოსთან ახლოს მდებარე ერთ-ერთ მოკავშირე რესპუბლიკიდან, ჩემთვის ძალიან პატივსაცემი პიროვნება, რომელიც ადრე ყოველთვის კაცთმოყვარედ მიმაჩნდა. მან განმარტა თავისი მიდგომა და აღნიშნა, რომ “კოსმოსური ომების” შემთხვევაში საბჭოთა კავშირს, თავის ტერიტორიაზე, საზღვართან ახლოს უნდა აეფეთქებინა საშუალო სიმძლავრის ატომური ბომბი, შედეგად შეიქმნებოდა მოწინააღმდეგისაგან ელექტრომაგნიტური ტალღების დამცავი “ფარდა” და საბჭოთა კავშირს ეძლეოდა საშუალება, ფარდის მიღმა განეხორციელებინა სარაკეტო სტარტები – რაკეტა შეუმჩნეველად და მოულოდნელად დაატყდებოდა თავს მტერს. ამ წინადადების ავტორს შეეპასუხა გენერალური კონსტრუქტორის მოადგილე, პროფესორი იური დანილოვი. მან განმარტა, რომ ასეთი ინიციატივა, ჯერ ერთი, ტაქტიკურად შედეგის მომტანი არ იქნება და, მეორე ის, რომ იგი უკიდურესად კაცთმოძულე და მისთვის მიუღებელი პოზიცია იყო.

ინიციატივის გამოთქმის შემდეგ გავიფიქრე, ხომ არ ცდებოდა საქვეყნოდ ცნობილი ფიზიკოსი ლანდაუ, რომელმაც ბირთვული იარაღის შექმნის შემდეგ თქვა, – ”ყოჩად ფიზიკოსებო, ომი გახადეთ შეუძლებელი”.

ამ ვერსიის მოსმენის შემდეგ, რომელიც თავისთავად არარეალური იყო, ვინაიდან კოსმოსიდან რაკეტების სტარტის თვალთვალი ბომბის აფეთქების შემდეგაც, მეტწილად მაინც გაგრძელდებოდა, კარგა ხანს საკმაოდ უგუნებოდ ვიყავი. წარმოვიდგენიათ, რას ნიშნავდა საკუთარ ტერიტორიაზე, საკუთარ ქალაქებსა და სოფლებზე ატომური ბომბის აფეთქება. სხვას რომ თავი დავანებოთ, ეს ხომ მილიონობით საკუთარი მოსახლეობის გაჟლეტას და დამახინჯებას ნიშნავდა.

დროთა განმავლობაში, სულ უფრო ვრწმუნდებოდი იმაში თუ რამდენად დაუნდობელი იყო მსოფლიო ჰეგემონიაზე პრეტენზიის მქონე სახელმწიფოების “სამხედრო მანქანების” მოქმედების პრინციპები. მინდა მაინც ვირწმუნო, რომ ეს იყო იმ ცივი ომის პერიოდში ...

... მეორე ფაქტი კი არა მთელი ისტორია, რომელიც პროგრამა “რაუნდთან” იყო დაკავშირებული, შემდეგნაირად წარიმართა.

კოსმოსური ომების თეორიაში, საბჭოთა კავშირის და ამერიკის შეერთებული შტატების დაპირისპირებამ კულმინაციას მაშინ მიაღწია, როდესაც როგორც ადრე აღვნიშნე, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, რონალდ რეიგანმა, სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივა – “სოი” წამოაყენა. ეს ორმაგი დარტყმის შანსი იყო ამერიკის მხრიდან. პირველი, თვით კოსმოსური დაპირისპირების ამერიკის სასარგებლოდ შეცვლა და, მეორე, უფრო მთავარი – ტრილიონობით დოლარის ღირებულების პროგრამის შექმნაში საბჭოთა კავშირის გამოწვევა, რომელიც ვეღარ

გაუძლებდა ამდენ ხარჯს. მიუხედავად ამისა, პირველ ეტაპზე საბჭოთა კავშირმა, როგორც ითქვა, ამოქმედა კონტროლოვრამა “რაუნდი”.

სადაღ მოაზროვნე სპეციალისტები თვლიდნენ, და სავსებით სწორადაც, რომ იმავე მეთოდებით ბრძოლა ამ პროგრამის საწინააღმდეგოდ, როგორც თვით ამერიკას ჰქონდა განსაზღვრული, დამღუპველი იქნებოდა საბჭოთა კავშირისათვის. თუმცა «военачальник»-ების უმეტესობა ეძებდა თანხებს კარგი ცხოვრებისა და “კარგი, სარფიანი სამუშაოსათვის”.

კოსმოსური ომების “ნათლიმამა”, სავინი ბევრი სხვა «военачальник»-ებივით არ ფიქრობდა. მან შეიმუშავა შედარებით მარტივი მეთოდი – სისტემის აგების ადრეულ ეტაპზე კოსმოსური მოიერიშე თანამგზავრებით გაენადგურებინა ამერიკული დანადგარების ცალკეული კოსმოსური ელემენტები და არ მიეცა საშუალება ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ღია კოსმოსურ სივრცეში შეექმნა დასრულებული, უკვე ფუნქციონირებადი კომპლექსები და სისტემები. იდეა მართლაც საინტერესო ჩანდა, მაგრამ სავინს გორბაჩოვამდე სამხედროები უღობავდნენ გზას. სავინმა გადაწყვიტა, ამისათვის “ქართული ვარიანტი” დაეპირისპირებინა. ეს იყო გასვლა ჯუმბერ პატიაშვილზე, ჯუმბერიდან ედუარდ შევარდნაძეზე და ედუარდიდან გორბაჩოვზე. სწორედ ეს აზრი გამანდო სავინმა.

ორივენი თბილისში წამოვედით. აქ ჯუმბერ პატიაშვილს შევხვდით და სავინმა მას ყველაფერი უამბო. ბატონი ჯუმბერი, როგორც ვიცი, ედუარდ შევარდნაძეს ელაპარაკა ტელეფონით. შემდეგ კი სცენებმა მოსკოვში გადაინაცვლა. სავინი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ედუარდ შევარდნაძეს შეხვდა. მათ შორის შედგა საუბარი. ბოლოს, გორბაჩოვის შეხვედრაზე რეიგანთან, რეიკიაგოში მიხეილ სერგეევინმა გაახმოვანა ანატოლი სავინის აზრი – საბჭოთა კავშირს აქვს იაფი, ტექნიკურად და ტექნოლოგიურად სრულყოფილი სისტემა, რათა ადრეულ სტადიაში კოსმოსურ ორბიტებზე გაანადგუროს “СОИ”-ს ელემენტებით ...

და კიდევ ერთი, ახლა უკვე სასიამოვნო მოგონება “რაუნდთან”. თბილისში, ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, პოლიტიბიუროს წევრი, “საბჭოთა მშრალი კანონის” ერთ-ერთი ავტორი, ეგორ კუზმინ ლიგანოვი ჩამოვიდა. იგი ჯუმბერ პატიაშვილმა ჩვენთან, ინსტიტუტში მოიყვანა. მახსოვს ინსტიტუტის რექტორმა თეიმურაზ ლოლაძემ სთხოვა ლიგანოვს “გპის” თანამშრომლებისთვის, რომლებიც პროგრამა “რაუნდში” დებულობდნენ მონაწილეობას, ბინათმშენებლობის თანხა გამოეყო, რასაც აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებდა. ჩემს კაბინეტში ლიგანოვმა თანხმობის წერილს ხელი მოაწერა.

პროგრამა “რაუნდი”, როგორც ამას გრიგორი სამოილოვიჩი და მიხეილ ბორისოვიჩი წინასწარმეტყველებდნენ, ნელ-ნელა კარგავდა სასტარტო აქტუალობას.

ამასობაში, ერთი წლის შემდეგ, რაც ძირითადად თბილისსა და მოსკოვს შორის სახელმწიფო სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროს დაქვემდებარების საკითხის გარკვევას დასჭირდა, საბოლოოდ საქართველოს მინისტრთა საბჭომ, გრიფით “სრულიად საიდუმლო”, გამოსცა № 685-33 დადგენილება.

Ⓚ

200
СОВ. СЕКРЕТНО

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭო



СОВЕТ МИНИСТРОВ
ГРУЗИНСКОЙ ССР

დადგინებები
ПОСТАНОВЛЕНИЕ
№ 685-33

სკბ
№ 58
4

3 ნოემბერს 1986 წ.

ქ. თბილისი

გ. თბილისი

О создании Специального конструкторского
бюро при Грузинском политехническом инсти-
туте имени В.И.Ленина

В целях обеспечения практической реализации и развития раз-
работок по созданию космических развертываемых крупногабаритных
остронаправленных радиотелескопов и наземных быстроперебазируе-
мых антенн в соответствии с решением Государственной комиссии
Совета Министров СССР по военно-промышленным вопросам от 12 декаб-
ря 1985г. № 16 и поручением Совета Министров СССР от 17 октября
1985г. № III-21852, касающимся разработки и создания образцов раз-
вертываемых систем народнохозяйственного назначения, Совет Минист-
ров Грузинской ССР постановляет:

1. Образовать при Грузинском политехническом институте имени В.И.Ленина на правах научно-исследовательского учреждения на самостоятельном балансе Специальное конструкторское бюро с комплексом испытательных баз и производственным участком.
2. Установить, что научно-исследовательские и опытно-конструкторские разработки СКБ при ГПИ имени В.И.Ленина осуществляются по заказам Министерства радиопромышленности СССР.
3. Комитету государственной безопасности Грузинской ССР и Министерству высшего и среднего специального образования Грузинской ССР обеспечить выполнение необходимых мероприятий по обеспечению сохранения государственной тайны.

005

ГПИ им. В.И.Ленина
Получено
4. 11 1986
Вход. № 384сс

ფაქსით
სკ.ბ. 16-19
ნ.ი.ი.ი.ი.
4.11.86
ბმ

2.

4. Министерству внутренних дел Грузинской ССР обеспечить проведение мероприятий по военизированной охране СКБ при ГПИ имени В.И.Ленина и его специальных баз (в сс.Сагурамо и Тба).

5. Государственному комитету Грузинской ССР по науке и технике выделить в IV квартале 1986 года в счет общего плана Министерства высшего и среднего специального образования Грузинской ССР для СКБ при ГПИ имени В.И.Ленина финансирование по Государственному бюджету, штатную численность работников учреждений науки в количестве 30 человек и соответствующий фонд заработной платы.

6. Государственному комитету Грузинской ССР по науке и технике предусмотреть в 1987-1989 годах финансирование и выделение штатной численности работников учреждений науки в количестве 380 человек и соответствующий фонд заработной платы (вопрос согласован с Государственным комитетом СССР по науке и технике), а Министерству финансов Грузинской ССР установить соответствующие предельные ассигнования на содержание аппарата управления СКБ при ГПИ имени В.И.Ленина.

7. Для повышения качества выполняемых работ и подготовки специалистов в СКБ при ГПИ имени В.И.Ленина допустить совместительство профессорско-преподавательского состава ГПИ имени В.И.Ленина в соответствии с постановлением Совета Министров СССР от 20 января 1986 г. № 86, а также разрешить сотрудникам СКБ при ГПИ имени В.И.Ленина участие в учебной работе указанного института на основе штатного совместительства.

8. СКБ при ГПИ имени В.И.Ленина считать фондодержателем.

9. Исполкому Тбилисского городского Совета народных депутатов обеспечить отвод земельного участка в г.Тбилиси под строительство лабораторного корпуса СКБ при ГПИ имени В.И.Ленина с учетом перспективного расширения данного конструкторского бюро.

10. Госплану Грузинской ССР предусмотреть выделение:

- в 1987 году лимитов на проектно-исследовательские работы для строительства лабораторного корпуса СКБ при ГПИ имени В.И.Ленина в г.Тбилиси на 300 сотрудников;

3.

- в 1988-1989 годах капитальных вложений на строительство лабораторного корпуса СКБ при ГПИ имени В.И.Ленина согласно утвержденным двусторонним мероприятиям с Министерством радиопромышленности СССР.

II. Госплану Грузинской ССР и Госснабу Грузинской ССР обеспечить в I квартале 1987 года выделение СКБ при ГПИ имени В.И.Ленина одного автомобиля "Нива-2121" и одного микроавтобуса "РАФ-2203".

I2. Министерству высшего и среднего специального образования Грузинской ССР передать СКБ при ГПИ имени В.И.Ленина 43 штатные единицы действующей военизированной охраны.

Председатель
Совета Министров Грузинской ССР



О.Черкезия

Управляющий Делами
Совета Министров Грузинской ССР

С.Ригвава

*Мною следит копии в одном
экземпляре на 'Ксероксе' для
п/л В-2077 М.Б. Закона аттнр Иск л СКБ-109 с.с
от 22.11.86г Шевдорадзе ВВ
22.11.1986г*

69/820
I+10

თბილისში საკავშირო მინისტრების და გენერალური კომსტრუქტორების ვიზიტებმა იმატა. ყველა მათგანს კონკრეტული დავალება ან მიზანი ჰქონდა, რომლებიც ზოგ შემთხვევებში არც რესპუბლიკის ხელმძღვანელობის და მით უმეტეს, არც ჩვენთვის იყო ცნობილი. რაც შეეხება რადიომრეწველობის მინისტრის პიოტრ სტეფანოვიჩ პლეშაკოვის ჩამოსვლას თბილისში, ყველა საკითხი მისი ვიზიტისა, ჩვენთვის წინასწარ იყო ცნობილი. პლეშაკოვის უწყება უშუალოდ ხელმძღვანელობდა კოსმოსური რეფლექტორის და ნაწილობრივ, თავდაცვის სამინისტროსთან ერთად, მიწისზედა რაკეტსაწინააღმდეგო საინჟინრო მობილური კომპლექსის სამუშაოებს. საბოლოო ანგარიშით იგი აგებდა პასუხს როგორც მინისტრთა საბჭოს, ისე საკავშირო ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წინაშე სამუშაოთა შესრულების შესახებ.

ამჟამად პლეშაკოვის ჩამოსვლის მიზანი იყო შეხვედრა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან, რათა მასთან განეხილა მიწისზედა რაკეტსაწინააღმდეგო საინჟინრო მობილური კომპლექსის ფუნქციური ვარიანტის დამზადების და გამოცდის საკითხები. ასე რომ, “პერშინგ-2-ის” საწინააღმდეგო, გადასატანი საკომანდო პუნქტის საინჟინრო კომპლექსით აღჭურვის საკითხით, უნდა გვეფიქრა, რომ უმაღლეს დონეზე იყვნენ დაინტერესებულები.

პლეშაკოვი ჯერ საგურამოს ბაზაში მივიდა. ყველა სტენდი მონახულა, პიდროლაუზშიც კი შევიდა. ჯუმბერ პატიაშვილმა მითხრა – რა მოხდებოდა, ელგუჯა, კინოოპერატორი მოგვეყვანა და ამ კაცის სტუმრობა გადაგველო, შემდეგ კი პოლიტიბიუროსათვის შექმნილ ფილმებში გვეჩვენებინა, როგორ დაძვრება ამხელა მინისტრი ამ სტენდებზე. შემდეგ გაეცინა და თქვა, არა თვითონ ფიზიკურად დიდი არ არის, მაგრამ თანამდებობა კი ნამდვილად დიდი აქვსო.

შემდეგ პიოტრ სტეფანოვიჩი თბილისში CK5-ს ადმინისტრაციაში წამოვიდა, აქ მას უკვე ბორის ნიკოლსკი ახლდა. იქ დაათვალიერა საკონსტრუქტორო განყოფილებები, შემდეგ ჩემთან შემოვიდა კაბინეტში, იქ “პანასონიკის” ჩემი იაპონური ვიდეოკამერა A-2 ნახა, ძალიან მოეწონა, ხელში ატრიალა, შემდეგ თქვა – ამას ჩვენები თუ გააკეთებენო. ეს კითხვა არ იყო პასუხის გასაცემად ნათქვამი.

მინისტრთან შეხვედრის ბოლოს, მინდოდა ჩემი ახალი წინადადების წარდგენა. ამის შესახებ პლეშაკოვს, ჩვენთან თბილისში წამოსვლის წინ ესაუბრა ანატოლი სავინი და თან უთხრა, რომ ჩემს წინადადებებს უკვე აპრობაცია ჰქონდა გავლილი “კომეტას” სამეცნიერო-ტექნიკურ საბჭოზე.

თითქოს მინისტრმა იგრძნო ჩემი მოლოდინი და მითხრა – ელგუჯა ვიქტორის ძვე ახლა თქვენი წინადადების შესახებ მოკლე მოხსენებას მოვისმენ.

კაბინეტში გასაშლელი დაფა გავხსენი, ავიღე ცარცი და დავიწყე კოსმოსური ავტონომიური კომპლექსის გამოხაზვა. კოსმოსური კომპლექსი იყო ერთიანი – 30-მეტრიანი გასაშლელი რეფლექტორი და კოსმოსური აპარატი ერთმანეთთან არა დაკავშირებული, არამედ შერწყმული.

რეფლექტორის 30 მეტრი დიამეტრის მქონე გაშლილი რგოლი, ასევე წარმოადგენდა ძალოვან კონსტრუქციას, მასზე დამონტაჟებული იყო მზის ბატარეები, კოსმოსური აპარატის რეაქტიული ძრავები, საკომუნიკაციო და კრიოგენური ტექნიკა, სენსორები და სხვა ყველა საჭირო აპარატურა და ინსტრუმენტები, რომელიც ასევე აუცილებელია კოსმოსური აპარატის სტაბილიზაციისა და მართვისათვის. რაც შეეხება ფოკალურ კონტეინერს, რომელიც საყრდენებზე განთავსებით 20 მეტრით არის დაცილებული

რეფლექტორიდან აქ დამსხივებლის უკან ასევე განთავსებული იყო კოსმოსური აპარატის ატრიბუტიკა.

მოვასხენე თეორიული გაანგარიშების და წინასწარი შეფასებების შედეგები და აღვნიშნე, რომ ერთიანი – ავტონომიური რადიოტექნიკური თანამგზავრული კომპლექსი იძლევა საშუალებას სიმძიმის ცენტრების ოპტიმალური გადანაწილებისა და ახალი ტიპის სამხედრო დანიშნულების ორბიტალური კომპლექსის შექმნისა. აღვნიშნე ისიც, რომ მას ანალოგი არ გააჩნია მსოფლიოში.

როგორც კი თხრობა დავამთავრე, გვერდზე გავდექი. პლეშაკოვი დაფასთან მივიდა, მეორე ცარცი აიღო და დაიწყო დაფაზე გამოხაზული ცალკეული პოზიციების რიგ-რიგად შემოხაზვა. პირველი პოზიციის შემოხაზვის შემდეგ მითხრა დამეკონკრეტებინა მისი არსი, ფუნქცია და შესრულების ზოგიერთი დეტალი. ბორის ნიკოლსკი არ ელოდა პლეშაკოვის ასე აქტიურ ჩაბმას მოხსენების განხილვაში. მეც, ცოტა არ იყოს, გააკვირვებული ვიყავი.

ბოლოს, პლეშაკოვმა, თვითონ დაამთავრა ჩემი დაწყებული მოხსენება და აღვნიშნა, – ეს არის გადატრიალება კოსმოსში დიდი სამხედრო დაზვერვითი-ინფორმაციული კომპლექსების შექმნაში. მე ყველანაირად დაუჭერ მხარს ამ წინადადების უმაღლეს დონეზე გატანასო.

პლეშაკოვს და ბორის ნიკოლსკის დავემშვიდობე ისე, რომ ცარცი ისევ ხელში მეჭირა. პლეშაკოვის რეაქციით და აღფრთოვანებით გაოცებული ვიყავი.

მართლაც რომ განსაკუთრებული მსმენელი და აქტიური თანამოაზრე გამოდგა ამ შემთხვევაში საკავშირო რადიომრეწველობის მინისტრი პიოტრ სტეპანოვიჩ პლეშაკოვი. მისი სტილი და ჩართულობა პრობლემის გარჩევაში სრულიად განსხვავდებოდა ჩემთვის ცნობილი ბევრი ხელმძღვანელის ქცევისაგან.

როდესაც მოსაუბრეს მეორე მხარე ბოლომდე ყურადღებით უსმენს – ეს ძალიან კარგია, მაგრამ ამ პროცესში მომსმენის მიერ შეიძლება ვლინდებოდეს ორი სხვადასხვა თვისება.

პირველი თვისება მომსმენი პიროვნებისა არის სიღინჯე, სიმშვიდე და მოსაუბრის მხარისთვის ხელის არ შეშლის კულტურა და სრული ინფორმაციის მიღება.

მეორე თვისება მსმენელისაგან თითქმის ისეთივე ქცევის მატარებელია, როგორც პირველი, მაგრამ აქ მთელი არსი ბოლომდე მოსმენისა და სრული ინფორმაციის მიღებისა არის ის, რომ მსმენელმა მხარემ, რომელმაც უნდა შეაფასოს მოსაუბრის მიერ მიწოდებული ინფორმაცია და ამასთან გააკეთოს საბოლოო დასკვნები, რომლის ცოდნა მას არ გააჩნია, ცდილობს ისინი “ამოკრიბოს” თვით მოსაუბრის ნაამბობიდან. ეს არის ერთ-ერთი ხერხი თუ ფანდი საკითხში უცოდინარობის არ გამოვლინებისა.

ასეთი პიროვნებები, განსაკუთრებით მაღალ თანამდებობებზე საკმაოდ ბევრია. ისინი მრავლად იყვნენ მოსკოვშიც და თბილისშიც. თავისი “დაყენებული” ქცევით, მანერებით და ბოლოსიტყვაობის წარმოთქმის უნარით შთაბეჭდილებას ახდენდნენ ადამიანზე. ეს ერთგვარი ხელოვნებაა საკუთარი არცოდნის გადაფარვისა. მაგრამ ცხადია ისიც, რომ ამ ხელოვნების ფლობა იოლი არ არის და ვინც მას მოხერხებულად იყენებს იგი გარკვეულ წარმატებებსაც აღწევს.

პლეშაკოვი მსმენელისა და მოსაუბრის არც ერთ ტიპს არ ჰგავდა და ამან ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

მინისტრი და მეორე მდივანი ცენტრალურ კომიტეტში ჯუმბერ პატიაშვილთან წავიდნენ. ჩვენ კი ცენტრალური კომიტეტის თავდაცვის განყოფილებაში შევედით. იქ

თათბირი ჩატარდა მიწისზედა მობილური კომპლექსის შექმნასთან დაკავშირებით. შედგა ოქმი, რომელსაც ხელი თავდაცვითი მრეწველობის განყოფილების გამგემ ალექსანდრე მიხაილოვმა, ინსტიტუტის რექტორმა თემო ლოლაძემ და მე მოვაწერეთ. შემდეგ აღნიშნული ოქმი დაამტკიცა ჯუმბერ პატიაშვილმა და პიოტრ პლეშაკოვმა. ოქმი ჩემს წერილობით განმარტებებთან ერთად მოსკოვში გადაეგზავნა რადიომრეწველობის მინისტრს პ. ს. პლეშაკოვს.

პლეშაკოვის თბილისიდან წასვლის შემდეგ, მხოლოდ რამდენიმე დღე, თუ იქნებოდა გასული, როცა ჩემთან “ვწ”-მ დარეკა. ხაზზე სავინი იყო. მან მითხრა, რომ წინა დღით პლეშაკოვთან იყვნენ დაბარებულები. თათბირს ლოსევიც და თავდაცვის სამინისტროს სხვა წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. მე მგონი ძალიან გადავამლაშეთ. პიოტრ სტეფანოვიჩი აღფრთოვანებულია ჩვენი წინადადებით კოსმოსური ავტონომიური კომპლექსის შექმნასთან დაკავშირებით. მითხრა, რომ სასწრაფოდ დავაპატენტოთ კოსმოსური კომპლექსის კონსტრუქცია. და მთავარი – იგი აპირებს მოახსენოს ცენტრალურ კომიტეტსა და მინისტრთა საბჭოს, რათა მოხდეს აღნიშნულ წინადადებაზე სრულმასშტაბიანი და ყველაფრის მომცველი БПК-ს ახალი გადაწყვეტილების მომზადება. ასე რომ, ელგუჯა ვიქტორის ძევ, ახალი ტიპის შეიარაღების შექმნაში ჩვენ კრიტიკულ ზღვარზე მისული პარამეტრები ავიღეთ და იცოდეთ, ამას გამართლება სჭირდება.

ცოტა ხანში მისგან მივიღე წერილი, სადაც სავინი ჩემგან სამუშაოთა მსვლელობის ყოველთვის ინფორმაციას ითხოვდა წერილობით. ეს კი მისი მხრიდან რაღაც, შემდგომში თუ საქმე ისე არ წავიდოდა, თავის გამართლების მოტივი შეიძლება ყოფილიყო.

1987 წლის ზაფხულში გენერალ-ლეიტენანტმა ოლეგ ლოსევმა დამავალა ბელორუსიაში წავსულიყავი, სადაც სამხედრო-საინჟინრო პოლკი იყო განთავსებული. შემესწავლა მათი შესაძლებლობები, შეიძლებოდა თუ არა მათ ეკისრათ მიწისზედა, რაკეტაწინააღმდეგო მობილური საინჟინრო კომპლექსის ექსპლუატაცია და საჭიროების შემთხვევაში, მისი ჩეხოსლოვაკიაში გადასროლა.

პოლკი ბელორუსიის ტყეში, ქალაქიდან მოშორებით მდებარეობდა. იქ დილით, მანქანით ჩავდივით. ძალიან ცხელოდა. მთელი დღე სიტუაციას ვსწავლობდით და პოლკის განთავსების ტერიტორიაზე ტექნიკას ვათვალიერებდით. როდესაც დაღამდა, პოლკის მეთაურმა, ჩემს პატივსაცემად ტყეში, კოცონთან სახელდახელო ვახშამი მოაწყო. დამე გრილი და ნესტიანი იყო. რატომღაც ისე ამიტანა სიცივემ, რომ ერთ-ერთი ოფიცრის საკუთარ “ჟიგულში” ჩავჯექი და გათბობაც კი ჩავრთე.

დილით ცოტა უგუნებოდ ავდექი. ამ დროს მორიგე მოვიდა და ამბავი მოიტანა, რომ ხუთშაბათს თბილისში უნდა ვყოფილიყავი, რადგან ობიექტზე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სახელმწიფო სამხედრო-სამრეწველო კომისიის თავმჯდომარე ჩავიდოდა. ეს ტელეფონოგრამა გენერალ-ლეიტენანტ ოლეგ ლოსევის ადიუტანტს გადმოუცია.

იმ მომენტში პოლკიდან მინსკში მხოლოდ სურსათის სატვირთო მანქანა მიდიოდა. მძღოლი და ქალბატონი – პოლკის სასადილოს დირექტორი, მანქანაში ჩამსხდარნი უკვე მელოდებოდნენ. მე კი საბარგულზე მოვთავსდი. მინსკიდან მიხეილ ზაქსონს დაუურეკე. იგი დანილოვთან და სავინთან ერთად სამშაბათს უკვე თბილისში იქნებოდა. მე თბილისში ოთხშაბათს ჩამოვედი და მაშინვე საგურამოს სასტენდო კომპლექსში გავემართე. თავს კარგად ვერ ვგრძნობდი, რაღაც განსხვავებულად მტკიოდა შუბლი.

შემდეგ აღმოჩნდა, რომ ფრონტიტი მქონია და იგი მკურნალობის გარეშე გადამიტანია. ამან თავისი შედეგი გამოიღო და პრაქტიკულად ყოველთვის ქუდს ვატარებ.

თბილისში ექსპერიმენტზე დასასწრებად დიდი დელეგაცია ჩამოფრინდა. დელეგაციის ჩამოსვლის მიზანი იყო, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მიერ, ВПК-ს გადაწყვეტილების მიხედვით, სამუშაოთა მსვლელობის შემოწმება, რათა შემდგომ შედეგები მოესმინათ პოლიტიუროს სხდომაზე. როგორც ვთქვი მათ ხელმძღვანელობდა სამხედრო-სამრეწველო კომისიის თავმჯდომარე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე იური დიმიტრის ძე მასლიუკოვი. დელეგაციის შემადგენლობაში იყო “მინობშემაშის” მთავარი, მე-9 განყოფილების უფროსი იური კოპტევი. ეს ის კოპტევი, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის კოსმოსური სააგენტოს გენერალური დირექტორი გახდა. ერთი სიტყვით, დელეგაციაში 15–20 კაცი მაინც იქნებოდა.

მასლიუკოვის წინადადებით, მთელი დელეგაცია, სტუმრები და მე საგურამოს სასტენდო კომპლექსის საკონფერენციო დარბაზში დავესწართ თათბირს, რომელიც მასლიუკოვმა წარმართა. იქ მრავალი საკითხი განიხილეს. რამდენიმე დღის შემდეგ მოსკოვიდან თათბირის გაფორმებული ოქმი მივიღეთ, რაც ასევე ნიშნავდა მასში განხილული საკითხების შეთანხმებას ცალკეულ შემსრულებლებთან.

30-მეტრიანი რეფლექტორის გახსნა ხუთშაბათს დილის 11 საათზე დაინიშნა. სტუმრებს ჯუმბერ პატიაშვილი მოჰყვა. ბაზის დათვალიერების შემდეგ დიდი გაშლის სტენდის მართვის პულტთან მივედი. სტუმრებიც ჩემთან ერთად იყვნენ. ექსპერიმენტისათვის თითქმის ყველაფერი მზად იყო. დაიწყო ათვლა: 10-9-8-7-6-5-4-3-2-1 – ანტენის გახსნის დილაკს თითო დავაჭირე – და, სრული უძრაობა ირგვლივ, არც საღტის შეხსნის ხმა ისმოდა, არც ძრავები ჩაირთო, საერთოდ არაფერი არ ამუშავდა. ჩემ წინ მდგომ რეპროდუქტორებში, რომლებიც აკუმულატორიდან იკვებებოდნენ, ურთიერთმონაცვლეობით გაისმა სიტყვები, რომ ძაბვა არ არის, ძაბვა არ მიეწოდება და ა.შ. გავსინჯეთ ცენტრალური კვება – ძაბვა არც იქ იყო. ჯუმბერ პატიაშვილს სახეზე შევხედე და მივხვდი, რომ გაბრაზებული იყო. შენ ხომ მთავარი კონსტრუქტორი ხარო – მითხრა მან. დიახ-მეთქი – ავტომატურად ვუპასუხე. მაშინ რატომ არ არსებობს ბაზაზე მეორე კვების სარეზერვო სისტემაო. შენიშვნა 100%-იანი იყო. ის პასუხს არ დალოდებია. იქვე აიღო ტელეფონი და “საქენერგოს” უფროსს, ჭედიას დაუკავშირდა – ხვალ 11 საათზე, საგურამოს ბაზაზე მეორე – სარეზერვო კვება უნდა იყოსო და გარდა ამისა, ძირითადი კვებაც უნდა აღდგესო. ასეთი იყო ბრძანება და იგი შესრულდა.

სტუმრებს ერთი დღე დაცდა მოუწიათ. მეორე დღეს ყველა ისევ შეიკრიბა პულტზე ჩემ წინ მიხეილ ზაქსონი ადიოდა კიბეზე. ამ დროს ვიღაცამ ქვემოდან დაიძახა – “გრაჟდანი ზაქსონ” – მიხეილ ბორისის ძე ჯერ გაწითლდა, მერე გაღურჯდა და მოეჭიდა კიბის სახელურს. ყველაფერი ეს ერთ წამში მოხდა. შემდეგ უცებ გონს მოვეგო და სვლა განვაგრძეთ. იმის დროც არ იყო, რომ მეკითხა თუ რა მოხდა.

იმ დღეს ყველაფერი რიგზე იყო. გაშლაც იდეალურად ჩატარდა. იური მასლიუკოვმა საჩუქარიც კი გაგვიკეთა – გვითხრა “იკარუსის” მარკის ავტობუსს გადმოგცემთო და ბაზაზე კომფორტით ივლითო. ასეთი საჩუქარი ყველას მოეწონა და მთელი კოლექტივის სახელით ბატონ ანზორ მაჭავარიანმა გადაუხადა მადლობა იური მასლიუკოვს.

სადამოს ემოციებისაგან დაცლილები და გადაღლილები, გზად მცხეთის რესტორანში შევედით სავახშმოდ. მიხეილ ბორისის ძეს ვკითხე – რა იყო, რა მოხდა და

რას ნიშნავს “გრაჟდანიზმი ზაქსონი” მეთქი. მან ამოიხსენა და მითხრა – ეს დიდი ხნის ისტორიააო. მაშინ იგი მოსკოვის “НВО”-ს ავტორი იყო. მოულოდნელად ყველა “ფაზავრაშატელები” გამოვიდა მწყობრიდან. ამასთან დაკავშირებით ლავრენტი ბერიას თანაშემწემ თათბირი მოიწვია. თათბირის წინ ყველას გვარები – “ტავარიშჩით” ამოიკითხა, ზაქსონის კი “გრაჟდანიზმით”. ეს კი ძალიან ცუდ რამეს ნიშნავდა.

ბეწვზე გადარჩა მაშინ მიხეილ ზაქსონი. “ფაზავრაშატელების” გატეხვის მიზეზი სხვა რამ აღმოჩნდა ...

... ზაქსონი ძალზე განსხვავებული პიროვნება გახლდათ ყველასაგან, ვისთანაც საქმე მქონია. იგი უკრაინაში – კიევი დაიბადა და გაიზარდა, შემდეგ კი მოსკოვში წამოვიდა და რადიოტექნიკას მიუძღვნა მთელი ცხოვრება. იგი, როგორც კოლეგას და ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეს, ძალიან ახლოს იცნობდა სერგო ბერიას. ერთი პერიოდი მასთან ნიკიტა ხრუშჩოვის შვილიც მუშაობდა და მიხეილ ზაქსონი მისი დისერტაციის ხელმძღვანელი იყო. საქორწინო მოგზაურობა მას თბილისში ჰქონდა გატარებული და სიამოვნებით იხსენებდა, ყოფილ ბერიას მოედანზე, სარდაფში განთავსებულ პატარა რესტორან “სიმპათიას”. მას ბევრი საქმე ჰქონდა გაკეთებული საბჭოთა კავშირში. ამასთან, იგი კრიტიკულად იყო განწყობილი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. სუფრასთან ხუმრობდა – ჩვენ ისეთ დროში აღვიზარდეთ, რომ რასაც “გაჭმევდნენ” ბოლომდე უნდა “შეგეჭამათ”.

საერთოდ, საიდუმლოების დაცვის მხრივ, ყოველად შეუვალი პიროვნება იყო. ერთხელ, ბორჯომის ბაზაზე, რაკეტაწინააღმდეგო სისტემებისათვის, რადიოგამჭვირვალე “უკრიტიე” გამოგზავნა. იგი აბრეშუმნარევი ნაჭრისაგან იყო შეკერილი. სისტემის კოდური სახელწოდება იყო “ალა”. ჩამოვაცვიოთ “ალას” ეს აბრეშუმის ნაჭრის “უკრიტიე” და იგი მას ზუსტად მოერგო. სადამოს თბილისში დაგბრუნდი, სახლში არც კი ვიყავი შესული, რომ საქალაქთაშორისო ზარი შემომესმა. ტელეფონზე ზაქსონი მელაპარაკებოდა – ელგუჯა ვიქტოროვიჩ, როგორ არის “ალოჩკა”, როგორ მოეწყო პლატოზე დასასვენებლად, ჩაიცვა თუ არა ჩემი ნაჩუქარი აბრეშუმის კაბაო, მოუხდა თუ არა და საერთოდ, ხომ არავინ აწუხებს მასო. ამასთან, დასძინა ერთი სული მაქვს როდის ჩამოვალ. მეც ვუპასუხე, რომ “ალას კაბა” ძალიან მოუხდა. იგი მის ლამაზ ტანზე შრიალით შემოეხვია და შესანიშნავად გამოიყურება, თან დავამატე – ძალიან ჩქარობს შენთან შეხვედრას. ასე ჩაიარა კონსპირაციულმა საუბარმა. ლაპარაკი დავამთავრეთ. ხუთი წუთიც არ იყო გასული და ისევ დარეკა ტელეფონმა. ამჯერად განრისხებული ზაქსონის მეუღლე – რაისა ივანოვნა მირეკავდა. მან მითხრა – მიხეილი რომ ეშმაკი და თვალთმაქცი იყო, ამის ეჭვი მთელი ცხოვრება მქონდა, მაგრამ თქვენ, ქართველმა რაინდმა, როგორ იკადრეთ მის მსახურად ყოფნა უღირს საქციელში. გავში, რა მეთქვა არ ვიცოდი. ცოტა ხნის შემდეგ მე დავურეკე მიხეილ ბორისოვიჩს, მან ნაღვლიანად მითხრა – რაც არის არისო. უნდა გაუძლო სანამ ვითარება არ შეიცვლებაო.

როდესაც მიხეილ ზაქსონზე ვფიქრობ, მახსენდება მისი ერთი ცნობილი ფრაზა – მე სადოქტორო დისერტაციას მთელი ცხოვრება და ერთი თვე მოვანდომე. ამას იმიტომ უსვამდა ხაზს, რომ იგი გადაწყვეტილებას სწრაფად ღებულობდა, მაგრამ ამისთვის ცოდნას და გამოცდილებას საკმაოდ ხნის განმავლობაში აგროვებდა.

მართალია მასლიუკოვის ვიზიტი დამთავრდა, შედეგი შესანიშნავი იყო, მაგრამ მე როგორც სამხედრო კოსმოსური ტექნიკის მთავარ კოსტუქტორს, ჩემი მოვალეობა უნდა შემესრულებინა. როგორც აღვნიშნე, მასლიუკოვის ვიზიტის პირველ დღეს,

მოულოდნელად და გაუთვალისწინებლად, ბაზაზე გაითიშა ელექტროენერგია და ამის გამო რეფლექტორული ანტენის გაშლა და მისი დათვალიერება გადაიდო მეორე დღისათვის. ეს კი საკითხში გარკვევას და დაზუსტებას უდავოდ მოითხოვდა. მე გავეცი ბრძანება უწყებრივი გამოძიების შესახებ, რომელზეც პასუხი 27 აგვისტოს მივიღე.

მოსხენებით ბარათში სიტუაცია სწორად იყო აღწერილი, ერთი გამონაკლისის გარდა – მასში არ იყო ნათქვამი, რომ ელექტროენერგია იმ მომენტში ბაზას არ მიეწოდებოდა მცხეთის რაიონის ცენტრალური გამანაწილებელიდან. აქ მიზეზად დასახელებული იყო არასწორი ფაქტი – ადგილობრივი კვების ბლოკის და ქსელების მწყობრიდან გამოსვლა.

ჩემთვის გასაგები იყო საკითხის ასეთი ახსნა. საკმარისი იყო უწყებრივ გამოძიებას აღენიშნა ნამდვილი მიზეზი, ჩვენ იძულებული ვიქნებოდით მიგვემართა უშიშროებისთვის, რათა მათ თავის მხრივ დაეწყოთ გამოძიება, საქენერგოსა და მცხეთის გამანაწილებლის მიმართ, რაც ერთი მხრივ ართულებდა უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ურთიერთობას მათთან და მეორე მხრივ, ამ მოსხენებითი ბარათით ავარიდგე ისინი “კვბს” დაკითვებს, რაც არც თუ სასიამოვნო იყო, განსაკუთრებით იმ პერიოდში.

მაგრამ ამ ეპიზოდს მოჰყვა მეორე, გაცილებით პრობლემური სიტუაცია.

ერთ დღეს ჩემს კაბინეტში ჩემი მოადგილე, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პოლკოვნიკი ლევან შანიძე ადელვებულნი შემოვიდა, თან შემოჰყვა ჩვენი ინსტიტუტის სარეჟიმო სამსახურების ყველა უფროსი.

ლევანი წინარი და ყოველთვის მომღიმარი კაცი იყო. მისი ასე “ჩეკისტისთვის” შეუფერებელი აფორიაქება რაღაც უჩვეულო ამბის შედეგი უნდა ყოფილიყო.

მან პირდაპირ მითხრა – ელგუჯა ვიქტორის ძე, სამსახურიდან უნდა გადავდგეო. კკითხე, რა მოხდა-მეთქი. მალხაზ მიქაძემ, რომელიც ჩვენი თანამშრომელი იყო, ცოლი მოიყვანაო, მიპასუხა. გამიკვირდა, რატომ იყო ეს სასიხარულო ამბავი ასაფორიაქებელი და სანერვიულო, ვერ გავიგე.

ლევანმა საქმეში გამარკვია, ჩვენს მალხაზს, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა საიდუმლო სამუშაოებზე დაშვების ძალიან მაღალი რანგი, ერთი წლის განმავლობაში ურთიერთობა ჰქონია უცხოელ ქალიშვილთან და იგი ცოლადაც მოუყვანია. წესით, უცხოელებთან კონტაქტის ნებისმიერი შემთხვევა მალხაზს რეჟიმის სამსახურისათვის უნდა ეცნობებინა, ამის შესახებ მას ხელიც კი ჰქონდა მოწერილი დოკუმენტზე.

ამ ამბავმა ყველა საგონებელში ჩაგვაგდო. ამას ისიც ემატებოდა, რომ ეს ჩვენმა სამსახურმა კი არ გაიგო პირველად, არამედ უშიშროების კომიტეტმა, რაც კიდევ უფრო ართულებდა ყველა ჩვენგანის მდგომარეობას.

იყო სხვა და უფრო მნიშვნელოვანი რაღაც, რაც არავისთვის მითქვამს: ყველა შემთხვევაში, როგორც უნდა განვითარებულიყო შემდეგში მოვლენები, რეფლექტორული სისტემა, რომელსაც ვქმნიდი და რომელიც რამდენიმე წლის მუშაობის შედეგი იყო, ამ ფაქტის გამო უნდა შემეცვალა. მე ვერ დაეუშვებდი, რომ საქართველოში შექმნილი პროდუქციის პრინციპები დროზე ადრე გასულიყო საქართველოდან. თუ ეს მოხდებოდა, იგი გახდებოდა ბევრი გართულების წინაპირობა, როგორც ჩვენთვის, ისე საქართველოს ხელისუფლებისთვისაც. ამის შანსი, თუნდაც მინიმალური, უკვე სახეზე იყო.

ასე რომ, მალხაზს მომხდარის შესახებ ახსნა-განმარტება დააწერინეს და განმეორებით მოაწერინეს ხელი საზღვარგარეთ საიდუმლოების გაუვრცელებლობის ვალდებულებაზე. ასე ჩამოსცილდა ის საიდუმლო საქმიანობას. მალე მალხაზი მეუღლესთან გასამგზავრებელ სამზადისს შეუდგა.

ჩვენ კი კიდევ კარგა ხანს მოგვიწია “კვბს” დერეფნებსა და კაბინეტებში სიარული და მათთვის ახსნა-განმარტებების მიცემა. უშიშროების კომიტეტისათვის დაწერილ ჩემს ოფიციალურ წერილში ისიც კი აღმაწერინეს, ვირტუალურ ვარიანტებში რა შესაძლო სცენარები შეიძლებოდა გათამაშებულიყო საზღვარგარეთ და რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ ფაქტს.

ისე, ჩემს ოფიციალურ წერილში არაფერი მითქვამს იმის თაობაზე, რომ მაღსახი ფლობდა საიდუმლოებას კონსტრუქციის ფუნქციური გამოყენების შესახებ. ვიცოდი, ეს რომ დამეწერა საკმარისი მიზეზი იქნებოდა მისი საქართველოდან გაუსვლელიობისა, რაც ხელს შეუშლიდა მას მეუღლესთან შესვედრაში.

ძალიან მაღე, მოსკოვში, ერთ-ერთი თათბირის შემდეგ, სადაც სისტემის შექმნის მდგომარეობის შესახებ მოვახსენე, გენერალური კონსტრუქტორის მოადგილემ მითხრა: ელგუჯა ვიქტორის ძეგ, სწორად მოიქეცი, იმ ახალგაზრდის მიზეზით, რომელიც თქვენთან მუშაობდა და საზღვარგარეთ წავიდა, სისტემა რომ შეცვალებოდა. ასე უფრო დაზღვეული იქნებით თქვენც, ინსტიტუტიც და უსიამოვნებას აგვაცილებ ჩვენც და საქართველოს ხელისუფლებაც. მივხვდი, რომ საქართველოში მომხდარ ამბავს მოსკოვამდე მიუღწევია.

ამ ისტორიის შედეგად მე მივიღე გადაწყვეტილება და მართლაც შევცვალე კოსმოსური გასაშლელი რეფლექტორული ანტენის ძირითადი სქემა, და, რა თქმა უნდა, კონსტრუქციაც. ამისათვის კი საგანგებო ზომების მიღება და დიდი სამუშაოს ჩატარება მომიხდა.

მთელი შვიდწლიანი თეორიული და ექსპერიმენტული კვლევები და 30-მეტრიანი მოდელის გამოცდები, რომლებიც “მფრინავდებოდა” სისტემის სრულ აპრობაციას გულისხმობდა, ერთი ხელის მოსმით წყალში უნდა ჩამეყარა და ასეც მოვიქეცი. არადა 2 თვეში ტექნიკური დოკუმენტაციის სრული კომპლექტი 31-ე ქარხნისათვის უნდა გადამეცა, პირველი საცდელი კონსტრუქციის დასამზადებლად.

გამოსავალი მოიძებნა და ამან შემდგომშიც ბევრჯერ გამიწია კარგი სამსახური, მათ შორის პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ძირითადი სქემის დაზუსტებისას.

არენახე წარმოვაჩინე სამომავლო სამუშაო, ავტონომიური კოსმოსური, თანამგზავრული კომპლექსი, რომელიც ახალი ტიპის და გაცილებით ხისტი და ზუსტი 30-მეტრიანი გასაშლელი რეფლექტორის ბაზაზე უნდა აგებულიყო.

ზუსტად ერთ კვირაში შევქმენი ახალი ტიპის გასაშლელი რეფლექტორის ძირითადი სქემა და დაგამუშავე მისი აგების ძირითადი პრინციპები.

კონსტრუქციის დეტალური ნახაზები მთლიანად 31-ე ქარხანაში, კონსტრუქტორ ნუგზარ სირაძის და მისი გუნდის საშუალებით, ძალიან სწრაფად გამოვუშვი. როგორც იტყვიან 24-საათიანი სამუშაო დღის განმავლობაში.

ორი თვის შემდეგ მზად იყო ტექლოკუმენტაციის ახალი კომპლექტი, რომლის საფუძველი გახდა “გაჭიმული ფურცლების” პრინციპზე აგებული, გასაშლელრგოლიანი რეფლექტორის კონსტრუქცია, რომელიც ჩემი ახალი გამოგონების მიხედვით იყო შექმნილი.

არსებობს სამეცნიერო დარგების სპეციალობათა ჩამონათვალი, რომელშიც მნიშვნელოვანია არა მარტო მათი არსი, არამედ დარგში სპეციალობათა რიგითობაც. სამშენებლო მეცნიერებათა დარგში პირველი ადგილი უჭირავს სპეციალობას –“კონსტრუქციები, ნაგებობები და შენობები”, რომელიც იკვლევს საინჟინრო სისტემების

ფორმას, ფორმათწარმოქმნის ლოგიკას და სტრუქტურას. სწორედ მათ დასაბუთებულ და გამართულ წარდგენას ემსახურება სამშენებლო დარგში ყველა შემდეგ ჩამოთვლილი სპეციალობები.

ამდენად, ბუნებრივია, რომ აღნიშნული მიმართულებით მოღვაწე მკვლევრის ერთ-ერთი უპირველესი ინტერესი კონსტრუქციებისა და ნაგებობების ახალი ფორმებისა და სტრუქტურების შექმნაა. ამ პრობლემის დაძლევის აპრობირებული მიდგომა გამომოგონებლობაა, რომელიც ჩემთვის ყოველთვის პრიორიტეტთა რიგებში იდგა.

ამ მხრივ გამოგონებამდე მისვლის რამდენიმე გზა არსებობს.

პირველი გზა გამოგონების საბოლოო მიზნის მიღწევისა არის ის, რომ ყველა საშუალების და პროცედურის გამოყენებით, მიუხედავად მათი სირთულისა და მრავალფეროვნებისა, გართულებული სქემებით და პედანტიზმით შეიქმნას, ეგრეთ წოდებული, ახალი ფორმის და სტრუქტურის კონსტრუქცია თუ ნაგებობა.

ასეთი მეთოდით მეც, ჩემს მოწაფეებს და თანამშრომლებს ზოგჯერ მიგვიღწევია გამოგონების მიზნებამდე. ისინი, როგორც წესი, აკმაყოფილებენ საავტორო მოწმობის ან პატენტის გაცემის იურიდიულ და ფორმალურ მხარეს, მაგრამ არა გამოგონების დახვეწილობას და რეალური კონსტრუქციის მოთხოვნებს. ყოველთვის ვთვლიდი და მიმაჩნია, რომ ასეთი ლოგიკით შექმნილი გამოგონება მხოლოდ გამოგონებისთვის არის განკუთვნილი და არა მისი პრაქტიკული რეალიზაციისთვის. ჩემი ასეთი განწყობა, როგორც ვატყობდი, ხშირად ფარულ უკმაყოფილებას იწვევდა ჩემს მოწაფეებში და თანამშრომლებშიც.

ამდენად, მე გამოგონების შექმნის მეორე გზას ვანიჭებ უპირატესობას, ანუ ყოველი გამოგონება უნდა იყოს დახვეწილი, მარტივი და “ერთი ამოსუნთქვით შექმნილი”, ტექნიკური გადაწყვეტის სქემა კი მოხდენილი და ლამაზი. მის შექმნაში მეცნიერებასთან და ტექნიკურ ესთეტიკასთან ერთად, უნდა იგრძნობოდეს შემოქმედება, რაც დაახლოებს გამოგონებას ხელოვნებასთან. ეს სრულებითაც არ არის მეორეხარისხოვანი არგუმენტი. საკითხი ხომ კონსტრუქციებს, ნაგებობებს და შენობებს შეეხება, რომელთა არქიტექტურული სახე ისევე გადამწყვეტია, როგორც მათი სტრუქტურა.

ზოგადად, როცა ნაგებობების სტრუქტურასა და არქიტექტურაზე ვსაუბრობთ, ბუნებრივად იგულისხმება მათი ურთიერთკავშირი, რომელიც თავისთავად განაპირობებს ფორმის სრულყოფილებას და დახვეწილობას. ამის შესანიშნავი მაგალითია რადიო- და სატელევიზიო მაუწყებლობის კომპი ფუნქციონირზე, რომელსაც შეცდომით სატელევიზიო ანძას უწოდებენ. თუ ამ ნაგებობას დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ ესთეტიკური ხედვით იგი ორი განსხვავებული ნაწილისაგან შედგება. კომპის ზედა ნაწილი არ არის დახვეწილი და იგი თვალში საცემია. საქმე ისაა, რომ ტექნიკური ესთეტიკა, ადამიანი იცნობს თუ არა მის საფუძვლებს, ბუნებრივად მაინც ხვდება კონსტრუქციაში არსებულ ხარვეზებს. კომპის ზედა ნაწილში ცენტრალური დგარი გაძლიერებულია სწორხაზოვანი, დახრილი მილოვანი სტრუქტურით. ეს მაშინ, როდესაც კომპში ქარის ზემოქმედებისაგან წარმოიქმნება არა სწორხაზოვანი, არამედ მღუნავი მომენტის მრუდხაზოვანი ფორმის ეპიურა. სწორედ ამიტომ მიიჩნევეს დამკვირვებელი უფრო ბუნებრივად კომპის ქვედა ნაწილის კონსტრუქციას, სადაც სწორი დგარი გაძლიერებულია ტეხილი მოხაზულობის მიღებით, რომლებიც მთლიანობაში ერთხვევა მღუნავი მომენტის ზემოქმედების სიმრუდეს.

სწორედ ტექნიკის კანონების ცოდნის რეალიზაცია იწვევს გამოგონებაში მის ბუნებრიობას და ესთეტიკურ დახვეწილობას.

და კიდევ ერთი უმთავრესი რამ, რაც გამოგონებელს უნდა ახასიათებდეს, არის ის, რომ მან არ უნდა გააფეტიშოს შექმნილი გამოგონება. პირიქით, იგი უნდა ცდილობდეს, კვლავაც გააგრძელოს ფიქრი გამოგონების მიზანზე და არსებულ გამოგონებაში ნაკლოვანებების აღმოჩენისა და აღმოფხვრის შემდეგ შექმნას მისი გაუმჯობესებული ვარიანტი. ასეთი თვისება ახასიათებს იმ გამოგონებელს, რომელიც დარგის მცოდნე და, ამასთან, მკვლევარიცაა. ამიტომ, ნაკლებად მჯერა იმ პიროვნებისა, რომელიც თავის თავს მხილად “გამომგონებელს” უწოდებს და გამოგონებას მრავალ სხვადასხვა დარგში გვთავაზობს. ასეთი მიდგომით შექმნილ “გამომგონებას”, უმეტეს შემთხვევაში, არავითარი ეფექტი არ გააჩნია. გამონაკლისია ის ერთეული შემთხვევები, როდესაც დარგის არაპროფესიონალი ქმნის ახალ სისტემას, რომელიც დიდი ეფექტის მომტანია. ალბათ ის ახლის ძიების ფენომენური უნარით არის დაჯილდოებული.

ასე რომ, გამოგონებასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ მისი ფორმისა და სტრუქტურის სილამაზე არ არის მხოლოდ ხელოვნების ასახვა ქმნილებაში, იგი ქვეცნობიერად პასუხობს კონსტრუქციისა და ნაგებობის ოპტიმალურ დანიშნულებას.

ახლა დავუბრუნდეთ ჩემ მიერ კონსტრუქციის შექმნას – ახალ გამოგონებას, რომელიც განსხვავებულ გადაწყვეტებს ეფუძნებოდა.

ასეთი რადიკალური გადაწყვეტის მიღება სწორი გამოდგა. არ ვიცი საიდან და ვისგან, ან შეიძლება სრულიად სხვა, არასაბჭოთა არხებიდან, ან დამოუკიდებლად თვით უცხოელი არქიტექტორებისა და კონსტრუქტორების მიერ იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ ჩვენი საიდუმლო საბჭოთა პატენტით დაცული სქემა, საფუძვლად დაედო საზღვარგარეთ აშენებულ ნაგებობას. აი რას წერს ამის შესახებ თავის წიგნში (Инженерные конструкции «Архитектура». Москва. Высшая школа 1991г. под общей редакцией доктора, тех. наук, профессора В.В. Ермолова) ავტორი:

«К сравнительно новой разновидности радиальной схемы относится радиально-кольцевая или многокольцевая структура (рис.8.12). Это условно однопоясная система, состоящая из нескольких концентрических двухпоясных колец, которые соединены между собой короткими радиальными нитями, идущими от кольца к кольцу. Каждая нить, будучи прикреплена к верхнему поясу своего кольца, поддерживаемого нижним поясом соседнего кольца. Двумя куполами такой системы с диаметрами 93м и 120м были перекрыты гимнастический зал и спортивная арена Олимпийских игр 1988г в Сеуле».

... ახალი სქემების ბაზაზე აგებული ავტონომიური თანამგზავრული კომპლექსების შექმნის წინადადებებმა მოსკოვში სპეციალისტებისაგან, ჯერ მეცნიერების ორგანიზაციის არეალში გადაინაცვლა, შემდეგ კი უმაღლეს სახელისუფლებო წრეებში დაიწვეს მის შესახებ მსჯელობა. შესაბამისად მომზადდა ВПК-ს ახალი გადაწყვეტილების პროექტი.

არ ვიცი ამის შედეგი იყო თუ არა, რომ განსაკუთრებული მისიით ბაზაზე ჩამოვიდა, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლევ ნიკოლაევიჩ ზაიკოვი. იმ დროს იგი პოლიტბიუროს წევრი იყო და თავდაცვას და სამხედრო მრეწველობას კურირებდა. მას კონკრეტული დავალებებიც ჰქონდა და მოსკოვში დაბრუნებისას, გარკვეულ საკითხებზე მიხეილ გორბაჩოვთან უნდა ესაუბრა – განსაკუთრებით იმაზე, თუ რა ხდებოდა საგურამოს ბაზაზე.

საერთოდ, თბილისიდან ჩვენი თემატიკით მიხეილ გორბაჩოვთან ურთიერთობას, ბატონი ჯუმბერ პატიაშვილი თაობდა. მე წერილების პროექტებს ვადგენდი. შემდეგ ეს პროექტები უმნიშვნელო ცვლილებებს განიცდიდა “ზემოთ” და მიხეილ გორბაჩოვთან მიჰქონდათ.

ასე რომ, საგურამოს ბაზაზე დღის ბოლოს ჩამოვიდა ზაიკოვი. მის არც ერთ სიტყვას და ქუსტს იქ მყოფნი უყურადღებოდ არ ტოვებდნენ. იმ დღეს ჯუმბერ პატიაშვილის თაოსნობით მთელმა ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ საგურამოს ბაზაზე მოიყარა თავი. მას ძალიან უნდოდა, რომ ზაიკოვის ვიზიტს ბაზაზე წარმატებით ჩაეგლო. ამ მხრივ ჩვენ თავი არ შეგვირცხვინია. რეფლექტორის გახსნასთან, მის ფიქსაციასა და კონსტრუქციის გეომეტრიული პარამეტრების სიზუსტესთან დაკავშირებით, ყველა პროცედურა უნაკლოდ შესრულდა.

მე ვცდილობდი, უშუალო საუბარში არ ჩავრეულიყავი და ბაზის და კონსტრუქციის შესახებ ინსტიტუტის რექტორი აკადემიკოსი თეიმურაზ ლოლაძე იძლეოდა განმარტებებს.

ზაიკოვი უფრო პროფესიონალი აღმოჩნდა ვიდრე ჩვენ გვეგონა და იგი უკვე თვით კონსტრუქციის არსით დაინტერესდა. აქ ზაიკოვის კონკრეტული შეკითხვების პასუხებთან დაკავშირებით გარკვეული უხერხულობა შეიქმნა. ჯუმბერ პატიაშვილმა უცებ იგრძნო საქმის სირთულე და სიტუაციის გამოსწორება ნიკოლსკის დაავალა, რომელმაც მომიტოვა ხელი და ზაიკოვთან პირისპირ დამაყენა – აი მთავარი კონსტრუქტორი და ყველა თქვენს შეკითხვას ის უპასუხებსო, – უთხრა ზაიკოვს.

ზაიკოვი შეკითხვებს საქმესთან დაკავშირებით, მაგრამ ნიშნის მოგების ტონით სვამდა. მეც “რუსული პირდაპირობით” ვპასუხობდი, თანაც, გარკვეულ საკითხებში არ ვეთანხმებოდი. ჩემმა საქციელმა ჩვენს დელეგაციაში ჩოჩქოლი გამოიწვია. როდესაც კითხვა-პასუხი დამთავრდა, ზაიკოვმა მხარზე ხელი დამადო და თქვა – შენგან კარგი გენერალური კონსტრუქტორი გამოვაო, – ასევე დასძინა – ამ ახალგაზრდა კაცის “ჩაჭრა” მინდოდა, მაგრამ არ გამომივიდა, ამ კონკრეტულ საკითხში, რაც რეფლექტორულ ანტენებს შეეხება, მას ჩემზე მეტი ცოდნა აქვსო. ეს სიტყვები მან უკვე გულისა და კეთილი ტონით წარმოთქვა.

შემდეგ იგი საქართველოს “კბზს” უფროსს, გენერალ-პოლკოვნიკ ალექსი ინაურს მოუბრუნდა და უთხრა – ამ ტერიტორიაზე ჩიტებიც კი უნდა შემოწმდნენ “საიმედლობაზე”...

როდესაც სტუმრები მანქანებში ჩასასხდომად ემზადებოდნენ, ჩემთან ზაიკოვის დელეგაციიდან ყველაზე ახალგაზრდა პიროვნება მოვიდა და მითხრა – თქვენს სამუშაოზე გადაღებული ფილმი, ცენტრალური კომიტეტის საშუალებით ზაიკოვთან გამეგზავნა.

ყოველწლიურად ჩვენ 35 მმ სიგანის ფირზე ვიღებთ კინოფილმს, რომლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 30 წუთს. ეს ფილმები მაშინ საქართველოს ხელმძღვანელობას ჩაჰქონდა მოსკოვში.

ერთ-ერთი ფილმის გადაღებისას რეჟისორმა მკითხა, – დაკეცილი 2 მეტრი დიამეტრის რეფლექტორის პაკეტიდან, დაახლოებით რა მანძილზე მივიდოდა გაშლილი რეფლექტორის პერიფერია. შემდეგ ჩემ მიერ მიცემული მონაცემების მიხედვით ოპერატორს მიანიშნა იმ ადგილისაკენ, საიდანაც კინოაპარატით უნდა გადაეღოთ გაშლა.

ეს 30 მეტრი დიამეტრის რეფლექტორის ის ვარიანტი იყო, რომელიც ძალიან სწრაფად, სულ რაღაც 25 წამში იხსნებოდა.

ჩვენ მოვემზადეთ რეფლექტორის დაკეცილი პაკეტის გასახსნელად, ოპერატორი კი – გადასადებად. ჩავრთეთ რეფლექტორის გამშლელი ძრავები. პაკეტს, რომელსაც 3 მ² ფართობი ეჭირა, გაშლის შემდეგ რეფლექტორის მიერ დაკავებული ფართობი 675მ² იყო. კონსტრუქციული სისტემა შთამბეჭდავად ზღვის ტალღასავით დაიძრა და დაიწყო უსწრაფესი გაფართოება. ამას ძრავებისა და კონსტრუქციის გაშლის ხმაც მიემატა. ოპერატორი, რომელიც ამ მოვლენას იღებდა, პროცესს კინოაპარატის ოკულარიდან უყურებდა. მან დაინახა, რომ უზარმაზარი მასა მისკენ მიექანებოდა, პანიკაში ჩავარდნილმა მიატოვა აპარატი და სტენდის ნაგებობიდან გარეთ გავარდა ...

... ფილმები შთამბეჭდავი გამოდიოდა. დასანანი კი იყო, რომ მათ, გარდა შეზღუდული რაოდენობის პირებისა, ვერავინ ნახავდა, ვინაიდან მათ ელო გრიფი “სრულიად საიდუმლო”.

სამუშაოების ძირითად შედეგებს, ირიბად, მაგრამ მოსკოვიდან მაინც აკვირდებოდა პოლიტიურის წევრი ელუარდ შევარდნაძე. სავინისთვის ცნობილი გახდა მეხეილ გორბაჩოვისა და ელუარდ შევარდნაძის ერთ-ერთი საუბარი, როცა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი თავისი მორიგი მივლინებიდან დაბრუნდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ.

გორბაჩოვისთვის ჯუმბერ პატიაშვილს ცოტა ხნით ადრე გაუცნია საგურამოს სასტენდო კომპლექსის სამუშაოები. სავინი მხატვრულად გადმოსცემდა, რომ ამ სამუშაოების შთაბეჭდილებების ქვეშ მყოფი გორბაჩოვი შევარდნაძეს კოსმოსურ ანტენასთან დაკავშირებით ელაპარაკებოდა, შევარდნაძე კი რეიგანის შესახებ უთხრობდა მას.

თბილისში საქმე აეწყო. სანამ კოსმოსური და მიწისზედა კონსტრუქციების საშტატო ვარიანტები 31-ე ქარხანაში მზადდებოდა, რასაც მიხეილ ჯანიკაშვილი ხელმძღვანელობდა, მე რამდენიმე თვით მოსკოვში წავიდი. ამის მიზეზი ოლეგ ლოსევი გახდა, რომელიც თითქმის ერთი თვე “მექანებოდა” მოსკოვისკენ.

მოსკოვში ჩავიდი თუ არა, სასტუმროდან გენერალ-ლეიტენანტ ლოსევს დავურეკე. ალბათ დღის 12 საათი იყო. მან მითხრა, რომ დღის ბოლოსთვის 19 საათზე მივსულიყავი მასთან კაბინეტში.

18 საათსა და 45 წუთზე მის მისაღებში ვიყავი. გენერლის ადიუტანტმა, რომელიც ახალი იყო, მკითხა ვინ ვიყავი. როდესაც ჩემი სახელი და მამის სახელი ვუთხარი წამოდგა, მხედრულად მომესალმა და ოლეგ ანდრეევიჩთან შევიდა. იგი მალევე გამობრუნდა, კარი ფართოდ გააღო და გენერალთან შემიპატიჟა.

დღის ბოლო იყო და გენერალი ოდნავ მოშვებული ჰალსტუხითა და გახსნილი “პიჯაკით” შემეგება. შემდეგ, შედარებით პატარა სათათბირო მაგიდასთან მიმიწვია. მაგიდაზე ორი ბოთლი “ბორჯომი” და რამდენიმე ჭიქა იდო. გენერალმა “ბორჯომი” გახსნა, ჯერ მე შემომთავაზა, რაზეც უარი ვუთხარი, შემდეგ კი დაისხა, დალია და მითხრა, რაც ლიკანში ვიყავი, მას მერე ბორჯომს რომ ვსვამ, ჩვენი ცემის ბაზა სასიამოვნოდ მახსენდებაო.

შემდეგ თბილისის ამბები გამომკითხა. ყველაფერი ეს, ჯერ კიდევ არ ეხებოდა მის ძირითად სათქმელს.

შემდეგ ტელეფონმა დარეკა. იგი ადგა, კაბინეტის მაგიდასთან მივიდა და ცოტა ხანს ვიდაცას ესაუბრა. ეტყობოდა, რომ ვისაც ელაპარაკებოდა ჩინით ან რანგით მასზე არც დიდად ნაკლები და არც უფროსი უნდა ყოფილიყო. როდესაც საუბარი დაამთავრა ჩემკენ

შემობრუნდა და იქვე ახლოს მდებარე სავარძლისკენ მიმითითა. როგორც კი დავსხედით მან სერიოზული სახე მიიღო და მკითხა – თქვენ კოსმოსური ტექნიკის დარგში აღიარების მაღალ დონეს მიაღწიეთ, რისთვისაც საკმაო გზის გაველა მოგიწიათ. საინტერესოა, რა გზა აირჩიეთ თქვენს სამეცნიერო კარიერაში წინსვლის მარშრუტად და საერთოდ, ამ მხრივ, რომელ არჩევანს მისცემთ უპირატესობას? სიმართლე გითხრათ, არ ველოდი საუბრის ასეთ დასაწყისს და შევეცადე ყურადღების მობილიზაცია გენერლის შეკითხვაზე გამეკეთებია.

ამ საკითხზე ადრეც მიფიქრია და ამიტომ პირდაპირ ვუპასუხე – მეცნიერებში წარმატების მიღწევის მრავალი ვარიანტი შეიძლება იყოს, მაგრამ მე მათგან სამ ძირითად მიმართულებას გამოვყოფ:

— დიდი მეცნიერის, ლიდერის და მასწავლებლის “ფრთებქვეშ” დადგე და მას ფეხდაფეხ მიჰყვე შემოქმედების რთულ გზაზე, ასეთი “გარანტირებული” კარიერა პატიოსანმა მკვლევარმა შეიძლება ღირსეულად განვლოს, თუმცა ცდუნებები ყოველ ნაბიჯზეა, როცა შესაძლებელია ერთი ნაბიჯით წინ გადაუსწრო გზის გამკვალავს და მთავარი შედეგი მთლიანად დაისაკუთრო.

ასეთი გზა მე არ ამირჩევია. ჩემთვის ის უცხოა და საინტერესოც არ არის, მით უმეტეს, რომ ლიდერის ნაკვალევს მიმყოფი მკვლევარი, პრაქტიკულად კარგავს თავისუფლების დიაპაზონს შემოქმედებაში და იგი, პატიოსანი გზით მიღწეული წარმატების შემთხვევაშიც კი, შეზღუდული დიაპაზონისა და ინიციატივას მოკლებულ კვლევებს ატარებს.

— არის უფრო საინტერესო გზა – პრიორიტეტული თემატიკის წარმატებულ მკვლევართა ჯგუფში მოხვდე, და შენი წვლილით და შემოქმედებით, გუნდთან ერთად იხეიმი გამარჯვება.

ეს ძალიან ღირსეული და ოპტიმალური ვარიანტია. ამასთან, ასეთ ვითარებაში, ყოველი პიროვნება მაქსიმალურად ეუფლება ადამიანებთან ურთიერთობისა და ურთიერთმხარდაჭერის ხელოვნებას, რაც მას ღირსებას მატებს. ასეთი გზა, რატომღაც არ ავირჩიე და ვერც ავირჩევდი, თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოში არც სამხედრო-საინჟინრო დარგის და არც კოსმოსური ტექნიკის, თუნდაც დამწვებ პროფესიონალთა ჯგუფი არ არსებობდა.

— არის მესამე და განსაკუთრებული გზა – კვლევების სფერო, მიზნის დასახვა, ლიდერობა კვლევებში, მეცნიერების ორგანიზაცია და ახალი მიმართულების შექმნა საკუთარი ცხოვრების მიზნად და ტვირთად გაიხადო და დაიწყო რთულ და ხანგრძლივ გზაზე სვლა. ამ დროს უმთავრესია მიზანი იყოს მიმზიდველი, ღირებული, ამაღლებული და რომანტიკული, სხვა შემთხვევაში შეიძლება ნებისყოფა არ გეყოს.

და კიდევ ერთი, ასეთი არჩევანის დროს სხვისი იმედი არ უნდა გქონდეს. არა იმიტომ, რომ შენს ირგვლივ უნარმოკლებული ან არაერთგული ადამიანები აღმოჩნდებიან, არამედ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ლიდერი მკვლევარი მარტო მეცნიერი არ არის, ის შემოქმედია და შემოქმედებაში შედეგი მხოლოდ ინდივიდუალურობასა და ორიგინალურობაზეა დაფუძნებული, რომელსაც სხვას ვერ დაესესხები და ამ მხრივ, ვერც ის შეძლებს რაიმე შეგმატოს.

მე სწორედ ასეთი გზა ავირჩიე და ასეთ არჩევანს გავაკეთებდი – ყველაფრის თავიდან დაწყება რომ შემეძლოს.

პასუხი პუნქტების მიხედვით ისე ჩამოვაყალიბე, როგორც ეს გენერალ-ლეიტენანტს შეეფერებოდა.

შევატყვე, რომ ჩემმა პასუხმა დააკმაყოფილა, მაგრამ რაღაც გაკვირვების მსგავსი შევნიშნე სახეზე. მან ამ გაკვირვების მიზეზი თავისი მეორე შეკითხვით ახსნა.

გამოდის, რომ თქვენ, კოსმოსური ტექნიკის მთავარ კონსტრუქტორს, თქვენი უნიკალური კონსტრუქციების შექმნაში არავინ დაგხმარებიათ – გამოდის, რომ ყველაფერს თქვენ აკეთებდით?

ამ კითხვას კი შეუჩერებლად ვუპასუხე.

არა, ყველაფერს მე ვერ და არც გავაკეთებდი. მე ვამუშავებდი კონსტრუირების თეორიულ საფუძვლებს, პროექტირების ლოგიკას და ვქმნიდი კონსტრუქციის ძირითად პრინციპულ სქემას თავისი უმთავრესი შემადგენელი ნაწილების ჩათვლით.

თანამებრძოლები, და მართლაც ნიჭიერი პიროვნებები, მხარში მედგნენ არა როგორც შემოქმედ მეცნიერსა და მთავარ კონსტრუქტორს, არამედ როგორც მეცნიერებისა და ადმინისტრირების ორგანიზატორს. მათი მაღალპროფესიული საქმიანობა მოიცავდა კონსტრუქციების დამზადებას, მის თეორიულ და ექსპერიმენტულ შესწავლას, მუშა ნახაზების გამოშვებას და სხვა მრავალმხრივ საქმიანობას, რომელშიც, თანამებრძოლებით დაწყებული, ასეულობით ადამიანი დებულობდა მონაწილეობას. მათ გარეშე მეცნიერებიდან პრაქტიკულ შედეგამდე გზა არ არსებობს.

შემდეგ ლოსევი წამოდგა კაბინეტში გაიარ-გამოიარა, ჩემს მოპირდაპირე მხარეს მოშორებით შეჩერდა და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა – რა არის ის, რასაც ყველაზე მეტად აფასებთ მეცნიერებაში?

– რთული შეკითხვაა ოლეგ ანდრეევიჩი. მე ძალიან ხშირად ვეძებ პასუხს. ისინი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ვითარებაში ერთმანეთისგან, სიტუაციის მიხედვით განსხვავდებიან. მცირე პაუზის შემდეგ კი განემარტე, სამ თვისებას მივცემ უპირატესობას.

– რა არის ეს სამი თვისება – კვლავ შემეკითხა გენერალი. მე პასუხი აღარ დამიყოვნებია:

პირველი – მასწავლებლების პატივისცემა, მისი დვაწლის აღიარება და დაფასება. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საკუთარი მიღწევებით მას გაუტოლდები და მით უმეტეს, თუ მასწავლებელზე მეტ წარმატებულ შედეგს მიაღწევ.

მეორე – მეცნიერი, გარკვეულწილად, ზოგიერთი ხელოვანისაგან განსხვავებით, შემოქმედებით შრომას “მუზის” მოსვლის შემდეგ კი არ უნდა იწყებდეს, არამედ მუდმივი შრომით უნდა შეძლოს “მუზის” შემობრძანება საკუთარ შემოქმედებაში.

და მესამე – მეცნიერებაში მკვლევრის მიერ შესრულებული ყოველი სამუშაო, მიუხედავად მისი მასშტაბისა და მნიშვნელობისა, უნდა ხასიათდებოდეს ერთი განსაკუთრებული ნიშნით – პატიოსანი შესრულებით.

ვიდრე ლოსევთან მოვიდოდი, რა არ ვიფიქრე რა საკითხებზე ექნება საუბარი ჩემთან. ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ მასთან კაბინეტში მისულს თუ იგი დისკუსიას გამიმართავდა, განზოგადოებულ “ფილოსოფიურ” საკითხებზე, ნამდვილად არ მეგონა. ამან ცოტა გამაკვირვა და ეს განცდა სახეზეც დამეცყო, რაც ლოსევმა შემამჩნია კიდევ.

ნუ გაგიკვირდება ელგუჯა ვიქტორის ძვე ასეთი საუბარი, უფრო სწორად საუბრის პრელუდია, თქვა მან და კიდევ დამისვა შეკითხვა.

წლების განმავლობაში, თქვენ არა მარტო ქმნიდით საქართველოში ახალ სამეცნიერო დაწესებულებებს, არამედ ხელმძღვანელობდით კიდევ მათ. რა იყო

თანამშრომლების მიმართ თქვენი მოთხოვნების უმთავრესი პრიორიტეტები, და რამდენად ეგუებოდით იმას, როდესაც მეცნიერი მუშაკები სამსახურის რეგლამენტს ზუსტად არ იცავდნენ?

შეკითხვების შემდეგ, რა თქმა უნდა, პასუხის გაცემაზე ვფიქრობდი, მაგრამ უმთავრესი ინტერესი იმ დროს ის იყო, თუ რაში დასჭირდა გენერალს ასეთი შეკითხვების ჩემთვის დასმა. ეს, ცოტა არ იყოს, მაფერხებდა პასუხების გაცემაში. თავს ძალა დავატანე და კვლევ დავიწყე ფიქრი გასაცემ პასუხზე.

როგორც დაწესებულების ხელმძღვანელი, მეცნიერების ორგანიზატორი და მთავარი კონსტრუქტორი, ხელქვეითებისა და თანამშრომლების წინაშე, ჩამონათვალის რიგითობის მიხედვით, პრიორიტეტს ვანიჭებდი ოთხ საკითხს:

- საიდუმლოს დაცვის ორგანიზებას;
- უსაფრთხოების ტექნიკისა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გამართულ ფუნქციონირებას;
- ფინანსურ დისციპლინასა და მატერიალურ ფასეულობათა მოვლა-შენახვას და მხოლოდ ამის შემდეგ
- მეცნიერების, ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარებას.

როგორც ხელმძღვანელი, არასდროს ვითხოვდი სამუშაო ადგილზე თანამშრომლების გაუნძრევლად ჯდომას. მთავარი იყო შემოქმედებითი შედეგი და მისი ეფექტურობა, რაც ზოგჯერ, მაშინ, როდესაც ამას საქმე მოითხოვდა, ყოველდღიური ძალდატანებისა და ადმინისტრირების გარეშე, მათგან გამოიხატებოდა მრავალი დღე-ღამის განმავლობაში 24-საათიანი დაძაბული და მიზანსწრაფული შრომით.

პასუხის შემდეგ ოლეგ ანდრეევიჩმა ბოდიშით მომმართა და კიდევ ერთი შეკითხვა დამისვა: ელგუჯა ვიქტორის ძევ, თქვენი მრავალმხრივი და მრავალფეროვანი ცხოვრების გზაზე დებულობთ უამრავ ინფორმაციას, წინადადებას და მრავალ შემოთავაზებას. თქვენ კი ყოველთვის მოვლენათა შუაგულში გამავალ გზას ირჩევდით, სადაც ლოგიკურად ვითარდებოდა დაწესებული საქმე და შედეგიც რეალობაზე იყო ორიენტირებული. ისმება კითხვა – როგორ ახერხებთ ამას?

ამდენმა, შეიძლება ითქვას, რთულმა შეკითხვამ, ცოტა არ იყოს დამდალა. ამიტომ პასუხი ოდნავ ისევ დავაყოვნე. ჩავფიქრდი. ასეთი შეკითხვები, როგორც წესი, გააზრებას და დროს მოითხოვს. ცოტა ხნის შემდეგ უკვე აღტყინების გარეშე ვუპასუხე: კარიერაში, საქმეში და საერთოდ ცხოვრებაში მრავალი წინადადება, შემოთავაზება, გეგმა და სიახლით აღსავსე ინფორმაცია გროვდება. აუცილებელია, რომ მათგან მხოლოდ მთავარი და ძირითადი მიზნისაკენ მოწოდებული ვერსია აირჩიო და არა თუნდაც ძალიან საინტერესო, თუ იგი შენს ხასიათს, შენს ამოცანებს არ შეესაბამება და შენი ცხოვრების გზის მიმართ არ არის ორიენტირებული. საერთოდ, ამ ინფორმაციულ ნაკადებში აუცილებელია ავირჩიოთ მთავარი, დანარჩენი მისი მნიშვნელობის მიუხედავად კი მეორეხარისხოვნად მივიჩნიოთ და მათ არც დიდი დრო და არც განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ, თორემ ადამიანი დიდ დროს დაკარგავს. ეს კი პროფესიონალისათვის მიუღებელია.

ამით ელგუჯა ვიქტორის ძევ, შეკითხვები დავამთავრეთ. ახლა, მე თქვენთვის სერიოზული წინადადება მაქვს. ეს შეკითხვებიც შემოთავაზების რანგის მიხედვით იყო აუცილებელი ჩემთვის.

ჩავთვალთ, რომ იგი გარკვეული გასაზრებაც იყო.

ელგუჯა ვიქტორის ძევ, – დაიწყო ლოსევმა, რამდენიმე დღის წინ მე ვიყავი თავდაცვის მინისტრის მოადგილესთან, არმიის გენერალ შაბანოვთან. შეხვედრის თემა იყო – სტრატეგიული რაკეტების სტარტის აღმოჩენის ახალი კოსმოსური სისტემა, რომელიც აიგება 30-მეტრიანი რეფლექტორული ანტენის ძაღოვანი კარკასის ბაზაზე. სისტემების ასეთი კომპლექსები დროთა განმავლობაში რიცხობრივად უნდა გაიზარდოს, რომ შესაძლებელი გახდეს მთელი მსოფლიოს კონტროლი კოსმოსიდან. შაბანოვი კმაყოფილია იმ სამუშაოთი, რომელიც შენი ხელმძღვანელობით სორციელდება საქართველოში, კონკრეტულად 30-მეტრიანი კოსმოსური რეფლექტორული ანტენის შექმნის მხრივ.

ამასთან, მას აინტერესებდა ვინ შეიძლება ყოფილიყო, მომავალში კოსმოსური სისტემის, ოპერატიული მართვის ცენტრის ხელმძღვანელი. არჩევანი მე შენზე შევაჩერე და ვფიქრობ, არ შევმცდარვარ. შენ უნდა გამიმართლო. საკითხი ეხება არა მარტო ცენტრის ხელმძღვანელს, არამედ პიროვნებას, რომელიც შემდგომ ეტაპზე ახალი ტექნიკური გადაწყვეტებით კიდევ უფრო სრულყოფილს გახდის კოსმოსური დაჯგუფების სისტემას.

მე ყურადღებით ვუსმენდი მის ყოველ სიტყვას, თანაც იმ მომენტში ვანალიზებდი ყველა იმ პერსპექტივას და უარყოფით თუ დადებით შედეგს, რაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა, ამ ცენტრის ხელმძღვანელად ჩემს დანიშნვას. თუმცა იმასაც კარგად ვხვდებოდი, რომ თუ გადაწყვეტილება ნაწილობრივ მაინც მიღებული იყო, დიდად ვერაფერს შევცვლიდი. ასეთი იყო საბჭოთა წესი, მით უმეტეს როცა საკითხი სამხედრო კარიერას შეეხებოდა.

ლოსევი კი აგრძელებდა ჩემთან საუბარს – 1992 წელს კოსმოსურმა სისტემამ ფუნქციონირება უნდა დაიწყო. ამ მომენტისთვის ცენტრიც უნდა იყოს შექმნილი და მისი ხელმძღვანელიც უკვე აქტიურად უნდა მოღვაწეობდეს. ამდენად შენს გადმოყვანას მოსკოვში უნდა ელოდე 1991 წლის დასაწყისშივე. ჩვენ კი ჩვენი მხრივ ყველა საჭირო საკითხს მოვაგვარებთ. ისე იცოდე, რომ ცენტრის ხელმძღვანელის სამხედრო წოდება ძალიან მაღალი – გენერალ-მაიორია. ასევე, თემატიკის შედეგები კარგად უნდა მოვამზადოთ და ლენინურ პრემიაზე წარვადგინოთ. რაც შეეხება შენს დაბინავებას მოსკოვში, ამ საკითხის მოგვარება იოსებ რუდელსონს დაევალება და იგი მას შენთან შეთანხმებით გადაწყვეტს. ოჯახის გადმოყვანის საკითხი თვითონ უნდა მოაგვაროთ. რაც შეეხება თბილისში სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროს მისი დირექტორის და მთავარი კონსტრუქტორის კანდიდატურას ჩვენ შევარჩევთ.

გენერლის ბოლო სიტყვებმა გამომაფხიზლა, სიმართლე გითხრათ, არც კი დაფიქრებულვარ ისე ვუთხარი – თბილისში მთავარი კონსტრუქტორის თანამდებობაზე არყოფნის გარეშე, ჩემი ცენტრის ხელმძღვანელად დანიშნვას აზრი არ ექნება, რადგან სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს გარეშე მე ხელიდან გავუშვებ იმ სამეცნიერო ინიციატივას, რომელიც შეეხებოდა კოსმოსური სისტემის შემდგომ სრულყოფას. ამიტომ, პირდაპირ ვუთხარი გენერალს, ბიუროს მთავარი კონსტრუქტორის პოსტი უნდა შევინარჩუნო, ხოლო რაც შეეხება დირექტორს იგი შეიძლება იყოს მიხეილ ჯანიკაშვილი, ჩემი მოადგილე, რომელიც შესანიშნავად იცნობს საწარმო-ტექნოლოგიურ პროცესებს და ამასთან კარგი ორგანიზატორიცაა.

ჩემს წინადადებებს ლოსევი რეაქციის გარეშე შეხვდა და მითხრა, მოდი ეს საკითხები, როცა ამის დრო დადგება მაშინ გავარჩიოთო.

ჩანდა, ლოსევი ჩემთან საუბარს ამთავრებდა. ეს იმაშიც იგრძნობოდა, რომ იგი თავისი კაბინეტის საწერ მაგიდაზე, ინტენსიურად, როგორც უფროსებს სჩვევიათ, საგნების და დოკუმენტების მოწესრიგებას და დალაგებას იწყებდა, რაც, აპრობირებული წესით, მიანიშნებდა სტუმარს იმის შესახებ, რომ “ვიზიტი” დამთავრებულია.

მეც წამოსასვლელად მოვემზადე და გამომშვიდობებისას ლოსევს კკითხე – ოლეგ ანდრეევიჩი, თუ ეს დანიშნა 1991–1992 წლებში უნდა მოხდეს, ასე ადრე რატომ ირჩევთ კანდიდატს.

ოლეგ ლოსევმა სრულიად სერიოზული სახე მიიღო. მე ისევ დაჯდომა მთხოვა და მითხრა – დანიშნა თანამდებობაზე, მართალია 1991 წელს არის განსაზღვრული, მაგრამ უკვე იქმნება უწყებათშორისი სპეციალური ჯგუფი, რომელსაც დიდი ალბათობით შენ უხელმძღვანელებ. ჯგუფის ყველა წევრი შეირჩევა ისე, რომ როდესაც ცენტრი ამოქმედდება ისინი კონკრეტულ თანამდებობებს დაიკავებენ. ამ საკითხთან დაკავშირებით, ცოტა მოგვიანებით, ჯგუფის წევრებთან მექნება საუბარი, მანამ კიდევ არის რაღაც პროცედურები ჩასატარებელი. იმედია, შენთან დაკავშირებით ყველაფერი კარგად იქნებაო. ამ სიტყვებმა, ცოტა არ იყოს გამაკვირვა – რას ნიშნავს “რაღაც პროცედურები”, და რატომ ითქვა “იმედია ყველაფერი კარგად იქნება”. წამოვდექი, ოლეგ ანდრეევიჩს გამოვემშვიდობე და სამინისტროდან გამოვედი.

როდესაც მანქანაში ჩაეჯექი 20 საათი და 35 წუთი იყო. აფორიაქებული ვიყავი. თანხმობა ფაქტობრივად მიცემული იყო. ერთადერთი რამ, რაც იმ მომენტში მამშვიდებდა, 1991 წელი კიდევ წინ იყო და საჭიროების შემთხვევაში, მაინც იყო მინიმალური შანსი წინადადების კორექტირებისა.

მძლოლმა მკითხა, თუ სად მივეყვანე. საათს ისევ დავხედე და ვუთხარი სასტუმრო “ინტერკონტინენტალი”.

მანქანა “ინტერკონტინენტალთან” გაჩერდა – მე გადმოვედი. მანქანა გაუშვი და სასტუმროში შევედი. როგორც წესი, სპეციალური საშვის გარეშე ამ სასტუმროში საბჭოთა მოქალაქეებს არ უშვებდნენ. ერთ-ერთი გამონაკლისი მათთვის ნაცნობი «рузины» იყვნენ. მეც მათ რიგებში ვიყავი. სასტუმროს ფოიეში ცოტა ხალხი იყო. რესტორანს გვერდი ავუარე და მეორე სართულზე – “ბიზნესკლუბში” შევედი სავაჭროდ. იმდღევანდელი ემოციების შემდეგ მყუდრო ადგილი შევარჩიე და მსუბუქი ვახშამი შევუკვეთე. ძალიან დაღლილი ვიყავი.

“ბიზნესკლუბის” რესტორანში, სცენაზე ჯერ საბჭოთა რესპუბლიკების ხალხთა ნაციონალური ცეკვები სრულდებოდა. შემსრულებლები მოსკოველი კოლექტივები იყო. ქართულიც იცეკვეს, ოღონდ არაქართული მანერით. ცეკვა ქართული იყო, მაგრამ სრულებით არ ჰგავდა ქართულს. ამან ჩამაფიქრა, ოლეგ ლოსევთან “ფილოსოფიური” კითხვა-პასუხის შემდეგ საკუთარ თავთან მომინდა ფიქრების და განცდების შეჯერება. მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ რა საკითხს შევეხებოდი.

“აღიარება იმისა, რომ ცეკვა არის სხეულის მოძრაობა და მდგომარეობა, რომელიც რიტმით და მუსიკის თანხლებით ქმნის მხატვრულ სახეს”, ვფიქრობ, რომ ძალიან “ღარიბული” განმარტებაა საცეკვაო ხელოვნებისა, უფრო ზუსტად კი, ფოლკლორული ქორეოგრაფიის დახასიათებისა.

მიმანჩია, რომ სხეულის პლასტიკა, სტატიკა და დინამიკა, იმპროვიზებული რიტმით, მუსიკით და ვოკალითაც კი ბოლომდე სრულქმნილი მაინც არ არის და მართლაც მხოლოდ მხატვრულ სახედ რჩება მანამ, სანამ ცეკვაში, როგორც ფენომენში, მისი მამოძრავებელი, ეროვნული სულისა და ხასიათის ენერგეტიკა არ გამოასხივებს. სწორედ ამ მდგომარეობაში ხალხური ცეკვა ხელოვნებაზე მეტია და მხატვრული წარმოსახვაა ერის გენეტიკური კოდისა.

დავფიქრდეთ, იქნებ ეს არის ახსნა იმისა, რომ მხოლოდ ქართველს ან მის მონათესავეს და მხოლოდ საქართველოს მიწა-წყალზე შეუძლია იმ სისრულით და ინტენსივობით შეითვისოს ჩვენი ცეკვების ფორმები და შინაარსი, რომლებიც მთლიანობაში განაპირობებს მიღწევადობას ქართული ცეკვის სტიქიისა.

ასეთი დამოკიდებულება ქართული ფოლკლორული ქორეოგრაფიის მიმართ ჯერ კიდევ ბათუმიდან გამანჩია, როდესაც საქართველოს უღამაზესი მხარის, აჭარის “იდენტიფიკაციის შიფრი” აჭარულ ცეკვაში “ამოვიკითხე”, რაშიც ალბათ წვლილი დიდ ქორეოგრაფს – ენვერ ხაბაძეს მიუძღვოდა.

ამასობაში შევნიშნე, რომ საცეკვაო არენასთან ახლოს ისხდნენ ქართველ მოცეკვავეთა ელიტის წარმომადგენლები – “სუხიშვილები”. დროდადრო ახალგაზრდა “სუხიშვილები” რესტორანში სამეჯლისო ცეკვისთვის დამახასიათებელი აღტყინებითა და ილეუების სრული სპექტრის ენერგიული დემონსტრირებით წარმოაჩენდნენ თავიანთ ოსტატობას. მოულოდნელად “სუხიშვილების” მაგიდასთან მჯდომმა, ანსამბლის წევრებთან შედარებით უფრო ასაკოვანმა პიროვნებამ, რომელიც თავისი “ასანკის” მიხედვით წარსულში მოცეკვავე უნდა ყოფილიყო მოწიწებით, სრულიად ახალგაზრდა ქალბატონი გამოიწვია და დაიწყო ცეკვა. მან, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, დახვეწილი მოძრაობით, სულ რამდენიმე სახასიათო, ემოციურ და მხატვრულ შტრიხს გაუსვა ხაზი, რითაც ახალგაზრდებთან შედარებით ალბათ ათჯერ ნაკლები ფიზიკური ენერჯია დახარჯა და ახჯერ მეტი “ემოციის ენერგეტიკული ველი” შექმნა.

იმ მომენტში მივხვდი, რომ საქმის ნამდვილმა პროფესიონალმა უძნელესი ამოცანის გადაწყვეტა უნდა შეძლო მინიმალური ძალის, შრომის და ემოციების დახარჯვით. ასეთმა დასკვნამ, რომელსაც რესტორნის დახვეწილი სიტუაციაც უწყობდა ხელს, ცოტა არ იყოს, გამომაფხიზლა, უფრო მსუბუქად მეჩვენა საქმე და იმდღევანდელი შემოთავაზებაც.

მეორე დღეს “კომეტას” სასტენდო კორპუსში, მივედი და მთელი დღე ავტონომიური კოსმოსური კომპლექსის კომპლექტაციის საკითხებს ვარკვევდი.

დღის ბოლოს მიხეილ ბორისოვიჩთან საუბარს შევეყვით, რომლის თემა იყო ავტონომიური თანამგზავრული კომპლექსის შემადგენელი კოსმოსური აპარატის მაღალტექნოლოგიური კომპლექტაციის საკითხები. ცხადი იყო, რომ ამ მხრივ შესაძლებელი იყო მსოფლიოში სახელგანთქმული უცხოეთის კომპანიების ნაკეთობების გამოყენება, თუმცა საბჭოთა ნაკეთობებში მათი ტექნიკური პარამეტრების მიღწევა შედარებით მოძველებული, მაგრამ უფრო საიმედო პრინციპებს ეფუძნებოდა. როდესაც საუბარი დაიძაბა, მიხეილ ზაქსონმა გამაჩერა და მითხრა, რომ მშვიდად მომესმინა ერთი ამერიკული მულტფილმის, მისთვის ცნობილი, სცენარის შესახებ.

პირველად ფილმში მოქმედება ამერიკის შეერთებულ შტატებში ხდება. მაღლივ ფეშენებელურ შენობასთან გაჩერდა ლიმუზინი, საიდანაც ელევანტურად ჩაცმული მამაკაცი გადმოდის. იგი სიგარას ეწევა და ისე შედის კორპუსში. მუსიკის ფონზე მამაკაცი, შესანიშნავი ქალბატონების თანხლებით ლიფტით ადის 27-ე სართულზე. შემდეგ

მიემართება ოფისისაკენ და შედის კონსტრუქტორების დიდ და ნათელ დარბაზში. კომფორტულ გარემოში მიუჯდება მაგიდას, სადაც დგას სახაზავი მოწყობილობით აღჭურვილი თანამედროვე “კულმანი”. დღის ბოლოს იგი მდივანს აბარებს ნახაზებს.

შემდეგი კადრები უკვე ქარხანას ასახავს, სადაც ნახაზების მიხედვით, სპეცტანსაცმელში გამოწყობილი საინჟინრო და ტექნიკური პერსონალი მშვიდად და პროფესიულად განიხილავს და ჩარხზე ამუშავებს კონსტრუქციის დეტალებს და კვანძებს.

ბოლოს, ნახაზების მიხედვით დამზადებული ამერიკული რაკეტა-მატარებელი უკვე სასტარტო პოზიციაშია კოსმოდრომზე. იწყება უკუათვლა 10-დან 1-მდე და რაკეტა-მატარებელის რეაქტიული ძრავებიც ამუშავდება. მის გადაადგილებას ასეულობით სტუმარი სპეციალური ბინოკლებით აკვირდება და აი საოცრება – რაკეტა ფეთქდება.

შემდეგ ფილმში მოქმედება საბჭოთა კავშირში ხდება. საკონსტრუქტორო ბიუროში ზის ერთი კონსტრუქტორი, მას მაგიდაზე აქვს სახაზავი დაფა, სამკუთხა სახაზავი და ფანქარი. იქვე უდევს თევზის გახსნილი კონსერვი “შპროტი”, შავი პურის ნატეხი და დაცლილი არყის ბოთლი.

შემდეგ კონსტრუქტორი დგება, იცვამს პალტოს და იხურავს ქუდს. დახვეულ ნახაზს იღლიაში ამოიღებს და ქუჩაში გადის. ის ხალხით გაჭედილ ავტობუსს შეახტება და ნახაზი დაეჭმუჭნება.

კადრში ჩანს დაცარიელებული და გავერანებული ქარხანა. მხოლოდ ერთი მუშა მუშაობს ჩარხთან. ჩვენი კონსტრუქტორი დაჭმუჭნილი ნახაზით მიადგება მუშას. ისინი კარგა ხანს ერთმანეთს ეჩხუბებიან. ბოლოს ხარატი ერთს ლაზათიანად შეიგინებს, ნახაზს გამოართმევს კონსტრუქტორს და იწყებს დეტალის გამოჩარხვას.

ახლა კადრში დათოვლილი მინდორი ჩანს. “ცალყურჩამოშლილი უშანკიანი” კაცი და ჩვენი კონსტრუქტორი უკან მიჰყვებიან რაკეტას, რომელსაც ცხენი მიათრევს. შემდეგ მას მიაყუდებენ ხეს. “უშანკიანი” კაცი სიგარეტით ანთებს ცეცხლგამტარ ზონარს. ორივე გარბის და მეორე ხეს ამოეფარებიან. რაკეტა უცებ დაიგრიანებს და გაფრინდება. ორივე დგას და ზემოთ იყურება. კონსტრუქტორს კი ხელში რადიომიმღები უჭირავს. ცოტა ხანში რადიომიმღებში გაისმის კოსმოსში გასული რაკეტის “პოზიენოსი” ხმა.

ასეა ჩემო ელგუჯა ვიქტორის ძეგ. ხომ ხედავ, საბჭოთა სკოლა მაინც მაგარია. ისინი, ჩვენთან შედარებით, მხოლოდ უფრო მაძღრები არიან. ეს არის და ეს. ასე რომ ნუ წუწუნებ და ის აპარატურა გამოიყენე, რასაც ჩვენები “მამაპაპურად” აკეთებენ.

ზაქსონის მიერ ამხელა კინოლექციის ჩატარების შემდეგ საუბრის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა და მით უმეტეს მასთან კამათს, რომელსაც ზაქსონი ორგანულად ვერ იტანდა. იგი იტყოდა ხოლმე – “ტყუილია, როცა ამბობენ, რომ ჭეშმარიტება კამათში იბადება”. შემდეგ დასძენდა – “ჭეშმარიტება მხოლოდ მშვიდი და დასაბუთებული მსჯელობის შედეგია”. ხელი ჩაგიქნიე და ჩემი საქმე გაგაგრძელე.

მიუხედავად ზაქსონის ასეთი სიჯიუტისა, მასთან მაინც შეიძლებოდა კომპრომისის მიღწევა. მახსოვს კომოსური სისტემისათვის ელექტროძრავა უნდა შეგვერჩია. როგორც ხშირად ხდებოდა, აქაც ჩვენი შეხედულებები საპირისპირო აღმოჩნდა. იგი ერთი ფირმის ძრავებს ანიჭებდა უპირატესობას მე კი მეორისას. საუბარი ძალიან გამწვავდა. შემდეგ სინემე ჩამოვარდა. პაუზის შემდეგ საუბარი მე დავიწყე. მიხეილ ბორისოვიჩ, მეგობრულად გთხოვთ, თუ შეიძლება ჩემი წინადადება მიიღეთ. მან, ძალიან მშვიდად მიპასუხა – თუ

მეგობრულად მთხოვთ, მე წინააღმდეგი აღარ ვიქნები ძრავას შერჩევაზე შენი წინადადება რომ მივიღო. ვფიქრობ, მიხეილ ბორისოვიჩის ეს თვისება დასაფასებელია.

მივლინების მთელ პერიოდში, ახლა უკვე ВПК-ს მეორე დადგენილების მომზადებით, შეთანხმებებითა და სხვა ორგანიზაციებში ვიზიტებით ვიყავი დაკავებული. თითქოს ყველა, ვინც კოსმოსური დიდგაბარიტიანი კონსტრუქციების შექმნაზე მუშაობდა შეთანხმდნენ, რომ თითქმის ყველა დავალება ჩვენ, საქართველოში უნდა შეგვესრულებინა. ამჯერად ახალი გადაწყვეტილების მომზადება და საკითხების შეთანხმება, ВПК-ს პირველ გადაწყვეტილებასთან შედარებით, როგორც იტყვიან, რიხინ-რიხინით მიდიოდა. ჯერ იყო და კრემლში “დიდი კარის” უკან მდგარ შენობაში გადაწყვეტილების მიღების საკითხებთან დაკავშირებულ თითქმის ყველა ჩინოვნიკს ვიცნობდით. რაც შეეხება, სამინისტროში გადაწყვეტილების პუნქტების შეთანხმებას, აქ უკვე მე ძლიერი პროტესტები მახლდნენ, როგორც რადიომრეწველობის სამინისტროდან, ისე თავდაცვის სამინისტროდან და გზას ისინი მიკვალავდნენ. სამუშაო საათების შემდეგ, როცა ჩინოვნიკები მიღების საათებს ამთავრებდნენ, მე უკვე თავისუფალი ვიყავი.

ერთ საღამოს, სამსახურის დამთავრების შემდეგ, სასტუმროში დაღლილი დავბრუნდი. 10–15 წუთი იქნებოდა გასული, ტელეფონმა რომ დარეკა – ელგუჯა ვიქტოროვიჩ, ასეთ დროს სამსახურში რატომ არ ხართ? – რუსულად, ალბათ ხუმრობით და ოდნავ ქუთაისური ინტონაციით, მკითხა ალექსანდრე მიხაილოვიჩა, რომელიც, როგორც აღვნიშნე, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის თავდაცვითი მრეწველობის განყოფილების გამგე გახლდათ. რა თქმა უნდა, მოსკოვის სასტუმროს ჩემი ტელეფონის ნომერი მისთვის ცნობილი იყო.

ვუპასუხე რომ მოსკოვში ადამიანებს ორი უპირველესი რიტუალი გააჩნიათ. ეს არის “обеденный перерыв”-ისა და “конец рабочего дня”-ს დაცვის არაადამიანური ინსტინქტი. საკმარისია დადგეს სამუშაოს დამთავრების დრო და ადამიანები ავტომატურ რეჟიმში, რობოტებივით, მომენტალურად წყვეტენ სამუშაოს და გამორბიან სამსახურიდან, თითქოს იქ ბომბი უნდა აფეთქდეს.

ხო, კარგიო – ახლა უკვე ქართულად და სუფთა ქუთაისური კილოთი მითხრა მიხაილოვიჩა – ელგუჯა, ამ საღამოს მინდა, აქვე ქალაქის ცენტრში, რესტორან “დომ კინოში” დაგპატიჟო და ცოტა საქმეზეც დაგელაპარაკო. ნახევარი საათის შემდეგ წავედიოთ “დომ კინოში”.

როცა მისი საუბრის ქუთაისურ კილოზე ვლაპარაკობ, ეს შემთხვევითი არ არის. იგი ქუთაისში დაიბადა და გაიზარდა. შემდეგ კი თბილისში დაიწყო საქმიანობა. იმ ადამიანებს, რომლებსაც რუსული განათლება აქვთ და რუსულად მეტყველებენ, უცვლელი რჩებათ ბავშობის წლებში შეძენილი ქართულად მეტყველების კილო. ასეთი იყო ალექსანდრე მიხაილოვის შემთხვევაც.

“დომ კინოში” არ იყო ბევრი სტუმარი. ჩვენ მყუდრო, კუთხის მაგიდას შემოვუსხედით. ცოტა ხანი არ იყო გასული, რომ რესტორნის მეორე მხრიდან ჩემსკენ ერთი პიროვნება წამოვიდა. ეს იყო დავით სანიკიძე. მასთან სკოლის წლები მაკავშირებდა. მამამისი – ვლადიმერ სანიკიძე მეტად განსწავლული პიროვნება და გარკვეული პერიოდი ჩვენი, ბათუმის №1 ვაჟთა საშუალო სკოლის დირექტორი იყო.

დათო მოსკოვში ცხოვრობდა. ჩვენ მოვიკითხეთ ერთმანეთი და მან ისურვა, რომ თავის კამპანიას შევეერთებოდით, სადაც საუბრის ტონის მიმცემი მელორ სტურუა იყო.

ჩვენც დავთანხმდით. შემდეგ რესტორნის დარბაზში მსახიობი კირილ ლავროვი შევნიშნე. დათოს ვუთხარი თუ რა დიდი პატივისცემით ვიყავი განწყობილი ამ პიროვნების მიმართ, განსაკუთრების მას შემდეგ, რაც კინოფილმში მან შესანიშნავად შეასრულა სერგეი კოროლიოვის როლი. დათომ ეს ამბავი რომ გაიგო, კირილ ლავროვი და კიდევ მისი რამდენიმე თანმხლები მოიწვია სუფრასთან.

როდესაც დათომ ოფიციალტს შეკვეთა მისცა, თან უთხრა შესუხული შავი პური, წითელი ბუღგარული ღვინო, ყველი “ბრინჯა” და წითლად დამჟავებული კომბოსტოც მოეტანა. სიმართლე გითხრათ, უკვე კარგა ხნის ჩასული ვიყავი მოსკოვში და ამ ქართული სამზარეულოს მსგავსი საჭმელები და თანაც ღვინო ძალიან მომეწონა და იმ სადამოს სუფრაზე სხვა არაფერი გამისინჯავს.

ყველა თავის თავგადასავალს ჰყვებოდა, მხოლოდ მე ვიყავი ჩუმად და დიდი სიამოვნებით ვუსმენდი მათ. შემდეგ დათომ იქ მსხდომთ მიმართა, რომ სიჩუმე ყოფილიყო. იგი ადგა და ჩემი სადღეგრძელო დალია. მას, როგორც ქართველს, ეამაყებოდა ჩემი საქმეები და ყველას უყვებოდა, მაგრამ ამას ასე დემონსტრაციულად თუ წარმოაჩენდა არ ველოდი. დათომ, როგორც იტყვიან, ალავერდი გადავიდა კირილ ლავროვთან და დაიწყო ჩემი დახასიათება. ვანიშნე არ გინდა მეტქი, მაგრამ იგი უკვე როლში იყო შესული.

დიდი ქვეყნის შვილი ხართ... მიმართა დათომ კირილ ლავროვს ... და თქვენ, ამ ქვეყნის სასახელო პიროვნების, სერგეი კოროლიოვის როლი ითამაშეთ კინოფილმში. დღეს ჩვენს სუფრასთან არის პიროვნება, ელგუჯა მექმარიაშვილი, ამ შემთხვევაში პატარა საქართველოს ღირსეული წარმომადგენელი, რომელსაც, დიდი მისიის შესრულება მოუწევს თავისი სამშობლოს წინაშე – იგი იქნება ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური თანამგზავრის შემქმნელი...

სუფრა გაირინდა. ადამიანები ჩაფიქრდნენ. მეც უხერხულობა ვიგრძენი, არა მარტო ჩემ მიმართ გამოთქმული საქები სიტყვების გამო, არამედ უფრო იმიტომაც – თუ რატომ ექნებოდა საქართველოს საბჭოთა კავშირისაგან განცალკევებული კოსმოსური თანამგზავრი.

სიჩუმე ისევ დათომ დაარღვია და ახლა უკვე ნახევრად მასხრობით თქვა – და იცით რატომ – იმიტომ, რომ იგი ჩემი თანაკლასელიაო.

ახლა კი კირილ ლავროვს, ალავერდის წესის თანახმად, რაღაც უნდა ეთქვა. მან რუსული პირდაპირობით მოგვმართა: ... მე თქვენს სუფრაზე როგორც მსახიობი ლავროვი მოვედი, მაგრამ ეტყობა შევცდი, თქვენ სერგეი კოროლიოვი დაგიპატიუებიათო... შემდეგ კი მე მომიბრუნდა - ... თქვენ კი, ჩემო ახალგაჯობილო მეგობარო, იცოდეთ, რომ თქვენს შრომას საბჭოთა კავშირი აღნიშნავს, ხოლო თქვენი საქართველო, თუ თქვენ ქართულ თანამგზავრს შექმნით, თქვენს სახელს არასდროს დაივიწყებს.

კირილ ლავროვს, რამდენიმე ხნის შემდეგ, სასტუმრო “მოსკოვში” ისევ შევხვდი, მან მეგობრულად მომიკითხა და მკითხა - ახალი რა არისო. შემდეგ კი გაიცინა და იკითხა – როგორ არის პირველი ქართული თანამგზავრის შექმნის იდეაო. მის ნათქვამში ცოტა არ იყოს ირონია ვიგრძენი... არ ვიცი, შეიძლება შევცდი.

მოსკოვში მუშაობის სულ ცხრა წელი გავატარე. შემეძლო სამოსამსახურო ბინა ამელო, მაგრამ მე სასტუმრო ვარჩიე. ეს მრავალი მოტივით იყო განპირობებული. პირველი ის, რომ სასტუმროს ფულს მე არ ვიხდიდი და ეს სამსახურის, მოსკოვის – “კომეტას” ბიუჯეტიდან იფარებოდა. მეორე, და მთავარი იყო ის, რომ თბილისსა და მოსკოვში

ერთდროულად ვმუშაობდი და ორივე ადგილას მიწევდა ყოფნა, რაც ერთგვარად ართულებდა საკითხს. და კიდევ, სასტუმროში კომფორტი იყო. სამი წელი სასტუმრო “უკრაინაში” ვცხოვრობდი, სამი წელი სასტუმრო “მოსკოვში” და სამი – სასტუმრო “როსიაში”. ასე რომ სასტუმროს ცხოვრების სტილი და წესი ძალიან შევითვისე და ახლაც კი დიდ სიამოვნებას მანიჭებს სასტუმროებში ყოფნა ...

ერთ საღამოს როცა სასტუმროში დავბინავდი მორიგემ გადმომცა ტელეფონის ნომერი, რომელზეც უნდა დამერეკა. მაშინვე ვიცანი იგი იური ივანოვიჩის ეკუთვნოდა. ვიფიქრე, ასე გვიან რატომ მეძებს-მეთქი და დაუურეკე. იგი სამსახურში არ აღმოჩნდა. შემდეგ ბინაში დაუურეკე. მეუღლემ მიპასუხა და მითხრა რომ 45 წუთში იური ივანოვიჩი სახლში მოვიდოდა. როცა მას დაუკავშირდი შემატყობინა, რომ ხვალ დილით 11 საათზე თავდაცვის სამინისტროში, მინისტრის მოადგილესთან, არმიის გენერალ ვიტალი შაბანოვთან ვიყავი დაბარებული გასაუბრებაზე. ყურმილი დაგვიდევ. ოდნავ გაოცებული ვიყავი რა გასაუბრება უნდა ყოფილიყო მინისტრის მოადგილესთან.

დილით სასტუმროს ნომრის გასაღები მორიგეს ჩავაბარე. იქვე მყოფ უცხოელს ძალიან მოეწონა ჩემი “ნორკის უშანკა” და მკითხა, თუ სად შეიძლება ასეთივე თავისთვისაც ყვიდა. მე ვუთხარი, რომ “ცუმიში”, მე-3 სართულზე იყიდება ასეთი ქულები. მან ვერ გაიგო და მითხრა, რომ სქემატურად მეჩვენებინა სად იყო “ცუმი”. როცა სქემას დახედა, გაკვირვებულმა თქვა რა კარგი ხაზვა გცოდნიათო, ჩამეძია, და ისიც გაიგო, რომ მე ინჟინერი ვიყავი. ამაზე აღფრთოვანდა და მითხრა – ჩვენ ამერიკაში წასაყვანად კარგი ინჟინრები გვჭირდება, განსაკუთრებით ლითონის კონსტრუქციებში და თქვენ რას იტყვი ამის შესახებო. აქ კი გამკრა აზრმა, რომ ყველაფერ ამას, რაღაც სხვა მიზანი ჰქონდა ... და უცებ ლოსევის სიტყვები გამახსენდა – “კიდევ არის რაღაც პროცედურები ჩასატარებელი და იმედია შენთან დაკავშირებით ყველაფერი კარგად იქნება”.

მისგან გასაცლელად მოვემზადე და ვუთხარი, – არა მე ქუთაისში კურსების ქვით მოპირკეთების სამუშაოებს ვხველმძღვანელობ და თუ გნებავთ, რამდენი ქვაც გინდათ იმდენს გიშოვით-მეთქი. ამის გაგონებაზე “უცხოელს” საუბრის ხალისი დაეკარგა, მეც გავეცალე და მანქანისკენ წავედი, რომელიც უკვე მელოდებოდა.

10 საათსა და 15 წუთზე უკვე თავდაცვის სამინისტროში, ფრუნხეს სანაპიროს 22-ში, ვიყავი იმ სადარბაზოსთან, სადაც მინისტრის მოადგილის, არმიის გენერალ ვიტალი მიხეილის ძე შაბანოვის კაბინეტი იყო. მიუხედავად იმისა, რომ 11 საათზე ჩემი მისვლა ყველგან იყო დარეგისტრირებული, ნახევარი საათი მაინც დამჭირდა პროცედურების გასაყელელად. 10 საათსა და 50 წუთზე თავდაცვის მინისტრის მოადგილის მისაღებში ვიყავი. ისეთი შთაბეჭდილება შემექნა, რომ მინისტრის მოადგილესთან არავინ მიდიოდა. იქ სრული სიმშვიდე და სიწყნარე სუფევდა.

თავდაცვის სამინისტრო სტალინური არქიტექტურით ნაგები, ძალიან დიდი შენობაა. მას მთელი კვარტალი უჭირავს. შენობაში წითელხალიჩიანი დერეფნების რიგებია, რომელსაც მწკრივად მიჰყვება დანომრილი კაბინეტები. შენობაში ყველგან – დერეფანში, მისაღებებსა თუ კაბინეტებში, იგრძნობა ის “სტლინური” სტილი, რომელიც ადამიანში იწვევს სიმკაცრისა და საქმიანი განწყობის სიმყუდროვეს, რასაც აძლიერებს კაბინეტების მუქი ფერის ხით მოპირკეთება, გარეთა შუქის ნაკლებობა, მწვანე ფერის სოკოსებრი “ნაჩნიკები” და რაც მთავარია სიჩუმე და დაბალ ხმაზე საუბარი. შეიძლება ითქვას, რომ თავდაცვის სამინისტროს შენობაში უფრო მეტად იგრძნობა “საბჭოთა იდუმალება”, ვიდრე

მინისტრთა საბჭოს შენობაში, სადაც სახელმწიფო სამხედრო-სამრეწველო კომისიაა განთავსებული. ეს ეფექტი შეიძლება იმითაც არის გამოწვეული, რომ იქ შენობა უფრო მაღალტერიანია, ფანჯრებიც საკმაოდ დიდია და გარეთა შუქიც უფრო “აცოცხლებს” შიგნით მყოფთ, თუმცა კაბინეტებისა და დერეფნის მოწყობაში იქაც იგრძნობა მოსკოვში, სახელმწიფო უწყებებში, ტრადიციულად დამკვიდრებული “სტალინური” სტილი.

პირველ მისაღებ ოთახში პოლკოვნიკმა საშვი და საბუთები შემომოწმა. შემდეგ, ჟურნალში მონიშნული ჩემი გვარის გვერდით დაწერილი, დრო შემახსენა და მითხრა, რომ 5 წუთში, 11 საათზე მიმიღებდნენ. ზუსტად 11 საათზე მეორე ოთახში შევედი. მეგონა, იქ შაბანოვი იქნებოდა, მაგრამ მინისტრის მოადგილის ადიუტანტი დამხვდა. გასაუბრებისას მან სხვათა შორის მითხრა – Молодец парень из Батуми, вы сегодня на отлично выдержали экзамен. მივხვდი, რომ გამოცდაში “ნორკის” ქუდის და “უცხოელის” ვერსია იგულისხმა.

გასაუბრების შემდეგ, იგი შევიდა მესამე ოთახში, საიდანაც მალე გამოვიდა და მითხრა, რომ არმიის გენერალი მელოდებოდა და ჩემს განკარგულებაში 15 წუთი იყო.

როგორც კი ვიტალი მიხეილის ძესთან შევედი, ზედმეტად დადინჯებული და მკაცრი სიტუაცია თითქოს გამოცოცხლდა.

არმიის გენერალი ადგა, ხელი ჩამომართვა და იქვე სათათბირო მაგიდასთან მიმიწვია. დავსხედით. მან მითხრა, რომ იგი კმაყოფილია ჩემი საქმიანობით. განსაკუთრებით ახალ პრინციპებზე შექმნილი დიდი ზომის კოსმოსური კონსტრუქციებით, რომლებიც მისი განმარტებით სრულიად განსხვავდება იმისაგან, რასაც აკეთებენ ამერიკელები და რასაც აკეთებდნენ ტაშკენტში.

შემდეგ შეეხო ბალისტიკური რაკეტების სტარტის ადრეული აღმოჩენის კოსმოსური განსხვავებული სისტემის შექმნას, რომელიც მე შევთავაზე და რომელსაც ანალოგი არ გააჩნდა მსოფლიოში.

ამასთან დაკავშირებით მან თქვა: ელგუჯა ვიქტორის ძე, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ რაკეტსაწინააღმდეგო კოსმოსური სისტემის «УС-КМО» გარკვეული მიმართულებით მოდიფიკაციას თქვენი სამუშაოები დაედოს საფუძვლად. ამ მიზნით გენერალ-ლეიტენანტმა ოლეგ ლოსევმა, რომელიც უწყებათაშორის კომისიას ხელმძღვანელობს და სამხედრო-კოსმოსური ტექნიკის გენერალურმა კონსტრუქტორმა ანატოლი სავინმა სამუშაოთა კომპლექსის უფროსად თქვენ გაგიწიეს რეკომენდაცია, რასაც მე დავეთანხმე. ამასთან დაკავშირებით ვიცი თქვენი პოზიცია და საუბრის შედეგები, რომელიც გენერალ-ლეიტენანტ ოლეგ ლოსევთან გჰქონდათ. მოხარული ვარ, რომ საქმეს სერიოზულად და პასუხისმგებლობით მოეკიდეთ. ახლა თქვენზე დიდად არის დამოკიდებული კოსმოსური კომპლექსის შექმნის წარმატება, რაშიც მე დარწმუნებული ვარ.

შემდეგ იგი წამოდგა, მეც ავდექი, ხელი ჩამომართვა და წარმატებები მისურვა.

მე მას შევპირდი – ამხანაგო არმიის გენერალო, თქვენ, ჯერ კიდევ 1980 წელს, ნდობა გამოსატეთ ჩემი სამეცნიერო მიმართულების მიმართ. გასული წლების განმავლობაში თეორია პრაქტიკად იქცა, რაც თქვენთვისაც ცნობილია. დღეს ახალი ნოვატორული იდეები და პრინციპები გვაქვს. მერწმუნეთ, რომ შევქმნი კოსმოსურ კომპლექსს, რომელიც იქნება ეფექტური, მაღალკონკურენტუნარიანი, მეცნიერებატევადი და მაღალტექნოლოგიური.

როდესაც მისი კაბინეტიდან გამოვედი, ისევ გამაჩერა ადიუტანტმა და სამახსოვროდ, ჩემდა გასაკვირად, მინისტრის მოადგილის სახელით გემის კაპიტნის ქული გადმომცა, რაც მათი მხრიდან ჩემს ბათუმელობაზე კიდევ ერთი საზგასმა იყო, ამ ფაქტმა კვლავ დამაფიქრა იმაზე, თუ როგორ ცხრილავდნენ და “ლუპით აკვირდებოდნენ” შესარჩევი და შერჩეული კადრების ბიოგრაფიას ...

მოსკოვის მივლინება შემაწვევტინეს. ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ალექსანდრე მიხაილოვი დამიკავშირდა და მითხრა, რამდენიმე დღით თბილისში უნდა ჩავსულიყავი. როცა მიზეზი ვიკითხე, მითხრა, რომ ჯუმბერ პატიაშვილი სტუმრებთან ერთად ჩვენს ობიექტებზე აპირებდა მისვლას, შემდეგ კი რაღაც მნიშვნელოვანი საკითხის გადწვევტაში უნდა მიმელო მონაწილეობა.

თბილისში ჩამოსვლიდან მესამე დღეს სახელმწიფო სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში, ჯუმბერ პატიაშვილი მართლა მოვიდა და მოიყვანა ორი, ჩვენთვის პატივსაცემი სტუმარი. ესენი იყვნენ ს.პ.კოროლიოვის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების “ენერჯის” გენერალური დირექტორი ვახტანგ დიმიტრის ძე ვაჩნაძე და ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე, კოსმონავტი ვიტალი ივანეს ძე სევასტიანოვი. მათ ალექსანდრე მიხაილოვიც ახლდათ.

ვახტანგ ვაჩნაძე თბილისში დაიბადა და 1947 წელს აქ, ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა. შემდეგ კი სწავლა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტში გააგრძელა. იგი იყო ს.პ. კოროლიოვის თანამებრძოლი და კოსმოსური ინდუსტრიის დიდი ორგანიზატორი. ფაქტობრივად, საბჭოთა კოსმონავტიკის გარკვეული პერიოდის ყველა დიდ წარმატებაში ვახტანგ ვაჩნაძეს თავისი საწარმო-ორგანიზატორული წვლილი აქვს შეტანილი. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება “ენერჯიაში” მას მოუწია ყოფილიყო გენერალური დირექტორი, როდესაც გაერთიანების გენერალური კონსტრუქტორები, სერგეი კოროლიოვის შემდეგ, ეტაპობრივად იყვნენ ჯერ მიშინი, შემდეგ კი გლუშკო და, ბოლოს, სემიონოვი. იგი წარმოების დიდი მცოდნე და კარგი ხელმძღვანელია.

ვახტანგ ვაჩნაძემ და კოსმონავტმა ვიტალი სევასტიანოვმა, ინსტიტუტის რამდენიმე თანამშრომელი “საბჭოთა კოსმონავტიკის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის”, კოსმონავტიკის ფედერაციის მედლებით დაგვაჯილდოვეს.

ამის შემდეგ საგურამოს საცდელი კომპლექსი დაათვალიერეს. ვახტანგ ვაჩნაძე ცდილობდა ჩემთან საუბრისას წარმოეჩინა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება “ენერჯის” უპირატესობები სხვა კოსმოსური ტექნიკის შემქმნელ ორგანიზაციებთან შედარებით. გასაგები იყო, რომ იგი ცდილობდა საგურამოს ბაზა და თბილისის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო, გარკვეულწილად “ენერჯის” სამუშაოებში ჩართულიყო.

სტუმრების ვიზიტის შემდეგ ალექსანდრე მიხაილოვი ჩვენთან ბაზაზე დარჩა. შემდეგ ჩემს კაბინეტში შევიკრიბეთ და მან შესავლის გარეშე განაცხადა, რომ ჯუმბერ ილიჩი თქვენგან ითხოვს კანდიდატურას კოსმონავტობისათვის. მივხვდი, რომ ჯუმბერ პატიაშვილი, რომელიც განსაკუთრებული სიმპატიით იყო განწყობილი კოსმონავტიკის დარგების მიმართ, ცდილობდა რაღაც უნდა დასჯდომოდა, ქართველი კოსმონავტი გაეშვა ორბიტაზე. ასეთი ქართული მიზანსწრაფვა, რასაც იგი იჩენდა დარგის მიმართ, არც მანმადე და არც მას შემდეგ არ შემხვედრია.

ქართველი კოსმონავტის საკითხი, ბატონ ჯუმბერს ჩემთან ადრეც წამოუჭრია. საკონსტრუქტორო ბიუროში, ვიწრო წრეში ამ საკითხზე ჩვენც გვიმსჯელია. ერთი

სიტყვით ამ მხრივ ჩემთვის რაიმე სიახლე არ ყოფილა გარდა ერთისა, ამჯერად პატიაშვილი შედარებით “ზუსტ ნახტომს” აკეთებდა, ვინაიდან “სტავკა” ვაჩნადქსა და სევასტიანოვზე გააკეთა.

მისთვის ოთხი კანდიდატი შევარჩიე – ვასილ ურუშაძე, რამაზ აბუაშვილი, მერაბ ადგიშვილი და ალექსანდრე იაკობაშვილი. ყველა მათგანს კოსმონავტობის კანდიდატურის პირობებზე თავისი პლიუსები და მინუსები ჰქონდათ.

მათი საფუძვლიანი შესწავლა, მკაცრი სამედიცინო გამოკვლევა, კოსმოსში გაგზავნის შემთხვევაში, ფუნქციური მიმართულებების წინასწარი განსაზღვრა და ამის საფუძველზე პლიუსების და მინუსების დაწერა და შემდეგ მათი “გაცხრილვა” ჯერ თბილისში შემდეგ კი მოსკოვში გაგრძელდა.

ჯუმბერ პატიაშვილი კანდიდატების შესწავლის, შემოწმებისა და საბოლოო შერჩევის ყველა ეტაპს აქტიურად აკვირდებოდა. მან რამდენჯერმე მიმართა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრ ირაკლი მენაღარიშვილს კონკრეტული დავალებით.

ხანგრძლივი და დამძლევი გამოკვლევის შემდეგ უკვე ორი კანდიდატურა განიხილებოდა, მერაბ ადგიშვილი და ალექსანდრე იაკობაშვილი. მათ განცალკევებულად დაიწვეს კოსმონავტის კანდიდატებისათვის განკუთვნილი კურსების გავლა.

საერთოდ ყოველთვის მიმაჩნდა და ახლაც იმ პოზიციაზე ვარ, რომ სრულებით არ არის საჭირო, სახელდახელოდ, მხოლოდ რეკლამისათვის გაუშვათ კოსმოსში ადამიანი. გარდა ამისა, ეს საქმე უკვე ბიზნესთან, რეკლამასთან, დიდ ფულთან და ტურისტულ მოგზაურობასთან არის დაკავშირებული და მან პირველადი ხიბლი დაკარგა ...

... განსაკუთრებით დიდი მოცულობის სამუშაოები საქართველოში ჩავატარეთ 30-მეტრიანი ავტონომიური კომპლექსის საბაზო ანტენაზე. ეს უზარმაზარი რეფლექტორი, რომელიც სრულიად განსხვავებულია მისი წინამორბედებისაგან, თბილისის 31-ე ქარხანაში დავამზადეთ. ქარხანაში ანტენის დამზადებაზე მიხეილ ჯანიკაშვილი იყო განპირობებული. ადრეც აღვნიშნე, რომ მიშიკო მაღალი კლასის ტექნოლოგია და შესაბამისად ქარხანასაც კარგად იცნობს. მან ყველა დეტალი გადაანაწილა საამქროებში, დეტალების ფოტოების სპეციალური ალბომი შექმნა და ისე აკონტროლებდა ვითარებას. რაც შეეხება აწყოების პროცესს, ავიაქარხანა ამ სამუშაოებს თავის საამქროებში ვერ ასრულებდა და იგი ჩვენთან, საგურამოში, სასტენდო კომპლექსში უნდა ჩატარებულიყო.

თეორეტიკოსები კოტე ჩხიკვაძე და კოტე ოდიშვილი დეტალურად აკონტროლებდნენ ყველა კვანძის, ელემენტისა და სისტემის დაძაბულ-დეფორმირებულ სტადიებს. რაც შეეხება კონსტრუქტორებს, ისინი ყველგან იყვნენ, სადაც კი ამის საჭიროება იყო და შეჰქონდათ შესწორებები მუშა ნახაზებში. ექსპერიმენტებით კი გურამ ბედუკაძე იყო დაკავებული. სისტემის გეოდეზიურ კონტროლს პროფესორი მერაბ თევზაძე და მისი კათედრა ახორციელებდა, რაც შეეხება საპატენტო უზრუნველყოფას და, ასევე, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამეცნიერო განყოფილების მხრიდან დასაბუთებას, ამ მხრივ, გივი სიბაშვილი, თინა ჩალაური და გურამ დემეტრაშვილი ყველაფერს აკეთებდნენ.

ერთი სიტყვით რეფლექტორულ ანტენას, რომელიც შევთავაზე მოსკოვს, თბილისში ვაკეთებდით და ის იდეები, რომლებიც ბოლო წლებში დამიგროვდა, მთლიანად იყო რეალიზებული პროექტში.

40



Сов. секретно
экз. № 9

РЕШЕНИЕ

ГОСУДАРСТВЕННОЙ КОМИССИИ СОВЕТА МИНИСТРОВ СССР ПО ВОЕННО-ПРОМЫШЛЕННЫМ ВОПРОСАМ

№.....72.....

Москва, Кремль.

9 марта 1988 г.

О разработке технического предложения на создание
экспериментального космического комплекса радио-
канала обнаружения

В целях обеспечения работ по дальнейшему развитию и совершенствованию средств обнаружения стартующих баллистических ракет, предусмотренных постановлением ЦК КПСС и Совета Министров СССР от 22 мая 1985 г. № 465-150, Государственная комиссия Совета Министров СССР по военно-промышленным вопросам решила:

1. Принять предложение Минрадиопрома СССР, Минобщемаша СССР и Совета Министров Грузинской ССР, согласованное с другими заинтересованными министерствами и ведомствами, о разработке в III квартале 1988 г. в рамках научно-исследовательской работы "МИР", заданной постановлением ЦК КПСС и Совета Министров СССР от 8 августа 1987 г. № 930-225, технического предложения на создание экспериментального космического комплекса радиоканала обнаружения с антенной диаметром 30 метров, предназначенного для проведения экспериментальных работ по обнаружению стартующих ракет по излучению их плазменных образований в диапазоне СВЧ, определения фонов атмосферы, земной поверхности и акваторий в указанном диапазоне частот.

Техническое предложение разрабатывается по исходным данным Минрадиопрома СССР (ЦПО "Комета"), выдаваемым до 30 марта 1988 г., с максимальным использованием существующих устройств, средств и агрегатов. В техническом предложении должны быть проработаны вопросы изготовления и испытаний средств, порядка вывода на орбиту и проведения эксперимента с космическим комплексом с использованием орбитального корабля МКС "Буран".

РАЗМНОЖЕНО
копий 3 на 4 листах

1-й. Иск. В. Соловьев
2-й. Иск. В. Соловьев
3-й. Иск. В. Соловьев
4-й. Иск. В. Соловьев
5-й. Иск. В. Соловьев
6-й. Иск. В. Соловьев
7-й. Иск. В. Соловьев
8-й. Иск. В. Соловьев
9-й. Иск. В. Соловьев
10-й. Иск. В. Соловьев
11-й. Иск. В. Соловьев
12-й. Иск. В. Соловьев
13-й. Иск. В. Соловьев
14-й. Иск. В. Соловьев
15-й. Иск. В. Соловьев
16-й. Иск. В. Соловьев
17-й. Иск. В. Соловьев
18-й. Иск. В. Соловьев
19-й. Иск. В. Соловьев
20-й. Иск. В. Соловьев
21-й. Иск. В. Соловьев
22-й. Иск. В. Соловьев
23-й. Иск. В. Соловьев
24-й. Иск. В. Соловьев
25-й. Иск. В. Соловьев
26-й. Иск. В. Соловьев
27-й. Иск. В. Соловьев
28-й. Иск. В. Соловьев
29-й. Иск. В. Соловьев
30-й. Иск. В. Соловьев
31-й. Иск. В. Соловьев
32-й. Иск. В. Соловьев
33-й. Иск. В. Соловьев
34-й. Иск. В. Соловьев
35-й. Иск. В. Соловьев
36-й. Иск. В. Соловьев
37-й. Иск. В. Соловьев
38-й. Иск. В. Соловьев
39-й. Иск. В. Соловьев
40-й. Иск. В. Соловьев
41-й. Иск. В. Соловьев
42-й. Иск. В. Соловьев
43-й. Иск. В. Соловьев
44-й. Иск. В. Соловьев
45-й. Иск. В. Соловьев
46-й. Иск. В. Соловьев
47-й. Иск. В. Соловьев
48-й. Иск. В. Соловьев
49-й. Иск. В. Соловьев
50-й. Иск. В. Соловьев
51-й. Иск. В. Соловьев
52-й. Иск. В. Соловьев
53-й. Иск. В. Соловьев
54-й. Иск. В. Соловьев
55-й. Иск. В. Соловьев
56-й. Иск. В. Соловьев
57-й. Иск. В. Соловьев
58-й. Иск. В. Соловьев
59-й. Иск. В. Соловьев
60-й. Иск. В. Соловьев
61-й. Иск. В. Соловьев
62-й. Иск. В. Соловьев
63-й. Иск. В. Соловьев
64-й. Иск. В. Соловьев
65-й. Иск. В. Соловьев
66-й. Иск. В. Соловьев
67-й. Иск. В. Соловьев
68-й. Иск. В. Соловьев
69-й. Иск. В. Соловьев
70-й. Иск. В. Соловьев
71-й. Иск. В. Соловьев
72-й. Иск. В. Соловьев
73-й. Иск. В. Соловьев
74-й. Иск. В. Соловьев
75-й. Иск. В. Соловьев
76-й. Иск. В. Соловьев
77-й. Иск. В. Соловьев
78-й. Иск. В. Соловьев
79-й. Иск. В. Соловьев
80-й. Иск. В. Соловьев
81-й. Иск. В. Соловьев
82-й. Иск. В. Соловьев
83-й. Иск. В. Соловьев
84-й. Иск. В. Соловьев
85-й. Иск. В. Соловьев
86-й. Иск. В. Соловьев
87-й. Иск. В. Соловьев
88-й. Иск. В. Соловьев
89-й. Иск. В. Соловьев
90-й. Иск. В. Соловьев
91-й. Иск. В. Соловьев
92-й. Иск. В. Соловьев
93-й. Иск. В. Соловьев
94-й. Иск. В. Соловьев
95-й. Иск. В. Соловьев
96-й. Иск. В. Соловьев
97-й. Иск. В. Соловьев
98-й. Иск. В. Соловьев
99-й. Иск. В. Соловьев
100-й. Иск. В. Соловьев

2. Разработку указанного технического предложения на создание экспериментального космического комплекса возложить на следующие организации:

на ЦНПО "Комета" Минрадиопрома СССР - по экспериментальному космическому комплексу радиоканала обнаружения в целом, а также по радиотехническим средствам, средствам управления комплексом, регистрации и сброса информации, приема и обработки информации на наземном комплексе, испытательным средствам и порядку проведения испытаний создаваемой аппаратуры;

на НПО "Энергия" Минобщемаша СССР - по использованию орбитального корабля МКС "Буран" для проведения натурных работ и космических экспериментов и размещению на нем экспериментального космического комплекса с антенной диаметром 30 метров;

на ЦНИИ машиностроения Минобщемаша СССР - по расчету жесткостных и динамических характеристик системы орбитальный корабль МКС "Буран" - антенна диаметром 30 метров;

на Специальное конструкторское бюро при Грузинском политехническом институте имени В.И.Ленина Минвуза Грузинской ССР - по конструкции антенны, технологии ее изготовления и сборки, по средствам наземных испытаний и порядку проведения испытаний антенны;

на Институт проблем механики Академии наук СССР - по математической модели антенны;

на Тбилисское авиационное производственное объединение имени Г.М.Димитрова Минавиапрома СССР - по участию в разработке конструкции, технологии изготовления и сборки фокального контейнера, в компоновке аппаратуры, средств и агрегатов в этом контейнере, а также по порядку проведения испытаний фрагментов конструкций на экспериментальной базе предприятия;

на Всесоюзный научно-исследовательский институт текстильно-галантерейной промышленности Минлегпрома СССР - по отражателю антенны, технологии его изготовления и электропроводящего покрытия.

НПО "Энергия" (КБ "Салют") и ЦНИИ машиностроения Минобщемаша СССР совместно с ЦНПО "Комета" Минрадиопрома СССР рассмотреть в составе технического предложения различные варианты построения космической системы, в том числе возможность и необходимость создания автономного космического аппарата для проведения экспериментальных работ.

3. Минрадиопрому СССР, Минобщешашу СССР, Минобороны СССР (ПВО, УНКС) по результатам рассмотрения технического предложения на создание экспериментального космического комплекса радиоканала обнаружения и предварительных материалов выполняемой научно-исследовательской работы "МНР" в IV квартале 1988 г. представить предложения о порядке проведения дальнейших работ по указанному комплексу.

Минрадиопрому СССР, Минавиапрому СССР и Минвузу Грузинской ССР по результатам разработки технического предложения уточнить, при необходимости, конструкцию, а также сроки изготовления второго и третьего комплектов экспериментальных образцов антенн диаметром 30 метров, предусмотренные решением Государственной комиссии Совета Министров СССР по военно-промышленным вопросам от 12 декабря 1985 г. № 16. Предложения по этому вопросу представить в установленном порядке.

4. Минвузу Грузинской ССР (Грузинскому политехническому институту имени В.И.Ленина) завершить в июне 1988 года испытания макетного образца антенны диаметром 30 метров.

5. Минрадиопрому СССР (ЦНПО "Комета"), Академии наук СССР (Институту радиотехники и электроники) и Минобороны СССР (УНКС, РВ, ПВО) провести в 1988-1990 годах на 5 НИИП и 53 НИИП Минобороны СССР с использованием комплекса НИК-1 экспериментальные исследования и набор статистических характеристик излучений плазменных образований стартующих ракет и ракет-носителей в диапазоне СВЧ с разработкой математических моделей излучений основных отечественных ракет в указанном диапазоне частот.

Минобщешашу СССР (ЦНИИ машиностроения) и Минобороны СССР (РВ) рассмотреть возможность использования результатов указанных исследований в интересах программы СП-2000 (темы "Клин" и "Невидимка"), при необходимости, согласовать с Минрадиопромом (ЦНПО "Комета") план совместных мероприятий.

И. БЕДУСОВ
И. БЕДУСОВ

ავტონომიური თანამგზავრული კომპლექსისთვის რეფლექტორების დამზადება, რომლის ბაზაზე ხდება მთელი კოსმოსური კომპლექსის ფორმირება, წინ უსწრებდა “ВПК”-ს გადაწყვეტილების მიღებას. ეს ჩვენ ორი მიზნით გავაკეთეთ. ერთი, რომ დავრწმუნებულიყავით კოსმოსური კომპლექსის შექმნის არქიტექტურაში და მისი მუშაობის პრინციპებში, რათა შემდგომ არ წამოჭრილიყო გადაუღალახავი პრობლემები და მეორე, იმისათვის, რომ ჩვენი შესაძლებლობების დემონსტრირებით ზეწოლა მოგვეხდინა იმ სამინისტროებსა და უწყებებზე, რომლებიც გადაწყვეტილების მიღებაში იღებდნენ მონაწილეობას.

ჩვენმა იდეოლოგიამ და პრაქტიკამ გაამართლა. “ВПК”-ს მეორე გადაწყვეტილება ჩვენი სამუშაოს შესახებ გამოვიდა.

მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამხედრო-სამრეწველო კომისიის გადაწყვეტილება შედგენილი იყო ორაზროვნად. მასში საკითხი შეეხებოდა ბალისტიკური რაკეტების აღმოჩენის ავტონომიური ექსპერიმენტული კოსმოსური კომპლექსის შექმნის ტექნიკურ წინადადებას, მაგრამ მისი მომზადებისთვის უკვე გათვალისწინებული იყო რეალური გამოცდებისა და ექსპერიმენტის ჩატარება კოსმოსში და დედამიწაზეც. საბჭოთა სამხედრო და სამხედრო-სამრეწველო უწყებები აქაც ჩვეული სიფრთხილით ატარებდნენ ახალი თაობის კოსმოსური ტექნიკის შექმნის ტექნიკურ პოლიტიკას. ისინი პოლიტიკურს ცალსახად არ ჰპირდებოდნენ შეიარაღების ახალი სისტემის შექმნას და მის ექსპლოატაციაში გაშვებას და ტექნიკური წინადადების შედგენის მოტივით გეგმავდნენ ახალი სისტემის ორბიტაზე გაყვანას, როგორც ტექნიკურ ექსპერიმენტს, რომელიც ტექნიკური წინადადებების მომზადებისთვის უნდა ყოფილიყო აუცილებელი. ასეთი მიდგომით იქმნებოდა ყოველი მნიშვნელოვანი სპეცტექნიკა შეიარაღებაში და ასეთი პოლიტიკით განისაზღვრა ჩვენი სამუშაოც.

... რადიომრეწველობისა და თავდაცვის სამინისტროებთან ჩემი ურთიერთობებისგან, ყოველთვის გამორჩეული იყო საქმიანობა ს. კოროლიოვის სახელობის რუსეთის სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება – “ენერგიასთან”. იგი არ ერეოდა ჩემი სამუშაოს, ასე ვთქვათ, საერთო თემატიკაში და განცალკევებულ სამუშაოებს მატარებინებდა. ამაში დიდი წვლილი აკადემიის წევრ-კორესპონდენტს – გრიგორი მარკელოვიჩ ჩერნიავსკის და მის შვილს – ალექსანდრე ჩერნიავსკის მიუძღვით. ასევე, მნიშვნელოვანია ლეგენდარული პიროვნების, აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ბორის ჩერტოკის როლი.

“ენერგიაში” შევასრულე ხუთი დავალება, მათ შორის: ორი 20-მეტრიანი წრიული ანტენის სასტენდო გამოცდა, რომელიც პროგრამა “კრაბით” “პროგრეს-40-ით” იქნა გატანილი კოსმოსში და მასში უკრაინის აკადემიაც მონაწილეობდა აკადემიკოს ბორის პატონის ხელმძღვანელობით; პროგრამა “სოფორას” საბაზო კონსტრუქცია, რომელიც ღია კოსმოსურ სივრცეში ორბიტულ სადგურ «მირზე» დაიდგა; უნიკალური კოსმოსური პლატფორმის და პლანეტა “მარსზე” მომავალი ექსპედიციის საინჟინრო უზრუნველყოფის პროექტების გამოშვება და მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტთან ერთად ენერგეტიკული მიზნებით კოსმოსური რეფლექტორული გასაშლელი, დიდი ზომის კონცენტრატორის დაპროექტება.

როდესაც “ენერგიას” ვახსენებ, მხედველობაში ასევე მყავს ვახტანგ ვაჩნაძე, რომელიც ჩემს სამუშაოს განსაკუთრებული ინტერესით ეკიდებოდა. ვახტანგ ვაჩნაძე კოროლიოვის სახელოვან ელიტას მიეკუთვნებოდა. ბოლო წლებში, როგორც აღვნიშნე, ის

“ენერჯის” გენერალური დირექტორი იყო. სწორედ ამ პერიოდში, ჩემი “ენერჯიაში” მოხსენებით გამოსვლის შემდეგ, მან მიმიწვია თავის კაბინეტში და პირველად მომმართა ქართულად – ყოჩაღ ელგუჯა – თქვენი სამუშაოთი მოუგეთ “ენერჯის” მრავალრიცხოვან კოლექტივს. ეს სასახელო საქმეა და მე მჯერა, რომ დავალებას ბრწყინვალედ შეასრულებ.

“ВПК”-ს გადაწყვეტილებით 30-მეტრიანი რადიოტექნიკური კომპლექსის კოსმოსში გატანა იგეგმებოდა ერთჯერადი გამოყენების რაკეტა-მატარებლით ან მრავალჯერადი გამოყენების სატრანსპორტო კოსმოსურ ხომალდ “ბურანით”. ამ საკითხებთან დაკავშირებით, გენერალური კონსტრუქტორის მიწვევით, “ენერჯიაში”. წავედი მოხსენების გასაკეთებლად, თან კინოფირი წავიღე და საშა იაკობაშვილიც გამომყვა. დაახლოებით 450–500-კაციან დარბაზში ჩემი პირველი მოხსენება შედგა. მთხოვეს მეორე დღეს ისევ გამეკეთებინა მოხსენება. მეორე დღეს იმავე დარბაზში ჩემმა მოხსენებამ შეკითხვების გარეშე ჩაიარა, ოღონდ იგრძნობოდა, რომ აუდიტორია ყურადღებით აკვირდებოდა კინოკადრებს, ზოგიერთები კი რაღაც ჩანაწერებს თუ ჩანახაზებს აკეთებდა. ორივე მოხსენების შემდეგ, მსმენელები ერთმანეთში რაღაც საკითხებზე ინტენსიურად მსჯელობდნენ. მესამე დღეს, უკვე “კომეტაში” მქონდა მოხსენება. “ენერჯის” გუნდი სრულად დაესწრო აქ ჩემს მოხსენებას. “კომეტაში” მოხსენების განხილვაზე მოიპატიჟეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გოჩა ჩოგოვაძე.

“ენერჯიაში” საზღვარგარეთის მივლინებიდან გენერალური კონსტრუქტორი, აკადემიკოსი იური სემიონოვი დაბრუნდა, და მთხოვეს, რომ კვლავ გამეკეთებინა მოხსენება. მეც დავთანხმდი ამ წინადადებას და ისევ იმ დარბაზში, იმავე აუდიტორიასთან გავაკეთე იგივე მოხსენება, ოღონდ უკვე სემიონოვის თანდასწრებით.

მოხსენების დამთავრების შემდეგ სემიონოვი ადგა და თავის თანამშრომლებს მიმართა – რეფლექტორული ანტენა სწორედ ასეთი უნდა იყოს, მან არა მარტო კოსმოსში, არამედ დედამიწაზეც უნდა შეინარჩუნოს ფორმა და არა ისეთი, როგორსაც თქვენ მთავაზობთ – “Безформенная верёвка” -ს.

შემდეგ კომისიის შემადგენლობა დაასახელა, მასში მეც შემიყვანა და მიიღო გადაწყვეტილება 343 ნაკეთობით – “ბურანით”, ტექნიკური ექსპერიმენტის სახით, გაეტანათ კოსმოსში ის ანტენა, რომელიც უკვე თბილისში იყო. დარბაზი გამოცოცხლდა. ყველა მილოცვდა. მე კი ერთი კითხვა მაწუხებდა – რატომ არ იყო შეყვანილი კომისიაში ჩემი გენერალური კონსტრუქტორი, აკადემიკოსი სავინი. და ეს შეკითხვა დავსვი კიდევ. დარბაზი გაირინდა. სემიონოვი მომიბრუნდა და მკითხა – “Вы без Савина никуда да?” – ჩემი პასუხი ცალსახა იყო – “Савина надо включить в состав комиссии”, რაც თავისთავად იმას ნიშნავდა, რომ სემიონოვი უარს იტყოდა ექსპერიმენტის ჩატარებაზე კოსმოსში.

თათბირი დამთავრდა. ახლა უკვე ამ ინციდენტზე აღაპარაკდა დარბაზი. მოდიოდნენ და მეუბნებოდნენ – შენ შენი მასწავლებლის ღირსება, როგორც ქართველმა დაიცავი. კოსმოსში არათუ 30-მეტრიანი სისტემის გატანისათვის და ისიც მრავალჯერადი გამოყენების უაღერესად პრესტიჟულ ხომალდზე, არამედ ერთი ჭანჭიკის კოსმოსში გატანისათვის სპეციალისტთა უმეტესობა დედ-მამასაც დაივიწყებდა.

ამ დროს ვიდაცამ მითხრა, რომ სემიონოვის მოადგილის – ივანიკოვის მისაღებად მიმავალი გზის მთავარი მძღველი ვინ უნდა იყოს-მეთქი, – სავინი რეკავდა. მან

მიიხრა, რომ მე და საშა იაკობაშვილი სადამოს მასთან მივსულიყავით სახლში. შემდეგ კი დაამატა – მადლობა მინდა გადაგიხადო იმისათვის, რაც შენ 10 წუთის წინ გააკეთე. ვიღაცას უკვე დაურეკავს მისთვის.

და დღესაც, როდესაც კოსმოსში უკვე გავიდა პირველი ქართული ობიექტი, არც ერთი წუთით არ ვნანობ, რომ მაშინ უარი ვთქვი 30-მეტრიანი სისტემის გატანაზე კოსმოსში. უფრო მეტი სიამოვნება ჩემი ხასიათის წარმოჩენით და ჩემი მასწავლებლის – სავინის მადლობით მივიღე ...

“ენერჯის” მხრივ ერთგვარი გაურკვევლობის შემდეგ, ერთი პერიოდი რაკეტა-მატარებლის, როგორც კოსმოსური დარგის სპეციალისტები იტყვიან “ფაიტონის” შერჩევისათვის სხვა ორგანიზაციასთან დავიწყეთ აქტიური თანამშრომლობა. ეს იყო ახლა უკვე რუსეთის სახელმწიფო კოსმოსური ცენტრი – ხრუნიჩევის სახელობის ქარხანა, სადაც ყველასთვის კარგად ცნობილი რაკეტა-მატარებელი – “პროტონი” მზადდებოდა. ამ ფორმასთან, წლების განმავლობაში ძალიან საქმიანი და მეგობრული ურთიერთობები მაკავშირებდა, რომელიც მთავარ კონსტრუქტორ ნოვიკოვთან არის დაკავშირებული ...

საერთოდ საბჭოთა კავშირში გარკვეული მიდგომები არსებობდა სამუშაოთა კონკრეტული შემსრულებლის მიმართ. შეიძლება დამპროექტებელთა ძალიან საინტერესო და დიდი პოტენციის გუნდი, რომელიც ჯერ არ იყო წარმოდგენილი უმაღლეს ინსტანციებში, ძალიან ხშირად დარჩენილიყო შეკვეთის გარეშე და ის გუნდი, რომელიც უკვე წარმოჩნდა, ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების წინაშე და თუ მათგან მოწონება დაიმსახურა, იმდენ შეკვეთას იღებს, რომ მისი შესრულებისათვის განსაკუთრებული, დამატებითი ორგანიზაციული ღონისძიებების ჩატარებაც კი იყო საჭირო.

სწორედ ასე მოხდა ჩვენ მიმართ – უამრავი ახალი შეკვეთა დაგროვდა. შეკვეთები შეეხებოდა უნივერსალური კოსმოსური პლატფორმის შექმნას, კოსმოსური მზის კონცენტრატორის და გასაშლელი კოსმოსური მახვილმიმართული 80-მეტრიანი ამრეკლის პროექტირებას, მზის იალქნის აგებას, ასევე, სამუშაოთა სინქრონიზაციას კოსმოსურ პროგრამებთან “Пирс-2” და “Пирс-27”-თან, “Рапира-Мом”-თან და “АРКС-Р”, “Дозор-1”-თან და “Пластан”-თან.

ამ პერიოდს დაემთხვა ჩემი მონაწილეობა კოსმოსურ ორბიტაზე ორი ნაკეთობის შექმნაში.

პირველი მათგანი, როგორც უკვე აღვნიშნე, იყო კოსმოსური პროგრამა “Кран”-ი, რომელიც ორბიტაზე, კოსმოსურ ხომალდზე “პროგრეს-40-ზე” განხორციელდა. კოსმოსური კომპლექსი წარმოადგენდა ორ, ოცი მეტრის დიამეტრის, წრიულ ანტენას. ის სიმეტრიულად განთავსდა კოსმოსურ ხომალდზე. მის გაშლას საფუძვლად დაედო კონსტრუქციული მასალის “ფორმის დამახსოვრება”. ასეთი მასალები მზადდება ნიკელისა და ტიტანის შენადნობისაგან, შემდეგ იკეცება და დაკეცვის ტემპერატურაზე კვლავ აღიდგენს თავის ფორმას. კომპლექსი სამხედრო დანიშნულების იყო. მისი შექმნის სათავე ორგანიზაცია იყო ს.პ.კოროლიოვის სახელობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება “ენერჯია”. პროექტის შექმნა და პროგრამის განხორციელება დავალებული ჰქონდა მოსკოვის, თბილისისა და უკრაინის ორგანიზაციებს. მასში ასევე მონაწილეობდა აკადემიკოსი ევგენი პატონი. პროგრამის სრული მიწისზედა გამოცდების ჩატარება შესაძლებელი გახდა საგურამოს სასტენდო კომპლექსში.

მეორე სამუშაო, რომელზეც ახლა უფრო ვრცლად მინდა მოგახსენოთ, განხორციელდა ასევე კოსმოსურ სივრცეში, ორბიტულ სადგურ “მირზე”. პროგრამის სახელწოდება იყო “სოფორა” და იგი გულისხმობდა ღია კოსმოსურ სივრცეში, ორბიტული სადგურის მანევრის შესაძლებლობებისა და რესურსის გაზრდის მიზნით, 18-მეტრიანი ფერმის შექმნას. ფერმის ერთი ბოლო ორბიტულ სადგურს ემაგრებოდა. მეორე ბოლოზე კი რეაქტიული ძრავა განთავსდა. აღნიშნული პროგრამის განხორციელების შემდეგ, ორბიტულმა სადგურმა დამატებით კიდევ 9 წელს შეძლო ფუნქციონირება კოსმოსურ სივრცეში. ეს პროგრამა გაერთიანება “ენერჯიას” თაოსნობით შევასრულეთ. აღსანიშნავია, რომ კონსტრუქცია “სოფორას” საბაზო ნაწილი თბილისის საავიაციო გაერთიანებაში დავაამზადეთ.

ამ პერიოდში ჩემთან, კაბინეტის სამუშაო მაგიდაზე, ახალი დავალებების – შეიარაღების და სამხედრო, კოსმოსური და მიწისზედა ტექნიკის შექმნის მრავალი დოკუმენტი და მომართვა დაგროვდა. მაგრამ მთავარი იყო ის, რომ სამუშაოს მიმართ უკვე აღარ იყო არც რომანტიზმი და არც აღტყინება. ყველაფერმა ელფერი შეიცვალა.

1988 წელს და განსაკუთრებით, მის მეორე ნახევარში დაიწყო აშკარა იმედგაცრუება საბჭოთა ძლევამოსილების მიმართ. ასეთი საყოველთაო განცდა არა მარტო საქართველოში, არამედ სხვა რესპუბლიკებში და თქვენ წარმოიდგინეთ, თვით რუსეთშიც იგრძნობოდა. ოღონდ ამ მოსალოდნელ დიდ ძვრებს განსაკუთრებული მიდგომებით ხედავდნენ.

დიდი ინერციით, ნელ-ნელა, ოღონდ ინტენსიურობის მატებით, დაიწყო საბჭოთა იმპერიული პოზიციების შევიწროება. ამასობაში უმაღლეს ხელისუფლებას საბჭოთა სახელმწიფოს მართვის სადავეები ხელიდან ეცლებოდა.

საბჭოთა კავშირის ამ დაღმასვლას, ჰქონდა თავისი ღრმა ისტორიული მიზეზები და ეპოქალური საფუძვლები, რომელსაც ბოლო ეტაპზე დაემატა “სტალინური” სტილის საბჭოთა საჭეთმპყრობელების ერთმანეთის მოყოლებით გამოსვლა მწყობრიდან – 1982 წელს ქვეყანა გამოემშვიდობა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს; 1984 წელს გარდაიცვალა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი, რომელიც ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნობამდე, 1967–1982 წლებში საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე იყო; 1985 წელს გარდაიცვალა კონსტანტინ უსტინეს ძე ჩერნენკო და მისი პოსტი დაიკავა უკვე “პერესტროიკის არქიტექტორმა” მიხეილ სერგეის ძე გორბაჩოვმა, რომელსაც საბჭოთა კავშირი “ხელში შემომესხვრა”. თუმცა ეს მოვლენა თავისთავად, ისტორიულად გარდაუვალი იყო – საბჭოთა სახელმწიფოს რესურსი ამოეწურა. მხოლოდ გორბაჩოვის ეპოქაში საბჭოთა კავშირის ოქროს მარაგი 2500 ტონიდან 240 ტონამდე, ანუ 10-ჯერ შემცირდა; საგარეო ვალი გაორმაგდა; მანეთის კურსი დოლარის მიმართ 0,64 დოლარიდან 0,011 დოლარამდე შემცირდა; ეკონომიკის ზრდის ტემპი +2,31%-დან წელიწადში შემცირდა -11%-მდე.

ასეთი კრიზისული სიტუაცია ყველაფერში და ყველგან იგრძნობოდა და იგი ყველაზე თვალსაჩინოდ აისახებოდა მაღაზიების დახლებზე, რომლებიც დღითი დღე ღარიბდებოდა. თვით გორკის ქუჩაზე მდებარე “საბჭოთა სახელმწიფოს სიმდიდრის” ტრადიციულ სიმბოლოდ ქცეულ ელისეევის გასტრონომში, უკვე აღარ იგრძნობოდა ის სიმრავლე და ფუფუნება ნაირფეროვანი და უმაღლესი ხარისხის პროდუქტებისა, რაც “საბჭოთა ძლიერების” დროს იყო.

განსაკუთრებული განცდა დამეუფლა. საქმის კეთების დროს გაქრა ის მთავარი გრძნობა “პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე”, რომელიც უმთავრესი ფაქტორი გახლდათ საბჭოთა სახელმწიფოს სამხედრო სამრეწველო კომპლექსში და ეს, უკვე მეტად დამაფიქრებელი იყო. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ასეთი ფიქრები ბურუსივით ჩამოწვა და ყველაფერი მოიცვა.

შედგებიც უკვე რეალურად წარმოჩინდა. დაიწყო ჩამორჩენა ყველა დარგში, თვით საბჭოთა სიძლიერის ქვაკუთხედში – სახელმწიფო სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში. იგი ჩვენს საქმიანობასაც შეეხო.

დრო კი ნელ-ნელა მიიწვედა გამოუცნობი ვითარებისაკენ.

ერთი, რაც ნამდვილად მაღალ დონეზე შესრულდა, იყო აშენებული და ყოველ მხივ გამართული საგურამოს სასტენდო კომპლექსი, ბორჯომის მთიანი ზონის ბაზაზე განთავსებული და ექსტრემალურ სიტუაციებში გამოცდილი მიწისზედა, გასაშლელი საინჟინრო, რადიოტექნიკური კომპლექსი და საგურამოს სასტენდო კომპლექსში განთავსებული 30 მეტრი დიამეტრის მქონე რეფლექტორი, რომელიც წარმოადგენდა ძირითად საბაზო ნაწილს ავტონომიური კოსმოსური კომპლექსის შესაქმნელად.

რეფლექტორი ყოველმხრივ იქნა შესწავლილი, განსაკუთრებით კი გაშლის საიმედოობაზე. 297 საცდელი გაშლა რეფლექტორისა და არცერთი არასაშტატო ვითარება, ყველა – 3 სრულმასშტაბიანი გამოცდა წარმატებით დასრულდა.

საბჭოთა კავშირში კი რღვევის ინერცია მატულობდა. ეს უკვე უდავოდ იგრძნობოდა ჩვენთან დაკავშირებულ საკითხებშიც. ამას მოწმობდა სამთავრობო დონეზე მიმოწერა და დოკუმენტებიც, რომლებიც აფიქსირებდნენ ჩამორჩენას ჩვენი კოსმოსური სისტემის შექმნაში, “საჩივრის წერილი” შედგენილი იყო ВПК ახალი თავმჯდომარის, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის იგორ სერგოს ძე ბელოუსოვის სახელზე:

Минрадиопром СССР - т. Курочкину В.А. - совзв
 Совмин Грузинской ССР - т. Читачава Н.А.
 Минобщемаш СССР - т. Догужиеву В.Х.
 Минпромсвязи СССР - т. Первышину Э.К.
 Минавиапром СССР - т. Сыцкову А.С.
 Минобороны СССР - тт. Литвинову В.В., Максимова А.А.

Прошу совместно рассмотреть с привлечением других заинтересованных министерств и ведомств состояние и перспективность данного направления работ в интересах Минобороны СССР и народного хозяйства, определить задачи, порядок и сроки проведения дальнейших работ, их финансирования и материально-технического обеспечения соответствующими министерствами.

Необходимые предложения в трехмесячный срок представьте в установленном порядке.

И. БЕЛОУСОВ

17 апреля 1989 г.




Копия
 Сов. секретно
 экз. № 2

Товарищу БЕЛОУСОВУ И.С.

В соответствии с поручением ЦК КПСС от 18 февраля 1989 г. в связи с запиской Первого секретаря ЦК Компартии Грузии от 28 января 1989 г. по вопросу постановки задачи и осуществлении работ по запуску и функционированию в космосе радиотелескопа, разрабатываемого Минрадиопромом СССР (ЦНПО "Комета") совместно с Минобщемашем СССР (НПО "Энергия") на базе разворачиваемой антенны диаметром 30 метров, создаваемой Специальным конструкторским бюро при Грузинском политехническом институте имени В.И. Ленина с участием предприятий Минавиапрома СССР и Минлегпрома СССР, докладываю:

В соответствии с решениями ВПК от 12 декабря 1985 г. № 16, от 9 марта 1988 г. № 72 и постановлением ЦК КПСС и Советов Министров СССР от 8 августа 1987 г. № 930-225 Минрадиопромом СССР и Министерством народного образования Грузинской ССР с участием предприятий Минобщемаша СССР, Минавиапрома СССР и Минлегпрома СССР

РАЗМНОЖЕНО
 аппарате "Ксерокс"
 из 5 на 4 листах
 31 марта 1989 г.



К1-5622сс

2.

проводятся научно-исследовательские и экспериментальные работы по созданию крупногабаритных разворачиваемых и перебазированных антенн (диаметром 30-80 метров), экспериментальные исследования характеристик излучения плазменных образований стартующих ракет в диапазоне СВЧ, а также разработка физических принципов построения основных средств обнаружения стартов ракет по их излучениям в указанном диапазоне.

В настоящее время изготовлены элементы первого экспериментального образца разворачиваемой антенны диаметром 30 метров - зеркало и опоры для крепления фокального аппаратного контейнера, проведена отработка их разворачивания, а также разработано техническое предложение на создание экспериментального космического комплекса радиоканала обнаружения стартующих ракет на базе антенны диаметром 30 метров. Кроме того дополнительно разработано с участием Минпромсвязи СССР техническое предложение на создание с применением такой антенны комплекса космической связи.

Однако при разработке технических предложений не удалось решить ряд принципиальных вопросов, связанных с созданием и применением как самих крупногабаритных разворачиваемых антенн, так и космических комплексов на их базе, в том числе:

не определен технический облик космического комплекса, не произведен выбор оптимального носителя для вывода его в космос с учетом минимизации стоимости указанного эксперимента;

не завершены экспериментальные наземные исследования СВЧ-излучений стартующих ракет;

не закончена отработка антенны в сборе, не получены ее радиотехнические характеристики, не проведена конструктивная доработка антенны по результатам технического предложения;


не завершена разработка основной радиоэлектронной аппаратуры для космических комплексов.

Кроме того министерствами указанные технические предложения не рассмотрены и предложения по их реализации не представлены.

НТ-5622сс

170
3.

В связи с этим и в целях ускорения решения указанных вопросов считаю целесообразным поручить Минрадиопрому СССР, Совмину Грузинской ССР, Минобщешашу СССР, Минпромсвязи СССР, Минавиапрому СССР и Минобороны СССР совместно рассмотреть указанные технические предложения, состояние и перспективы данного направления работ для Минобороны СССР и народного хозяйства, определить цели эксперимента, порядок проведения дальнейших работ и в трехмесячный срок представить необходимые предложения в установленном порядке.

 В. КОБЛОВ

отп 8 экз МК № ВП-5622сс
17 4 89 ав



С К В
 при ГПИ им. В. И. Ленина
 Вход. № 38с
 от 24 04 1989 г.

128

Секретно

экз. № I

П.в. Шибанова
Смирнова и другие с документами
31.05.89

ПРЕДПРИЯТИЕ
 ПОЧТОВЫЙ ЯЩИК
 В-2572

Директору СКТЬ
 при Грузинском политехническом
 институте им. В.И.Ленина


тов. МЕДЗМАРИШВИЛИ

380075 г.Тбилиси ул.Ленина
 77

144070 г. Калининград, Московской обл.
 Телеграфный «ГРАНИТ»

21.04.89 № 2/1022с

На № _____



На нашем предприятии в течение 1969г. планируется разработка эскизного проекта по унифицированной космической платформе. На платформе предполагается установить зеркальную антенну диаметром ~ 30м для осуществления связи в диапазоне 1,4-1,6 ГГерц. Срок активного существования на геостационарной орбите 7-10 лет. Прошу рассмотреть возможность Вашего участия в разработке эскизного проекта и подготовке материалов в части конструкции антенны. Срок подготовки эскизного проекта декабрь 1969г.

Зам.Генерального конструктора

Б.В. ЧЕРТОК

Зам. Г.В. Черток М.В. Зинин
и другие выполнили эскиз
30.05.89

D-11

მნიშვნელოვანია ის, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იმისათვის, რომ სამინისტროები ამოქმედებულიყვნენ, ჯუმბერ პატიაშვილმა საქართველოში ჩამოსულ საკავშირო ცენტრალური კომიტეტის მდივანს, პოლიტიკუროს წევრს, იაკოვლევს სთხოვა, რომ ინფორმაცია გორბაჩოვისათვის მიეწოდებინა. ამ მიზნით მან მე მომიწყო შეხვედრა იაკოვლევთან და მას სამუშაოს შესახებ მოკლე პრეზენტაცია გავუკეთე.

საბჭოთა კავშირში საქართველოს ყოფნის დრო, რეალურად იწურებოდა.

ამ ქაოსში ერთი წერილი მივიღე მოსკოვიდან. ირგვლივ ყველაფერი ინგრეოდა. წერილში კი მეტად საინტერესო სამუშაოზე იყო საუბარი. ვიფიქრე, ვინ მოიცალა საქმისათვის. როდესაც წერილის გამოგზავნის თარიღი წავიკითხე მივხვდი, რომ მეცნიერები კვლავაც ცდილობდნენ ახალი სამეცნიერო ამოცანების გადაწყვეტას. წერილს ხელს აწერდა ლეგენდარული, ჩემთვის მეტად პატივსაცემი პიროვნება, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ს.პ. კოროლიოვის თანამებრძოლი, ბორის ჩერტოკი.

1988 წლის შემოდგომა იყო. სამუშაო დღის ბოლოს, თბილისის კაბინეტში თათბირი ჩავატარე. თათბირის შემდეგ დაუშუშავებელი დოკუმენტები, რომლებიც წაკითხული ჯერ არ მქონდა, ჩანთაში ჩავაწყვე და კაბინეტიდან გასვლას ვაპირებდი, როცა ტელეფონზე “საქალაქთაშორისო” გაბმული ზარი გაისმა. ყურმილი ავიღე. “ხაზზე” ჩემი გენერალური კონსტრუქტორი, აკადემიკოსი ანატოლი სავინი იყო.

ელგუჯა ვიქტორის ძვე, გადავწყვიტე, რომ ხვალ დილით, პირველი რეისით თბილისში ჩამოვფრინდე, – თქვა მან. უკვე ველაპარაკე საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანს, ბორის ვასილის ძეს და მასთან შეხვედრაზე შევთანხმდით. გთხოვ გაარკვიო ჩემი განთავსების საკითხი მთავრობის “კრწანისის რეზიდენციის” ხელმძღვანელობასთან. ამით მან საუბარი დაასრულა.

გასაკვირი იყო სავინის მოულოდნელი გადაწყვეტილება თბილისში ჩამოსვლის შესახებ. ვფიქრობდი, რომ მისი ჩამოსვლის მიზანს ჩემს საქმიანობასთან ჰქონდა უშუალო კავშირი და სხვა დავალებებსაც მომცემდა.

მეორე დღეს, დილით ჩემი მანქანით უკვე აეროპორტში ვიყავი. სავინი ჩამოფრინდა. “სადეპუტატო ოთახში” მას ასევე შეეგება საქართველოს ცკ-ის წარმომადგენელი და მიიპატიუა “მაღალი” სტუმრებისათვის გამოყოფილ მანქანაში.

ჩვენ მივედით “კრწანისის რეზიდენციაში”. სავინი მოეწყო ნომერში, მოწესრიგდა და 12 საათზე გამოვიდა ბორის ნიკოლსკისთან შესახვედრად, რაც მათი წინასწარი შეთანხმებით იყო განსაზღვრული. ისინი გარეთ გამოვიდნენ, სეირნობდნენ და თან რაღაცაზე საუბრობდნენ დამსწრეების გარეშე. დიალოგი დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა. ისინი დაბრუნდნენ “კორპუსში”. ნიკოლსკი მასპინძლისთვის შესაფერის, ოღონდ ძალდატანებულ, მხიარულ გუნებაზე იყო. სავინი კი, მასთან საუბრის შემდეგ, ძალიან ჩაფიქრებული ჩანდა.

ჩემთვის მოულოდნელად ჯუმბერ პატიაშვილი მოვიდა, რომლის მიმართ ანატოლი სავინი განსაკუთრებული პატივისცემით იყო განწყობილი. ისინი მეგობრულად შეხვდნენ ერთმანეთს და ყველა შევედით “კრწანისის რეზიდენციის” დიდ მისაღებ დარბაზში, სადაც მასპინძლებს უკვე ელოდა აშშ-ისა და კანადის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი გეორგი არკადის ძე არბატოვი და საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი ვეგენი პავლეს ძე ველიხოვი. იმ პერიოდში ეს ორი პიროვნება ძალიან წარმოჩენილი იყო საბჭოთა მმართველობის ელიტაში, რაც, ვფიქრობ, დაკავშირებული იყო მათი გამორჩეული აქტიურობით გორბაჩოვის “პერესტროიკის” პოლიტიკაში.

ახალგამოჩენილ სტუმრებს სავინი ცივად მიესალმა, რამაც იქ მყოფ საზოგადოებაში გარკვეული უხერხულობა შექმნა. შემდეგ იგი ჩემთან ერთად გამოეყო სტუმართა ჯგუფს. ჩვენ სავარძელში ჩავსხედით, ისინი კი საუბრობდნენ. ბორის ნიკოლსკი აქებდა ქართველ ხალხს და უყვებოდა სტუმრებს, თუ როგორი გამჭრიახობა გამოიჩინეს და კრიტიკულად შეაფასეს მათ, ეროვნული მოძრაობის პარტიების ლიდერებს შორის უხეში დაპირისპირების სცენები, რომლის ვიდეოჩანაწერი საქართველოს ტელევიზიით ამ პერიოდში გავიდა ეკრანებზე.

სავინი უსმენდა მათ. შემდეგ მე მკითხა – ხომ არ იცი, ეს “პატივცემული” აკადემიკოსები თბილისში რატომ “ჩამობრძანდნენო” – რაზეც ჩემგან უარყოფითი პასუხი მიიღო. ამ შეკითხვის ინტონაციაში იგრძნობოდა მისი დაპირისპირება მათდამი. ერთ მხარეს იყო საბჭოთა სახელმწიფოს ერთგული და მისი ძლიერებისთვის თავდადებული პიროვნება – სავინი. მეორე მხარეს კი დემოკრატიის “სიოს” შემომტანნი საბჭოთა კავშირში – არბატოვი და ველიხოვი. მაგრამ მიუხედავად საპირისპირო პოზიციებისა მათ ჰქონდათ ერთი საერთო და ურყევი შეხედულება “საბჭოთა იმპერიის ველიკოდერჟავულ პრინციპზე”. დრო იყო ასეთი, რომ ორივე მხარის პოზიციები და მისწრაფებები “არარაობისკენ” მიექანებოდა.

ყველა სუფრასთან მიგვიწვიეს და ვისაუბრეთ. შემდეგ ბატონმა ჯუმბერმა ბოდიში მოიხადა, ყველას დაემშვიდობა და სავინს უთხრა, რომ მის განკარგულებაში იქნებოდა “სტუმრის” მომსახურების “FA3-24”. მერე მე მომიბრუნდა და მითხრა, რომ თუ ანატოლი ივანეს ძე დააპირებს ქალაქგარეთ გასვლას, “კრწანისის” მორიგეს შეატყობინე და ავტონისპექციის ესკორტის მანქანა გააყოლოსო. სავინმა კი უთხრა, რომ არ აპირებდა იმ დღეს სადმე გასვლას, რადგან ჩემთან ერთად უნდოდა მუშაობა. საუბარში ჩაერთო ნიკოლსკი – ხვალ, როგორც შევთანხმდით, ჯუმბერ ილიჩის თაოსნობით, პირველ საათზე ყველანი საგურამოს ბაზაზე მოვალთ და ჩვენს სტუმარს, აკადემიკოს ველიხოვსაც მივიყვანთო.

ყველა დაიშალა, მე და სავინი დავრჩით. მან, ჩაფიქრებულმა წარმოთქვა: “თვითკმაყოფილი პუბლიკა. ქვეყანა აფეთქების ზღვარზეა, ესენი კი ახალი საბჭოთა, არაფრისმომცემი რეფორმებით აღფრთოვანებული არიან”. ვფიქრობ, რომ ამ სიტყვების ადრესატები მოსკოველი აკადემიკოსები, მიხეილ გორბაჩოვთან “ძალიან დაახლოვებული პირები” იყვნენ. მერე მე შემომხედა. მეც ჩაფიქრებული ვიყავი. მან ვერ იგრძნო ის აღტყინება დამხვდურებისა, რაც ადრე ახლდა მის ჩამოსვლას საქართველოში. რა თქმა უნდა, ჩემი პატივისცემა მის მიმართ უცვლელი იყო, ოღონდ დრო იყო რაღაც გაუგებრობით და მოლოდინით აღსავსე.

სავინმა იგრძნო ჩემი განწყობაც და მითხრა: “ელგუჯა ვიქტორის ძე, თქვენთვის – ქართველებისთვის, ალბათ, აღარც საბჭოთა სახელმწიფო და არც მისი “პერესტროიკა” მისაღები და საინტერესო, თქვენ უკვე სხვა განზომილებაში ხედავთ თქვენს მომავალს”. წარმოთქვა თუ არა ეს სიტყვები, ისე რომ პასუხს არც დალოდებია, ან არ უნდოდა მისი მოსმენა, თქვა: “მოდით დავათვალიეროთ საქართველო”. გაკვირვებულმა ვკითხე – თქვენ ხომ თქვით, რომ ჩვენ სამუშაო გვაქვს. მას გაეღიმა და მითხრა, რომ ეს ისე, თქვენი ხელისუფლების ზედამხედველობის ჩამოსაცილებლად იყო ნათქვამიო. მე ვიფიქრე, რომ სავინის სიტყვები “საქართველო დავათვალიეროთ” თბილისიდან გასვლის და საგურამოს სასტენდო კომლექსში მისვლას გულისხმობდა.

ორივენი ჩემი მანქანისკენ წავედით. მანქანაში მძღოლს ეძინა. გავადვიძე. ჩავჯექით და გზას გავუყვეით. როდესაც მცხეთას გავცდით, სავინმა მკითხა: “როგორ მარშრუტს

აირჩევ დღეს ჩვენი მოგზაურობისთვის”. მივხვდი, რომ “საქართველოს დათვალიერება” სავინმა პირდაპირი მნიშვნელობით თქვა. რადგან გზას ვაღეკით ვუთხარი, რომ ბორჯომის ხეობაში წავსულიყავით. ძალიან კარგი, მითხრა მან.

როდესაც გორში შევედით, მითხრა, რომ “სტალინის სახლ-მუზეუმი” დავათვალიეროთ. იგი ადრეც იყო აღნიშნულ მუზეუმში რამდენიმეჯერ ნამყოფი, მაგრამ მისი “სტალინელობიდან” გამომდინარე არ გამკვირვებია მისი ეს სურვილი. მივედით შენობაში. მან გიდი აიყვანა. მუზეუმში ციოდა. მე ვუთხარი, რომ ხელს არ შევეუშლიდი მშვიდ და წყნარ ვითარებაში მუზეუმის დათვალიერებას და გარეთ მზიან ადგილას დავველოდე. დაახლოებით 1 საათში იგი მუზეუმიდან გამოვიდა და გზა ბორჯომისკენ გავაგრძელეთ.

საშურს რომ გავცდით, სავინმა წამოაყენა წინადადება – “ელგუჯა ვიქტორის ძე, დღეს ნურც «КБ»-ს ცემის ბაზას მოვინახულებთ. მირჩევნია რამდენიმე, სილამაზით გამორჩეული ადგილი დავათვალიეროთ, შემდეგ კი ისეთ სასადილოში შევიდეთ, სადაც ქართული, გლეხური საჭმელები იქნება და თან, ჩემთვის მოულოდნელად თქვა – ცოტა კარგი ღვინოც დავაყოლოთ. არადა სავინი, როგორც წესი, არ სვამდა ალკოჰოლურ სასმელს.

მისი გეგმის მიხედვით მოვიქცით. პლატოზე ავედით და საბაგირო გზის ზედა სადგურიდან ბორჯომის პარკის შესანიშნავი ხედით ისიამოვნა. პლატოდან წმინდა გიორგის ეკლესიაში მივედით. შემდეგ კი კენხობის და წაღვერის გავლით ტიმოთესუბნის ეკლესია დავათვალიერეთ. ბოლოს პარკშიც ვიყავით, ტრადიციულად ბორჯომის წყაროზე წყალი დავლიეთ და წამოვედით. გზად ყვებისის გადასახვევთან რესტორანში შევედით. მჭადი, ყველი, მწვანილი, ხაჭაპური, მწვადი და ერთი ბოთლი ღვინოც შევეუკეთეთ. როცა მცირე “ლხინი” მთავრდებოდა, სავინმა ჭიქა ღვინით შეივსო, ფეხზე წამოდგა და თქვა: “შესანიშნავი ხალხი, ნიჭიერი და კარგი მეგობრები ხართ ქართველები. ახლა თქვენ წინ რთული გზა გაქვთ გასავლელი. მინდა გისურვოთ, რომ ეს გზა ღირსეულად გაგველოთ. არ აჰყვეთ ცალკეული პარტიებისა და “პოლიტიკანების” კერძო ინტერესებს, რომლებიც ხშირად ქვეყანას და მის ბედს მხოლოდ თავისი წინსვლის დეკორაციად მიიჩნევენ. თქვენ, ქართველები და თქვენი შესანიშნავი ქვეყანა იმსახურებთ ბედნიერ მომავალს ...”

თბილისში ღამით დავბრუნდით. მეორე დღეს კი, საგურამოს სასტენდო კომპლექსში, კვლავ “ძველი, მკაცრი და სიტყვაძუნწი სავინი” ვიხილეთ. მას პიჯაკზე საბჭოთა კავშირის გმირის ნიშანი ჰქონდა გაკეთებული. სტუმრებს მხოლოდ საქმეზე ესაუბრებოდა.

საღამოს, როცა სავინი უნდა “გაფრენილიყო”, აეროპორტში სალაპარაკოდ გამიწვია და მხოლოდ ეს თქვა: “ვგრძნობ, რომ სულ მალე საბჭოთა კავშირი აღარ იარსებებს. ჩვენ უკვე სხვა ვითარებაში მოგვიწევს შეხვედრა. ვისურვებდი, რომ გარკვეული ფორმით კვლავ გავაგრძელოთ ის საინტერესო პროექტები, რომლებიც შენ გაქვს კოსმოსური ტექნიკის შექმნის მხრივ ...” მას აღარ უთქვამს “სამხედრო-კოსმოსური”, მან ხაზგასმით მხოლოდ “კოსმოსური” თქვა.

სავინი მოსკოვში გაფრინდა. მივხვდი, რომ მისი ჩამოსვლის მიზანი იყო ადგილზე შეეგრძნო სიტუაცია, რომელიც ძირითადად მან ბორის ნიკოლსკისთან საუბრის დროს გაარკვია და ახლა უკვე საბოლოოდ ეგრძნო თავი საქართველოში, როგორც თავის სახელმწიფოში.

... ახლა კვლავ ისტორიის მსვლელობას დავუბრუნდეთ. საქართველოში მდგომარეობა იძაბებოდა. საბჭოთა მმართველობა ძალაუფლებას კარგავდა. ამ ვითარებაში ბევრი რამ აუხსნელი და გაურკვეველიც იყო.

მცხეთაში, გარკვეულ ადამიანებს შეექმნათ აზრი იმის შესახებ, რომ ჩვენ საგურამოში არნახულ რაღაცებს ვაკეთებდით – კერძოდ, წყალქვეშა ნავებისათვის განკუთვნილ სპეციალურ გადამცემებს, რომლებსაც თურმე, ჰიდროლოგიაში ვერცხლისწყლით ვფარავდით და შემდეგ მდინარე არაგვში ვცვდიდით. ამაზე მახინჯი ფანტაზია ძნელი მოსაფიქრებელი იყო, მაგრამ რეალობისამებრ უნდა მოქცეულიყავით.

მცხეთის მოედანზე ასეულობით მომიტინგე შეიკრიბა და ჩვენს ჩასვლას ელოდებოდა. მე უყოყმანოდ დავთანხმდი მათთან შეხვედრაზე. როდესაც მივედი ვთხოვე მათ, რომ საუბარი მინდოდა და ამიტომ იქვე, კინოთეატრში შევედი. გადაჭედელ დარბაზში დავიწყეთ საუბარი. მე ავუხსენი მთელი პროცედურა, განვუმარტე მათ თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ სამუშაოს არა მარტო სამეცნიერო თვალსაზრისით, არამედ საქართველოს პრესტიჟისათვის მსოფლიო არენაზე. ამ დროს ვიღაცამ დაიძახა – აბა ჩემი ცოლი რომ ამბობს ეს ანტენები მამაკაცობაზე ცუდად მოქმედებსო. ვიგრძენი, რომ ამ სულელურ რეპლიკაზე პასუხით და მთელი ჩემი გულახდილი საუბრით, მათ განწყობაში გარდატეხა უნდა მომეხდინა და ვუთხარი, – არ ვიცი თქვენი შესაძლებლობები, მაგრამ რაც ეს საქმე დავიწყე უკვე მეოთხე შვილი მყავს. დარბაზი გამხიარულდა და სიტყვის მოქმედს შესძახეს – შენ ცოლს ვერ უვლი და ეს ანტენა რა შუაშიაო.

შემდეგ კი შევთავაზე მათ წარმომადგენლები გამოეყოთ და წავსულიყავით ბაზაზე. ჰიდროლოგიაში ამოღებული წყალი მე თვითონ დავლიე. შემდეგ მათი ორი წარმომადგენელი ჩვენთან სამუშაოდ ავიყვანე. ერთი სიტყვით დავმეგობრდით.

1989 წლის 9 აპრილს მთელი საქართველო ერთ მუშტად შეიკრა. ყველა დაუნდობელ ანგარიშსწორებაზე საუბრობდა. მე კაბინეტში ვიყავი. ამ დროს, მთავრობის ტელეფონმა დარეკა. ხაზზე ბორის ნიკოლსკი იყო – რამდენი ერთეული ტანკი და “БТР”-ია ელგუჯა ვიქტორის ძე საჭირო, რომ ბაზა აზვირთებულმა ხალხმა არ დაანგრიოსო. პასუხი დაუყოვნებლივ გავეცი – არცერთი ბორის ვასილიევიჩ, ჯერ ერთი, ხალხი ამას არ იზამს და თუ იზამს, უმჯობესია ეს მათ წინააღმდეგობის გარეშე გააკეთონ. ნიკოლსკიმ ყურმილი დამიკიდა.

იმავე საღამოს ცენტრალურ კომიტეტში დამიბარეს და ყოველი შემთხვევისათვის, კომენდანტის საათის შემოდებასთან დაკავშირებით, სპეციალური საშვი გადმომცეს.

1989 წლის 9 აპრილი საქართველოში, ერთის მხრივ, ტრაგედიის, ხოლო, მეორე მხრივ, იმედის მომცემი დღე იყო. ამ დღესთან ერთი სხვადასხვა ემოცია და გრძობა დაკავშირებული, მაგრამ ისინი ერთ საკითხში ერთიანდება – არჩევანი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ უკვე კითხვის ნიშანს აღარ შეიცავდა.

მაგრამ, ისევე, როგორც ყველა დიდ მოვლენას, 9 აპრილსაც ჰქონდა თავისი კურიოზები და ეს ჩემს თავზეც გამოვცადა. 11 თუ 12 რიცხვი იყო და სახლში ვბრუნდებოდი. მაშინ ნუცუბიძის პლატოს II მიკრორაიონში, მეუღლის ბინაში ვცხოვრობდით. როდესაც ნუცუბიძის ქუჩიდან პლატოს ასახვევში შევუხვიე გზა ტანკებით იყო გადაკეტილი და საბუთებს რუსი ჯარისკაცები ამოწმებდნენ, რადგან თბილისში

საგანგებო მდგომარეობა და შესაბამისად, საკომენდანტო რეჟიმი იყო გამოცხადებული. მე მივაწოდე ჯარისკაცს ჩემი პირადობის მოწმობა, რომელსაც გარედან “СССР” ეწერა, შიგნით კი იყო ჩანაწერი იმის შესახებ, რომ “ელგუჯა ვიქტორის ძე მექმარიაშვილი ასრულებს საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს სპეციალურ დავალებას”. შემდეგ იყო მითითებული ბრძანებების ჩამონათვალი, რომელთა მიხედვითაც მქონდა უფლება – ყველა დახურულ ზონაში შესვლისა, ასევე, საავტომობილო, საჰაერო, საზღვაო და სარკინიგზო ტრანსპორტით შეუფერხებელი გადაადგილებისა და ნებისმიერ ქალაქში სასტუმროს ნომრის დაკავებისა.



რუს ჯარისკაცს ჯერ ხელები გაუშეშდა, შემდეგ გაიხედა ზედა მიჯნისკენ, სადაც ასევე ტანკები იდგა, და დაიღრიალა – გასწიეთ ტანკები უფროსობა მოდისო. საბუთი დამიბრუნა, “ჩესტი” აიღო და გამატარა. როცა ზემო პლატოზე ავედი გზა უკვე გახსნილი იყო ჩემთვის და იქაც “ჩესტით” გამაცილეს. ჩემი სახლის სადარბაზოც იქვე იყო და ამ სიტუაციას ჩემი ახალი მეზობლები თვალყურს ადევნებდნენ. როდესაც მანქანიდან გადმოვედი მეზობლები ისე მიყურებდნენ როგორც “ხალხის მტერს”. შემდეგ კი, როდესაც კარგად გამიცნეს და იმ პირადობის მოწმობის მნიშვნელობაც გაიგეს, ყველაფერი მოგონებად დარჩა ...

საქართველოში პოლიტიკური და საზოგადოებრივი პერიპეტეები 9 აპრილმა კიდევ უფრო გაააქტიურა. “მრგვალი მაგიდის” წარმომადგენლები მცხეთას საკმაოდ აკონტროლებდნენ. ეს ის ჯგუფი იყო რომელმაც “ჰიდროაუზის” კონფლიქტის შემდეგ სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროსთან გარკვეული კონტაქტებიც დაამყარა. მათ შორის ჩვენთან განსაკუთრებით ახლოს იყო ნუკრი ბარისაშვილი.

... შემდეგ კი, გუმბარიძის მთავრობა იყო. ბატონ გივი გუმბარიძეს, რომელსაც მე ადრე ვიცნობდი, აღარ შევხვედრივარ.

საქართველოში შექმნილი რთული ვითარების გამო, ფაქტობრივად ის არც ერეოდა ჩვენს საქმეებში და ტრადიციის მიხედვით მეორე მდივანს ალექსანდრე იურის ძე პაშვინცვეს მიანდო მთელი საქმე.

მეორე მდივანთან ალექსანდრე პაშვინცვეთან კი ხშირად ვიყავი და ურთიერთობაც მქონდა.

ერთ დღეს პაშვინცვემა დანიშნა თათბირი, რომელსაც მშენებლები ესწრებოდნენ. ახლა მათ დიდი გაშლის სტენდის შემოფარგვლა ჰქონდათ დასამთავრებელი.

იდეა იმისა, რომ სტენდი დაცული უნდა ყოფილიყო ქარისგან, თოვლისგან და წვიმისაგან წარმოიშვა 1989 წლის დასაწყისში, როდესაც სტენდში რამდენიმე ექსპერიმენტის დროს პრობლემები წარმოქმნა ბუნებრივმა ზემოქმედებებმა.

საქართველოში სიტუაცია უკვე არაპროგნოზირებადი იყო. ამიტომ მშენებლებიც ლავირებდნენ. პაშვინცვეი ჯერ მშენებლებს დაეკითხა საქმის ვითარებას. ახლა კი მათ “ხმა აიმაღლეს” და ამბობდნენ, რომ სხვადასხვა ეტაპზე შესრულებული სამუშაოებისათვის, მათ ფული ჯერ კიდევ არ მიუღიათ. ისიც თქვეს, რომ საპროექტო გადაწყვეტები დაგვიანებით მიიღეს და სხვა. როდესაც პაშვინცვემა ყველას მოუსმინა, მე მომიბრუნდა და დამრიგებლური და თანაც გაბრაზებული ტონით მითხრა, რომ ისინი აღარ “გადაუგრეხენ” მშენებლებს ხელებს, და რომ აუცილებელია მათთვის ფულის გადახდა და პროექტის დროული მიწოდებაც. ერთი სიტყვით, იგი “ხელის დაბანას” აპირებდა ამ საქმეში – როდესაც დაამთავრა, შემდეგ ისე, ზრდილობისათვის მკითხა – ელგუჯა ვიქტოროვიჩ ხომ არ გაქვთ რაიმე სათქმელიო.

გავიზარე მშენებლების და პაშვინცვეის სიტყვების მნიშვნელობა – ისინი ვერ ხედავდნენ რეალობას, მე კი გადავწყვიტე მათთვის ახლო მომავლის პერსპექტივა მეჩვენებინა.

დიახ-მეთქი... ვუთხარი და დავიწყე – ალექსანდრე იურიევიჩ, ეს ობიექტი დროულად უნდა დამთავრდეს. რაც შეეხება თანხის გადახდას, რომელსაც უკვე საქართველო გამოყოფს მათთვის, ამ მხრივ, პრეტენზიები რუსეთთან აღარ გამოვა. თუ ფიქრობთ, რომ ამ ობიექტის დამთავრებით რუსულ საქმეს აკეთებთ – ძალიან ცდებით. ეს საქმე, დღეს უკვე, საქართველოს მომავალზე მუშაობს და ხვალ თუ ზეგ, მას მთლიანად ქართველები დაეპატრონებიან. ახლა, რაც შეეხება პროექტების გადაცემას, ისინი თავის დროზე ჩაბარდა მშენებლებს და ამას აქ მყოფი საპროექტოს დირექტორი – რეზო თოფურიაც დამიმოწმებს. ისე მშენებლებმა, “ჩემმა ძმებმა”, უნდა იცოდნენ, რომ ხელისუფლება მიდის და მოდის, ხოლო საქვეყნო საქმე, რომელიც საქართველოში კეთდება, რჩება და მას მიხედვა უნდა. და თუ ამაში არ მეთანხმებით, დღეს თუ არა ხვალ სხვა უფრო ნაციონალური ხელისუფლება მოვა საქართველოში და პასუხიც მას გაეცით.

ეს სიტყვები ძალიან მრავლისმთქმელი, გულწრფელი და ახლო მომავალზე იყო გათვლილი და ამ დროის მოახლოებას ყველა იქ მყოფი გრძნობდა. მშენებლებმა თავიანთი “პროფესიული” ბუზღუნი დღის წესრიგიდან მოხსნეს და ახლა კონკრეტულ საკითხებზე გადავიდნენ.

პაშინცევი ჩაფიქრებული იჯდა. არ ვიცი, რა იფიქრა მან იმ წუთებში, მაგრამ თავის საბოლოო სიტყვაში კი მთელი “პატრიოტული პათოსით” დაასაბუთა ამ ობიექტის დროული და ხარისხიანი ჩაბარება ...

... ამ პერიოდში, მცხეთიდან, ნუკრი ბარისაშვილი ჩამოვიდა და მთხოვა, რომ “მრგვალი მაგიდისათვის” პირადობის მოწმობები დამეხმებოდა. მეც, ჩემს მეგობარს, რენო ახობაძეს ვთხოვე ამის გაკეთება, იგი პროფკავშირებში მუშაობდა და სტამბაც ემორჩილებოდა. პირადობის მოწმობის საცდელი ეგზემპლარი, რომ დაიბეჭდა, ბატონ ზვიადთან წავიღეთ კოლხურ კოშკში. ბატონი ზვიადი ეზოში გამოვიდა და იქვე სკამზე ჩამოჯდა. ჯერ დაათვალიერა პირადობის მოწმობა, რამდენიმე შესწორება შეიტანა ინგლისურ ტექსტში, შემდეგ კი მკითხა თუ ვინ ვიყავი და რას ვაკეთებდი. ვუთხარი, რომ ვარ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგე, ასევე, ვარ სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსი და ვაკეთებ კოსმოსურ ანტენებს, რომელთაც ანალოგი არ გააჩნიათ მსოფლიოში. მან მკითხა ვინ შეგიკვეთათ ანტენებიო. მე ვუთხარი, რომ შემკვეთი ჯერ-ჯერობით მოსკოვია და ფულსაც ის იხდიდა. მაგრამ მალე შემკვეთებად ვეროპელი ფირმები მეყოლებოდა. შეხვედრა ზვიადთან ამით დამთავრდა. ეს იყო ერთადერთი შეხვედრა ბატონ ზვიად გამსახურდიასთან. მან რაღაც განსხვავებული და განსაკუთრებული შტაბჰელიება მოახდინა ჩემზე. როდესაც იგი წავიდა მივხვდი, რომ საქართველოს პრეზიდენტი სწორედ ის გახდებოდა. შემდგომ, როდესაც ზვიადი უკვე პრეზიდენტი იყო, ნემო ბურჭულაძემ მითხრა, რომ შენს შესახებ ილაპარაკაო და ყველა გააფრთხილა, რომ ამ პიროვნებას თუ დაეხმარებით კარგია, თუ არადა ხელი არ შეუშალოთო. იგი დიდ ქართულ საქმეს აკეთებსო.

სწორედ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდში საქართველოში ჩამოდიხ ბატონი სერგო გეგეჭკორი – ლავრენტი ბერიას შვილი. იგი კიევში ცხოვრობდა და აკადემიკოს ანატოლი სავინის ერთ-ერთი მთავარი კონსტრუქტორი იყო. ამ პერიოდში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თენგიზ სიგუა გახლდათ და მოსკოველი სტუმრებისა და სერგო გეგეჭკორის შეხვედრაც მასთან შედგა. შეხვედრის მიზანი იყო იმის გარკვევა, თუ რას ფიქრობდა საქართველო ამ თემატიკასთან დაკავშირებით და რას აპირებდა იგი რეალურად. ბატონმა თენგიზ სიგუამ მიგვიღო. ყველა სახეზე იყო, მხოლოდ სერგო იგვიანებდა. ბატონმა თენგიზმა იხუმრა – ეს ისეთი კაცის შვილია, მას დაცვა ხელს ვერ შეუშლის ის “კედელშიც” კი გამოვაო. მართლაც კარი გაიღო და ბატონი სერგო შემოვიდა.

თათბირი დაიწყო. მე ბატონ თენგიზის ხელმარჯვნივ, მის გვერდით ვიჯექი. საკითხების განხილვისას ბატონმა თენგიზმა ისე, რომ იქ მყოფთ არც გაუგიათ, მითხრა ბატონო ელგუჯა, ჩემთვის ცნობილია თქვენი კვლევების და მისი აქტუალურობის შესახებ. ამასთან ისიც ვიცი, რომ თქვენ ედუარდ შევარდნაძეც გიჭერდათ მხარს. გააგრძელეთ საქმიანობა მე ყოველმხრივ დაგეხმარებით და წარმატებას გისურვებთო.

ამ სიტყვებმა, ცოტა არ იყოს, გამაკვირვა და ერთი წუთით ჩემთვის ისიც კი გავიფიქრე, ხომ არ იყო რაიმე კავშირი შევარდნაძესა და თენგიზ სიგუას შორის.

ბოლოს თენგიზმა ისაუბრა და დასძინა, ზვიად გამსახურდიას დიდი იმედი აქვს ამ საქმისა, რომელმაც საქართველოს პრესტიჟი უნდა შეუქმნასო.

საქართველოში დრო რეალურად შეიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ არსებობდა და “მომავლის გეგმებსაც” მთავაზობდა, მე უკვე არაფრის

სურვილი და განწყობა აღარ მქონდა, მემუშავა იმ ქვეყნის ინტერესების რეალიზებისათვის, რომელმაც საქართველოში 9 აპრილის ტრაგედია მოაწყო.

კი, ისტორიიდან ყველასათვის იყო ცნობილი იმპერიული მიზნები და რეპრესიები, რაც საქართველოსაც დააწვა მძიმე ტვირთად, მაგრამ ხომ ცნობილია, ისტორიის გაკვეთილებს იშვიათად თუ სადმე ითვალისწინებენ. ასე მოხდა ჩვენი, ომის შემდგომი თაობის ცხოვრებაშიც. ჩვენ ყველამ შევხედეთ რეალობას.

ასეთ ვითარებაში ჩემს უახლეს გეგმებში ორი საკითხი გამოიკვეთა.

პირველი ის, რომ სახელწიფო, სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო, მიუხედავად იმისა, რომ მისი ბაზები ჯერ კიდევ მოსკოვის გავლენის ქვეშ ფორმალურად მაინც რჩებოდა, სასწრაფოდ უნდა მომექცია ქართული იურისდიქციის ქვეშ. ამ საკითხში, კიდევ ერთხელ, განსაკუთრებული მხარდაჭერა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მინისტრმა, აკადემიკოსმა ირაკლი ჟორდანიამ გაგვიწია. მან, საქართველოს მაშინდელ მთავრობასთან შეთანხმებით, სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროს შეუცვალა სტატუსი, დებულება და სახელწოდებაც. ასე ჩამოყალიბდა საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტი.

მეორე საკითხი მოსკოვში უნდა გამერკვია. ამისთვის ჩემს მოადგილეს, უშიშროების პოლკოვნიკ ლევან შანიძეს მივმართე თხოვნით მოსკოვში, რადიომრეწველობის მინისტრის მოადგილესთან და თავდაცვის სამინისტროს სპეციალურ წარმომადგენელთან, გენერალ-ლეიტენანტ ოლეგ ლოსევთან მისულიყო და გამოეთხოვა ჩემი პირადი საქმე და სხვა საბუთები. იგი მოსკოვში ჩავიდა, მაგრამ თბილისში ხელცარიელი დაბრუნდა.

მოსკოვში უშედეგო მივლინების მიზეზი მან იოლად ახსნა. როდესაც გენერალ ოლეგ ლოსევთან მისულა, რომელთანაც მას თბილისში ვიზიტების დროს კარგი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა და ჩემი თხოვნა გადაუცია, გენერალს ცივი უარი განუცხადებია და ხმამაღლა უთქვამს, რომ ელგუჯა მეძმარიაშვილი, რომელსაც ანატოლი სავინთან ჰქონდა რაღაც საკითხები სამეცნიერო კვლევებში, ფაქტობრივად თქვენს მიერ გამოცხადებული დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქეა. ამასთან, მის შესახებ რაიმე საბუთების მოძებნა მოსკოვში, ფუჭი მცდელობა იქნებოდაო.

შანიძე დამშვიდობებია ლოსევს და კაბინეტიდან გამოსულა. მას ოლეგ ლოსევიც გამოჰყოლია. გენერალმა თავის ადიუტანტს წასვლის მიზეზი განუმარტა და ისიც გამოსულა კაბინეტიდან. ისინი სამინისტროდან გარეთ ფაქტობრივად ერთდროულად გამოსულან. მაშინ კი ლოსევს გულახდილად განუცხადებია შანიძესთვის – ელგუჯა ვიქტორის ძეს გადაეცით ჩემი დიდი მოკითხვა და უთხარით, რომ გარკვეული პერიოდი მოსკოვისკენ არც კი გამოიხედოსო. აქ ძალიან რთულად არის საქმეო განსაკუთრებით საქართველოს მიმართ და არ გურჩევდი მას ამ ვითარებებში ჩართვასო.

ჩემთვის ყველაფერი გასაგები გახდა.

... იმ პერიოდში, როდესაც ამას სრულად არ ველოდი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, მინისტრ, გენერალ ჯონი ფირცხალაიშვილთან დამიძახეს. გენერალმა, რომელსაც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში მისი სამსახურის პერიოდიდან ჰქონდა ჩემს შესახებ ინფორმაცია, შემომთავაზა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სამხედრო-საინჟინრო დარგს ჩავდგომოდი სათავეში. შემდეგ, იგი ამის შესახებ პრეზიდენტსაც ელაპარაკა ...

... იდეოლოგიურად, მორალურად, სოციალურად და ეკონომიკურად გამოფიტული საბჭოთა კავშირი, მიხეილ გორბაჩოვს, როგორც აღვნიშნე, “ხელში შემოემტვრა” ისე, რომ მას ეს სრულებითაც არ უნდოდა და არც უფიქრია ამაზე.

ამ დროს კი თბილისი და მთლიანად საქართველო დაპირისპირების ეტაპიდან შეიარაღებული თარეშისა და ომობანას პერიოდში შევიდა.

ზვიად გამსახურდიას საქართველო დაატოვებინეს... მოგვიანებით მისი სიცოცხლე, ჯერ კიდევ იდუმალებით მოცულ “პოლიტიკურ ბურუსში” დასრულდა.

შემდეგ კი, თბილისი და მთელი საქართველო ანგარიშსწორების უინმა შეიპყრო. მაგრამ იყვნენ ადამიანები, რომლებიც, მიუხედავად თავისი პოლიტიკური მრწამსისა, დაპირისპირებაში არ იყვნენ ჩართული და კვლავაც პატიოსნად ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, თუმცა საქმის კეთება სულ უფრო და უფრო ძნელდებოდა...

ამ ვითარებაში მე საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტი და მისი ბაზები უნდა გადამერჩინა. არადა ვის ახსოვდა კოსმოსური ტექნიკა და მისი შემქმნელები. საქართველოდან წასვლა არასდროს მიფიქრია რადგან ვიცოდი, რომ წავსულიყავი საგურამოს ბაზაც და ინსტიტუტიც ერთი ხელის მოსმით დამთავრდებოდა, მაგრამ ერთხელ კი ნამდვილად ვიფიქრე გავცლოდი აქაურობას. ეს, საგურამოს გზაზე, წიწამურის გადასახვევთან მოხდა. ავტომატიანებმა გამაჩერეს. მე “მოსკვიჩით” ვიყავი და მძღოლიც მახლდა. საგურამოში მივდიოდით. სკოლის უფროსი კლასელის ასაკის, ერთი “ცხვირმოუხოცავი” ბიჭი იყო, ამ სიტყვის პირდაპირი და არაპირდაპირი გაგებით, რომელსაც ავტომატი თოხივით ეჭირა ხელში. მოგვიახლოვდა და აგდებულად გვითხრა – ბენზინი ჩამოასხითო. მე უძრავად ვიდექი. მძღოლმა გადაუსხა ბენზინი. შემდეგ მან მანქანა დაათვალიერა და ახლა მე მომმართა – ბიძია არაფრად ვარგა შენი მანქანა, თორემ წავიყვანდიო. ამასობაში უიგულით “პირტიტველა” ბიჭები მოვიდნენ და “ჩვენს ბიჭს” სწრაფად გაყოლა სთხოვეს. თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი. იმ წუთში არც საქართველოში ყოფნა, აღარც საგურამოს ბაზა და არც კოსმოსური ტექნიკა მინდოდა. ვიფიქრე წავალ და უკან აღარ დავბრუნდები-მეთქი, მაგრამ ეს იყო ერთი, წამიერად გაელვება ფიქრისა და მეტჯერ ასეთი ფიქრი აზრადაც არ მომსვლია.

1992–1994 წლები ძალიან რთული გამოდგა. თვე არ გავიდოდა, რომ ყაჩაღები არ დასხმოდნენ საგურამოს ბაზას. მიუხედავად ამისა, არც ბორჯომის მთიან ზონაში და, რაც მთავარია, არც საგურამოში სტენდები არ გაძარცვულა. გაუთავებლად ვიგერიებდით შემტევებს ...

რთულ პერიოდში ჩვენი ინსტიტუტი იყო მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომიტეტის შემადგენლობაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლევან ჯაფარიძე. შეიძლება ითქვას, რომ ყველა ჩვენს მიმართვაზე იგი გაგებით და საქმიანად რეაგირებდა, რაშიც ასევე მისი მოადგილეების – გოგი ნიჟარაძისა და ალეკო მირიანაშვილის დიდი წვლილი იყო.

საქართველოში რთული და გაურკვეველი ვითარება მძვინვარებდა.

საქართველო თენგიზ კიტოვანის, ჯაბა იოსელიანის და მათი, ხშირ შემთხვევაში ერთმანეთთანაც დაპირისპირებული ფორმირებების პირად ემოციებსა და დაუფიქრებელ ქმედებებზე იყო დამოკიდებული. საბჭოთა კავშირი უკვე აღარ იყო, მაგრამ იმპერიის უზარმაზარი სივრცე ისევ “ირყეოდა”.

ეს გარდამავალი პერიოდიც იყო და იგი მეცნიერებაში, მით უფრო გამოყენებით მეცნიერებებში მიიმედ აისახა. ჩვენი ქვეყნის გარკვეული ურთიერთობები რუსეთთან, მათ შორის სამეცნიერო-ტექნიკურ დარგშიც ჯერ კიდევ გარკვეული ფორმითა და შინაარსით შენარჩუნებული იყო, მაგრამ რეალობიდან გამომდინარე, სამომავლო შეკვეთები უკვე “შორეულ უცხოეთში” უნდა გვეძებნა. ამისთვის სამზადისი იყო საჭირო და 90-იანი წლების პირველ ნახევარში, როცა ამის შესაძლებლობები იყო ვეძებდით სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობის გზებს.

მაგრამ ჩვენი ინსტიტუტისათვის და განსაკუთრებით ჩემთვის ამ მხრივ დამატებითი სირთულეებიც არსებობდა. თუ მანამ, საბჭოთა პერიოდში რაიმე ღირებული მქონდა შექმნილი მეცნიერებაში და ნაწილობრივ კონსტრუქციების დანერგვაში ყველაფერს ელო გრიფი “საიდუმლო” და “სრულიად საიდუმლო”. მათი გამოყენება გრიფების და სამუშაოთა მნიშვნელობის მიხედვით “დახურული” იყო 5, 10 და 15 წლით. ზოგი სამუშაო 20-წლიან გასაიდუმლოებას ექვემდებარებოდა. მათი “გახსნა” ჩემი მხრიდან შეუძლებელი იყო. გარდა ამისა ამის ნებას არც საქართველოს სათანადო ორგანოები მომცემდნენ. და თუ მაინც “გავხსნიდი” მათ, მაშინ სხვა მექანიზმები ამოქმედდებოდა. მაგრამ ყველაზე მთავარი იყო პირადი ეთიკა მკვლევრისა, რომელიც დაწერილი თუ დაუწერიელი კანონების დაცვით ყოველთვის თავისი სინდისის წინაშე აგებს პასუხს.

ასე რომ, ახალი კონსტრუქციული სისტემის შესაქმნელად სამეცნიერო კვლევები მეტწილად თავიდან უნდა დამეწყო და დავიწყო კიდევ.

IX თავი

**ნგრების პროცესები ოდნავ მიუყნარდა, დამოუკიდებელმა
საქართველომ იწყო განვითარება**

მოზონებები

საქართველოში კვლავ ბრუნდება ედუარდ შევარდნაძე. იგი უკვე “მძიმე წონის” პოლიტიკოსია. ცენტრალურ კომიტეტში მის მოღვაწეობას, საკავშირო ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურს წევრობას, შემდეგ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრობას, შეემატა “ახალი მსოფლიოს” ერთ-ერთი გამომხენილი “არქიტექტორის” სახელი. მას საქართველოში შეხვდნენ არაერთმნიშვნელოვნად. უმეტესობა მასზე, როგორც გამოცდილ პოლიტიკოსზე, დიდ იმედებს ამყარებდა, ბევრი მათგანი მასში ისევ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ხედავდა, რომელიც რკინის ხელით საქართველოში წესრიგს ადგენდა. იყვნენ ადამიანები, რომლებსაც ედუარდ შევარდნაძე არ მოსწონდათ.

ამასთან, ორივე ნაწილი, მცირე გამონაკლისის გარდა, საქართველოში შექმნილი რეალობიდან, ახალი პოლიტიკის გარეშე, ვერ ხედავდა გამოსავალს უმოკლეს პერიოდში.

... სერგო გეგეჭკორი კვლავ საქართველოშია. მან მითხრა ედუარდ შევარდნაძესთან მომიწვევ შეხვედრაო. ვაჟა თორდიას საშუალებით, რომელიც მაშინ პრეზიდენტის აპარატში მსახურობდა, დაიგეგმა შეხვედრა ედუარდ შევარდნაძესთან. მის კაბინეტში შევედით – მე, ბატონი სერგო გეგეჭკორი და ვაჟა თორდია. მას შემდეგ, რაც ბატონი ედუარდი საქართველოში დაბრუნდა, ეს ჩემი პირველი შეხვედრა იყო მასთან. მან ჩვეულებისამებრ კარგად მიგვიღო. სერგო გეგეჭკორს შესთავაზა დახმარება თუ ის ისურვებდა და საქართველოში გადმოვიდოდა საცხოვრებლად.

ამასთან შევარდნაძემ უთხრა მას, რომ საქართველოში ბერიას მიმართ რეალურად განსხვავებული შეხედულებებია, მათი უმეტესობა თვლის, რომ მან ქართველები დიდ გასაჭირში ჩააგდო. მიუხედავად ამისა, ლავრენტი ბერია დიდი პოტენციალის ქართველი იყო.

მე კი ერთი რამ დამამახსოვრდა ყველაზე მეტად ამ შეხვედრიდან. შუა საუბარში იყო, როდესაც ედუარდი მოულოდნელად ჩემკენ შემობრუნდა და მკითხა – რა უნდა ვუყოთ ოსეთს, როგორ წარმოვიდგენია მისი მომავალი. მე პირდაპირ ვუპასუხე – ავტონომია უნდა აღუდგინოთ, შემდეგ კი საკითხის გადაწყვეტა დავიწყოთ. იგი გაჩერდა. მოგვიანებით კი წარმოთქვა – გაიგებს მერე ამას ხალხი.

შეხვედრა მთავრდებოდა, როდესაც ბატონმა ედუარდმა ინსტიტუტის ბედი მოიკითხა. შემდეგ კი დამპირდა – როდესაც საქართველოში მდგომარეობა ამის საშუალებას მომცემს, მაშინვე მოვალ თქვენთანო.

მან ეს სიტყვა შეასრულა. თვითონაც მოვიდა და მთელი ამაღაც მოიყვანა. ზურაბ ჟვანია, ნიკო ლეკიშვილი, გიორგი ბარამიძე, მინისტრები და სხვები, ვისაც კი რამე ეკითხებოდა ჩვენთან დაკავშირებით. პრეზიდენტის მოსვლას ინსტიტუტის საგურამოს სასტენდო კომპლექსში წინ უძღოდა მრავალმხრივი მოსამზადებელი სამუშაოები, რომელიც პრემიერ-მინისტრის მოადგილე მერაბ ადგიშვილმა უზრუნველყო. იგი ჩვენი ინსტიტუტის პროფესორიც იყო და საკითხებს კარგად იცნობდა. შეხვედრის ორგანიზაცია კი პრემიერ-მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა მოაწყო. პრეზიდენტს და მის თანმხლებ პირებს ძალიან გაუკვირდათ, როდესაც ბაზა გაუქურდავი და სრულ წესრიგში დახვდათ.

ედუარდმა გამოჰკითხა ყველა წრვილმანი. შემდეგ კი ინსტიტუტის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა შეხვედრა. დაისახა მიზნად საერთაშორისო არენაზე ხელშეკრულებების მოძიებისათვის სათანადო სახელმწიფოებრივი ღონისძიებების გატარება ...

ამ პერიოდში ინსტიტუტში ერთი სიახლის პრეცედენტი მაინც დაუშვით – სტრუქტურული ერთეულის სახით, შეიქმნა სამხედრო-საინჟინრო ცენტრი. ეს იდეა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვნად მესახებოდა. შეიძლება ცოტა ადრე იყო, მაგრამ “ადგილის დაჯავშნა” სამხედრო-საინჟინრო დარგში აუცილებელი იყო. ცენტრის შექმნასა და შემდეგ ყველა საკითხში, რომელიც დაკავშირებული იყო პრეზიდენტისა და მისი აპარატის რეაგირებაზე, ინსტიტუტის და მისი სამხედრო-საინჟინრო ცენტრის მიმართ ჩემი მხარდამჭერი გახლდათ პრეზიდენტის მრჩეველი სამხედრო-სამრეწველო დარგში ბატონი რევაზ მიქაბერიძე. ეს პიროვნება თავისი საქმის დიდი პროფესიონალია და ნამდვილი პატრიოტია.

ედუარდ შევარდნაძემ ჩვენთან სამხედრო-საინჟინრო ცენტრის შექმნა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისგან, ბატონ აეთანდილ მარგიანისგან შეიტყო. სწორედ იგი იყო ჩვენთან მოსული საგურამოს ბაზაზე, ჯერ შეხვედრა ჩაატარა და შემდეგ – ცენტრის შექმნის ოფიციალური ნაწილი. როდესაც ამის შესახებ ედუარდმა სრული ინფორმაცია მიიღო, პირდაპირ განუცხადა იქ მყოფთ - ამით ელგუჯამ ახალი და ეფექტური გზა მონახა ინსტიტუტის გადარჩენისათვის.

... რუსეთის გაზეთებში გაჩნდა პუბლიკაციები ჩვენი სამუშაოების – კონკრეტულად 30-მეტრიანი ანტენის შესახებ. ერთ-ერთ სტატიაში, კოსმოსური ტექნიკის გენერალური კონსტრუქტორი ანატოლი სავინი წერდა, რომ ამერიკულ ანგარიშებში, რომელიც NASA-მ გამოაქვეყნა, 30-მეტრიანი ანტენასთან დაკავშირებით წერია – “30-метровая радиоантенна выдающийся пример русской передовой технологии”. ერთი სიტყვით, არც მეტი და არც ნაკლები, ეს 30-მეტრიანი ანტენა ქართველების მიერ, საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტში შექმნილი და იქ განთავსებული გახლდათ.

რუსებმა ნაწილობრივ უკვე დაიწყეს გამოქვეყნება იმ საიდუმლო მასალებისა, რომელშიც მთელი ჩვენი ქართული ტექნოლოგია იყო ჩადებული. ასე რომ, დრო აღარ ითმენდა. საქართველოს მსოფლიოს გასაგონად თავისი სათქმელი უნდა ეთქვა და ეს სულ მალე განხორციელდა ...

... იმ პერიოდში მე დამიახლოვდა გრიგორი კინტერაია, სოჭელი ქართველი კაცი, რომელიც გერმანიაში რუსეთის სანაოსნოს წარმომადგენელი იყო. მას საქართველოში უკვე ჰქონდა ბიზნესი. ამ მხრივ მასთან კავშირი დამყარებული ჰქონდა გურამ თევზაძეს. მათ კომპანიაც ჰქონდათ დაფუძნებული, რომელიც საქართველოდან უცხოეთში ქართული სამეცნიერო შედეგების პოპულარიზაციასა და კავშირების დამყარებაზე იყო ორიენტირებული.

ბატონმა გრიგორიმ მთხოვა დამეწერა წიგნი, სადაც მთელი ჩვენი კოსმოსური და მიწისზედა ტექნიკა იქნებოდა აღწერილი და მისი შესრულების შესაძლებლობები გადმოცემული. ეს წიგნი, რომელიც უნდა დაწერილიყო, მთელი მსოფლიოს ცნობილ ფირმებს უფასოდ დაეგზავნებოდა. ამას გარდა, გერმანიაში ასევე ჟურნალსაც გამოვცემდით. ინგლისურენოვანი ჟურნალიც იმავე მისიის შესასრულებლათ იყო განსაზღვრული.

ეს წიგნი – Трансформируемые системы в космосе и на Земле – უმოკლეს დროში, 1995 წელს დაეწერე. წიგნში, შერჩევით და ისიც ძალიან მოკლედ იყო აღწერილი საქართველოს მიღწევები ტრანსფორმირებადი კოსმოსური და მიწისზედა ნაგებობების დარგში. უმთავრესი იყო ის რომ, წიგნის წინასიტყვაობა ეკუთვნოდა აკადემიკოს ანატოლი საგინს. ამით ყველა პასუხისმგებლობა, რუსული საიდუმლოს ნაწილობრივ გამოაშკარავებაზე თუ ეს მოხდებოდა ან, უფრო მეტად, რუსეთის მხრიდან ჩემდამი პრეტენზიებს საიდუმლოს გაცემაზე, მე სრულად მომეხსნა. გარდა წიგნის გამოცემისა, გრიგორი კინტერაიამ საქართველოში, კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის ბაზაზე დააარსა კომპანია – “საქართველოს პოლიტექნიკური ინტელექტი”. იმის გამო, რომ მაშინ ჯერ უცნობი იყო, თუ როგორი რეაგირება ექნებოდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის კომპანიებს ჩემი წიგნის მიმართ, კომპანიაში მუშაობა დავიწყეთ არა კოსმოსური სისტემებით, არამედ სწრაფადსაგები მრავალჯერადი გამოყენების ხიდის შექმნით.

... საქართველოში, ოფიციალური და მეგობრული ვიზიტით, უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა ჩამოვიდა. შეხვედრის პროგრამა, ასევე, ითვალისწინებდა მის მოსვლას საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის საგურამოს სასტენდო კომპლექსში. ეს საკითხი პროგრამაში ედუარდ შევარდნაძის უშუალო წინადადებით მოხდა იმ ფაქტის გამო, რომ ლეონიდ კუჩმა, ვიდრე პრეზიდენტი გახდებოდა დნეპროპეტროვსკში, ცნობილი სამხედრო-კოსმოსური ფირმა – КБ “Южная”-ს გენერალური დირექტორი იყო და ამ დარგს კარგად იცნობდა.

დილით ინსტიტუტის თანამშრომლები და საქართველოს მთელი ხელმძღვანელობა საგურამოს ბაზაზე შეიკრიბა. ესკორტიც მალე გამოჩნდა. პრეზიდენტის მანქანა, რომელშიც ედუარდ შევარდნაძე და ლეონიდ კუჩმა ისხდნენ, ჩემთან ახლოს გაჩერდა. მე ორივეს თავაზიანად მივესალმე. ამ დროს კუჩმა შედგა, შემდეგ გაიღიმა და მე მომმართა – ნუთუ ეს თქვენ ხართ. როგორ მაინტერესებდა თქვენი შექმნილი კონსტრუქციების ნახვა, მაგრამ არ ვიცოდი ისინი საქართველოში კეთდებოდა თუ მოსკოვში, ანატოლი ივანოვიჩთან. შემდეგ სვლა გაავარძელეთ სტენდებისაკენ და კუჩმა დიდი ინტერესით კვლავ მეკითხება კონკრეტულ ადამიანებზე, რომლებსაც ის იცნობდა და კონკრეტულ საბჭოთა პროექტებზე. ედუარდი ყურადღებით გვისმენდა. როცა სტენდთან შევჩერდით, მან იუმორით მიმართა კუჩმას – როგორც ვხედავ თქვენ ძველი ნაცნობობა გაკავშირებთ და ერთმანეთთან მოსაგონარიც ბევრი გაქვთ, ამიტომ ხომ არ აჯობებდა მე გაგცლოდით.

საკონფერენციო დარბაზში შევედით. იქ ჩვენ სამუშაოსთან დაკავშირებით ფილმი ვაჩვენეთ სტუმარს. მან ჩემი წიგნიც დაათვალიერა და აღნიშნა, მისი მნიშვნელობა.

შემდეგ, როცა საკონფერენციო დარბაზიდან გამოვედით, იქვე სახელდახელო სუფრა იყო გაშლილი. ყველა კარგ გუნებაზე იყო. კუჩმამ სადღეგრძელოს შესმის სურვილი გამოთქვა. ედუარდი ოდნავ შეეყოვნდა. მივხვდი, რაშიც იყო საქმე – იგი ფიქრობდა, დაცვას ღვინო თუ ჰქონდა შემოწმებული. ეს უხერხულობა მე მოხვსენი. ბატონო ედუარდ, ვუთხარი მე – ორი საათის წინ, ჩემს სახლში სოფელ წილკანში შევიარე, იქ შვიდი ბოცა “ადესა” მქონდა . ერთი ოცლიტრიანი ავიღე და ეს-ეს არის აქ მოვიტანე. ედუარდს გაეღიმა მიხვდა, რომ პასუხისმგებლობა მე ვიკისრე. რამდენიმე ჭიქა “ადესა” შესვეს. შემდეგ ედუარდ შევარდნაძე მომიბრუნდა და მითხრა. მეც ვაყენებ “ადესასო”. ძალიან მიყვარს, განსაკუთრებით ჩემ გაკეთებულ ამოღესილ ღობოისთან ერთად. ეს ხუმრობით

იყო ნათქვამი, თუ სერიოზულად ვერ მივხვდი. შემდეგ ცოტა “ადესის” დაყენების მისეული და ჩემეული ტექნოლოგიების შესახებაც მოვასწართ საუბარი.

მე განვმარტე, რომ მოკრეფილ ადესას სამ ნაწილად ვყოფდი. პირველ ნაწილს ვწურავდი და ხის კასრში ჭაჭასთან ერთად ვათავსებდი. მეორე ნაწილს დავწურავდი, ჭაჭას ვაცლიდი და ისე ვაღვინებდი. მესამე ნაწილს, დაწურვის შემდეგ, ჭაჭასთან ერთად ქვაბში ვათავსებდი და ნელ ცეცხლზე ვაღულებდი ისე, რომ მისი მოცულობა დუდილის დროს განახევრებულიყო. ამ პროცესის ჩატარების მერე, სამივე ნაწილს ერთ ხის კასრში ვასხამდი. ხუთი დღის თავზე წვენს ჭაჭას ვაცლიდი და ვაგრძელებდი დუდილის პროცესს. შემდეგ კი ტრადიციული ტექნოლოგიით ვახდენდი ღვინის დაყენებას. ასეთი მეთოდით “ადესის” ღვინო გამოდის ალკოჰოლის მაღალი შემცველობის, მას აქვს შესანიშნავი სუნი და არომატი, ამასთან, კარგი ფერი. როცა მოყოლა დავამთავრე, ეღურდმა მითხრა – “ვიფიქრებ მაგ ტექნოლოგიაზე. ისე, განსაკუთრებული და კარგი თვისებები შენს ღვინოს აქაც ეტყობა”.

სტუმრები – უკრაინისა და საქართველოს პრეზიდენტები ბაზიდან გავაცილეთ. რამდენიმე დღის შემდეგ კუნძამ კიევიდან ჩემთვის სპეციალური საჩუქარი გამოგზავნა, რომელიც უკრაინის ელჩმა გადმომცა.

... გრიგორიმ ხშირად იწყო საქართველოში ჩამოსვლა. ერთხელაც აეროპორტში გრიგორი კინტერაიას, კომპანია “საქართველოს პოლიტექნიკური ინტელექტის” პრეზიდენტს ვხვდებოდით, როდესაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა რამაზ ხუროძემ დამირეკა და მითხრა, რომ საქართველოს პრეზიდენტს უნდოდა ჩემთან შეხვედრა. გადაწყვეტილი აქვს კავშირგაბმულობის მინისტრად დაგნიშნოსო. დაგირეკავენ და შეხვედრის დროს გეტყვიანო. ინფორმაცია მოულოდნელი იყო, ამასთან ჩემთვის მიუღებელი. ამის ბევრი ფაქტორი არსებობდა. პირველ რიგში მიუხედავად იმისა, რომ მე კოსმოსური და მიწისზედა საინჟინრო კომპლექსებს ვქმნიდი, კავშირგაბმულობა და მისი სტრუქტურული მართვა მაინც განსხვავებული სფერო იყო. მეორე ის, რომ არ მინდოდა სახელმწიფო თანამდებობაზე ვყოფილიყავი. მით უმეტეს საქართველოში ისეთი სიტუაცია იყო, რომ მაინც მომიწევდა “სახელისუფლებო ჯოხზე” ხელის მოკიდება, ჯოხი კი დიდი შანსია, რომ “დასვრილი” იქნებოდა. მესამე და მთავარი კი იყო სამეცნიერო კვლევები და ახალი კონსტრუქციული სისტემების შექმნა, რომელსაც ვემსახურებოდი. ისე კი იყო ერთი მომენტი, რამაც აფიქრებინა ბატონ ეღუარდს ასეთი გადაწყვეტილების მიღება – ჩემი შეხვედრა და საუბრების შინაარსი ბატონ ლეონიდ კუნძასთან, რასაც შევადნამეც ესწრებოდა.

ეს ყველაფერი უცებ ამოტივტივდა ჩემს ცნობიერებაში და რამაზს ვუთხარი, არა ვთხოვე – თუ ძმა ხარ, შენებური ტაქტითა და დიპლომატიით შეეცადე უარი უთხრა პრეზიდენტს. რამაზის სიცილის ხმა შემომესმა ტელეფონში. შემდეგ კი თქვა – ვიცოდი უარს რომ იტყოდი, მე ავუხსენი შენი მისწრაფებები, ელგუჯა კიდევ შევეცდები ამ პრობლემას აგაცილო.

ამასობაში გრიგორიც ჩამოფრინდა. ჩემი მანქანიდან გრიგორის ბრონირებულ მერსედესში გადავჯექი და ტელეფონით ჩემთვის შემოთავაზებული წინადადებაც გავაცნი. გრიგორი სიხარულისგან აენტო. იქვე გათვალა სვლები, რომელიც ჩემი მინისტრობის დროს უნდა გამეკეთებინა. მის აღტყინებას “ცივი წყალი” გადაესხა, როცა გაიგო, რომ მე

უარს ვამბობდი შემოთავაზებულ წინადადებაზე. მან უკვე გაბრაზებულმა მხოლოდ ეს თქვა – უცნაური ხარ ელგუჯა. ნუთუ სხვა თუ არაფერი, ფული მაინც არ გიზიდავს.

მისი სიტყვები უპასუხოდ დაგტოვე, ჩემთვის კი გაგიფიქრე – ფული როგორ არ მიზიდავს, მაგრამ მე ჩემი ცხოვრება შემოქმედებას, მეცნიერებას და ახალი ტექნოლოგიების შექმნას დაუჟეავშირე, რაც ცხოვრების განსხვავებულ წესებს მოითხოვს და, ამ მხრივ, საქართველოში “დიდი ფულის” შოვნა ჯერ შეუძლებელია.

... ჩემი წიგნი “Трансформируемые конструкции в космосе и на Земле ” ყველა კოსმოსურ კომპანიაში დაიგზავნა. ამასობაში საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი და მისი თანმხლები დელეგაცია უნდა ჩამოსულიყო. დელეგაციის ვიზიტის გეგმა ჯერ კიდევ რამდენიმე თვით ადრე შედგა. გეგმის მიხედვით ისინი ჩვენთანაც უნდა მოსულიყვნენ. ასე ვთქვათ, სამთავრობო დონისძიებები ჩვენი ინსტიტუტის თემატიკით საზღვარგარეთის დაინტერესებისათვის მუშაობდა ...

... სწორედ ამ პერიოდში, “ლოკსიდ მარტინმა” გამოთქვა ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი. პროფესორი კერტესი და ფირმის წარმომადგენელი რობერტ ვოტერსი დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდნენ საქართველოში. მათ უკვე იცოდნენ ჩვენი საქმიანობის შესახებ. ამის პრაქტიკა ჩვენც გვექონდა. როცა ამის საჭიროება იყო, ვამზადებდი წერილს, რომელიც იური დანილოვის მეშვეობით იგზავნებოდა რადიომრეწველობის სამინისტროს აპარატში, ისინი კი შესაბამის ადრესატებს აძლევდნენ საიდუმლო მასალების მოპოვების დავალებას.

ასე რომ, “ლოკსიდ მარტინის” წარმომადგენელს, ახლა უკვე დამოუკიდებელ საქართველოში, მეც მომზადებული შევხვდი მათი სამუშაოს თემატიკის ცოდნით. ერთი სიტყვით გადაწყდა რომ, ჩვენ მათ 12-მეტრიან ანტენას დაუმზადებდით და ხელშეკრულების გაფორმებაც დაიწყო. ამერიკის თავდაცვის დეპარტამენტმა ხელშეკრულება დაბლოკა – 9 მეტრზე მეტი ზომის კოსმოსური კონსტრუქციის ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ გაკეთება მაშინ აკრძალული იყო ...

მიუხედავად იმისა, რომ “ლოკსიდ მარტინთან” ერთობლივი სამუშაო არ შედგა, რობერტ ვოტერსთან მეგობრული ურთიერთობა გაგრძელდა. საინტერესოა, რომ წარსულში ვოტერსი ამერიკის არმიის პოლკოვნიკი იყო და ვიეტნამშიც იბრძოდა, სადაც იგი ექვემდებარებოდა გენერალ მალხაზ ჯონ შალიკაშვილს.

... ასე რომ, ახლა გერმანიის დელეგაციის ჩამოსვლას განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ველოდებოდით. ეს დღეც დადგა. საგურამოს ისევ მოადგა მანქანების ესკორტი. როდესაც სტუმრები გადმოვიდნენ ავტომანქანებიდან, ერთი მაღალი, ჭარმაგი მამაკაცი, რომელსაც ჩემი წიგნი ეჭირა, ხმამაღლა გაიძახოდა – პროფესორი მექმარიაშვილი, პროფესორი მექმარიაშვილიო. რა თქმა უნდა, პირველად მასთან მივედი. იგი გამეცნო, პროფესორი იოჰანეს ზემლერი იყო, “დაიმლერ ბენცის” სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ცნობილი გერმანელი მოღვაწე, იურისტი და, რაც მთავარია, ქართველების მიმართ განსაკუთრებული მეგობრული გრძნობით გამსჭვალული პიროვნება. მეორე მსოფლიო ომის წლებში, ახალგაზრდა იოჰანეს ზემლერი ქართველ ლეგიონერებთან ერთად კავკასიაში ოპერაცია “ბერგერის” შემადგენლობაში იბრძოდა და ქართველებისადამი მეგობრობის გრძნობა მას მყარად ჰქონდა შენარჩუნებული. იოჰანეს ზემლერს ახლდნენ საბჭოთა კავშირში გერმანიის ყოფილი ელჩი მაიერ ლანდრუტი, რომელიც ახლა აღმოსავლეთ ევროპაში “დაიმლერ ბენცის” წარმომადგენელი იყო და

კლაუს ბერგერი – “დაიმლერ ბენც აეროსპეის – დორნიე სატელიტენსისტემეს” ერთ-ერთი პასუხისმგებელი თანამშრომელი. მას უკრაინაში ჰქონდა დამთავრებული საავიაციო ინსტიტუტი და რუსული შესანიშნავად იცოდა. ვფიქრობ, რომ გერმანიის დელეგაციაში, საბჭოთა კავშირში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყოფილი ელჩის, რომელსაც ჰქონდა ხშირი ურთიერთობა ედუარდ შევარდნაძესთან იმ პერიოდში, როდესაც ხდებოდა გერმანიის გაერთიანება, შემთხვევითი მოვლენა არ იყო. მაიერ ლანდრუდს, მისი მოსკოვში ელჩობის პერიოდში, დიდი ალბათობით უნდა ჰქონოდა მონაცემები საბჭოთა სამხედრო-კოსმოსური პროგრამისა, რომელშიც მეც ვღებულობდი მონაწილეობას. სტუმრებს დეტალურად აინტერესებდათ ყველაფერი, რაც რეფლექტორული ანტენის კონსტრუქციასთან და ტექნოლოგიებთან იყო დაკავშირებული. ამასთან, ყოველი შეკითხვის შემდეგ მიღებულ პასუხს, ერთმანეთში გერმანულად უკეთებდნენ კომენტარს. საერთოდ, საკმაოდ მრავალრიცხოვანი დელეგაცია იყო ჩამოსული.

მეორე დღეს “პიონერთა სასახლეში” გერმანიის დელეგაციასთან იყო შეხვედრა. იქაც გარკვეულ თემებზე ვისაუბრეთ. ამით პირველი შეხვედრა გერმანელებთან დამთავრდა.

ძალიან ბევრი რამ იყო დამოკიდებული იმაზე, მიიღებდა თუ არა გერმანია გადაწყვეტილებას ჩვენთან თანამშრომლობის შესახებ. ეს, პირველ რიგში, ჩვენი სამუშაოების შეფასება იყო ევროპული საზომით. ეს იყო საქართველოს პრესტიჟის საკითხი.

გერმანიიდან მეორე დელეგაცია ჩამოვიდა. ახლა იგი უფრო პროფესიონალებით იყო დაკომლექტებული. მათ ხელმძღვანელობდა ვერნერ ჰაინცმანი – ”დაიმლერ ბენც აეროსპეისის” სამხედრო ტექნიკის და კომპლექსების დირექტორი. დელეგაციაში იყო დოქტორი, პროფესორი ხორსტ ბაიერი, რომელმაც შემდგომში მიუნხენის უნივერსიტეტის მსუბუქი კონსტრუქციების ინსტიტუტის დირექტორის პოსტი დაიჭირა აღსანიშნავია, რომ ამ ინსტიტუტის დირექტორი ადრე ცნობილი ავიაკონსტრუქტორი მესერშიტი ყოფილა; ნატრატი – გერმანიის კოსმოსური სააგენტოდან; ჩვენი ნაცნობი იოჰანეს ზემლერი; მაიერ ლანდრუტი, მისი მოადგილე ბეატა რაიბოლდი და კლაუს ბერგერი. ყველაფერი თავიდან დაიწყო. ისინი ახლა უკვე თბილავიამშენითაც დაინტერესდნენ, შესაძლებელი იქნებოდა თუ არა იქ ანტენის დეტალების დამზადება. ასე და ამგვარად, ხელშეკრულების ბედი დადებითად იკვეთებოდა.

გადაწყდა, რომ საქართველოს მხრიდან ხელშეკრულების დადების შემთხვევაში – “საქართველოს პოლიტექნიკური ინტელექტი” გააფორმებდა კონტრაქტს. ამის ერთ-ერთი პირობა ისიც იყო, რომ გერმანელებს იმ პერიოდში არ უნდოდათ სახელმწიფო ორგანიზაციასთან – საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტთან პირდაპირ ხელშეკრულების გაფორმება.

ერთი წლის შემდეგ, გერმანიიდან თანხმობა მოვიდა. ისინი იწყებდნენ ჩვენთან თანამშრომლობას და ერთობლივი სამუშაოს არსი იყო ევროპული თანამშრომლობისათვის 12-მეტრიანი გასაშლელი რეფლექტორის კონსტრუქციების შექმნის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა. ხელშეკრულება საზეიმო ვითარებაში დაიდო, მას ქართველი მინისტრების გარდა, ესწრებოდა გერმანიის დელეგაციაც და ელჩი საქართველოში – ბასი.

ხელშეკრულების სამუშაოს თეორიული ნაწილი თბილისში, ხოლო პრაქტიკული მხარე მთლიანად საგურამოში სრულდებოდა. ჩვენ მაშინ 12-მეტრიანი რეფლექტორის ორი ვარიანტი გავაკეთეთ. ერთი დიდი გაშლის სტენდში, მეორე კი – ჰიდროაუზში.

რეფლექტორული ანტენის გაშლას გერმანელების მრავალრიცხოვანი დელეგაცია დაესწრო. ანტენის გაშლა წარმატებით დასრულდა და ამის აღსანიშნავად ბაზაზე გერმანიიდან ჩამოტანილი ფრანგული შამპანური შეისვა.

ორი წლის შემდეგ დამთავრდა “დაიმლერ ბენც აეროსპეისთან” ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო. ახლა უკვე დღის წესრიგში დადგა, ფუნქციური მოდელის გაკეთების საკითხი.

ამ მხრივ, სამუშაოს შესაძლებლობების განსაზღვრის მიზნით, საქართველოში ჩამოდის “დაიმლერ ბენცის” ერთ-ერთი დირექტორი – მანგოლტი. საქართველოში მანგოლტი განსაკუთრებულად მივიდეთ. ვაჩვენეთ ჩვენი ყველა მიღწევა. იგი კმაყოფილი დარჩა. ბანკეტი მცხეთაში – რესტორან “მარანში” გაიმართა. მას ბევრი ცნობილი პიროვნება ესწრებოდა. პირველ სადღეგრძელოში მანგოლტმა თქვა, რომ მან მიიღო გადაწყვეტილება და სულ მალე ახალ ხელშეკრულებას დადებდა საქართველოსთან რეფლექტორული ანტენის ფუნქციური მოდელის დასამზადებლად. ამასთან დაკავშირებით მან დაგაღებაც კი მისცა “დორნიე სატელიტენსისტემეს” წარმომადგენელს – ლიდენტალს.

აქ კი დიდი ბიზნესისთვის თუ საქართველოს სინამდვილისთვის სახასიათო სცენარი გათამაშდა. ფირმა “საქართველოს პოლიტექნიკური ინტელექტის” პრეზიდენტი გრიგორი კინტერაია და ბადრი პატარკაციშვილი მეგობრობდნენ და რაღაც საერთო ბიზნესგეგმაც ჰქონდათ, რომლის ერთ-ერთი მიმართულება ჩვენი პროექტები უნდა ყოფილიყო.

დამოუკიდებლობის პირველ ეტაპზე, რუსეთთან ერთად გაკეთებული გეგმონდა ავტონომიური თანამგზავრული კოსმოსური სისტემის პროექტი, რომელიც 15-მეტრიანი გასაშლელი რეფლექტორული ანტენის ბაზაზე იყო შექმნილი. პროექტი სამხედრო თემატიკის მიხედვით იყო შესრულებული და მოხდა მისი მოდერნიზება მობილური კავშირგაბმულობისთვის.

ეს ის პროექტია, რომლის შესახებაც რუსული პრესა და თვით სავინი საკმაოდ ხშირად აქვეყნებდა მასალებს. მით უმეტეს, რომ სამხედრო-კოსმოსური ტექნიკის გენერალურმა კონსტრუქტორმა, აკადემიკოსმა სავინმა აღნიშნული პროექტის შესახებ ძალიან ვრცელი ანალიზი გააკეთა თავის ნაშრომში “Системно-технический анализ возможностей сдерживания и ликвидации военных угроз”.

ინტერნეტსაიტზე – Академик Савин – Могильщик «звездных войн» - Новости: Стратегия космической обороны – Globoscope.ru გამოქვეყნებულ მასალებში აღნიშნულია, რომ “... Повернись история нашей страны иначе – и сегодня мы могли бы иметь мощные околоземные группировки для ведения боевых действий нового поколения, с космическим управлением войсками, с прекрасной военно-гражданской связью и разведкой в режиме «он-лайн». Уже родился проект системы «Зеркало», который сулил нам не только глобальную связь мирового уровня, но и космические терминалы для всех командиров, начиная с ротного уровня. Савин создал оружие и выгоднейший коммерческий проект в одном лице. Его ЦНИИ «Комета» в прах рассыпала все американские планы создания противоракетной обороны – ибо создавала дешевые способы уничтожения западных спутников ...”

“... В таком же «двойном» режиме должны работать и другие части грандиозной ВКО: системы космической связи и навигации. Они продают стволы связи пользователям, всему миру. Например, перспективная система телекоммуникации «Зеркало-КС» требует затрат в 500 миллионов долларов ... окупается за пять лет”.

და მაინც, რას წარმოადგენდა ეს კოსმოსური სისტემა “Зеркало-КС” – ინფორმაცია ამის შესახებ პირველად გამოქვეყნდა 1995 წლის 8 მაისის, რუსულ გაზეთში “Деловой Мир”, რუბრიკით “Экономика и Инвестиции”, აკადემიკოს ანატოლი სავინის და პროფესორ მიხაილ ზაქსონის სტატიაში, რომელშიც აღნიშნული იყო: “ЦНПО «Комета», совместно с ГКНПЦ им. Хруничева, НПО «Радио», Институтом Космических Сооружений (ეს კი ჩვენი – საქართველოში არსებული ინსტიტუტია) и др. разработало проект спутниковой связи «Зеркало-КС», образующей с системами «Русич-1» и «Модернизация ЕС ОВД», комплекс спутниковых телекоммуникационных систем связи. Для проведения этих работ, упомянутые выше предприятия образовали АОЗТ «Ассоциация «Космосвязь». Указом от 7 июля 1993 г. №1020 президент РФ Б.Н. Ельцин одобрил предложения по реализации проекта и поручил правительству РФ оказывать содействие в его реализации.

15 октября 1993 г. Российское космическое агентство выдало ЦНИИ «Комета» лицензию на «создание (включая проведение наземных испытаний повышенной опасности) космической системы связи «Зеркало-КС» с абонентскими средствами минимальных размеров на основе космических аппаратов с большими остронаправленными антеннами”.

შემდეგ სტატიაში წერია “... В дальнейшем работы по созданию разворачиваемых космических антенн продолжились с участием Института Космических Сооружений, Института Проблем Механики и ряда других ведущих организаций, были созданы новые антенны большого диаметра (до 30 метров) – (განიხილება საქართველოში, კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტში შექმნილი და განთავსებული გასაშლელი რეფლექტორული ანტენა) и уникальная экспериментальная база для испытания разворачиваемых антенн в наземных условиях. – (ეს კი უკვე საგურამოს სასტენდო კომპლექსია).

Результаты исследований и конструкторских проработок в области больших разворачиваемых антенн и космических аппаратов позволили разработать несколько новых проектов систем связи, в том числе спутниковую систему персональной, подвижной и фиксированной связи «Зеркало-КС» (рис.1). К настоящему времени проведены необходимые научно-исследовательские и поисковые работы”.

ხოლო, რუსულ ტექსტში ნახსენები (рис.1)-ზე კი ნაჩვენებია “ქართული წარმოების” ავტონომიური თანამგზავრული რადიოტექნიკური კომპლექსი, რომელიც აგებული 15 მეტრი დიამეტრის გასაშლელი რეფლექტორული ანტენის ბაზაზე. კოსმოსური კომპლექსის საერთო არქიტექტურა და დიდი სიხისტისა და სიზუსტის, გასაშლელი 15 მეტრი დიამეტრის რეფლექტორული ანტენა, რომლის ბაზაზე იგება კოსმოსური კომპლექსი, შეიქმნა, დეტალურად დამუშავდა და დაპროექტდა საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტში.

პროექტის სახელწოდება, როგორც აღვნიშნე, იყო “ЗЕРКАЛО–КС”. იგი დამუშავდა ცნობილი კოსმოსური სატელეკომუნიკაციო სისტემის – “ირიდიუმის” პროექტის საპირწონედ. ცნობილია, რომ “ირიდიუმი” შედგება ახლო ორბიტებზე განთავსებული მრავალი თანამგზავრისაგან. მას რთული სტრუქტურა აქვს და ძალიან ძვირია, ფასი რამდენიმე მილიარდ დოლარს უტოლდებოდა. მიუხედავად ამისა, ცნობილმა ფირმებმა შეძლეს პროექტის რეალიზება, ვინაიდან იგი ეფუძნებოდა უკვე ათვისებულ და დანერგილ ტექნოლოგიებს, რომელთაც დიდი მოგება უნდა მოეტანათ ფირმებისათვის.

ჩვენი პროექტი გულისხმობდა მხოლოდ ერთი კოსმოსური კომპლექსის გაყვანას ორბიტაზე, რომლის ღირებულება 270 მილიონი დოლარი იყო. ეს პროექტი აქტიურად განიხილებოდა საქართველოში. ამ დროს წამოვიდა მცდარი, პროფესიულ ხედვასთან ახლოსაც კი არ მყოფი და არასერიოზული პუბლიკაციები იმის თაობაზე თუ ვინ და როგორ იყოფდა 270 მილიონ დოლარს. არადა ეს 270 მილიონი დოლარი ითვალისწინებდა თვით ანტენის ავტონომიური თანამგზავრული კომპლექსის შექმნას, მის კოსმოსში გასაყვან რაკეტა-მატარებელს თავისი კოსმოდრომის მომსახურებით და ასე შემდეგ. შემდგომში, როდესაც ეს პროექტი ევროპულ სპეციალისტებს გადაეცათ, მათ თქვეს, რომ აღნიშნულ სამუშაოებს 270 მილიონი დოლარი არ ეყოფოდა და პროექტის რეალიზაციის ღირებულება 360 მილიონ დოლარამდე გაიზრდებოდა. ეს პროექტი არ განხორციელებულა და, რა თქმა უნდა, არც თანხა გამოყოფილა, მაგრამ მისგან “მიღებულ” არარსებულ მილიონებზე უაზრო და, რაც მთავარია, პროფესიულ ლოგიკას მოკლებული და სენსაციაზე გათვლილი საუბარი ქართულ პრესაში მაინც გრძელდებოდა ... არადა მიმაჩნია, რომ უმჯობესი იყო ჩვენ ჟურნალისტებს, ამ მართლაც მსოფლიო კოსმონავტიკაში საეტაპო პროექტში, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, დღესაც აქტუალურია რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში, აღეწერათ და გამოეკვეთათ ქართველების განსაკუთრებული როლი, რომელთა წილად იყო კოსმოსური კომპლექსის უმთავრესი და საკვანძო ინსტრუმენტის შექმნა – 15-მეტრიანი გასაშლელი კოსმოსური რეფლექტორული ანტენისა, რომლის ბაზაზეც ხდებოდა კომპლექსის აგება.

გარკვეულ პერიოდში სწორედ აღნიშნული პროექტით გრიგორისთან ერთად დაინტერესდა ბადრი პატარკაციშვილი და მისი საშუალებით ბერეზოვსკი. სამუშაოს ადგილზე გაცნობის მიზნით, მოსკოვიდან ჩამოფრინდა ბერეზოვსკის ექსპერტი, დოქტორი შეხტმანი ლეონიდ ილიას ძე. ერთი სიტყვით ლეონიდ შეხტმანი და შემდეგ ბერეზოვსკი პროექტით აღფრთოვანებულები დარჩნენ. შემდეგ კინტერაია და პატარკაციშვილი რაღაც საკითხებში ვერ შეთანხმდნენ და მათ შორის ურთიერთობის გაცემა დაიწყო.

ყველა შემთხვევაში აკი ვახსენე, რომ პროექტი სამხედრო თემატიკის იდეოლოგიით იყო შედგენილი და ჩემი შეხედულებით ახალ პირობებში მისი განხორციელება არცთუ დიდი ეფექტის მომტანი იქნებოდა, მით უმეტეს, რომ მისი შექმნის ახალი იდეა უკვე არსებობდა თბილისში.

მეორე მხრივ ბადრი პატარკაციშვილის მეგობარი გახლდათ “დაიმლერ ბენცის” ღირექტორი მანგოლტი, რომელიც ჯერ შეგვიპირდა ახალი ხელშეკრულების გაფორმებას, შემდეგ კი ...

როგორც აღვნიშნე, სწორედ მხარეთა უთანხმოების პირობებში გათამაშდა ჩვენი საწინააღმდეგო “კოზირი”. ამის შესახებ შემდგომში ჩემმა მეგობარმა “დაიმლერ ბენციდან” რაიბოლტმა მიმანიშნა.

ახალი ხელშეკრულება აღარ გაფორმებულა, რაც შემდეგ ეტაპზე, ასევე ნაწილობრივ, განპირობებული იყო გერმანიის მხრიდან დიდი რეფლექტორული ანტენების თემატიკის შეჩერებით და ინიციატივის აღებით იტალიური კომპანია – “ალენია აეროსპაციოს” მიერ.

პროფესორი იოჰანეს ზემლერი – შემდგომში საქართველოს საპატიო მოქალაქე, მაინ ლანდრუტი, ხორსტ ბაიერი, კლაუს ბერგნერი, ვერნერ ჰაინცმანი და ბეატა რაიბოლდი ჩემი მეგობრები გახდნენ. მათთან ურთიერთობა დღესაც ძალიან ძვირფასია ჩემთვის.

ქართული კოსმოსური ტექნიკის ახალგაზრდა სკოლამ იწყო საბჭოთა რიგებიდან ჩამოცილება და სამუშაოთა სიმძიმის ცენტრის ევროპაში გადატანა. ისეთი ცვლილება გარკვეული პასუხისმგებლობის ახალ ფონს ქმნიდა ჩვენს თანამშრომლებში და ჩემშიც. მიუხედავად ამისა, ერთი წუთითაც არ მიფიქრია, რომ დასავლეთის წრეებთან კოსმოსური ტექნიკის შექმნისას ცოდნის ან, მით უმეტეს, ორბიტული სისტემების შექმნის პრაქტიკული გამოცდილების ნაკლებობას ვიგრძნობდი. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ კოსმოსური ტექნიკის შექმნის სკოლა უდიდესი ტრადიციების მქონე კოსმოსურ სახელმწიფოში გავიარე. პროფესიულ მოღვაწეობაში, იქნება ეს ახალი კოსმოსური ტექნიკის შექმნა და მისი ორბიტაზე გაშვების ორგანიზება თუ მიწისზედა სამხედრო-საინჟინრო ტექნიკის დაპროექტება, დამზადება და გამოცდა, შეიძლება ითქვას, რომ პირადი კომპლექსისაგან სამუშაოს ვერ შესრულების შიშის გამო სრულიად თავისუფალი ვარ. მომავალს ოპტიმისტურად და შემართებით ვუყურებ და სამუშაოს პროცესში შეიძლება რისიკი გავწიო. არადა პირად ცხოვრებაში ფრთხილი, ოდნავ გაუბედავი, ფიქრებს ზედმეტად აყოლილი ვარ და ხშირად პესიმისტური განწყობაც კი მიპყრობს.

ვფიქრობ, რომ ყოფაში მშვიდი და წყნარი ხასიათი მაქვს, პროფესიულ მოღვაწეობაში კი, როგორც ჩემი კოლეგები ერთხმად აღნიშნავენ, მკაცრი და მომთხოვნი თვისებები მახასიათებს. ჩემი ხასიათის ტრანსფორმაციაში, როგორც აღვნიშნე, დიდი წვლილი მიუძღვის იმ გარემოს და პიროვნებებს, სადაც ხდებოდა ჩემი, როგორც კონსტრუქტორის, მეცნიერების ორგანიზატორის და მეცნიერის ჩამოყალიბება, როცა ჩემს ცნობიერებაში იყვნენ კერპები, რომელთა არა პიროვნული, ყოფიერი ან, თუნდაც, მორალური თვისებები იყო ჩემთვის მაგალითი და მისაბაძი, არამედ მათი დაუოკებელი სწრაფვა და ჟინი შრომითი და შემოქმედებითი მიზნის მიღწევისა. მინდა მათ შესახებ ძალიან მოკლედ მოგიხსროთ.

1918 წელს კაიხერის ოფიცერმა რუდოლფ ნობელმა გამანადგურებელი თვითმფრინავიდან განახორციელა გაშვება, მის მიერ მიზნის განადგურებისათვის შექმნილი, ორი მცირე ზომის რაკეტისა. ამ პერიოდში გერმან ობერტი, რუდოლფ ნობელი და კლაუს რიდელი ახორციელებდნენ ექსპერიმენტებს სარაკეტო ძრავებზე.

გერმან ობერტმა, რომელიც იმ დროს რუმინეთის მოქალაქე იყო, რაკეტმშენებლობის დარგში რუსი მეკლავრის – კონსტანტინ ედუარდის ძე ციოლკოვსკის შრომების საფუძველზე, თავის სადოქტორო დისერტაციაში “რაკეტა პლანეტათშორის სივრცეში”, განმარტა მრავალსაფეხურიანი რაკეტის პრინციპი მისი ფრენის სიშორის მომატებისათვის.

ამავე პერიოდში ამერიკის შეერთებულ შტატებში, თანამედროვე რაკეტმშენებლობის ერთ-ერთი ფუძემდებელი, პროფესორი რობერტ გოდარდი ინტენსიურად ატარებს თეორიულ და ექსპერიმენტულ კვლევებს რაკეტმშენებლობის დარგში. მან თხევადსაწვავიანი რაკეტის გაშვება პირველად გამოსცადა 1926 წელს, ხოლო 1930 წლის 30 დეკემბერს ამერიკელმა პროფესორმა რობერტ ჰიტჩინგს გოდარდმა გაუშვა 3 მეტრი სიგრძის და 15 კილოგრამი წონის, თხევადსაწვავიანი რაკეტა, რომელიც აფრინდა 600 მეტრის სიმაღლეზე და განავითარა მაქსიმალური სიჩქარე 800 კმ/სთ. შემდგომში იგი სრულყოფდა სარაკეტო ტექნიკას, მისი ფრენის სიშორისა და სიჩქარის მატებას, ასევე, მათში იყენებდა გიროსკოპის ეფექტს. მიუხედავად სამუშაოთა ეფექტურობისა, მის მიერ ჩატარებულ კვლევებს ამერიკელი სამხედროების რაიმე ინტერესი არ გამოუწვევია.

ამ მხრივ, განსხვავებული სიტუაცია შეიქნა ევროპასა და საბჭოთა კავშირში, რასაც ნაწილობრივ ხელი შეუწყო ვერსალის ხელშეკრულებამ, რომლის მიხედვით პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, 1920 წლის 31 მარტიდან, გერმანიას შეეზღუდა ქვემეხების, ზარბაზნების და სხვა სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების რაოდენობა. მაგრამ, ხელშეკრულებაში არაფერი იყო ნათქვამი სარაკეტო ტექნიკაზე. საწყის ეტაპზე, მეტწილად სწორედ ამან განაპირობა გერმანიის გააქტიურება რაკეტმშენებლობაში.

კაპიტანმა ღორნბერგერმა, თავის უფროსთან პოლკოვნიკ ბეკერთან, რეკომენდაცია გაუწია რაკეტების პროექტებში მონაწილეობაზე სტუდენტს, ვერნერ ფონ ბრაუნს, რომელიც სწავლასთან ერთად მუშად მუშაობდა პროფესორ რუდოლფ ნობელთან.

1932 წლის 1 ოქტომბერს 20 წლის ვერნერ ფონ ბრაუნი ჩაირიცხა შეიარაღების სამმართველოს შტატში. მის მამას პრუსიულ მაგნუს ფონ ბრაუნს გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროში სერიოზული თანამდებობა ეკავა. შემდეგ იგი რეისხბანკის მმართველობის წევრი გახდა.

1936 წელს ჰიტლერმა გასცა ბრძანება, რომ ვერნერ ფონ ბრაუნისათვის გადაეცათ ტექნიკური დავალების პროექტი, რომელიც იმ დროის უდიდეს სარაკეტო სისტემებს ეხებოდა.

ჰიტლერის რეჟიმის დროს გერმანიაში მილიარდობით მარკა დაიხარჯა სარაკეტო ტექნიკის განვითარებისათვის, მასში მონაწილეობდა ათეული ათასობით სპეციალისტი, საინჟინრო-ტექნიკური პერსონალი და მუშა. სამუშაოების ირგვლივ კონცენტრირებული იყო გენერალიტეტი, სამუშაოებს აკონტროლებდნენ SS-ის უმაღლესი ჩინები – გრუპენფიურერი ვალტერ შელინბერგი, საიმპერიო უსაფრთხოების VI მთავარი სამმართველოს უფროსი; ობერშტურბანფიურერი ოტო სკორცენი და რაიხსფიურერი ჰაინრიხ ჰიმლერი.

პროფესორ ვერნერ ფონ ბრაუნს, ჰიტლერის ბრძანებით, მიენიჭა ობერშტურბანფიურერის წოდება.

სწორედ ამ ეტაპიდან იწყება არა მარტო რაკეტმშენებლობა თავისი პროფესიული გაგებით, არამედ კოსმონავტიკა.

ვერნერ ფონ ბრაუნმა შექმნა ბომბის-ქობინების რაკეტამატარებლები ფაუ-1 და ფაუ-2. მათი გამოყენებით ფაშისტურმა გერმანიამ შეძლო ლონდონში, ანტვერპენში, ბრიუსელსა და სხვა ქვეყნებსა და ქალაქებში ათეული ათასი ადამიანის მოსპობა და დაზიანება, ათასობით შენობა-ნაგებობის ნგრევა.

უფრო მეტიც, 1944 წლის დასაწყისში, ფონ ბრაუნი, ტრადიციული მეგობრული საუბრის დროს, ჰიტლერს სთავაზობს ამერიკის შეერთებულ შტატებზე სარაკეტო დარტყმის განხორციელების გეგმას. ჰიტლერმა ეს წინადადება ადფრთოვანებით აიტაცა და მიიღო გადაწყვეტილება. ამ მიზნით, ფონ ბრაუნი ქმნის რაკეტა A9/A10 – ფაუ-3-ს. მხოლოდ შემთხვევითობამ განაპირობა ამერიკის დაზვერვის ფედერალური ბიუროს მიერ ამ ოპერაციის ჩაშლა. რაკეტა A9/A10, რომლის სასტარტო წონა იყო 100 ტონა, 1 ტონა წონის ბომბებს 35 წუთში მიიტანდა ნიუ-ორკამდე.

1945 წელს გერმანიიდან ამერიკაში გადაიბირეს ვერნერ ფონ ბრაუნი, რომელმაც გაიყოლა ასეულობით მაღალი კლასის სპეციალისტი და თან წაიღეს გერმანიის მთელი სარაკეტო ტექნიკა. ყოველივე ეს მოხდა საიდუმლოდ. ბრაუნისა და მისი თანამშრომლების

ჩამოსვლა ამერიკაში დამალეს სახელმწიფო დეპარტამენტისგანაც, რომელსაც ვიზები უნდა გაეცა.

1945 წლის ნოემბერში ნიურნბერგში შეიკრიბა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი იმისათვის, რომ ჩატარებულიყო სასამართლო მთავარ ნაცისტურ სამხედრო დამნაშავეებზე. დამნაშავეთა შორის იყვნენ ვერნერ ფონ ბრაუნის SS-ელი შეფები, მაგრამ თავად ბრაუნი გერმანიაში ვერ იპოვეს.

1946 წელს ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა თავის გადაწყვეტილებაში აღიარა ჰიტლერის ნაცისტური SS-ი დანაშაულებრივ ორგანიზაციად და აღნიშნა – “ამ ორგანიზაციის დანაშაულებრივი ქმედებების განხილვის დროს, ტრიბუნალი მოიცავს ყველა იმ პირს, რომელიც ოფიციალურად იყო SS-ის წევრი და მსახურობდა SS-ის ჯარებსა და შენაერთებში”. მაგრამ FBI-ს არც ერთი თანამშრომელი არ გაუგზავნიათ ვერნერ ფონ ბრაუნის “შესაწუხებლად” ფეშენებელურ ვილაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში.

გერმანიიდან ჩამოყვანილი რაკეტმშენებლები დაცულნი იყვნენ ნებისმიერი სამართლებრივი დევნისაგან წარსულში ჩადენილი დანაშაულისათვის და მიიღეს ამერიკის მოქალაქეობა. “ჯენერალ ელექტრიკმა” გერმანელ მეცნიერებს ყველანაირად შეუწყო ხელი. კერძოდ, უზრუნველყო მოეწყო და ექსპლუატაციაში გაეშვა პირველი ბაზა “ელ პასო” (ტეხასი). ასევე, დაეხმარა ბაზის გადაყვანაში რედსტონის არსენალად და შექმნა სარაკეტო ქარხნები ჰანტსვილში.

ამის შემდეგ, ფონ ბრაუნი უკვე ახალი უფროსების გარემოცვაში და ამერიკის პრეზიდენტებთან ძალიან ახლო დამოკიდებულებაში, ხდება ამერიკის კოსმოსური პროგრამების სულისჩამდგმელი და განმახორციელებელი, მათ შორის არის კოსმოსური პროგრამა “სატურნი”, “აპოლონი”. უმთავრესი მიღწევა კი იყო 1969 წლის 20 ივლისს – “აპოლონი-11”-ის მეთაური, ასტრონავტი ნილ არმსტრონგი კაცობრიობის ისტორიაში პირველი გადავიდა მთვარეზე.

საინტერესოა რა ხდებოდა ამ წლებში საბჭოთა კავშირში.

ჯერ კიდევ მეფის რუსეთში, კურსკის გუბერნიაში კონსტანტინ ედუარდის ძე ციოლკოვსკის მიერ დაწყებული კვლევები და შექმნილი მოდელები, მიუხედავად თავისი თეორიული ბაზის პრიმიტიულობისა, საოცარი იმპულსების შემცველი გამოდგა არა მარტო რუსი, არამედ რეკეტმშენებლობასა და კოსმონავტიკაში მოღვაწე მთელი მსოფლიოს მკვლევარებისთვის.

შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ბევრი გამოჩენილი მეცნიერისა და პრაქტიკოსისა, საბჭოთა კოსმონავტიკის ლიდერად მაინც სერგეი პავლეს ძე კოროლიოვი ითვლება და ეს უდავოდ სიმართლეა. მან 1933 წლის 17 აგვისტოს, მოსკოვთან ახლოს, ნახაბინოს სამხედრო საინჟინრო საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტში წარმატებით გამოსცადა თხევადი საწვავით მომუშავე პირველი რაკეტა. შემდეგ მისი უშუალო მონაწილეობით იქმნებოდა ახალი სარაკეტო ტექნიკა, რომელიც შეწყდა 1938 წლის 27 ივლისს – კოროლიოვი, სხვა რაკეტმშენებლებთან ერთად “მხილებული” იყო სახელმწიფოს წინააღმდეგ “მავნებლობაში” და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა (НКВД) ისინი დააპატიმრა.

ციხეში (“Бутырская тюрьма”) იგი სასტიკად აწამეს, ყბის ორივე ძვალი ჩაუმსხვრიეს და ამის გამო შემდგომში, როდესაც კოროლიოვს ოპერაციას უკეთებდნენ ძალიან გაურთულდათ მისთვის ნარკოზის გაკეთება.

1938 წლის 25 სექტემბერს კოროლიოვი შეიყვანეს იმ პირთა სიაში, რომლებიც უნდა გაესამართლებინათ სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიას. სიაში ის პირველი – დახვრეტის კატეგორიით გადიოდა. სიას ადასტურებდა სტალინის, მოლოტოვის, ვოროშილოვისა და კაგანოვიჩის ხელმოწერები.

1938 წლის 27 სექტემბერს სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ კოროლიოვი გაასამართლეს. და მიუსაჯეს 10 წელი გამოსასწორებელ შრომით ბანაკში. 10.06.1940 წელს სასჯელი შეუმცირდა 8 წლამდე. გათავისუფლდა 1944 წელს. მთლიანად რეაბილიტირებულია 1957 წლის 18 აპრილს.

კოროლიოვი პატიმრობის პერიოდში, ტუპოლევის ხელმძღვანელობით, რომელიც ასევე დაპატიმრებული იყო, ციხეში შექმნილ საკონსტრუქტორო ბიუროში, აგრძელებდა სამუშაოს სამხედრო ტექნიკის შექმნის მხრივ.

საბჭოთა კავშირში დადგა განსაკუთრებული დრო, როცა სახელმწიფოს ფორსირებულად უნდა შეექმნა თერმობირთვული ბომბი და მისი მიტანის საშუალება – ბალისტიკური რაკეტა.

1946 წლის 13 მაისს გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება № 1017-419cc – “რეაქტიული შეიარაღების საკითხები”, ამ დადგენილების ტექსტში კოროლიოვი პირდაპირ არ არის ნახსენები, მაგრამ 1946 წელს, ამ დოკუმენტის შესაბამისად იგი დაინიშნა №1 სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს (ОКБ-1) მთავარ კონსტრუქტორად, რომელიც დაარსდა მოსკოვის მახლობლად კალინინგრადში.

ფაქტობრივად ამ მომენტიდან იწყება ორთაბრძოლა კოსმოსის ათვისებაში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის. ამ ბრძოლაში გამოკვეთილი ლიდერები და მოწინააღმდეგეები იყვნენ ვერნერ ფონ ბრაუნი და სერგეი პავლეს ძე კოროლიოვი. მიუხედავად იმისა, რომ კოროლიოვის პირველი სამუშაოები სწორედ ფონ ბრაუნის კვლევებს და კონსტრუქციებს ეფუძნებოდა, ის მაინც ყოველთვის უპირატესობას და წარმატებას აღწევდა. ასე შექმნა კოროლიოვმა 1957 წლის 4 ოქტომბერს მსოფლიოში პირველი კოსმოსური თანამგზავრი; 1959 წელს მთვარის ორბიტაზე გაუშვეს სამი თანამგზავრი; 1961 წლის 12 აპრილს კოსმოსში პირველად გავიდა ადამიანი; 1965 წლის 18 მაისს კი მან უზრუნველყო პირველი გამოსვლა კოსმონავტისა ღია კოსმოსურ სივრცეში. მას, ჯერ კიდევ 1950 წელს, შემუშავებული ჰქონდა გეგმა ადამიანის გადასვლისა მთვარეზე, მაგრამ ეს პროგრამა საბჭოთა კავშირში ხელმძღვანელობის შეცვლის, უწყებრივი წინააღმდეგობებისა და პიროვნული დაპირისპირებების გამო ჩაიშალა. მან დაიწყო პროგრამა ორბიტული სადგურის შექმნისა.

იური გაგარინის კოსმოსში გაფრენის შემდეგ, ამერიკის პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ, აღიარებდა რა დამარცხებას კოსმოსური ტექნიკის შექმნაში, თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ ერის პრესტიჟისათვის აუცილებელია ამერიკელი ასტრონავტის მთვარეზე გადასვლის უზრუნველყოფა 1970 წლამდე. ვერნერ ფონ ბრაუნი გახდა აშშ-ის მთვარის პროგრამის ხელმძღვანელი.

ასეთი შედეგით 1966 წელს, კოროლიოვის გარდაცვალების შემდეგ, დამთავრდა ორთაბრძოლა და დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების დაწინაურება კოსმოსურ კვლევებში.

ძალიან ხშირად მიფიქრია იმაზე თუ ვინ იყო ფონ ბრაუნი და ვინ იყო კოროლიოვი, როგორი ცხოვრების პირობები ჰქონდათ მათ, როგორ სოციალურ გარემოში მოღვაწეობდნენ, როგორი იყო მათი იდეოლოგია და როგორი ერთგულებით ემსახურებოდნენ ისინი თავიანთ სამშობლოს. თუ ფონ ბრაუნმა მთელი ცხოვრება სიამტკბილობაში და ორი “ბატონის” მსახურებაში გაატარა, კოროლიოვისთვის შეიძლება პირადი, ყოფიერი სიამოვნების წუთები “სოჩაში”, ან სადმე სხვაგან, სამთავრობო აგარაკზე ერთკვირიანი დასვენება და სანატორიუმის “პარნოი კატლეტების” თავის დროზე მირთმევა იყო.

ამ ნიუანსების მიხედვით მკითხველმა გააკეთოს სათანადო დასკვნები, მაგრამ ის კი ნამდვილად ვიცი, რომ ორივე გენიალური კონსტრუქტორი იყო, რომლებმაც მთელი სამეცნიერო თეორია და პრაქტიკა შექმნეს და კაცობრიობას პირველად გაუჭრეს გზა კოსმოსში.

... თითქმის ყველაფერი გვეკონდა, რაც ჩვენს პრიორიტეტს დაამოწმებდა საერთაშორისო არენაზე. ეს იყო სამეცნიერო ტექნოლოგიური სკოლა, მისი ისტორია და ახალი ტენდენციები, უშუალო მონაწილეობა საბჭოთა კავშირის პროგრამებში, რომლებიც ღია კოსმოსურ სივრცეში განხორციელდა, უნიკალური სასტენდო კომპლექსი, რომელსაც ანალოგი არ გააჩნდა მსოფლიოში, კონსტრუქციათა თაობები თავისი განსაკუთრებული თვისებებით, ლაბორატორიული ნაკეთობები და ფუნქციური მოდელები 30 და 15 მეტრი დიამეტრის მქონე რეფლექტორებისა, თანამშრომლობა ევროპულ და რუსულ კომპანიებთან, მაგრამ ქართველებისთვის და საქართველოსთვის ეს არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ კოსმოსურ სახელმწიფოებს შორის სრული აღიარება მოეპოვებინა. აუცილებელი იყო ქართული კოსმოსური ობიექტის შექმნა და მისი ორბიტაზე წარმატებით გატანა და გამოცდა. ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველო მსოფლიოს თვალნათლივ დაანახებდა ქართველთა ერთი თავით მადლა ყოფნას აღნიშნულ საკითხებში.

ამასთან, თავისთავად კოსმოსური ექსპერიმენტი თუ დანარჩენი მსოფლიოსთვის მნიშვნელოვანი სამეცნიერო-ტექნიკური ამოცანის გადაწყვეტა იყო, საქართველოსთვის იგი ჯერ პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი იყო, რომელსაც თავისი ისტორიული დატვირთვა ექნებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ – სამეცნიერო ღირებულების ფაქტი.

სწორედ პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ორბიტაზე გატანის საკითხი იდგა დღის წესრიგში. იგი უკვე მომწიფებული იყო, მაგრამ მაინც იგვიანებდა.

ამ დროს, წილკნის ეპისკოპოსმა, მეუფე ზოსიმემ, რომლის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს, მთხოვა წილკნის ღვთისმშობლის ეკლესიისათვის, ჯვარცმის გამოხატვაში დაგხმარებოდი. ეს ღვთის საჩუქრად ჩავთვალე და მისი შესრულება მაშინვე დავიწყე. იმ პერიოდში წილკნის ეკლესიაზე ფილმს იღებდა რეჟისორი დათო ჯანელიძე და მხატვარი თენგიზ მირზაშვილი. ფილმის გადაღების ორგანიზებაში მეც ვღებულობდი მონაწილეობას. ამიტომ, თენგიზთან და დათოსთან ძალიან დავმეგობრდი. მე მეუფის სურვილის შესახებ თენგიზს ვუთხარი. იგი გარდა იმისა, რომ დიდი მხატვარი, განსაკუთრებული ენერჯის ადამიანიც იყო და ეს უნარი ამ საკითხშიც მთლიანად წარმოაჩინა. მოაგვარა დურგლის და ქვის მთლელის საკითხები, დაამზადებინა მათ ჯვარი და ჯვრის დასადგმელი ქვაც და ბოლოს, საკითხი მიდგა თვით ჯვარცმის გამოხატვაზე.

თენგიზმა მითხრა, რომ ჯვარცმა სიდიდით ძალიან მასშტაბური იქნებოდა და მასზე სამუშაოდ დიდი ადგილი იყო საჭირო. ამ მიზნით მან მიჩნია, რომ კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის სასტენდო დარბაზი დამეთმო მისთვის, რომელიც თბილისშია განთავსებული, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის I სასწავლო კორპუსში, ეს გადაწყვეტა იდეალური იქნებოდა.

მეც სიამოვნებით დავთანხმდი და ჯვარცმის გამოხატვა სასტენდო დარბაზში დაიწყო. რამდენიმე დღე ბატონი თენგიზი ფუნჯებით, საღებავებით და სხვა ალჭურვილობით თავაუღებლად მუშაობდა. როდესაც ჯვარცმის გამოხატვა დამთავრდა, ის იმდენად ამადლებული გამოვიდა, რომ მის ირგვლივ ადამიანს ამპარტავნობის გრძნობის

გამოვლენის სურვილიც კი აღარ დარჩა. და როდესაც ჯვარცმა გაჰქონდათ დარბაზიდან, სადაც ის შეიქმნა, რაღაც განსაკუთრებული ამადღებული განცდა დატოვა.

ეს იმის განცდაც იყო, რომ ქვეცნობიერად გზა გაიხსნა – პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ორბიტაზე გაყვანის საკითხი სულ მალე გადაწყდა ...

... 1998 წელია. თბილისში ჩამოდის კოროლიოვის სახელობის სარაკეტო-კოსმოსური კორპორაცია “ენერჯიას” დელეგაცია. მას ხელმძღვანელობს ალექსანდრე ჩერნიავსკი, რომელთანაც დიდი ხნის ურთიერთობა მაკავშირებს. შეხვედრა მან “დაიმლერ ბენცთან” ჩატარებული ჩვენი სამუშაოების შედეგების გამოკითხვით დაიწყო. შემდეგ ევროპული კოსმოსური სააგენტოს ანტენების განყოფილების უფროსის მოადგილის ვან კლოსტერის საექსპერტო დასკვნას შეეხო, რომელიც ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაოების მიმართ განსაკუთრებით პოზიტიური იყო. მან ჩვენი და “დაიმლერ ბენც აეროსპეისის” ერთობლივ სამუშაოზე, ევროპული კოსმოსური სააგენტოს გენერალური დირექტორის ბატონ ანტონიო როდოტას. საქართველოს პრეზიდენტისადმი გამოგზავნილი წერილის შესახებაც იცოდა, სადაც ანტონიო როდოტა დიდ შეფასებას აძლევდა ჩვენს სამუშაოს კოსმოსური ტექნიკის დარგში და აღნიშნავდა ევროპაში სამუშაოების წარმოების შესაძლებლობას. ერთი სიტყვით, რუსეთს საკმაოდ დეტალურად ჰქონდა შესწავლილი ჩვენი ბოლო პერიოდის წარმატებები. ამის შემდეგ, ძალიან ფრთხილად და მოზომილად, რუსეთის მხარის შესაძლო სურვილი გამოააშკარავა ჩერნიავსკიმ და გვითხრა, რომ რუსეთი თანახმა იქნებოდა თუ ქართველები, საქართველოში ქართველების მიერ შექმნილ რეფლექტორს, რუსი კოსმონავტების დახმარებით გამოცდიდნენ ორბიტულ სადგურ «მირზე». ამასთან, იგი იხსნიდა ყველა პასუხისმგებლობას, რაც რეფლექტორის სქემის განსაზღვრასთან, მის დაპროექტებასთან, დამზადებასა და წინასაფრენოსნო გამოცდებთან იყო დაკავშირებული. ყველაფერი ეს, თბილისელების ინტელექტის, კომპეტენციისა და საწარმო-ტექნოლოგიური სამუშაოების შედეგად უნდა გაკეთებულიყო. მხოლოდ ჰიდროაუზში, ვარსკვლავთქალაქში, მოსკოვთან ახლოს, “ენერჯია” იღებდა კოსმონავტების მომზადების ვალდებულებას აღნიშნული რეფლექტორის მომსახურების სწავლებასთან დაკავშირებით. ეს, არც მეტი და არც ნაკლები, კოსმოსურ სივრცეში ქართული ობიექტის გატანას ნიშნავდა.

მე ყოველგვარი დიპლომატიის გარეშე დავთანხმდი. ამასთან, რეფლექტორული ანტენის დაპროექტების, დამზადებისა და კოსმოსში გაშვებისათვის საკმაო თანხა იყო საჭირო. დაუკავშირდი “საქართველოს პოლიტექნიკური ინტელექტის” დამფუძნებელს და პრეზიდენტს, ბატონ გრიგორი კინტერაიას. მან ჯერ სრული ხარჯთაღრიცხვა მოითხოვა, შემდეგ კი უყოყმანოდ დაეთანხმდა ყველა ხარჯის დაფარვას.

სამმხრივი მოლაპარაკებების შემდეგ – “საქართველოს პოლიტექნიკური ინტელექტის”, “საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის” და სარაკეტო-კოსმოსურ კორპორაცია “ენერჯიას” შორის, შედგა სათანადო ოქმი, რომელშიც აისახა სამუშაოთა ძირითადი მიმართულებები და შემსრულებლები.

ცოტა მოგვიანებით, მოსკოვიდან ჩამოდის გაზრდილი დელეგაცია, სადაც, სხვებთან ერთად, კოსმონავტების ღია კოსმოსურ სივრცეში ორიენტაციასა და მათ შესაბამის ვარჯიშზე პასუხისმგებელი, ციგანკოვიც იყო. შეხვედრა უკვე ხალისიანი და შემოქმედებითი აღმოჩნდა. ყველა დიდი ენთუზიაზმით ელოდა მომავალ კოსმოსურ პროგრამა “რეფლექტორს”. ამასთან გადაწყდა, რომ კონსტრუქცია 1999 წლის აპრილის პირველ ნახევარში უკვე მზად უნდა ყოფილიყო, ხოლო 1999 წლის მაისში მოსკოვში

გაგვეზავნა. შემდეგ კი იგი გადაინაცვლებდა ბაიკანურზე, საიდანაც 1999 წლის ზაფხულში მას კოსმოსში, ორბიტულ სადგურ «მირზე» მიიტანდნენ.

ამის შემდეგ, თბილისში ჩამოვიდა “ენერჯის” გენერალური კონსტრუქტორის მოადგილე ვიქტორ ეფრემოვი, რომელიც შეხვდა გრიგორი კინტერაიას და მათ, ექსპერიმენტის ჩატარებისათვის, საქართველოში დააფუძნეს ერთობლივი, ქართულ-რუსული კომპანია “Energia-GPI-Space”-ი. მაგრამ მე, როგორც სისტემის გენერალურ კონსტრუქტორს, ასეთი ღონისძიებისთვის არ მეცალა – როგორც იტყვიან, 24 საათი თავაუღებლად ვმუშაობდი.

“Energia-GPI-Space” – “EGS”-ის დაფუძნებას ორი უმთავრესი მოტივი განაპირობებდა, რაც აისახა მის სტრუქტურაში. კომპანიას ორი გენერალური კონსტრუქტორი ჰყავდა. ერთი მათგანი მე ვიყავი და მევალებოდა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის შექმნა – მისი დაპროექტება, დამზადება, საქარხნო გამოცდები, წინასაფრენოსნო გამოცდები და კოსმოსში გასაშვებად მომზადებული ნაკეთობის გაგზავნა თბილისიდან – ყველაფერი ეს საქართველოში და ქართველების მიერ უნდა განხორციელებულ იყო. მეორე გენერალური კონსტრუქტორი იყო სერგეი კოროლიოვის სახელობის კორპორაცია “ენერჯის” წარმომადგენელი ალექსანდრე ჩერნიავსკი. მის ფუნქციაში შედიოდა ქართული ნაკეთობის ღია კოსმოსში გაყვანა ორბიტალური სადგურის ინტერნაციონალური ეკიპაჟის მიერ და ექსპერიმენტის ჩატარების უზრუნველყოფა პროგრამის მიხედვით, რომელიც საქართველოში, ასევე ქართველების მიერ იყო შედგენილი.

ყველასათვის მოულოდნელად, განსაკუთრებული გადაწყვეტილებები მივიღე. სამუშაოთა მენეჯერად დაენიშნე ახალგაზრდა და ძალიან გამრჯე პიროვნება – ლერი დათაშვილი. საავიაციო ქარხანაში, სადაც რეფლექტორი მზადდებოდა, ჩემს წარმომადგენლად გურამ ბელუკაძე წარვგზავნე. რეფლექტორის ამრეკლის ბადის ყველა ტექნოლოგია ზურაბ გოგავას დავავალე. ნოდარ წიგნაძე და ვახტანგ ოკმელაშვილი საქარხნო პროცესების მეთვალყურეებად დაენიშნე. რაც შეეხება პროექტირების ჯგუფს – ისინი ოთხ ნაწილად დავყავი. პირველი ჯგუფი იყო აღჭურვილობის დამპროექტებლები; მეორე – რეფლექტორის თეორიული განყოფილების ჯგუფი, სადაც შეიკრიბნენ მაღალი კლასის და გამოცდილი სპეციალისტები – კონსტანტინე ჩხიკვაძე, რევაზ ჩიკვაძე, ალექსანდრე სარჩიმელია და “თბილავიამშენის” დეპლემოსილი თანამშრომელი ტარიელ გოშაძე; მესამე გახლდათ ელექტრო-მექანიკური ნაწილის დამპროექტებლები და მეოთხე – თვით რეფლექტორის ჯგუფი, რომელსაც ნუგზარ სირაძე ხელმძღვანელობდა.

ინსტიტუტში გარკვეული უხერხულობა შეიქმნა. სასტარტო გუნდში არ მოხვდნენ ვასო ურუშაძე, ნოდარ ხატიაშვილი და თვით მიშიკო ჯანიკაშვილი, რომელიც იმ პერიოდში პირადი პრობლემებით იყო დაკავებული. ამასთან დაკავშირებით მე არავითარ განცხადებას არ ვაკეთებდი. ვიცოდი, რომ “ძველ გვარდიას” – ვასოს, ნოდარს და მიშიკოს გადამწყვეტ ეტაპზე ჩავრთავდი სამუშაოებში, როდესაც ანტენის საქარხნო აწყობა, მისი დაკეცვა-გაშლა და გამოცდები დაიწყებოდა.



ПРОТОКОЛ
совещания специалистов РКК "Энергия,
компания "ГПИ" и ГИКС по организации
совместного предприятия по разработке
и производству крупногабаритных
трансформируемых антенн

Проведенный анализ внешнего и внутреннего рынка космической техники показал, что в настоящее время за рубежом формируется большой спрос на крупногабаритные трансформируемые космические антенны.

Грузинский институт космических сооружений (ГИКС) и компания "Грузинский Политехнический Интеллект" (ГПИ) обратились в РКК "Энергия" с предложением создать совместное предприятие по разработке и организации производства крупногабаритных трансформируемых космических антенн (КТКА) различного диаметра.

РКК "Энергия" совместно с компанией "Грузинский Политехнический Интеллект" может успешно конкурировать на рынке крупногабаритных трансформируемых космических антенн, разработав и наладив серийное производство антенн диаметром 5-12 метров и предложив их на рынок. В связи с этим, представляется целесообразным организовать совместное с "Грузинским политехническим интеллектом" производство и сбыт крупногабаритных трансформируемых антенн.

При этом РКК "Энергия", как учредитель совместного предприятия, разрабатывает технические требования к космическим антенным системам и исходные данные на разработку антенн, разрабатывает интерфейсы между антенной и космическим аппаратом, разрабатывает и изготавливает силовое трансформируемое кольцо с применением современных материалов, используемых для космической техники, в том числе композиционных.

ГПИ, как учредитель совместного предприятия, является головным по разработке антенн, разрабатывает и изготавливает несущий каркас и рефлектор антенны, а также проводит полный цикл наземных отработок и испытаний на своей базе.

Совместное предприятие осуществляет организационную, финансовую и маркетинговую деятельность, проводит общую разработку антенны.

Целесообразно в рамках совместного предприятия РКК "Энергия" и ГПИ провести технический эксперимент с антенной на ОС "Мир", который будет финансироваться из внутренних источников каждой стороны, и, поэтому, эти работы могут рассматриваться, как вклады сторон.

Компания "Грузинский политехнический интеллект" проведет изготовление опытного образца антенны, полный цикл наземных испытаний этого образца и поставку его в РКК "Энергия".

РКК "Энергия" проведет подготовку и летные испытания опытного образца антенны на станции "Мир".

От компании "Грузинский
политехнический интеллект"



Э.В. Медзмариашвили

М.В. Джаникашвили

От Ракетно-космической
корпорации "Энергия"

Н.И. Зеленщиков

И.С. Ефремов

А.Г. Чернявский

Н.А. Брюханов

В.Е. Вишнеков

Ю.Н. Макушенко

სუთი თვე არაადამიანურ, მაგრამ სასიამოვნო რეჟიმში ვიმუშავე. რეფლექტორის ყოველ კვანძს თუ ფრაგმენტს თავდაპირველად მე ვამუშავებდი და შემდეგ ისინი დეტალიზაციისათვის გადადიოდა კონსტრუქტორებთან. ასევე მთლიანად მოვამზადე აწეობისა და გამოცდების პროგრამა და მისი ცალკეული დამხმარე თუ ძირითადი სტენდების სქემები და ისინი დამპროექტებლებთან ერთად დავამუშავე. ანტენის გაანგარიშების დროს უშუალოდ ვღებულობდი მონაწილეობას კონსტრუქციაზე ძალოვანი ფაქტორების განსაზღვრის, საანგარიშო სქემების დადგენისა და გაანგარიშების მსგელოებაში.

მთლიანად ჩავერთე სამუშაოებში. სამსახურში თუ სახლში, სადაც მისაღებ ოთახში, სავარძლის ბოლოში, სკამზე. სახაზავი “მაგიდა” მქონდა მოწყობილი, დღე და ღამე ერთი მიზნით ვმუშაობდი – კარგი რეფლექტორი შემექმნა, რომელიც მსოფლიოს ნებისმიერი ფორმის ყველაზე უფრო გაზრდილ მოთხოვნებსა და კაპრიზებსაც კი დააკმაყოფილებდა.

შემდეგ სამუშაოებმა უკვე საავიაციო ქარხანაში დაიწყო გადანაცვლება. ნოდარ ხატიაშვილი საზღვარგარეთ მივლინებით გაგაგზავნე მასალების შესაძენად. ქარხნის ექსპედიტორებიც მთელს მსოფლიოში მოიძიებდნენ იმ მაკომპლექტებელ მასალებს, რომელიც რეფლექტორის დამზადებისა და აწეობისათვის იყო საჭირო.

დადგა რეფლექტორის აწეობის დრო. ამისათვის საავიაციო ქარხანამ მთელი ტექნოლოგიური ციკლი და სათანადო ხაზები შექმნა.

აწეობის ბოლო ეტაპზე, მართლაც 24-საათიან რეჟიმზე გადავედით. მახსოვს დამის 2, 3, 4, 5, 6 საათზე – ლერი დათაშვილის და გურამ ბედუკაძის ზარები ქარხნიდან, უშუალოდ საწარმო პროცესის წარმართვის დროს. ეს იყო ძალიან კარგი და დაუვიწყარი დრო. საქართველოში იქმნებოდა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი – “რეფლექტორი”, რომელსაც ისტორიული მისია ეკისრებოდა – პირველი ქართული ტრიუმფი ღია კოსმოსურ სივრცეში.

ამ დროს, არ ვიცი ეს ვეროპულ, რუსულ და იაპონურ გამოცემებში ჩვენი პუბლიკაციებით იყო გამოწვეული, თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოქვეყნებული სტატიის გამოძახილი იყო, ან კიდევ შიგა რუსული დაპირისპირება, რუსეთის დუმამ დაიწყო საკითხის შესწავლა ორბიტულ სადგურ “მირ“-ზე, ქართული რეფლექტორის გატანის და გამოცდის შესახებ.

პირველად ამის შესახებ ჩემმა ძველმა მეგობარმა მიხეილ ზაქსონმა შემატყობინა, თუმცა განსაკუთრებულ კონტექსტში. რუსეთის “დუმის” სამხედრო მრეწველობის ქვეკომიტეტში თათბირი მოუწყვათ, სადაც დიდი კოსმოსური რეფლექტორული ანტენის პრობლემა განუხილავთ. მიხეილ ზაქსონს მათ შეკითხვაზე ერთნიშნად უპასუხია, რომ ანტენებს პოსტსაბჭოურ სივრცეში მხოლოდ თბილისში, ელგუჯა მეძმარიაშვილი აკეთებსო. ამის შესახებ უკვე რუსეთის დუმის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში რიგრიგობით უთათბირიათ. ერთზე მიუწვევიათ სამხედრო-კოსმოსური ტექნიკის გენერალური კონსტრუქტორი ანატოლი სავინი. მასაც ერთნიშნად დაუდასტურებია, რომ აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა, მოცემულ ეტაპზე, მხოლოდ თბილისში შეიძლებოდა, სადაც ელგუჯა მეძმარიაშვილმა, ახლო წარსულში თავდაცვის სამინისტროსა და მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამხედრო-სამრეწველო კომისიის დავალებითა და გადაწყვეტილებებით წარმატებულად შექმნა დიდი ზომის, გასაშლელი რეფლექტორები.

ამის შემდეგ კომიტეტის სხდომაზე მოხსენებით გამოსულა კოროლიოვის სახელობის სარაკეტო-კოსმოსური კორპორაცია “ენერჯის” გენერალური კონსტრუქტორი, რომელსაც ორბიტულ სადგურ «მირზე» ქართული რეფლექტორული ანტენის გაშვების სამზადისზე უსაუბრია. არის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსეთის “დუმაში”, საკითხი საბოლოოდ გადაწყვიტა რუსეთის კოსმოსური სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა იური კოპტევმა, რომელსაც მე ჯერ კიდევ ადრე ვიცნობდი. მაშინ ის სამინისტროში მე-9 მთავარი სამმართველოს უფროსად მუშაობდა და ჩვენს სამუშაოს კურირებდა. ამიტომ იგი თბილისის სასტენდო კომპლექსშიც იყო ნამყოფი. განწყობა ჩემ მიმართ ძალიან კარგი ჰქონდა და ისიც იცოდა, რომ დავალებებს პირნათლად ვასრულებდი. მან, როგორც ვიცი, ერთნიშნად დაასაბუთა, რომ ორბიტულ სადგურ “მირს”, მოცემულ ეტაპზე, საერთაშორისო პრესტიჟისათვის ძალიან სჭირდებოდა რთული კოსმოსური ექსპერიმენტის წარმატებით ჩატარება. ასეთ ექსპერიმენტად ის დიდი ზომის რეფლექტორის ორბიტაზე გამოცდას ასახელებდა, ვინაიდან 30 წლის განმავლობაში, ამ მხრივ, ვერც ერთმა კოსმოსურმა სახელმწიფომ დადებით შედეგს, და რაც უმთავრესია, მის წარმოჩენას და დასაბუთებას ვერ მიაღწია. ამასთან, რუსეთისთვის ამ ექსპერიმენტში თანამონაწილეობა, თუნდაც ექსპერიმენტის ჩამტარებლის სახით, მომგებიანი იყო. დასასრულ, ქართული რეფლექტორი, როგორც კოპტევის სიტყვები გადმომცეს, მსოფლიოში დღეს კონკურენციის გარეშე თავისი ღირსებებით. ამის შემდეგ რუსეთის “დუმა” დათანხმდა ქართული ანტენის გამოცდას ორბიტულ სადგურ «მირზე» და რუსეთის კოსმოსურმა სააგენტომ თავისი საბოლოო დასტური გამოაცხადა.

ამასობაში საქართველოში უკვე ორი რეფლექტორი იყო დამზადებული. ერთი – დუბლიორი, რომლის გამოცდებიც სასტენდო დარბაზში უნდა დაწყებულიყო და მეორე კი – საფრენოსნო, რომელიც სპეციალურად მომზადებული დაკეცილი სატრანსპორტო პაკეტის სახით მოსკოვში ჩატანით კოსმოდრომ ბაიკანურზე უნდა გაგვეგზავნა.

საინტერესო ეპიზოდი მოხდა საავიაციო ქარხანაში ღამით, როდესაც რეფლექტორთან სამორიგოდ გურამ ბედუაძე დარჩა. მას დავავალე აელო ფუნჯი და საღებავები და ანტენის ფურცლებზე დაეწერა ქართულად – ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი. მეორე დღეს ანტენის შეფუთვა იწყებოდა და კოსმოსში, ორბიტულ სადგურ “მირამდე” მას აღარავინ გახსნიდა. მოსკოვში ანტენა დაკეცილ მდგომარეობაში გაიგზავნებოდა. იგი ელექტრულ შემოწმებასაც დაკეცილ მდგომარეობაში გაივლიდა და დაკეცილსვე წაიღებდნენ კაზახეთში, კოსმოდრომ ბაიკანურზე, სადაც კოსმოსური რაკეტა-მატარებლით ორბიტაზე გავიდოდა. გურამმა ეს დავალება ბრწყინვალედ შეასრულა – რეფლექტორს სამ ადგილას ეწერა – ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი.

მეორე დღეს დაიწყო ანტენის შეფუთვა. ეს განსაკუთრებული და ძალიან საპასუხისმგებლო პროცედურა მთელი დღე გაგრძელდა. ბოლო მომენტში, როდესაც კონსტრუქციაზე, გარკვეული ეტიკეტის მიწებებისათვის მათ წებო წაუსვეს და ეტიკეტი დააკრეს, უცებ გამიელვა ფიქრმა, რომ ამ მომენტში მის დახურვას და კამერული სივრცის შექმნას შეიძლება ქიმიური ცვლილებები გამოეწვია და ერთი საათით, წებოს მთლიანად გაშრობამდე, ხუფი არ დაგვიხურავს. ასე ჭირვეულობით მომზადდა სატრანსპორტო პაკეტი და ქარხნის პირველ განყოფილებაში ჩავკეტეთ.

არავინ იცოდა თუ რა რეისით გავგზავნიდი რეფლექტორის სატრანსპორტო პაკეტს მოსკოვში. ყველა ელოდა ან სპეციალურ, ან ჩარტერულ რეისს. მე კი მივიღე გადაწყვეტილება, რომ სატრანსპორტო პაკეტი გამეგზავნა ჩვეულებრივი რეისით, ტვირთის სახით და ამის შესახებ, მხოლოდ მაშინ გაეგო მის მიმღებს, როდესაც ტვირთი მოსკოვში, ქარხნის შესასვლელთან იქნებოდა. ამის მიზეზები მქონდა. პაკეტის გაგზავნამდე სამი საათით ადრე ჩემი გადაწყვეტილება ვაუწყე უშიშროების კომიტეტის წარმომადგენელს. მან ეს აზრი მოიწონა. მოსკოვში პაკეტის ჩატანა ნოდარ ხატიაშვილს დავავალე. მთელი აეროპორტის სპეციალური სამსახურები და ტექნიკური პერსონალი, როგორც იტყვიან, ფეხზე დადგა. სატვირთო მანქანა მივიდა თვითმფრინავთან და რეფლექტორის დალუქული პაკეტი თვითმფრინავში ჩაიდო. ახლა მხოლოდ ნოდარის გაცილება რჩებოდა. მე მას საბოლოო ინსტრუქტაჟი ჩაუტარე და გარკვეული, რეფლექტორის “ქართველობის” ამსახველი დოკუმენტები გადავეცი. აღნიშნული დოკუმენტები თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მასზე ორივე მხარის ხელმოწერების შედეგად, ნათლად და ცალსახად რჩებოდა ისტორიას იმის დამადასტურებელი საბუთი, რომ პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი – რეფლექტორი – შეიქმნა საქართველოში ქართველი სპეციალისტების მიერ, საქართველოში დამზადდა, საქართველოში გაიარა წინასაფრენოსნო გამოცდები და ამის შემდეგ გადაეცა რუსეთის მხარეს მხოლოდ და მხოლოდ ექსპერიმენტის ჩასატარებლად.

თვითმფრინავი გაფრინდა, ნოდარმა უმაღლეს დონეზე შეასრულა დავალება და უკან ვალმოხდილი დაბრუნდა.

და მაინც, გარდა რეფლექტორის უსაფრთხო ჩატანისა მოსკოვში – სერგეი კოროლიოვის სახელობის სარაკეტო-კოსმოსურ კორპორაცია “ენერჯიაში”, რა იყო ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანი, რაც ხატიაშვილმა გააკეთა?

ეს, როგორც აღვნიშნე, იყო რუსეთის მხრიდან დოკუმენტურად დადასტურება იმისა, რომ რეფლექტორი ნამდვილად ქართული წარმოშობის იყო. ისე როგორც სხვადასხვა სახელმწიფოების, ასევე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში ყველაფერი მომხდარა, ხდება და კვლავაც მოხდება. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა მივანიჭე იმას, რომ იურიდიული მხარე სრულ წესრიგში ყოფილიყო.

ჯერ კიდევ 19.12.1998 წელს, როდესაც შედგა სპეციალური თათბირი “საქართველოს პოლიტექნიკური ინტელექტისა” და “ენერჯიის” თანამშრომლებს შორის, შესაბამის “პროტოკოლში ერთნიშნად მითითებულ იქნა, რომ კომპანია “საქართველოს პოლიტექნიკური ინტელექტი” დაამზადებს რეფლექტორს, დედამიწის პირობებში ჩაუტარებს მას გამოცდების სრულ ციკლს და, ამის შემდეგ გადასცემს “ენერჯიას”, ხოლო “ენერჯია” ჩაუტარებს მას მოსამზადებელ სამუშაოებს და გამოცდის ორბიტულ სადგურ “მირზე”. ეს პროტოკოლი დამოწმებულია, ერთი მხრივ, რუსეთის ს.პ. კოროლიოვის სახელობის სარაკეტო-კოსმოსური კორპორაცია “ენერჯიის” გენერალური კონსტრუქტორის ი.პ. სემიონოვის და მეორე მხრივ, კომპანია “საქართველოს პოლიტექნიკური ინტელექტის” გენერალური დირექტორის გ.გ. კინტერაიას მიერ.

ნოდარ ხატიაშვილმა კი რუსეთის მხარეს ხელი მოაწერინა “რეფლექტორის” კონსტრუქციის მიღება-ჩაბარების აქტზე, რომელიც დავამოწმე მე – ელგუჯა მექმარიაშვილმა და რუსეთის მხრიდან იგორ ევრემოვმა.

ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი იყო დასკვნა №4/62 25.VI.1999, სადაც გენერალური კონსტრუქტორის მოადგილე იგორ ეფრემოვი და შემკვეთის წარმომადგენელი ადასტურებენ აპარატურის მზადყოფნას ექსპერიმენტისათვის. დასკვნაში წერია, რომ აპარატურა “რეფლექტორი” 17 KC.2480-0 განკუთვნილია ორბიტულ სადგურ “მირის” გარეთ ექსპერიმენტისათვის. ამასთან, დოკუმენტში არის სათანადო ჩამონათვალი და ჩანაწერი იმის შესახებ, რომ აგრეგატს ამზადებს და ექსპერიმენტისათვის უზრუნველყოფს “EGS”-ი, საქართველო, ხოლო დანარჩენს – სარაკეტო-კოსმოსური კორპორაცია “ენერჯია”.

ასე რომ, აღნიშნულ დოკუმენტურ საკითხებში, რასაც უკვე იურიდიული მნიშვნელობა ჰქონდა, ნოდარს თავისი წვლილი უნდა შეეცანა და მან ეს გააკეთა კიდევ.

დაიწყო ნაკეთობის კოსმოსში გაშვებისათვის მომზადების ბოლო ფაზა.

მდგომარეობას ართულებდა ის, რომ ექსპერიმენტის ჩატარების გადაწყვეტილების მოულოდნელად მიღების გამო, კოსმონავტებს არ მიეცათ დედამიწაზე რეფლექტორის კონსტრუქციის შესწავლის, ექსპერიმენტის ჩატარების ხერხების და მიმდევრობის ათვისების საშუალება. მათ, ღია კოსმოსურ სივრცეში ფუნქციონირების, ორიენტაციის და კონსტრუქციის “სოფორაზე” მიმაგრებისათვის, ციგანკოვის ხელმძღვანელობით, ივარჯიშეს მხოლოდ ჰიდროაუზში და ისიც მაკეტზე.

ამიტომ, იყო საჭირო ფილმი, სადაც რეფლექტორთან დაკავშირებით ყველა ის პროცედურა უნდა ასახულიყო, რაც კოსმონავტებს კოსმოსურ ორბიტაზე უნდა გაეკეთებინათ. ეს ფილმიც ჩვენ მოვაძაბადეთ. კოსმონავტების დუბლიორები დედამიწაზე იყვნენ ნოდარ ხატიაშვილი, ვასიკო ურუშაძე და პაატა ბუხსიანიძე. ფილმი-ინსტრუქცია, რომელიც თბილისში, სასტენდო დარბაზში გადავიღეთ, გურამ ბედუკაძის ხელმძღვანელობით მომზადდა. ფილმი დეტალურად და რიგითობის მიხედვით ასახავდა ყველა იმ ქმედებას, რაც ევალებოდათ კოსმონავტებს.

რაც შეეხება მიშიკო ჯანიკაშვილს, გადავწყვიტე, რომ იგი მოსკოვში ჩემი წარმომადგენელი ყოფილიყო, მე კი სასტენდო დარბაზიდან, დუბლიორი კონსტრუქციის ქცევის მიხედვით, წარვმართავდი იმ არასაშტატო სიტუაციებს, რის შესაძლებლობასაც არ გამოვიცხავდი კოსმოსში. ასეთი გადაწყვეტილების მიღებამ სრულად გაამართლა.

ბოლო ფაზაში, როგორც შემდეგ აღექსანდრე ჩერნიავსკიმ მითხრა, წარმოიშვა სირთულეები თვით მოსკოვში. რაკეტის მომზადების ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ რეფლექტორის წონა, იმ სამარჯვებთან ერთად, რომელიც ექსპერიმენტის მომზადებისათვის დამზადდა მოსკოვში, სარაკეტო კოსმოსურ სხვა სისტემებთან და რაკეტასთან ერთად, ჯამურად თითქმის ხუთი კილოგრამით აჭარბებდა რაკეტა-მატარებლების დასაშვებ სასტარტო წონას. მოსკოველმა თანამშრომლებმა – როგორც თვითონ განმარტეს “სისხლის სამართლის დანაშაული” ჩაიდინეს – რაკეტას საწვავი შეგნებულად დააკლეს, არც მეტი არც ნაკლები 5 კილოგრამით. ეს კი რაკეტა-მატარებლის მანევრს საგრძნობლად ამცირებდა და თუ შეიქმნებოდა არასაშტატო სიტუაცია, იგი აუცილებლად იჩენდა თავს ...

... კოსმოსური პროგრამების განხორციელების წინა დღეებში, ხშირად სოფელ წილკანში ვიმყოფებოდი. ემოციებს ვერ ვიოკებდი, რეალურად ვხედავდი იმ კადრებს, რაც კოსმოსში ქართულ პროგრამასთან იქნებოდა დაკავშირებული. ჩემი აგზნებული და აფორიაქებული მდგომარეობის, ასე ვთქვათ, რიტმში მოსაყვანად მარშების მოსმენა დავიწყე. ეს ჟანრი ჩემთვის ავსტრიულ და გერმანულ მარშებს უკავშირდება და მეც

შტრაუსიდან დაწყებული ბევრი ცნობილი ავსტრიულ-გერმანული მარშის დისკო მაქვს. მიუხედავად ამისა, როდესაც მთლიანობაში განვიხილავ მარშებს, წინა პლანზე მაინც გადმოდის “ტრიუმფალური მარში” ვერდის ოპერიდან “აიდა”.

ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის დროს, პატარაობისას ვნახე ფილმი-ოპერა “აიდა”, სადაც “ტრიუმფალურმა მარშმა” წარუშლელად იმოქმედა ჩემზე. მას შემდეგ მოყოლებული, რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენის წინ, იყო ეს გამოცდაზე წასვლა, თუ სხვა რაიმე აღსანიშნავი მოვლენა, მივუჯდებოდი პიანინოს და ვუკრავდი “ტრიუმფალურ მარშს”. ეს იყო ერთგვარი ელექსირი. ასე მოხდა მაშინაც, როდესაც უკვე კოსმოსურ ორბიტაზე წარმოვიდგინე პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი ...

... ერთი სიტყვით, რეფლექტორმა დაკეცილ, სატრანსპორტო პაკეტის მდგომარეობაში მოსკოვში გაიარა ელექტრული წრედის შემოწმება და გაიგზავნა კოსმოდრომ “ბაიკანურზე”, სადაც განათავსეს რაკეტაში და სტარტის დღეც დაინიშნა. მაგრამ სტარტამდე 3 დღით ადრე, კოსმოდრომის თავზე აფრენილი რაკეტა “პროტონი” აფეთქდა და დაიღვარა არაეკოლოგიური საწვავი და მიმოიფანტა რაკეტის ნარჩენები. რამაც პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევის განრისხება გამოიწვია. შეიქმნა სამთავრობო კომისია, მაგრამ კომისიის მუშაობის დამთავრებამდე, რასაც 2 თვე მაინც დასჭირდებოდა, ნაზარბაევმა რაკეტების სტარტები “ბაიკანურიდან” აკრძალა.

ამას მოჰყვა რუსეთის მხარის პროტესტი, იმის შესახებ, რომ რაკეტა გაეშვათ დათქმულ დროს. ამას რუსები იმით ხსნიდნენ, რომ ეს იყო რაკეტის ბოლო სტარტი სადგურ “მირისკენ”, რომელსაც ორბიტულ სადგურზე მიქონდა საწვავი და ასევე საკვები კოსმონავტებისთვის. არადა, რუსულმა მხარემ, და სავსებით სწორად, გვერდი აუარა იმას, რომ რაკეტაში იყო განსაკუთრებული, ეგრეთ წოდებული, სამეცნიერო ტვირთი – რეფლექტორი, რომელიც კოსმონავტებს უნდა გამოეცადათ. სხვა შემთხვევაში შეიძლება კოსმოსური პროგრამა “რეფლექტორი” გადადებულიყო ან უფრო სწორად იგი აღარ ჩატარდებოდა.

ამ დროს, მე გერმანელი სტუმრები – იოჰანეს ზემლერი, მაიერ ლანდრუტი და ვერნერ ხაინცმანი მყავდა აგარაკზე, სოფელ წილკანში. ჩვენ მომავალ ექსპერიმენტთან დაკავშირებულ თემაზე ვსაუბრობდით, როდესაც ტელეფონმა დარეკა და მოსკოვიდან შემატყობინეს, რომ რაკეტის სტარტი, რომელიც ყოველთვის გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული, წარმატებით განხორციელდა. ეს იყო პირველი სიძნელე, რომელიც დაიძლია.

კოსმოსში ქართული ობიექტის გაშვების წინ, ჩვენს ოჯახთან დაახლოებული და ჩემი თანამშრომელი გია ჯანეზაშვილი მეუბნება – ბატონო ელგუჯა სიზმარში გნახეთ, ვითომ ლომზე ამხედრებული კოსმოსურ სივრცეში, ვარსკვლავებს შორის დაფრინავდით. მე გავიღიმე და გიას ვუთხარი – ეტყობა შენც განცდებში ხარ და ფიქრები ძილშიც ჩაგყვამეთქი. ამ დროს ჩემი ცოლი ჩაერთო ჩვენს საუბარში. ელგუჯა, ეს სიზმარი კარგის ნიშანია და იგი წარმატებას გიქადის კოსმოსში. მით უმეტეს, რომ რეფლექტორის ღია კოსმოსურ სივრცეში 23 ივლისს გაიტანენ და ზოდიაქოს მიხედვით ეს დღე “ლომის” პერიოდის დასაწყისია. ამასთან, ზოდიაქოს ნიშნით შენ ხომ “ლომი” ხარ. ასე რომ, გიას სიზმარმა ჩვენზე ნამდვილად სასიამოვნოდ იმოქმედა.

ახლა დადგა მეორე ბარიერის გადალახვის მომენტი. რაკეტა-მატარებლის შეპირაპირება ორბიტულ სადგურ “მირთან”. სამი დღის შემდეგ, ეს პრობლემაც წარმატებით დაიძლია.

არადა საქართველოში ჯერ არაფერი იცოდნენ ქართული კოსმოსური “ოდისეის” შესახებ, რომელიც უკვე დაწყებული იყო თავისი განცდებით და ეტაპების წარმატებით დაძლევათ.

კოსმოსური პროგრამა “რეფლექტორი”, როგორც იტყვიან, კარზე მოგვადგა. საჭირო იყო გარკვეულწილად მასმედიისათვის საკუთარი, ქართული პოზიციის გამომუშავება, რომელსაც ჩვენი მხარე გაატარებდა პროგრამის ჩატარებისას. ამისათვის, საქართველოს პრეზიდენტთან, ედუარდ შევარდნაძესთან გამომიძახეს. თათბირი ხალხმრავალი გამოდგა. ზოგი ამბობდა, რომ დღესვე ვაცნობოთ მთელს მსოფლიოს ქართული ექსპერიმენტის შესახებ, ზოგიც სპეციალურ გადაცემებს გვთავაზობდა ტელევიზიით და ა.შ. ჩემი ჯერიც დადგა. ჩემი, როგორც სისტემის გენერალური კონსტრუქტორის პოზიცია იყო ის, რომ ღია კოსმოსურ სივრცეში ექსპერიმენტის დაწყებამდე უმჯობესი იქნებოდა საქართველოს პრესა, რადიო და ტელევიზია მხოლოდ რუსეთის ინფორმაციის გამავრცელებელი ყოფილიყო და არცერთი ნაბიჯით არ გაესწროთ მათთვის, რადგან ისედაც გაღიზიანებულ რუსებს “სხვა აზრი” შეიძლება მოსვლოდათ. ექსპერიმენტის ჩატარების პროცესში, პარალელურ რეჟიმში გვემუშავა რუსეთის მასმედიასთან და მხოლოდ ექსპერიმენტის დამთავრების შემდეგ, მთელი სისრულით გვეცნობებია მსოფლიოსთვის საქართველოს ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის – რეფლექტორის ორბიტაზე გატანისა და გამოცდის შესახებ. ამას ემატებოდა ისიც, რომ ექსპერიმენტის დამთავრების შემდეგ ქართული კოსმოსური ობიექტი, რუს და ფრანგ კოსმონავტებს დამოუკიდებელ თანამგზავრულ ორბიტაზე უნდა გადაეყვანათ, რაც კიდევ უფრო ზრდიდა ქართველების ამბიციებს ქართული თანამგზავრის მიმართ. თათბირის ბოლოს ედუარდ შევარდნაძემ თქვა – მასმედიამ უმჯობესია ელგუჯას სტრატეგია გამოიყენოსო.

კოსმოსური პროგრამის დაწყებამდე, რამდენიმე დღით ადრე თბილისში სასტენდო დარბაზში, სადაც განთავსებული იყო კოსმოსური რეფლექტორის მიწისზედა ვარიანტი, რეფლექტორის სრულმასშტაბიანი გამოცდის მართვის პულტი მოეწყო, რომელიც, ასევე, აღიჭურვა ყველა საჭირო დანადგარის იმიტატორით, რაც კოსმოსური ექსპერიმენტისათვის იყო საჭირო.

საბოლოოდ გადაწყდა საქართველოს დელეგაციის შემადგენლობის საკითხი: გრიგორი კინტერაია – “საქართველოს პოლიტექნიკური ინტელექტის” პრეზიდენტი; მიხეილ ჯანიკაშვილი – ჩემი წარმომადგენელი ფრენების მართვის ცენტრში; ლერი დათაშვილი – პროგრამის მენეჯერი; ნოდარ ხატიაშვილი – წარმომადგენლის მოადგილე; მერაბ ადვიშვილი – ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი და ჩვენი ყოფილი თანამშრომელი. მათ ადგილზე დაემატებოდნენ საქართველოს ელჩი რუსეთში მალხაზ კაკაბაძე და მოსკოვში მართვის სისტემების ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ივერი ფრანგიშვილი. ამასთან, მართვის ცენტრში პროგრამის ჩატარებას გააშუქებდნენ “რუსთავი 2-ის” კორესპონდენტი ნატა ამაღლობელი და I არხის კორესპონდენტი თამარ გოცირიძე ...

... დადგა 23 ივლისი – კოსმოსური პროგრამის დაწყების დღე. ინსტიტუტში ყოველგვარი ემოციების გარეშე მივედი. შევედი ჩემს კაბინეტში და მოვიკითხე თანამშრომლები – ყველა ადგილზე იყო. კიდევ ერთხელ გადავხედე კოსმონავტების

კონსტრუქციაზე მუშაობის ციკლოგრამას. შემდეგ მოსკოვს დაუკავშირდი – ჯერ საშა ჩერნიავსკის და ვიქტორ ბლაგოვის ველაპარაკე, შემდეგ მიხეილ ჯანიკაშვილს ვთხოვე, რომ დეტალურად აღეწერა თუ რა ხდებოდა მართვის ცენტრში.

ამ დროს, პრესისა და ტელევიზიის თანამშრომლები მოვიდნენ და მათ მოკლე ინტერვიუები მივეცი. შემდეგ კი ბოდიში მოუხადე და ჩემს კაბინეტს მივაშურე. მე ყველაფერი გავაკეთე, რაც იმ მომენტისათვის უნდა შემესრულებინა.

კაბინეტში ფანჯარასთან მივედი. თვალწინ განვლილი ეტაპების ემოციური კადრები ერთმანეთის მიყოლებით იცვლებოდა: ჯერ იყო ქვეცნობიერი დეღვა, ემოციები, რომელიც დასმული ამოცანის გადაწყვეტას და საქართველოს წინაშე პასუხისმგებლობას უკავშირდებოდა. ცნობიერში კი, ემოციებისაგან თითქმის თავისუფალი გენერალური კონსტრუქტორი ვიყავი, რომელიც ქმნიდა პირველ ქართულ კოსმოსურ ობიექტს.

შემდეგ დაიწყო კოსმოსური პროგრამისათვის დამახასიათებელი განცდები – კამათი რუსეთის დუმაში ორბიტულ სადგურ «მირზე» ქართული კოსმოსური პროგრამის განხორციელების შესახებ; ნაკეთობის გაგზავნა ჯერ მოსკოვში, შემდეგ იქიდან ყაზახეთში, კოსმოდრომ “ბაიკანურზე”; კოსმოსური სისტემის განთავსება კოსმოსურ აპარატში; კოსმოსში გაფრენის შეყოვნება “ბაიკანურზე” რაკეტის მოულოდნელი აფეთქების გამო; კოსმოსში რაკეტა-მატარებლის უსაფრთხო გასვლა; კოსმოსური აპარატის ორბიტულ სადგურ “მირთან” შეპირისპირება; დასასრულ, კოსმონავტების მიერ პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის დაკეცილი – სატრანსპორტო პაკეტის კოსმოსური აპარატიდან ორბიტულ სადგურზე გადატანა.

ახლა ყველაფერი უფლის ნება იყო. საკმაო დრო ვილოცე. განგებას დახმარება ვთხოვე ჩემთვის დიდ და საქართველოსთვის ისტორიულ მოვლენაში.

ამის შემდეგ კაბინეტში აღარ შევსულვარ. დარბაზში ჩავედი. რეფლექტორის სატრანსპორტო პაკეტის წინ და უკან დავდიოდი. არ ვიცი ეს რამდენ ხანს გაგრძელდა. იმ მომენტში, არც ის შემიმჩნევია, თუ როგორ მიღებდა ვიდეოთი დათო ჯანელიძე, რომელიც თავისი სურვილით მოვიდა. მე კი კვლავ წინ და უკან დავდიოდი და ახლა, რატომღაც მთელი ინსტიტუტისა და ჩემს მომავალზე დავიწყე ფიქრი – თუ კოსმოსური პროგრამა წარმატებით განხორციელდება, ინსტიტუტი გააგრძელებს თავის სამუშაოებს, თუ არა, მაშინ ინსტიტუტიც და მთელი ჩემი თითქმის 20 წლის შრომაც შეწყვეტს თავის ისტორიას იმიტომ, რომ საქართველოს და მისი კოსმოსური ტექნიკის გენერალურ კონსტრუქტორს, რომელიც საქართველოს მკვიდრია, თავისი სისწორის დასამტკიცებლად, არავინ მისცემს მეორე შანსს ხელმეორედ შეექმნა და ორბიტაზე გაეყვანა მეტად ძვირად ღირებული, ტექნიკურად და ტექნოლოგიურად ურთულესი კონსტრუქცია. ასეთად ისახებოდა ინსტიტუტის მომავალი, რომელიც ექსპერიმენტის წარმატებასა ან წარუმატებლობაზე იყო დაკავშირებული.

დადგა მთავარი განცდების გადატანის დრო – პირველი ქართული კოსმოსური სისტემის ღია კოსმოსში გატანა, მისი გაშლა, სრულმასშტაბიანი გამოცდა, ორბიტული სადგურიდან ჩამოცილება და დამოუკიდებელ ორბიტაზე გადაყვანა.

მხოლოდ ამ მომენტში, გარკვეული დროით, ქვეცნობიერიდან ჩემი დეღვა ცნობიერში გადმოვიდა, რადგან პასუხისმგებლობის განცდამ კულმინაციას მიაღწია. არადა მანამდე ჩემი მონაწილეობით ორი კოსმოსური პროგრამა იყო განხორციელებული – ორი 20-მეტრიანი კონსტრუქცია, ერთი კოსმოსურ ხომალდზე იყო დამონტაჟებული, მეორე კი

ორბიტულ სადგურ «მირზე» გრძელი ფერმული ელემენტის საბაზო კონსტრუქცია. ორივე მოხსენიებულია მრავალ ლიტერატურულ წყაროში. არცერთ მათგანზე ისეთი განცდა არ მქონია, როგორსაც პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის “რეფლექტორის” დაწყების წინ ვგრობობდი და ეს ბუნებრივიც იყო – ეს ხომ ჩემი სამშობლოს, საქართველოს პირველი გასვლა იყო კოსმოსში.

ამიტომ რაღაც უნდა მეღონა, რომ ემოციური წონასწორობა აღმედგინა. კოსმოსური პროგრამის დაწყების წინ ემოციური შემოტევები მთლიანად გავთიშე. გამახსენდა, ადრე ჩვენთან სტუმრად ჩამოსული კოსმოსური ტექნიკის შექმნის ერთ-ერთი პატრიარქის, კოროლიოვის თანამებრძოლის, აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ბორის ჩერტოკის სიტყვები – კოსმოსის ათვისებას ყველაზე მეტად არა რომანტიკული, არამედ მშფოთვარე ემოციები უშლის ხელს. ემოციური განცდების შესახებ, ჯერ კიდევ სამხედრო-კოსმოსური ტექნიკის მთავარ კონსტრუქტორად წარდგენისას, აკადემიკოსმა და “ვარსკვლავთ ომების” ნათლიმამად აღიარებულმა ანატოლი სავინმა მითხრა – ელგუჯა ვიქტორის ძეგ, როცა შენი ნაკეთობა ორბიტაზე გავა, იმ მომენტში შენ უნდა შეძლო და საკუთარი ემოციები დროებით ისე უნდა გადამალო, რომ მისი არსებობის შესახებ, სხვამ კი არა, შენც არაფერი უნდა იცოდეთ.

პროგრამის დაწყების დრო მოახლოვდა, მანიშნეს, რომ კოსმონავტები უკვე ემზადებიან რეფლექტორის სატრანსპორტო პაკეტის გასატანად ღია კოსმოსში. სხვა რამეზე ფიქრის უფლება აღარ მქონდა. ასე ვთქვათ – “ფინალური შეხვედრის მსაჯმა ნიშანი მისცა და თამაში დაიწყო” ...

... სავარძელში, როდის ჩამეძინა არ გამიგია. როდესაც გამეღვიძა უკვე დილა იყო და კედლის საათს შევხედე. მისი ისრები 9 საათსა და 47 წუთს აჩვენებდა.

“ორბიტაზე ჯერ პროგრამა “რეფლექტორი” დამთავრებული არ იყო, საქართველო კი კოსმოსში ღირსეულ ბამარჯვებას უკვე ზეიმობდა”

24-ში თანამშრომელთა შეკრება 11 საათისთვის იყო დანიშნული. მეც დათქმულ დროს მივედი. მოსკოვთან ვისაუბრე და განვსაზღვრე ამოცანა, რომელიც გაშლის არსებული პარამეტრების მიხედვით – დროისა და რეფლექტორის მიღწეული სიდიდით, უნდა დაზუსტებულად დაგვედგინა თუ რამდენი იყო რეალური ძაბვა ორბიტულ სადგურ «მირზე», რომელიც 23-ში მიეწოდებოდა კონსტრუქციას. ასევე, უნდა მოგვემზადებინა კონსტრუქცია კოსმონავტების მიერ ხელით გაშლისათვის, თუ 28 ივლისს ძრავები აღარ ამუშავდებოდა, მაგრამ ეს, უკიდურესი არასაშტატო ვითარების შემთხვევაში მოხდებოდა.

დაიწყო რეფლექტორის გაშლის პროცესის სკურპულოზური შესწავლა. ძაბვა, რეფლექტორის ელექტროამძრავებს მიეწოდებოდა თითო ვოლტის დაკლებით საშტატო 27 ვოლტთან შედარებით. დარბაზში ვიყავი, როდესაც ტელეფონმა დარეკა, მითხრეს რექტორი, პროფესორი რამაზ ხუროძე გკითხულობთო. მეც ვუპასუხე – რექტორი მატყობინებდა, რომ პრეზიდენტმა დარეკა და 17 საათზე კაბინეტში მიღებაზე გელოდებო.

დარბაზიდან გამოვედი და მასმედიის წარმომადგენელთა დიდი ჯგუფისთვის, მიმდინარე საკითხებზე ინტერვიუს მიცემა მომიწია.

ხუთის ნახევარზე უკვე პრეზიდენტის მისაღებში ვიყავი. ზუსტად ხუთ საათზე კი მასთან შევედი კაბინეტში. ედუარდ შევარდნაძე თავის სამუშაო მაგიდასთან იჯდა. მას პიჯაკი გახდილი, ჰალსტუხი კი ოდნავ მოშვებული ჰქონდა. იგი შემომეგება, ხელი ჩამომართვა, გადამეხვია და წარმატება მომილოცა. შემდეგ სათათბირო მაგიდასთან მიმიწვია და ჩვეულებისამებრ მოემზადა მოსასმენად. ამასთან, დასძინა – “ესე იგი, ქართველები გაფორინდით კოსმოსში”. ეს ფრაზა მეცნო. იგი აღრეც მომისმენია, მაგრამ ამ დღეებში ედუარდ შევარდნაძე უკვე მეორე იყო, ვინც ამ ფრაზით აღნიშნავდა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ორბიტაზე გაყვანას. შემდეგ მკითხა კონდინციონერი ხომ არ ჩავრთო. მე უარი ვუთხარი. ამას ისიც დააყოლა ჩაის ხომ არ დალევდითო, მაგრამ ამაზეც უარი ვთქვი. ერთი სიტყვით, საქმეზე გადავედი. დეტალურად ავუხსენი მთელი პერიპეტიები, რაც 23-ში მოხდა ორბიტულ სადგურ «მირზე», ასევე ისიც, თუ რა ხდებოდა მოსკოვის კოსმოსური ფრენების მართვის ცენტრში. ამ მხრივ მას რუსეთში საქართველოს ელჩისგან დაზუსტებული ინფორმაცია უკვე ჰქონდა. ისიც განვუმარტე თუ რა მიზნით შეიქმნა კომისია. ბოლოს, დავარწმუნე, რომ ყველაფერი ძალიან კარგად დამთავრდებოდა.

იგი იჯდა და, როგორც ყოველთვის, წყნარად მისმენდა და მხოლოდ ერთი შეკითხვა დამისვა – რით იყო განპირობებული კოსმოსური პროგრამის განხორციელება, მაინცდამაინც რუსულ ორბიტულ სადგურ «მირზე», პასუხი ამ კითხვაზე საკმაოდ დასაბუთებულად და მოტივირებულად გავეცე:

არსად, არცერთ ავტომატურად მოქმედ თანამგზავრზე, იმ პერიოდისთვის არ შეიძლებოდა “რეფლექტორის” გაშლისა და ფუნქციონირების დოკუმენტურად ისე დაფიქსირება და რეალურად დასაბუთება, როგორც ეს სადგურ «მირზე» და იქ მყოფი კოსმონავტების საშუალებით იყო შესაძლებელი, რასაც განსაკუთრებული და გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი მსოფლიოს მეცნიერებისა და საზოგადოებისათვის,

რომლებმაც ტელევიზიის საშუალებით თვითონ იხილეს ყველაფერი, რაც კოსმოსურ ორბიტაზე ხდებოდა.

იმ შემთხვევაში თუ კოსმოსურ პროგრამას დამოუკიდებელ თანამგზავრზე განვახორციელებდით, ზემოთ აღნიშნული პირობის შეუსრულებლობის გარდა, ექსპერიმენტი 50-ჯერ უფრო ძვირი იქნებოდა.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ქართული კონსტრუქცია “რეფლექტორი”, ორბიტულ სადგურ «მირზე» მიმაგრებული იყო კონსტრუქცია “სოფორაზე”, რომლის საბაზო ნაწილი გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში, საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის შეკვეთით თბილისის 31 ქარხანაში დამზადდა ...

როდესაც ყველაფრის თხრობა დავამთავრე, მან დინჯათ დაიწყო საუბარი. განმარტა, რომ ძალიან ნერვიულობდა, როდესაც ორბიტაზე პირველად გავიდა ქართული ობიექტი. ამასთან, დასძინა, რომ იგი უფრო ნაკლებად ინერვიულებდა, რომ ექსპერიმენტი სხვა სახელმწიფოს ჩაეტარებინა, რადგან, ჯერ ერთი, კარგად იცოდა “მირის” უკვე საქვეყნოდ ცნობილი პრობლემები, რომლებიც სადგურის რესურსის ამოწურვასთან დაკავშირებით წარმოიშვა და, მეორე ... “მიუხედავად ფრანგი კოსმონავტის იქ ყოფნისა, ეს ყველაფერი მაინც რუსულ გარემოში” ... მან მრავლისმთქმელად წარმოთქვა ეს სიტყვები და პაუზის შემდეგ დაასრულა წინადადება ... “ხდებოდა”. ამ პაუზაში საქართველოსადმი მის მიერ რუსული პოლიტიკის არაპროგნოზირების აღქმა აშკარად იგრძნობოდა.

შემდეგ იგი შეეხო პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ისტორიულ მნიშვნელობას საქართველოსათვის და ასევე, მის სამეცნიერო ღირებულებას მთელი მსოფლიოსათვის. თუმცა განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში საქართველოსთვის უპირველესი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა სწორედ იმას, რომ ორბიტაზე პირველად ჩვენს ისტორიაში გავიდა ქართული ქმნილება.

ამასთან, მითხრა, რომ პირველ ქართულ კოსმოსურ ობიექტთან დაკავშირებით, ინსტიტუტის რექტორმა 26 ივლისს დანიშნა გაფართოებული სამეცნიერო საბჭოს სხდომა და ისიც აპირებდა მოსვლას.

როდესაც შეხვედრა უკვე სრულდებოდა და მე წამოვდექი, ბატონმა ედუარდმა დინჯად თქვა – მე შენ, ამ ისტორიული მიღწევისათვის, გაჯილდოებ ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით. უნებურად, ისევ დაეჯექი სკამზე. მხოლოდ მაშინ გავიაზრე ამ ფაქტის მნიშვნელობა. სწორედ იმ მომენტში გავითავისე თუ რა დიდი პასუხისმგებლობა მეკისრებოდა და ერთი წუთით წარმოვიდგინე რა ხდებოდა მთლიანად საქართველოსა და ქართველებში. მას მადლობა გადავუხადე და დავარწმუნე, რომ შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერს გავაკეთებდი კოსმოსური ექსპერიმენტის საბოლოო წარმატებისათვის.

პრეზიდენტის კაბინეტიდან სამსახურში დავბრუნდი, სახლში დავრეკე და შეხვედრის შესახებ ვილაპარაკე, მხოლოდ ის არ მითქვამს, რაც დაჯილდოებასთან იყო დაკავშირებული. ამასობაში ბიჭებმა დამახვედრეს “რეფლექტორის” ნელი გაშლის მიზეზების გამოკვლევა. აღმოჩნდა, რომ 23-ში რეფლექტორის გახსნისათვის, ნაცვლად 27 ვოლტისა, როგორც წინასწარმა ექსპერიმენტმაც აჩვენა, მიეწოდებოდა 7-8 ვოლტი ძაბვა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ნომინალური 27 ვოლტი ძაბვის მიწოდებას ვერ აღადგენდნენ ორბიტულ სადგურზე და ექსტრემალურ პირობებში მყოფი ძრავები ამუშავდებოდა, საკმარისი იყო, რომ რეფლექტორი 28-ში ნელა, მაგრამ მაინც გახსნილიყო.

შემდეგ დღეებში მოსკოვის ჯგუფიც ჩამოვიდა და ყოველი შემთხვევისათვის ივარჯიშეს კონსტრუქციის ხელით გაშლაში. იგი რამდენიმეჯერ დაკეცეს და გახსნეს და ამის მიხედვით შეადგინეს ინსტრუქცია კოსმონავტებისათვის, რომელსაც ისინი გამოიყენებდნენ რეფლექტორის ხელით გაშლისათვის, თუ კოსმოსში შეიქმნებოდა უკიდურესი არასაშტატო ვითარება.

26 ივლისს სახლიდან პირდაპირ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გაფართოებული სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე წავიქცევი. იგი 11 საათზე იყო დანიშნული. წესად მქონდა დილით გაზეთების ყიდვა, ავიღე გაზეთი “საქართველოს რესპუბლიკა” და მანქანაშივე დავიწვე მისი თვალთვლება. მაინტერესებდა თუ რას წერდნენ კოსმოსურ ექსპერიმენტზე და ამ დროს ვკითხულობ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებას ელგუჯა მექმარიაშვილის ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

სხდომა 15 წუთის დაგვიანებით დაიწყო. უნივერსიტეტის ცენტრალური დიდი სააქტო დარბაზი ხალხს ვერ იტევდა. სხდომის პრეზიდიუმში იყვნენ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიის განყოფილებების გამგეები, მინისტრები, სხვა უმაღლესი სასწავლებლების რექტორები, მაღალი ჩინის სამხედროები, პრემიერმინისტრი და თვით საქართველოს პრეზიდენტი. სხდომას უძღვებოდა უნივერსიტეტის რექტორი რამაზ ხუროძე.

ჩემი გამოსვლა 45 წუთს გაგრძელდა. ვილაპარაკე ყველაფერზე, რაც რეფლექტორის გაშვებას, მის წინა პერიოდსა და შემდგომ პერსპექტივას შეეხებოდა. ამის შემდეგ დაიწყო გამოსვლები. დამამახსოვრდა ტექნიკური უნივერსიტეტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ ბორის ბოქოლიშვილის გამოსვლა, რომელმაც თქვა – აღნიშნული ფაქტი სრულ უფლებას იძლევა იმისათვის, რომ დადგეს საკითხი ელგუჯა მექმარიაშვილის აკადემიკოსად არჩევის შესახებ. შემდეგ, როდესაც აკადემიკოსი გაეხდოდა, უკვე არ იქნება უხერხული ჩემი მხრიდან ამ ფაქტის შესახებ განმარტებების გაკეთება – საქართველო შეიძლება არც კი იყო მზად კოსმოსში პირველი ქართული სისტემის გაყვანის არა ემოციური და ისტორიული, არამედ სათანადო პროფესიული და სამეცნიერო შეფასებებისათვის, თორემ მაშინ აკადემიკოსობის საკითხი უჭურადღებოდ არ უნდა დაეტოვებიათ.

საბოლოო სიტყვა პრეზიდენტის იყო. მან მიმოიხილა ქართული მეცნიერების წარმატებები მთელი საუკუნის განმავლობაში და განმარტა, რომ მიუხედავად დიდი მიღწევებისა, კოსმოსში ქართული კონსტრუქციის გატანას ანალოგი არ გააჩნია და იგი სიმბოლო ხდება მთელი ქართული მეცნიერების განვითარებისა და საერთოდ ქართველი ხალხის გამარჯვებისა.

დადგა 28 ივლისი – ქართული კოსმოსური ობიექტის – რეფლექტორის გამოცდის გადამწყვეტი დღე.

28-ში მოვლენებმა განსაკუთრებულად დაიწყო განვითარება. ორბიტულ სადგურ «მირზე» ექსპერიმენტის დაწყებამდე ცნობილი გახდა, რომ რუსეთის მინისტრთა საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარე – სტეპანოვი ამერიკიდან მოსკოვში 45 წუთით ადრე დაბრუნდა. ამ ფაქტს შეიძლება არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონოდა, მაგრამ მოცემულ მომენტში სატელევიზიო პირდაპირი ეთერი ფაქტობრივად გათავისუფლდა და ჩვენი ექსპერიმენტისათვის შესაძლებელი გახდებოდა მისი პირდაპირი რეპორტაჟის სახით გაშვება მრავალი ქვეყნის ტელეარხებით, რაც მაქსიმალურად ზრდიდა კოსმოსური

ექსპერიმენტის შედეგების წარმოჩენის ხარისხს და რეალობას. ფაქტიურად ყველაფერი ტელემაყურებლის თვალწინ უნდა განხორციელებულიყო.

არადა მოსკოვის ფრენების მართვის წენტრი ჟურნალისტებს ვერ იტყვდა. მათ, ექსპერიმენტის წარმატების თუ წარუმატებლობის შემთხვევაში, სენსაცია გარანტირებული ჰქონდათ. ერთ შემთხვევაში, თუ ექსპერიმენტი ბოლომდე ვერ მივიდოდა, ეს იქნებოდა კიდევ ერთი სენსაცია იმის შესახებ, რომ თითქმის 30 წლის განმავლობაში, ვერც ერთმა სახელმწიფომ ვერ შეძლო ამ ურთულესი სისტემის – დიდი გასაშლელი კოსმოსური რეფლექტორის გამოცდა ორბიტაზე, მისი შედეგების რეალური, დასაბუთებული და თავლსაჩინო დემონსტრირებით. ხოლო, მეორე შემთხვევაში, თუ ექსპერიმენტი საბოლოოდ გაამართლებდა, ეს თავისთავად კიდევ უფრო დიდი სენსაცია იქნებოდა, რადგან ამ დარგში კოსმონავტიკის სფეროში უცნობი და არაკოსმოსური სახელმწიფო – საქართველო მიაღწევდა წარმატებას და ბოლოსდაბოლოს, ეს ექსპერიმენტიც შედგებოდა. იყო კიდევ განსაკუთრებული რეალობა – ხუთდღიანი შესვენების შემდეგ, როდესაც ნახევრად გახსნილი კონსტრუქცია კოსმოსში ხან იყინებოდა და ხან ხურდებოდა, თანაც ვაკუუმისა და მზის ძლიერი რადიაციის მოქმედებას განიცდიდა, კვლავაც ამუშავდებოდა თუ არა ძრავები, ამით, კიდევ უფრო თავლსაჩინო გახდებოდა ქართველთა მიღწევა.

კოსმოსში კი ექსპერიმენტი ჩემთვის მოულოდნელად 15 წუთით ადრე დაიწყო. ეს გამოიწვია იმან, რომ კოსმონავტებს 23 ივლისს უკვე ნავარჯიშები ჰქონდათ სკაფანდრების ჩაცმა და მათი გამართვა, ამიტომ ამ პროცედურას შედარებით ნაკლები დრო მოანდომეს. 15 წუთი თავისთავად არაფერს ნიშნავს, მაგრამ დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე, კოსმოსურ სადგურზე ღია კოსმოსში მომუშავე კოსმონავტებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, მოასწრებენ თუ არა ისინი რადიოსიგნალის არეში კოსმოსური პროგრამის გარკვეული ციკლის დამთავრებას, კონკრეტულად საკითხი შეეხებოდა რეფლექტორის გაშლას.

ამიტომ, ფრენების მართვის ცენტრში საშა ჩერნიავსკის ველაპარაკე ამის შესახებ. მან დამამშვიდა და მითხრა, რომ კოსმონავტებს რადიოსიგნალის არეში მუშაობის საკმარისი დრო ექნებათ. შემდეგ კი დასძინა – მოცემულ მომენტში ორბიტული სადგურის პროექცია დედამიწის ზედაპირის მიმართ შენს მშობლიურ ბათუმთან არისო. ასეთი დამთხვევა კარგის მომასწავლებლად მენიშნა.

კოსმონავტებმა ღია კოსმოსურ სივრცეში თავიდანვე აღმოაჩინეს თავისი შეცდომა – შტეკერი ნაცვლად I ბუდისა, სადაც 27 ვოლტი იყო ძაბვა, ჩართული აღმოჩნდა II ბუდეში, სადაც 7 ვოლტი ძაბვა ფიქსირდებოდა. მათ გამოასწორეს შეცდომა და მოხდა საოცრება – კონსტრუქციამ, უკვე საშტატო რეჟიმში, სწრაფად და მოხდენილად დაიწყო გაშლა. კოსმონავტები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ.

მეორე ტელეფონით მსახიობსა და რეჟისორ მერაბ თავაძეს ველაპარაკებოდი, როდესაც შეტყობინება გადმომცეს მოსკოვიდან, რომ ყველაფერი იდეალურად და ტრიუმფით მიმდინარეობდა. უცებ, ამ დღეების ყველა, ასე ვთქვათ, გადამალული ემოცია ერთად ამიფეთქდა, რაც ძალა და ღონე მქონდა მაგიდას მუშტი დავარტყი და შეეძახე – “არის! გაიშალა!!!“. გახსნა დასრულდა, დაიწყო ექსპერიმენტის სხვა ეტაპი. უკვე შეიძლებოდა მეთქვა, რომ “კოსმოსური უღელტეხილი” გადალახული იყო. წინ, კოსმოსური პროგრამის მიხედვით, კიდევ ბევრი და საპასუხისმგებლო ამოცანები იყო დასაძლევნი, მაგრამ მათი წარმატება ძირითადად ჩვენს კონსტრუქციაზე იყო დამოკიდებული, რომელიც

ამ მხრივ შესანიშნავად იყო დაპროექტებული, დამზადებული და ორბიტულ სადგურზე განთავსებული. ერთი სიტყვით, მთავარი იყო ის, რომ შემდგომ სამუშაოებში აღარ ვიყავით დამოკიდებული ორბიტული სადგურის “კაპრიზებზე”. ამ ვითარებაში დრო ვიხელთე და თანამშრომლებთან გავედი.

ძნელი წარმოსადგენია თუ რა ხდებოდა. ისინი ტიროდნენ – ეს გამარჯვებისა და სიხარულის ცრემლები იყო, თან ერთმანეთს ულოცავდნენ და ამასთან ერთად, ტელეფონზეც რეკავდნენ, რათა ემცნოთ ყველასათვის ქართველთა გამარჯვება კოსმოსში.

არადა, რუსეთის ცენტრალურმა ტელევიზიამ, სიფრთხილისა და თავის დაზღვევის მიზნით გახსნის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე, გამოაცხადა, რომ ქართულ კონსტრუქციას რუსი კოსმონავტები გახსნიან და მას სრულმასშტაბიან გამოცდებს ჩაუტარებენო. მერე კი, როდესაც წარუმატებლობის შიში უკან დარჩა და გამარჯვებას ზეიმობდნენ, ყოველ ხუთ წუთში გადმოსცემდა, რომ ქართულ-რუსული ერთობლივი ექსპერიმენტი წარმატებით მიმდინარეობს კოსმოსურ ორბიტაზე. შემდეგ გახდა ცნობილი, რომ 27 სატელევიზიო არხი 15-17 წუთის განმავლობაში პირდაპირი ეთერით გადასცემდა მთელს მსოფლიოს ქართული ობიექტის სრულ წარმატებას ორბიტულ სადგურ «მირზე».

თანამშრომლები ძლივს დავაწყნარეთ და ყველანი თავის ადგილებს დაუბრუნდით. ახლა უკვე იმის მოწმე ვიყავი, რაც მოსკოვში ხდებოდა. ქართული დელეგაციის წევრები ერთმანეთს ულოცავდნენ გამარჯვებას.

ისეთი შთაბეჭდილება შეიქნა ტელეეთერში, რომ, ასე ვთქვათ, თამაში ჯერ არც იყო დამთავრებული, გუნდი და მაყურებელი კი უკვე გარანტირებულ გამარჯვებას ზეიმობდა.

ტელეფონის აპარატთან პროფესორი, ფრენის მართვის ცენტრის უფროსის მოადგილე, ვიქტორ ბლაგოვი “ჩავიგდე ხელში”. ის პიროვნულად დინჯი ადამიანია, თანაც კოსმოსში ბევრის მნახველი, მაგრამ მღელვარებას და აღფრთოვანებას ვეღარ მაღავედა.

ბოლოსდაბოლოს შევძელი სამუშაო რიტმში გადასვლა. ექსპერიმენტი, ახლა უკვე გაშლილ რეფლექტორზე, გრძელდებოდა. რეფლექტორმა უმაღლესი კლასის შედეგები აჩვენა – მაღალი რხევის სიხშირე, ტემპერატურული დეფორმაციისადმი დიდი მედეგობა, ამრეკლი ბადის იდეალური გაჭიმვა, რეფლექტორის ზუსტი ზედაპირი და სხვა მრავალი, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა.

კოსმოსური პროგრამა დასასრულს უახლოვდებოდა. ახლა უკვე არა ჩვენი კონსტრუქციისთვის, არამედ ორბიტულ სადგურ “მირისთვის” დგებოდა მეტად საპასუხისმგებლო მომენტი. კოსმონავტებს რეფლექტორი ისე უნდა ჩამოეცილებინათ სადგურისგან, რომ რეფლექტორი არ შეჯახებოდა ან გამოდებოდა მას. სხვა შემთხვევაში საფრთხის ქვეშ დგებოდა შემდგომში თვით კოსმონავტების დედამიწაზე დაბრუნების საკითხი. ეს იმ შემთხვევაში, თუ ავარიული ანუ “არასაშტატო” ჩამოცილება რეფლექტორისა გამოიწვევდა იმ ადგილების დაზიანებას, სადაც ორბიტული სადგურისა და კოსმოსური ხომალდის შეპირაპირება ხდება. ამის პრეცედენტი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ერთხელ უკვე იყო.

დადგა განსაკუთრებული წუთები. კოსმონავტებს რეფლექტორი ორბიტული სადგურიდან უნდა ჩამოეცილებინათ. მათ მოსამზადებელი სამუშაო, როგორც იტყვიან, “ფრიაღზე” ჩაატარეს და აი ისიც – პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი – რეფლექტორი დამოუკიდებელ თანამგზავრულ ორბიტაზეა. ის იმ წუთებიდან დედამიწის

თანამგზავრად იქცა და ვალმოხდილმა, ქართველების სახელით, ტრიუმფალურად დაიწყო ნარნარი ფრენა უკიდევანო კოსმოსში.

თბილისში ტელეფონის ზარები არ წყდებოდა. მასსოვს ჯერ ჯუმბერ პატიაშვილმა დარეკა. მას განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ქართული კოსმოსური დარგის განვითარებაში. მან მომილოცა დიდი გამარჯვება და მითხრა, რომ სულითა და გულით ჩემთან ერთად არის, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, რაც სრულიად გასაგები იყო ჩემთვის, ჩვენთან ერთად ვერ გაიზიარებდა ამ დიდ სიხარულს. მადლობა გადავუხადე.

ცოტა ხნით კაბინეტში შევედი. მდივანს ვუთხარი რომ არავინ შემოეშვა. მინდოდა აღმეკვა მოვლენის რეალობა, მაგრამ შეფასებების კონცენტრაცია ვერ მოვახერხე. აზრები ერთმანეთის მიყოლებით იცვლებოდა.

ქართველებმა კოსმოსში გამარჯვებას “მოწინააღმდეგის მოედანზე” მივადწიეთ, იმ სახელმწიფოს გარემოცვაში, რომელმაც არც ახლა აპატია საქართველოს თავისუფლების გზით სიარული და დაარღვია მისი ტერიტორიული მთლიანობა. მივხვდი, რომ ქართულ კოსმოსურ ოდისეაში, გამარჯვება რუსულ ორბიტულ სადგურზე, არც თუ ნაკლები მნიშვნელობის იყო, ვიდრე თვით პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ტრიუმფი.

ფიქრები ნელ-ნელა დალაგდა. შემდეგ ღია ფანჯარასთან მივედი. გამარჯვების განცდის და სიხარულის ცრემლები წამომივიდა. ვიდექი დამშვიდებული და უფაღს მადლობას ვუხდიდი ყველაფრისთვის.

სამსახურში თავი მოიყარა ყველა გაზეთის, ჟურნალის, რადიოსა და ტელევიზიის კორესპონდენტმა, აქვე იყვნენ სხვა ქვეყნების ჟურნალისტებიც. ყველამ კარგად იცოდა თუ რა მოხდა კოსმოსში, რომ ყველაფერი წარმატებულად დამთავრდა და ახლა ჩემი, როგორც სისტემის გენერალური კონსტრუქტორის, აზრი და კომენტარები აინტერესებდათ. არ მასსოვს რა შეკითხვებს ვუპასუხე, მაგრამ ის კი მასსოვს, რომ კარგა ხანს ჟურნალისტების განკარგულებაში ვიყავი. შემდეგ “რუსთავი 2-ის” კორესპონდენტმა მთხოვა იმ საღამოს მათი სტუმარი კვლავ ვყოფილიყავი და მეც დავთანხმდი.

კოსმოსური პროგრამის დამთავრებიდან ცოტა ხნის შემდეგ, ჯერ კიდევ სამსახურში ყოფნისას, მობილურით, პრაქტიკულად ერთმანეთის მიყოლებით, დამიკავშირდნენ ჩემი კოლეგები უცხოეთიდან. მილოცავდნენ: ცნობილი მეცნიერი ამერიკიდან კერტესი, კომპანია “ლოკიიდ მარტინიდან”, ასევე, ფირმის წარმომადგენელი ევროპაში ვოტერსი. განსაკუთრებით გამოსატავდნენ აღფრთოვანებას გერმანელი მეგობრები კომპანია “დაიმლერ ბენციდან” – პროფესორები: ხორსტ ბაიერი, იოჰანეს ზემლერი, ვერნერ ხაინცმანი, კლაუს ბერგნერი და მათ შორის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყოფილი ელჩი საბჭოთა კავშირში მაიერ ლანდრუტი.

შემდეგ სახლში მივედი. აქაც განუწყვეტილად რეკავდა ტელეფონი. მოლოცვის ზარები არ წყდებოდა არც სახლის ტელეფონზე და არც ჩემი მეუღლისა და ჩემს მობილურებზე – უცნობ-ნაცნობები და მეგობრები მადლობას მიხდიდა. არადა ვერაფრით გავიგე საიდან დაადგინეს ჩემი ტელეფონები სხვადასხვა კუთხის მცხოვრებლებმა, რომლებიც ასე გულითადად მილოცავდნენ წარმატებას. მოგვიანებით კი უცხოეთში მყოფი ქართველები მიკავშირდებოდნენ მობილურ ტელეფონზე და ცრემლნარევი ხმით მილოცავდნენ იმ დიდ გამარჯვებას, რამაც მათ სიამაყის გრძნობა განაცდევინა უცხოეთში. მშობლიური კუთხის სითბო იგრძნობოდა ბათუმელების და სრულიად აჭარის წარმომადგენელთა მოლოცვებში.

იმ საღამოს “რუსთავი 2-ის” სტუდიაში უკვე სრულიად გახსნილი საუბარი მქონდა . მთელი საქართველო ხედავდა და ისმენდა იმას, რაც ამ დღეებში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის შესახებ ასე აინტერესებდათ და ასე განიცდიდნენ.

სახლში დაბრუნებისას, ასე ვთქვათ, მთლიანად დაცლილი ვიყავი – აღარც ემოცია გამაჩნდა და არც რამეზე ფიქრი შემეძლო.

მეორე დღით გადავწყვიტე ყველას და ყველაფერს გავცლოდი და წილკანში წავიდი. ერთი მანქანით მანანა და ბავშვები წავიდნენ, ცოტა მოგვიანებით კი მეც ჩავიდი. იქ ჩემი დედა და ჩემი მეუღლის დედა გველოდებოდნენ, მაგრამ ვიდრე სახლში მივიდოდი გადავწყვიტე, რომ წილკნის ღვთისმშობლის ეკლესიაში შევსულიყავი. ეკლესიაში არავინ იყო და ვილოცე მშვიდად, წყნარად და მთელი გრძნობით. ყველა ხატს მადლობა შევწირე, განსაკუთრებით კი – წილკნის ღვთისმშობლის ხატს.

ეკლესიიდან სახლში წავიდი. წილკნის ეზო ამ დროს განსაკუთრებულია. იგი ყვავილებში და სულ სიმწვანეშია ჩაფლული. მანანას დედა და დედაჩემი მეხვეოდნენ და დიდ წარმატებას მილოცავდნენ. ამ დროს მცხეთის გაზეთის კორესპონდენტი მოვიდა. მას უარი ვერ ვუთხარი და ინტერვიუზე დაეთანხმდი.

ინტერვიუს შემდეგ კორესპონდენტი გავაცილე, აივანზე გავიდი და საქანელა-სავარძელში ჩავჯექი. საოცარი სიმშვიდე დამეუფლა. ასე კარგა ხანს ვიყავი. იმ დღეს მხოლოდ ერთხელ გამახსენდა კოსმოსური პროგრამა – ეს იყო კოსმონავტების მიერ, ორბიტულ სადგურ «მირზე», ღია კოსმოსურ სივრცეში ბოლო გამოსვლა და საბოლოო ექსპერიმენტი.

ამის შემდეგ ორბიტული სადგური “მირი”, სათანადო გადაწყვეტილების მიხედვით, შემოვა დედამიწის ატმოსფეროს სქელ ფენებში და ნაწილობრივ დაიწვება, დანარჩენი კი ოკეანეში ჩაიძირება.

ნიშანდობლივია, მაგრამ მაინც ფაქტია, რომ, ჯერ ერთი, ქართული კონსტრუქცია “რეფლექტორი” დამაგრდა კონსტრუქცია “სოფორაზე”, რომლის საბაზო ნაწილი, როგორც აღვნიშნე, საბჭოთა პერიოდის საქართველოში, ჩვენ მიერ თბილისის საავიაციო ქარხანაში იქნა დამზადებული, მეორე და უმთავრესი კი ის, რომ ორბიტულმა სადგურმა თავისი ისტორია ქართული კონსტრუქციის წარმატებული გამოცდით დაასრულა. პროგრამა “რეფლექტორიდან” მოკლე დროში ორბიტალური სადგური “მირი” ატმოსფეროში შემოიყვანეს, იგი დაიწვა და ნარჩენები ოკეანეში ჩავარდა. ამით დამთავრდა საბჭოთა კავშირის ჰეგემონია კოსმოსში და ამ მოვლენის მონაწილე და უშუალო მოწმე საქართველო იყო.

თავს უფლება მივეცი და დავიწყე იმპროვიზაციები ხელოვნებასა და ქართულ კოსმოსურ ობიექტს შორის.

ქართული კოსმოსური ობიექტის ორბიტაზე ფრენის ვიდეოკადრებისათვის, ახლა უკვე საჭირო იყო ქართული ქდერადობის სიმღერა ან მუსიკა, რომელიც ჩემი ოცნებით წარმომედგინა კოსმოსურ სივრცეში გაშლილი ქართული რეფლექტორისათვის.

პირველ ვარიანტად პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ფრენის თანმხლებ ჰანგებად მაინც “მრავალჟამიერი” შევარჩიე. მისი აჟღერება მთელი საქართველოს ერთიანობის სიმბოლოა და მისი მოსმენა ყოველთვის საზეიმო ვითარებას ქმნის.

შემდეგ, წარმოვიდგინე კოსმოსში ფრენის კადრები “ქართველო ხელი ხმალს იკარ”, “ურმულის”, “აბა უნოს” და “შენ ხარ ვენახის” თანხლებით. ყოველი მათგანი კოსმოსურ

კადრებთან ერთად თავისებურ, ვირტუალურ განცდას ქმნის, რომელიც ისტორიული წიაღიდან მოდის და გარინდულ კოსმოსში გაფანტული, სამყაროს უსასრულობიდან ქართული სულის გამოძახილია.

იმისათვის, რომ ქართველებისათვის უფრო ახლობელი გამხდარიყო კოსმოსის კადრები, ისეთი მუსიკალური სიმბოლოც იყო საჭირო, რომელიც თავისთავად იწვევდა კოსმოსის ასოციაციას. და, ასეთ მუსიკალურ სიმბოლოდ შევარჩიე “ჩაკრულო”.

გავუსწრებ მოვლენებს და აღვნიშნავ, შემდგომში ანალოგიური არჩევანი გააკეთა საქართველოს ტელევიზიაში მიშა მჭედლიძემ.

ფიქრები “ჩაკრულოს” შესახებ არ იყო ორიენტირებული მარტო მის უღერადობაზე. 1977 წლის აგვისტოში, კენედის კოსმოდრომიდან გაფრინდა “ვოიჯერ-2”, რომელმაც უკიდევანო კოსმოსში წაიღო დედამიწისეული ცივილიზაციის თითქმის ყველა სიმბოლო და მათ შორის, ქართული სიმღერა “ჩაკრულოს” ფრაგმენტი. ამ საქმეში, როგორც ბატონმა ანზორ ერქომაიშვილმა მიაშობო, წველილი მიუძღვის მის მეგობარს, კოსმოსური პროგრამის ერთ-ერთ მენეჯერს ალან ლომაქსს.

საინტერესოა ისიც, რომ თვით ერქომაიშვილის ბაბუა, ისიც ცნობილი მომღერალი, ბათუმში ბაბუაჩემის – სიმონ მეძმარიაშვილის კარგი მეგობარი ყოფილა.

“ჩაკრულოს” ფაქტს თუ მაინც განვიხილავთ, აქ პირველ რიგში გადმოდის ის, რომ, როგორც აღვნიშნე, “ჩაკრულო” მოხვდა მთელი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების უძვირფასესი ნიმუშების ჩამონათვალში.

ზოგადად კი, ყოველი რადიო- და სატელევიზიო გადაცემის დროს “ჩაკრულოს”, “ოდოიას” და სხვა მელოდიების გავრცელება გაცილებით ძლიერი გადამცემებით დედამიწიდანაც ხდება და რადიოტალღები ყველა მიმართულებით უსასრულოდ ვრცელდება კოსმოსში. მათი “დაჭერა” სხვა ცივილიზაციებს შეუძლიათ, რა თქმა უნდა, თუ ისინი არსებობენ და თუ მათ სათანადო რადიომიმღები გააჩნიათ. მიუხედავად ყველაფრისა, ეს სიმბოლური ფაქტი მაინც ქართველთა თვითმყოფადობის მსოფლიო აღიარებაა.

გარდა მუსიკისა იყო, ასევე, ფილმი “შერეკილები”, სადაც ფრენის იდეა კაცობრიობის მიზანს წარმოადგენდა.

ასე რომ, ყველაფერი – “ჩაკრულო”, “მრავალჟამიერი”, “შერეკილები” და სხვა იყო იდეალიზებული, ვირტუალური გააზრება ქართული ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშების კოსმოსთან დაკავშირებისა, მაგრამ ჩვენი ისტორიისათვის უმთავრესია, საქართველოში, ქართველების მიერ შექმნილი რეალური ნაკეთობის გატანა კოსმოსურ სივრცეში. პირველმა ქართულმა კოსმოსურმა ობიექტმა ეს მისია მრწყინვალედ შეასრულა.

შემდეგ, რატომღაც გრიგორი კინტერაიაზე დავიწყე ფიქრი.

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის კონცეფციის და ძირითადი კონსტრუქციული სქემების შექმნაზე, დაპროექტებაზე, დამზადებაზე, საქარხნო და სასტენდო გამოცდებსა და ბაიკანურზე, მოსკოვის გავლით, გაგზავნაზე არც ერთი თეთრი საქართველოს ბიუჯეტიდან არ დახარჯულა.

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის შექმნისა და მისი მომზადებისათვის საჭირო მთელი თანხა ქართველმა პიროვნებამ – გრიგორი კინტერაიამ, რომელსაც იმ პერიოდში გერმანიაში ჰქონდა კომპანია და იქ მოღვაწეობდა, საკუთარი და ევროპული კომპანიებიდან გადმორიცხა არა მარტო საქართველოში, არამედ მოსკოვშიც.

ამასთან დაკავშირებით ერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა მახსენდება საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან. როდესაც გადაწყდა, რომ უკვე რეალურად ვიწყებდით სამუშაოებს პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის შესაქმნელად სხვადასხვა პოზიციის შესათანხმებლად, რომლებიც ძირითადად რუსეთის კომპანიებთან ურთიერთობას შეეხებოდა, მე და გრიგორიმ ვითხოვეთ აუდიენცია საქართველოს პრეზიდენტთან.

ბატონი ედუარდი ორივეს მხიარულად შეგვხვდა. მან საუბარი, მისთვის უკვე ტრადიციულად ქცეული, სიტყვებით დაიწყო – “ესე იგი ქართველები ნამდვილად მივფრინავთ კოსმოსში”. შემდეგ მე მკითხა – გრიგორიმ თუ იცოდა ქართული და თუ გაიგო მისი ნათქვამი. როდესაც ვუთხარი, რომ გრიგორის ყველაფერი ესმოდა ქართულად ნათქვამი, მაგრამ საუბარი უჭირდა, მაშინ ედუარდმა მითხრა – ქართულად თუ არა, მეგრულად ხომ მაინც შეუძლია მიპასუხოსო და, როგორც ჩვეოდა, გულიანად გადაიხარხარა. ჩვენ, საქართველოს პრეზიდენტს ყველა ის დეტალი გავაცანით, რაც რუსეთის მხრიდან იყო მოსალოდნელი. იგი ყურადღებით გვისმენდა. ჩვენ დავამთავრეთ. ბატონი ედუარდი ცოტა ხანს რაღაცას ფიქრობდა. შემდეგ იკითხა – რა პოზიცია აქვს “დუმას” და თუ იცოდა ამ საკითხის შესახებ პუტინმა.

მე მას მოუყევი ის ინფორმაცია, რაც მქონდა “დუმაში” შემდგარი დიალოგის შესახებ, ხოლო იყო თუ არა რუსეთის პრეზიდენტი საქმის კურსში, ჩვენ ამის თაობაზე იმ პერიოდისთვის ინფორმაცია ჯერ მიღებული არ გვქონდა.

საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს რეალობებს შეეხო და აღნიშნა, რომ მთავარია პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის კოსმოსში გატანა არ მიეწეროს მხოლოდ ერთ პარტიას ან მხოლოდ სახელისუფლებო ჯგუფს, არამედ ეს მოვლენა, როგორც ეს რეალურად ხდებოდა, უნდა გამხდარიყო მთლიანად ქართველი ხალხის საერო მონაპოვარი, რომლითაც მთელი საქართველო იამაყებდა. შემდეგ იგი ისევ ჩაფიქრდა და გარკვეული პაუზის შემდეგ გააგრძელა – რაც ვთქვი ამის საშიშროება კოსმოსში ქართული ქმნილების გატანის მხოლოდ პირველ პერიოდში შეიძლება გაჩნდეს, ვინაიდან ოპოზიცია შეეცდებოდა, სხვა საკითხების წინა პლანზე წამოწევით, ამ ისტორიული მოვლენის გადაფარვას, მხოლოდ იმ მიზნით, რომ მისმა შედეგებმა არ იმოქმედოს არჩევნებზე, შემდეგ და მით უმეტეს, მომავალში ქართული ობიექტის პირველი გაყვანა კოსმოსურ ორბიტაზე უდავოდ გახდება წარმოჩენილი ისტორიული მოვლენა საქართველოს ისტორიაში.

იმ მომენტში პრეზიდენტის ამ სიტყვებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არც მიმინიჭებია, მაგრამ შემდეგ, როცა ორბიტაზე გავიდა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი მივხვდი, რომ მისი ნათქვამი ნაწილობრივ რეალობად იქცა.

როდესაც 23-ში ობიექტი გავიდა ორბიტაზე, კანტიკუნტად, მაგრამ მაინც გამოჩნდნენ ისეთებიც, ვინც ღვარძლით უყურებდა ამ მოვლენას და მისი მნიშვნელობის შესაღაზავად ისიც კი მოიგონეს, რომ ეს იყო ფარსი, ანიმაცია, არარეალური და იგი ხელისუფლებამ მოიგონა არჩევნების მოსაგებად. 28-ში კი, როცა მსოფლიოს მრავალი ტელევიზია პირდაპირი ეთერით გადასცემდა რეპორტაჟებს კოსმოსურ ორბიტაზე რეფლექტორის წარმატებული გაშლის თაობაზე, საქართველოში კვლავ თავი იჩინა “პატარა კაცების” გესლიანმა გამოსტომებმა. უკვე აღარ ღაპარაკობდნენ მოვლენის არარეალურობაზე და მის ინსცენირებაზე, მაგრამ ზოგი მათგანი მაინც გაიძახოდა, რომ შევარდნაძემ პუტინთან

ჩააწყო და ორბიტაზე რაღაც სპექტაკლი დადგაო. ნაწილი კი მეცნიერულად ამტკიცებდა იმას, რომ ასეთი მაღალი სიზუსტით შეუძლებელია დიდგაბარიტიანი რეფლექტორის შექმნა და მის კეთებას აზრი არ აქვსო.

სიმართლე გითხრათ, არც კი მიმიქცევია ყურადღება ასეთი პოლიტიკური დაპირისპირების მოტივით თუ სამეცნიერო ქიშპით ნათქვამი სიტყვებისათვის არც მაშინ და არც მერე, როცა ზოგიერთი, მაგრამ საქმეში ჩაუხედავი, სხვა პროფესიის ადამიანები ამბობდნენ – გასაკვირია, რა უნდოდა “ზონტიკივით” გასაშლელი კონსტრუქციის შექმნას, ნუთუ ამას უცხოელები ვერ გააკეთებდნენო.

ისე კი კვლავაც ვიტყვი, რომ ჯერ ერთი, კონსტრუქციის გაშლა ეს მხოლოდ ერთი და თვალშისაცემი ნიშანია ამ კონსტრუქციისა და მას სრულყოფილების მისაღწევად ასეულობით სხვა პრობლემის გადალახვა უწევს კოსმოსში. გარდა ამისა, თუ საქართველოს ვინმე ფულს აძლევს და თხოვს, კონსტრუქცია შემიქმენიო, შენ – ქართველი ადამიანი, რატომ უნდა იყო ამის წინააღმდეგი. და ბოლოს, პირველმა ქართულმა კოსმოსურმა ობიექტმა, რომელიც ჩვენ შევქმენით, ორბიტაზე გაშლის და ფორმის ფიქსაციის შემდეგ აჩვენა ზედაპირის სიზუსტე, რომელიც საპროექტო პარაბოლოიდის ზედაპირთან შედარებით მხოლოდ 0,2-0,3 მმ განსხვავებულია.

... მსჯელობა, რომ ასეთი სიზუსტე შეუძლებელი იყო, შემდეგ წლებში გააქარწყალა ამერიკის შეერთებულ შტატებში შექმნილმა 8, 10, 12, 15 და 18-მეტრიანი დიამეტრის მქონე კოსმოსურმა რეფლექტორებმა, რომელთა საპროექტო სიზუსტე უკვე 0,1 მმ-დან 0,5 მმ-ის ფარგლებშია.

მაშინ კი, როდესაც არა ქართველმა, არამედ ამერიკელმა თქვა, რომ ასეთი სიზუსტის მიღწევა შესაძლებელიაო, საქართველოში პოლემიკა შეწყდა .

კვლავ დაეუბრუნდეთ საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრას. საუბარი გრძელდებოდა. პრეზიდენტი შეეხო კოსმოსური პროგრამისა და რეფლექტორის შექმნის დაფინანსებას. საუბარში გრიგორი ჩაერთო. მან განმარტა, რომ კოსმოსური პროგრამის – კერძოდ კი ორბიტაზე სისტემის გაყვანას და მის გამოცდასაც, ქართული პროგრამის შესაბამისად, რუსული მხარე თაობდა, რეფლექტორის შექმნის დამფინანსებელი კი გრიგორის კომპანია და სხვა ევროპული კომპანიები იქნებოდნენ.

როდესაც გრიგორიმ, ასე ვთქვათ, მოგვცა ფინანსური გარანტია, პრეზიდენტმა უთხრა – საქართველოს ახლა ძალიან უჭირს, ჩვენ პრობლემები გვაქვს მიზერული ხელფასების გაცემასაც, ხალხი სიდუხჭირეშია და ასეთ ვითარებაში, თუნდაც მცირე თანხის გამოყოფა რომ ყოფილიყო აუცილებელი ბიუჯეტიდან პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის შექმნაზე, ამას საზოგადოების ნაწილი ან ვერ გაიგებდა, ან უარყოფითად შეხედავდა. შემდეგ კი ჩვეული მასხრობით თქვა – რაც გინდათ მოხოვეთ, თანახმა ვარ წამოვიდე თქვენთან ინსტიტუტში და მოგეხმაროთ კოსმოსური ობიექტის კეთებაში, ოღონდ ფული არ მოხოვოთ და მან თანაც მასხრობით დასძინა, “კაპეიკი” არ მიდევს ჯიბეშიო.

ასე რომ, პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის შექმნა გრიგორი კინტერაიას მიერ ევროპიდან მოძიებული თანხებით განხორციელდა და ამ მხრივ საქართველოს ბიუჯეტიდან ერთი თეთრიც არ დახარჯულა.

ამ მხრივ, გრიგორის დაფასება საქართველოში არ იყო ჯეროვანი.

შებინდებად ეხოხა და ბადში დავეხეტებოდი. ამ დროს დედანჩემმა მობილური ტელეფონი მომიტანა და მითხრა – ვიღაც რუსი გკითხულობსო. გამოვართვი ტელეფონი

და გავოცდი. ტელეფონზე კინოსა და თეატრის ყველასათვის ცნობილი მსახიობი, კირილ ლავროვი მირეკავდა. “ელგუჯა ვიქტოროვი” – მითხრა მან – ახლა მოსკოვში ვარ წვეულებაზე, სადაც ჩემი ქართველი მეგობრები არიან. მათ, ჩემი თხოვნით, მოახერხეს და თბილისიდან შენი მობილურის ნომერი შევიტყვეთ. მინდა მოგილოცოთ დიდი წარმატება. დღეს ტელევიზიები ხშირად გადმოსცემენ კოსმოსურ ორბიტაზე ქართული რეფლექტორის პროგრამის წარმატებით განხორციელებას. ეს შენი და საქართველოს დიდი გამარჯვებაა, რომელსაც მთელ ქართველ ხალხს ვულოცავ. სიამოვნებით ვისხენებ, რომ ჩვენ ამ გამარჯვების სადღეგრძელო ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ, შეხვედრაზე წარმოვთქვით “დომ კინოში”. ისე კი ძალიან მინდა ვითამაშო ფილმში ახლა უკვე ქართველი კოსმოსური ტექნიკის ახალგაზრდა გენერალური კონსტრუქტორის როლიც, მაგრამ ასაკი არ მაძლევს ამის საშუალებას – უკვე ხუმრობით თქვა მან.

მას მადლობა გადავუხადე და ვუთხარი, რომ კარგი იქნებოდა თუ ჩამოვიდოდა საქართველოში და ამ გამარჯვებას ჩემი დაყენებული ღვინით აღვნიშნავდით. საუბარი ტელეფონით დამთავრდა. ვიდექი წილკნის ეზოში და ვფიქრობდი იმის შესახებ, რომ ძალიან ბევრმა პიროვნებამ მომილოცა, მათ შორის საზღვარგარეთიდან, მაგრამ კოსმოსური ტექნიკის ლეგენდარული მთავარი კონსტრუქტორის, სერგეი კოროლიოვის როლის შესანიშნავი შემსრულებელი, კირილ ლავროვი თუ მომილოცავდა ნამდვილად არ მეგონა.

როდესაც დაღამდა, მე და ჩემი მეუღლე, თბილისში წამოვედით.

მეორე დღეს, დაახლოებით 11 საათზე, საპატრიარქოდან დამირეკეს და მითხრეს, რომ დღეს, 15 საათზე პატრიარქს თქვენთან შეხვედრის სურვილი აქვს. ძალიან გამიხარდა და სიამოვნებით დავეთანხმე მოწვევას.

პატრიარქთან ადრეც მქონდა რამდენიმეჯერ შეხვედრა. მასსოვს ჩემს გერმანულ პარტნიორებთან, “დაიმლერ ბენცის” დელეგაციასთან ერთად ვესტუმრე. შემდეგ პატრიარქი დაინტერესდა გრიგორი კინტერაიათი – სოჭელი ქართველით, რომელიც გერმანიაში მოღვაწეობდა და, ამასთანავე, ჩემი პარტნიორიც იყო. გრიგორიმ, როგორც უკვე აღვნიშნე, განსაკუთრებული წვლილი შეიტანა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის შექმნის ფინანსირებაში და ორგანიზაციულ უზრუნველყოფაში. მოგვიანებით, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ თავისთან მიიწვია გრიგორი მთელი ოჯახით – ქართველი მეუღლით მარინათი და ორივე ვაჟიშვილით – ალექსანდრეთი და გიორგით I.

საპატრიარქოში დათქმულ დროზე 15–20 წუთით ადრე მივედი. მითხრეს, სტუმრის მისაღებ დარბაზში დაელოდებით პატრიარქსო. ზუსტად 15 საათზე პატრიარქი მობრძანდა. მას ქრისტიანისთვის ჩვეული წესით მივესალმე. იგი დაბრძანდა, გაიღიმა და მითხრა: “როგორ მოახერხეთ, ამ ძნელბედობის ჟამს, ქართველებმა ზეცაში გაშვება კოსმოსური ქმნილებისა”. პასუხს არ დაელოდა და, მისთვის ჩვეული დაბალი ხმით, წარმოთქვა: “თქვენ ამით საქართველოსთვის ისტორიული საქმე გააკეთეთ”. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, მან აღნიშნა: “ეს ქართველი ადამიანის და მისი საქმის ღირსეული წარმოჩენაა მსოფლიოში, მით უმეტეს, რომ საკითხი შეეხება ქმნილებას, რომელიც საქართველოდან პირველად გაიგზავნა კოსმოსში”.

მიხვდი, რომ საუბარი ახლა მე უნდა გამეგრძელებინა. რატომღაც აღვნიშნე, რომ პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ორბიტაზე გაყვანამდე და მაშინ, როცა იგი უკვე კოსმოსში იყო, დაძაბულ მომენტში უფლის ძალა მიგვანიშნებდა წარმატებების მიღწევას.

პატრიარქმა ემოციების გარეშე წარმოთქვა, რომ რაც ხდება, უფლის ძალით და წყალობით ხდება და საუბრის თემა კოსმოსში ნაკეთობის გაყვანასა და განცდილ პერიპეტებზე გადაიტანა.

შეხვედრის ბოლოს პატრიარქმა დამრიგებლური ტონით მითხრა: “ამ დღეებში გიცქეროდით ტელევიზორში და ეკრანიდან თქვენგან სიმშვიდე და კაცთმოყვარეობა გადმოდიოდა. ეს ადამიანისთვის დიდი მადლია, ამიტომ ეცადეთ ხშირად გამოხვიდეთ და ესაუბროთ ადამიანებს”.

ამ სიტყვებმა გადაფარა მის მიერ პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის შეფასება. როდესაც საპატრიარქო დავტოვე, ვიგრძენი, რომ ჩემში უფრო მეტი ემოციური მუხტი სწორედ მისმა ბოლო სიტყვებმა გამოიწვია.

საქართველოს პარლამენტში

გასაოცარი ამბავი მოხდა. როდესაც კოსმოსური ეპოპეა დამთავრდა და მეგონა, რომ ვალმოხდილი, გარკვეული პერიოდი მაინც, დავისვენებდი, სწორედ მაშინ დაიწყო გამოკვეთა იმ აზრებმა და ფიქრებმა, რაც საქართველოში ჩემს სამხედრო კარიერას – სამხედრო-საინჟინრო დარგის განვითარებას წარმოადგენდა. ფიქრები, ოცნებები და კონკრეტული გეგმები არ მტოვებდა არც ერთი წუთით. პირველ ხანებში ვცდილობდი მათ მოცილებას, მაგრამ შევატყვე, რომ ეს შემთხვევით არ ხდებოდა. კანონზომიერიც კი იყო ჩემი ცოდნა, გამოცდილება და უნარი, ახლა არა ქვეყნის პრესტიჟისაკენ, არამედ ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებისაკენ უნდა წარმემართა. მეც ბუნებრივად გავყევი “დროის დინებას” და მეგონა, რომ არაფერი შემიშლიდა ხელს ამ ახალი მიზნის განხორციელებაში. მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ. საქართველოში საპარლამენტო არჩევნები კარზე იყო მომდგარი. მმართველმა პარტიამ გადაწყვიტა, რომ დეპუტატობის კანდიდატის ახალ სახედ დავესახელებინე.

ამ რეალობას პირველად აფორიაქებული შევხვდი. ჯერ ერთი, არ მიყვარს, როდესაც ჩემ მიერ განსაზღვრული გეგმის ცვლილება ხდება და ამას ყოველთვის მტკივნეულად განვიცდი; მეორე ის, რომ პარლამენტარობა, ნაწილობრივ მაინც, შემიშლიდა ხელს სამხედრო-საინჟინრო დარგის განვითარებაში; მესამე, და ყველაზე მთავარი, ის იყო, რომ არ მინდოდა სახელისუფლებო პასუხისმგებლობა თუნდაც შეზღუდული დოზით. ამის მიზეზი კი ძალიან ბევრი იყო. ჯერ ერთი, ეს იყო ედუარდ შევარდნაძის მრავალწლიანი ხელმძღვანელობის უკანასკნელი საპრეზიდენტო ეტაპი. თავი რომ დავანებოთ განსჯას თუ როგორ განვლო ბატონი ედუარდის მმართველობის წლებმა, ქართული რეალობა იმისა, რომ დიდი ნაწილი პოლიტიკოსებისა, რომლებიც მანამდე მის გვერდით იდგნენ, ამ შემთხვევაში, თუნდაც საკუთარი კარიერის შენარჩუნებისა და გაგრძელების მიზნით, მასთან “ნავში” აღარ დარჩებოდნენ. ეს კი განსაკუთრებულ “ქარტეხილებს” უწინასწარმეტყველებდა მთელს პოლიტიკურ სპექტრს. არადა მე უბრალოდ არ შემეძლო პარლამენტში ერთი კაცის სიით შევსულიყავი და მეორე კაცის სიით გამეგრძელებინა იქ მუშაობა. ამ პრობლემას ნათლად ვხვდებოდი და ვხედავდი კიდევ.

გადაწყვეტილების მისაღებად ბევრი დრო არც მქონდა. საბოლოოდ, მაინც გადავწყვიტე დავთანხმებოდი პარლამენტში არჩევას. ვფიქრობდი, ეს ხომ ჩვენი ქვეყნის – საქართველოს პარლამენტია და ყველა გადაწყვეტილებას, მიუხედავად იმისა, თუ ვის ჯგუფში ვიქნებოდი, ისე მივიღებდი, რომ ჩემი სინდისის წინაშე პატიოსანი ვყოფილიყავი.

საერთოდ ადამიანებს მიაჩნიათ, რომ პოლიტიკის გარეშე მყოფი პიროვნება ვიყავი. არა, ეს ასე არ ყოფილა და კვლავ ვიმეორებ – ვიყავი პოლიტიკოსიც, მაგრამ არა სახელმწიფო ან რეგონალური პოლიტიკის განხრით, არამედ სამხედრო-სტრატეგიული დარგის პოლიტიკოსი. მანამდე, ვიდრე პარლამენტში ჩემი არჩევის საკითხი დადგებოდა, მთელი ოცი წელი, ჯერ საქართველოს მთავრობაში, შემდეგ კი მოსკოვში, კრემლში მინისტრთა საბჭოს სამხედრო-სამრეწველო კომისიაში ვამზადებდი და თანხლებას ვუკეთებდი სახელმწიფო გადაწყვეტილებებს, რომლებიც სტრატეგიულ-თავდაცვითი პროგრამების შექმნისა და განხორციელების საკითხებს – პირველ რიგში, დარგის პოლიტიკის საკითხებს განიხილავდა. ეს არის მისია კოსმოსური და სამხედრო-საინჟინრო

დარგის გენერალური კონსტრუქტორისა და სამხედრო მოღვაწეობისა. მე ამას პირნათლად ვასრულებდი. სწორედ ასეთი პოზიციით აიხსნებოდა ჩემი თავშეკავებულობა რეგიონალ და თუნდაც, ბევრი სუფთა პოლიტიკური საკითხების განხილვისას, რაც საპარლამენტო მოღვაწეობაში ძალიან ხშირად იყო.

ვიდრე არჩევნები ჩატარდებოდა ის მაინც მოვასწარი, რომ საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოზე გასატანად მოვამზადე საკითხი საქართველოში სამხედრო-საინჟინრო დარგის განვითარების პერსპექტივებისა და სამხედრო-საინჟინრო ტექნიკის შექმნის შესახებ. და აქაც კვლავ დიდი დახმარება გამიწია პრეზიდენტის მრჩეველმა და ძველმა მეგობარმა რევაზ მიქაბერიძემ.

საკითხის განხილვა უშიშროების საბჭოზე ოქტომბრის დასაწყისში, დილის 10 საათზე დაინიშნა. წინა დღით ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა, ბატონმა ნუგზარ საჯიამ გამომიძახა. მასთან ურთიერთობის გარკვეული ეპიზოდები ადრეც მქონდა, როდესაც უშიშროების საბჭოს თანამშრომელთან და რეზო მიქაბერიძესთან ერთად ვამზადებდი საკითხებს. იგი ჩვეულებრივზე უფრო მხიარული შემეგება. ის უკვე გაცნობილიყო განსახილველ მასალებს. შემდეგ კი მითხრა – ბატონო ელგუჯა, თუ რაიმე დოკუმენტები გაგაჩნიათ თქვენი სამხედრო მოღვაწეობის შესახებ, ძალიან გთხოვთ დღესვე მომიტანეთ. მეც, მისი კაბინეტიდან გამოსვლის შემდეგ, პირდაპირ სახლში წავიდი, ავიღე ყველა საჭირო საბუთი და დოკუმენტები ჩემი მოღვაწეობისა ჯერ თბილისში, ხოლო შემდეგ მოსკოვში და ისევ მივედი მასთან. მან, ჩემდა გასაკვირად, ძალიან დაკვირვებით დაათვალიერა მთელი მასალა და მითხრა – აღნიშნული მასალები ჩემთან დატოვეთ და გამაფრთხილა, რომ ხვალ დღით 10 საათზე სხდომაა დანიშნული.

ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა ჩვეულებრივ ზუსტად დათქმულ დროს დაიწყო. მე სიტყვით გამოვედი. უშიშროების საბჭოს სამხედროების მხრიდან ესწრებოდნენ – გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ჯონი ფირცხალაიშვილი და სასაზღვრო დაცვის დეპარტამენტის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ვალერი ჩხეიძე, ასევე, უშიშროების მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი ვახტანგ ქუთათელაძე, რომელთანაც ადრეც მქონდა საქმიანი და ამასთან მეგობრული ურთიერთობა, და შინაგან საქმეთა მინისტრი, პოლიციის გენერალ-ლეიტენანტი კახა თარგამაძე. შევატყვე, რომ მოხსენების ტექსტმა მათში დიდი ინტერესი გამოიწვია. ბევრი ტერმინი, რომელიც ვახსენე – სამხედრო მოღვაწეობის, სამხედრო ორგანიზაციის, სტრატეგიული გაშლის, ოპერატიული მოწოდების და სხვები – ან ახლებურად, ან მათთვის უცნობ ენაზე განვავრცე, რამაც მათში მოწონება დაიმსახურა. ბოლოს ვთქვი, რომ აუცილებელია საქართველოში სამხედრო-საინჟინრო აკადემიის და ასევე, სამხედრო-საინჟინრო ტექნიკის შექმნა.

აზრის გამოთქმა არავის უცდია, გარდა გენერალ-ლეიტენანტ ჯონი ფირცხალაიშვილისა. მან განსაკუთრებული შეფასება მისცა ჩემს გამოსვლას და დასძინა, რომ სასურველი იქნებოდა თუ სამხედრო-საინჟინრო აკადემიის სახელწოდება განისაზღვრებოდა – საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემია. აკადემიის შექმნა ეტაპობრივად იყო გათვალისწინებული და მას უფროსი და უმაღლესი ოფიცრების მომზადება ევალდებოდა.

ბოლოს, ბატონმა ედუარდმა წარმოთქვა სიტყვა. მან ჯერ შეაფასა წარუმატებლობა ქართული არმიისა, რომელიც სხვა ფაქტორებთან ერთად არ ფლობდა სამხედრო-საინჟინრო ხელოვნებას და ტექნიკას, კონკრეტულად კი სწრაფად ასაგებ ხიდებს.

მოიყვანა მდინარე კოდორზე ვერგადასვლის თუ არგადასვლის მაგალითი. შემდეგ, უფრო ზოგადად ისაუბრა სამხედრო-საინჟინრო განხრით – კონკრეტულად კი სამოქალაქო და სამხედრო ინფრასტრუქტურის ერთობლივ ფუნქციებზე, რასაც, ასევე, მიზნად ისახავდა ჩემ მიერ წარმოთქმული მოხსენება. თავის გამოსვლა კი იმით შეაჯამა, რომ დასვა საკითხი თავდაცვის სამინისტროს წინაშე ჩემი თავდაცვის მინისტრის მრჩეველად დანიშვნის შესახებ ჯარების საინჟინრო უზრუნველყოფის დარგში, ხოლო რაც შეეხება აკადემიას, აქ ეტაპობრივად განსაზღვრულ ყველა საკითხს დაუჭირა მხარი.

მეორე დღეს დილით ძალიან ადრე ავდექი. ჩვენ ორი მანქანით ქუთაისში წავედით – “მერსედესით” და “ლენდროვერით”. “მერსედესს” გოგი მგელაძე მართავდა და შიგ მე და მანანა – ჩემი მეუღლე ვისხედით. ლენდროვერში კი, რომელიც ცოტა მოგვიანებით გამოვიდა თბილისიდან, ისხდნენ ჩემი ერთ-ერთი მოადგილე – უშიშროების სამსახურის წარმომადგენელი და ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლები. დიდი შეკრება იყო ქუთაისის თეატრში. მთელი დასავლეთ საქართველოს საზოგადოების წარმომადგენლები და საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელობა იკრიბებოდა.

საშურს ვუახლოვდებოდით, მანქანაში რადიოს ეუსმენდით, რომელმაც ახალი ამბების გადმოცემა დაიწყო. უცებ, მე და მანანამ ერთმანეთს შევხედეთ, დიქტორი გვაუწყებდა: გუშინ გაიმართა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა. სხდომამ განიხილა საქართველოში სამხედრო-საინჟინრო დარგის განვითარების პრობლემები. მიღებულია გადაწყვეტილება აღნიშნული დარგის საქართველოში შემდგომი განვითარებისათვის დაინიშნოს თავდაცვის მინისტრის მრჩეველად გენერალ-მაიორი ელგუჯა მექმარიაშვილი და მასვე დაევალოს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის ეტაპობრივი ჩამოყალიბება და ამოქმედება. გოგის ვუთხარი, რომ მანქანა გადაეყენებინა გზიდან და გაეჩერებინა. მანქანაში მსხდომთათვის არაფერი მითქვამს ისე გადმოვედი მანქანიდან. დილის ჰაერის სისპეტაკის შეგრძნება, ხეები და ბალახიანი მდელო სასიამოვნო სიმშვიდის განწყობას ქმნიდა. იქვე ხის ძირას ჩამოვჯექი. რამდენიმე წუთს არაფერზე ვფიქრობდი, შემდეგ კი წამოვიდა ფიქრები – გადაწყვეტილება, რომელიც რადიოთი მოვისმინე, წინა დღეს იყო ჩემთვის ცნობილი, მაგრამ არც დრო და არც ვითარება არ იყო, რომ კარგად გამეახრებინა, თუ რა საქმეს მოკვიდე ხელი. ახლა კი ნათლად შევიგრძენი მთელი სიძნელე და რაც მთავარია, პასუხისმგებლობა არჩეული გზისა. ჯერ ერთი, ეს უკვე მერამდენედ, ოღონდ ახლა უკვე ქართულ შეიარაღებულ ძალებში დაბრუნებას ნიშნავდა. მეორე და ყველაზე მთავარი იყო სამხედრო-საინჟინრო დარგის ინტელექტუალური პოტენციალის შექმნა. დასახული მიზნის მისაღწევად კი, პირველ რიგში, საჭირო იყო პროფესიონალთა გუნდის ჩამოყალიბება, რაც საქართველოს პირობებში ძალიან რთულ ამოცანად მესახებოდა. ამ ფიქრებში ვიყავი, რომ თბილისიდან წამოსული მეორე მანქანაც წამოგვეწია. არაფერი მითქვამს. წამოვედი მანქანაში ჩავჯექი და სვლა განვაგრძეთ.

როდესაც ზესტაფონი გავიარეთ ამოვიღე სპეციალურად გზისთვის მომზადებული დაფა, ფურცლები, ავტოკალამი და დავიწყე თეზისების ჩამოწერა მოხსენებისათვის, რომელიც ქუთაისის თეატრში უნდა გამეკეთებინა. ასეთი მიდგომა მოხსენების უშუალოდ გამოსვლის წინ მომზადებისა ან მასში კორექტივების შეტანისა კარგა ხანია ჩვევად მაქვს.

მოხსენება, თავისი ტექსტით და გამოსვლის ფორმით, უშუალოდ კონკრეტულ შეხვედრაზე და იქ შექმნილ სიტუაციაზეც უნდა იყოს მორგებული. ამიტომ შეიძლება,

რომ მოხსენების ერთი და იგივე ტექსტი, თუნდაც ერთი დღის სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ემოციებს დაუფლებული პუბლიკისათვის, წარმატებული ან წარუმატებელი აღმოჩნდეს. სწორედ ამ ლოგიკით, მოხსენების წინ საკუთარი და მსმენელების განწყობილებიდან, ქვეცნობიერად ვგრძნობ იმ ცვლილებების აუცილებლობას, რომელიც საკუთარი გამოსვლის ტექსტში უნდა შევიტანო. ასეთი მიდგომა მოხსენების მიმართ ბუნებრივია. მისი წარმატება ვითარების შესაბამისად დამოკიდებულია საკუთარ ემოციებზე, მსმენელის განწყობაზე, შეხვედრის პათოსზე, გამოსვლის რიგითობაზე და მოხსენების გაკეთების ხელოვნებაზე.

გამოსვლის ფორმა და შინაარსი სწორედ ამით განსხვავდება სტატიის, წერილის თუ წიგნისთვის განკუთვნილი მასალებისაგან. ეს უკანასკნელი მოწოდებულია, რომ მხოლოდ თვითონ შექმნას განწყობა. გამოსვლის ტექსტის წარმატება კი მნიშვნელოვნად იმ იმპროვიზაციაზეა უფრო მეტად დამოკიდებული, რომელსაც მომხსენებელი მსმენელთა გარემოში ახორციელებს.

უფრო მეტიც, ძალიან ხშირად, უკვე მოხსენების დროს, იმის მიხედვით თუ როგორ რეაგირებს პუბლიკა, გამოცდილი მომხსენებელი ცვლის გამოსვლის შინაარსს ან გამოსვლის ფორმას.

როდესაც ფიქრი და წერა დავამთავრე, ქუთაისს ვუახლოვდებოდი. ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის აკადემიურ თეატრში, როგორც იტყვიან – ხალხის ტევა არ იყო. საზოგადოებას უკვე მოესწრო ჩემი რეფლექტორისა და სატელევიზიო გადაცემების საშუალებით ჩემი გაცნობა და ახლა ყველა ახლობლად მთვლიდა, რაც იმითაც იყო განპირობებული, რომ ხმა გავარდა, ელგუჯა მექმარიაშვილის მამა ქუთაისელია და მათი მამისეული სახლი ახლაც არის ქუთაისში. სანამ კითხვა-მოკითხვით გზა გავიკვალე თხუთმეტი-ოცი წუთი მაინც დამჭირდა, ვიდრე სტუმრებისათვის განკუთვნილ, კულისების გვერდით ოთახში მოვხვდებოდი. ოთახში ნაცნობი სახეები იყვნენ. როგორც იქ გავიგე, ბატონი ზურაბ ჟვანიაც უნდა ჩამოსულიყო შეხვედრაზე. ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს და იმერეთის ცნობილ გუბერნატორს, ბატონ თემურ შაშიაშვილს ვესაუბრე. ისინი, ერთი მხრივ, აღფრთოვანებულნი იყვნენ ჩემი “კოსმოსური მიღწევებით” და, მეორე მხრივ, ჩემი გადაწყვეტილებით დაუთანხმებოდი პარლამენტში არჩევას, რაც მათი აზრით დროული და სწორიც იყო.

შემდეგ კი დაიწყო შეხვედრა თეატრში.

დადგა ჩემი გამოსვლის დროც. როდესაც გამომაცხადეს, ხალხი ფეხზე ამდგარი და ტაშით შემეგება. მოხსენება ჩემს სტილზე მოვირგე. ქუთაისი და ქუთაისელები გულთბილად მოვიკითხე, ეს უშუალო და ადამიანური იყო, ვინაიდან ჩემი წინაპრების ქუთაისელობამ მაინც თავისი გააკეთა. ამის შემდეგ საქართველოს პოლიტიკური სპექტრის ანალიზი დავიწყო. განვმარტე, რომ ერთადერთი ძალა, რომელიც იმ დროს და იმ ვითარებაში მზად იყო შეექმნა საპარლამენტო უმრავლესობა, ბატონ ზურაბ ჟვანიას გუნდი იყო. ეს რეალურად იყო ის ახალგაზრდა და იმ მომენტში უალტერნატივო ძალა, რომელიც შემდეგ ეტაპზე უშუალო გადაცემით მიიღებდა ედუარდ შევარდნაძის მემკვიდრეობას. ეს “დასავლეთური” გუნდი, რომელსაც საზღვარგარეთ – ევროპა და ამერიკა გარკვეულ იმედისმომცემად თვლიდა, უკვე გარკვეულწილად ფლობდა სახელმწიფოს მართვის ბერკეტებს.

სიტყვით გამოსვლა დავამთავრე. დარბაზი ფეხზე ამდგარი კარგა ხანს მიკრავდა ტაშს.

შემდეგ, შემაჯამებელი სიტყვის სათქმელად, ბატონი ედუარდ შევარდნაძე მივიდა ტრიბუნასთან. ოვაციები მიწინარდა და ახლა ქუთაისის საზოგადოება ედუარდის სიტყვას ელოდა. მან კი ისევ ჩემზე დაიწყო საუბარი – რამდენიმე წუთის წინ თქვენს წინაშე წარსდგა ელგუჯა მეძმარიაშვილი. მე ვუსმინე მას და მინდა გითხრათ თუ რატომ უნდა იყოს იგი დიდ პოლიტიკაში. ამ სიტყვებს კვლავ ოვაციები მოჰყვა. შემდეგ ედუარდ შევარდნაძემ თქვა – მიუხედავად მისი ცივი უარისა ჩემს შეთავაზებებზე სხვადასხვა დროს, მე მაინც შევეცდები საქართველოს დიდ პოლიტიკაში ელგუჯას მოყვანას.

მე კი კიდევ ერთხელ, ახლა ჩემთვის, შევაფასე ის, რაც სიტყვით გამოსვლის დროს ვთქვი.

იმ მომენტსა და იმ ვითარებაში ჩემი ნათქვამი სიმართლე იყო და მიუხედავად შემდგომში მოვლენების განვითარებისა, მან თავის მიზანს მიაღწია. ყველაფერი ეს ვთქვი, მაგრამ ნათქვამში განსხვავებული ლოგიკა, მოვლენათა სხვა კუთხით შეფასება და განზოგადებული მოდელი ბატონმა ზურაბ ჟვანიამ მაინც შენიშნა. როდესაც შეხვედრა დამთავრდა, ჩვენ კი ჯერ ისევ თეატრის სცენაზე ვიყავით, იგი მომიახლოვდა და მითხრა – ბატონო ელგუჯა, მე თქვენ მარტო მეცნიერი და გენერალი მეგონეთ, თქვენ კი დასრულებულ და მეტად ორიგინალურ პოლიტიკოსად წარმოდგით დღეს ჩემს წინაშე. მან, ასევე, გამოთქვა სურვილი გაეცნო ჩემი ხედვის მეთოდისა – რასაც სიამოვნებით დავთანხმდი.

შეხვედრა დამთავრდა. ჩვენ გარეთ გამოვედით. ქუთაისში შემოდგომის წყნარი საღამო იდგა. ფეხით გავლა მომიწია. მანანას ვუთხარი და ისიც დამეთანხმა. ბაღში გავისეირნეთ, შემდეგ სკამზე ჩამოვსხედით. ამასობაში მანქანებიც მოვიდნენ და თბილისში წამოვედით.

მანქანაში სიჩუმე იყო, რომელიც შესაფერის გარემოს ქმნიდა შეხვედრის შეფასებისთვის. სიმართლე გითხრათ, ემოციებით მაინც დავიტვირთე. დღეს ხომ საქართველოს დიდ პოლიტიკაში დავიწყე სვლა. ვიცოდი, რომ ჩემი პოლიტიკური მოღვაწეობა მხოლოდ გარკვეული დროით, პარლამენტში ყოფნით იქნებოდა შემოფარგლული, მაგრამ ყველაფერი, მაინც დადებით ემოციას იწვევდა. უცებ ჩემი წარსული წამოვიდა წინა პლანზე, რომელიც მეტწილად განსაზღვრავს ან კვალს მაინც ამჩნევს პიროვნების ორიენტაციას და ქცევას რეალობასა და მომავალში. ამას შეიძლება ვერც გრძნობდე ცნობიერად, მაგრამ ქვეცნობიერში, სადაც ყველაფერი ილექება, მას ვერასდროს წაშლი. როგორც აღვნიშნე, რუსეთში 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ აღარ ჩავსულვარ. უფრო სწორად ველარ ჩავდივარ და ამის გაგება ქართველისთვის რთული არ არის. სწორედ ამიტომ ვთქვი უარი ჩემს სამუშაოზე მოსკოვში და ამას ახლა ერთი წუთითაც არ ვნანობ. მაგრამ ხომ ვთქვი, რომ ქვეცნობიერში ყველაფერი ილექება. იგი არ ქრება და ზოგჯერ, როგორც გაელვება, ცნობიერშიც გადმოდის. მოცემულ შემთხვევაში კი ეს, რუსეთს კი არა, საბჭოთა კავშირს ეხება, რომელიც ერთ დროს დიდი ამბიციების იმპერია იყო. რა დასამაღია და განცდა სახელმწიფოს წინაშე პროფესიული პასუხისმგებლობისა სწორედ საბჭოთა კავშირის პირობებში ჩამომიყალიბდა, როცა ახალგაზრდა ქართველს დამევალა სამხედრო-კოსმოსური ტექნიკის შექმნა. ეს განცდა, რომელიც ჩემს მეხსიერებაშია, მართალია უფრო იშვიათად, მაგრამ მაინც მახსენებს თავს.

როდესაც გორს გამოვცდით, მანანამ მძლოლს სთხოვა, რომ რადიომიმღები ჩაერთო. ფიქრებში გართულს, არც კი მიგრძენია როდის დამთავრდა ახალი ამბების გადმოცემა და დაიწყო მუსიკალური გადაცემა. ამ დროს რადიომიმღებში შესანიშნავ სიმღერას – რევაზ ლადიძის “თბილისოს” ასრულებდა ნანი ბრეგვაძე. ერთ მომენტში, როცა ვოკალი შეწყდა და მხოლოდ მუსიკა ჟღერდა, ჩემდა უნებურად ფიქრებში გავაგრძელე ამ სიმღერის რუსული ტექსტი:

“Расцветай под солнцем, Грузия моя,
Ты судьбу свою вновь обрела ...”

შემდეგ კვლავ ნანი ბრეგვაძის ხმა გაისმა. მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ ამ მუსიკალურმა ნაწარმოებმა, რომელიც საქართველოს ერთგვარ სავიზიტო ბარათად იქცა, შემახსენა გარდასული დრო საბჭოთა კავშირისა. არა, უფრო სწორად, კი არ შემახსენა, ვირტუალურად შემახვედა მასთან. არ დავმაღლავ და ვიტყვი, რომ ამან ჩემში გარკვეული ნოსტალგია გამოიწვია. მაგრამ ეს არ იყო ნოსტალგია საბჭოთა კავშირის მიმართ, რომელიც არც დამბრუნდება და, რომ დაბრუნდეს კიდევ იგი ჩემთვის მიუღებელია. ეს იყო ნოსტალგია ჩემი ახალგაზრდობის წლების მიმართ, ჩემი მეგობრებისა და ჩემ მიერ ნაკეთები საქმის მიმართ, რომელსაც დღესაც ვაგრძელებ უკვე სამშობლოში – საქართველოში.

... შემდეგი გამოსვლა უკვე მცხეთაში, თეატრონში მქონდა. აუარებელი ხალხი ყურადღებით მისმენდა და გამოხატავდა თავის მადლობას კოსმოსში მიღწეულ წარმატებასთან დაკავშირებით. იმ დღეს, საზეიმო ვითარებაში, მცხეთის საპატიო მოქალაქედ ამირჩიეს, რამაც ძალიან გამახარა. მცხეთა ხომ საქართველოს უძველესი დედაქალაქია და, ამას გარდა, საქართველოს კოსმოსური ტექნიკის განვითარების ძირითადი ადგილი გახლდათ, რადგან ინსტიტუტის ძირითადი ბაზები სწორედ მცხეთის რაიონში სოფელ საგურამოსთან არის განლაგებული..

დღემდე დამრჩა გარკვეული სიცარიელის შეგრძნება იმის გამო, რომ როცა მთელ საქართველოში, ყველა ქალაქი და კუთხე ცდილობდა აღენიშნა კოსმოსში გამარჯვება, თბილისის მესვეურებმა ერთხელაც არ ისურვეს, რაღაც ფორმით აღენიშნათ პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ორბიტაზე გაყვანა. არა მგონია, რომ ეს სწორი ხედვის შედეგი იყოს, მით უმეტეს, რომ თბილისელ ხალხსა და სხვადასხვა საზოგადოებრივ წრეებში ყოველთვის განსაკუთრებულ სითბოს, სიყვარულს და მადლიერებას ვგრძნობ იმასთან დაკავშირებით, რომ საქარველოს ისტორიას შეემატა ფაქტი პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ორბიტაზე გაყვანისა და წარმატებით გამოცდისა.

რაც შეეხება ქალაქის ხელმძღვანელთა მხრიდან საჯარო და არა პრივატული შეხვედრების დროს პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ორბიტაზე გაყვანის ფაქტის “არ დანახვას” – ეს მხოლოდ პოლიტიკური ქიშპის შედეგია სხვადასხვა ჯგუფებს შორის, რომლებიც მზად არიან პოლიტიკას კი არა, არამედ პოლიტიკანობას გადააყოლონ ყველაფერი, ოღონდ საკუთარი და საკუთარი პარტიის ვიწრო ინტერესები იყოს რეალიზებული.

... ზუგდიდის საზოგადოებამ შეხვედრაზე მიმიწვია. საოცრად სტუმართმოყვარენი არიან მეგრელები. მათ დიდი ინტერესით და საფუძვლიანად გამომკითხეს იმის შესახებ თუ რა ხდებოდა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის მომზადების, გაშვების და კოსმოსში პროგრამის შესრულების დროს. შემდეგ ჩემს წარმომავლობას შეეხნენ.

ანტერესებდათ თუ საიდან იყვნენ ჩემი წინაპრები. მეც ავუსხენი, რომ ჩემი წინაპრები იმერეთის აზნაურები იყვნენ, დედა კი იმერეთისა და გურიის საზღვარზე მდებარე სოფელ გორმადლიდან იყო. მე ბათუმში დავიბადე და გავიზარდე. შეხვედრაზე, როგორც იტყვიან, ყველაფერი თავის ადგილზე იყო, მაგრამ ვატყობდი მასპინძლებს, რომ რაღაც აკლდათ, ჩემი მონაყოლით ვერ დაკმაყოფილდნენ. შემდეგ ბანკეტი გამართეს. სუფრა ტრადიციული მეგრული კერძებით იყო სავსე. მე ვიკითხე, ეს სულგუნი აბაშის ხომ არის-მეთქი. ერთმა მასპინძელმა კი შეკითხვა შემომიბრუნა – თქვენ საიდან იცით აბაშის სულგუნიო? მე ვუთხარი, რომ პატარაობისას, ჩვენი კარის მეზობლები, მეგრელები, აბაშიდან იყვნენ. როგორც ერთი ოჯახი ისე ვცხოვრობდით. ქალბატონი შურა თოფურია ძუძუსაც მაწოვებდა და მეგრული საჭმელების სიყვარული იქიდან მომყვებოდა. ამის თქმა და სუფრის გამოცოცხლება ერთი იყო. თამადა ფეხზე წამოდგა, სასმისი ღვინით შეავსო და იქ მყოფთ მიმართა – ხომ მაინც დავადგინეთ, რომ ამ შესანიშნავმა პიროვნებამ კოსმოსში იმიტომ გაიმარჯვა, რომ მისთვის მეგრულ ქალს უწოვებია ძუძუო. საოცარი კუთხეა სამეგრელო და საოცარი ხალხია მეგრელები. მათთან ურთიერთობა სასიამოვნო და საპასუხისმგებლოცაა.

არჩევნების წინ ერთი ეპიზოდი მოხდა, რაც ძალიან დამამახსოვრდა. ჩემთან მოვიდა ოლიმპიური ნაკრების ყოფილი წევრი ბეჟან ხურციძე. იგი რამდენიმეჯერ იყო პარლამენტის დეპუტატი. მან მითხრა, რომ ქართული კოსმოსური ობიექტის გაშვების შემდეგ, ასლან აბაშიძეს ჰქონდა სურვილი შემხვედროდა, როგორც ბათუმელს, რაღაცნაირად აღენიშნა ეს მოვლენა და სკოლისათვის ან ქუჩისათვის ჩემი სახელიც კი დაერქმია. არ ვიცი რამდენად მართალია, მაგრამ შემდეგ ისიც გავიგე, რომ ბათუმის წრეებში თითქოს გამოითქვა სურვილი, რომ პიონერთა პარკისთვის პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის სახელი დაერქმიათ და იქ რეფლექტორისათვის მემორიალური სკულპტურაც დაედგათ. არ ვიცი, ეს მართალი იყო თუ აგორებული ჭორები, მაგრამ ასეთი ხმები ნამდვილად იყო. ეს თავისთავად სასიამოვნო მოვლენა იყო, მაგრამ მას პოლიტიკური ელფერიც დაჰკრავდა. მე ეს მომენტი ნაწილობრივ ასე ავსხენი და თუ ეს ასე არ იყო, მაშინ მაპატიოს ბატონმა ასლანმა. ჩვენი შეხვედრა არ შედგა.

მიუხედავად იმისა თუ რა და როგორ იყო, ბათუმელების მხრიდან დაფასება ყოველთვის ძალიან მახარებს, რადგან მასში მაინც ვგრძნობ მშობლიური მხარის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას თავისი მხარის ადამიანებისადმი, რომელიც ამ ულამაზეს და ადამიანების პატიოსნებით გამორჩეულ კუთხეს ყოველთვის ახასიათებს.

ამას ბავშობაშიც ვგრძნობდი. სკოლა, რომელშიც ვსწავლობდი, ისრაფილ ჯინჭარაძის სახელობის ქუჩაზე მდებარეობდა. პირველად მაშინ შევიგრძენი იმ მაღლიერების გრძნობა, რაც ბათუმელებს ჰქონდათ თავისი მკვიდრის, მფრინავის, საბჭოთა კავშირის გმირ ისრაფილ ჯინჭარაძის ხსოვნისა და სახელის მიმართ.

... ასეთ განცდებში – ჯერ ერთი, ქართული კოსმოსური ობიექტის ტრიუმფით, მეორე, საპარლამენტო არჩევნების ემოციებით და მესამე – სამხედრო-საინჟინრო დარგზე ფიქრით აღმოჩნდი საქართველოს პარლამენტში. სადაც პირველ ეტაპზე სამხედრო მრეწველობის ქვეკომიტეტის თავმჯდომარედ დამნიშნეს.

საპარლამენტო არჩევნების გაგრძელება იყო პრეზიდენტის არჩევნები. ეღუარდ შევარდნაძემ წინასაარჩევნოდ შეკრიბა თავისი გუნდი. სხდომა მთავრობის სახლში ჩატარდა. მნიშვნელოვანი საკითხი იყო, თუ ვინ იქნებოდა პრეზიდენტის არჩევნების

“დარბაზის” ხელმძღვანელი. ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტად პირველი არჩევის დროს, “დარბაზს” ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი ვანო კიღურაძე, რომელიც აქტიურია, როგორც მეცნიერებაში, ისე, საზოგადოებრივ საქმიანობაში. ედუარდ შევარდნაძემ მეორე არჩევნების დროს გადაწყვიტა, რომ ახლა მე გაემხდარიყავი “დარბაზის” ხელმძღვანელი. ედუარდის პოზიცია მთლიანად გაიზიარა ზურაბ ჟვანიამ, რომელიც შევარდნაძის საარჩევნო შტაბის უფროსი იყო.

დაიწყო “სახალხო დარბაზის” გასვლითი სხდომები საქართველოს ყველა კუთხეში. სხდომებს და შეხვედრებს ვატარებდი ყველა ქალაქსა და თითქმის ყველა რაიონულ ცენტრში, ვხვდებოდი სოფლის მოსახლეობას, ხშირად ვიყავი სტუმრად საქართველოს სხვადასხვა მხარეში მცხოვრებთა სახლებში. “დარბაზის” შემადგენლობა, რომელიც მთელი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მართავდა შეხვედრებს, საკმაოდ სოლიდურად გამოიყურებოდა. აქ ბევრი წარმატებული პიროვნება იყო. მათ შორის “დარბაზის” თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი შალვა ნატყებია, რომელიც საქართველოს სინამდვილის ცოცხალი მატანია.

უნდა ვთქვა, რომ შეხვედრებისას ვგრძნობდი განსაკუთრებულ სიყვარულს და პატივისცემას, რაც პირველ რიგში, გამოწვეული იყო ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ორბიტაზე გაყვანით და ამ მოვლენისადმი ხალხის დიდი ემოციებით და სიამაყის გრძნობით.

... პირველმა წელმა პარლამენტში მშვიდად ჩაიარა. ასე ვთქვათ, პოლიტიკური სცენების მხრივ, რეპეტიციები მხოლოდ კულუარებში მიმდინარეობდა და საქართველოს დიდ პოლიტიკურ სცენაზე არ ჩქარობდა გამოსვლას. როგორც აღვნიშნე, ჯერ სამხედრო მრეწველობის ქვეკომიტეტს ვხელმძღვანელობდი, მაგრამ ვითარება შეიცვალა და ახლადშექმნილი ფრაქციის თავმჯდომარედ ამირჩიეს. ფრაქციას პარლამენტში ზედმეტსახელად “ინტელექტუალურს” უწოდებდნენ. მის შემადგენლობაში, საქართველოში წარმოჩენილ პიროვნებებთან ერთად ვიყავით ცხრა მეცნიერებათა დოქტორი და მათგან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ოთხი წევრი. მათთან მუშაობა “არ იყო ძნელი”, ვინაიდან მათ ყველა საკითხთან დაკავშირებით თავისი აზრი და პოზიცია წინასწარ ჰქონდათ ჩამოყალიბებული და მისი შეცვლა თითქმის არავის შეეძლო.

ერთ დილას პარლამენტში, ჩემს კაბინეტში კანონპროექტზე ვმუშაობდი. მობილურმა ტელეფონმა დარეკა. პრეზიდენტის მდივანი, ქალბატონი ცისანა მირეკავდა და მითხრა, რომ პრეზიდენტი დამელაპარაკებოდა ... ცოტა ხნის შემდეგ ტელეფონში ბატონი ედუარდის ხმა გაისმა – ელგუჯა, სულ ახლახან რუსეთის პრეზიდენტის, პუტინის წერილი მივიღე. იგი გვილოცავს გამარჯვებას კოსმოსში, აღნიშნავს საქართველო-რუსეთის თანამშრომლობის ეფექტურობას და მადლობას მიხდის ქართველებთან ერთად რუსების გუნდის საქართველოს ჯილდოებით აღნიშვნისათვის ... ცოტა ხანს დუმდა, ეტყობოდა, რომ წერილი იქვე ედო, კითხულობდა და იქვე იძლეოდა კომენტარებს. შემდეგ გააგრძელა ... ისე ვლადიმირ ვლადიმეროვიჩი თავაზიანად კი გვეუბნება უარს ახლო მომავალში შემდგომ თანამშრომლობაზე. ამბობს, რომ კოსმონავტიკის დარგში რაღაც სიძნელეები აქვთ ... გარკვეული ხნით შეჩერების შემდეგ, უკვე სერიოზული ტონით წარმოთქვა – დამაფიქრებელია რუსეთის პოზიცია თანამშრომლობის გადავადებაზე. შემდეგ კი თავის თავს დაუსვა კითხვა. ხომ არ ნიშნავს ეს პერსპექტივაში მოსალოდნელ კიდევ უფრო გამწვავებას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში. ბოლოს უკვე უხალისოდ

მომილოცა ის ფაქტი, რომ რუსეთის პრეზიდენტმა დადებითად აღნიშნა კოსმოსური პროგრამა. საუბარი დამთავრდა. მობილური ტელეფონი მაგიდაზე დავდე. კანონპროექტზე მუშაობა აღარ გამიგრძელებია. იმ მომენტში იმაზე უფრო ვფიქრობდი, თუ როგორი ბუნების იყო ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკური ალლო – კოსმოსთან დაკავშირებული წერილის შედგენის ლოგიკით იგი ცდილობდა დაენახა მისი ავტორის, პოლიტიკოსის, პუტინის სამომავლო მიზნების და ხედვის არეალი. ამბობენ ზღვის ერთი წვეთი იმავე შემადგენლობისაა, როგორც მთლიანად ზღვაო. მაშინ რა გასაკვირია, რომ პოლიტიკოსის თუნდაც კონკრეტულ საკითხზე დაწერილ წერილში შეიძლება ამოიკითხო აზროვნების ის ტენდენციები და მიმართულება, რომელსაც მისი ავტორი მთლიანად სახელმწიფო პოლიტიკაში ატარებს.

... პარლამენტში ჩემი ფრაქციის წევრები ვიყავით შეკრებილნი. სხდომის დაწყებას ველოდებოდით. ლაპარაკი ჩამოვარდა ჩემ მიმართ ერთი კრიტიკული საგაზეთო სტატიის შესახებ. სტატიის ავტორი, ჟურნალისტი თელიდა, რომ პარლამენტში ჩემი გამოსვლა კანონპროექტთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოში ბენზინის მოხმარებასთან იყო დაკავშირებული, არ იყო პროფესიულად გააზრებული. ჩაფიქრდი და ვიხსენებდი რა ვილაპარაკე ჩემს გამოსვლაში ისეთი, რომ ჟურნალისტმა “არაპროფესიულად” შეაფასა. ფრაქციის წევრებიდან ჩვენთან ერთად პარლამენტის წევრი, პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანიც იყო. მან ერთი ამოიხვნეშა და თქვა – ბიჭო რას ჯავრობ, საქართველო და ქართველები მსოფლიოში ასახელებ, მაგრამ ჩვენ ხომ ქართველები ვართ და არ ვიცით ქართველი კაცის დაფასება და არც მისი საქმის შეფასებაო. აი შენ, რომ სხვა ერის კაცი ყოფილიყავი, თუნდაც ჩვენი ძმების წარმომადგენელი – სომეხი და კოსმოსში გაგემშვა შენი ქმნილება, აი მაშინ გენახა, როგორ დაგაფასებდნენ და როგორ გატარებდნენ ხელის გულზე. შენ კი აქ რაღაც სისულელეზე ჩაფიქრდი, დაანებე მაგას ძმაო თავი, შენ სულ სხვა მისწრაფების შესახებ იფიქრო.

ამის შემდეგ, 2003 წლის 30 ივლისს, მან ლექსიც კი დაწერა ამ თემაზე, რომელიც გაზეთ “საქართველოს რესპუბლიკაში” გამოქვეყნდა.

სინათლე თანამზაპრისა

ელგუჯა მეძმარიაშვილს

ყველაფერი გულს ეთქმის,
უნდა გულს უყვარდე,
მე არ ვამბობ, რუსს-მეთქი,
შენ რომ სომეხს ჰყავდე,

დედამიწას დაშლიდა,
სიყვარულით დღეთა,
აგიყვანდა ცაში და
დაგტოვებდა ღმერთთან.

ჩვენთან კაცი ვის ახსოვს,
რა ეშმაკად ღირხარ?
არცა გცნობენ ძვირფასო,
არც იციან ვინ ხარ.

მისხალ-მისხალ-მისხალო,
შხამს ბოროტი მაღავს,
“არა, არ გაიხსნაო” –
უხაროდა მაგანს.

ბოლოს, ლოცვად გაიხმა –
ისიც, მისხალ-მისხალ,
მაინც, მაინც გაიხსნა –
დაამარცხა რისხვა.

ცაში მღერის სიმართლე
შენი დიდი ქვეყნის,
მჯერა, უფლის სინათლე
ერთ დღეს ერთად შეგვეყრის.

ეროვნული განძისა
სიყვარული შეგვეკრავს,
რეკავს ზარი ტაძრისა,
რეკავს, რეკავს, რეკავს!

ჯანსუღ ჩარკვიანი
2003 წ. 30 ივლისი.

... ამ დროს, ევროპულმა კოსმოსურმა სააგენტომ, სატენდერო სამუშაოს გამოცხადებასთან დაკავშირებით, წამოაყენა იდეა – პროექტს საფუძვლად ქართული რეფლექტორის კონსტრუქცია უნდა დადებოდა. ეს ჩემთვის განსაკუთრებული ღირსების საქმე გახლდათ. ამ საკითხის ინიციატორი იტალიური კომპანია “ალენია აეროსპაციო” იყო. თბილისში ჩამოვიდა იტალიის დელეგაცია, ფირმის ხელმძღვანელის – ბატონ ვირილიოს მეთაურობით და იტალიის ვაჭრობის მინისტრის მოადგილის თანხლებით. შეხვედრების შემდეგ ისინი ბატონ ზურაბ ჟვანიამ მიიღო საქართველოს სახელით. მათ შორის გუგლია საუბარი შედგა, რადგან ამ შეხვედრის მთავარი მოქმედი პირი მე გახლდით, ეს აადვილებდა საუბრის თემას.

მახსოვს, დელეგაცია აეროპორტში გაცილების შემდეგ, პარლამენტში დაებრუნდი. მითხრეს, რომ ბატონი ზურაბი მიბარებდა და მეც დაუყოვნებლივ შევხვედი მას. ზურაბმა ფრთხილად და მინიშნებებით დაიწყო საუბარი მომავლის გეგმებზე, სადაც ჩემი ადგილი და როლი უნდა გამომეკვეთა. ამ საკითხში კი მისი სრული მხარდაჭერის იმედი უნდა მქონოდა. ეს იყო ფრთხილი და ჭკვიანი პოლიტიკოსის მიერ წარმომებული საუბარი პოლიტიკოსის მიზიდვისა თავის პოლიტიკურ გუნდში. ამ შეხვედრის დროს მე არ ვიყავი გულახდილი. უფრო სწორად – დავმალე ის აზარტი და სურვილი პოლიტიკაში ღირსეულად წარმოჩენის შესაძლებლობისა, რომელიც მან ფაქტობრივად შემომთავაზა. მე წინ, შეიძლება ნაკლებად ეფექტური, მაგრამ, უფრო შრომატევადი სამუშაო მელოდებოდა – ეს იყო საქართველოში სამხედრო-საინჟინრო დარგის განვითარებისათვის მოდგაწეობა და რა თქმა უნდა, ახალი კოსმოსური სისტემების შექმნა – ამ საქმეს ვერ მივატოვებდი და ვერ ვუღალატებდი. ამის შესახებ მას კი პირდაპირ და დაუმალავად ვუთხარი. ზურაბმა იგრძნო, რომ ჩემი პოლიტიკოსობით დაინტერესებით არაფერი გამოვიდოდა, საუბრისას დიდი პაუზა გააკეთა. შემდეგ კი, თითქოს დაწყებულ წინადადებას აგრძელებს ისე წარმოთქვა – ელგუჯაა შენ შენი საქმის ნამდვილი პროფესიონალი და ამსთან ერთგული

ხარ და თუ რამეში საჭირო ვიქნები, იცოდეთ აუცილებლად დაგიჭერ მხარსო. შემდეგ კი, საუბარი ჩვეულებრივ ტონში გაგრძელდა და იტალიელებთან ჩემს სამომავლო პერსპექტივებზე ცოტა ხანს ისაუბრა.

იმ პერიოდში კვლავ წინა პლანზე წამოვიყვანე იდეა იმის შესახებ, რომ საქართველოს, საერთაშორისო სამეცნიერო, ტექნოლოგიური და კომერციული თანამშრომლობით შეექმნა, ახლა უკვე ახალი თაობის სატელეკომუნიკაციო თანამგზავრი, რომლის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი იქნებოდა მისი აგება დიდი გასაშლელი რეფლექტორული ანტენების ბაზაზე. ეს იდეა მაშინ და ახლაც პროგრესულ მიმართულებად განიხილება კოსმოსური ტექნიკის დარგში, რადგან სატელეკომუნიკაციო თანამგზავრის უმთავრესი თვისება დედამიწიდან ინფორმაციის მიღება და დედამიწაზე ინფორმაციის გაგზავნა, დიდგაბარიტიანი გასაშლელი რეფლექტორით გაცილებით დიდი მოცულობით და მაღალი სიზუსტით ხდება.

ქართული სატელეკომუნიკაციო თანამგზავრის შექმნის იდეას, დიდ პრაქტიკულ ფონს უქმნიდა საქართველოს ინიციატივით, ისტორიული “დიდი აბრეშუმის გზისთვის” ახალი ფუნქციის მინიჭება, რასაც დაემატა საქართველოზე გამავალი ნავთობის და გაზის სტრატეგიული მაგისტრალები. ერთი სიტყვით საქართველოს შექმნილი ყოველივე ამასთან ერთად, ზემოხსენებულ კომუნიკაციისა და ინფრასტრუქტურის ოპერატიული მართვისათვის შეექმნა სატელეკომუნიკაციო თანამგზავრი. იგი ასევე დამატებით კომერციული მოგების დიდ შანსს იძლეოდა ინტერნეტის, რადიოსა და ტელევიზიის მომსახურებასთვის. ეს მაშინ, როდესაც თურქეთს და აზერბაიჯანს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ თავიანთი სატელეკომუნიკაციო თანამგზავრები.

ამ მიზნით, თბილისში, 2000 წლის 28-30 მარტს ჩავატარე საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია “აბრეშუმის გზის კოსმოსური სატელეკომუნიკაციო თანამგზავრი”. კონფერენციამ არნახული ინტერესი გამოიწვია საერთაშორისო კოსმოსურ წრეებში, რომელთა შორის გამორჩეული იყო იტალიური კომპანია “ALENIA AEROSPAZIO”. მან განსახილველად წარმოადგინა პაკეტი სატელეკომუნიკაციო თანამგზავრის ქართული ტექნოლოგიების ბაზაზე შექმნისა და მისი ეკონომიკური შეფასებები. კონფერენციაზე ასევე ნოვატორული იდეით გამოვიდა, წარსულში რუსეთის კოსმოსური კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი როალდ საგდევი, რომელიც უკვე ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეა და მოხსენებაც ამერიკის სახელით გააკეთა. სხვათა შორის, მისი მეუღლე ამერიკის ექსპრეზიდენტის ვიზენჰაუერის შვილიშვილი გახლავთ.

ერთი თვის შემდეგ “აბრეშუმის გზის სატელეკომუნიკაციო თანამგზავრის” ქართული ტექნოლოგიით შექმნის საკითხი გერმანულმა კომპანია “DAIMLER-CHRYSLER AEROSPACE”-მ და “ALENIA AEROSPAZIO”-მ განიხილეს ჰოლანდიაში გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე.

ერთი სიტყვით საქმე რეალურ შედეგამდე მიდიოდა. 2001 წლის აგვისტოს დასაწყისი იყო, როცა პრეზიდენტმა დამიბარა. მეგონა საუბარი საპარლამენტო საკითხს შეეხებოდა, მაგრამ შევცდი. ედუარდ შევარდნაძემ მოსვლისთანავე სათათბირო მაგიდასთან მიმიწვია და ორი დოკუმენტი გადმომცა. ერთი დოკუმენტი კომპანია “ALENIA SPAZIO”-ს შეფის ჯუზეპე ვირილიოს წერილის დედანი იყო, მეორე კი მისი ქართული ვარიანტი. მასში საქართველოსთვის ორი მეტად მნიშვნელოვანი სიახლე იყო. პირველი ის, რომ “ALENIA SPAZIO” ამცნობდა პრეზიდენტს, ქართული კოსმოსური ტექნოლოგიის ბაზაზე, ევროპული კოსმოსური სააგენტოს სატენდერო პროგრამის მოგების შესახებ და მეორე ის, რომ

“ALENIA SPAZIO”, აგრეთვე ქართული მხარის მხარდაჭერით, დაამზადებდა თანამგზავრს “დიდი აბრეშუმის გზისათვის”.

ბატონმა ედუარდმა მითხრა – ელგუჯა შენ ამის შესახებ ალბათ უფრო მეტი იცი ვიდრე აქ არის დაწერილი. სიმართლე გითხრა გახარებულზე უფრო გაოცებული ვარ. ნუთუ ეს ყველაფერი რეალობაა. დიას ბატონო ედუარდ – ვუპასუხე – ახლა ყველაფერი საქართველოს არა მარტო სამეცნიერო მხარის სრულ მობილიზაციაზეა დამოკიდებული, არამედ სახელისუფლებო სტრუქტურებზე, რომლებმაც, მოცემულ მომენტში, ოპერატიული და სწრაფი რეაგირება უნდა გააკეთონ აღნიშნული კომპლექსური საკითხების უზრუნველყოფისთვის.

მეგონა რომ პრეზიდენტი, უფრო დეტალურად დაინტერესდებოდა რას შეეხებოდა სახელისუფლებო უზრუნველყოფა, მაგრამ იგი ამას აღარ შეხებია, მე კი მითხრა - ელგუჯა, ამ საკითხს მთავრობის უახლოეს სხდომაზე გავიტან. იგი განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია. სხდომაზე მეცნიერებსაც მოვიწვევ და თქვენი დაჯილდოების საკითხსაც დავაყენებო. ბოლო სიტყვებმა ჩემში რაღაც სხვანაირი რეაქცია გამოიწვია. მან ეს შეამჩნია და მითხრა – შენ რა წინააღმდეგი ხომ არ იქნები დაჯილდოების.

ბატონო ედუარდ, ვუთხარი მე – წინასწარ მინდა მადლობა გადაგიხადოთ იმ სურვილისათვის, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით ჩემი თანამშრომლების დაჯილდოებას აპირებთ. მათ თავისი მონდომებით და შრომით ეს დაიმსახურეს. რაც შემეხება მე, ჯერ ერთი უკვე დაჯილდოებული ვარ, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით, და მეორე ის, რომ წერილში დასახული მიზნების განხორციელება ახლა იწყება. წინ დიდი სიმძვინვარება არის მოსალოდნელი, თვით საქართველოს სახელისუფლებო სტრუქტურებიდან, ამიტომ ჯობია, რომ ჩემი დაჯილდოება გადაიდოს მიზნის მიღწევამდე. ედუარდი ჩაფიქრდა. შემდეგ გაელიმა და მითხრა – შენს წინადადებაზე ვიფიქრებო.

მოგვიანებით სხდომა ჩატარდა. მას ასევე ესწრებოდნენ მეცნიერები და საზოგადოების გამოჩენილი პირები. ედუარდ შევარდნაძემ აღწერა სიტუაცია და განიხილა წერილში ჩამოთვლილი წინადადებები. ჩემი თანამშრომლების დაჯილდოების საკითხის მომზადება ბატონ პეტრე მამრადეს დაევალა. ჩემზე კი თქვა – გასაოცარი პიროვნებაა ელგუჯა. იგი წარმატებით მოღვაწეობს ქვეყნის სახელით საერთაშორისო არენაზე, გამარჯვებებს აღწევს და სანაცვლოდ არაფერს ითხოვს.

იტალიელებთან პირად საუბრებში გაირკვა, რომ საქართველოს, თანამგზავრის შექმნაში და ორბიტაზე გაყვანაში, რომელიც დაახლოებით 250 000 000 დოლარი ჯდება, წილობრივი მონაწილეობის ნიშნად, მხოლოდ მინიმალური თანხა – 250 000 ლარი უნდა გადაეხადა. ამასთან, სატელეკომუნიკაციო თანამგზავრის ფუნქციონირების შედეგად მიღებული მოგების თანხის 35%-ს მიიღებდა. არ ვიცი ოფიციალურ დონეზე ეს მოთხოვნები შეიცვლებოდა თუ არა, მაგრამ ამისათვის საქართველოს ხელისუფლება მზად უნდა ყოფილიყო. აქ კი, მიუხედავად საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის აქტიური ქმედებებისა, საქართველომ ამ წინადადების მიმართ “დატორმუხება” დაიწყო. ვგრძნობდი, რომ საქართველო კვლავ არ იყო მზად შეექმნა თავისი საატელეკომუნიკაციო თანამგზავრი. იგი, უმეტეს შემთხვევაში კომერციას მხოლოდ წარსულის ტექნოლოგიებში ხედავდა. საქართველო ჯერ კიდევ ვერ გახდა კოსმოსური ტექნოლოგიების თანამონაწილე, რაც ასევე იგრძნობოდა საერთაშორისო დონეზე.

ამაში კიდევ ერთჯერ, ახლა უკვე სიმბოლურად დავრწმუნდი. 2002 წელს კემბრიჯში გაიმართა მსოფლიო მასშტაბის სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც კოსმოსურ თემატიკას დაეთმო. ამ კონფერენციის ლოგო გახდა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის კოსმოსში ფრენის კადრი, რომელიც კონფერენციის ინიციატორს, პროფესორ Tom Bowling-ს, მისი თხოვნის შესაბამისად, გადაეცა. კონფერენცია ჩატარდა. მან ამისათვის მადლობის წერილი გამომიგზავნა, რომელიც სამი თვის დაგვიანებით მივიღე. მიზეზი მარტივი აღმოჩნდა. მის თანამშრომელს, რომელმაც წერილის ტექსტი შეადგინა, ვერ წარმოედგინა, რომ კოსმოსური კონსტრუქციის ავტორი საქართველოდან იყო. ამიტომ წერილის ადრესატის გვერდით მიაწერა USA. მან იგულისხმა, რომ კოსმოსური სისტემის ავტორი ამერიკიდან, ჯორჯიის შტატიდან იყო. წერილი ამერიკაში გაგზავნა. ამერიკელებმა კი, იმის მიხედვით, რომ Tbilisi-ც იყო მოხსენიებული, წერილი საქართველოში გადმოგზავნეს.

ახლა კი იტალიელების მიერ დაწყებული საქმე ანალიზს და დაფიქრებას მოითხოვდა. “ალენია აეროსპაციოსთან” განსაკუთრებით ძლიერი პოზიცია მქონდა. გამორჩეული იყო ჩემი და მექანიკური განყოფილების უფროსის ლორენცო შალინოს ურთიერთობა. სწორედ “ალენია აეროსპაციომ” მოხოვა წინადადების დასაბუთება, რეფლექტორის შესახებ მე მომემზადებინა და ჩემი გამოგონებების ნუსხაც წარმომედგინა, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების და მეპატრონის წარმოჩენისათვის იყო საჭირო. 2001 წელს იტალიაში ოცმილიონიანი ევროს ღირებულების ტენდერი მოვიგეთ. სამუშაოში ქართველი სპეციალისტების გარდა კიდევ მრავალი ქვეყნის – იტალიის (“ALENIA AEROSPAZIO”), ესპანეთის (“SENER”), შვეიცარიის (“HTS”), რუსეთისა (PKK «Энергия») და ავსტრიის (“MAGNA”) – სპეციალისტები იყვნენ გაერთიანებული. დაიწყო დიდი სამუშაოები, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ ან შეიძლება ითქვას, რომ საკუთარ ინტერესებზე გათვლილი გამონაკლისი და რუსეთისა და იტალიის სპეციალისტებმა ქართული ანტენის გამარტივებული ვარიანტის დამზადებას დაუჭირეს მხარი, რომლის დამზადება სამჯერ უფრო იაფი ჯდებოდა, მაგრამ საექსპლოატაციო თვისებებით გაცილებით ნაკლები მანევრებლუბი ჰქონდა, იმ “რეფლექტორთან” შედარებით, რომელიც კოსმოსში გამოიცადა და რომლის “გავეროპელებისათვის” ევროპულმა კოსმოსურმა სააგენტომ დააფინანსა ტენდერი. ამან ფაქტობრივად ჩემი უარყოფითი პოზიცია განსაზღვრა მთელი შემდგომი სამუშაოების მიმართ.

ამას დაემატა PKK «Энергия»-ს მხრიდან ისეთი სვლები, რომლებიც ასუსტებდა არა მარტო ქართულ სამეცნიერო ზეგავლენას პროექტზე, არამედ ახალი სისტემის შექმნაში წარმოაჩენდა მათ დაუმსახურებელ პრიორიტეტს. ამასთან რეფლექტორში შეტანილი უაზრო ცვლილებები მთელ შემდგომ სამუშაოს პერსპექტივას უკარგავდა. არ ვიცი ამას გრძნობდა, თუ არა უცხოეთი, მე ვხედავდი, თუ საით მიდიოდა მთელი სამუშაოები, ამიტომ ყველასაგან მოულოდნელად, საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის სახელით უარი ვთქვი პრაქტიკულად ჩვენს მოგებულ ტენდერში სამუშაოთა გაგრძელებაზე.

როცა ევროპელებთან საქმიან ურთიერთობაზე ვფიქრობ, ერთ ჩემთვის მეტად საინტერესო დასკვნას მინდა შევეხო. ეს არის ურთიერთობები გერმანელებთან და იტალიელებთან. პირველ შემთხვევაში ერთობლივი სამუშაო იწყება დიდი ინერციულობით, ძალიან მძიმედ. პარტნიორები ფრთხილობენ და გაკვირდებიან. დროთა განმავლობაში,

როცა ინერცია ნელ-ნელა დაძლეულია, გერმანელი პარტნიორები უკვე მეგობრებად იქცევიან. მათთან სამუშაო შესანიშნავად მთავრდება და შემდეგ მეგობრებად ვრჩებით. იტალიელები კი ზოგიერთ შემთხვევაში პირიქით არის. თავიდან იტალიელი პარტნიორები მხიარულობენ, პრობლემებს იოლად ხედავენ, შემდეგ კი დროთა განმავლობაში, ზოგჯერ, მათთან ურთიერთობაში ბევრი კურიოზი წარმოიშობება. ჩემი მსჯელობა ჭეშმარიტება არ არის, მე მხოლოდ ჩემი სამუშაოს კონკრეტული მაგალითის მიხედვით გავაკეთე ასეთი შეფასება.

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ორბიტაზე გაყვანის და წარმატებული გამოცდის შემდეგ, გერმანული მხარე კვლავ დაინტერესდა საქართველოსთან თანამშრომლობით, მაგრამ ამჯერად, როგორც ვიცი, საკითხი შეეხებოდა ჩემს გრძელვადიან მიწვევას გერმანიაში და იქ კოსმოსური დიდგაბარიტიანი ტექნიკის შექმნაში გარკვეული სტრატეგიული მნიშვნელობის სამუშაოების წარმოებას.

ამ მიზნით თბილისში სხვადასხვა დროს ჩემთან საუბარი ჰქონდა კომპანია “დაიმლერ ბენცის” სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, პროფესორ იოჰანეს ზემლერს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყოფილ ელჩს საბჭოთა კავშირში, შემდეგ კი “დაიმლერ ბენცის” წარმომადგენელს აღმოსავლეთ ევროპასა და პოსტსაბჭოთა სივრცეში ანდრეს მეიერ-ლანდრუტს და “დაიმლერ ბენც აეროსფეისის” სამხედრო ტექნიკის მიმართულების დირექტორ ვერნერ ჰაინცმანს.

ყოველი საუბრის დროს მე, გარკვეულწილად, მათ წინადადებებს ტაქტიკური სფეროებით გვერდს უვლიდი.

ანდრეს მეიერ-ლანდრუტი თბილისში ჩამოვიდა. საუბარი ჩემს გერმანიაში წასვლას და იქ „დაიმლერ ბენც აეროსპეისში“ სამუშაოების შესრულებას შეეხებოდა. შეხვედრის შემდეგ მან მითხრა, რომ ძველ მეგობართან და კოლეგასთან დიტერ ბოდენტან, რომელიც იმ პერიოდში საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი იყო, სურდა შეხვედრა და ამ საკითხში დახმარება მოხოვა. მე სიამოვნებით გაუკეთე ორგანიზება მათ შეხვედრას. რესტორანში სამივენი წავედით – ბოდენი, ლანდრუტი და მე.

გერმანელი, უმაღლესი რანგის დიპლომატები, რუსული ენისა და ლიტერატურის არამარტო კარგი მცოდნეები, არამედ შეიძლება ითქვას პროფესიონალი სპეციალისტები გამოდგნენ. მათ სუფრასთან გააჩიეს ტოლსტოისა და დოსტოევსკის შემოქმედების ისეთი დეტალები, რომლებიც მე ადრე არც კი მქონდა გაგონილი. შემდეგ რუსული ენის სიმდიდრეზე დაიწყეს მსჯელობა. ცოტა არ იყოს მომწყინდა მათი გაუთავებელი საუბრის მოსმენა, რაც მგონი ერთ საათზე მეტხანს გაგრძელდა. ვცდილობდი საუბარში ჩარევას და სხვა საკითხზე მათ „გადართვას“, მაგრამ ამის საშუალება არ მომეცა. უცებ, მათ საუბარში დავიჭირე ფრაზა – რუსული ენა ძალიან ლაკონურად გამოხატავს სამხედრო აზრს – ამ მომენტს ვერ გავეშვებდი ხელიდან და მათ საუბარში ახლა მე ჩავერთე. ორივე გაკვირვებით ისმენდა ჩემს განმარტებას – თქვენ ამბობთ, რომ რუსული ენით ძალიან ლაკონურად გადმოიცემა სამხედრო აზრი, მაგრამ საინტერესოა, რას ფიქრობთ გერმანულ ენაზე. რაც შეეხება მიმართვებს და ოფიციალურ ტერმინოლოგიას, რომლებიც ოფიცერთა წრეზეა განსაზღვრული, ამ მხრივ, თქვენი მშობლიური ენა – ყველაზე მოხერხებულია და ამასთან, მას ტონალობა და აქცენტები შესაფერისი აქვს. აი რაც შეეხება გენერალიტეტის

და მარშლების ოფიციალურ სასაუბრო ენას, აქ ბოდიში მინდა მოვუხადო გერმანელებს და ვთქვა, რომ ამ მხრივ ფრანგული ენა შეუდარებლად დახვეწილია.

ჩემმა ბოლო ფრაზამ ორივე გერმანელზე გამაღიზიანებლად იმოქმედა. ლანდრუტმა, სამაგიეროს გადახდისთვის, საკმაოდ ორაზროვნად მკითხა – კი მაგრამ თქვენი ქართული, როგორ მიგაჩნიათ ვისი ენაა. ამ კითხვას ნამდვილად არ ველოდი. ცოტა შევეყვინდი და ვუთხარი – ქართული, ჩემო ბატონებო, რაინდების ენაა. ამ მსუბუქი იუმორნარევი პასუხის გაგონებაზე ორივეს მოეხსნა გაღიზიანება და სახეზე ღიმილი დაეტყო.

ამის შემდეგ საუბარი ენების შესახებ სუფრასთან აღარ გაუგრძელებიათ.

ამასობაში დაიგეგმა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ვიზიტი გერმანიაში. მას, როგორც ეს მიღებულია, წინასწარ აცნობდნენ მასალებს იმ შესვედრებთან დაკავშირებით, რომელიც მას გერმანიაში ელოდა. ალბათ, აღნიშნული მასალებიდან და საელჩოს ინფორმაციებიდან ედუარდ შევარდნაძისათვის ცნობილი გახდა წინადადება გერმანიაში ჩემი მიწვევის შესახებ, რომელიც შეიძლება დასმულიყო ვიზიტის დროს.

ამ საკითხთან დაკავშირებით პრეზიდენტმა გამომიძახა და მკითხა თუ რა აზრის ვიყავი გერმანელების შემოთავაზებაზე. დადგა დრო რომ ამ საკითხზე ორჭოფობა უნდა დამესრულებინა და კონკრეტული გადაწყვეტილება მიმეღო. ბატონ ედუარდს ვუთხარი, რომ ჩემი წასვლა გერმანიაში გამოიწვევს ინსტიტუტის დაშლას საქართველოში, ვინაიდან ჯერ კიდევ არ არსებობს ამ დარგის ჩემ გარეშე, დამოუკიდებლად განვითარების გაგრძელების შესაძლებლობა.

და მეორეც – ნამდვილი გენერალური კონსტრუქტორი, თავის ყოველ კონკრეტულ სამუშაოს ცოდნას, დაუღალავ შრომას და დიდ ჯაფას ანდომებს და თუ ყოველივე ეს საკუთარ ხაღხს, საკუთარ სამშობლოს არ ემსახურება და თავის ქვეყანაში – საქართველოში, არ პოულობს აღიარებას, მაშინ ამის ვერც საზღვარგარეთ გადახდილი დიდი ფულის და ვერც იქაური დაფასების ხათრით ვერ გავაკეთებდი. არც ვიცი ეს ჩემი “ქართული” ხასიათის გამოვლენაა თუ მცდარი შეხედულება, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება – მე საქართველოს ვემსახურები.

გერმანელების შემოთავაზებასთან დაკავშირებით, ჩემი სუბიექტური შეფასებით, რატომღაც ვფიქრობდი, რომ გერმანიაში ისეთი სამუშაოს ხელმძღვანელობას მთავაზობდნენ, რომლის რეალიზება, არცთუ სახარბიელო იქნებოდა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის და სხვათა შორის რუსეთისთვისაც. ერთი სიტყვით თავი რომ დავანებოთ უარის მეორე მოტივს, პირველი მოტივი სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ მე საქართველოში გამეგრძელებინა მუშაობა. ედუარდი მიხვდა ჩემს განწყობას და არც უცდია შეეცვალა იგი.

ედუარდ შევარდნაძის გერმანიაში ვიზიტის დროს, მასთან მივიდა “დაიმლერ ბენც აეროსფეისის” დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში ჩემთვის ცნობილი ინფორმაციით, იყვნენ “დაიმლერ ბენცის” ერთ-ერთი დირექტორი კლაუს მანგოლდი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი იოჰანეს ზემლერი, კომპანიის წარმომადგენელი აღმოსავლეთ ევროპასა და პოსტსაბჭოთა სივრცეში ანდრეას მეიერ-ლანდრუტი და მისი მოადგილე ბეატა რაიბოლდი. შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს ელჩი გერმანიაში კოტე გაბაშვილი. იქ სხვა საკითხებს შორის დაისვა გერმანიაში ჩემი მიწვევის საკითხი. ბატონმა ედუარდმა, გერმანელთა წინადადებას, მისთვის ჩვეული

უმორნარევი პასუხი გასცა – “ხომ იცით, ეს მეცნიერები თავისებური ხალხია, მე კი ვეტყვი ელგუჯას თქვენი წინადადების შესახებ, მაგრამ რას გადაწყვეტს ბატონი გენერალი ძნელი სათქმელია”. მათთვის ყველაფერი გასაგები იყო და ამის შემდეგ შემოთავაზება ჩემი მოღვაწეობის გაგრძელებისა გერმანიაში აღარ მქონია.

რატომ ხდება ასე, საქართველოში უფრო აღმატებული ფორმით შეაფასებენ უცხოეთში მოღვაწე ქართველ მკვლევარებს, ვიდრე საქართველოში მყოფ, არანაკლებ და გაცილებით ძლიერ მეცნიერს. რას იზამ, ესეც მცირერიცხოვანი ერების გარკვეული და ხშირად მცდარი თვისებებია.

გასათვალისწინებელია ისიც, თუ მეცნიერების რომელ დარგს ემსახურები. მაგალითად ფიზიკოსის, მათემატიკოსის, უცხო ენების სპეციალისტისა და სხვა მრავალი დარგის მკვლევრისათვის პრაქტიკულად არ არსებობს “ქვეყნის საზღვრები”, მაგრამ ტექნიკასა და ტექნოლოგიებში მომუშავე მეცნიერისთვის და თანაც გენერალური კონსტრუქტორისთვის ასპარეზი საკუთარი სამშობლო უნდა იყოს. ის ხომ მხოლოდ თავისი გამოგონებებით, პროექტებით და ქმნილებით არის ეკონომიკური, ტექნიკური და ფუნქციური ეფექტის მომტანი და არა აღმოჩენით, რომელიც თავისთავად დიდ სამსახურს უწევს ცივილიზაციას.

... ამასობაში კი, პარლამენტში მოვლენებმა სწრაფად დაიწყო განვითარება.

პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიას შორის მდგომარეობა იძაბებოდა. პირველ ეტაპზე ზურაბ ჟვანია ცდილობდა ეს მდგომარეობა, გარედან მაინც შეუმჩნეველი ყოფილიყო, კულუარებში კი ურთიერთდაპირისპირება მწვავედებოდა.

დადგა მომენტი, როცა ედუარდ შევარდნაძესა და ზურაბ ჟვანიას შორის პირდაპირი კავშირი შეწყდა. ჟვანია, როგორც პოლიტიკოსი, მაინც აგრძელებდა ედუარდ შევარდნაძესთან კომუნიკაციას, მაგრამ ირიბი გზებით, სხვათა გამოყენებით, რომელიც ხშირად ოფიციალური პირების საშუალებით ხორციელდებოდა.

როდესაც დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია, ზურაბ ჟვანიამ გამომიძახა. ეს იყო იმ დღის წინა საღამო, როდესაც ზურაბ ჟვანია გადადგა. მას ჩემთან საუბარში არ უთქვამს, რომ რასაც მეტყვოდა პრეზიდენტისათვის მომეხსენებინა და ამის გაკეთება არც იყო საჭირო. ისედაც ვხვდებოდი, რომ მისი წარმოთქმული ტექსტი პრეზიდენტს უნდა გაეგო და რაც შეიძლება მალე.

მან აღწერა შექმნილი რთული მდგომარეობა, განმარტა, რომ ყველაფერი მის გარეშე ამოძრავდა და დაამატა – ახლა კიევიდან ჩამოვა მიშა სააკაშვილი და უკვე იგი აიღებს სადავეებს ხელში და შემდეგ რაც მოხდება არც მე ვიციო. ასეთ ვითარებაში მე უნდა გადავდგეო.

იმავე საღამოს მე საქართველოს პრეზიდენტს მოვახსენე სიტყვასიტყვით ის, რაც ზურაბ ჟვანიამ თქვა. პრეზიდენტი ამ ინფორმაციას დუმილით შეხვდა. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მას უკვე ჰქონდა ინფორმაცია შემდგომ მოვლენათა მთელი სცენარების შესახებ, რაც ჯერ კიდევ არავინ იცოდა.

მეორე დღეს პარლამენტში დიდი ამბები დატრიალდა. ზურაბ ჟვანია გადადგა, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი უკვე ვაშლიჯვრის ოფისიდან გარკვეული ინტენსიურობით და ინტერვალებით კვლავ აწარმოებდა მოლაპარაკებებს ედუარდ შევარდნაძესთან. ისე კი მას, როგორც პოლიტიკოსს და ადამიანს ბოლომდე შერჩა გარკვეული პატივისცემა და

ცხოვრებისეული გამოცდილების გაზიარების სურვილი ედუარდ შევარდნაძისა, რაც უკვე პრესის და ტელევიზიის საშუალებებითაც იგრძნობოდა.

ახლა დაეუბრუნდეთ მოვლენათა მსვლელობას. ბატონმა ედუარდმა გამომიძახა. მან პირდაპირ მითხრა – პარლამენტის თავმჯდომარის კანდიდატად შენ გასახელებო. ამის გაგონებაზე დაეფიქრდი, არა იმიტომ რომ გამეანალიზებინა პერსპექტივა ჩემი თავმჯდომარეობისა, არამედ იმისათვის თუ რა ფორმით და როგორ მეთქვა უარი შევარდნაძისათვის. პრეზიდენტი ურთიერთობაში და განსაკუთრებით, პირადი საუბრის დროს ტელეპატიური შეცნობის უნარს ამჟღავნებდა. ეს ალბათ, მეტწილად, მისი მრავალწლიანი გამოცდილების და დაკვირვებების შედეგი იყო. იგი თითქოს მიხვდა ჩემი ჩაფიქრების მიზეზს. ოდნავ გაიღიმა და მითხრა – ახლა წადი, კარგად მოიფიქრე. მე ისევ გამოვიძახებო.

ეტყობა ეს ინფორმაცია პრეზიდენტმა ვიწრო წრეში “შინაურულად” გაავრცელა. ეს ალბათ გამიზნულად გააკეთა, ვიწრო წრე ასეთი ინფორმაციის დამუშავებისათვის მეტად მოსახერხებელია. ჯერ ერთი, ინფორმაცია უკვე იწყებს გავრცელებას, მაგრამ მისი პირველი წყარო საზოგადოებისთვის ცალსახად და ოფიციალურად ცნობილი არ არის.

ინფორმაცია რუსეთმაც აიტაცა. მოსკოვში ერთ-ერთი გაზეთი იმასაც წერდა, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საბჭოთა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში აღზრდილი ქართველი გენერალი გახდებო.

მესამე დღეს ისევ გამომიძახა პრეზიდენტმა. მკითხა თუ რას ვფიქრობდი მის შემოთავაზებაზე. მეც მქონდა დრო, რომ გამეანალიზებინა მისი წინადადება და ჩემს არგუმენტებზეც მეფიქრა. სწორედ მათ შესახებ ვუთხარი ბატონ ედუარდს, რომ პარლამენტის თავმჯდომარე ვერ იქნებოდა ანგარიშგასაწვეი ფიგურა ორი ფაქტორის გარეშე. პირველი – მის უკან უნდა იდგეს თანამოაზრეების პოლიტიკური პარტია ან ძლიერი ჯგუფი. თუ ეს კომპონენტი არ არსებობს, მაშინ მას უნდა გააჩნდეს ფულის დიდი რეზერვი, რომელიც პოლიტიკური მიზნებით ამოქმედდება. მე კი ვერც პირველ და ვერც მეორე პირობას ვერ ვაკმაყოფილებდი. ედუარდმა მომისმინა და მითხრა – შენი მოტივაცია პოლიტიკურად სწორია. შენს მსჯელობაში კი ჩამოყალიბებული პოლიტიკოსის ნიშანს ვხედავ. ამიტომ, წადი და ისევ იფიქრე.

ორი დღის შემდეგ ისევ ედუარდ შევარდნაძესთან ვარ. მასთან ფრაქციის თავმჯდომარე, პარლამენტის ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილიც არის. მე მორიდებით, მაგრამ გადაჭრით ვუთხარი უარი პრეზიდენტს, ჩემი კანდიდატურის შესახებ. ამის გაგონებაზე ვახტანგ რჩეულიშვილი საკმაოდ ემოციით ჩაება საუბარში. მან აღნიშნა, რომ თუ ელგუჯას არ ავირჩევთ, ასეთ შემთხვევაში ასლანი სხვა კანდიდატურაზე თქვენი გუნდიდან არ იქნება თანახმაო. აქ ასლანი აბაშიძე ან მისი გუნდი ალბათ იმ ფაქტორებიდან გამოდიოდა, რომ ჯერ ერთი მე ბათუმელი ვიყავი და, მეორე ისიც რომ, როგორც წესი, ჩვევად არ მქონია ინტრიგების ხლართვა და პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში მოწინააღმდეგე პარტიების და მათი ლიდერების ლანძღვა-გინება.

ედუარდმა ვახტანგსაც მოუსმინა. შემდეგ ჩემსკენ თავისი მრავლისმთქმელი, მაგრამ მშვიდი მხერა მოაპყრო და ახლობლური ტონით მითხრა: “ელგუჯა შენ ნამდვილი მეცნიერი ხარ. მინდოდა დიდ პოლიტიკაში შენი წინსვლა, რომლის პოტენციალი და გამოცდილება შენ უკვე საკმაოდ გაგაჩნია, მაგრამ ვხედავ შენ არჩეულ გზას არ ღალატობ. და ეს შენ ჯერ კავშირგაბმულობის მინისტრის პოსტზე და ახლა კი

პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე შეთავაზების დროს დაადასტურე”. შემდეგ კი დაამატა – “საერთოდ კარგია პიროვნება არც თავის საქმეს და არც სხვას, რომ არ უღალატებს. შეგიძლია შენს სფეროში გააგრძელო საქმიანობა”.

მისი კაბინეტიდან გამოსულს, თითქოს დიდი ტვირთი მომეხსნა მხრებიდან.

ბოლოს კი, ძირითადი ტენდენციები წარმოჩნდა და ქალბატონი ნინო ბურჯანაძე ავირჩიეთ პარლამენტის თავმჯდომარედ.

არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, თუნდაც რადიკალურად განსხვავებული აზრისა, რომ ოპოზიციონერებს ჩემს მიმართ ტაქტი დაერღვიოთ. ისინი გაგებით ხვდებოდნენ იმ აზრს, რომ მე, ჯერ ერთი, გარკვეულ პერიოდში, საპარლამენტო თემატური უმრავლესობის ლიდერი ვიყავი და, მეორე, ისიც, რომ ვიწრო პარტიული გაგებით არასდროს ვაკეთებდი დასკვნებს. და თუ რამე განსხვავდებოდა მათი პოზიციისაგან, ეს ნიშნავდა, რომ მე ასეთი არჩევანი ქვეყნისათვის უკეთესად მიმაჩნდა. სხვათა შორის, ძალიან ხშირად, ჩემი პოზიცია ემთხვეოდა ოპოზიციის აზრს და ხედვას, რაც არც გასაკვირი იყო და არც დასამადი. იმიტომ რომ, ჩემთვის არ არსებობდა პარლამენტში უმრავლესობა და ოპოზიცია, არამედ იყო ერთი აზრი და შეხედულება. მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს და ქართველი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე.

პარლამენტში ჩემი მოღვაწეობის პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც აღვნიშნე, გარკვეული პერიოდი ვიყავი თემატური უმრავლესობის ლიდერი და საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარეც, უარი განაცხადე პერსონალურ მანქანასა და მძღოლზე.

ერთხელ მახსოვს, ქალბატონ ნინოსთან, როდესაც ის სხდომას თავმჯდომარეობდა, ავედი და მისთვის საინტერესო ინფორმაცია მივაწოდე. როდესაც უკან უნდა გამოვბრუნებულიყავი, ნინომ პირდაპირ მითხრა – ბატონო ელგუჯა საარჩევნო ბლოკი ხომ არ შეგვექმნა ერთადო. ასეთი პოზიციის გამოხატვას მისგან არ ველოდი, უბრალოდ არც მიფიქრია ამაზე და ძალიან მომერიდა მისთვის უარის თქმა, მაგრამ ფაქტობრივად გადაწყვეტილი მქონდა, რომ პოლიტიკურ პერიპეტებში მონაწილეობა აღარ მიმელო – და პასუხიც ამ სტილში იყო. ისე კი ჩემთვის კიდევ ერთხელ გავიფიქრე – პარლამენტში ერთი პარტიის სიით შევედი და მეორეთი ხომ ვერ გავაგრძელებდი მოღვაწეობას.

ამ მხრივ, განსაკუთრებით ნიშანდობლივია ცალკეული წევრების მიერ პარტიების ცვლილება არჩევნებიდან არჩევნებამდე. როგორც წესი, არჩევნების მოახლოებისას, პარტიის წევრი გრძნობს თავის ან თავისი პარტიის საარჩევნო უპერსპექტივობას, დემონსტრაციულად აკეთებს მკაცრ შეფასებებს პარტიის არასახელმწიფოებრივი საქმიანობის შესახებ და ტოვებს მას. შემდეგ იგი აღმოჩნდება საარჩევნოდ უფრო პერსპექტიულ პარტიაში და უფრო კარგი პერსპექტივით.

აღბათ, ეტაპობრივად, პარტიები და პოლიტიკოსების უმრავლესობა საქართველოში “საყმაწვილო ასაკიდან” შევლენ “ახალგაზრდულ ასაკში“, თუმცა ამისი დრო კარგა ხანია უკვე დადგა.

ისე კი მიმაჩნია, რომ ადამიანს უნდა შეეძლოს მრავალწლიანი პარტიული “მოღვაწეობიდან” თავის დაღწევა და საზოგადოებაში გასვლა, სადაც საკუთარი სპეციალობით გააგრძელებს საქმიანობას, ოღონდ მას ამის შესაფერისი განათლება და უნარი უნდა ჰქონდეს. მაგრამ, საქართველოს სინამდვილეში არიან ისეთი “პროფესიონალი პოლიტიკოსები”, რომელთაც სხვა სპეციალობა უბრალოდ არ ან აღარ გააჩნიათ. ასეთ

ვითარებაში ისინი ისეთივე “პროფესიონალ პოლიტიკოსებად” გვევლინებიან, როგორებიც, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, იყვნენ რევოლუციონერ-ბოლშევიკები, მენშევიკები და სხვები. მათგან, უკეთეს შემთხვევაში, ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეებს ნუ ველოდებით.

... ვნებათაღელვის პირობებში მოვიდა ახალი პარლამენტის არჩევის დრო. სახელისუფლებო სიაში, ბატონ ვაჟა ლორთქიფანიძის შემდეგ, რიგით მეორე ვიყავი. როდესაც ერთმა ჟურნალისტმა მკითხა, როგორ გრძნობთ თავს პარლამენტის დეპუტატების კანდიდატების წინასაარჩევნო სიაში – ვუთხარი, რომ “სიის მიხედვით, უკან მოხედვის” მეშინოდა. მართალია, ეს ფრაზა ნახევრად ხუმრობით იყო ნათქვამი, მაგრამ მასში ირონიაც იყო და რეალური შიშიც, რადგან დეპუტატობის კანდიდატების საარჩევნო სიაში უკვე ძალიან ბევრი, ან საზოგადოებისათვის სრულიად უცნობი ფიგურები, და რაც მთავარია, მათი უმეტესობა გაურკვეველი ბიოგრაფიის, სრულიად უცხო და უსახო პიროვნებები იყო.

წინასაარჩევნო პერიოდში პოპულარული გახდა საარჩევნო კომისიის “ბეიკერის” მოდელით დაკომპლექტების საკითხი.

ამასთან, არსებული პრინციპი საარჩევნო კომისიის კომპლექტაციისა ფაქტობრივად “მოქალაქეთა კავშირს”, “აღორძინებას” და “მრეწველებს” აძლევდა სრულ “კარტლანშს”. ეს მაშინ, როდესაც სხვა ოპოზიციური პარტიები უკვე საკმაოდ ძლიერი და შემტევი ძალა იყო და ისინი თუ “პარლამენტის დარბაზში” წააგებდნენ “ბრძოლას”, მაშინ მათ ერთი გამოსავალი რჩებოდათ – “ქუჩა” და “ხალხი”.

გაზეთები აჭრელებული იყო სტატიებით “ბეიკერის მოდელის” მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების შესახებ. ჩემი პოზიცია კი მშვიდი იყო. ამის შესახებ ინფორმაცია ინტერნეტშიც Civil.ge-მ სათაურით – “აღორძინება” და “მრეწველები” ბეიკერის გეგმის წინააღმდეგ – 14 ივლისს გაავრცელა. მასში წერია – “ჩვენ ველოდებით ოპოზიციის გადაწყვეტილებას. დავეთანხმებით იმ ვარიანტს, რომელსაც ოპოზიცია დამოუკიდებლად გადაწყვეტს 9 ადგილის გარშემო, აცხადებს სახელისუფლებო ფრაქციების საპარლამენტო კოორდინატორი ელგუჯა მეძმარიაშვილი”. ჩემი ასეთი მიდგომა საკითხისადმი სწორად მიმაჩნდა, მაგრამ სახელისუფლებო ბლოკში მდგომარეობა განსხვავებული აღმოჩნდა.

კენჭისყრა აღნიშნული საკითხის მიმართ 2003 წლის 23 ივლისს დაინიშნა. პარლამენტის სხდომა დღის მეორე ნახევარში შედგებოდა. ამ დროს, ჩემთან სახლში, სხვა “ღონისძიებებიც” იყო დაგეგმილი. სტუმრად ველოდი ცნობილ გერმანელ პიანისტს, იუსტეს ფრანცს, რომელიც ლიანა ისაკაძის მიერ ორგანიზებულ კონცერტზე ბორჯომში იყო მიპატიჟებული, მის ასისტენტს და შემდეგ მეუღლეს, მოსკოველ მევიოლინე ქსენია დუბროვსკაიას, ლიანა ისაკაძის მეუღლეს, ნიჭიერ პიროვნებას, თამაზ ჩაჩავას და ასევე, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყოფილ ელჩს საბჭოთა კავშირში ჩემს მეგობარს მაიერ ლანდრუტს, რომელიც იმ დროს, როგორც არაერთხელ აღვნიშნე, უკვე “დაიმღერ ბენცის” წარმომადგენელი იყო, და მის მეუღლე ნატაშას. ისინი თბილისში იყვნენ და პირველ საათზე ჩემთან უნდა მოსულიყვნენ სტუმრად.

შეხვედრა ძალიან მხიარულად დაიწყო. ჩემი დაყენებული შვიდი სახეობის ღვინო წარუდგინე სტუმრებს, ამასთან ყოველი მათგანის დამზადების ტექნოლოგიას ვაცნობდი. ძალიან ცოტას ვსვამდი. საერთოდ ღვინო ძალიან მიყვარს და მას საკმაოდ ხშირად, ოღონდ ძალიან ცოტას ვსვამ. ასე იყო 23 ივლისსაც. მაგრამ სტუმრები კი თავგამოდებით

“ეცნობდნენ” ჩემს ნაქებ ღვინოებს. 4 საათზე სტუმრებს ბოდიში მოვუხადე, ჩემი მეუღლე და ვუნიშნე მათ “ხელმძღვანელად” და პარლამენტში წავიყვანიე.

საქართველოს პარლამენტში “ბეიკერის” მოდელის შესახებ, საკითხი გვიან ღამემდე გაგრძელდა. უმრავლესობა პოზიციებს არ თმობდა, არადა ოპოზიცია “ანგრევდა” ყველაფერს. მიკროფონები “გახურებული” იყო. ისინი ერთი წამითაც არ ჩერდებოდა. ოპოზიციური გამოსვლები ერთიმეორის მიყოლებით სულ უფრო და უფრო მწვავედებოდა.

ღამის თორმეტ საათს თხუთმეტი წუთი აკლდა, როდესაც ნინო ბურჯანაძემ დაურეკა საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს. ქლბატონი ნინო ამადლებულ ადგილას იდგა და ისე ესაუბრებოდა პრეზიდენტს. შემდეგ, ჩემთან შეთანხმების გარეშე, მოულოდნელად უთხრა მას, რომ ელგუჯაც აქ არისო და ის გეტყვით, თუ რა ხდება ფრაქციაში. გადმომცა მობილური ტელეფონი და მე პირდაპირ ვუთხარი პრეზიდენტს, რომ ჩვენი მომხრე მხოლოდ და მხოლოდ აჭარის დეპუტატია და თუ მასთან ერთად მივიღებთ “ბეიკერის” მოდელის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას, ჯერ ერთი, ამით თქვენი პირობა აშშ-ის წინაშე დაირღვევა და მეორე, ოპოზიციას შანს აღარ ვუტოვებდით და ისინი “ქუჩაში გავიდოდნენ”.

პრეზიდენტმა ყურადღებით მომისმინა და მითხრა, რომ მე მისი პოზიცია ვიცოდი და მოვქცეულიყავი ისე, როგორც ამას საერთო ინტერესები მოითხოვდა, მაგრამ რას ნიშნავდა საერთო ინტერესები არ დაუზუსტებია. სიმართლე გითხრათ ასეთ პასუხში იყო რაღაც “დიდაქტიკური” და ასევე, გარკვეული “ნადმიც”, მაგრამ იყო “ხელჩასაკიდებელი”, რომელიც მაძლევდა უფლებას ზეწოლა მომეხდინა უმრავლესობაზე. ეს იყო პრეზიდენტის ნათქვამი ფრაზა – მოიქეცი ისე, როგორც ამას საერთო ინტერესები მოითხოვდა. სწორედ ეს ფრაზა მაძლევდა ჩემებური ინტერპრეტაციის უფლებას.

პრეზიდენტთან საუბრის შემდეგ გავიგე დეპუტატების ოთახში, სადაც უმრავლესობის ჯგუფების წარმომადგენლები იყვნენ თავშეყრილნი. მათ ვუთხარი, რომ ვესაუბრე პრეზიდენტს და ამაზე მათი მხრიდან იყო ერთი შეკითხვა – როგორ უნდა მოვიქცეთ. როდესაც მათი ასეთი ფორმით დასმული შეკითხვა მოვისმინე, სიმძიმე ჩამომეხსნა, არადა, მათ რომ ეკითხათ, რა თქვა პრეზიდენტმა, მაშინ მდგომარეობა გათუქვდებოდა. ჩემი მათდამი პასუხი იყო – ხმა უნდა მივცეთ “ბეიკერის” მოდელს. ყველა იქ მყოფი უსიამოვნო განცდამ მოიცვა, მაგრამ წინააღმდეგობა ვეღარ გამიწიეს. მათ, დიდი ალბათობით, ჩათვალეს, რომ ეს გადაწყვეტილება პრეზიდენტმა მიიღო. როდესაც დარბაზში დავბრუნდი და ტრიბუნაზე ავდიოდი ოპოზიცია ტაშით და ოვაციებით “ანგრევდა” დარბაზს, ინფორმაცია ჩემი საბოლოო პოზიციის შესახებ უკვე მათ მისვლოდათ. სიმართლე გითხრათ იმ მომენტში არც ტაშით და არც რაიმე სხვა მსურდა გარდა იმისა, რომ უბრალოდ ჩემი ვალი მომეხადა ქვეყნის წინაშე. “ბეიკერის” მოდელის საარჩევნო კომისიის დაკომპლექტება პირველი მოსმენით გავიდა პარლამენტში.

გვიან ღამით, როდესაც ინსტიტუტის მანქანით სახლში ვბრუნდებოდი, ზურაბ ჟვანიამ დამირეკა. მან მითხრა, რომ იმ დღეს მე შემოვატრიალე საქართველოს პოლიტიკური კურსი და რომ დღეიდან სულ სხვანაირად და, რაც მთავარია, ქვეყნის სასიკეთოდ განვითარდება მოვლენები.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, უკვე მეორე დღით, 24 ივლისის გაზეთი “რეზონანსი” წერდა: “სიტუაციის გადარჩენა ელგუჯა მეძმარიაშვილმა შეძლო, მან ხუთწუთიანი

შესვენება მოითხოვა კენჭისყრამდე და სახელისუფლო ძალები სათათბირო ოთახში განმარტოვდნენ...

კენჭისყრის შედეგები იმ იმედს იძლევა, რომ პარლამენტი ისეთი ქმედითუნარო არ ყოფილა, როგორც კანცელარიაში ზოგიერთებს ეგონა” (www.radiotavisufleba.ge/a/1529843.html).

მეორე დღეს, დილით, როდესაც ჯერ კიდევ სახლში ვიყავი, დამირეკა პრეზიდენტის მდივანმა. მან მითხრა, რომ პრეზიდენტი მიბარებდა. მე დაუყოვნებლივ წავიდი კანცელარიაში. პრეზიდენტთან შევედი. იგი ჩვეული ტაქტით შემეგება. შემდეგ კი მითხრა – ელგუჯა, შენი გუშინდელი მოქმედება პარლამენტში იყო სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, რისთვისაც მადლობა მინდოდა შენთვის გადამეხადა. მისი კაბინეტიდან გამოსულს, თან გამომყვა გაურკვევლობის გრძობა – მაინც ვერ მივხვდი, პრეზიდენტი ბოლომდე ეთანხმებოდა თუ არა ჩემს გადაწყვეტილებას.

რამდენიმე დღის შემდეგ სიტუაცია შეიცვალა. ეტყობა ხელისუფლებაში ხდებოდა რაღაც ისეთი, რაც მე არ ვიცოდი. პრეზიდენტთან შეიკრიბა ყველა, ვისაც კი რაღაც ზეგავლენის მოხდენა შეეძლო სახელისუფლებო ბლოკიდან არჩევნებზე. განიხილებოდა საკითხი მეორე მოსმენით უარი ეთქვათ “ბეიკერის” მოდელზე. ავდექი და საჯაროდ გამოვაცხადე – თუ ჩვენ ამ მოდელზე უარს ვიტყვით ეს იქნება დიდი შეცდომა და მის შედეგებს ჩვენ მივიღებთ არჩევნების დღიდან 2-3 კვირაში, როდესაც ხალხი ქუჩაში გამოვა-მეთქი.

პრეზიდენტთან შეხვედრამ, ისე რომ ედუარდ შევარდნაძეს მსჯელობის დროს თავისი პოზიცია არ დაუფიქსირებია, ორიენტირად დაისახა უარი ეთქვათ “ბეიკერის მოდელზე”.

როდესაც თათბირი დამთავრდა, მივედი პრეზიდენტთან. მან შემომხედა და ჩემს გასამხსენებლად მითხრა – ელგუჯა, არის განსხვავება მეცნიერებასა და პოლიტიკას შორის. თქვენი სამეცნიერო დასკვნა ემყარება ჭეშმარიტ განსჯას. პოლიტიკური გადაწყვეტა კი, თუნდაც არსებობდეს მოტივები მისი უარყოფისა, მაინც შეთანხმებებსა და კომპრომისებზეა დამყარებული. იგი წამოდგა. ამ მომენტში მას ვთხოვე, თუ შესაძლებელი იყო, გავეთავისუფლებინე თემატური უმრავლესობის ლიდერობისაგან. მართალია ფორმალურად ეს საკითხი პარლამენტში და არა პრეზიდენტთან უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ მაშინაც და შემდეგშიც რეალობა ასეთი იყო. იგი მაშინვე დაეთანხმა ჩემს წინადადებას. ამასობაში მასთან პრემიერ-მინისტრი ჯორბენაძე შემოვიდა და ისინი სათათბირო ოთახიდან გავიდნენ. პარლამენტმა, ვნებათა დელვით “მეორე კითხვისას“, უარყო კანონი, რომელიც “ბეიკერის მოდელის” მიხედვით იყო შედგენილი.

... უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებას, საქართველოს სამხედრო-საინჟინრო აკადემიის შექმნასთან დაკავშირებით მხარს უჭერდნენ გენერლები – გურამ ნიკოლაიშვილი, ომარ ლეკვეიშვილი, კობა კობალაძე, შოთა ბაიაძე, ვოვა იმნაძე, დევი ჭანკოტაძე და სხვები, ასევე ექსპერტთა წრეების წარმომადგენლები – ირაკლი ალადაშვილი, კობა ლიკლიკაძე და, როგორც გადმომცეს, ირაკლი სესიაშვილი.

თავდაცვის მინისტრი, გენერალ ლეიტენანტი დავით თევზაძე და გენშტაბის უფროსი, გენერალ ლეიტენანტი ჯონი ფირცხალაიშვილი პირველები იყვნენ, ვინც რეალურ და პრაქტიკულ ქმედებებს ახორციელებდნენ საქართველოში შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის ჩამოყალიბების მხრივ.

ასე რომ, შერჩეული სამეთაურო-საშტაბო სპეციალობა – საბრძოლო მოქმედებებისა და ოპერაციების ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფა, მიეკუთვნებოდა უფროსი

და უმაღლესი წოდების ოფიცერთა საშტაბო-სამეთაურო სწავლების ოპერატიულ-სტრატეგიულ დონეს და ამ მხრივ არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობდა, რომ აკადემია წოდებულ იყო გენშტაბის აკადემიად.

საკითხებისა და სპეციალობის შერჩევა საქართველოსთვის უკიდურესად აქტუალური იყო და დღესაც ასეთად რჩება. ინიციატივას ერთხმად დაუჭირა მხარი ეროვნული უშიშროების საბჭომ, მინისტრთა კაბინეტმა და თვით საქართველოს პრეზიდენტმა. საკითხის ასეთი დასმა ადაფრთოვანებდა ყველას, ვისაც კი, საქმესთან რაიმე შეხება ჰქონდა.

მიუხედავად ამისა, სამხედრო ხელმძღვანელობაში მაინც მსჯელობდნენ აკადემიის დასახელებაში “გენშტაბის” ფიგურირების მიზანშეწონილობის შესახებ. იყო მომხრეები და მოწინააღმდეგეები, მაგრამ ეს იყო პროფესიონალების მსჯელობა და ამას ხელი არ შეუშლია აკადემიაში სასწავლო პროცესის ორგანიზაციისათვის. პირადად მე ვემხრობოდი იმ წინადადებას, რომ აკადემიის სახელწოდება ყოფილიყო “საქართველოს სამხედრო საინჟინრო აკადემია”. ასეთი სახელწოდების ქვეშ აკადემიას ეძლეოდა მეტი საშუალება ვრცლად შეესწავლა საინჟინრო ხელოვნება.

აკადემიის შექმნა თავისი გზით მიდიოდა. პირველი რიგის ამოცანებში შედიოდა მსმენელთათვის სასწავლო პროგრამების განსაზღვრა და მათი უზრუნველყოფა ორიგინალური, თანამედროვე სახელმძღვანელოებით, რომლებიც სრულ შესაბამისობაში იქნებოდა შერჩეულ სამხედრო დისციპლინასთან.

ამ მხრივ, როგორც იტყვიან დღედაღამე მოგვიწია მუშაობა. თავდაცვის სამინისტროდან, უნივერსიტეტებიდან და ვეტერანებიდან შეიკრიბა მკვლევართა და ენთუზიასტთა, მეცნიერებისა და სპეციალისტების დიდი ჯგუფი, რომელთაც ჰქონდათ დიდი სურვილი და შემართება ეკეთებინათ ქართული საქმე.

მათ შორის ბევრი გამორჩეული და გამოჩენილი პიროვნებები იყვნენ. ყველას დასახელება შორს წაგვიყვანდა. მე, მხოლოდ ნაწილს აღვნიშნავ:

პოლკოვნიკი გივი ლეფონავა; გენერალ-მაიორი შოთა ბაიაძე; გენერალ-მაიორი ვალერი ქვარაია; დოქტორი, გენერალ-მაიორი თენგიზ შუბლაძე; სამხედრო მეცნიერებათა კანდიდატი, პოლკოვნიკი ზურაბ შენგელია; გენერალ-ლეიტენანტი გურამ ნიკოლაიშვილი; გენერალ-ლეიტენანტი ომარ ლეკვეიშვილი; პროფესორი გიორგი ანჩაბაძე; პროფესორი ენვერ კუბატაძე; აკადემიკოსი, პოლკოვნიკი გოგი თავაძე; დოქტორი კახა კაციტაძე; დოქტორი, პოლკოვნიკი ნოდარ ხორბალაძე და სხვები; მთელი პლევადა პროფესორ-მასწავლებლებისა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და სხვები, რომელთა შორის შემოქმედებით შრომას ტონს აძლევდა თავდაცვის მინისტრი გენერალ-ლეიტენანტი დავით თევზაძე და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ჯონი ფირცხალაიშვილი.

აკადემიის შექმნის და მისი შემდგომ ფუნქციონირებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნოდარ წიგნაძის და მამუკა სანიკიძის როლი.

კიდევ ერთხელ და მერამდენედ მინდა ვახსენო რევაზ მიქაბერიძე, პრეზიდენტის მრჩეველი, რომელიც თვითინ იყო იმპულსების მიმცემი და შემსრულებელიც სადირექტივო დოკუმენტების, განკარგულებების და ბრძანებულებების მომზადებისა.

ყველას ერთობლივმა მცდელობამ გაამართლა. უმოკლეს დროში აკადემიის ამოქმედებისათვის ყველაფერი მზად იყო. 2003 წლის 1 სექტემბერს აკადემია ოფიციალურად გაიხსნა.

საზეიმო გახსნაზე, საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მოვიდა. თავდაცვის მინისტრის და ჩემი თანხლებით, მან საპატიო ყარაულის მიერ შექმნილი დერეფანი გაიარა და აკადემიის დროშასთან მივიდა. ორკესტრი გრიალებდა. საქართველოს პრეზიდენტმა დროშა, მე, როგორც აკადემიის პრეზიდენტს გადმომცა. ჩავიხოქე, დროშას ვემთხვიე და შემდეგ იგი სპეციალურ სტაბელზე დავამაგრე.

ჩემი ცხოვრების გზაზე ბევრი აღმატებული და ემოციური მომენტი მქონია, მაგრამ დღემდე არ განმიცდია ისეთი შთამბეჭდავი და თავისებური განცდა, როგორც ეს სამხედრო აკადემიის გახსნაზე მქონდა. ამ წუთებში ჩემს ემოციებში არ იყო არც აღტყინება და არც გამარჯვების განცდა. იყო მშვიდი და პასუხისმგებლობით აღსავსე, პროფესიონალური განცდა იმისა, რომ საქართველოში, უკვე ჩემს სამშობლოში შევექმენი და ავამოქმედე პირველი უმაღლესი დონის სამხედრო აკადემია.

რაც შეეხება აკადემიის ემბლემას, ამ მხრივ, მისი კონსტრუქცია – შემაღგენელი ელემენტები და მათი ურთიერთგანლაგება საწყის ეტაპზე მე განვსაზღვრე. შემდეგ კი მისი შემოქმედებითი რეალიზაცია ცნობილმა ჰერალდიკოსმა, ბატონმა ემირ ბურჯანაძემ განახორციელა.



გახსნაზე მეც – აკადემიის პრეზიდენტმა წარმოვთქვი სიტყვა. საკონფერენციო დარბაზი სტუმრებს ვერ იტევდა. გახსნას, აკადემიაში, ახალჩარიცხული მსმენელებიც ესწრებოდნენ. არ ვიცი, ეს წინათგომობა იყო თუ, რა, მაგრამ ჩემს გამოსვლაში საზგასმით აღვნიშნე, რომ საქართველოში აკადემიის არსებობას მოწინააღმდეგეები გამოუჩნდებოდნენ და მას რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე გზა ექნებოდა გასაველელი.

აკადემიის გახსნიდან ერთი წლის შემდეგ მაიორების, ვიცეპოლკოვნიკების, პოლკოვნიკების და ადმირალების შემაღგენლობით, აკადემიამ პირველი მსმენელები გამოუშვა. მათ ასევე პირველად მიიღეს არა უწყებრივი, არამედ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გაცემული – სახელმწიფო სტატუსის მქონე დიპლომები.

დღესაც, ჩვენი ყოფილი მსმენელები, რომელთაგან უმეტესობას, სხვადასხვა დონის და სხვადასხვა სამხედრო სასწავლებლები ჰქონდათ დამთავრებული საზღვარგარეთ,

აღნიშნავდნენ ქართულ სამხედრო აკადემიაში მათთვის გაწეულ განსხვავებულ შრომას, დისციპლინების შემოქმედებითად და საფუძვლიან სწავლებას და პროფესორ-მასწავლებლების განსაკუთრებულ ზრუნვას მათ მიერ გადაცემული ცოდნის სამშობლოს სამსახურში წარმატებით გამოყენებისათვის.

... ახალი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, როდესაც საქართველოს პარლამენტის ახალი მოწვევის სესია დაიწყო, რუსთაველზე დიდი ამბები ხდებოდა. ქუჩაში გამოვიდა ათეულობით ათასი საქართველოს მოქალაქე. ისინი არჩევნების შედეგებს აპროტესტებდნენ. წესრიგის დასაცავად ჯავშანტრანსპორტიორებიც კი იყო გამოყვანილი, რომ არაფერი ვთქვათ თვით ძალოვნების პირად შემადგენლობაზე.

როდესაც პარლამენტის სხდომაზე მივდიოდი, სახლში ვთქვი, რომ დაერეკათ და ინსტიტუტიდან სამსახურის ორი მანქანა დაეხმარებინათ, რამაც ოჯახის წევრები ძალიან გააკვირვა. მე ვგრძნობდი, არა, დანამდვილებით აღვიქვამდი, თუ რა უნდა მომხდარიყო. ამიტომ ერთი მანქანა სახლში დავტოვე მზადყოფნაში, რომ ჩემი გამოძახებისთანავე იქ მისულიყო, სადაც დავიბარებდი. მეორეთი კი წავედი პარლამენტში. მძღოლს ძალიან გაუკვირდა, როდესაც ვუთხერი, რომ პარლამენტიდან მოშორებით, კავშირგაბმულობის სახლის უკანა ეზოს ზედა გასასვლელთან გაეჩერებინა მანქანა. მე კი იქიდან ფეხით წავედი პარლამენტში. ვიცოდი, რომ სიტუაცია ირეოდა და სამოდრო გზები ჩაიკეტებოდა. პარლამენტი გარშემორტყმული იყო ჯავშანტრანსპორტიორებით.

მითხრეს, რომ ეღუარდ შევარდნაძე უკვე პარლამენტში, დეპუტატების ოთახში იყო. პრეზიდენტთან შესახვედრად მივედი. იგი ტრადიციულად მშვიდი იყო. იჯდა მაგიდასთან და მოხსენების ტექსტში შესწორებები შეჰქონდა. მე მივესალმე. მან შემომხედა და გამიღიმა. თითქოს ყველაფერი წესის მიხედვით ხდებოდა. მაგრამ ერთმა დეტალმა მიიპყრო ჩემი ყურადღება, რაც სიტუაციას არაორდინარულს ხდიდა. ეღუარდს ახლდა თავისი შვილიშვილი, სოფო შევარდნაძე, რომელიც ვიდუოკამერით იღებდა ყველაფერს, რაც პრეზიდენტის ირგვლივ ხდებოდა პარლამენტში. დეპუტატების ოთახიდან ჩაფიქრებული გამოვედი. შევედი სხდომათა დარბაზში და ჩემთვის განსაზღვრულ ადგილას დავჯექი. ვფიქრობდი, რატომ ახლდა პრეზიდენტს სოფო შევარდნაძე და რატომ იღებდა ის პარლამენტში ვიდუოკადრებს. იმიტომ ხომ არა, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო, რასაც ეღუარდისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. პარლამენტში მოჩვენებითი სიმშვიდე კვლავ სუფევდა.

მემარჯვენეები არ ჩანდნენ და ამის გამო კვორუმი არ იყო შეკრებილი. რაღაც სვლები ასლან აბაშიძესთან კეთდებოდა და მასთან აუდიენციაზე იყვნენ წასულები. შემდეგ მემარჯვენეები მოვიდნენ. დავით გამყრელიძე გაბრაზებული იყო. სახეზე ეტყობოდა, რომ მათი მოსვლა პარლამენტში რაღაცის სანაცვლოდ მოხდა. მართლაც იქვე გაირკვა ვითარება და დავით გამყრელიძე სხდომის დაწყებისთანავე მნიშვნელოვანი განცხადების გაკეთებას აპირებდა. დავიანებით დაიწყო პარლამენტის სხდომა. პრეზიდენტი ტრადიციული სიტყვით გამოვიდა. სიმართლე გითხრათ, ყველა იქ მყოფისთვის გასაკვირად, ძალიან დიდ ხანს საუბრობდა პრეზიდენტი. იგი არ ჩქარობდა პარლამენტის უფლებამოსილების ცნობას, რაც დღის წესრიგით იყო გათვალისწინებული. ამის მიზეზი ბევრი რამ შეიძლება ყოფილიყო. დრო კი არ ითმენდა. ამასობაში რევოლუცია დაიწყო. პრეზიდენტი, უსაფრთხოების მიზნით, დაცვამ დარბაზიდან გაიყვანა.

ყველაფერი აირია. ხალხმა ჯერ მცირე ჯგუფებად იწყო დარბაზში შემოსვლა. მე ველოდი რაღაცას და ეს რაღაც უკვე თავისი რეალური სახით წარმოჩნდა.

აზრი აღარ ჰქონდა დარბაზში დარჩენას. ავედი ზემოთ, ფრაქციის ოთახში და თანამშრომელ ქალბატონებს ვთხოვე ოთახში დარჩენილიყვნენ, ვინაიდან გარეთ გასვლა შეიძლება საშიშიც ყოფილიყო. შემდეგ პარლამენტის შენობაში პიონერთა სასახლის მხარეს გადავედი და იქიდან პარლამენტის ეზოს გადმოკვეთით უკვე პირველი სკოლისკენ, პარლამენტის ეზოს გამოსასვლელისკენ წამოვედი. ჩემს უკან ეზო ხალხით ივსებოდა. გარკვეული მანძილი ფეხით გავიარე. გადავჭერი პირველი სკოლის ეზო, შემდეგ კავშირგაბმულობის სახლის ზედა ნაწილი და იქ ჩემს მანქანაში ჩავჯექი.

მანქანა დაიდრა, მძღოლს ვუთხარი, რომ რადიო ჩაერთო. მაინტერესებდა რა ხდებოდა. სწორედ ახლა უფრო დამაეჭვა სოფო შევარდნაძის მოსვლამ და მოვლენათა ვიდუოკამერით გადაღების მნიშვნელობამ – ეს უბრალო, საოჯახო კადრები აღარ იყო. მასზე აისახა ედუარდ შევარდნაძის წასვლა პოლიტიკური არენიდან, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნის წინ დაიწყო და ტრიუმფით მიმდინარეობდა.

ჩემი შეხედულებით, ედუარდ შევარდნაძემ მიიღო სწორი გადაწყვეტილება ხელისუფლების რადიკალური და მთლიანი ცვლილებისა. ამას ჰქონდა თავისი მოტივები. ჯერ ერთი, პრაქტიკულად იზღუდებოდა შემდგომ ხელისუფლებაში ედუარდის პერიოდის პოლიტიკოსების კარიერის გაგრძელება, რომლებიც მაინც “დამძიმებული” იყვნენ საბჭოთა სტილით, ასევე, კორუფციით და მამამებლური პოლიტიკით. მეორე ის, რომ ხელისუფლებაში უნდა მოსულიყვნენ ახალგაზრდები, რომლებიც მიუხედავად გამოუცდელობისა, მაინც ახლებურად, უფრო დემოკრატიულად და, რაც მთავარია, კორუფციის გარეშე ხელავდნენ ქვეყნის განვითარებას. ეს პროცესი არ მოხდებოდა “ერთი ხელის დაკვრით”, მაგრამ ნელ-ნელა აიღებდა სტარტს. დასასრულ, ედუარდის ასეთი გადაწყვეტილება, თუ ამას ნამდვილად ჰქონდა ადგილი, არ შეიძლება არ ყოფილიყო შეთანხმებული, რაღაც ფორმით მაინც, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ევროპის სახელმწიფოებთან, ამასთან, ოღონდ ალბათ სხვა მოტივაციებით, რუსეთთანაც. ამის ნიშნები ისიც იყო, რომ თავისი პრეზიდენტობის ბოლო პერიოდში ედუარდ შევარდნაძე, შეხვედრებზე ხშირად გამოთქვამდა აზრს თავისი გადადგომის შესახებ. აქ იმასაც უსვამდა ხაზს, რომ მისი ოჯახი და პირადად მისი მეუღლე ქალბატონი ნანული ამას კატეგორიულად მოითხოვდა.

ყველაფერი ეს, ახალი მოწვევის პარლამენტის პირველ დღეს “შენაკადებით შეუერთდა” ედუარდის გადაწყვეტილებას გასულიყო, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ეფექტით წასულიყო დიდი პოლიტიკიდან.

ამ მომენტში, პირადად ედუარდისთვის ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა იმ პერსონალებს, რომლებიც იმ ეტაპზე მოვიდოდნენ ხელისუფლებაში. მთავარი იყო ისინი დასავლეთის მიერ ყოფილიყო მხარდაჭერილი.

შექმნილ ვითარებაში, ვფიქრობ, რომ ედუარდი ხელსაყრელ დროსა და სიტუაციას ეძებდა პოლიტიკიდან ეფექტით გასვლისა და ეს მომენტი დადგა. მე არ შევუდგები მსჯელობას ამ ეფექტის ხელოვნურად თუ ბუნებრივად შექმნის შესახებ, მაგრამ მისი ნახევარსაუკუნოვანი კარიერული სვლა მართლაც რომ ეფექტის მომენტებით არის აღსავსე. ასე იყო, როცა მან რთული ვითარებიდან გამოაღწია საქართველოს ცკ-ის პირველ მდივნობამდე, როცა საქართველოში დაიწყო თუ, როგორც ზოგიერთები ამბობენ,

გათამაშდა სცენა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა, როცა ედუარდი თბილისის დინამოს სტადიონზე აბობოქრებული ხალხის მასაში შევარდა და დაამშვიდა ისინი, როცა 14 აპრილს მიიღო გადაწყვეტილება ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებისა, როცა დიდ პოლიტიკაში, საერთაშორისო არენაზე, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე, წარმოჩინდა გარდაქმნის “არქიტექტორად”, როცა სახალხო დეპუტატების პირველ საკავშირო ყრილობაზე დემონსტრაციულად დატოვა დაკავებული თანამდებობა და პრაქტიკულად უკვე ოპოზიციონერად წარმოგვიდგა, როცა დაბრუნდა საქართველოში და გახდა პრეზიდენტი, როცა საქართველოში მოისპო მხედრიონელთა და გვარდიელთა დაჯგუფების თარეში, როცა საქართველო დატოვა ბოლო რუსმა ჯარისკაცმა, აღდგა “აბრეშუმის გზა”, საქართველოზე გავიდა “ტრანსკავკასიური” ნავთობგაზსადენი, საქართველო გახდა გაეროსა და ევროსაბჭოს წევრი, საქართველოში გაკეთდა ნატოში შესვლის განაცხადი, ამოქმედდა ნატოს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა. ამასთან, მისი საქართველოში ყოფნისას, შიგა არეულობისა და გარე პოლიტიკური და სამხედრო ძალების ფაქტორმა განაპირობა საქართველოსთვის უმძიმესი შედეგი – ომი აფხაზეთში, რასაც დიდ ტრაგედიასთან ერთად მოჰყვა აფხაზეთის გასვლა საქართველოს კონტროლიდან.

... შემდეგ კი, როგორც გავიგე ტელევიზიით, საგანგებო მდგომარეობა უნდა გამოეცხადებინათ, მე კატეგორიული და პრინციპული წინააღმდეგი ვარ საგანგებო მდგომარეობის შემოდებისა პოლიტიკური მოტივით და ეს აზრი მინდოდა ყველასათვის გამეგებინებინა. მაგრამ ამის საჭიროება აღარ იყო. პრეზიდენტმა შექმნილ ვითარებაში უკვე საბოლოო და ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო. ძალამ, რომელიც მას დაუპირისპირდა, მოიგო. ამდენად, პოლიტიკური სპექტრი იცვლებოდა და ეს რეალობა უნდა ყოფილიყო ხალხისათვის, ყოფილი მომხრეებისთვის და მოწინააღმდეგეებისთვისაც. რაც მალე ჩადგებოდა ცხოვრება ჩვეულებრივ რიტმში, მით უკეთესი იქნებოდა ყველასთვის და პირველ რიგში, საქართველოსთვის. ჩემი განწყობა პრეზიდენტმა თავისი სიტყვებით დაადასტურა, როცა ჟურნალისტს - კითხვაზე სად მიდიხართო, მან უპასუხა – სახლში. ეს იყო მრავლის მთქმელი. ედუარდ შევარდნაძემ ამ სიტყვებით დაასრულა თავისი დიდი - მარათონი დიდ პოლიტიკაში.

ხალხის მიერ დაკისრებულ ვალდებულებებზე პასუხისმგებლობა მკარნახობდა იმას, რომ მივსულიყავი პარლამენტში, როგორც დამარცხებული მხარის წარმომადგენელი, მიმელოცა გამარჯვება ჩემი კოლეგებისათვის და კვლავაც გამეგრძელებინა სამსახური საქართველოსათვის.

ამასობაში ახალი პრეზიდენტის არჩევნების დროც დადგა. იმ პერიოდში ახლადგებულ სამების ტაძარზე ჯვრის აღმართვის სამუშაოებით ვიყავი ინსტიტუტში დაკავებული. აღნიშნული პროცედურების ჩასატარებლად, ამწეს სიმაღლე არ იყო საკმარისი, ამიტომ დამატებითი მოწყობილობის დაპროექტება მოგიწია. როდესაც ჯვრის აღმართვა დაიწყო, ყველა სამების ტაძრისაკენ დაიძრა. მე შემოვლითი გზით მივდიოდი და უკვე ტაძრიდან უკან მომავალი მიხეილ სააკაშვილი შემხვდა, რომელიც დაცვის მცირე ჯგუფით ფეხით მოდიოდა. მანქანიდან გადმოვედი. როცა დაინახა “ლენდროვერით” ვიყავი, მკითხა შენი “შესოტკა” სად არისო. შემდეგ დაინტერესდა, თუ სად მივდიოდი. როდესაც ვუთხარი სამების ტაძარზე ჯვრის აღმართვის ტექნიკური პროცედურა უნდა

ჩაგვეტარებინა, მან მითხრა – “ფრთხილად იყავით, რადგან ტაძრის ირგვლივ ძალიან ბევრი ხალხია და მემონტაჟებიც განსაკუთრებული სიფრთხილით მოეკიდონ საქმეს”.

რაც შეეხება შემდგომში ჩემი პარლამენტარობის გაგრძელებას ახალი ვადით, ამის შესახებაც იყო საუბარი ბატონ ზურაბ ჟვანიასთან, მაგრამ გადაწყვეტილი მქონდა, რომ მეცნიერებაში კიდევ ოთხწლიანი პაუზა აღარ შეიძლებოდა და ამიტომ, მთლიანად კოსმოსურ ტექნიკას და სამხედრო-საინჟინრო დარგს უნდა დავბრუნებოდი.

როცა ქართულ დიდ პოლიტიკაში, ჩემი ოთხწლიანი მოღვაწეობის შემდეგ, დღის წესრიგში დადგა საკითხი საით გამეგრძელებინა გზა – პოლიტიკასა თუ მეცნიერებაში, რომელიც არასდროს მიმიტოვებია, მიუხედავად პოლიტიკაში მოღვაწეობის გარკვეული აზარტისა, ჩემი არჩევანი მაინც მეცნიერების სასარგებლოდ გადავწყვიტე. ამის მრავალი და მოტივირებული მიზეზი მქონდა.

პირველ რიგში, მეცნიერებაში ჩემი მოღვაწეობა 2004 წლისთვის თითქმის 40 წელს ითვლიდა. ამ ხნის განმავლობაში შეგძელი შექმნა ახალი მიმართულება ტექნიკისა და ტექნოლოგიების კოსმოსური და მიწისზედა საინჟინრო კომპლექსების დარგში.

გავიარე რთული და სიძნელეებით აღსავსე გაუკაფავი გზა ახალი ტიპის კონსტრუქციების შექმნისა და რეალიზაციისა, რომელთაც ანალოგი არ გააჩნიათ მსოფლიოში და, რაც უმთავრესია, შევქმენი პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი, რომელიც საქართველოსთვის ისტორიული მოვლენა გახდა. შემდეგ კი, შევუდექი დამოუკიდებელი საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარების ინტელექტუალური სამეცნიერო და აკადემიური ბაზის შექმნას.

ასეთი წინაპირობებით უკვე აღარ მქონდა მორალური და პროფესიული უფლება მეღალატა სამეცნიერო მოღვაწეობისთვის, სადაც ჩემი ადგილი დავიმკვიდრე, და გამეგრძელებინა პოლიტიკური კარიერა, რომელიც ძალიან ხშირად, მით უმეტეს საქართველოში, ბევრ შემთხვევითობასთან არის დაკავშირებული. ამასთან, პოლიტიკოსის პოლიტიკოსით შეცვლა ყოველთვის შესაძლებელია. ეს მაშინ, როდესაც საქართველოში კოსმოსური და სამხედრო საინჟინრო დარგის შემქმნელის შეცვლა იმ ეტაპზე პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ დიდ პოლიტიკაში აღარ ვიყავი ხშირად ვმსჯელობდი ან ჩემს თავს ვუსვამდი შეკითხვებს სხვადასხვა პოლიტიკურ და ზოგიერთ პროფესიულ მოვლენათა საკითხებზე და პასუხსაც მე ვცემდი. ეს იყო დიალოგი საკუთარ თავთან.

დავიწყეთ იმით, რომ მეცნიერი პოლიტიკურ ასპარეზზე ბოლომდე დიდ წარმატებას ვერ აღწევს ორი შემზღუდავი პირობის – კარიერაში ყოველი სვლის გაკეთებისას, გადამეტებული განსჯის, ჭეშმარიტების ძიების და საკუთარ სვლებში ზედმეტად დარწმუნების გამო.

ძალიან დასანანიია, მაგრამ ჩემთვის, როგორც “სამხედრო დარგის პოლიტიკოსისათვის”, საქართველოს პარლამენტში “სამუშაო ფუნქცია არ აღმოჩნდა”. ჩემგან კონკრეტული პარტიის პოლიტიკოსობას მოითხოვდნენ, ამის სურვილი კი, მიუხედავად შესაძლებლობებისა, არასდროს მქონია. ასე რომ, პარლამენტარის “მომგებიან” როლზე უარი განვაცხადე, თუმცა ერთნიშნად აღვნიშნე, რომ პარტიის პოლიტიკოსობა, თავისი ღირსეული და პროფესიული გაგებით, მართლაც აუცილებელია დემოკრატიულ სახელმწიფოში და მის მიღწევას სათანადო ცოდნაც და გამოცდილებაც სჭირდება.

ამდენად, სამეცნიერო ასპარეზისაგან განსხვავებით, ჩემი მოღვაწეობა პარლამენტში აღარ იყო საკუთარი კარიერის პერსპექტივებზე “მორგებული” პოზიცია. ეს კი დამატებით მანიჭებდა უდიდესი თავისუფლების ხარისხს, ყოველი გადაწყვეტილება და მოქმედება დამკავშირებინა არა პირად – პარტიულ, არამედ საქართველოს ინტერესებთან. ამას გრძნობდა თვით საზოგადოება, “პოზიცია”, “ოპოზიცია” და “ნეიტრალები”.

მაგრამ თუ ასეთი “ნეიტრალური” ვიყავი, მაშინ რატომ აღმოვჩნდი არამართო ქვეკომიტეტისა და შემდგომ ფრაქციის თავმჯდომარედ, არამედ საპარლამენტო თემატური უმრავლესობის ლიდერად, სადაც “ნეიტრალური” პოზიცია უბრალოდ მიუღებელი უნდა ყოფილიყო. ამ მოვლენას ჩემს პოლიტიკურ ცხოვრებაში თავისი ახსნა ჰქონდა.

ახალი საპარლამენტო და უფრო მეტად, საპრეზიდენტო არჩევნებისათვის მზადება პოლიტიკურ წრეებში, უფრო სწორად კი პარლამენტში, შედარებით ადრე დაიწყო. ასპარეზზე “პოლიტიკურმა ტემპერატურამ” სწრაფად იწყო მატება. ამასთან, ცალკეული პარტია, “რთული მართონის” პირობებში, რა თქმა უნდა გარკვეული მოთხოვნებით, ხედავდა სახელისუფლებო ბლოკთან დიალოგის შენარჩუნების აუცილებლობას, რაც სრულიად ბუნებრივია.

ასეთ ვითარებაში აქტიური საპარლამენტო ოპოზიციის ცნობილი ლიდერები და თვით პარლამენტის ხელმძღვანელობა, ხშირად უპირატესობას ანიჭებდა უმრავლესობის მხარის წარმომადგენელი, მათთან ურთიერთობაში, მე ყყოფილიყავი. ეს, რა თქმა უნდა, ხელისუფლებაშიც იყო ცნობილი. ვფიქრობ, ეს იყო იმის არგუმენტი, რომ უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე მიეღოთ გადაწყვეტილება, რომ პარლამენტში სახელისუფლებო ფრაქციის კოორდინატორი გავმხდარიყავი. ვერ ვიტყვი, რომ იმ “მოახლოებული პოლიტიკური ქარიშხლის” წინ “ამინდი” გაუმჯობესდა, მაგრამ “რადაცების” მიღწევა მაინც შეეძლო.

ყოველ შემთხვევაში, ვთვლიდი და ახლაც ასე მიმაჩნია, რომ პარლამენტში უნდა მემოქმედა პოლიტიკური პასუხისმგებლობით და არ “მეთამაშა პოლიტიკოსობა”. ეს ჩემს საჯარო გამოსვლებშიც და პუბლიკაციებშიც იგრძნობოდა.

სხვადასხვა ეპოქასა და სხვადასხვა ხელისუფლების დროს, არც ერთხელ გავმხდარვარ “ოპოზიციური ქცევის” მატარებელი.

“ოპოზიციაში” თუ “პოზიციაში” ყოფნა, როგორც მოღვაწის სტატუსის განმსაზღვრელი, უფრო პოლიტიკოსებსა და პოლიტიკური პარტიის წევრებს და ლიდერებს შეესაბამებათ, ვიდრე ცალკეული დარგის პროფესიონალებს, მით უმეტეს, თუ ისინი სახელმწიფო სამსახურში არიან.

ყოველ პროფესიონალს, როგორც მოქალაქეს, რა თქმა უნდა, თავისი ფართო სპექტრის შეხედულებები აქვს. მათ შორის, პოლიტიკისა და პოლიტიკოსების მიმართ, რაც არ უნდა გახდეს მოტივი სპეციალისტის მიერ სახელმწიფოს სამსახურისადმი განწყობილების ცვალებადობისა.

სამეცნიერო და სამხედრო მოღვაწეობაში “მეორე ტაიმი” დაიწყო

ძალიან მოკლედ მინდა განვმარტო თუ რას ნიშნავს სამხედრო-საინჟინრო დარგი, რომელიც თავისი სრული მოცულობის გარკვეული ნაწილით ვლინდება საბრძოლო მოქმედებების, ოპერაციების და ბრძოლების საინჟინრო უზრუნველყოფაში, როგორც ოპერატიული და საბრძოლო უზრუნველყოფის ერთ-ერთი უმთავრესი სახეობა. ამასთან, იგი მოიცავს ომის თეატრზე, სახელმწიფოს გარემოსა და ინფრასტრუქტურის საინჟინრო მომზადებას ომისათვის, რომელიც მოქმედებათა ოპერატიულ-სტრატეგიულ დონეს მიეკუთვნება. ტერიტორიის საინჟინრო მომზადება მოიცავს, როგორც გარემოსა და ინფრასტრუქტურის სამხედრო მდგენელს, ასევე სამოქალაქო მდგენელსაც, რომლის წილი ძალიან დიდია სამუშაოთა მთელ კომპლექსში. აქ ხდება შერწყმა სამოქალაქო და სამხედრო სფეროში საინჟინრო ღონისძიებების ჩატარებისა.

რაც შეეხება საბრძოლო მოქმედებების, ბრძოლებისა და ოპერაციების საინჟინრო უზრუნველყოფას, მისი პროფესიული რეალიზაცია მოითხოვს ინჟინრების მიერ საინჟინრო დარგის და ხელოვნების ღრმა და ფუნდამენტურ ცოდნას.

სწორედ ამიტომ, განვითარებული სახელმწიფოების პროგრამებში, სამხედრო ინჟინრები, როგორც წესი, გადიან სრულ საინჟინრო განათლებას და შემდეგ ან პარალელურად ითვისებენ სამხედრო განათლებას. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანო ამერიკის შეერთებული შტატების არმიის საინჟინრო კორპუსის ხელმძღვანელობა, რომლებიც, ერთი მხრივ, არიან უმაღლესი წოდების ოფიცრები და, მეორე მხრივ, მათ უმეტესობას საინჟინრო განათლება აქვთ მიღებული სამოქალაქო უნივერსიტეტებში.

სამხედრო-საინჟინრო აკადემიაშიც მიზნად იქნა დასახული სრულად გამოყენებულიყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პოტენციური ქვეყნის თავდაცვისათვის.

... საქართველოში დაჩქარებული, ზოგჯერ ხელოვნური ცვლილებები დაიწყო, რაც ხშირად უწყებრივი, არასახელმწიფოებრივი და კერძო ინტერესებით იყო განპირობებული. ერთ დღეს, ჩემთან კაბინეტში გაოგნებული სახით შემოვიდა აკადემიის უფროსი, პოლკოვნიკი ზურაბ შენგელია. მას ხელში ფურცელი ეკავა, რომელიც ჩემს მაგიდაზე დადო.

ეს იყო თავდაცვის მინისტრის 2005 წლის იანვრის ბრძანება, რომელიც ადრესატს, აკადემიის უფროსს, პოლკოვნიკ ზურაბ შენგელიას ჩააბარეს.

ჩვენთვის საინტერესო იყო ის, რომ მასში ეწერა – გაუქმდეს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემია, რაც, რამდენადაც გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო, ეწინააღმდეგებოდა სახელისუფლო პოლიტიკის გამოვლენას სამხედრო-საინჟინრო განათლებისადმი, როცა მან აკადემიას დაავალა სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის შესრულება 2005–2007 წლებში.

დავკურბდი ფურცელს, იმ წუთში ჩემს წინ გაირბინა ისტორიის მოვლენებმა, როდესაც საქართველოში ქართველი ქართველის მიერ დაწყებულ სასიკეთო სიახლეს ებრძოდა. სამხედრო საინჟინრო აკადემია არც განზრახვა და არც პროექტი არ ყოფილა. იგი რეალურად ამოქმედებული, საქართველოში უმაღლესი – სტრატეგიულ-ოპერატიული დონის პირველი სამხედრო სასწავლებელი იყო. მას დანგრევა და გაუქმება კი არა, არამედ სახელმწიფოს დახმარება და განვითარება სჭირდებოდა.

გამახსენდა ბრიგადის გენერალ ჯონ ხაკეტის ცნობილი გამონათქვამი – “როდესაც ქვეყანა თავის არმიას უყურებს, ის იყურება სარკეში და ხედავს თავის თავს”. ასეთი სიცარიელე არასოდეს მიგრძვნია, მაგრამ ეს გრძობა მხოლოდ რამდენიმე წამს გაგრძელდა.

აკადემიის უფროსს მიემართე, – ზურაბ თუ გაქვს სურვილი გააგრძელო ჩვენთან სხვა სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობა მე წინააღმდეგი არ ვიქნები.

ჩემი მდივანი გალინა მიხაილოვნა, რომელიც ხარკოვიდან თბილისში გადმოსვლის შემდეგ ოცდარვა წელზე მეტია ჩემთან მსახურობს, ვიხმე კაბინეტში და ვუთხარი, რომ როზა ომანაძე მოსულიყო. ცოტა ხანში როზაც მოვიდა, მას ფეხდაფეხ მოჰყვინენ ფინანსისტები თამარ ველიაშვილი და რუსიკო ღამბაშიძე, მათთან ერთად მოვიდა ინსტიტუტის სპეციალური სამსახურის უფროსი ნანა მაისურაძე. შემდეგ, ჩემი ოფისის თანამშრომლები, მანანა ხორხელი და გიორგი ქორიძე მოვიდნენ. ძალიან აფორიაქებული ჩანდნენ აკადემიის სასწავლო ნაწილის უფროსი მამუკა სანიკიძე და აკადემიის ყოფილი უფროსი ნოდარ წიგნაძე. ამასობაში კაბინეტში სხვებიც შემოვიდნენ. მათ აკადემიის გაუქმების შესახებ უკვე იცოდნენ. ყველა დუმდა. ისინი ჩემგან – აკადემიის პრეზიდენტისაგან ელოდებოდნენ იმედიან სიტყვას.

სინჟმე მე დავარღვიე და როზას ვუთხარი – საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შექმნილი, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამხედრო-საინჟინრო აკადემიის გაუქმება თავდაცვის მინისტრის ბრძანებით სამართლებრივად არასწორია, ამიტომ საკითხის გარკვევამდე აკადემიის ხელმძღვანელი დროებით შენ იქნები. ზურაბი თავდაცვის სამინისტროს მიერ არის დანიშნული აკადემიის უფროსად. იგი კადრის ოფიცერია, ამიტომ ახლავე უნდა გადადგეს და თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებას დაელოდოს.

შემდეგ კი იქ მყოფთ განუცხადე, როდესაც ახალ საქმეს იწყებ და ამისათვის ახალ სტრუქტურას ქმნი, მით უმეტეს საქართველოში, უნდა ელოდო იმას, რომ იგი შეიძლება გააუქმონ ან დაშალონ. ამიტომ ახალი საქმის დაზღვევისთვის წინასწარი ზომების მიღება აუცილებელია. სწორედ ამ მიზნით, ჯერ კიდევ შევარდნაძის პრეზიდენტობისას, როდესაც აკადემიას ვქმნიდი, მივადწიე იმას, რომ ყველა სადირექტივო დოკუმენტში ფიგურირებს მხოლოდ თავდაცვის სამინისტრო, გარდა ერთისა. ეს დოკუმენტი შეეხება ჩვენი აკადემიის სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებას, რომელიც ჩემი მოთხოვნით, იმთავითვე დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. ამის მოტივი კი ის იყო, რომ ჩვენი აკადემიის სრული სახელწოდება არის არა, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემია, არამედ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო საინჟინრო აკადემია. ამდენად არა მარტო ფინანსურად, არამედ სტრუქტურულადაც იგი მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაშია.

ამდენად, დაფინანსება კვლავაც გაგრძელდება, მიუხედავად თავდაცვის სამინისტროს არასწორად შედგენილი ბრძანებისა, რომელსაც ძალა ჩვენთვის ფაქტობრივად არ გააჩნია. საბიუჯეტო თანხები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეგიდით, კვლავაც ჩვენთან მოვა. ახლა მთავარია არ შევწყვიტოთ სამუშაო სამხედრო-საინჟინრო თემატიკაზე. ეს საკითხი კი ნამდვილად მოითხოვს დაფიქრებას და აწონ-დაწონას.

ამ სიტყვებმა თანამშრომლებზე ელექსირის ეფექტით იმოქმედა. ყველანი გამოცოცხლდნენ. ნოდარ წიგნაძემ ისიც კი გაიხსენა, რომ ჯერ კიდევ ადრე, როდესაც დამოუკიდებელ საქართველოში ინსტიტუტის საქმიანობის ორგანიზაციით ვიყავი დაკავებული, გარანტიის შესაქმნელად რამდენიმე სტრუქტურა შევქმენით – საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტი; ინსტიტუტის სასტენდო კომპლექსი საგურამოში; ბორჯომის მთიანი ზონის პოლიგონი; სამხედრო-საინჟინრო აკადემია და სამხედრო საინჟინრო დარგის კათედრა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. ეს იმიტომ გავაკეთეთ რომ “გასაჭირის” და “მოწინააღმდეგის შეტევის” დროს, ორგანიზაციები, რომლებშიც ერთი და იგივე საქმის კეთება იყო შესაძლებელი, სამხედრო ტერმინით რომ ვთქვათ, ეგრეთ წოდებულ “თავდაცვის მიჯნებად და ზღუდეებად” გამოგვეყენებინა. თუ საჭირო იქნებოდა ნაწილს მათგან დავთმობდით კიდევ, ოღონდ საქმიანობა გავგეგმავდებოდნენ. ეს მართლაც ასე გვქონდა მოწყობილი. არაერთი “თავდაცვის ზღუდე” დავტოვეთ, საქმე კი ყოველთვის გადარჩა. ასე მოხდა ახლაც.

სულ მალე, ქვეყანაში გატარებული რეფორმების შემდეგ მეორე “მიჯნის” დათმობა მოგვიწია, მაგრამ დროებით.

საქართველოში დაიწყო მოძრაობა და რეფორმები სამეცნიერო ორგანიზაციების ინტეგრაციისა და მათი შერწყმისა საუნივერსიტეტო სისტემასთან. ამ რეფორმას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, მაგრამ რეალურად თუ შევხედავთ სიტუაციას და საზღვარგარეთის წარმატებულ გამოცდილებას, იგი მთლიანად ურიგო არ იყო. თუმცა საქართველოში, რეფორმების პერიოდში, სხვა მრავალ სირთულეებთან ერთად, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამაც, სხვადასხვა მიზნებით და მიზეზებით ბევრი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დაკარგა.

დრო აღარ ითმენდა და საქართველოში გადავდგი პირველი ნაბიჯი. მოგუხსენი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსები საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტს და სამხედრო-საინჟინრო აკადემიასაც, გავაერთიანე ისინი და მთავრობის დადგენილების საფუძველზე, სტრუქტურული ერთეულის სახით მთელი ჩვენი უძრავ-მოძრავი ქონებითა და სახელმწიფო საბიუჯეტო დაფინანსებით შევედით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შედგენილობაში.

ამასთან, მეტად მნიშვნელოვანი იყო საქართველოს მთავრობის 2006 წლის 23 თებერვლის №42 დადგენილება, რომელიც სპეციალურად ჩვენს რეორგანიზაციას და ახალ პირობებში შემდგომი სამუშაოების თემატიკას განსაზღვრავდა.

მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ, უკვე ყველა სამეცნიერო ინსტიტუტი აღმოჩნდა სხვადასხვა უნივერსიტეტის შემადგენლობაში. ბევრ მათგანს პრობლემებიც კი შეექმნათ, განსაკუთრებით განთავსების ფართობის მხრივ. ასე რომ, ამ შემთხვევაშიც ჩემი, მაშინ ზოგიერთების მიერ ნაადრევად და, რაც მთავარია, მცდარად შეფასებული ნაბიჯი სწორი გამოდგა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შემადგენლობაში ჩვენ გვეწოდა “საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი”. ინსტიტუტში მე გენერალური კონსტრუქტორის თანამდებობა დავიკავე, რომელსაც ინსტიტუტის თანამშრომელთა თხოვნით სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეობაც დაემატა. ინსტიტუტის დირექტორი, ჩემი მოწაფე ნოდარ წიგნაძე გახდა.



**საქართველოს მთავრობის
დადგენილება**

№42 2006 წლის 23 თებერვალი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირების – საქართველოს კოსმოსური და მიწისზედა შენობების, ნაგებობებისა და კონსტრუქციების ინსტიტუტისა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის რეორგანიზაციის შესახებ

სამეცნიერო და საგანმანათლებლო დარგების მიმართულებათა გამსხვილებისა და ინტეგრაციის აუცილებლობიდან გამომდინარე, საქართველოში მაღალი ტექნოლოგიებისა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განვითარების მოთხოვნის შესაბამისად სახელმწიფოს სამხედრო უსაფრთხოების სისტემაში სამოქალაქო დარგებისა და კომპონენტების ამოქმედებისა და განვითარებისათვის კადრების მომზადების გაუმჯობესებისა და სამეცნიერო პოტენციალის გაზრდის მიზნით „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტისა და „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე:

ქვემოთწერილი 28.02.06წ.

02/02

1. რეორგანიზებულ იქნეს საჯარო სამართლის იურიდიული პირები - საქართველოს კოსმოსური და მიწისზედა შენობების, ნაგებობებისა და კონსტრუქციების ინსტიტუტი და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემია საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან შეერთების გზით.

2. საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს განესაზღვროს საჯარო სამართლის იურიდიული პირების - საქართველოს კოსმოსური და მიწისზედა შენობების, ნაგებობებისა და კონსტრუქციების ინსტიტუტისა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის პროფილების შესაბამისი, სახელმწიფო მიზნებითა და ამოცანებით განსაზღვრული ფართო სპექტრის სამეცნიერო კვლევების, საკონსტრუქტორო და დაგეგმარებითი სამუშაოების წარმოება - სპეციალური მიწისზედა და კოსმოსური ნაგებობების, კონსტრუქციებისა და თავდაცვითი საინჟინრო მაღალტექნოლოგიური და კონკურენტუნარიანი კომპლექსების შექმნა; საგანგებო და ექსტრემალურ ვითარებაში ერთიანი საინჟინრო უზრუნველყოფის სისტემური დამუშავება; სახელმწიფოს ტერიტორიის თავდაცვისათვის მომზადებისას სამოქალაქო-საინჟინრო კომპონენტების ეფექტიანობის პრინციპების განსაზღვრა და სათანადო დარგებში უმაღლესი პროფესიული

და სპეციალური დამატებითი სახწავლო პროგრამების შექმნა და საგანმანათლებლო მიმართულებების განხორციელება.

3. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ (ი. ჩოგოვაძე) უზრუნველყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირების – საქართველოს კოსმოსური და მიწის-ზედა შენობების, ნაგებობებისა და კონსტრუქციების ინსტიტუტისა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის გადაცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (ა. ალექსიშვილი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ წარდგენილი წინადადებების ხაფუჭეულზე უზრუნველყოს „საქართველოს 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის მომზადება საჯარო სამართლის იურიდიული პირების – საქართველოს კოსმოსური და მიწის-ზედა შენობების, ნაგებობებისა და კონსტრუქციების ინსტიტუტისა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემიისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებულ ასიგნებათა საჯარო სამართლის

იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის გადაცემის მიზნით.

5. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი



ინსტიტუტის ახალი ემბლემის შექმნის დრო დადგა შევეცადე, რომ მასში ასახულიყო საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის საერთო ნიშნები.



როდესაც მეკითხებიან, რატომ გადაწყვიტე ისე, რომ ხარ ინსტიტუტის გენერალური კონსტრუქტორი და ამასთან აღარ ხარ ინსტიტუტის დირექტორი, ამაზე პასუხი ერთი და იგივე მაქვს. ყველა ასაკს შესაბამისი გატაცება და თანამდებობა შეესაბამება. მაგრამ ამასთან ერთად არის კიდევ ერთი რამ, როცა 1999 წელს ამირჩიეს საქართველოს პარლამენტში, არსებული წესის მიხედვით მე შევაჩერე ინსტიტუტის გენერალურ დირექტორად ჩემი ყოფნა. სამხედრო-საინჟინრო აკადემიაშიც მე პრეზიდენტი გახლდით, ხოლო აკადემიის უფროსი პოლკოვნიკი ზურაბ შენგელია იყო.

2004 წელს, როდესაც საპარლამენტო უფლებამოსილების ვადა გამივიდა, მივხვდი რომ დირექტორობა ჩემთვის უკვე ზედმეტი ტვირთი იქნებოდა, თავისი დამატებითი დატვირთვებით, რაც ადმინისტრაციულ და ფინანსურ საკითხებსაც უკავშირდება. წლებით და გამოცდილებით დატვირთული მეცნიერისათვის გაცილებით შესაფერისია არა ადმინისტრაციული, არამედ შედეგზე ორიენტირებული სამეცნიერო საქმიანობა, რაც თავისთავად კოლოსალურ ენერჯიას და დიდ დროს მოითხოვს.

ახლა კვლავ ინსტიტუტს დაგუბრუნდეთ. ინსტიტუტის სახელწოდება – “ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის”, შეიძლება დაიყოს სამი ნაწილად: “ნაგებობები”, „სპეციალური სისტემები“ და „საინჟინრო უზრუნველყოფა“.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დასახელებაში პირველი სიტყვის „ნაგებობების“ შესახებ მოგახსენებთ. შეიძლება ითქვას, რომ ამ სიტყვაში იგულისხმება უმთავრესი და ტრადიციული კომპონენტი ინსტიტუტის საქმიანობისა, იგი აერთიანებს, როგორც კოსმოსურ, ისე, მიწისზედა საინჟინრო სტრუქტურებს და კომპლექსებს.

როდესაც კოსმოსური ნაგებობების თემატიკაზე ვსაუბრობ, არ შეიძლება არ გავიხსენო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენი ინსტიტუტის განვითარების სტრატეგიაში მივიღე პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ორბიტაზე გატანიდან სამი წლის შემდეგ, როცა დემონსტრაციულად უარი ვთქვი ოცი მილიონი ევროს ღირებულების ევროპული კოსმოსური სააგენტოს სამუშაოზე. სატენდერო მოთხოვნილებების

დაკმაყოფილებას სწორედ ქართული კოსმოსური რეფლექტორის იდეოლოგია დაედო საფუძვლად.

როგორც აღვნიშნე, უარის მიზეზი იყო რეფლექტორის შექმნის იდეოლოგიაში „ქართული“ პრინციპებიდან, რუსი და იტალიელი მკვლევრების არასწორ პრინციპებზე გადასვლა, რაც ეწინააღმდეგებოდა წარმატებული კონსტრუქციის შექმნის იდეოლოგიას.

ამასთან, ჩემი გადაწყვეტილების არსი სხვა ბევრ რეალობაზე იყო დაფუძნებული.

პირველ რიგში, ქართული კოსმოსური ობიექტის წარმატებული გაშვებისა და ამ დარგში მრავალწლიანი ინტენსიური მუშაობის შემდეგ, ინსტიტუტს გარკვეული შემოქმედებითი პაუზა სჭირდებოდა. საჭირო იყო ახალი მიმართულების ძიება და ძველის გადაფასება.

მეორე, ინსტიტუტის ბევრი თანამშრომელი, რომლებიც უკვე საკუთარი ოჯახების პრობლემებით და სირთულეებით იყო დატვირთული, ჩვეული ენთუზიაზმით და შემართებით ვეღარ აგრძელებდა მუშაობას. ბევრი მათგანი კი საკუთარ გზას მეცნიერებაში ვეღარ ხედავდა და სხვაგან გაურბოდა გონება და სურვილები.

მესამე და უმთავრესი იყო ის, რომ გარდა კოსმოსური თემატიკისა, რომელიც საქართველოსთვის მართალია ეკონომიკურად გარკვეულწილად მომგებიანია, მაგრამ საზღვარგარეთ გამოყენებაზეა ორიენტირებული, აუცილებელი იყო გამოგვეჩინა ისეთი სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური სხვა მიმართულებები, რომლებიც შესაბამისი იქნებოდა საქართველოს სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებთან. ასეთი პირობა, გარდა ინსტიტუტის მუშაობის ეფექტურობისა, მისი არსებობის სტაბილურობის განცდასაც ქმნიდა, რაც თანამშრომლების და, განსაკუთრებით, მეცნიერებისა და მეცნიერთათვის ძალიან მნიშვნელოვანია.

და კიდევ იყო ერთი ფაქტორი, ინსტიტუტის გადაიარაღება, თუნდაც სამუშაო ადგილების, ტექნიკური ბაზის და თანამშრომელთა სამუშაო პირობების განახლება.

ამ გადაწყვეტილებებს მაშინ ბევრი ეწინააღმდეგებოდა, ისევე, როგორც ევროპული კოსმოსური სააგენტოს სატენდერო სამუშაოდან გამოსვლას, მაგრამ ჩემი პოზიცია სწორად მიმაჩნდა და ინსტიტუტიც ამ გზით წავიყვანე.

ინსტიტუტმა ახალი ცხოვრება დაიწყო, სულ 3-4 წელიწადში, როგორც გაბედილი ხე აიყრის ახალ ტოტებს, ისე წარმოჩნდა ახალ სამუშაოში, გარკვეულწილად შეიცვალა მკვლევართა და კონსტრუქტორთა რიგები, ინსტიტუტს გაუჩნდა ახალი პერსპექტივები.

კვირადღეს ინტერნეტში ახალ მასალებს ვეძებდი, რომლებიც ჰოლანდიის კონფერენციაზე გასაგზავნი მოხსენებისათვის მჭირდებოდა. სამუშაოს ბოლოს რუსული საიტების ნახვა გადავწყვიტე, სადაც ჩემი გვარის მიხედვით ბევრი, ჩემთვის ახალი მასალა აღმოვაჩინე. ამ მასალების თვალთვრებამ და კითხვამ გამიტაცა.

არის ასეთი საიტი – Конструкторы ракеты-космических систем, სადაც ჩამოთვლილია დარგის ცნობილი კონსტრუქტორები, მათ შორის ისეთი კორიფეები, როგორებიც იყვნენ ციოლკოვსკი, კოროლიოვი და სხვები. ქართველებიდან ორი პიროვნებაა შეყვანილი ჩამონათვალში – ნადირაძე, ბალისტიკური რაკეტებისა და მათ შორის SS-20-ის გენერალური კონსტრუქტორი და ჩემდა გასაკერად მე – ელგუჯა მეძმარიაშვილი. სია რამდენიმეჯერ ჩავიკითხე, სადაც მხოლოდ 81 პიროვნება ფიგურირებდა.

შემდეგ სხვა საიტზე გადავედი. ჩემი ყურადღება მიიპყრო 1997 წელს ჟურნალ „Техника молодежи“-ში გამოქვეყნებულმა სტატიამ „Колосс в коллапсе“ ავტორი იური

ეგოროვი სამართლიანად წარმოაჩენს საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტს, მის უნიკალურ სასტენდო ბაზებს, კონსტრუქციებს რომლებთაც ანალოგი არ გააჩნიათ და ამასთან სტატიის ბოლოში, იგი მიანიშნებს იმას, რომ ამერიკამ რომელიც კოსმოსში “. . . раструбивших на весь мир, что запустили в космос радиотелескоп с 15-метровой антенной, какие в ИКС-е делали 10 лет назад”.

“ИКС” – ეს აბრევიატურა იყო საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტისა – Институт Космических Сооружений.

მესიამოვნა რომ ჩვენს შესახებ ჟურნალ „Техника молодежи“-ში დაიწერა სტატია. ჩვენ ტექნიკის მოყვარულები საბჭოთა ეპოქაში სწორედ ამ ერთადერთი ჟურნალით „ვიზრდებოდით“.

ახლა კი, ინტერნეტში წიგნიც აღმოვაჩინე – “Станция „Мир” от триумфа до ... ” მისი ავტორებია ვ.ა.გოლოვანოვი და ა.ბ.ჟელეზნიაკოვი. წიგნი გამოცემულია სანქტ-პეტერბურგში, 2007 წელს. მასში მთელი თავი აქვს დათმობილი ექსპერიმენტ “რეფლექტორს”. წიგნში ძირითადად ყველაფერი მეტნაკლები სიზუსტით არის აღწერილი, ოღონდ მის ბოლოში ერთი უზუსტობაა – „Резонанс от успеха эксперимента „Рефлектор” в Грузии был таков, что в стране день 28 июля объявили Национальным днём науки“.

რაც შეეხება მეცნიერების, ნაციონალური დღის აღნიშვნას ქართული კოსმოსური ობიექტის ორბიტაზე გაყვანასთან დაკავშირებით, ასეთი საუბრები 1999 წლის 28 ივლისს ნამდვილად იყო. მაგრამ არა 28 ივლისი, როცა ობიექტი სრულად გაიშალა და ჩამოსცილდა ორბიტულ სადგურს, არამედ მისი დაწყების დღე 23 ივლისი, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით აღიარებულია პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის დღედ. ამ დღის დაწესება მხოლოდ სამი წლის შემდეგ მოხდა.

საიტების ნახვას ვამთავრებდი, როცა უცებ შევნიშნე ჩემს გვართან დაკავშირებული რუსულენოვანი წიგნი – “Крещение огнём. Алтарь победы”.

ეს ისტორიული ჟანრის წიგნია. იგი ეკუთვნის ცნობილ რუს ავტორს, Максим Калашников-ს. წიგნი შეეხება საბჭოთა კავშირის და დასავლეთის, უპირატესად, კი ამერიკის შეერთებული შტატების – Военное противостояние-ს. წიგნში არის ერთი თავი – «Брошенные в Мцхете».

წიგნმა ძალიან დამაინტერესა, თან ვცდილობდი სწრაფად წამეკითხა ის ნაწილი წიგნისა, რომელიც ჩემზე იყო დაწერილი, და აი, ისიც. მე მკითხველს გავაცნობ ნაწყვეტს ამ თავიდან:

“И тут, как оказалось, мы тоже далеко опередили Североатлантиду. Работы над гигантскими, разворачивающимися в космосе конструкциями и антеннами велись и в Московском ЦНПО «Комета», и в Грузии, на сверхсекретнейшем «объекте “ИКС”» вблизи Мцхеты.

В середине 1970-х основатель ИКС, Элгуджа Медзмаришвили, создал целую науку о конструкциях-трансформерах. Сначала они делали ажурные 10-15-метровые в поперечнике антенны радиорелейных станций и небольшие арочные мосты, на раскрытие которых требовалось несколько минут. Или многометровые мачты, в сложном состоянии умещавшиеся в кузове грузовика.

Потом заказчиком работ стали имперские военные. Нужны были и гигантские, 30-метровые в поперечнике, кругло-вогнутые антенны орбитальных радиотелескопов. Эти приборы должны были засекать старты американских ядерных ракет типа «Першинг». И ещё многое другое на поверхности

планеты. Спецы ИКС сумели сделать антенну, которая в сложном состоянии превращалась в компактный цилиндр трёх метров высотой и двух – в диаметре. Запуск радиотелескопа планировался с помощью ракеты «Протон», но Империя была расчленена. И Грузинский институт оказался в нищей, убудочно-мафиозной «стране Шеварднадзе-Саакашвили».

А ведь планировалось сделать антенну-трансформер для космолётов Лозинского. Огромные поля солнечных батарей, напоминающих пчелиные соты, которые укладывались бы в пятигранные «столбики» для вывода на орбиту. Эти же «соты» могли сформировать и защитные экраны от лазерных ударов по орбитальным станциям. Прекрасные антенны-трансформеры были элементами имперских систем разведки и целеуказания из космоса для противовоздушной обороны с орбитальными элементами. Красноречивый факт: в 1995-м США сумели развернуть в космосе 15-метровую антенну. Аккурат такую, какую под Мцхетой делали ещё десять лет до того”.

მაქსიმ კალაშნიკოვის წიგნის, განსაკუთრებით კი ჩვენთან დაკავშირებული საკითხის წაკითხვის შემდეგ ორი ურთიერთსაპირისპირო შეხედულება დამეუფლა.

პირველი მათგანი იყო განცდა წარსულში გაკეთებული დიდი და საინტერესო საქმეებისა. მაგრამ ეს არ იყო მთავარი. განსაკუთრებული იყო მეორე შეხედულება, რაც წიგნთან და მის ავტორთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნო.

დავიწყებ იმით, რომ მაქსიმ კალაშნიკოვს არ ჰქონდა მორალური უფლება საბჭოთა პერიოდის შემდეგ დამოუკიდებელი საქართველოსთვის ეწოდებინა – “უბუდო-მაფიოზი «სტრანე შევარდნადზე-სააკაშვილი»”. რაც მთავარია, და რაც სათაურშიც ჩანს – «Брошенные в Мцхете» ეს სათაური დევიზად გაჰყვება მთელ ისტორიას და ავტორი თითქოს ნანობს, რომ ყველაფერი, რაც იქმნებოდა და რაც პერსპექტივაში ჩანდა “წყალში ჩაიყარა”.

არა, ამხანაგო მაქსიმ კალაშნიკოვ, ეს ასე ნამდვილად არ არის და ამის დამამტკიცებელია თუნდაც რუსული და ევროპული შეფასებები.

დავიწყოთ რუსული წყაროებიდან 2002 წელს გამოცემული ცენტრალურ სამხედრო ჟურნალში «Военный парад» გამოქვეყნდა სტატია “Мировой уровень качества, кратчайшие сроки создания”, რომლის დიდი ნაწილი ეძღვნება კოსმოსურ ექსპერიმენტ – “რეფლექტორს”, რომელიც რეალიზებული იყო საქართველოში, ქართველების მიერ შექმნილ 6,4 მეტრი დიამეტრის კოსმოსური, გასაშლელი რეფლექტორით.

მასში აღნიშნულია, რომ: «Большой резонанс в мире вызвал эксперимент «Рефлектор», реализованный на станции «Мир» в 1999 году».

“Была создана, используя внебюджетные средства, экспериментальная крупногабаритная параболическая антенна диаметром около 6,4 м, не имеющая реальных аналогов в мировой космонавтике. Эта разработка открывает широкие перспективы использования таких конструкций и в интересах Минобороны РФ”.

აქვეა ფოტო გადაღებული კოსმოსურ ორბიტაზე მინაწერით: Антенна большого диаметра в свободном космическом полёте.

ასევე, აღსანიშნავია ქართული კოსმოსური ობიექტის შეფასებები რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში. მათ შორის ერთ-ერთია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის Ю.П. Семёнов-ის სტატია «Новые российские технологии в ракетно-космической

технике последних лет», რომელიც 2000 წელს გამოქვეყნდა «Вестник Российской Академии наук» том.7, №8.

სამეცნიერო სტატიაში, სადაც რეფლექტორის ორბიტაზე ფრენის კადრები და მისი კონსტრუქციული სქემების ნახაზებიცაა წერია, რომ: «... Год назад «Энергия» и Грузинский Политехнический Институт образовали совместное предприятие, которое готовит к выпуску автоматически развёртываемые космические рефлекторы большого диаметра (от 6 до 30м), не имеющие аналогов в мире (рис.11). Кстати, эти работы открывают грандиозную перспективу по созданию не только солнечных зеркало-концентраторов большого диаметра, но и антенн (табл.4)».

ერთი კია, რუსები თავის გაზეთებში და ჟურნალებში პირველ ეტაპზე არ ერიდებოდნენ ქართული კოსმოსური რეფლექტორების შექმნის ტექნოლოგია მოეხსენებიათ, როგორც «Российские технологии». თუმცა ხშირად მაინც “წამოცდებოდათ”, რომ რეფლექტორების შექმნის პრინციპები და ტექნოლოგია საქართველოში, ქართველების მიერ არის შექმნილი და მას ქართული ტექნოლოგია ეწოდება. ამის ერთ-ერთი მაგალითია: მ. პობედინსკაიას სტატია «Новое предприятие по разработке больших антенн для К.А.», რომელიც 2002 წელს ჟურნალ «Новости космонавтики»-ში გამოქვეყნდა. სტატია ძირითადად შეეხება იმას, რომ რუსულ-ქართულ-იტალიურმა გუნდმა მოიგო ევროპული კოსმოსური სააგენტოს ტენდერი. ამასთან მასში წერია რომ: «Рефлектор был разработан грузинскими учёными под руководством проф. Э.В. Медзмариашвили».

ამასთან, პუბლიკაციებში და გამოსვლებში, რუსეთის მხარე ხშირად უსვამს ხაზს პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გამოცდებს – ექსპერიმენტს ღია კოსმოსურ სივრცეში, რომელიც ორბიტულ სადგურ “MIR”-ზე ჩაატარა ინტერნაციონალურმა ეკიპაჟმა. სხვათა შორის ექსპერიმენტის პროგრამა შედგენილი იყო საქართველოში ქართველების მიერ.

რაც შეეხება პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის შექმნას, რომელიც, როგორც არაერთხელ აღვნიშნე, საქართველოში, ქართველების მიერ განხორციელდა, ეს ფაქტი უაპელაციოდ არის აღიარებული რუსეთშიც და, რა თქმა უნდა, მსოფლიოშიც. ამის შესანიშნავი დასტურია სერგეი კოროლიოვის სახელობის სარაკეტო-კოსმოსური კორპორაციის “Энергия”-ს გენერალური კონსტრუქტორის მოადგილის, კომპანია “EGS”-ის პრეზიდენტის იგორ ეფრემოვის მიერ საქართველოს ხელისუფლებისადმი გამოგზავნილ ოფიციალურ წერილში გამოთქმული აზრი: “ორბიტალურ სადგურ “მირზე” პირველად გაიშალა ქართული კონსტრუქცია. მოხარული ვართ, რომ ამ დიდ საქმეში ჩვენც, თქვენი მეგობრები და კოლეგები, თქვენთან ვიდექით”.

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის და ორბიტაზე სხვადასხვა კოსმოსური კონსტრუქციის შექმნის განსაკუთრებული აღიარებაა მოხსენიება ენციკლოპედიურ გამოცემებში – «Ракетно-космическая корпорация «Энергия» им. С.П. Королёва 1946-1996 гг.», რომელიც 1997 წელს გამოიცა და «На рубеже двух веков 1996-2001 гг.», რომელიც გამოვიდა 2001 წელს. ამ ქრესტომათიულ წიგნში მაქსიმალური ობიექტურობითაა აღწერილი ქართველების სამუშაო და დამსახურება კოსმოსური ტექნოლოგიების განვითარებაში.

და, როცა რუსულ გამოცემებსა და შეფასებებზე ვსაუბრობთ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ რუსეთის მიერ ოფიციალურად დამტკიცებულ კოსმონავტიკის «Хроника основных событий», სადაც ჩაწერილია «1999 год 28 июля. Проведён эксперимент «Рефлектор» на борту

станции «Мир» по совместной российско-грузинской программе, положившей начало новому направлению работ в области создания антенн большого диаметра».

ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ ანალოგიური ტექსტით პროგრამა “რეფლექტორი” შეტანილია მსოფლიო კოსმონავტიკის პრიორიტეტულ მიღწევათა ჩამონათვალში.

ასე, რომ Максим Калашников-ს უნდა სცოდნოდა, რომ პიროვნებები, რომელთა მსოფლიო ღონის მიღწევებს ის აღიარებს და ამასთან, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მათ ის მხატვრულად ახასიათებს, როგორც «Брошенные в Мцхете», კარგა ხანია გამოვიდნენ მსოფლიო არენაზე და მათ შორის რუსეთში. ან შეიძლება ამის შესახებ არ უნდოდა რომ სცოდნოდა Максим Калашников-ს მაშინ მის მიერ დაწერილი ტექსტი უფრო ნაკლებად უღერადი იქნებოდა მათთვის ვინც განიცდის, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ იმას, რომ «Империя была расчленена».

... ახალმა დრომ მოიტანა ის, რომ საზოგადოების განვითარებაში, მიუხედავად მრავალი დადებითი და პროგრესული ძვრებისა, მაინც მოხდა წყვეტა. უმეტესმა თანამედროვე ახალგაზრდამ შეძლო ბევრი ახალი ჩვევების შეთვისება. ისინი გამოირჩევიან დახვეწილობით, სხვადასხვა დარგში და სფეროში დიდი მოცულობის, ოღონდ ზედაპირული ინფორმაციის ფლობით, უცხო ენების ცოდნით, თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების ათვისებით და სხვა. მაგრამ მათ დიდ ნაწილს დააკლდა პროფესიონალური ცოდნა და, რაც მთავარია, გამოცდილება, ეს კი ინტენსიურ და გარკვეულ წილად დარგის ფუნდამენტური ცოდნის შეძენასთან და ამ მხრივ მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული. ეს წყვეტა მათ განვითარებაში, მისი დაძლევისათვის უფრო დიდ დროს მოითხოვს, მაგრამ დღეს მნიშვნელოვანია ის, რომ ზოგიერთი ზედმეტად თვითდაჯერებული ახალგაზრდა ვერ ან არ გრძნობს ამ დანაკლისს.

ამასთან დაკავშირებით მასხენდება ერთი შემთხვევა, რომელიც ჯერ-კიდევ საბჭოთა ეპოქაში მოხდა. მის შესახებ განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს, მაგრამ საკითხის არსი ყველგან ერთი და იგივეა. ნიკიტა ხრუშჩოვმა თავის კაბინეტში გამოიძახა საბჭოთა კოსმონავტიკის ფუძემდებელი და შემოქმედი სერგეი პავლეს ძე კოროლიოვი. შეხვედრას პოლიტიბიუროს სხვა წევრებიც ესწრებოდნენ. ხრუშჩოვმა დაავალა კოროლიოვს, რომ მორიგი თანამგზავრი, რომელიც ახალ პრინციპების მიხედვით მზადდებოდა, 1 მაისს უნდა გაეყვანათ ორბიტაზე და იქიდან ინტერნაციონალის ჰანგები უნდა გადმოეცათ ყრილობის დელეგატებისა და მსოფლიოს მოსასმენად. კოროლიოვმა უთხრა, რომ იგი ამას ვერ შეძლებდა, რამაც ნიკიტა ხრუშჩოვი აღაშფოთა. კოროლიოვმა ნებართვა ითხოვა და კაბინეტიდან გავიდა.

რამდენიმე წუთში ხრუშჩოვის პირადი მდივანი შემოვიდა და მოახსენა გენერალურ მდივანს, რომ იური პავლეს ძე კოროლიოვი კვლავ ითხოვდა მასთან ცოტა ხნით შესვლას.

ხრუშჩოვმა მედიდურად გადახედა მასთან მყოფ პოლიტიბიუროს წევრებს და ამაყათ თქვა. ასეა ამხანაგებო, ჩემი განრისხების შემდეგ, გენერალური კონსტრუქტორი დაფიქრდა და მიხვდა, რომ 1 მაისს თანამგზავრის ორბიტაზე გაყვანა შესაძლებელია.

ამ მომენტში კაბინეტში შემოვიდა კოროლიოვი, მან დინჯად წარმოსთქვა – ნიკიტა სერგეევიჩ, ახალი თანამგზავრის შექმნა შემეცნებას მოითხოვს, ხოლო შემეცნების ხელგონურად დაჩქარება შეუძლებელია. შემდეგ ბოდიშის მოხდით კაბინეტიდან გავიდა.

თანამგზავრი მოგვიანებით, თუ არ ვცდები საშვიდნოემბროდ, გავიდა ორბიტაზე.

გადიოდა წლები. თითქოს ცხოვრების ტემპი დაჩქარდა. ეს შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ უფრო მგონია, რომ ამას გამორჩეულად, ჩვენ, უფროსი თაობა ვგრძნობთ. ახლა, ამ დროის სწრაფ სვლაში ქვეყნისთვის აუცილებელი, ძალიან საჭირო და საინტერესო პრობლემის გადაწყვეტა დგას ჩვენ წინაშე. ასეთ ვითარებაში მთავარია შენც არ აჩქარდე და შეინარჩუნო სამუშაოს შესაფერისი რიტმი. მხოლოდ ეს არის იმის საწინდარი, რომ საქმე აკეთო დაფიქრებით, დაკვირვებით, შემოქმედებითად და, რაც უპირველესია, პატიოსნად, ვინაიდან ყველაფერი ეს უმთავრეს პროცესთან – შემეცნებასთან არის დაკავშირებული. შემეცნების პროცესის, რომელიც ასევე დამოკიდებულია რეალობასა და მის აქტუალზე, როდესაც მოვლენა და მისი პერსპექტივა ცნობიერებაში სრულად გამოიხატება, მნიშვნელოვნად აჩქარება შეუძლებელია. სხვა შემთხვევაში შრომა გარკვეულ ეტაპზე “ჩაგეთვლება” კიდევ და რეკლამასაც გაგიკეთებს, მაგრამ იგი პერსპექტივაში შედეგის მომცემი ვერ იქნება. ეს ჩემი და ჩემი თანაგუნდელების მოქმედების პრინციპია და მას დღესაც ნდობით ვუყურებ. ამას გრძნობენ ჩვენთან და ამას ითვალისწინებენ, ყოველ შემთხვევაში პატივს სცემენ ჩვენი უცხოელი პარტნიორები, რომლებთანაც ურთიერთობები და საქმიანი კავშირები დღითიდღე იზრდება.

... საქართველოში ზოგიერთების დაჩქარებული, უფრო სწორად, აჩქარებული ქცევა, მიმართული თითქოს ხელისუფლების საამებლად, ზოგჯერ გაუაზრებელ ქმედებებამდე მიდის. ამის მაგალითი ჩვენი ინსტიტუტის მიმართაც განხორციელდა.

ერთ-ერთი მიჯნა და არა პოზიცია, რომელიც იმ წლებში დავთმეთ, უფრო სწორად, დაგვათმობინეს იყო ინსტიტუტის სასტენდო დარბაზი, სადაც შემდგომში მოწყობილი იყო საგამოფენო ექსპოზიცია, მანამდე კი განთავსებული იყო პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის მეორე ეგზემპლარი, საიდანაც კოსმოსური ექსპერიმენტი დედამიწიდან იმართებოდა. ერთი სიტყვით, დარბაზის მთელ პერიფერიაზე ქრონოლოგიური თანამიმდევრობით, ფოტო- და დოკუმენტური მასალების წარმოჩენით, მოწყობილი იყო ქართული სამხედრო-საინჟინრო კოსმოსური და დედამიწისეული დარგების განვითარების ისტორია. ასე ვთქვათ, იყო შესანიშნავი მუზეუმი, რომელსაც ამშვენებდა ჭერზე შეკიდული პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ზუსტი მაკეტი.

აღსანიშნავია, რომ ილუსტრაციები მოიცავდნენ, როგორც საბჭოთა, ისე დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდებს. რაც შეეხება კოსმოსურ ტექნიკას, წარმოდგენილი იყო მასალები, რომლებზეც ასახული იყო საქართველოს ერთობლივი სამუშაოები ჯერ საბჭოთა კავშირთან, შემდეგ პერიოდში კი ევროპასთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ეს ის სახელმწიფოებია, რომლებიც ტონს აძლევდნენ მსოფლიო კოსმონავტიკის განვითარებას და მათთან ურთიერთობის გარეშე უბრალოდ, არათუ მაშინ, არამედ დღესაც კი შეუძლებელია, მით უმეტეს კოსმოსურ ორბიტაზე, რაიმე სამუშაოს შესრულება. ბოლო წლებია ამ მხრივ წარმოჩნდა ევროპა, ჩინეთი და იაპონია, მაგრამ მათაც მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებთ ამერიკის შეერთებულ შტატებთან და რუსეთთან. კოსმონავტიკის დარგის რეალობა ჯერჯერობით ასეთია.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ზოგიერთმა “აქტივისტმა” უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას მიაწოდა “პატრიოტული” ინფორმაცია, რომ საგამოფენო სტენდებზე სამხედრო-საინჟინრო დარგის განვითარებაში, რუსულ კოსმონავტიკასთან საქართველოს თანამშრომლობა არ უნდა ყოფილიყო წარმოჩენილი. არც ჩვენი, ქართული სამუშაოების

მიმართ ადრე გამოცემული “სრულიად საიდუმლო” საკავშირო მინისტრთა საბჭოს და სამხედრო სამრეწველო კომისიის დადგენილებები და გადაწყვეტილებები “მოსწონდათ”. ამ მოტივით უნივერსიტეტის რექტორატმა “მორიდებით” “მოითხოვა”, რომ გამოფენილი ილუსტრაციები ჩამომეხსნა.

არადა იმ პერიოდში უკვე დაწყებული გვქონდა მასალების შეგროვება მუზეუმის თემატიკის გაფართოებისთვის. გვინდოდა იგი გადაქცეულიყო ქართული ინდუსტრიის მუზეუმად, სადაც ასევე წარმოჩნდებოდა საქართველოდან ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, თვით რუსეთში და სხვა ქვეყნებში წასული და იქ საავიაციო ტექნიკის და სამხედრო-საინჟინრო დარგში სასახელოდ მოღვაწე ჩვენი თანამემამულეები და მათი ნაკეთები ღირსეული საქმეები.

ინდუსტრიული მუზეუმის შექმნა საქართველოში აუცილებელია. იგი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ფუნქციონირებს. მას არა მარტო ერის ტექნოლოგიური პოტენციალის გაცნობა შეუძლია ადგილობრივი და საზღვაგარეთელი მნახველებისათვის, არამედ იგი წარმოადგენს შემეცნებით, საგანმანათლებლო და სამეცნიერო სტრუქტურასაც, მითუმეტეს რომ აღნიშნული მიმართულებით არცერთი მუზეუმი არ ფუნქციონირებს საქართველოში.

ამ მხრივ, შეიძლება მხოლოდ ერთი კერძო გამონაკლისის აღნიშვნა – ბათუმის ნობელის მუზეუმის, სადაც ძირითადი აქცენტი სწორედ ნობელის და სხვა პიროვნებების ბათუმში მოღვაწეობას ეხება.

ისმება კითხვა, რაც წარმოდგენილი იყო ილუსტრაციებზე, რომლებიც ქართული სამხედრო-საინჟინრო დარგის განვითარებას ასახავდა და ეს უკვე რეალურად შემდგარი ისტორია იყო, უარი უნდა გვეთქვა მის წარმოჩენაზე?

ერთი სიტყვით “პატარა კაცებმა” ეს შესანიშნავი და ქართული სულის მუზეუმიც დაანგრის, სადაც, სხვას რომ თავი დავანებოთ, უამრავი სკოლის მოსწავლე პერიოდულად მოჰყავდათ მასწავლებლებს.

და აქაც, თითქოს პოლიტიკიდან მოშორებით მყოფს, მაინც მწვდებოდა პოლიტიკური, უფრო სწორად, პოლიტიკანების ზეწოლის ძალა. ნუთუ “საუბედუროდ” თუ “საბედნიეროდ” ასე ახლოა სამეცნიერო მიღწევები პოლიტიკურ მოღვაწეობასთან?

ბევრს მიაჩნია, რომ მეცნიერული მიღწევებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის წარმოჩენისათვის მეტად მნიშვნელოვანია პოლიტიკოსებთან ურთიერთობის ფაქტორი. მერწმუნეთ, არაფერი ისეთ სიძნელეებს არ უქმნის მეცნიერს და მისი მოღვაწეობის შედეგის წინსვლას, როგორც მათი არა სახელმწიფო პოლიტიკისადმი, არამედ პოლიტიკოსების ინტერესებისადმი დაქვემდებარება.

პოლიტიკოსების მოთხოვნების ასახვა მეცნიერის მოღვაწეობაში უკიდურესად უარყოფითი მოვლენაა. ის, როგორც წესი, პოლიტიკოსების მხრიდან უცერემონიოდ ხორციელდება და გარკვეულ პერიოდში, სხვა პოლიტიკურ პლატფორმაზე მყოფი საზოგადოების მტრული დამოკიდებულების საფუძველსაც კი ქმნის.

გაცილებით უკეთესი და სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისი მოვლენაა, როდესაც მეცნიერული მოთხოვნები აისახება პოლიტიკურ მოვლენებში და არა პოლიტიკური კაპრიზები მეცნიერებასა და სამეცნიერო მიღწევებში.

გარკვეულ პერიოდში, პოლიტიკოსებმა შეიძლება დააჩქარონ ან უფრო მასშტაბურად წარმოადგინონ მეცნიერის დაფასება, მაგრამ ქვეყნისა და თვით ავტორისათვის, თუ ის ნამდვილი მეცნიერია, უფრო ღირებულია არა დაფასება, არამედ სახელმწიფოებრივი

შეფასება მეცნიერული კვლევებისა და შედეგებისა, რაც პოლიტიკოსებს არ შეუძლიათ. მაგრამ პოლიტიკოსებს შეუძლიათ ის, რომ ამისათვის სახელმწიფოში მყარი და დროის ცვალებადობაზე ნაკლებად დამყარებული კრიტერიუმების სისტემა, პოლიტიკური ნება და მოწოდება არსებობდეს – რაც უდავოდ სახელმწიფო პოლიტიკის ღირსეული კომპეტენციაა.

ამდენად, შემოქმედისათვის, მით უმეტეს, თუ იგი სახელმწიფოს პრესტიჟს და სიძლიერეს ემსახურება, დამფასებელზე უფრო მთავარია, მის საქმესა და ღვაწლს შემფასებელი ჰყავდეს – უფრო სწორად, არსებობდეს შეფასების მწყობრი სისტემა.

შეიძლება ითქვას, რომ შეფასება შედეგის ღირებულებას განსაზღვრავს, დამფასებელი კი მის ფასს ადგენს. ფასი არა მარტო ღირებულებაზე, არამედ მომენტისა და ვითარების კონიუნქტურაზე დიდად არის დამოკიდებული. ღვაწლის ღირებულება კი მოღვაწის მიერ ქვეყნისათვის სამსახურში განთავსებული შრომის უპირობო და გაცილებით მდგრადი ასახვაა.

შესაბამისად, შრომის დაფასება, გარკვეულწილად, კონკრეტულ ვითარებაში, საჩუქარია ყოველი მოღვაწისათვის, მაგრამ მისი შემოქმედების პროფესიული და ღირსეული შეფასება, თავისი მოქალაქეობრივი პოზიციის პასუხისმგებლობის განსაზღვრით, გაცილებით მეტი სახელმწიფოებრივი ფუნქციის მატარებელია.

ყოველივე ეს, თვითონაც გამოცხადე. ურთულესი მიზნისაკენ მიმავალი გზა ხშირად გაუადვილებია და შეუმსუბუქებია ღირსეული პიროვნების მიერ ღირსეულ შეფასებებს იმ შრომისა და შრომის შედეგებისა, რასაც უდიდესი პასუხისმგებლობის ტვირთი ახლავს თან. მაგრამ ძალიან ხშირად აღმავლობის გზაზე, მოშურნე თუ უკეთურ “პატარა კაცებს”, დიდი საქმეების წინსვლისთვის მზაკვრული წინააღმდეგობა გაუწევიათ.

ამასთან, ისინი კი არ არიან იმდენად ხელისშემშლელნი დიდი საქმეებისა, არამედ ის გარემოა გაცილებით მეტად საფრთხილო, რომელიც მათ – “პატარა კაცებს” “დიდ კაცებად” წარმოაჩენს.

ისე “პატარა კაცებმა” უნდა იცოდნენ, რომ “დავალებების შესრულება” სხვისთვის ხელის შეშლისა, მათ სულში დიდ დამანგრეველ ძალას წარმოშობს.

ეს იმ ვითარების მსგავსია, როდესაც მშვიდ ოკეანეში, გარკვეული შემფოთებით, დიდ არეალში, მცირე სიმაღლის დიდი სიგრძის ტალღა წარმოიშობა. იგი ნაპირისკენ გადაადგილებისას იკუმშება და ძალიან მაღალი ტალღის – ცუნამის სახით, ნაპირს მიეხეთქება.

ზოგადად, სამხედრო-სტრატეგიული სისტემის გენერალური კონსტრუქტორების კარიერის აქტიური და პასიური ფაზები თითქმის იდენტურია ლიდერი პოლიტიკოსების კარიერის ჩავარდნებისა და აღმავლობისა. ამ მხრივ პარალელები ნამდვილად არსებობს და ამას თავისი ახსნაც აქვს. სტრატეგიული სისტემებისა და კომპლექსების გენერალური კონსტრუქტორები სახელმწიფო სამხედრო-პოლიტიკურ ელიტას მიეკუთვნებიან და მათდამი დამოკიდებულება და მათი ქცევა, რა თქმა უნდა, მსგავსია მონათესავე სოციალური შრის, სახელმწიფო – პოლიტიკური სფეროს წარმომადგენლების მოღვაწეობის ეპიზოდებისა. მიუხედავად ამისა არის ერთი მეტად მნიშვნელოვანი და პრინციპული განსხვავება მათ შორის.

პოლიტიკოსების ასპარეზზე მოსვლა და შემდეგ სცენიდან წასვლა სახელმწიფო ვითარებების მიხედვით ხდება, ხოლო გენერალური კონსტრუქტორების წინა პლანზე

წამოსვლა და უკანა პლანზე გადაყვანა, ხშირად სახელმწიფო-პოლიტიკური ელიტის კაპრიზებით განპირობებული შედეგია.

ამ მხრივ, მეცნიერების და ხელოვანების მიმართ ზეწოლისაგან თავის დაცვის სხვადასხვა ფაქტორები არსებობს. მათგან ყველაზე ეფექტური იმუნიტეტი პოლიტიკური ძალის – პოლიტიკოსების ზემოქმედებისგან, თეორიულ დარგებში მომუშავე მეცნიერებს აქვთ. ისინი თავისი ნიჭის, ცოდნის, “კალმის და ფურცლის” ამარა მოღვაწეობენ და მათზე აგრესიული ზემოქმედება ძნელად განსახორციელებელია.

ასევე მძლავრ იმუნიტეტს ფლობენ ხელოვანები და მწერლები. მათ, ამ მხრივ, საზოგადოებისა და მასმედიის მხარდაჭერა და კიდევ უფრო მეტად ხალხში პოპულარობა და მათი სიყვარული იცავს. ისინი, როგორც იტყვიან, გამონაკლისების გარდა, ყოველთვის ტიპტივებენ “დაფასებულთა ოკეანეში” და ეს ასეც უნდა იყოს.

რაც შეეხება მეცნიერებს, რომლების ტექნიკის, ტექნოლოგიების, კონსტრუქციებისა და სხვა ასეთ დარგებში მოღვაწეობენ, სადაც პიროვნულ შემოქმედებით შრომასთან ერთად აუცილებელია ქვეყნის ინდუსტრიის თანამონაწილეობა და სახელმწიფო – სახელისუფლებო, პოლიტიკური გადაწყვეტილებები, შეიძლება ითქვას, რომ მათი დამცავი იმუნიტეტი პოლიტიკოსების აგრესიისადმი, უმეტეს შემთხვევაში, ფაქტიურად ნულის ტოლია.

დასანანი, მაგრამ გენერალური კონსტრუქტორები, რომელთა ამბიციები ყოველთვის სცდება სამეცნიერო სფეროს, ცვლილებათა ასეთ რეალობას მტკინვეულად განიცდიან.

მათი დამშვიდება მხოლოდ ერთი რჩევით შეიძლება – როდესაც უკანა პლანზე გადავლენ აკუმულაცია გაუკეთონ თავიანთი შესაძლებლობების რესურსს და კვლავ, მთელი მოწოდებით, უნდა შეუდგნენ სამეცნიერო-შემოქმედებით მუშაობას. ამ დროის ინტერვალში მათ არაფერია “შეაწუხებს” და შეუშლის ხელს ფუნდამენტურად ჩაეფლონ კვლევებში. არადა ეს იოლი გასაკეთებელი არ არის. ამას დიდი ნებისყოფა სჭირდება.

მათ უნდა სჯეროდეთ, რომ კვლავ შეძლებენ სახელმწიფოს სამსახურს.

... 2008 წლის დასაწყისშივე, ევროპული კოსმოსური სააგენტოს რადიოტექნიკური განყოფილების უფროსმა, კირილ მანუენომ მომწერა წერილი, სადაც, რბილად რომ ვთქვათ, განმარტებული იყო ნაკლოვანებები ევროპული კოსმოსური სააგენტოს იმ ოცმილიონიანი სატენდერო სამუშაოებისა, რომელიც სასტარტო პოზიციაზე ჩვენი ინსტიტუტის მონაწილეობით დაიწყო. როგორც აღვნიშნე, რუსეთისა და იტალიის კომპანიების დაპროექტების არასწორი და არაკორექტული პოზიციის გამო, ჩემი ინიციატივით საქართველომ 2003 წელს სატენდერო სამუშაოები დატოვა.

რატომღაც ვგრძნობდი, რომ ევროპულ კოსმოსურ სააგენტოში გამოიკვეთა პოზიცია, რომ შექმნილი დიდი გასაშლელი რეფლექტორი, რომელიც მოსკოვში, კორპორაცია “ენერჯიაში” იყო განთავსებული, გაშლის დროს არ არის საიმედო, აქვს არაზუსტი ზედაპირი, კონსტრუქციულად რთულია და ძვირიცაა.

მე, როგორც კონსტრუქციის შექმნის ადრეული ეტაპის მონაწილეს და გენერალურ კონსტრუქტორს მთხოვეს შემესწავლა შექმნილი კონსტრუქცია და თუ შესაძლებელი იქნებოდა შემეთავაზებინა მათთვის მისი მოდიფიკაციის საკითხები.

ველოდი, რომ ამ სამუშაოს ფინიში ასეთი სავალალო იქნებოდა. არ დამჭირვებია შექმნილი კონსტრუქციის შესწავლა. ყველა ეტაპზე ვღებულობდი სარწმუნო ინფორმაციას რეფლექტორის დაპროექტების, დამზადებისა და გამოცდის შესახებ. ცხადი იყო, რომ

შექმნილ კონსტრუქციაში რაიმე გაუმჯობესების შეტანა, მისი მოდერნიზაციის გზით, შეუძლებელი იყო. როგორც ადრე აღვნიშნე, თვით კონსტრუქციის შექმნის ლოგიკაში იყო შეცდომები დაშვებული.

ამის შესახებ პასუხი მიეწერე ევროპულ კოსმოსურ სააგენტოს და შევთავაზე ჩამოსულიყვნენ თბილისში, თუნდაც ეს შეკრება ყოფილიყო კონფერენციის სახით. ჩვენ წარვუდგენდით ჩემს იდეოლოგიას დიდი, გასაშლელი კოსმოსური რეფლექტორის შექმნის შესახებ და მხოლოდ ამის შემდეგ, თუ ეს მისაღები იქნებოდა, მათთვის დაგვეგეგმა შემდგომი გზები და სამუშაოები.

ევროპელები დამთანხმდნენ. გადაწყდა, რომ გარკვეული მოსამზადებელი კვლევების შემდეგ, 2009 წლის ოქტომბერში, ევროპული კოსმოსური სააგენტო და მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად, თბილისში, ჩაატარებდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას დიდგაბარიტიანი კოსმოსური კონსტრუქციების დარგში.

ჩემს წინადადებას მხარი დაუჭირა უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა არჩილ ფრანგიშვილმა. მასთან საუბრის შემდეგ მივიღეთ გადაწყვეტილება კონფერენციის ორგანიზაციის სხვადასხვა საკითხებზე, რაც ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტმა და მისმა დირექტორმა, დოქტორმა ნოდარ წიგნაძემ მაღალ დონეზე შეასრულა.

ასეთი წინადადება საქართველოსთვის ახალიც იყო და პრესტიჟულიც. კონფერენციაზე, რომელიც სასტუმრო “მეტეხში” ჩატარდა, საქართველოში ჩამოვიდნენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წამყვანი მეცნიერები და კონსტრუქტორები, რომლებიც გამოირჩევიან დიდგაბარიტიანი კოსმოსური კონსტრუქციების შექმნაში.

მე მხოლოდ ზოგიერთ მათგანს დავასახელებ:

Cyril Mangenot – ESA-ESTEC; Julian Santiago-Prowaldy – ESA-ESTEC; S. Pellegrino (USA); Kees Vant’t Klooster – ESA-ESTEC (Netherlands); P. Howard –EADS Astrium Satellites (U.K); M. Milano – Thales Alenia Space Italy (Italy); Alberto Meschini – Thales Alenia Space (Italy); H. Baier – Technische Universitat Munich (Germany); L. Datashvili – Technische Universitat Munich (Germany); Lin Tze Tan – University College London (U.K); Omer Soykasap – Afyon Kocatepe University (Turkey); Ernst K. Pfeiffer – HPS Center for Composite Materials, Harbin Institute of Technology (China), Alessandro Piro – Aero Sekur Spa (Italy); Mark Thomson – Astro (USA).

საქართველომ სამეცნიერო კონფერენციაზე შვიდი მოხსენება წარადგინა. შედეგი ტრიუმფალური იყო. ორი თვის შემდეგ ევროპულმა კოსმოსურმა სააგენტომ, მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად გააფორმა კონტრაქტი ჩვენს ინსტიტუტთან, რომელიც ითვალისწინებდა ხუთი წლის განმავლობაში არა ერთი, არამედ ოთხი სხვადასხვა ვარიანტის დიდი გასაშლელი, კოსმოსური რეფლექტორის შექმნას.

კვლავ მთელი ძალით ამოქმედდა ინსტიტუტის “კოსმოსური ძალები” აქ უკვე სრულიად განსხვავებული ტექნოლოგიებით და განსხვავებული სქემებით შეიქმნა და გამოიცადა არა ოთხი, არამედ ხუთი ახალი ვარიანტის რეფლექტორი. მათ შექმნაში კვლავ ჩვენთან ერთად იყო, ჩემი ყოფილი მოწაფე, მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელი ლერი დათაშვილი.

ახალი რეფლექტორის შესაქმნელად ჩვენს გუნდს შემოუერთდნენ ჩემი ძველი მეგობრები, გერმანელი მეცნიერი, ინსტიტუტის დირექტორი, მიუნხენის ტექნიკური

უნივერსიტეტის პროფესორი ხორსტ ბაიერი, ცნობილი იტალიელი კონსტრუქტორი ლორენცო შალინო და მთელი გუნდი ევროპული კოსმოსური სააგენტოდან – კირილ მანჟენო, ჟულიან სანტიაგო პროვალდი, ვან კლოსტერი და სხვები.

სამუშაოები, როგორც იტყვიან, თავდაუზოგავად, მაგრამ ურთიერთგაგებისა და მეგობრულ ვითარებაში წარიმართა. სამუშაოს ეს ეტაპი დამთავრდა. მისი შედეგების მოსმენა მოხდა 2014 წლის სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც ევროპულმა კოსმოსურმა სააგენტომ, კვლავ თბილისში დაგეგმა.

2014 წლის ოქტომბერში, კვლავ შეიკრიბა თბილისში მსოფლიო ელიტა დიდგაბარიტიანი, ტრანსფორმირებადი, კოსმოსური კონსტრუქციებისა. ჩატარებული სამუშაოების შედეგმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. კონფერენციაზე რეფლექტორის საუკეთესო კონსტრუქციები იყო წარმოდგენილი, რომლებიც მთლიანად აკმაყოფილებდნენ მათთვის წაყენებულ ყველაზე მკაცრ მოთხოვნებს. მათ შორის წარმოჩნდა შოთა წეროძის კვლევის შედეგები.

ოღონდ დასანანია ის, რომ არც 2009 და არც 2014 წლის კონფერენციები ჯეროვნად არ გააშუქა არც საქართველოს ტელევიზიამ, არც რადიომ და არც პრესამ. ამის გამო, ცოტა არ იყოს, გაკვირვებულნი იყვნენ კოსმოსური სააგენტოს წარმომადგენლები. მათ გამოთქვეს აზრი იმის შესახებ, რომ კოსმონავტიკის დარგში კონფერენციები დიდ სახელმწიფოებშიც იწვევს ცხოველ ინტერესს და რატომ უგულვებელყოფდნენ საქართველოში ამ მეტად მნიშვნელოვან და პრესტიჟულ ღონისძიებას.

რა უნდა მეთქვა მათთვის, ან რა უნდა გამეკეთებინა უფრო მეტი იმისათვის, რომ ტელევიზია მაინც მომეყვანა, თუნდაც კონფერენციის გახსნაზე. ერთმა ჩემმა თანამშრომელმა, როდესაც დილით ამაოდ ველოდით, დაპატიჟებულ “მასმედიას”, იხუმრა, მთლი კენჭი ვესროლოთ ვიტრინას, მაშინ კი ნამდვილად მოვლენ ტელევიზიები “სენსაციის” გადასაღებად და გასაშუქებლად. ევროპული კოსმოსური სააგენტოს ვგიდით, საქართველოში, კოსმონავტიკის დარგში ჩატარებული კონფერენცია კი მათთვის საინტერესო არ აღმოჩნდა.

კონფერენციაზე შესვენება გამოცხადდა. სასტუმროს ჰოლში გავედით. ჩემს ირგვლივ შეკრებილი იყო იტალიელი და გერმანელი მეცნიერები და ერთი საკითხის შესახებ ვკამათობდით.

მოულოდნელად ჰოლში დაცვის თანამშრომლები გააქტიურდნენ. საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი შემოვიდა და მისთვის ჩვეული სწრაფი ნაბიჯით სასტუმროს მეორე საკონფერენციო დარბაზისაკენ გაემართა, სადაც, როგორც შემდეგ გაირკვა, შეხვედრა იყო ამერიკელებთან. ამ მომენტში მან დამინახა, ხელი ჩამომართვა და ისევ სწრაფად წავიდა.

ჩემმა უცხოელმა კოლეგებმა მკითხეს თუ ვინ იყო ეს პიროვნება, რომელსაც ამაღლა გაჰყვა. მე ვუთხარი, რომ იგი საქართველოს პრეზიდენტია. უცხოელებისთვის ეს სასიამოვნო სიურპრიზი იყო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კონფერენციის გახსნაზეც კი ვერ შევძელი “სენსაციის” მოყვარული ჟურნალისტების მოყვანა.

შემდეგ გამოვეყავი სტუმრებს, სასტუმროს ჰოლში ჩამოეჯექი. უნებურად დავიწყე ფიქრი იმის შესახებ, რომ რაც დრო გადის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებთან კონტაქტები და შეხვედრები უფრო და უფრო კლებულობს. ეს, პირველ რიგში, მეცნიერის ისეთ ფაზაში შესვლის მახასიათებელია, როცა საკუთარი

შემოქმედების მიმართულება გამოკრისტალდება და მოღვაწეობის ასპარეზის პრიორიტეტები რაფინირებულ კვლევებს და მათ შესახებ მონოგრაფიების წერას შეეხება. ამ პერიოდში გაცილებით ეფექტურია აზრების სისტემატიზაცია და მათი “ფურცლებზე გადატანა”, ვიდრე სხვადასხვა, თუნდაც ნოვატორული პროექტის განხორციელება, რომელიც მეცნიერებასთან ერთად, საქარხნო პროცესებში ჩაბმას, დიდ ენერჯიას და განსაკუთრებულ სახელისუფლებო მხარდაჭერას მოითხოვს. ამას თავისი მიზეზებიც და მოტივირებული ახსნაც აქვს. თუმცა ასეთი “შტილის” პერიოდში შეიძლება ისეთმა ახალმა პროექტმა “იფეთქოს”, რომელიც მთლიანად დაგიპყრობს, გაგააქტიურებს და საკითხის რეალიზაციისთვის მთელი ენერჯიით აგამოქმედებს და ამ დროს აღარ იხვე უკან არც სახელისუფლებო კონტაქტებისაგან და არც საქმიან პროცესში ჩაბმისაგან.

მიუხედავად ამისა, ეპიზოდური კონტაქტები უმადლეს ხელისუფლებასთან მაინც არსებობს.

2013 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, საზეიმო შეხვედრა ბაზალეთის ტბასთან გაშენებული დასასვენებელი კომპლექსის ტერიტორიაზე შედგა. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი სიმრავლე ქართველი და უცხოელი სტუმრებისა თითქმის არც ერთ შეხვედრაზე არ მახსოვს. შეხვედრაზე ვაკვირდებოდი ხელისუფლებაში მოსულ ახალ თუ ძველ სახეებს.

ეს ის დრო იყო, როცა გამარჯვებულები ჯერ კიდევ ერთად ზეიმობდნენ წარმატებას და ყოველი მათგანი თავის წილ საქმეს ან თავის სარგებელს ელოდებოდა. გარკვეული დრო გავა და დაიწყება გამოკრისტალდება საკუთარი პოზიციისა, რომელიც არავინ იცის საით იქნება მიმართული.

ამ დროს დინამიკებში ბატონი ბიძინა ივანიშვილის ხმა გავიგონე. იგი შეკრებილთ მიმართავდა. წავედი იმ ადგილისკენ, სადაც ტრიბუნა იყო. გამომსვლელის წინ შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები იდგნენ. მეც გენერლის ფორმაში ვიყავი და მათთან დავედექი. მთავრობის მეთაურმა გამოსვლა დაამთავრა, იგი მიუახლოვდა ოფიცრებს, მათ ხელი ჩამოართვა და ასე რიგის გაყოფებით წამოვიდა გასასვლელისკენ, სადაც მე ვიდექი. როდესაც ჩემ წინ ჩაიარა, ბატონი ბიძინა შეჩერდა, ხელი ჩამომართვა და მკითხა – თუ როგორ ვიყავი და როგორ მიდიოდა ჩემი საქმეები. მეც პატივისცემით მოვიკითხე.

როდესაც იგი წავიდა, რატომღაც ჩემს ცნობიერებაში კვლავ გააქტიურდა ხელისუფლებისა და მეცნიერის ურთიერთობის თემა.

საბჭოთა ეპოქაში მეცნიერები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც ტექნიკის დარგში ატარებდნენ კვლევებს, ქმნიდნენ ახალ სისტემებს და ამკვიდრებდნენ მათ, სამხედრო თუ სამოქალაქო სფეროებში, მიზანს აღწევდნენ უმადლეს ხელისუფალთა გადაწყვეტილებით.

გავისხენოთ ტექნიკის ახალი კომპლექსების და სისტემების შექმნის საბჭოთა ისტორია – ყველგან და ყველაფერში ივრძნობოდა პოლიტიურის წევრების, მინისტრების, მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობის, “ვოენახალნიკების” და თვით “ამხანაგ სტალინის” უშუალო შეხება დარგის მეცნიერებთან და კონსტრუქტორებთან და მათი სამუშაოს მიმართ კონკრეტულ საკიხებზე კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება. ეს ჩვეულებრივი საბჭოთა რეალობა იყო. ამის დემონსტრირება შეიძლება საკავშირო მინისტრთა საბჭოს №1017–419cc დადგენილების მაგალითზე, რომელიც შეეხებოდა რეაქტიული შეიარაღების საკითხებს. დადგენილება “სრულიად საიდუმლო” იყო. იგი გამოიცა 1946 წლის 13 მაისს.

მასში ყველა საკითხი, რომელიც მოიცავდა რეაქტიული შეიარაღების შექმნას დეტალებში იყო გაწერილი. ისიც კი, რომ ხუთ თვეში თანამშრომლებისთვის აეშენებიათ 150 ასაწყოები ფინური სახლი და გაეცათ რამდენიმე ათას კაცზე დამატებითი საკვები. უფრო მეტიც, დადგენილების მასალებში კონკრეტულად იყო განსაზღვრული თუ ვინ უნდა წასულიყო მივლინებით გერმანიაში, რათა კონსტრუქტორ ბრაუნის მიერ შექმნილი “ფაუ-1” და “ფაუ-2” შეესწავლათ. ამ დეტალურად დაწვრილმანებულ გადაწყვეტილებას ხელს აწერდა ი.სტალინი.

სტალინური სტილი მეცნიერებთან ურთიერთობისა არ იყო “დიდი ბელადის” აჩემება ან კაპრიზი. იგი სახელმწიფოს მართვის შემადგენელი იყო და მას სტალინის შემდგომ სხვადასხვა ეფექტურობით აგრძელებდნენ. ამას მოითხოვდა ტოტალიტარული და ცენტრალიზებული, დიქტატორული მმართველობის სტრუქტურა.

მეც და ჩემი სამუშაოც საბჭოთა პერიოდში ამ დიდი, “მონსტრის” შემადგენელი გახლდით. სწორედ ამიტომ, ჩემს მონათხრობში მკვლევრებზე, კონსტრუქტორებსა და ნაკეთობებზე მეტად, უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებთან უშუალო კონტაქტზეა საუბარი. შეიძლება მოგეჩვენოთ კიდევაც, რომ მათი წარმოჩენით ჩემი საქმის ავტორიტეტის გაზრდას ვცდილობ, მაგრამ არა – ეს ასე არ არის. უბრალოდ ისინი ამ საქმის ისტორიის მოქმედი პირები რომ არ ყოფილიყვნენ, საბჭოთა ეპოქაში არც ეს საქმე იარსებებდა. ეს რეალობაა.

საბჭოთა ეპოქის რღვევისა და ნგრევის შემდეგ, ადრე მის შედგენილობაში მყოფ რესპუბლიკებში – ახლა უკვე დამოუკიდებელ სახელმწიფოებში, ამ მხრივ, სხვადასხვა სურათია, მაგრამ საერთო ტენდენციები საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა თავის გავლენას ახდენს მთლიანად მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებასა და, რაც მთავარია, კონკრეტულ სამუშაოებზე.

თავდაცვის სისტემებში, ჯერ კიდევ გაბატონებულია გენერალური კონსტრუქტორების “ფეოდალიზმი”, მიუხედავად იმისა, რომ საწარმოები და გაერთიანებები, რომლებსაც ისინი ხელმძღვანელობენ, პოსტსაბჭოთა სივრცის ბევრ სახელმწიფოში დახურულ სააქციო საზოგადოებებად გადაკეთდა, რასაც მეტნაკლებად ფორმალური ხასიათი აქვს.

საქართველო ნელ-ნელა ეწერება ახალ სიტუაციაში, როდესაც მეცნიერმა და მისმა ინოვაციურმა ტექნიკამ და ტექნოლოგიებმა არა ხელისუფლებისაგან უნდა მიიღოს კარტ-ბლანში, არამედ კონკურენტულ გარემოში დაიმკვიდროს ადგილი, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო სტრუქტურებში. აქ, პრიორიტეტი მეტწილად უკვე კერძო საკუთრებასა და მის მიერ მიღებულ ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ ეფექტებზეა დაფუძნებული.

ამიტომ ცოტა უხერხული ვითარება იქმნება, როცა ჯერ კიდევ ბევრი მეცნიერი ენთუზიაზმით განაგრძობს ლტოლვას ხელისუფლებისაკენ, რათა მათგან მიიღოს მხარდაჭერა თავისი, შეიძლება ძალიანაც კარგი და ახალი ტექნოლოგიებისა და ტექნიკის პრაქტიკული რეალიზაციისა და დაკანონებისათვის. ამის დრო, გარკვეული გამონაკლისების – სახელმწიფოებრივი ვალდებულებების მქონე, სამეცნიერო მიმართულებების გარდა, უკვე წავიდა. დემოკრატიულ სახელმწიფოში ძირითადად საბაზრო ეკონომიკა მართავს საწარმოებს და პროდუქციის შექმნის პროცესებს, ხელისუფლებას კი სულ სხვა ფუნქციები აქვს.

ასე რომ, მეცნიერმა და მეცნიერებამ ახალ ვითარებაში უნდა ისწავლოს და შეეჩვიოს მოქმედებას და მოღვაწეობას ხელისუფლების უშუალო და აქტიური მხარდაჭერის გარეშე.

ახლა კვლავ საერთაშორისო ფორუმს დაუბრუნდეთ, რომელიც სასტუმრო “მეტეხში” გაიმართა.

კონფერენცია დამთავრდა, ახალი თაობის კოსმოსური რეფლექტორი შექმნილია, ახლა იწყება მუშაობის შემდეგი ეტაპი – მათი გატანა საერთაშორისო ბაზარზე. თუმცა ამ მხრივ პრობლემები არსებობს და იარსებებს კიდევ. მოცემულ ეტაპზე, მთავარია ის, რომ მრავალი სატელეკომუნიკაციო კომპანია, კოსმოსში ჯერ კიდევ წინა პერიოდის ტექნოლოგიებს იყენებს, რომელიც დიდი ფინანსური დანახარჯებით წარმოებას ათვისებული აქვს. მაგრამ დრო ჩვენზე მუშაობს. კოსმოსური თანამგზავრები ელოდებიან ახალი თაობის დიდ, ზუსტ, მსუბუქ და ხისტ რეფლექტორულ სისტემებს და მათ ბაზაზე შექმნილ კოსმოსურ ანტენებს. ეს დროის მოთხოვნაა.

ევროპულ კოსმოსურ სააგენტოში მისი ხედვის არეში მოქცეულ სახელმწიფოებს შორის დიდი ზომის გასაშლელი კოსმოსური რეფლექტორების შექმნის მხრივ, ერთ-ერთი გამორჩეული პოზიცია საქართველომ დაიკავა. ეს ერთი ხელის დაკვრით არ მომხდარა. ამას წლები დასჭირდა, რათა საბჭოთა პერიოდში მოპოვებულ ავტორიტეტს ასევე შემატებოდა ევროპული კომპანიებისა და კონკრეტული მეცნიერების მიერ აღიარება ქართული კოსმოსური ტექნოლოგიებისა.

მოგვენათა ასეთ მსგეველობაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩემს რუსულენოვან მონოგრაფიას “Трансформируемые конструкции в космосе и на земле”, რომელიც, როგორც აღვნიშნე, გერმანიაში 1995 წელს გამოიცა. წიგნი ერთგვარად ქრესტომათიული ნაშრომი გამოდგა ტრანსფორმირებადი – გასაშლელი სისტემების დარგში. იყო შემთხვევები, როცა უცხოელი მკვლევრები ამ წიგნით და მასში მოყვანილი ილუსტრაციებით, ტელეფონით ან კომპიუტერთი უზიარებდნენ ერთმანეთს სამომავლო შეხედულებებს გასაშლელი სისტემების დარგში.

დრო გავიდა. სამუშაო უფრო მრავალმხრივი გახდა. ხედვის არეალი გაიზარდა. დადგა ახალი მონოგრაფიის დაწერის დრო. იგი გაცილებით მასშტაბური ხედვით უნდა ასახავდეს გასაშლელ, როგორც კოსმოსურ, ისე დედამიწისეულ ნაგებობებს. ამის საშუალებას იძლევა, როგორც ჩატარებული კვლევები, ისე პრაქტიკული სამუშაოები. ასეთი ლოგიკით მომზადდა ცხრაასგვერდიანი მონოგრაფია. მისი გამოცემა განსაზღვრულია ქართულ ენაზე და შემდგომ ინგლისურ ენაზე ამრეკის შეერთებულ შტატებში.

ჯერ კიდევ სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროსა და საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტში, ჩვევად გვქონდა, რომ საერთო კვლევებს შორის, ასე ვთქვათ “დასვენებისათვის” ჩაგვეტარებინა კვლევები, რომელთაც სამოქალაქო გამოყენება აქვთ, მათ შორისაა ვენახის სექციისაგან დაცვის სისტემაც.

ტრადიციულ ჩვევებს არც ახლა “ვულაბატე” და დავაპატენტე სექციის საწინააღმდეგო უმარტივესი კონსტრუქცია, რომლის გაშლა და აკეცვა სულ რამდენიმე წუთში შეიძლება.

აღნიშნული გამოგონება “ერთი ნაბიჯით” წინგადადგმული აღმოჩნდა ევროპაში ცნობილი კომპანია “FLUSTAR”-ის კონსტრუქციასთან შედარებით, რომელიც, ასევე, ვენახის

სეტყვისაგან დაცვისათვის არის შექმნილი და ფართოდ არის გავრცელებული ევროპის ზურბში.

აღარ დაგაყოვნეთ და 2015 წლის შემოდგომაზე, საგურამოში, ვენახის ორ რიგზე დავამონტაჟეთ სეტყვის საწინააღმდეგო კონსტრუქცია. იგი შესანიშნავად მუშაობს. ახლა ჯერი მომხმარებელზეა, მაგრამ ისინი თავს იკავებენ, ამის მიზეზი კი არის ის, რომ: ჯერ ერთი, ჩვენი მესაკუთრეები ვერ აკეთებენ სწორ დასკვნებს სეტყვისაგან მიყენებული შესაძლო ზარალის შესახებ და მეორე, კვლავ ელოდებიან სეტყვის დაცვის ცნობილ – სარაკეტო ზალპური ცეცხლის გამოყენებას, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ სეტყვის საწინააღმდეგო ზალპური სისტემა რეგიონის დიდ ნაწილს მოიცავს, ჩვენ კი მარტივი გადაწყვეტით ვქმნით ისეთ ავტონომიურ კონსტრუქციულ სტრუქტურას, რომელსაც მევენახე საკუთარი სურვილით და შეხედულებით ამოქმედებს და იგი, ამასთან ერთად, ეკოლოგიურად სუფთაა.

კვლავ დავუბრუნდეთ ჩვენს ახალ ინსტიტუტს. რაც შეეხება ინსტიტუტის სახელწოდების ნაწილს – „სპეციალური სისტემები“, იგი თავისი არსით შეიცავს მოწინააღმდეგეზე საცეცხლე ზემოქმედების აქტიურ საიარალო კომპლექსებს. ამ მხრივ კონკრეტული სამუშაოა ჩატარებული. მოცემულ ეტაპამდე მათ მიმართ თავდაცვის უწყება მტნაკლებად პასიური იყო. მაგრამ ეს სამუშაო, როგორც წესი ინერციულია, ამიტომ უნდა ვიმედოვნებდეთ, რომ შემდგომ ეტაპებზე მათ მიმართ ინტერესი გაიზრდება.

ამ მხრივ, მაინც ვაგრძელებდით კვლევებს. მაგალითისთვის განვიხილავ ახალი ტიპის შეიარაღების კიდევ ერთ საინტერესო სფეროს – ვირტუალურ დანადგურ ველებს. საქმე ისაა, რომ საქართველოს წართმეული აქვს თავისი კუთვნილი ტერიტორიები, საიდანაც ნებისმიერ დროს მოსალოდნელია არა მარტო “საქართველოსთვის არამოსურნე სტუმრების” გადმოსვლა, არამედ გარკვეული შეიარაღებული ჯგუფების და ტექნიკის შემოჭრაც საქართველოს “კონტროლირებად” ტერიტორიებზე. ამ მიზნით აუცილებელია გარკვეული “დანადგური ველების” შექმნა საქართველოს კონტროლირებად და არაკონტროლირებად ტერიტორიებს შორის. ყველა შემთხვევაში ასეთი “დანადგური ველების” შექმნა, გარკვეულწილად, ჩვენი მხრიდან ხაზს უსვამს არაკონტროლირებადი ტერიტორიის გამიჯვნას, რაც ძალიან მოსაწონი იქნებოდა საქართველოსთან დაპირისპირებული მხარეებისათვის. ამ მიზნით შევქმენი ისეთი საბრძოლო დანადგარი და სათანადო დაკვირვების კომპლექსი, რომელიც სიგნალის მიღების შემთხვევაში, საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიებიდან, “დაუპატიჟებელი ობიექტის” ბლოკირებას უზრუნველყოფს.

ინსტიტუტის სახელწოდებაში სიტყვები „საინჟინრო უზრუნველყოფა“ – ნიშნავს ინსტიტუტში, ადრე არსებული სამხედრო-საინჟინრო აკადემიის სამეცნიერო სამუშაოების, გარკვეული ფორმით და შინაარსით, გაგრძელებას.

სწორედ „საინჟინრო უზრუნველყოფის“ ეგიდით დავწერე და გამოვეცი სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები: „ბრძოლებისა და ოპერაციების სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფა“; „სამხედრო-საინჟინრო ხელოვნება“; „საქართველოს ტერიტორიის საინჟინრო მომზადების ოპერატიულ-სტრატეგიული მიმართულებები“; სამშენებლო ხელოვნების „ზოგადი სპეციალური კურსი სამხედროებისათვის“; „საინჟინრო საბრძოლო მასალები“ და დასკვნითი 1100 გვერდიანი მონოგრაფია – „საქართველოს

სამხედრო-საინჟინრო დოქტრინის საფუძვლები“, რომელმაც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემია დაიმსახურა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ჩემი ხელმძღვანელობით შექმნილი საქართველოს სამგანზომილებიანი სამხედრო-საინჟინრო რუკა და საქართველოს ზოგიერთი რეგიონის, მაღალი სიზუსტის კოსმოსური გადაღების მასალები, რამაც იმთავითვე კპოვა გამოყენება, მათ შორის მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო პროგრამაში “ჩვენი სახლი”, რომლის მიხედვით ლტოლვილები თუ დევნილები ირეგისტრირებდნენ თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებს და შენობებს, რომლებიც მათ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში გააჩნდათ.

ვფიქრობ თავდაცვისათვის მნიშვნელოვანია ჩემი ნაშრომი „საქართველოს და მისი მოსაზღვრე ტერიტორიების, გარემოსა და ინფრასტრუქტურის ობიექტების სამხედრო-საინჟინრო კატალოგი“.

ნიშანდობლივია, ის, რომ ჩამოთვლილი სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სპეციალური მასალები და კატალოგები სათანადო წესით დაინერგა მრავალ ძალოვან უწყებაში.

საერთაშორისო არენაზე, სამხედრო წრეებში დიდი ინტერესი გამოიწვია ინგლისურ ენაზე გერმანიაში გამოცემულმა მონოგრაფიამ სამხედრო თეორიის დარგში – „არაპირდაპირი მოქმედებების სამხედრო სტრატეგიის ახლებური ხედვა“.

სამხედრო დარგში კვლევების და რეალური სამუშაოების განხორციელებულმა მრავალწლიანმა პრაქტიკამ, მოგვცა იმის საშუალება, რომ ავტორთა კოლექტივთან – თენგიზ შუბლაძესთან, ვახტანგ კაპანაძესთან, გიორგი ანჩაბაძესთან, ზურაბ აბაშიძესთან, ავთანდილ საყვარელიძესთან, ნოდარ წიგნაძესთან და სხვებთან ერთად შეგვექმნა პირველი ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი.

ცნობილია, რომ საქართველოში სამხედრო ხელოვნების განვითარებამ და, შესაბამისად, სამხედრო ტერმინოლოგიის დამუშავებამ სამასწლიანი წყვეტა განიცადა. ეს საქართველოს ჯერ რუსეთის იმპერიის და შემდეგ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის პერიოდია, როდესაც სამხედრო ხელოვნების ამსახველი ტერმინები, როგორც წესი, მხოლოდ რუსულ ენაზე იქნებოდა.

ამდენად საქართველოსთვის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო ტერმინთა და განმარტებათა ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონის შექმნას. ეს, ერთის მხრივ, აუცილებელია თვით საქართველოს სამხედრო მშენებლობისათვის და, მეორეს მხრივ, სხვა ქვეყნების სამხედრო ტერმინთა და განმარტებათა თავსებადობისათვის შესაბამის ქართულ ტერმინებთან და განმარტებებთან.



... რუსეთის მიერ ომის დაწყება საქართველოსთან გარდაუვალად ახლოვდებოდა, რაც ქართველი ტრადიციული მენტალიტეტისათვის დაუჯერებელიც იყო. 2008 წლის ივლისიდან სამხედრო-პოლიტიკური ვითარების სტადიები ელვისებური სისწრაფით მძაფრდებოდა.

რეგიონისთვის ჩვეული დაძაბული სტადია, ძალიან სწრაფად გარდაიქმნა კრიზისულად, შემდეგ კონფლიქტურად და ბოლოს, აგვისტოს პირველი რიცხვებიდან, საომარ სტადიაში გადავიდა. რუსეთ-საქართველოს ომი დაიწყო.

გასული საუკუნის 90-ანი წლების შემდეგ, ვიყავი თუ არა ქართულ პოლიტიკაში, ილუზიური იმედის განცდით, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ყოველთვის ვეძებდი კომპრომისებს, რომლებიც მეგონა რომ იარსებებდა.

2008 წლის 10 აგვისტოს, როცა ჩემი სახლის სამუშაო კაბინეტში, ძალიან ახლოს შემომესმა თვითმფრინავის გამაყრუებელი ზუზუნი და აივანზე გამოვარდნილს თავზე გადამიფრინა, შეიარაღების სრული კომპლექტით აღჭურვილმა რუსულმა მოიერიშე გამანადგურებელმა, ყველაფერს წერტილი დაესვა – მივხვდი, რომ რუსეთი ყველაფერზე წამსვლელი იყო თავისი “დერჟავას” პრინციპების დასამკვიდრებლად.

მაგრამ ამ ომში იყო ანომალიური გამოვლინება რუსული “გულჩვილობისა”, როცა რუსი გენერალი, ფოთში, რომელიც მისი ბრძანებით იბომბებოდა, შეჩერდა ერთ-ერთ სკოლასთან, “ცრემლიანი თვალებით” მივიდა მის კართან და ხელით მოეფერა იმ სკოლის აბრას, რომელშიც თურმე მას უსწავლია.

ასევე იყო ძველი და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ქართული უვარგისი ტრადიციის გამოვლენის შემთხვევებიც, როცა მოწინააღმდეგე მხარის გენერლებს, ზოგიერთი ქართული ოჯახი, სუფრას უმართავდნენ.

მიუხედავად ყველაფრისა იყო გმირული შემართება ქართველი ვაჟკაცებისა, როცა მოწინააღმდეგის შესაჩერებლად საკუთარ სიცოცხლესაც კი სწირავდნენ ...



XIV თავი

საქართველოს სამხედრო ორბანიზაციის ძირითადი პრიორიტეტები

„ცხადია, ომს უნდა ვერიდოთ, მაგრამ ის ზოგჯერ გაცილებით უკეთესია ვიდრე მშვიდობის განსახდრული სახე“ – წერდა თეოდორ რუზველტი. სწორედ ასეთი ვითარება განაპირობებდა გენერალ უილიამ ვესტმორლენდის განმარტებას, რომ „ომს სამხედროები არ იწყებენ. ომს იწყებენ პოლიტიკოსები“. შესაბამისად, კარლ კლაუზევიცი აღნიშნავდა – „ომი არის პოლიტიკის გაგრძელება სხვა საშუალებებით“.

ამ მხრივ, საქართველოს რეალობაში, ისტორიულ წარსულში, XX საუკუნის ბოლო ათწლეულსა და XXI საუკუნის დასაწყისში, ბევრი პრობლემა დაგროვდა. ნაწილი მათგანი მოკლე დროშია გამოსწორებადი, ნაწილი კი მძიმე ტვირთად აწევს ქართველებს და საქართველოს. ეს არის მის მთლიანობას ადრე ჩამოცილებული ტერიტორიები, ახლა კი – აფხაზეთი და სამაჩაბლო.

ისტორიულად საქართველოდან, მისი კუთვნილი ტერიტორიების ჩამოცილება გარეული და შინაური მტრის მიერ ხდებოდა.

ბოლო აკორდი, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი იყო. როცა რუსეთმა საქართველოში მიაღწია თავისი ახალი პერიოდის სამხედრო-პოლიტიკურ მიზანს – მან გადმოლახა კავკასიის ქედი, შეიჭრა ახლა უკვე ნატოს სტრატეგიული ინტერესების სფეროში და საქართველოს ტერიტორიებზე აღადგინა თავისი ყოფნის სამხედრო პოზიციები.

მოდით გავანალიზოთ და შევაფასოთ შექმნილი სიტუაცია. 2008 წლის აგვისტომდე, თუ საკითხს საერთაშორისო დიპლომატიისა და პოლიტიკის ჭრილში განვიხილავთ აფხაზეთის და ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ ძალებს, ისინი შედარებით უკეთეს პოზიციაში იყვნენ. მიუხედავად საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევისა, თავის თავს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აცხადებდნენ. ასეთ ვითარებაში საქართველო, გარკვეულწილად, შებოჭილ მდგომარეობაში იყო და როგორც დემოკრატიული ქვეყანა, საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, ძნელად თუ მისცემდა თავს უფლებას, აფხაზეთისა და ოსების თანხმობის გარეშე, ძალის გამოყენებით დაბრუნებულიყო საკუთარ ტერიტორიაზე.

2008 წლის ომის შემდეგ მდგომარეობა სრულიად შეცვლილია. საერთაშორისო პოლიტიკურ და დიპლომატიურ წრეებში სულ უფრო აქტიურად წარმოაჩენენ იმას, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო, ახლა უკვე იმიტომ კი არ ითვლება ჩამოცილებული დედასაქართველოს, რომ ეს მისი “მოსახლეობის სურვილია”, არამედ უპირველესად იმიტომ, რომ ეს ტერიტორიები ოკუპირებული აქვს რუსეთს. ამდენად, თუ შეიქმნება სიტუაცია, რომ რუსეთი სხვადასხვა მოტივით დატოვებს აღნიშნულ ტერიტორიებს, მაშინ საქართველოს ექნება მეტი სამართლებრივი უფლება და მეტი პროცედურები მნიშვნელოვანი პოლიტიკის და კონკრეტული ღონისძიებების გატარებისა, რათა დაიბრუნოს წართმეული ტერიტორიები. ვფიქრობ ამას ასევე, შეაფასებს აფხაზეთისა და ოსების გარკვეული ნაწილი.

რუსეთმა პერსპექტივაში კი არ გაითვალისწინა სეპარატისტების ინტერესები, არამედ, თავისი შედარებით მოკლევადიანი პოლიტიკის გატარებისათვის, შეუქმნა მათ უკიდურესად ცუდი პერსპექტივა.

ახლა, მთავარია საქართველომ არ დაუშვას შეცდომა და დასავლეთთან ერთად წარმართოს სწორი პოლიტიკა, აფხაზ და ოს ხალხთან, რუსეთის ფედერაციასთან, ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებთან და თავის მეზობლებთან, მათ შორის თურქეთთან.

რაც შეეხება სამხედრო-საინჟინრო დარგს, ვაცხადებ – თუ საქართველო დროულად არ განსაზღვრავს სტრატეგიას სახელმწიფოს ომის თეატრზე ტერიტორიისა და ინფრასტრუქტურის საინჟინრო მოწყობისა და ოპერატიულ დონეზე არ დაასწრებს მოწინააღმდეგეს სამოქალაქო და სამხედრო საინჟინრო სისტემების ურთიერთშეთავსებულ, ერთობლივ და სრულმასშტაბიან გამოყენებას, მაშინ მტერი დაეუფლება მას. იგი მის ხელში გადაიქცევა ყველაზე მძლავრ და დამანგრეველ იარაღად ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ.

სწორედ ამ მიზნით, ინტელექტუალური ბაზის შესაქმნელად, როგორც აღვნიშნე, გამოვაქვეყნე მონოგრაფია, “საქართველოს სამხედრო-საინჟინრო დოქტრინის საფუძვლები”, სადაც სამხედრო თეორია – სტრატეგია, ოპერატიული ხელოვნება და ტაქტიკა შეთავსებულია სამხედრო-საინჟინრო დარგთან და იგი შემეცნებას მოითხოვს, რაც ინერციული პროცესია.

ეს მოსაზრება ჩემი, როგორც კერძო პირის ხედვაა. რაც შეეხება საქართველოს სამხედრო პრიორიტეტებს შექმნილი მდგომარეობებით, მასზე უფრო დეტალურად ვისაუბრებ.

... ზოგადად, საქართველოს სამხედრო ორგანიზაცია სამი ძირითადი კომპონენტისაგან შედგება – შეიარაღებული ძალები, სახელმწიფო სამხედრო მოღვაწეები და სამხედრო ინტელიგენცია, მათ შორის, სამხედრო დარგის მეცნიერები.

ამ სამი კომპონენტის არსებობა ან არარსებობა და მათი განვითარების სხვადასხვა დონე განსაზღვრავს ქვეყანის სამხედრო ძლევამოსილებას და მის სტრუქტურას.

როდესაც ქვეყანაში ძირითადად განვითარებულია მხოლოდ სამხედრო ძალები, ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო სამხედრო რეჟიმით ცხოვრობს ან ამის დიდი რისკია.

თუ სამი კომპონენტისგან ჭარბობს მხოლოდ სახელმწიფო სამხედრო პოლიტიკური მოღვაწეები, ასეთი ქვეყანა ამბიციურია სამხედრო საკითხებში, მაგრამ რეალური სიძლიერე მას არ გააჩნია.

რაც შეეხება სიტუაციას, როდესაც სახელმწიფოში აქტიურობს მხოლოდ სამხედრო ინტელიგენცია, ასეთ ქვეყანაში არის მხოლოდ რომანტიკური განცდა საკუთარი სამხედრო ძლიერებისა.

ამდენად, მხოლოდ სამივე კომპონენტის ჰარმონიული ურთიერთშეთანხმება განაპირობებს ქვეყნის სამხედრო აღმშენებლობის ეფექტურობას და მის სიძლიერეს. ვფიქრობ, რომ საქართველოში სამხედრო ორგანიზაციის სრულყოფისათვის ჯერ კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი.

საქართველომ უნდა შეძლოს უმოკლეს დროში თავისი სამხედრო ძლიერების სრულად წარმოჩენა, რაც ჯერჯერობით ვერ ხერხდება და ამის ერთ-ერთი მიზეზი არის, თუნდაც ის, რომ ჩვენს სახელმწიფოში, დამოუკიდებულობის 25 წლის განმავლობაში 17 თავდაცვის მინისტრი გამოიცვალა, შეიარაღებული ძალების მშენებლობა, უმეტეს შემთხვევაში, ტარდებოდა კონკრეტული მინისტრის სამხედრო პოლიტიკის მიხედვით. არადა გარდაუვალად აუცილებელია და პირველხარისხოვანია განისაზღვროს და

რეალურად გატარდეს შეიარაღებული ძალების მშენებლობის სახელმწიფო სამხედრო პოლიტიკა.

როგორც ცნობილია, ჰელმუტ მოლტკე წერდა – “ყოველ ქვეყანაში არმია არის განსაკუთრებით გამორჩეული ორგანიზაცია, ვინაიდან მხოლოდ ის იძლევა საშუალებას იარსებოს ყველა სამოქალაქო ორგანიზაციამ”.

შესაბამისად მნიშვნელოვანია ის, რომ – “თუ ჩვენს კონსტიტუციაში არის ერთი ძირითადი ელემენტი, ეს არის სამოქალაქო კონტროლი სამხედროებისადმი” – სწორედ ასეთი იყო პოზიცია ჰარი ტრუმენისა.

მისი ცხოვრებაში რეალიზება საქართველოს სასიცოცხლო პრობლემის გადაწყვეტის საწინდარია, რისი მანქენებელიც არის საქართველოში სამხედრო პოლიტიკური ვითარების სიმძაფრის სტადიების ცვალებადობა, რომელიც სხვადასხვა შემთხვევაში არის “დაძაბული”, “წინასაომარი”, “კონფლიქტური” და “საომარი”.

სამხედრო პოლიტიკური ვითარების სიმძაფრის სტადიები მხოლოდ გარკვეულ პერიოდში დადიოდა “თავდაცვის საკმარისობის” პირობით უზრუნველყოფის დონემდე და იგი არასდროს ყოფილა “მდგრადი” ან კიდევ “სტაბილური”, როგორც ვხედავთ სამხედრო პოლიტიკური ვითარება, თავისთავად, არ წარმოადგენს პოლიტიკური სიტუაციების შეფასების თავისუფალ თემას, როგორც ამას ხშირად პოლიტიკოსები და ექსპერტები აკეთებენ. იგი ზუსტად განსაზღვრული კატეგორიებია თავისი გრადაციით.

ვფიქრობ, რომ მარტო პოლიტიკოსები და ექსპერტები კი არა, ზოგიერთი სამხედრო მკვლევარიც “დროის შესაფერის მოდას” არის აყოლილი. სხვანაირად ძნელია იმის დასაბუთება, რაც სამხედრო სტრატეგიის განმარტებებში ბოლო პერიოდში ხდება. ეს უპირატესად შეეხება თითქოს ახალი მოვლენების ამსახველ განმარტებებს – ასიმეტრიული ომები, ჰიბრიდული ომები, სუროგატული არმიები და სხვა. არადა სამხედრო ხელოვნება და მეცნიერება ათასწლეულებია იცნობს ყველა მათგანს და აქვს მათი შეფასებისა და დასაბუთების კონკრეტული კრიტერიუმები. ერთია – შექმნა ახალი ტერმინები ომების ბუნების, ფორმების და შინაარსის შეფასებებისა და დასაბუთების, ხოლო მეორეა – უწოდო მათ ახალი ტიპის ომები, რაც სრულიად არასწორია.

ასევე პროფესიულ ხედვას მოითხოვს გეოპოლიტიკა, რომელიც ძალიან ხშირად პოლიტიკოსებისა და პოლიტიკის ექსპერტების მიერ დაზუსტებულ და მკაცრად განსაზღვრულ განმარტებებს მოითხოვს.

საქართველო მდებარეობს ქრისტიანული და მუსლიმანური ცივილიზაციის საზღვარზე, რაც თავისთავად გეოსტრატეგიული ინტერესების აქტიური კვლევების სფეროს მიეკუთვნება.

ამასთან, საქართველოს ტერიტორიის სტრატეგიული ანალიზის თემის განხილვა გეოპოლიტიკური კატეგორიების მიხედვით შემდეგია:

- საქართველოს სახელმწიფოს “ტოტალური ველი” – უწყვეტი სივრცე, რომელიც სრულ ნაციონალურ კონტროლს ექვემდებარება, გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მისი “ენდემური ველი”, ანუ სივრცე, რომელსაც ისტორიულად ფლობდა ერი და რაც ისტორიული წყაროებითაა დასაბუთებული.
- საქართველოს აქვს “ტოტალური ველის” შემადგენელი “სასაზღვრო ველის” დიდი სივრცე, რომელზეც ძირითადად მოხდა განსაზღვრა ნაციონალური უმცირესობისა და სხვა ეთნიკური ჯგუფების. ამასთან, “სასაზღვრო ველი” დროთა განმავლობაში

გარდაიქმნა “ჯვარედინ ველად” – სივრცეებად, რომელზეც ჩვენი მეზობელი სახელმწიფოები აცხადებენ პრეტენზიებს.

ასე რომ, საქართველოს უმთავრესი პრობლემა მისი ენდემური ველის შემცირება – საკუთარი ისტორიულად კუთვნილი ტერიტორიების ჩამოცილებაა, რომელიც საშიში პროცესების გამო კვლავაც მოსალოდნელია.

ყოველი ქართველის, მიუხედავად იმისა იგი საქართველოში ცხოვრობს თუ საზღვარგარეთ, ყოველი პარტიისა თუ ადამიანთა ჯგუფის, ხელისუფლების და მთლიანად საზოგადოების პირადი ღვაწლის უპირველეს ამოცანად უნდა იქცეს საქართველოს ძირძველი ტერიტორიების შემოერთება და მათი საქართველოს სახელმწიფოში შენარჩუნება. სხვანაირად, შეიძლება ჩვენი სამშობლო დიდი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდეს.

ამ მხრივ, ყოველმა ქართველმა და მთლიანად საქართველომ, როგორც ბევრმა და მათ შორის ჩვენთვის კარგად ცნობილმა ერებმა, მხოლოდ თავისთვის, დაუწერელი კანონი უნდა შექმნან და შეითვისონ, რომელსაც თაობიდან თაობას გადასცემენ შესასრულებლად. მისი იდეოლოგია და პრინციპები ერთნიშნად უნდა განაწყობდეს პიროვნებას და ერს, ისტორიული წარსულიდან, დღევანდელი რეალობით და სამომავლო პერსპექტივით, სხვა ქვეყნებთან ურთიერთობით, საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ორიენტაციით, თავისი სიძლიერით, კულტურით, განათლებით და მეცნიერებით, უპირატესად იღვაწონ საქართველოს დაკარგული ტერიტორიების შემოერთებისა და შენარჩუნებისათვის. მერწმუნეთ, რომ ღვთის წყალობით, ამისათვის შესაფერისი ისტორიული მომენტი კვლავაც შეიქმნება. მთავარია მაშინ შანსი არ გავუშვათ ხელიდან. ამისთვის, ვითარების შესაბამისად, სახელმწიფოს ახლო და პერსპექტიული ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველომ უნდა ითანამშრომლოს, იომოს, მტრულად განეწყოს თუ იმეგობროს ქვეყნის დასავლეთით, აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით თუ სამხრეთით განლაგებულ ნებისმიერ სახელმწიფოსთან. ეს უნდა ახსოვდეს ყველას და გადასცემდეს შთამომავლობას. სხვანაირად საქართველო შეიძლება დროთა განმავლობაში გაქრეს და ქართველობა შეუერთდეს ან შეერწყას სხვა სახელმწიფოს თუ ხალხს.

ახლა, კვლავ დავუბრუნდეთ შემოთავაზებულ თემას.

სტრატეგიულად ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ:

— საქართველოს აქვს ზღვის სანაპირო ზოლი და განვითარებული საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო ინფრასტრუქტურა, საიდანაც შესაძლებელია დასავლეთის სახელმწიფოების მიერ სტრატეგიული და ოპერატიული გაშლის კომპონენტების ამოქმედება აზიის სახელმწიფოებთან სამხედრო დაპირისპირების პირობებში, რაც NATO-ს სამხედრო ინტერესია. ამასთან, თუ ამის უკიდურესი აუცილებლობა დადგა, მის რეალიზაციაზე დათანხმებას საქართველო წინდახედულად და დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს.

აღნიშნული ფაქტორები ძლიერდება თურქეთის ფრთხილი, შერჩევითი, უარყოფითი პოზიციით სტრატეგიული გაშლის კამპანიების ამოქმედებისა ზოგიერთი მუსლიმანური სახელმწიფოს წინააღმდეგ.

— საქართველო რუსეთის მიერ, უკეთეს შემთხვევაში, განიხილება საკომუნიკაციო ზონის შესაძლო ნაწილად რუსეთსა და ახლო აღმოსავლეთის საომარი მოქმედებების

თეატრს შორის, სადაც ფორმირდება რუსეთის საომარი მიმართულება და ეს ჯერჯერობით რუსეთის სამხედრო ინტერესების სფეროა, რაც საქართველოსთვის პრობლემატური და დამაფიქრებელი საკითხია;

— საქართველოზე გადის ჩრდილოეთ-სამხრეთის, აღმოსავლეთ-დასავლეთის, ჩრდილოეთ-დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის კომპლექსური სატრანსპორტო დერეფნები, რომლებიც უზრუნველყოფს ტვირთების გატარებას ზღვით, ავტოტრანსპორტით და საჰაერო ტრანსპორტით, რაც მკაფიოდ შეესაბამება საერთაშორისო ეკონომიკურ ინტერესებს;

— საქართველოს ტერიტორიაზე გადის ტრანსკავკასიური, განსაკუთრებული მნიშვნელობის ნავთობ- და გაზსადენების განშტოებები, რაც ასევე სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო და უპირატესად დასავლეთის ენერგეტიკულ და სტრატეგიულ ინტერესებთან;

— საქართველოს აქვს დიდი ჰიდროენერგეტიკული რესურსი, რომელიც პერსპექტიული სტრატეგიული ინტერესების კომპეტენციას მიეკუთვნება;

— საქართველო მიისწრაფის ჩრდილოატლანტიკურ კავშირსა და ევროკავშირში ინტეგრაციისკენ, ეს კი საქართველოს და NATO-ს საერთო ინტერესების სფეროა, სადაც არის ბევრი, ჯერ კიდევ გადაუჭრელი და დროში ძალიან გაჭიმული პრობლემა.

მეტწილად სწორედ ეს გახდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი რუსეთის აგრესიული პოლიტიკისა და ქმედებებისა საქართველოს მიმართ; მან შეძლო ძალის გამოყენებით “აღედგინა სამხედრო ყოფნა” საქართველოში და NATO-ში საქართველოს შესვლის პერსპექტივებისათვის დამატებითი ძნელად დასაძლევი სირთულეების შექმნა.

მკვეთრად შეიცვალა საქართველოს საომარი თეატრის გეომეტრია და ფუნქციური მანევრებლები გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან და რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ. შედეგად:

— მოწინააღმდეგე მხარემ შემოადწია საქართველოს საკომუნიკაციო ზონაში – ქვეყნის ფუნქციონირების ძირითად არეალში, რამაც გამოიწვია ოპერატიულ-სტრატეგიული ცვლილებები საქართველოს შეიარაღებული ძალების სტრატეგიული გაშლის, ოპერატიული გაშლისა და ოპერატიული მოწყობის მხრივ;

— სეპარატისტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე, განსაკუთრებით სამაჩაბლოს არეალში, შეიქმნა ეგრეთ წოდებული, “საქართველოსთან გამყოფი სასაზღვრო ზოლი” სათანადო ინფრასტრუქტურით, რაც ახლო პერსპექტივაში შეიძლება გარკვეული ფორმით აფხაზეთშიც განხორციელდეს.

მკითხველისთვის, რომ გასაგები იყოს, განვმარტავ, რას ნიშნავს სტრატეგიული გაშლა, ოპერატიული გაშლა და ოპერატიული მოწყობა:

- “სტრატეგიული გაშლა” – ღონისძიებათა კომპლექსია, რომლითაც ხდება შეიარაღებული ძალების საომარ მდგომარეობაში გადაყვანა და ომისათვის მომზადება.
- “ოპერატიული გაშლა” – ღონისძიებათა კომპლექსია, რომლითაც ხდება სამხედრო დაჯგუფებების შექმნა და მოწყობა ომის თეატრის ოპერატიულ მიმართულებებზე.
- “ოპერატიული მოწყობა” – სამხედრო დაჯგუფებების და სამხედრო ნაწილების სასტარტო განთავსება ტერიტორიაზე და მის არეალში ხორციელდება საბრძოლო მოქმედებები.

საქართველოს საომარი მოქმედების თეატრში შეიქმნა სიტუაცია, როცა შესაძლებელი ხდება რეალური და თეორიული სამხედრო სცენარებით მოქმედება, რომელთა მიხედვით:

— მოცემულ ეტაპზე, განიხილება რუსეთის მიერ საომარი და საბრძოლო მოქმედებების და ოპერაციების შესაძლო რეალობა საქართველოს მიმართ;

— საქართველოს სახელმწიფოს წინაშე დგას რეალური საშიშროება, მისი არაკონტროლირებადი ტერიტორიებიდან შეიარაღებული კონფლიქტების განახლებისა აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონებში განლაგებული სეპარატისტული ძალების მიერ, რუსეთის არაპირდაპირი, ირიბი სამხედრო მხარდაჭერით;

— საკითხის თეორიული განხილვის დროს, საომარი მოქმედებების თეატრზე საქართველოს განთავსებიდან გამომდინარე, სხვადასხვა სცენარით განვითარებულ მოვლენებში საქართველოს შეიძლება კონფლიქტი ჰქონდეს ან კავშირი შეკრას თურქეთთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან და რუსეთთანაც;

— საქართველოზე შეიძლება განხორციელდეს სარაკეტო, საჰაერო ან სხვა სახის საიარაღო დარტყმა ან ზემოქმედება მის არამოსაზღვრე ტერიტორიებიდანაც - იქნება ეს სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტური სიტუაციის შედეგად, თუ პროტესტის გამოსატვა ჩვენი მხარდაჭერისა NATO-ს და ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა სამხედრო-პოლიტიკური ღონისძიებისა და უშუალო სამხედრო მოქმედებების მიმართ;

— არ გამოირიცხება გარეშე ძალების მიერ პროვოცირება კონფლიქტისა საქართველოს სამხრეთ რეგიონში – ჯავახეთის ტერიტორიაზე;

— ასევე, მოსალოდნელია შეიარაღებული კონფლიქტები რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე განთავსებულ და რუსეთის ხელისუფლებასთან დაპირისპირებულ მეამბოხე ძალებთან.

— განსაკუთრებული და მოულოდნელად განვითარებადი სცენარები საბრძოლო და საომარი მოქმედებებისა შეიძლება გათამაშდეს ყარაბაღში, რომლის საწყისი ფაზა არის დაპირისპირება აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის.

კონფლიქტის გააქტიურების პირობებში საქართველოსთვის საყურადღებო და მნიშვნელოვანი იქნება რუსეთის როლი, რომელიც კონფლიქტში შეიძლება ღიად ჩაებას არაპირდაპირი ან პირდაპირი სამხედრო ქმედებებით.

რუსეთის არაპირდაპირი ჩაბმა კონფლიქტში სომხეთის სასარგებლოდ საქართველოს შეუქმნის მრავალ პრობლემას – პირველ რიგში რუსეთის მხრიდან შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის ტრანზიტით საქართველოს ტერიტორიაზე გატარების სურვილით.

რაც შეეხება კონფლიქტში რუსეთის პირდაპირ ჩაბმას სომხეთის სასარგებლოდ, ამის შედარებით ნაკლები შანსი არსებობს, რადგან რუსეთის პირდაპირი ჩართვა კონფლიქტში აუცილებლად გამოიწვევს ომს აზერბაიჯანთან და თურქეთთანაც, რაც მეტწილად, ასევე ნიშნავს სამხედრო დაპირისპირებას NATO-სთან და რამდენიმე მუსლიმანურ სახელმწიფოსთან. ყველაფერი ეს კონფლიქტის გაფართოებას ნიშნავს არა მარტო რეგიონში, არამედ მსოფლიოშიც.

თუ პოტენციურად შექმნილ შესაძლებელ სიტუაციებს სამხედრო მოქმედების მიხედვით განვიხილავთ, მაშინ საქართველო, პრაქტიკულად თუ არა, თეორიულად მაინც აღმოჩნდება შემდეგი სამხედრო ურთიერთდაპირისპირების პირობებში:

— საქართველომ შესაძლოა აწარმოოს სამხედრო მოქმედებები ასიმეტრიული ომების პირობებში, როდესაც ძირითადად მისი მოწინააღმდეგის სამხედრო პოტენციალი და, რაც მთავარია, სამხედრო სიძლიერე გაცილებით აღემატება თვით საქართველოს სამხედრო პოტენციალს და სიძლიერეს, თუნდაც მოკავშირეთა გარკვეული მხარდაჭერის შემთხვევაში.

მეტწილად იგულისხმება ის, რომ სამოკავშირო მხარდაჭერა, თვით NATO-ს მხრიდან, თუნდაც მასში საქართველოს გაწევრიანების შემთხვევაში, ერთნიშნად არ ითვალისწინებს საბრძოლო მოქმედებებში მოკავშირეების უშუალოდ ჩაბმას.

ასეთი სცენარი შესაძლოა კონფლიქტისა – ცალკეული საბრძოლო მოქმედებებისა და საომარი მოქმედებებისა, მოსალოდნელია ჩრდილოეთიდან – რუსეთიდან. მასთან ასიმეტრიული ომის პირობებში, საქართველომ უნდა აწარმოოს მხოლოდ შემაკავებელი ბრძოლები გარკვეული მოკლე დროით და სამხედრო პოტენციალის მაქსიმალური ამოქმედებით, უნდა შეინარჩუნოს პოზიციები და, თუ იარსებებს შანსი, თავისი ტერიტორიის ფარგლებში წინაც წაიწიოს. მაგრამ ამის დიდხანს გაგრძელება შეუძლებელია. მთავარია საომარი და საბრძოლო მოქმედებები შეწყდეს საზღვარგარეთის სახელმწიფოების ზეწოლით, პოლიტიკური და დიპლომატიური გზებით და საერთაშორისო პროტესტით.

ასეთივე პოტენციალის სახელმწიფო მდებარეობს საქართველოს სამხრეთითაც, რომელთანაც, მიუხედავად წარსულში დაპირისპირებისა, მოცემულ მომენტში საქართველოს მეგობრული დამოკიდებულება აქვს, ეს სახელმწიფოა – თურქეთი.

— საქართველომ შესაძლოა აწარმოოს ასიმეტრიული ოპერაციები და საბრძოლო მოქმედებები, როდესაც მის მოწინააღმდეგეს გაცილებით ნაკლები სამხედრო პოტენციალი და სამხედრო სიძლიერე აქვს, თუ ისინი იმოქმედებენ იზოლირებულად – სხვა სახელმწიფოებისაგან პირდაპირი და უშუალო სამხედრო მხარდაჭერის გარეშე.

ასეთი სცენარით შეიძლება განვიხილოთ შესაძლო, მაგრამ მოცემულ ეტაპზე ნაკლებად მოსალოდნელი სიტუაციები სეპარატისტულ ძალებთან.

— საქართველომ თეორიულად შეიძლება აწარმოოს საბრძოლო მოქმედებები და ომი თავისი სამხედრო პოტენციალის და სამხედრო სიძლიერის თანაზომად სამხედრო ძალებთან და სახელმწიფოებთან. ამ მხრივ, მოცემულ ეტაპზე, პრაქტიკულად გამოირიცხება აზერბაიჯანი, რომელთანაც, როგორც მეგობრულად განწყობილ სახელმწიფოსთან, საქართველო სტრატეგიული ნედლეულის დარგში წარმატებით თანამშრომლობს.

თეორიულად, შეიძლება მაინც რჩებოდეს მინიმალური შანსი იმისა, რომ ასეთი მოქმედებები სხვა ძალის ჩართვით პროვოცირებული იქნეს მეზობელი და მეგობარი სახელმწიფოს, სომხეთის მხრიდან – სახელმწიფოდან, რომელმაც აფხაზეთში, მინდა ვიფიქრო, რომ თავისი ზეგავლენით ვერ დააოკა სომეხთა ბატალიონ “ბაგრამიანის” სამარცხვინო და მტრული ქმედებები, თუნდაც ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის მიმართ. ამის დაევიწყება ალბათ აუცილებელია, მაგრამ ძალიან ძნელია.

— ომების ბუნებიდან გამომდინარე, მრავალფეროვანია შეიარაღებული დაპირისპირების ხასიათი და დიაპაზონი იმ შემთხვევაში თუ ჯავახეთში მოხდება სეპარატისტული ძალების ამოქმედების ინსპირირება.

ასეთ ვითარებაში, გამონაკლისის სახით, ერთეულ სპეციალისტებს შორის, მაინც არსებობს გარკვეული პოზიცია იმის შესახებ, რომ საქართველოს თეორიულად ასევე შეუძლია გაააქტიუროს თურქი მესხების მოთხოვნები და მასიურად დააბრუნოს ისინი, რის შემდეგ არსებობს ასევე თეორიული შანსი იმისა, რომ ამ სვლით შესაძლებელი გახდება კონფლიქტში თურქეთის მოთხოვნების რეალიზაციაც. ეს კი სიტუაციას პრინციპილად შეცვლის.

მაგრამ ასეთ პოლიტიკას, მისი რეალობის შემთხვევაშიც კი, აქვს სხვა მრავალი და საქართველოს მეზობლების მხრიდანაც შორს მიმავალი, მეტად უარყოფითი და თუნდაც ნაკლებად პროგნოზირებადი მხარეები ...

— რაც შეეხება, აჭარას, საქართველოს ძირძველ მხარეს, მის მიმართ გარკვეულ ექსტრემალურ სიტუაციებში მოსალოდნელია თურქეთსა და რუსეთს შორის დიპლომატიური პრეტენზიების გარკვევა, რაც უპირატესად შესაძლებელია სამხედრო-პოლიტიკური დაძაბულობის დროს თურქეთს, საქართველოსა და რუსეთს შორის.

სამხედრო ურთიერთდაპირისპირების განხილული ვარიანტები, კვლავ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ არის მხოლოდ გარკვეული, თეორიული ინტერპრეტაცია საომარ თეატრზე განთავსებული ძალების სხვადასხვა სცენარით და კომბინაციით, ვირტუალურად ყველა შესაძლო მოქმედებისა. მაგრამ მათი დიპლომატიური, პოლიტიკური და სამხედრო სპექტრით განვითარება, შეიქმნება ამის საჭიროება თუ არა, საქართველოსთვის მუდმივად საფიქრალი და საზრუნავი უნდა იყოს.

ზოგადად თეორიული, ძნელად წარმოსადგენი კონცეფციის განხილვის აუცილებლობა სამხედრო ხელშეწყობაში, იმითაც არის გამოწვეული, რომ ყველაზე უფრო მეგობრულად განწყობილ სახელმწიფოშიც არის ასევე თეორიული შანსი, რომ შეიცვალოს, ან გარე და შიგა ძალების გააქტიურებით შეცვალონ ხელისუფლება და სახელმწიფოს სათავეები ხელში აიღოს იმ ჯგუფმა, რომელიც, მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს მიმართ იქნება აგრესიული, ან რეგიონში შექმნის სახელმწიფოთა ურთიერთდაპირისპირების საფრთხეს.

ასეთ პირობებში საქართველოსთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საომარი მოქმედების თეატრის მომზადება ომისათვის, რომელიც საინჟინრო მიმართულებით, მოიცავს გამაგრებული რაიონების შექმნას; სარკინიგზო და საავტომობილო გზების, აეროდრომების ქსელის მშენებლობას და განვითარებას; სამხედრო-საზღვაო ბაზირების პუნქტების შექმნას; სანაპირო არტილერიის, საჰაერო თავდაცვის საშუალებების, სარაკეტო დანადგარების, სათვალთვალო საგუშაგოების და მართვის პუნქტების პოზიციების მოწყობას; ხიდების, კაშხლების, მთის მასივების, დვარცოფების და სხვათა მიზანდასახულ სამხედრო გამოყენებას; ასევე მნიშვნელოვანია კავშირგაბმულობის, მეტეოროლოგიური და ტოპოგეოდეზიური უზრუნველყოფის ღონისძიებები და სხვა.

საომარი მოქმედებების თეატრის მომზადება, რომელიც წარმოადგენს ოპერატიულ და ოპერატიულ-სტრატეგიულ ღონეს, როგორც წესი, ხორციელდება მშვიდობიანობის და ომიანობის პერიოდებში. მათგან სტრატეგიული გაშლა ძირითადად მზადდება მშვიდობიანობის პერიოდში, ხოლო ოპერატიული გაშლა ომის წინა და ომის პერიოდში.

საქართველოს საომარი თეატრის მომზადების მხრივ, როგორც ზემოთ აღვნიშნა, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან და განსაკუთრებით 2008 წლის ომის შემდეგ, შეიქმნა განსაკუთრებული რთული ვითარება, რამაც განაპირობა ის, რომ მშვიდობიანობის

პერიოდში უნდა ჩატარდეს არა მარტო სტრატეგიული გაშლის ღონისძიებები, არამედ ოპერატიული გაშლისა და ოპერატიული მოწყობის ყველა შესაძლებელი ღონისძიებები, რომლებიც მოსალოდნელი “ოპერაციული მიმართულებით”, “ოპერაციულ ზოლში” იგეგმება.

თავისთავად “ოპერაციული მიმართულება” არის ადგილის და საომარი სივრცის მიმართულება ან ზოლი, რომელშიც სამხედრო დაჯგუფებები და ცალკეული სამხედრო ნაწილები განთავსდებიან, გაიშლებიან და აწარმოებენ საბრძოლო მოქმედებებს – ხშირად გამოიყენება არასწორი ტერმინი “ოპერატიული მიმართულება”.

ამის გარკვეული აუცილებლობა საქართველოში განპირობებულია იმით, რომ რუსეთს დაკავებული აქვს არა მარტო ოპერატიული გაშლის ტერიტორიები, არამედ ოპერატიული მოწყობის სივრცეც და თვით სახელმწიფოს საკომუნიკაციო მიმართულების – ზონის გარკვეული ნაწილიც.

მკითხველთათვის აქვე განვმარტე, რომ “საკომუნიკაციო მიმართულება” – ზოლი, ზონა არის ტერიტორია და მის არეალში არსებული სივრცე, რომელზეც გადის სამხედრო კომუნიკაციის გზები და მიმართულებები. “საკომუნიკაციო ზონის” ერთ-ერთი მახასიათებელია მისგან საბრძოლო მოქმედებების მიმართულებით კონკრეტული გზების განშტოების არსებობა.

ამდენად შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა, ოპერატიული გაშლა და ნაწილობრივ ოპერატიული მოწყობა, უნდა აწარმოონ საქართველოს სახელმწიფოს საკომუნიკაციო ზონაში. საკომუნიკაციო ზონაშივე მოხდება ფორმირება ოპერატიული დაფარვის სპეციალურად შექმნილი სამხედრო ნაწილებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ I ოპერატიული ეშელონის შეიარაღებულ ბრძოლაში ჩაბმას.

სწორედ საკომუნიკაციო ზონიდან უნდა იყვნენ ისინი ორიენტირებული ომის ძირითად ოპერაციულ მიმართულებებზე.

ამასთან, საქართველოს ტერიტორიის საკომუნიკაციო გამჭოლი, აღმოსავლეთ-დასავლეთის ზოლის ფუნქციონირების მდგრადობის შენარჩუნებისათვის საომარი და საბრძოლო მოქმედებების პირობებში, რასაც საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, უნდა გადაწყდეს ახალი ოპტიმალური და დუბლირებული გადაზიდვების მდგრადი მარშრუტების შექმნის საკითხი. საქართველოს ეს საკომუნიკაციო დუბლირებული მარშრუტები გაივლის საქართველოს სამხრეთ-დასავლეთიდან აღმოსავლეთის და შემდგომ ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით.

ზოგადად, სახელმწიფოს თავდაცვისათვის საინჟინრო მომზადება უნდა აისახოს საქართველოს სივრცითი დაგეგმარების სტრატეგიაში.

ეფექტური საინჟინრო ვითარების შესაქმნელად, როგორც ოპერაციულ მიმართულებებზე, ისე საკომუნიკაციო ზონაში მნიშვნელოვანია ადგილმდებარეობის საინჟინრო მოწყობა. მისი მიზანი უნდა გახდეს: საკუთარი ჯარების მობილურობა – მათი მანევრის და სწრაფი გადაადგილების შესაძლებლობა, ასევე მოწინააღმდეგე ძალების საინჟინრო მეთოდებით და ხერხებით ანტიმობილურობა – მათი მანევრის შეზღუდვა, გადაადგილების დაბლოკვა და განადგურება. ასევე, საკუთარი ძალების პირადი შემადგენლობის და ტექნიკის, ობიექტების და მოსახლეობის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისათვის მათი შენიღბვა და საცეცხლე პოზიციების მოწყობა.

ომის დაწყებამდე, ჯერ კიდევ მშვიდობიანობის დროს, ეფექტური საინჟინრო ვითარების შექმნის აუცილებლობა საქართველოში გამოწვეულია არა მარტო იმით, რომ მოწინააღმდეგეს დაკავებული აქვს შესაძლო ოპერაციული მიმართულებები და ქვეყნის განკარგულებაში ძირითადად მხოლოდ საკომუნიკაციო ზონაა დარჩენილი, არამედ იმითაც, რომ შეკავებითი, მოკლევადიანი და ინტენსიური ბრძოლების პერიოდში, როგორც აღინიშნა, მოწინააღმდეგე ფართოდ გამოიყენებს სარაკეტო და საჰაერო დარტყმებს, როგორც პირადი შემადგენლობის და სამხედრო ტექნიკის გასანადგურებლად, ისე ძირითადი ინფრასტრუქტურისა, მათ შორის, სამოქალაქო შენობა-ნაგებობებისა და ხიდების მწვობრიდან გამოსაყვანად. ამით იგი ეცდება სტრატეგიული მიზნის მოკლე ვადებში ტაქტიკური ქმედებით მიღწევას.

ამავე დროს მოწინააღმდეგე მხარემ საქართველოს რთული გარემოს ვითარებაში, სამოქალაქო ინფრასტრუქტურის და მშვიდობიანი მოსახლეობის პირობებში, როგორც აღინიშნა, აუცილებლად უნდა დაიკავოს ტერიტორიები, რაც მისგან მოითხოვს ოპერატიული ხელოვნების ფართო გამოყენებას.

ოპერატიული ხელოვნების ფართო გამოყენება მოწინააღმდეგე მხარეს, განსაკუთრებით სტრატეგიული მიზნის უსწრაფესად მიღწევის პირობებში, უქმნის დამატებით სიძნელეებს, განსაკუთრებით საომარი მოქმედებების დროის გახანგრძლივების მხრივ, რისი ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი უნდა გახდეს საქართველოს ტერიტორიის ოპტიმალური საინჟინრო მომზადება და ბრძოლებისა და ოპერაციების ეფექტური საინჟინრო უზრუნველყოფა.

საქართველოს სამხედრო ორგანიზაციაში გადასაწყვეტ საკითხებს შორის არის ერთ-ერთი პირველხარისისოვანი პრობლემა, რომელიც შეეხება საინფორმაციო, მმართველობითი და საიარაღო კომპლექსების ურთიერთშეთანხმებული და საიმედო კავშირებიანი სისტემის შექმნას, თუნდაც საომარი მოქმედებების ძირითად კომპონენტებს – ობიექტებს, კომპლექსებს და პერსონებს შორის, რომლებიც უზრუნველყოფენ საბრძოლო მოქმედებების და ოპერაციების ეფექტურობის გაზრდას.

ამ მიმართებით, როგორც საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების, ისე საინფორმაციო საშუალებების დანერგვის, მართვის პროცესების და საბრძოლო ოპერაციის წარმოებისათვის თანამედროვე დანიშნულების შესაბამისი შეიარაღების შეძენისა და გამოყენების მხრივ, მიუხედავად მცდელობებისა, საქართველო ჯერ კიდევ შორს არის პრობლემის სრულფასოვანი დაძლევისაგან.

ამდენად, საქართველოს სამხედრო ორგანიზაციამ და, უპირველესად, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა, თავის სისტემაში უნდა დანერგოს მაღალეფექტიანი, თანამედროვე საინფორმაციო-ტექნოლოგიური კომპლექსი, რომელიც:

- უზრუნველყოფს ოპერატიული ინფორმაციის მოპოვებას;
- დროის რეალურ მასშტაბში უზრუნველყოფს სისტემაში ინფორმაციის ვერტიკალური და ჰორიზონტალური სქემით საიმედო და მოწინააღმდეგისათვის მიუწვდომელ გადაცემას;
- ერთიან ინფორმაციულ სივრცეში, მართვის სისტემებზე დაყრდნობით მიიღებს საბრძოლო გადაწყვეტილებას და დროის რეალურ მასშტაბში მოწინააღმდეგისაგან დაცულად, დაიყვანს შემსრულებლებამდე;

- მინიმუმამდე დაიყვანს ციკლის – “აღმოჩენა – გარჩევა – დამიზნება – განადგურება” – შესრულების დროის ხანგრძლივობას;
- საინფორმაციო-კომუტაციური უკუკავშირით მოახდენს დადასტურებას დავალების შესრულების შესახებ.

წარმოდგენილი კონცეფცია, არა ამ გამარტივებული და მკითხველისათვის ალბათ ძნელად, მაგრამ მაინც გასაგები ენით დაწერილი, არამედ როგორც სამეცნიერო ნაშრომი, შეფასდა ამერიკის შეერთებული შტატების არმიის სამგარსკვლავიანი გენერლის, დოქტორ უილიამ ბ. რენოს მიერ. თავის შეფასებებში ის აღნიშნავდა, რომ: “დასმული საკითხების აქტუალობიდან გამომდინარე, ნაშრომს აქვს უნიკალური შესაძლებლობა, განავრცოს ზოგადქართული უნარი საკუთარი, როგორც ერის სამხედრო ძალამოსილობის გარდაქმნისა და წაადგეს მის გეოპოლიტიკურ სტაბილურობას ქვეყნის შიგა თუ რეგიონული თვალსაზრისით.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა დამოკიდებული იქნება საქართველოს სამხედრო და ეროვნული კაპიტალის უნარზე, კონსტრუქციულად შეითავსოს და გამოიყენოს თეორიები, მოდელები, ანალიზები.

მისი სარგებელი მშვენივრად გამოიკვეთა მის ინტელექტუალურ ქვეკუთხედში იმ კონცეფციათა მხარდასაჭერად, რომლითაც მთავრობის სამინისტროებს შეუძლიათ კომპლექსურ პრობლემებთან შეჭიდება”...

ჩემი, ასე ვთქვათ, ლექციით, რომელიც შევეცადე მაქსიმალურად გასაგები ენით და ტერმინებით გადმომეცა, შეიძლება მკითხველი გადავღალე, მაგრამ, რაღაც ფორმით მინდოდა მოკლე ექსკურსი გამეკეთებინა საქართველოს სამხედრო პოლიტიკის, მშენებლობის და საბრძოლო მოქმედებების იმ სფეროში, რომელიც უპირატესად ჩემს სამხედრო დარგს მიეკუთვნება.

გარდა სამხედრო ხელოვნების თეორიისა, განსაკუთრებული წილი სამუშაოებისა შეეხო სამხედრო-საინჟინრო შეიარაღების შექმნას. ამ მხრივ, აღსანიშნავია სწრაფად ასაგები, ინვენტარული, მრავალმალიანი გასაშლელი სამხედრო ხიდები, რომელთა შორის გამორჩეული პოზიცია უკავია ეგრეთ წოდებულ “გამყოლ (გამცილებელ)” ხიდებს. მათი საშუალებით ხდება პირადი შემადგენლობის და საბრძოლო ტექნიკის გადატარება დაბრკოლებაზე. ისინი, როგორც წესი, გამოიყენება საჯარისო ნაწილების მეორე ეშელონში და ზურგში, ასევე პირველ ეშელონშიც. მაგრამ ძირითადად მაშინ, როდესაც წინააღმდეგობის გადალახვა ხორციელდება მოწინააღმდეგის საცეცხლე ზემოქმედების გარეშე. მათი აგების დრო, მაგალითად 48 მეტრი სიგრძის გადასასვლელისა, შეადგენს დაახლოებით 30-45 წუთს.

როგორც აღვნიშნე, ხიდი მრავალმალიანია, ამიტომ ხშირად მისი ექსპლუატაციის ვადა არსებულ ხიდებში ძალიან შეზღუდულია. ამ დროს, მდინარის დინების სიჩქარის შეცვლის გამო, ხიდის საყრდენის ქვეშ ხდება გრუნტის გამორეცხვა, რაც მოითხოვს დროებითი ხიდის ხელახალ “გადაწყობას”.

ჩვენს მიერ შექმნილი მრავალმალიანი ხიდი აღნიშნული პრობლემისაგან თავისუფალია. მას გააჩნია საცეცხლის ტიპის საყრდენები, რომლებიც გრუნტის გამორეცხვის შემთხვევაში, წაგრძელებიან და ადადგენენ ხიდის წონასწორობას.

გარდა ამისა, ხიდის თითოეულ მალში, კონსტრუქციას აქვს თავისი მოხაზულობა, ისინი ნებისმიერ პროფილზე გადების დროს “აუთოებენ” ხიდის სავალ პროფილს, რაც საშუალებას იძლევა მასზე ტრანსპორტის გადატარებისა.

სწორედ ასეთი მოდიფიკაციის ხიდები შეექმნენ, დავამზადეთ, გამოცვადეთ და გადავეცით საქართველოს შეიარაღებულ ძალებს. ხიდის კომპლექტი, სიგრძით 48 მეტრი, გამოიცადა კრწანისის სამხედრო-სასწავლო ცენტრში. მას ხშირად იყენებენ მანევრებისა და სწავლების დროს.

აღნიშნული ხიდი განსაკუთრებით აუცილებელია სამიქალაქო ექსტრემალურ სიტუაციებში. ამ მხრივ ნაკეთობა ხშირად იქნა გამოყენებული, მათ შორის, როდესაც ქართლში დევნილებითვის შენდებოდა დასახლება. ხიდის მდინარე მტკვარზე გადებით 60 კილომეტრით შემცირდა გზა მშენებლებისათვის, რომლებიც ობიექტს სამშენებლო მასალებს და სათანადო ტექნიკას აწვდიდნენ.

ამ შემთხვევაშიც, ისე როგორც პირველ ქართულ კოსმოსურ ობიექტზე, ხიდების შექმნაზე და დამზადებაზე საქართველოს ბიუჯეტიდან არც ერთი თეთრი არ დახარჯულა. საჭირო თანხა შევიცარულ კომპანიიდან მივიღეთ, რომელსაც ხელშეკრულების თანახმად მხოლოდ ხიდის პროექტი გადავეცით. ხოლო ექსპერიმენტული ხიდები, რომლებიც დამზადდა და გამოიცადა პროექტის ფარგლებში დარჩა საქართველოს.

ბოლო პერიოდში დიდი ინტენსიობით დავიწყე საიერიშო, მექანიზებული ხიდების თეორიული და ექსპერიმენტული კვლევა, საცდელი მოდელების შექმნა და დაპროექტება.

საიერიშო ხიდები მშენებლობის უმაღლესი “პილოტაჟის” ნაგებობებია. ისინი, როგორც წესი, განიხილება კომპლექსის სახით, როდესაც ხიდი განთავსებულია ტანკზე და ტანკიდან ხდება მისი გადება გადასალახს წინააღობაზე – დაბრკოლებაზე.

საიერიშო ხიდები, როგორც ადრე აღვნიშნე, უმეტესწილად, გამოიყენება ფორსირების ოპერაციებში. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ხიდის აგება და მასზე საბრძოლო ტექნიკის და სამხედრო ტრანსპორტის გადატარება ხდება ბრძოლების პროცესში, ხიდზე მოწინააღმდეგის საცეცხლე ზემოქმედების პირობებში.

ასეთი ვითარება განაპირობებს იმას, რომ ხიდი უნდა აიგოს დროის უმცირეს ინტერვალში. ამისათვის გამოყოფილია მხოლოდ 2-3 წუთიდან მაქსიმუმ 7 წუთამდე დრო. გარდა ამისა, ხიდის გადება უნდა მოხდეს მისი ტრანსპორტირების და მონტაჟის განმახორციელებელი ტანკიდან მომსახურე პერსონალის გადმოუსვლელად, ანუ მათი ჯავშანტექნიკის საშუალებით დაცულობის პირობებში.

ამასთან, მეტად მნიშვნელოვანია საიერიშო ხიდის მიერ დაძლეული დაბრკოლების სიგანე, რაც პირდაპირ კავშირშია ხიდის მალთან. ზოგადად დღეს არსებული, ყველაზე მძლავრი საიერიშო ხიდები, რომლებიც დამონტაჟებულია ტანკებზე – “აბრამსზე”, “ლეოპარდზე” და სხვებზე, იძლევიან საშუალებას დაიძლიოს 20–24 მეტრი სიგანის წინააღობა. ამასთან, საიერიშო ხიდები, როგორც წესი, ერთმალაინია, ვინაიდან შუალედური საყრდენების არსებობის შემთხვევაში, ჯერ ერთი დროის სიმცირის გამო, რთულდება მისი დაყენების შესაძლებლობები და იზრდება ხიდის დაკეცილი პაკეტის გაბარიტები და მეორე, ასევე უკიდურესად შეზღუდულ დროსა და პირობებში შეუძლებელია სწორი დასვენების გამოტანა შუალედური საყრდენის დაყრდნობის გრუნტის შესახებ. მან შეიძლება ვერც კი გაუძლოს მასზე ხიდის საყრდენიდან

გადაცემულ დატვირთვას. საგულისხმოა, რომ მოწინააღმდეგეს ეძლევა საშუალება შუალედური საყრდენის აფეთქებისა, რაც დამატებით სირთულეს წარმოშობს.

ახლა რაც შეეხება უმთავრეს საკითხს – საიერიშო ხიდის სატრანსპორტო პაკეტის გაბარიტებს. მიღებული პრაქტიკის მიხედვით, რაც მრავალ ფაქტორს გულისხმობს და მათ შორის, ხიდის ტანკის საშუალებით ტარებას და მანევრს, ხიდის დაკეცილი პაკეტის სიგრძე შეიძლება აღწევდეს 12 მეტრს, სიგანე 4 მეტრს, ხოლო სიმაღლე 2–2,3 მეტრის ფარგლებში შეიძლება იყოს. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ხიდის წონა, რომელიც სხვადასხვა ვარიანტში 15–17 ტონასაც კი აღწევს. ეს იმ შემთხვევაში, როდესაც 24-მეტრიანი ხიდის კონსტრუქცია მზადდება მაღალი სიმტკიცის ალუმინის შენადნობებისაგან და არა ფოლადისაგან.

მრავალი ვარიანტის შექმნის და ექსპერიმენტული გამოცდის შედეგად შევქმენი განსხვავებული დაკეცვა-გაშლის პრინციპზე აგებული 48 მეტრი სიგრძის საიერიშო ხიდი, რომელიც დაკეცილ მდგომარეობაში ეტევა 12 მეტრი სიგრძის სატრანსპორტო პაკეტში.

როდესაც, საქართველოსთვის საიერიშო ხიდს ვქმნიდი, წინა პლანზე გადავიდა ის საკითხი, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების სატანკო პარკი, ძირითადად შედგება რუსული T-72 მარკის ტანკებისაგან. ასევეა, თითქმის უმეტეს პოსტსაბჭოთა და აზიისა და აფრიკის ბევრ სახელმწიფოებში. T-72-ის შეცვლას უახლესი წლების განმავლობაში არ უნდა ველოდეთ. ამდენად, შექმნილი ხიდი უნდა ყოფილიყო ორიენტირებული T-72-ზე. ამასთან, იგი იოლი მოდერნიზაციით ასევე გამოსადეგი უნდა ყოფილიყო მსოფლიოში გავრცელებულ ტანკებზე განსათავსებლად.

ასეთი მიდგომები გამართლებულია, როგორც საქართველოს შეიარაღებული ძალების პრაქტიკული ინტერესებით, ისე შექმნილი საიერიშო ხიდების კომერციალიზაციის მიზნითაც.

აღნიშნული ლოგიკა დაედო საფუძვლად ახალ საიერიშო, გაზრდილმაღიანი ხიდის შექმნას. მან გაიარა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ექსპერტიზა და მოწონებულია შეიარაღებაში დანერგვისათვის, მაგრამ ...

დღეს საქართველოში საიერიშო ხიდების გამოყენების კიდევ ერთი სფერო გახდა აქტუალური. ექსტრემალურ ბუნებრივ პირობებში დაბრკოლების გადალახვა მოითხოვს სწრაფად ასაგები და მრავალჯერადი გამოყენების ხიდების შექმნას. იმედია, ეს ფაქტორი გარკვეულწილად დაახქარებს ხიდების შექმნას ...

... ასე რომ არც კი მიგრძენია, ისე დამიგროვდა დიდი მოცულობის სისტემატიზებული მასალები, რომლებიც მოიცავენ სამხედრო-საინჟინრო ხელოვნებისა და სამხედრო თეორიის დარგში თემატური კვლევების ძირითად მიმართულებებს, რომლებიც აისახა საზღვარგარეთ და საქართველოში გამოცემულ მონოგრაფიებში, სტატიებში, მოხსენებათა კრებულებსა და თავდაცვის სამინისტროსთვის შექმნილ ანგარიშებში. მათი ჩამონათვალი კი მრავალმხრივია:

- სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების თეორია –
 - სამხედრო-საინჟინრო დარგის განვითარების ისტორიული პერიოდების და ეტაპების განსხვავებული კლასიფიკაცია;
 - სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების ადგილი და როლი სამხედრო ხელოვნებაში;
 - საქართველოს სამოქალაქო ინფრასტრუქტურის სამხედრო მახასიათებლები;

- ერთიანი – სამოქალაქო და სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის კომპლექსის შექმნის წინაპირობები და აუცილებლობა საქართველოში.
- საქართველოს ტერიტორიის დაცვისათვის საინჟინრო მომზადების საკითხები 2008 წლის შემდეგ ომის თეატრის პირობებში;
- საბრძოლო მოქმედებებისა და ოპერაციების საინჟინრო უზრუნველყოფა საქართველოში, მათ შორის 2008 წლის შემდეგ შექმნილ ვითარებებში;
- სამხედრო ხიდების განვითარების ისტორია და თანამედროვე მოთხოვნები;
- დაბრკოლებების გადალახვის სამხედრო ოპერაციები და საქართველოს პირობებში სამხედრო ხიდებისადმი წაყენებული მოთხოვნები.
- სამხედრო თეორია –
 - საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ვითარების სიმძაფრის საფეხურების განმსაზღვრელი პარამეტრები და მათ შორის სივრცის გეოპოლიტიკური კატეგორიები;
 - სამხედრო სტრატეგიის, ოპერატიული ხელოვნებისა და ტაქტიკის ურთიერთდამოკიდებულების ახალი კონფიგურაცია და მისი რეალიზაციის შესაძლებლობები საქართველოს პირობებში;
 - ქსელურ-ცენტრული ომის ცალკეული კომპონენტების ამოქმედების აუცილებლობა და შესაძლებლობები საქართველოს სამხედრო ორგანიზაციაში;
 - საქართველოს სამხედრო ორგანიზაცია და სამხედრო მოღვაწეობა – შეფასებები;
 - მოწინააღმდეგე მხარეების ბრძოლისუნარიანობა;
 - მებრძოლი სისტემების დინამიკური და გეომეტრიული პარამეტრები;
 - არაპირდაპირი მოქმედებების დინამიკური პროცესების ახალი სისტემატიზაცია სამხედრო ხელოვნებაში;
 - სამხედრო მოქმედებათა გეგმების და დაგეგმვის სივრცეების მოდელები;
 - ახალი შეხედულებები და ომების ტერმინების – ასიმეტრიული, ჰიბრიდული, სუროგატული და სხვა, შეფასებები და მათი წარმოების კონკრეტული მეთოდები.
 - სამხედრო ისტორიის დარგი საქართველოში და მის შემდგომ განვითარებაში, მოცემულ ეტაპზე, სამხედრო ხელოვნების ისტორიისათვის უპირატესობის მინიჭების აუცილებლობა.
 - სამხედრო-სამრეწველო კომპლექსების განვითარების ეტაპები, თავისებურებები და პერსპექტივები საქართველოში.

ჩემი დარგის მეცნიერისათვის ერთ-ერთი პრიორიტეტი არის ახალი სახის სამხედრო თუ სამოქალაქო ტექნიკის შექმნა და მისი რეალიზება კონკრეტული ნაკეთობის – კონსტრუქციის თუ კომპლექსის სახით. ასეთი მიღწევები საბჭოთა თუ დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, საზღვარგარეთ და საქართველოში, კოსმოსსა თუ დედამიწაზე, სამხედრო თუ სამოქალაქო სისტემების მხრივ, საკმაოდ ბევრჯერ შევქმენი. მაგრამ, მეცნიერისთვის საინტერესო და პრესტიჟული არის უფრო “მაღალი პილოტაჟის” განხორციელება, რაც მხოლოდ ზოგიერთი მკვლევრის ხვედრია – ეს არის საკუთარი მეცნიერული მიმართულების რეალიზება საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესში – ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის კურსით.

კვლევების გარკვეული მიმართულება, თუ იგი ახალია და ასევე აუცილებელი სტუდენტებისათვის, ხდება საფუძველი სასწავლო დისციპლინისა. სწორედ ასე შევქმენი

სამაგისტრო პროგრამის კურსი “ტრანსფორმირებადი საინჟინრო სისტემები”. ეს საგანი უკვე შვიდი წელია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ეკითხებათ მაგისტრანტებს.

როგორც ცნობილია, ნაგებობებში დღემდე არსებობდა ასაწყობი კონსტრუქციებით მშენებლობის მეთოდი და მონოლითური კონსტრუქციებით მშენებლობის მეთოდი. ახლა უკვე გაჩნდა მესამე მეთოდი – ნაგებობის შექმნა კონსტრუქციის ფორმის ტრანსფორმაციით. იგი დღითი დღე სულ უფრო ვრცლად ინერგება მშენებლობაში. მისი ინტენსიური გავრცელება განაპირობა არქიტექტურული ფორმების სივრცითი დაგეგმარების მოქნილობამ, როცა შენობის შიგა და გარე სივრცეები გაერთიანებულია; ექსტრემალური სიტუაციების მატებამ, რაც უსწრაფესად მოითხოვს ნაგებობის შექმნას და მათმა სამხედრო დანიშნულებამ.

ტრანსფორმირებად სისტემებს გააჩნიათ საქარხნო მზადყოფნის გაცილებით მაღალი ხარისხი და ამით აიხსნება მათი უსწრაფესი და მრავალჯერადი გამოყენების შესაძლებლობები. უფრო მეტიც, ტრანსფორმირებადი სისტემების მათემატიკური მოდელი ასევე შეიცავს მონოლითურ სისტემებს და ამ მხრივ კვლევები კვლავაც გრძელდება.

მოცემულ ეტაპზე იწყება აღნიშნული დისციპლინის გავრცელება საქართველოსა და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში.

აღნიშნული დისციპლინის – “ტრანსფორმირებადი საინჟინრო სისტემების”, შემოღებით საუნივერსიტეტო სწავლებაში, ჩემი ვალი მოვიხადე, როგორც ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა. მაგრამ, როგორც სამხედრო მეცნიერებათა დოქტორს, მრჩებოდა მეორე ვალი ქვეყნის, უნივერსიტეტისა და თავდაცვის სამინისტროს წინაშე – სამხედრო დარგში საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა და მისი ამოქმედება.

გარდა ამისა, როგორც ასევე ერთადერთი სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი საქართველოში, მიუხედავად აკადემიის გაუქმებისა, ვერ დავრჩებოდი პასიური მაღალკვალიფიციური სამხედრო, უპირატესად სამხედრო-საინჟინრო კადრების მომზადების საკითხის მიმართ და ამ მიზნით დავამუშავე და საქართველოში პირველად ავამოქმედე სადოქტორო პროგრამა სამხედრო მეცნიერების დარგში. ჩემი ხელმძღვანელობით, სამხედრო მეცნიერების დარგში აკადემიური დოქტორის ხრისხი მიენიჭათ გენერალური შტაბის უფროსს, გენერალ-მაიორ ვახტანგ კაპანაძეს და უნივერსიტეტის თანამშრომელ ზურაბ ლაოშვილს.

ქართველებს უნდა უხაროდეთ თუ რა დიდი კონკურსია აღნიშნულ დოქტურანტურაში, როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო სპეციალისტებისა.

... კვლავაც ისევე, როგორც ადრე, არ ვღალატობ ჩემს ჩვევას ახალგაზრდა მეცნიერის მიმართ გარკვეული “პროტექციის” გაწევისა.

სამასზე მეტი სამეცნიერო შრომის – მონოგრაფიების, სტატიებისა და გამოგონების ავტორს არასდროს მიმიცია უფლება თავისათვის, უშუალო წელილის გარეშე, ჩემი მოწაფეების ან თანამშრომლების სამეცნიერო შრომის თანაავტორი გავმხდარიყავი, თუმცა ზოგჯერ, მათ ამის დიდი სურვილი ჰქონდათ.

ამასთან, უმეტეს შემთხვევაში მათი რიგებიდან, ძალიან ბევრი, კონკრეტული წელილის გარეშეც კი დავასახელებ და წარმოვანიხე ჩემი შრომების თანაავტორად. არ ვიცი, ჰქონდა თუ არა გამართლება ჩემს ასეთ ქმედებას, თუმცა ბევრი მათგანისათვის ასეთი “დათმობა” პოზიტიური იმპულსი აღმოჩნდა მეცნიერებაში მათი შემდგომი სამუშაოებისა, თუმცა ზოგიერთებში ამან ზედმეტი ამბიციებიც კი გააჩინა.

... დასასრულ, საქართველოში სამხედრო მეცნიერების, ამ დარგში ქართველი მეცნიერების კვლევების საქართველოში და საერთაშორისო არენაზე წარმოჩენის, საზღვარგარეთის მეცნიერებთან თანამშრომლობისა და ქვეყნის სამხედრო ინტელექტუალური პრესტიჟის ამაღლების მიზნით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიურმა საბჭომ, აკადემიის პრეზიდენტის გიორგი კვესიტაძის თავმჯდომარეობით განიხილა ჩემი პროექტი და დააარსა სამეცნიერო ჟურნალი „სამხედრო მეცნიერება. საქართველო“ – „MILITARY SCIENCE. GEORGIA“.

აღსანიშნავია, რომ მანამდე, აკადემიის პრეზიდენტები ალბერტ თავხელიძე და თამაზ გამყრელიძე, ჩემს სამეცნიერო მოღვაწეობაში, პრიორიტეტად კოსმოსურ მექანიკას მიიჩნევდნენ.

სურვილი მაქვს, რომ უფროსი და უმაღლესი წოდების ოფიცრებისათვის ავამოქმედო მოკლევადიანი საგანმანათლებლო კურსი „საბრძოლო მოქმედებების და ოპერაციების სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფა“. აღნიშნულ კურსში, წინა პლანზე იქნება წამოწეული საქართველოს ტერიტორიის და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის მომზადება თავდაცვისათვის და ამ გარემოში ოპერაციების ჩატარებისას საინჟინრო ხელოვნება.

საქმე ისაა, რომ სამხედრო-საინჟინრო საქმე ისწავლება კაპიტნის მოსამზადებელი კურსების ჩათვლით. შემდეგ კი, როდესაც განიხილება საინჟინრო უზრუნველყოფა, როგორც ოპერატიული უზრუნველყოფა, უმეტესობა ბრიგადის და შტაბის მეთაურებისა, რომელთაც განათლება სხვადასხვა სპეციალობით აქვთ მიღებული, აღნიშნულ დარგს ნაკლები სიღრმით იცნობენ. სწორედ ამიტომ ვაპირებ უფროსი და უმაღლესი სამხედრო წოდების ოფიცრებისათვის, საბრძოლო მოქმედებების საინჟინრო უზრუნველყოფის მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამის შექმნას და ამოქმედებას. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ.

... ზღვაზე ძალაქის მითევზეები ანკვეებით თევზარბუნე ...

... ბაქრობა იმ მარადისობის ბანცდისა ...

... ამერიკის შეერთებულ შტატებში, NASA-ს სამსახურში, ცნობილ კომპანია “მარტინ გრუმანში”, არის დიდი კოსმოსური სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური სტრუქტურა – “Astro”. მისი ერთ-ერთი ცენტრის მთავარი ინჟინერია, კოსმოსური სისტემების ცნობილი სპეციალისტი, ჩემი მეგობარი მარკ ტომსონი. ბოლო პერიოდში მან ორბიტაზე “გააცილა” თერთმეტმეტრიანი გაბარიტის მქონე კოსმოსური კომპლექსი “SMARP”-ი, რომელიც კოსმოსიდან ირკვევს დედამიწის გრუნტის ტენიანობას. კომპლექსის გაშვების შემდეგ, რამდენიმე დღით მეუღლესთან ერთად ჩემთან ჩამოვიდა “სულის მოსათქმელად”. წამოსვლის წინ შემომითვალა, რომ ძალიან სურდა დასწრებოდა მარიონეტების თეატრში რეზო გაბრიადის სპექტაკლ “ჩემი გაზაფხულის შემოდგომას”. თან დასძინა, რომ ამ სპექტაკლისა და ბატონი რეზოს შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებში განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენო.

მარკის ჩამოსვლის პერიოდში, ამ სპექტაკლზე დასასწრები ბილეთები წინასწარ იყო გაყიდული და პრობლემის მოსაგვარებლად ბატონი რეზოს შეწუხება მომიწია. იგი თავისი თეატრის კაფეში დამხვდა. მეგობრულად მომიკითხა და მითხრა, – ჩავთვალთ, რომ თქვენი სტუმრები, ჩემი სტუმრებიც არიან. სპექტაკლსაც დავასწრებ და შემდეგ აქვე მოვუწვობ შეხვედრასო. სიმართლე გითხრათ, არ მინდოდა ბატონი რეზოს ასეთი შეწუხება, მაგრამ როდესაც მარკი წარმოვიდგინე, რომელსაც ბატონი რეზო შეხვედრას მოუწვობდა, შემოთავაზებულ წინადადებას დავთანხმდი.

მართლაც, სპექტაკლის შემდეგ, ბატონმა რეზომ სუფრასთან შეხვედრა მოგვიწყო. ეს შეხვედა დაუვიწყარი იყო არა მარტო მარკისთვის, არამედ ჩემთვისაც. არცერთ ქართველს ჯერ ასე ფილოსოფიურად, რომანტიკულად და კოსმონავტიკის, ფანტასტიკის სფეროსთან ახლოს მდგარი დარგის წარმოჩენით არ უსაუბრია, როგორც იმ საღამოს ეს შეძლო ბატონმა რეზომ.

უცნაური იყო ის, რომ ურთულესი საკითხების გარჩევისას ის რჩებოდა, ერთი მხრივ, ხელოვანი და მეორე მხრივ, ძალიან მორიდებული და “ფრთხილი იმერელი”, რომელიც ისეთ თემებზე იწყებდა საუბარს, რომ შემდეგ მარკ ტომსონი მთელი ენთუზიაზმით და გატაცებით საუბრობდა მათ შესახებ.

ბოლოს, ბატონი რეზო მოყვა ერთ ისტორიას. ზაფხულის საღამოს, თუ არ ვცდები 1969 წელს, ბატონი რეზო რაღაც ჩანახატებს აკეთებდა და თან ტელევიზორი ჰქონია ჩართული. უცებ მისი ყურადღება მიუპყრია დიქტორის სიტყვებს – პირველად მთვარეზე ფეხი დადგა ამერიკელმა ასტრონავტმა ნილ არმსტრონგმა. ეკრანზე კი ჩანდა მთვარის ზედაპირი, ფრაგმენტი მთვარეზე დაშვებული კოსმოსური აპარატისა და სკაფანდრებში მყოფი ასტრონავტები. იმ წამსვე, ბატონ რეზოს უფიქრია, რომ ასეთ კადრს საბჭოთა კავშირი მეტად აღარ აჩვენებდა და დაუწვია მისი უსწრაფესად ჩახატვა.

სწორედ ეს ჩანახატი, რომელიც მის მიერ 46 წლის წინ იყო გაკეთებული, საჩუქრად გადასცა მარკ ტომსონს. მარკი ამ ფაქტის გამო გაოგნებული იყო – მას ჯერ ერთი მასპინძლობდა მისთვის მეტად პატივსაცემი პიროვნება რეზო გაბრიადე და ამასთან,

მისგან იღებდა ძალიან დიდ და მისთვის ძვირფას საჩუქარს – რეზო გაბრიადის ჩანახატს მთვარის ზედაპირზე პირველი ასტრონავტის გადასვლის შესახებ.

სიმართლე გითხრათ იმ სადამოს მე პასიურ როლში ვიყავი. ვიჯექი და ვისმენდი დიდი ხელოვანის და კოსმოსური ტექნიკის დიდი სპეციალისტის საუბარს, რომელსაც ბოლო არ უჩანდა.

გვიან ღამით, როდესაც შეხვედრიდან სახლში ვბრუნდებოდი, ვფიქრობდი ბატონი რეზოს – ამ “ფრთხილი იმერლის”, უკიდევანო ფანტაზიის უნარზე, რომლის კონკრეტული გამოვლენა იყო სცენარები ფილმებისათვის “ქინ-და-და”, როდესაც მოქმედება ცივილიზაციის მიერ გავერანებულ პლანეტაზე ხდება ან კიდევ “შერეკილები”, სადაც ფრენის იდეით შეპყრობილი, მიწიერი ცოდვებისაგან და ვალებისაგან განწმენდილი ადამიანები აგებენ მფრინავ აპარატს, რომელსაც ძრავა ადამიანთა კეთილი და რომანტიკული გრძნობების სიმსურვალის ენერგიაზე აქვს შექმნილი. ისინი მიფრინავენ და მათ ფრენას არ აქვს საზღვარი. სწორედ ეს იდეა იყო ასევე მისი სატელევიზიო ფილმ “ალილოს” დასასრულის სიმბოლო, როდესაც უკვე ბატონმა რეზომ კოსმოსში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის იდეალიზებული მოდელი გამოიყენა და ამით ფრენის იდეა ჰაერიდან კოსმოსურ, უკიდევანო და უსასრულო სივრცეში გადაიტანა.

... ჩვენ შედარებით მცირერიცხოვან ერს და პატარა, ამასთან, მოძალადის მიერ შევიწროებული ტერიტორიის მქონე სახელმწიფოს უდავოდ სჭირდება ყოველდღიური ზრუნვა მსოფლიო არენაზე ღირსეულად წარმოჩენისა. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია მოვლენა და ფაქტი პირველი ქართული კოსმოსური ობიექტისა, რომელმაც, და ამას ისევე აღვნიშნავ, კოსმოსის ათვისებაში დაიბეჭდა გამორჩეული ადგილი თავისი მეცნიერებატეკვადობით და ახალი ტექნოლოგიებით, ამასთან, ქართული კოსმოსური ობიექტი და მისი წარმატებული გაშვება ორბიტაზე შეტანილია მსოფლიო კოსმონავტიკის ძირითად, ისტორიულ ქრონიკათა ჩამონათვალში, რომ არაფერი ვთქვათ ჩემ მიერ შექმნილი ტრანსფორმირებადი სისტემების თეორიაზე, რომელიც საფუძვლად დაედო მსოფლიოში მრავალი კოსმოსური და მიწისზედა კომპლექსების შექმნას.

ყოველივე ეს ერთხელ კიდევ იმიტომ აღვნიშნე, რომ ჯერ კიდევ XX საუკუნეში საქართველო მოხვდა სახელმწიფოების იმ მოკლე ჩამონათვალში, რომელთაც თავისი კოსმოსური ობიექტი აქვთ და ამ ისტორიულ მოვლენას ქართველების მხრიდან ღირსეული წარმოჩენა სჭირდება არა მარტო ქართველების, არამედ საქართველოში ჩამოსული უცხოელების წინაშე.

ამ მხრივ, გარკვეულწილად ასევე, საინტერესოა ერთი ფაქტი, რომელმაც ინტერნეტ-სივრცეში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია.

ბოლო პერიოდში, დაახლოებით 2012 წლიდან, უპირატესად ინგლისურენოვან საიტებზე დიდი ინტენსივობით განიხილებოდა ასტრონავტ ჟან-პიერ ენერიეს მიერ ორბიტაზე გადაღებული ერთი ფოტო, რომელზეც გამოსახულია კოსმოსში, დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე მფრინავი ობიექტი. კადრი ძალიან ღამაზია, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მრავალი ქვეყნის უფოლოგებმა, რომლებიც უცხო ცივილიზაციიდან გამოგზავნილ ობიექტებს შეისწავლიან, ყოველ შემთხვევაში ისინი ამას ასე თვლიან, აღიარეს და ამას სპეციალური ანალიზი და გაანგარიშებებიც მიუძღვნეს, რომ ეს მფრინავი ობიექტი არის სხვა ცივილიზაციის მიერ შექმნილი. ამასთან დაკავშირებით თვით ფოტოს ავტორი ჟან-პიერ ენერიე დუმს. შეიძლება მას კიდევ უნდა, რომ აჟიოტაჟი

ამ ფოტოს ირგვლივ არ ჩაცხრეს. არადა ფოტოზე გამოსახულია პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი, რომელიც უკვე დამოუკიდებელ ორბიტაზე, კოსმოსური სადგურიდან საკმაოდ დაშორებით თავისუფალი ფრენის რეჟიმშია.

ამ “უცხოპლანეტელთა მფრინავ ობიექტს” მრავალი სტატია მიეძღვნა. ერთ მომენტში ვიფიქრე განმეამარტა, რომ ეს იყო ქართული კოსმოსური ობიექტი, მაგრამ თავი შევიკავე. დაველოდე იმ მომენტს, რომ მსჯელობაში საზოგადოების მეტი ნაწილი ჩაბმულიყო და ბოლო, კრიტიკულ მომენტში ყველასათვის “გამეხსნა ქართული კარტი”. ამის გაკეთება აღარ დამჭირდა. ერთ-ერთმა უცხოელმა მეცნიერმა განმარტა, რომ ეს იყო ქართული კოსმოსური ობიექტი.

ამ ფაქტთან დაკავშირებით ჩემს მოქმედებას მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა. საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეები ძალიან კარგად და ყოველმხრივ იცნობენ ქართულ კოსმოსურ ობიექტს, მაგრამ მის განხილვაში “უცხოპლანეტელ მფრინავ ობიექტად” ჩაერთო სხვადასხვა ქვეყნის ძალიან ბევრი ადამიანი, რომელთაც არ აქვთ შეეხება იმ სამეცნიერო ლიტერატურასთან, რომელშიც პირველი ქართული კოსმოსური ობიექტია შეფასებული.

სწორედ ამიტომ გადავწყვიტე დროის მოგება ბევრი ადამიანისთვის, რომლებმაც ბოლო მომენტში გაიგეს, რომ ეს არის კოსმოსური ტექნიკის ქართული ქმნილება. და ეს უცხოელმა მეცნიერმა გააკეთა, რაც ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო.

არადა რა კარგად და მოხერხებულად შეუძლია საქართველოს გამოიყვანოს პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი თავისი სახელმწიფოს წარმოჩენისთვის, როგორც საკუთარ, ისე საერთაშორისო ასპარეზზე, მათ შორის ჩამოსული უცხოელი სტუმრების წინაშე. ამისათვის კი ცოტა რამ არის საჭირო, თუნდაც მემორიალური სკულპტურის დადგმა, საგამოფენო კუთხეების მოწყობა და სხვა მრავალი, ნაკლებად ღირებული სარეკლამო ღონისძიებები.

სადემონსტრაციო დარბაზის მოწყობის ნაკლებმასშტაბური მცდელობა ინსტიტუტს ჰქონდა. სასტენდო დარბაზში, როგორც უკვე აღვნიშნე, გამოფენილი იყო მაკეტი კოსმოსური რეფლექტორისა და კოსმოსური და სამხედრო-საინჟინრო დარგის საქართველოში განვითარების ისტორია. ვერ წარმოიდგენთ თუ რა ინტერესით ათვალიერებდნენ გამოფენას სკოლის მოსწავლეები, რომლებიც მოდიოდნენ ჩვენთან, ერთი მხრივ, პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის, როგორც ისტორიული მოვლენის და, მეორე მხრივ, ქართული კოსმოსური ტექნოლოგიების გასაცნობად. მაგრამ მავანთა ინიციატივით, და ამას კვლავ ხაზგასმით აღვნიშნავ, გამოფენა დაიხურა. უფრო მეტიც, სასტენდო დარბაზში, სადაც საზღვარგარეთის შეკვეთები უნდა განგვეხორციელებინა, უნივერსიტეტის კომპიუტერული დარბაზი მოეწყო. კომპიუტერული დარბაზის მოწყობა აუცილებელი იყო და ამაში ჩვენც მივიღეთ აქტიური მონაწილეობა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა იგი სხვაგან გაკეთებულიყო. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, მაგრამ ...

თუმცა არის კიდევ ერთი შტრიხი, რომელიც ამ გამარჯვების ამსახველ სურათს უფრო სრულყოფილს გახდის – ეს არის მემორიალური სკულპტურა, რომელიც დაამკვიდრებს და ქართველებს შეახსენებს პირველ ქართულ კოსმოსურ ობიექტს, როგორც ქართველთა დიდი უნარის, მიზანდასახულობისა და მისი მიღწევის რეალურ შედეგს – და არა მარტო ქართველებს. ვფიქრობთ ამ მემორიალის დადგმაზე, მისი განთავსების ადგილზე და ბოლოს რომელ ქალაქში უნდა დაიდგას იგი – თბილისში,

ბათუმსა თუ მცხეთაში ან მის შემოგარენში, სადაც შეიქმნა კოსმოსური ნაგებობის სრულმასშტაბიანი გამოცდისა და აგების უნიკალური სასტენდო კომპლექსები, საიდანაც დაიწყო ქართული კოსმოსური ტექნოლოგიების დარგის განვითარება ...

რაც შეეხება მემორიალური სკულპტურის დადგმას, ამ მხრივ, რამდენიმე მცდელობა ჩვენს ინსტიტუტს ადრეც ჰქონდა, მაგრამ ეტყობა “შესაფერისი დრო ვერ შევარჩიეთ”. ბოლოს, ამ საქმეს ხელი მოჰკიდა ცნობილმა, ღირსეულმა და პატივსაცემმა არქიტექტორმა ვახტანგ დავითაიამ.

მან შექმნა სკულპტურის რამდენიმე შესანიშნავი ვარიანტი, რომლებიც მის წიგნშიც არის გამოქვეყნებული. შეარჩია საორიენტაციო ადგილი და ამის შესახებ ქალაქის მერსაც ესაუბრა. თითქოს საქმის რეალიზაცია ძალიან ახლოს იყო, მაგრამ ვერ მოხერხდა ფინანსების – სულ 20 000 \$-ის მოძიება. მახსოვს, ვახტანგმა მითხრა – ელგუჯა, შენ ქართველებს კოსმოსისაკენ გზა გაუკვალე, ეს უმნიშვნელო თანხა კი ვერ იშოვეო.

ბატონ ვახტანგს არაფერი ვუპასუხე. ჩემთვის კი გავიფიქრე – არა ბატონო ვახტანგ, მე არ დავიწყებ ბიზნესსა და ბანკებში სიარულს და თხოვნას, რომ პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის მემორიალური სკულპტურისათვის თანხა მიწყალობონ. მთელი ცხოვრება სახელმწიფოს ვემსახურები და მისგან ველოდი ჩემი მოღვაწეობის შეფასებას, მით უმეტეს რომ, პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი უფრო მეტად არა მისი გენერალური კონსტრუქტორის და მისი შემქმნელების, არამედ სახელმწიფოს ღირსებისა და წარმოჩენის მოვლენაა.

პრაქტიკულად არ მეგულება არცერთი სახელმწიფო, რომლის მიერ შექმნილი ნაკეთობა კოსმოსშია გაყვანილი, რომ არ ჰქონდეს ამ მოვლენის ამსახველი მემორიალური სკულპტურა, გამოფენები, სარეკლამო მასალები, სუვენირები და სხვა. არადა საქართველო ჯერჯერობით ამ მხრივაც დუმს. ნუთუ პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი, როგორც ისტორიული მოვლენა, არ იმსახურებს თუნდაც საგამოფენო კუთხის მოწყობას მუზეუმში? ეს ხომ საქართველოსთვის ისტორიული მოვლენა იყო და მთელი შემდგომი მცდელობა და რეალიზება ქართველთა აქტიურობისა კოსმოსში იქნება მეორე, მესამე და ასე შემდეგ, ვინაიდან, ამ მხრივ, ათვლა დაიწყო სწორედ პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის კოსმოსში გაყვანიდან.

პროფესორ ხორსტ ბაიერის შესახებ ადრეც ავღნიშნე, რომ იგი მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის კათედრის გამგე და ინსტიტუტის დირექტორია. აქვე, კვლავ მინდა ხაზი გაუსვა იმას, რომ თავის დროზე ამ ინსტიტუტის დირექტორი იყო ცნობილი გერმანელი ავიაკონსტრუქტორი ვილი მესერშიტი. სწორედ ხორსტ ბაიერმა, საქართველოში ერთ-ერთი ვიზიტის შემდეგ, ასეთი რამ მითხრა – საქართველოში არის შთამბეჭდავი, უძველესი ისტორიული ძეგლები ეკლესია-მონასტრებისა და ციხესიმაგრეების, რომლებიც განთავსებულია მრავალფეროვან ბუნებაში და თვალწარმტაც ლანდშაფტზე, მაგრამ ამ შესანიშნავ ქვეყანაში, აურაცხელ უძველეს საგანძურთან ერთად, უფრო აქტიურად უნდა წარმოჩნდეს დღევანდელი და სამომავლო ინდუსტრიული, ტექნიკური და სამეცნიერო მიღწევები, რაც აინტერესებს ადამიანებს მით უმეტეს სტუმრებს და რისი პოტენციალიც ქართველებს ნამდვილად აქვთ. მას შეეძლო ეს ეთქვა. იგი კარგად იცნობს ქართულ სამეცნიერო სკოლებს, მით უმეტეს რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ ხორსტ ბაიერი აირჩია თავის უცხოელ წევრად.

დაახლოებით ასეთივე პოზიცია ჰქონდა ამერიკის არმიის გადამდგარ პოლკოვნიკს – რობერტ ვოტერსს, რომელიც, როგორც აღვნიშნე, თავის დროზე ჯონი შალიკაშვილის თანამებრძოლი იყო და ამით ამაცობდა კიდევ. ჩვენი ურთიერთობა იმ პერიოდში დაიწყო, როცა ქართული კოსმოსური ტექნოლოგიებით დაინტერესდა ამერიკული კომპანია “ლოკსიდ მარტინი”. რობერტი ამ კომპანიის წარმომადგენელი იყო ევროპასა და პოსტსაბჭოური სივრცის სახელმწიფოებში. საკმაო ხნის განმავლობაში მას და მის ოჯახს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ კახა იმნაძესთან, რომელიც ამჟამად გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს წარმომადგენელია. ბოლოს იგი ჩემთან სტუმრად 2014 წელს იყო, როცა საქართველოში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია დიდგაბარიტიანი გასაშლელი კოსმოსური კონსტრუქციების დარგში. მან კიდევ ერთხელ მონახულა საგურამოს სასტენდო კომპლექსი. თბილისში დაბრუნებისას იგი კვლავ გაოცებული შეჰყურებდა მცხეთას, მის ეკლესიებსა და ციხესიმაგრეებს, ჯვრის უძველეს მონასტერს და, როცა ამ შთამბეჭდავ სანახაობას გამოვცდით, მითხრა – ისტორიული ძეგლებით გამოწვეული სტატიკური ემოციების გაცოცხლებისთვის, მათი ტრადიციებისა და პოტენციალის ვირტუალური ამოქმედებისთვის, ძალიან კარგი იქნებოდა, სადღაც აქვე ან თუნდაც სხვა ისტორიული ძეგლის სიახლოვეს, დაგედგათ პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის მოვლენის აღმნიშვნელი რამ, თუნდაც სკულპტურა, როგორც სიმბოლო ახალი მაღალინტელექტუალური საქართველოსი. მას არამარტო ძველსა და ახალს შორის განსხვავებული და კონტრასტული ემოციური იმპულსის ფუნქცია ექნება, არამედ მიანიშნებდა იმაზეც, რომ ამ დალოცვილ ადგილებში დაიწყო ფანტასტიკური და სამომავლო დარგი – კოსმოსის ათვისება საქართველოდან.

რაც შეეხება პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის სამეცნიერო შეფასებას, მისი შექმნის ტექნოლოგიურ სრულყოფას და ახალი სისტემების დამუშავებას, ამას ჩვენ ევროპელ და მსოფლიოს მეცნიერებთან და კონსტრუქტორებთან ერთად აქამდეც და მომავალშიც წარმატებით განვახორციელებთ.

როგორც აღვნიშნე, მიუხედავად საქართველოს სამეცნიერო და ტექნოლოგიური წარმატებებისა კოსმოსური ტექნიკის დარგში, ჩვენი სახელმწიფო და ბიზნესი, გამონაკლისის გარდა, თავს იკავებს თანხების დაბანდებიდან მაღალ ტექნოლოგიებში. სწორედ ამის გამო, როგორც აღვნიშნე, 2001 წელს ჩვენ ხელიდან გაუშვეით შანსი, ჩვენი ტექნოლოგიების გამოყენებით და საერთაშორისო კოოპერაციით, ორბიტაზე გაგვეყვანა კიდევ ერთი, ძალიან მაღალი კლასის, ქართული სატელეკომუნიკაციო თანამგზავრი, რომელიც კოლოსალურ მოგებას მოუტანდა ქვეყანას.

არადა საინტერესოა რა ხდება ჩვენს მეზობლად, აზერბაიჯანში, რომელმაც 2008 და 2009 წლებში დაამტკიცა კოსმოსური მრეწველობის შექმნის და ორბიტაზე სატელეკომუნიკაციო თანამგზავრის გაყვანის გეგმები. ფინანსური რესურსების და სახელმწიფო შეკვეთების ხარჯზე 2013 წლის 7 თებერვალს გეოსტაციონარულ ორბიტაზე გავიდა Azerspace-1.

საფრანგეთის კოსმოდრომ კურუდან (საფრანგეთის გვიანა), რაკეტამატარებელმა “არიან 5”-მა (ევროპული კოსმოსური სააგენტო) კოსმოსში გაიყვანა ამერიკის შეერთებული შტატების კომპანიის “Orbital Sciences Corporation”-ის მიერ, თანამგზავრული პლატფორმის ბაზა – “STAR-2”-ზე, შექმნილი კოსმოსური ხომალდი “AzerSat”-ი. უფრო მეტიც, ამ სატელეკომუნიკაციო თანამგზავრის ოპერატორია მაღაიზიური კომპანია “MEASAT”-ი.

საზღვარგარეთული კომპანიების ტექნიკური, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული სრული უზრუნველყოფით აზერბაიჯანი გახდა კოსმოსური სახელმწიფო და მან მხოლოდ 2013 წლის ივნისსა და ივლისში 5 მილიონი დოლარის მოგება მიიღო. სულ თანამგზავრის გარანტირებული 15-წლიანი ფუნქციონირების განმავლობაში დაგეგმილია 600. 000. 000 დოლარის მოგება. და ყოველივე ეს იმის გამო, რომ თანამგზავრის შექმნა მხოლოდ აზერბაიჯანის შეკვეთით განხორციელდა, რომელიც სულ 202 მილიონი დოლარი დაჯდა.

ასევე, მნიშვნელოვანია ის, რომ ევროპული სახელმწიფოები, რომლებსაც არც რაკეტა-მატარებლები, არც კოსმოდრომები და არც კოსმოსური სადგურები გააჩნიათ, ცალკეული კოსმოსური გამოყენების ნაკეთობების წარმოებით ძალიან დიდ მოგებას იღებენ.

საქართველოს ინტერესებშია კოსმოსურ კომერციაში დაიმკვიდროს გასაშლელი დიდი ზომის კოსმოსური რეფლექტორების წარმოება და გასაღება საერთაშორისო ბაზარზე, რისი პრიორიტეტიც ჩვენ ჯერ კიდევ გაგვაჩნია ევროპაში და ეს აღიარებულია ევროპული კოსმოსური სააგენტოს მიერ სპეციალურად გამოცემულ მემორანდუმში.

აღსანიშნავია, რომ გასაშლელი დიდი ზომის კოსმოსური რეფლექტორები, რომლებიც ღია კოსმოსურ სივრცეში განთავსდება, აღიარებულია სტრატეგიულ მიმართულებად კოსმოსური ტექნიკის შექმნის დარგში.

ასეთ ვითარებაში საგურამოს უნიკალური სასტენდო კომპლექსი, რომელსაც ანალოგი არ გააჩნდა მსოფლიოში, ჯართის სახით უნდა გაყიდულიყო აუქციონზე. ეს გადაწყვეტილება, თავის დროზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მოხსნა დღის წესრიგიდან და იგი შეუნარჩუნა ქვეყანას. დღეს კოსმოსური ნაგებობების საგურამოს სასტენდო კომპლექსი საქართველოს ხელისუფლების დახმარების მოლოდინშია, საჭიროა მისი რეკონსტრუქცია. ამით ინსტიტუტი და თვით სახელმწიფო მილიონიან შეკვეთებს მიიღებს.

ქართული საკომუნიკაციო თანამგზავრის იდეა არ მტოვებს, რომელიც მიუხედავად ორი მცდელობისა და საზღვარგარეთელი პარტნიორების სრული მზადყოფნისა ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი. ვეძახდები საქართველოს ხელისუფლების, ბიზნესისა და ბანკების წინაშე უკვე მესამედ დაგსვა საკითხი მისი შექმნისა. მაგრამ ახლა უკვე ფუნქციონირებს თურქეთის და შემდეგ აზერბაიჯანის სატელეკომუნიკაციო თანამგზავრები, რომლებიც დიდ მოგებას იღებენ და მათ შორის ქართული კომპანიებიდანაც. არადა ეს რეალობაა, მაგრამ არც თურქულ და არც აზერბაიჯანულ სატელეკომუნიკაციო თანამგზავრებს არ გააჩნიათ დიდი ზომის გასაშლელი რეფლექტორული ანტენები, რომლებიც ხარისხობრივად აუმჯობესებს მათ სატელეკომუნიკაციო პარამეტრებს და ამის გაკეთება ჩვენ – ქართველებს შეგვიძლია.

ამას გარდა, კიდევ არის ერთი პირობა – როცა სახელმწიფოს გააჩნია თავისი სატელეკომუნიკაციო თანამგზავრი, დიდი დანახარჯის გარეშე შესაძლებელია მას დაემატოს ფუნქცია საქართველოსკენ მომართული მფრინავი ობიექტის აღმოჩენისა და მისი გადაადგილების დაფიქსირებისა. ეს საქართველოს თავდაცვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია.

... ჩემთვის უმთავრესი პრობლემა იყო საქართველოში, ხშირად ერთმანეთთან დაპირისპირებული, უმაღლეს ხელისუფალთა ხშირი ცვლა. დარგი მოითხოვდა სახელისუფლებო მხარდაჭერას და ასეთ პირობებში, მიუხედავად ჩემი პირადი სხვადასხვა

შეხედულებებისა, ვალდებული ვიყავი შევგუებოდი ყველა მათგანს. არადა ისინი ხალხის, გარე ძალის ან იშვიათად პირადი სურვილით კალეიდოსკოპური სიხშირით მიდიოდნენ და მიდიოდნენ – შევარდნაძე – პატიაშვილი – გუმბარიძე – გამსახურდია – კიტოვანი, სიგუა, იოსელიანი – შევარდნაძე – სააკაშვილი – ივანიშვილი – უსუფაშვილი – ღარიბაშვილი, მარგველაშვილი, კვირიკაშვილი ...

მიუხედავად ხელისუფალთა მიზნებისა და ხასიათისა, მაინც მივაღწიეთ იმას, რომ ინსტიტუტის მიერ დაწესებული საქმე აღმავლობის გზით მიდიოდა, რაც არ იყო იოლი.

... ზოგადად თუ განვიხილავთ მთელი ისტორიის განმავლობაში საქართველოს და საქართველოდან წარმოჩენილ ლიდერთა პლეადას, მათი შეფასებისას, ასევე გარკვეულწილად, მნიშვნელოვანია ის, რომ ყოველი კონკრეტული პიროვნება აზროვნებასა და ქმედებაში გამოიჩინებდა თავისი ნიჭით და ჭკუით. ეს ფაქტორი ძირითადადში განსაზღვრავდა ყოველი ლიდერის მოღვაწეობის ხასიათსა და შინაარსს.

თუ ჭკუასა და ნიჭს შორის ურთიერთკავშირს სუფთა პროფესიული შეფასებებით განვიხილავთ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ისინი ერთმანეთსაც კი ავსებენ, ან კიდევ უფრო მეტიც – მათ შეიძლება ერთი საერთო ფუნქციური დატვირთვა გააჩნდეთ. მაგრამ აქ ეს ტერმინები გამოყენებულია იმ ცხოვრებისეული გაგებით, როდესაც ნიჭით დაჯილდოებულნი არიან დიდი ფანტაზიის მქონე მეცნიერები, ხელოვანები, პოლიტიკოსები და სხვები, ხოლო ჭკუა კი პიროვნების უნარის გამომხატველია ცხოვრების არენაზე ორიენტაციის და სწორი ნაბიჯების გადადგმის მხრივ.

ამდენად, თუ ლიდერი გამოიჩინევა ნიჭიერებით, ასეთი პიროვნება ხასიათდება ძნელად მისაღწევი, რთული და ზოგჯერ ილუზიური საქმეების წამოწევის უნარით, მაგრამ ის დიდი ხნით ვერ ძლებს სამოქმედო არენაზე. მისი “ნაბიჯები გადაწყვეტილების მიღებისა” ძალიან გრძელია, მაგრამ ხანმოკლე. ასევე, იმპულსურია მის მიმართ ხალხის სიყვარული.

ხოლო თუ ლიდერი გამოიჩინევა ჭკუით, ასეთ შემთხვევაში ეს პიროვნება ნაბიჯ-ნაბიჯ, მოკლე სვლებით მიიწევეს მმართველობის მწვერვალებისაკენ და იქ საკმაოდ დიდხანს ძლებს. მისი საქმეები არის მარტივი, მაგრამ თანამდებობის შენარჩუნების სტაბილურობაზე ორიენტირებული.

მტად კომფორტული და ელეგანტურია, როცა ლიდერი გამოიჩინევა ნიჭით და ჭკუით. ასეთ ვითარებაში იგი კარიერულ სვლებში ამუღანებს უნარს, მმართველობის მწვერვალებისაკენ, სიტუაციის შესაბამისად, როგორც მოკლე, ასევე გრძელი ნაბიჯებით სრული სვლისა. იგი ხდება საზოგადოებაში პოპულარული თავისი გადაწყვეტილებებით. რაც შეეხება მმართველობის მწვერვალზე ყოფნას, აქ მდგომარეობა რთულად პროგნოზირებადია. სიტუაციებიდან გამომდინარე იგი შეიძლება იყოს შედარებით ხანგრძლივი ან უფრო ხშირად საშუალო ხანგრძლივობის.

ყველა შემთხვევაში, მიუხედავად ლიდერის პოპულარობისა და ქმედებათა განსაკუთრებული ხასიათისა, უმთავრესი და ხალხის ხანგრძლივი პატივისცემის განმსაზღვრელი არის ის კეთილ თუ ბოროტ იდეას და საქმეს ემსახურება იგი. ეს ატომურ ენერგიას ჰგავს, რომლის გამოყენება შეიძლება, როგორც მშვიდობიანი, ისე არამშვიდობიანი მიზნით.

... ბათუმიდან წამოსვლის შემდეგ, დროთა განმავლობაში ჩემი განცდები კვლავ ბათუმს და ბათუმელებს უკავშირდება.

ამ მხრივ, ბოლო წლებში ერთი კარგი ტრადიცია ჩამოყალიბდა. რამდენიმე ბათუმელი ვიკრიბებით ოთარ მოსესოვთან, მის ბინაში, როდესაც ის რამდენიმე დღით თბილისში ჩამოდის.

ასეთ ვითარებაში, განსაკუთრებით ვაფასებ კარგ ღვინოს და მომწონს, როდესაც სუფრა არ არის კერძებით გადატვირთული, მაგრამ ყოველი კერძი გამორჩეულად მაღალხარისხოვანია.

საერთოდ, სუფრასთან დიდხანს ყოფნა არ მჩვევია. გამონაკლისია ის შემთხვევა, როდესაც ბათუმელები, ჩემი ახლობლები იკრიბებიან, რაც, როგორც აღვნიშნე, თბილისის სინამდვილეშიც ხდება, მაგრამ – იშვიათად.

ბატონი ოთარი ძირძველი ბათუმელია. მან ჩემ შემდეგ დაამთავრა ბათუმის პირველი საშუალო სკოლა. მამამისი, სერგო მოსესოვი ბათუმში მრეწველობის დარგის ორგანიზატორი და კარგი ხელმძღვანელი იყო. დედა, ლამარა ბოლქვაძე აჭარაში გამორჩეული და პატივსაცემი პიროვნებაა. ადრე მას სხვადასხვა თანამდებობა ეკავა, ბოლოს კი აჭარის განათლებისა და კულტურის მინისტრი იყო. ოთარმა მოსკოვში დაამთავრა საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი. მან ცოლად შეირთო, ასევე ბათუმელი და მისი თანასკოლელი, ექიმი ნინო ყუფარაძე, რომელიც ცნობილი პედიატრის, წარსულში აჭარის ჯანმრელობის მინისტრის – ბათუ ყუფარაძის ქალიშვილია. ნინო და ოთარი, დედასთან ერთად ძირითადად მოსკოვში ცხოვრობენ. მათ ბინა ლონდონსა და ბათუმშიც აქვთ. ამ შესანიშნავ ოჯახს ჰყავს ვაჟიშვილი სერგო, რომელმაც განათლება ინგლისის სახელგანთქმულ იტონის კოლეჯში მიიღო, შემდეგ კი ოქსფორდის უნივერსიტეტი დაამთავრა და ლონდონის ერთ-ერთ ბანკში მუშაობს. ოთარი კი ბიზნესშია ჩართული. მიუხედავად ამისა, იგი ყოველთვის გამონახავს დროს, რომ ჩამოვიდეს თბილისში და თავის ბინაში შეკრიბოს მეგობრები.

ოთართან, როგორც წესი, ყოველთვის ვხვდები ბათუმელ “ჭუკოს” – გიორგი ქაჯაიას. იგი დიპლომატიურ სამსახურშია. მასთან, ოღონდ ყოველთვის მოგვიანებით, მოდის მისი მეგობარი, ასევე ბათუმური ფესვების მქონე, არქიტექტორი დავით ჭიჭინაძე. ამ ბათუმელებს შორის ერთადერთი თბილისელი არის აღიარებული მომღერალი, ინჟინერი და ყველასათვის ცნობილი პიროვნება, თამაზ სეფერთელაძე, რომელიც მოტივაციის გარეშე, მაგრამ მაინც ყოველთვის ამტკიცებს, რომ ისიც წარმოშობით აჭარიდან, სოფელ ლეღვადან არის. ამას იმიტომ უფრო ამტკიცებს, რომ “გაამართლოს” თავისი ყოფნა ბათუმელების წრეში. თამაზი ჩვენი უცვლელი თამადაა. სუფრა ყოველთვის გვიან დამემდე გრძელდება, ვლაპარაკობთ ყველასა და ყველაფერზე, უფრო სშირად ბათუმსა და ბათუმელებზე. სუფრას კი ოთარის და ნინოს სხვა მეგობრები ხან შემოურთდებიან, ხან კი მიდიან.

... ბათუმში, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თანხმობით დაინიშნა საჯარო ლექცია “ტრანსფორმირებადი სამხედრო-საინჟინრო და კოსმოსური კონსტრუქციები და სამხედრო თეორია”. სიმართლე უნდა ვთქვა და ლექციისთვის განსაკუთრებულად მოვემზადე. შევარჩიე გამორჩეული ვიდეო- და ფოტოკადრები, რომელზეც ასახული იყო ჩემ მიერ კოსმოსსა და დედამიწაზე განხორციელებული უნიკალური საინჟინრო ნაგებობები.

ბათუმში თბილისიდან ადრე, გამთენიისას გავედით მანქანით. მძღოლი და ჩემი უმცროსი ვაჟი ნიკოლოზი წინ ისხდნენ, მე და ჩემი მეუღლე კი უკანა სავარძელში ვისხედით. სისხამ დილით, სადღაც გორი-ხაშურის რაიონში, თერმომეტრი -2^0 -ს აჩვენებდა. შემდეგ დასავლეთ საქართველოში ზესტაფონიდან დაწყებული, ზღვის სანაპირომდე დათბა. ბათუმში ხუთ საათში ჩავედით. შესანიშნავი მზიანი, უქარო ამინდი იყო. ტემპერატურა კი უკვე $+17^0$ -ს აღწევდა. სასტუმროში მოვეწყვეთ. ლექცია უნივერსიტეტის დიდ სააქტო დარბაზში იყო დანიშნული 14 საათზე. ჯერ მხოლოდ 12 საათი იყო.

ჩემს ვაჟს ვუთხარი, რომ გამყოლოდა და გარეთ გამოვედით. მანქანით ქალაქი დავათვალიერეთ. შენობები, სკულპტურები, ქუჩები, ახალი უბნები – ყველაფერი მრავლად დაგვხვდა ბათუმში, მაგრამ ქალაქის ძველი შტრიხები და “სული” მაინც ნათლად შევიგრძენი.

ეს იყო თითქმის ახლად აშენებული, კვლავაც მშვენიერი, გრანდიოზული და ამასთან მეუდრო ქალაქი, რომელმაც სულ რამდენიმე წელიწადში თანამედროვე იერი შეიძინა და ამის არდანახვა შეუძლებელია.

შემდეგ ჩემს ყოფილ პირველ, ახლა კი მე-2 საჯარო სკოლაში მივედი. პირდაპირ დირექტორის, ქალბატონ მზიას კაბინეტში შევედი და წარვუდექი დირექტორს. მას ძალიან გაუხარდა ჩემი მისვლა სკოლაში. სასწრაფოდ სასწავლო ნაწილის გამგეს მედეას დაუძახა. შემდეგ კი სკოლის დერეფანში გავედით. ცოტა, რომ გავიარეთ კედელზე დიდი პანო იყო. მასზე მთელი ჩემი კოსმოსური ეპოპეა იყო ასახული. ძალიან გამიხარდა. მივხვდი, რომ ყველაზე მეტად ადამიანის ღვაწლს მშობლიური კუთხე, მშობლიური ქალაქი და მით უმეტეს, მშობლიური სკოლა აფასებს და ამას ყოველგვარი დატვირთვის გარეშე, უანგაროდ აკეთებს. იქვე საკლასო ოთახის კარი შევადე. VII კლასში გააკეთილი ტარდებოდა. როდესაც დირექტორმა წარმადგინა მოსწავლეები ტაშით შემხვდნენ.

როდესაც სკოლიდან გამოვედით, რატომღაც მასწავლებლებზე ფიქრები ამეკვიპა.

ყველა მისაბადი პიროვნება, ვისთანაც ხშირი ან თუნდაც იშვიათი ურთიერთობა მქონდა, ვირტუალურად, როგორც მასწავლებლები ზემოქმედებდნენ ჩემზე, რამაც მნიშვნელოვანი კვალი დაატყო ჩემ მიერ გავლილ ცხოვრების გზას. მათგან გამორჩეულები, რაღაც ზეგავლენით, დღესაც ზემოქმედებენ ჩემზე. სწორედ ეს არის ნამდვილი მასწავლებელი, ამ სიტყვის ფართო გაგებით. მაგრამ, როგორც აღვნიშნე, მათგან ვსწავლობდი და ვიღებდი მაგალითს მეცნიერების და შრომის ორგანიზაციაში, ცალკეულ სპეციალობებში, პროფესიულ ქცევაში, ადამიანებთან, ორგანიზაციებთან და ფირმებთან ურთიერთობებში, სამხედრო ეთიკაში, საჯარო მოღვაწეობის მასშტაბების ზრდაში, თვით პოლიტიკურ ნიუანსებშიც, მაგრამ ამ ჩამონათვალში არ აღმოჩნდა უმთავრესი – კოსმოსური და მიწისზედა საინჟინრო კომპლექსების შექმნისა და სამხედრო-საინჟინრო დარგის ხელოვნება. ეს ბუნებრივი და კანონზომიერიც არის.

მკვლევარსა და მეცნიერს ცხოვრების გზაზე მასწავლებლები გასწავლიან პროფესიულ მოღვაწეობას და შესაფერისი გარემოს შექმნას, მაგრამ შენი გასაკეთებელი საქმე, როგორც შემოქმედება მარტო საკუთარი ნიჭით და შრომით უნდა აღასრულო და აქ მხოლოდ განგების ძალა გაძლევს აღმაფრენას და წარმატებას.

სკოლიდან ჩემი ყოფილი სახლისკენ წავედით. სახლის წინ, მოპირდაპირე მხარეს, “პიონერთა” პარკთან გავახერეთ მანქანა და გადმოვედით. უცნაურია, ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ჩემი ბინიდან, რომელიც მე-2 სართულზეა, ახლახან გამოვედი. გაქრა

გასული ათწლეულები. ამ განცდებში მყოფს დედაჩემი წარმომადგენელი თვალწინ. იმ წუთებში აღარც მანქანების ხმა და არც ხალხის ხმაური აღარ მესმოდა. ყველაფერი დაწყნარდა, თითქოს ისევ წარსული დრო დადგა, როცა ჩემი ქუჩა იყო ძალიან წყნარი და მანქანებიც იშვიათად მოძრაობდა. განსაკუთრებული ის იყო, რომ დედაჩემი უკვე წლებით დატვირთული გამოიყურებოდა, რაც ბათუმის პირობებში უჩვეულო იყო. იგი მომიხლოვდა, ოდნავ გაიღიმა და მითხრა – კარგია შვილო, რომ ისევ ჩამოსვდი ბათუმში. შემდეგ ნელნელა დამცილდა. მე კი ჩამესმოდა მისი სიტყვები. კვლავ ახმაურდა ქუჩა. წარმოსახვა გაქრა. მე ვიდექი. ჩემ ირგვლივ დედაჩემის აურა სუფევდა. ანალოგიური განცდები ხშირად მემართება სოფელ წილკანში, სადაც დედაჩემმა თავისი ცხოვრების ბოლო დღეები გაატარა.

45 წუთი ისევ მქონდა ლექციის დაწყებამდე და “ჩემს პიონერთა პარკში” შევედით. აქაც ცვლილებები იყო, მაგრამ საერთო სურათი და ვითარება აქაც უცვლელი დამხვდა. შემდეგ ჩემს მეუღლეს დავურეკე, რომელთანაც აჭარის მთავარი პროკურორი, მისი ძმისშვილი შოთა ტყეშელაშვილი მისულიყო და მე მელოდებოდნენ. ვუთხარი, რომ ერთმანეთს ლექციაზე შეხვდებოდით.

უნივერსიტეტში მივედით. ცენტრალურ შესასვლელთან ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გიზო ფარცხალაძე მელოდებოდა. მან რექტორთან, ალექო ბაკურიძესთან წაგვიყვანა. რექტორი გულთბილად და მეგობრულად შემხვდა. ჩვენ შეხვედრაში იგრძნობოდა, რომ ორივე ბათუმელი ვიყავით.

გაუსწრებ მოვლენებს. ძალიან მოკლე დროში ალექო ბაკურიძე, რექტორის პოსტზე მერაბ ხალვაშია შეცვალა. მე უფრო აქტიურად ჩამრთეს უნივერსიტეტის საქმიანობაში, რაც ასევე განაპირობა ჩემმა არჩევამ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად.

ალექო ბაკურიძესთან შეხვედრის შემდეგ, მასთან და გიზო ფარცხალაძესთან ერთად სააქტო დარბაზისკენ გავემართეთ.

დარბაზი გადავსებული იყო. აქ იყვნენ სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, ნაწილობრივ ჩემი ძველი ნაცნობები. მათ შორის, ჩემი ახლო მეგობარი, ჩემი თანაკლასელის მზევინარის ძმა თემურ ქიქავა იყო. ნაცნობები მოვიკითხე და სვლა, დარბაზში განთავსებული, “პრეზიდენტის” მაგიდისკენ განვაგრძეთ.

ამასობაში აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი ბატონი გიორგი თავამაიშვილი მოვიდა.

რექტორმა სხდომა გახსნა, შემდეგ მინისტრმა ისაუბრა და ბოლოს ჩემი ლექციაც დაიწყო.

იშვიათია იმის განცდა, როდესაც სკოლის დამთავრების შემდეგ ბათუმიდან წასული ახალგაზრდა ბიჭი, უკვე ცხოვრებისეული გამოცდილებით და პროფესიული გამარჯვებებით დამძიმებული ისევ მშობლიურ ქალაქში, ბათუმში კითხულობს ლექციას. ლექციის დასაწყისში ნამდვილად ვგრძნობდი ამ ემოციურ დატვირთვას, მაგრამ შემდეგ ემოციები უკანა პლანზე გადავიდა და მთლიანად ჩავერთე ჩემს მოხსენებაში.

დღის ბოლოს სანაპიროზე გავედი. გენერლის სამხედრო ფორმა მეცვა და გამგულ-გამომგულე ცნობისმოყვარეობით მათვალისწინებდა. ერთი პიროვნება მომიხლოვდა, ჩემ წინ შედგა და ნახევრად მხედრულად თურქულ ენაზე მომესალმა. მას თურქი გენერალი ვეგონე. ისე, თანამედროვე ფორმა გენერლებისა ძალიან ჰგავს ერთმანეთს. როცა მას

ქართულად გამოვესაუბრე, „დამტკრეული“ ქართულით მითხრა – ქართული არ ვიციო. ჩვენ ერთმანეთს დავცილდით და მაშინ აღმოვაჩინე თუ რა იყო ძირითადი განსხვავება ძველი ბათუმისაგან – სახლები და შენობები არა, ახალი ბუღვარები და სკულპტურები არა, თურქების სიმრავლე – დიახ.

იქვე ნაპირთან ახლოს გრძელი, ბათუმისათვის ტრადიციად ქცეული ოღონდ არა “ამოზნექილი” სკამი იდგა, რომელზეც დავჯექი. ჩემი ვაჟი ნიკოლოზი იქვე შორიახლოს სეირნობდა.

ჩემი მხედველობის არეში აღმოჩნდა ცნობილი პეიზაჟი. ხელმარჯვნივ ბათუმის სატვირთო პორტი, თავისი ამწეებით, ხელმარცხნივ “მორვაგზალი”, წინ კი ზღვა და შემდეგ მთების უწყვეტი პეიზაჟი. ზღვაზე ქალაქის მეთევზეები ანკესებით თევზაობდნენ.

ამ დროს ორი მეთევზე მოდიოდა. როცა მომიახლოვდნენ ისინი ერთმანეთში რუსულად ლაპარაკობდნენ. ეს არ იყო უჩვეულო “ძველი ბათუმელისათვის”. საპორტო ქალაქები ხშირად ძალიან მრავალფეროვანი და მრავალენოვანია. არ ვიცი ეს მეთევზეები სომხები იყვნენ, ბერძნები თუ რუსები. ისე კი სლავებს არ ჰგავდნენ. როდესაც უშუალოდ ჩემს წინ გაიარეს, ერთი მათგანი შეჩერდა და ჩემს გენერლის ფორმას შეაელო თვალი. მე ვკითხე – რა იყო, რამე ნაკლი ხომ არა აქვს ჩემს ფორმას-მეთქი. არა ამხანაგო გენერალო, საბჭოთა ყაიდაზე მიპასუხა მან. უბრალოდ მაინტერესებდა თუ რომელი ჯარების სახეობას მიეკუთვნებით. შემდეგ კი დასძინა – ალბათ სამხედრო-ტექნიკურ ჯარებს.

ახლა მე ავლაპარაკდი – თქვენ თითქმის გამოიცანით, მაგრამ მთლად ზუსტად ვერა. მე სამხედრო-საინჟინრო ჯარებს ვეკუთნი. შემდეგ კი ვკითხე თუ საიდან ჰქონდა მას ცოდნა, რომ ჩემს ფორმაზე გაკეთებული “ციხესიმაგრის” ნიშნის მიხედვით დაედგინა ჯარების სახეობა. მან კვლავ რუსულად მიპასუხა – “Учимся товарищ Генерал” და გზა განაგრძეს.

“Товарищ Генерал” საბჭოთა ყაიდის ამ სიტყვებმა ჩემს მეხსიერებაში კვლავ წამოსწია “საბჭოთა თემა”. ჩაეფიქრდი, თუ რა იყო საბჭოთა კავშირი ჩემთვის, რომელმაც მომცა შანსი სტარტი ამელო დიდ მეცნიერებასა და ახალ ტექნოლოგიებში.

ზღვის სანაპიროზე, როდესაც ხმელეთის კიდეზე მდგარი მარტო დარჩები ზღვასთან, კვლავ იწყებ ფიქრს და გასული წლების განსჯას. ეს მაშინ ხდება, როდესაც რაღაც ასაკობრივ ზღვარს გადააბიჯებ.

საინტერესოა არა, როგორ თავისით რეგულირდება ფიქრების მიმართულება. ბავშვობასა და ახალგაზრდობაში სულ მომავალსა და პერსპექტივაზე ხარ ორიენტირებული. როცა “წლებში შედიხარ” უკვე გასული დროის შეფასებას იწყებ, თუნდაც წინ დარჩენილ დროში კვლავ საინტერესო ცხოვრება გელოდეს. სწორედ ეს არის გაქრობა იმ მარადისობის განცდისა, რომელიც რომანტიზმის და დიდი საქმეების დაუსრულებლად კეთებისაკენ ლტოლვას განაპირობებდა.

მეც ფიქრების მორევმა ჩამითრია. რა იყო ის უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რომელიც ჩვენმა თაობამ განიცადა. საკმარისი იყო ეს კითხვა დამესვა საკუთარი თავისთვის და პასუხმა დაუყოვნებლივ გაიელვა ცნობიერებაში – საბჭოთა იმპერიის ნგრევა და დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს ხელახალი წარმოქმნა. ფიქრებში ეს ძალიან სწრაფად და ძალდაუტანებლად ხდება ჩვენს სინამდვილეში, ეს დღესაც დაუსრულებელი პროცესი, ნგრევით, ომებით, ტერიტორიების დაკარგვით, ადამიანების დიდი გაჭირვებით და

ადამიანებისა და ქვეყნის დიდი განახლებით მიიღწევა.

საბჭოთა სახელმწიფოს ნგრევის და ამ პროცესში საკუთარი სამშობლოს განცდა ქვეცნობიერად თუ ცნობიერად, ჩვენი თაობის ცხოვრებასა, თუ ფიქრებში ასახული ფენომენია, რომელიც წარსულიდან მოვიდა და წარსულშივე დარჩა, მაგრამ იგი დღევანდელობასა და მომავალზეც დიდ ზეგავლენას იქონიებს.

და მაინც, რა აკავშირებდა საქართველოს და ქართველობას საბჭოთა კავშირთან. როგორი იყო დამოკიდებულება მათ შორის. ამ კითხვაზე სხვადასხვა დროს ბევრი მიფიქრია, მაგრამ პასუხი არაერთგვაროვანია. ფაქტია, რომ საბჭოეთში საქართველო და ქართველები ბევრს გამორჩეულად და განსხვავებულად მიაჩნდათ. ამასთან იყო ქართველებისადმი პატივისცემის ან მოჩვენებითი პატივისცემის განცდაც, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია იმ განსაცდელისთვის და გასაჭირისთვის, რაც საქართველომ საბჭოეთის წლებში მრავალჯერ გადაიტანა.

ასე რომ, დაზუსტებული პასუხი არც ახლა მაქვს. თუმცა ამ მხრივ გარკვეული მინიშნება ერთ მონათხრობში მაინც გამოჩნდა. ეს ამბავი ლიკანში მოხდა. მაშინ ძალიან ახალგაზრდები ვიყავით. ჩვენს შორის იყო სახელოვანი მსახიობის, სესილია თაყაიშვილის შვილიშვილი, მშვენიერი მანანა გოძიაშვილი. სწორედ მისმა პერსონამ დააინტერესა იქ მყოფი უკვე ასაკოვანი ცნობილი კინორეჟისორი მიხეილ ჭიაურელი, რომელმაც მანანას შესთავაზა როლი თავის კინოპროექტში, რომელიც ზოია კოსმოდემიანსკაიას ეძღვნებოდა. ამ ვითარებაში ჩვენს წრეში სასიამოვნო და ხშირი სტუმარი გახდა ბატონი მიხეილი. მან ერთ დღეს გვიამბო იოსებ სტალინთან შეხვედრის შესახებ, რომელიც მოსკოვში, კრემლში შედგა.

ომი ახალი დაწყებული იყო. ბატონი მიხეილი ახალ, პატრიოტულ თემაზე გადასადები ფილმის შესახებ ესაუბრებოდა იოსებ ბესარიონის ძეს. ფილმის მთავარი პერსონაჟი ერეკლე II უნდა ყოფილიყო. ერეკლე II-ის ხსენებაზე სტალინი ჩაფიქრებულა. მიხეილს თხრობა შეუჩერებია. შემდეგ ბელადს ჩიბუხი აუღია და გაუგრძელებია კაბინეტში ბოლთას ცემა. მოულოდნელად შემობრუნებულა მიხეილისკენ და უთქვამს – გინდათ ფილმის მთავარი გმირი ერეკლე II იყოს, ვინც იმპერიის ხელში ჩაგვავდო? ამ სიტყვებმა მიხეილ ჭიაურელი ადგილზე გააქვავა. სტალინი განაგრძობდა ბოლთის ცემას. შემდეგ კვლავ დაუწყია საუბარი – როგორ ფიქრობთ, გიორგი სააკაძე არ გამოდგება იმისათვის, რომ ფილმი პატრიოტული პათოსის გამოვიდეს?

მიხეილი მიხვდა, რომ ეს სიტყვები და აზრი სტალინს ექსპრომტად არ მოსვლია. იგი ფიქრობდა იმაზე, რომ ერეკლე II იძულებით თუ ისტორიული ბედუკუდმართობით დაემორჩილა რუსეთის იმპერიას, მეორეს მხრივ კი გიორგი სააკაძეში ალბათ თავის თავსაც ხედავდა, რომელიც დიდი ქვეყნის სივრცეში, დიდი ძალის მოპოვებას ცდილობდა და პატარა საქართველოშიც “კარგი საქმის” კეთება უნდოდა, უცხო ძალის გამოყენებით.

ამ ისტორიაში არის რაღაც, მიმანიშნებელი სიმართლე. არ ვიცი ეს ისტორია მაშინ დოკუმენტური სიზუსტით გადმოსცა მიხეილ ჭიაურელმა, თუ ეს იყო მისი იმწუთიერი იმპროვიზაცია, მაგრამ საუბარი საქართველოს და ფილმ “გიორგი სააკაძის” შესახებ, სტალინსა და მიხეილ ჭიაურელს შორის რომ მოხდა, ეს ფაქტია.

შემდეგ საკუთარ თავს დაეუსვი შეკითხვა, ჩვენც ქართველები და, მათ შორის, საბჭოთა სამხედრო-სამრეწველო კომლექსის მეცნიერები, რომლებმაც ძალა და ტიტულები სწორედ საბჭოეთში მოვიპოვეთ, ხომ არ ვიყავით, გარკვეულწილად, “დიდი ბელადის”

პატარა მიმბაძველები ან, ჩვენდა უნებურად, მისი მცირემასშტაბიანი ანალოგები. არ ვიცი, მაგრამ საკითხის ასე დასმა, მეტწილად, ალბათ რეალობას მოკლებული არ უნდა იყოს.

შემდეგ კვლავ გავაგრძელებ ჩემი განსჯა ამ საკითხზე. მაშინ რა უნდა გვექნა, განსაკუთრებით სამხედრო-ტექნიკური დარგის მეცნიერებს, რომელთა თემატიკის უმეტესობა სწორედ საბჭოთა სიძლიერეს ემსახურებოდა. ფიქრები დამძიმდა. ვატყობდი საკუთარ სინდისს ჩიხისკენ მივაქანებდი. გამოსავალი ამ აზრთა სვლაში თითქოს გამოჩნდა. საბჭოთა პერიოდში ბევრი მეცნიერი მართლაც რომ საბჭოთა იმპერიული “ძღვევამოსილებისათვის” ქმნიდა ახალ სისტემებს, მაგრამ საბოლოო ჯამში ისინი კაცობრიობის პროგრესს ემსახურებოდნენ და, ჩემს შემთხვევაში, ჩვენს მიერ შექმნილი სისტემები დღეს უკვე მეტწილად საკუთარი სამშობლოს, საქართველოს საკუთრება გახდა. სწორედ, რაღაცით ეს შეიძლება განასხვავებს მეცნიერს პოლიტიკოსისაგან. პირველ შემთხვევაში, ნაკეთები საქმე ალბათ მაინც კაცობრიობის მონაპოვრად რჩება, ხოლო მეორე შემთხვევაში – პოლიტიკოსის საქმე უპირატესად მხოლოდ და მხოლოდ იმ სახელმწიფოს საკუთრებაა, რომელსაც ის ემსახურება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ პოლიტიკოსის მოქმედების არეალი ცდება ერთი სახელმწიფოს მასშტაბს. არ ვიცი, რამდენად სწორია ასეთი მსჯელობა. ალბათ მასში მაინც არის რაღაც ხელოვნური სწრაფვა საკუთარი პოზიციის გამართლებისა.

ერთი სიტყვით, ამ კითხვაზე დაზუსტებული პასუხი ჯერაც არ მაქვს. თუმცა აქვე გამახსენდა ის სახელოვანი მეცნიერები და კონსტრუქტორები, რომლებიც ქართველები იყვნენ და საქართველოდან წასულები საბჭოთა ქვეყანას ან კიდევ უცხოეთის სახელმწიფოს ემსახურობდნენ. დღეს, რატომღაც, ამ მეცნიერებიდან უფრო დაფასებულად იმ პიროვნებებს მიიჩნევენ, ვინც ისეთ ქვეყნებში მოღვაწეობდნენ, რომლებიც საბჭოთა კავშირის მიმართ მტრულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ.

და ეს სამხედრო თემატიკაზე მომუშავე პიროვნებებს უფრო ეხებათ. ისმება კითხვა – რატომ ხდება ასე? მაინც ვინ უფრო გმირი იყო. ის, ვინც გაუბრბოდა საბჭოთა მიზინვარებას და დასავლეთში მშვიდად ქმნიდა საბრძოლო ტექნიკას, რომელსაც არცთუ იშვიათად საბჭოთა კავშირის, და მათ შორის ჩვენი თანამემამულეების წინააღმდეგ იყენებდნენ, თუ ისინი, ვინც დარჩა ამ საბჭოთა სინამდვილეში და დაჭერის, დახვრეტის, გადასახლებისა თუ ყალბი დასმენის შიშის მიუხედავად, მაინც ქმნიდა ახალ სისტემებს, რომელთა ანალოგიც მსოფლიოს არ გააჩნია.

ამის სადემონსტრაციოდ ორი პიროვნების ისტორიაც კი კმარა – ამერიკის შეერთებულ შტატებში წარსულში მოღვაწე, გამოჩენილი ავიაკონსტრუქტორი ალექსანდრე ქართველი (ქართველიშვილი) და საბჭოთა კავშირში მობილური ტრანსკონტინენტური სარაკეტო-საიარაღო კომპლექსების შემქმნელი, აკადემიკოსი ალექსანდრე ნადირაძე. სწორედ მისმა სისტემებმა, რომელთაც შეუძლია ტერიტორიის ნებისმიერი წერტილიდან ატომური დარტყმა მიაყენოს მოწინააღმდეგეს და ამასთან მტრისათვის იყოს ძნელად მისაწვდომი, განაპირობა ახალი სამხედრო და სამხედრო-პოლიტიკური სტრატეგიის შექმნა.

ჯერჯერობით საქართველოში მეტი უცხოელი თუ ქართველი პატრონი და გულშემატკივარი გამოუჩნდა ალექსანდრე ქართველიშვილს და ეს ძალიან მახარებს. თუნდაც ის, რომ მისი სახელი ეწოდა ჯერ “თბილავიამშენს”, შემდეგ კი ბათუმის საერთაშორისო აეროპორტს.

აეროპორტთან დაკავშირებით გეტყვი – მერჩივნა, რომ ქართველი ემიგრანტის სახელი, რომელმაც ამერიკის შეერთებულ შტატებში შექმნა მრავალი და სხვადასხვა მოდიფიკაციის მსოფლიოში წარმატებული სამხედრო თვითმფრინავები, საქართველოში არსებულ თუნდაც სხვა უფრო მნიშვნელოვან ობიექტს, ქუჩას, პროსპექტს და რამე სხვას მინიჭებოდა, მაგრამ არა ბათუმის საერთაშორისო აეროპორტს.

საქმე ისაა, რომ 2013 წელს აეროპორტთან დაიდგა პირველი აჭარელი მფრინავი ქალბატონის ფადიკო გოგიტიძის ბიუსტი, რომელიც, თუ არ ვცდები, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში დამზადდა და რამდენიმე ადგილიც შეიცვალა. იყო ინფორმაცია, რომ შემდგომში მისი სახელი აეროპორტს ეწოდებოდა, რაც უდავოდ სამართლიანი და ღირსეული გადაწყვეტილება იქნებოდა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა, რაც ძალიან დასანანი. არადა ფადიკო გოგიტიძის ბეტონის ქანდაკება დგას ბათუმის ყოფილ “პიონერთა პარკის” შესასვლელშიც, კოლონადებს შორის. მაგრამ არც ამ პარკს ეწოდა მისი სახელი. პარკი 6 მაისის სახელობისაა, ანუ იმ დღეს აღნიშნავს, როცა 2004 წელს, მემედ აბაშიძის შვილიშვილმა, ასლან აბაშიძემ დატოვა აჭარა. ამ ფაქტთან დაკავშირებით ერთი შემთხვევა მახსენდება და ამიტომ თხრობის თემიდან დროებით გადავუხვევ.

2004 წლის მაისის პირველ რიცხვებში განცდილი ემოციები კარგად მახსოვს. თუ არ ვცდები, 4 მაისს, ღამით, შინაგანი ჯარების სარდალმა, გენერალ-ლეიტენანტმა გივი თათუხაშვილმა დამირეკა და მკითხრა – შენი გასაშლელი სამხედრო ხიდი შეიძლება დაგვჭირდეს აჭარის მისადგომებთან, მდინარე ჩოლოქის გადასალახადო და არის თუ არა იგი სრულ მზადყოფნაში. სამხედრო ხიდი უკვე გენერალური შტაბის განკარგულებით სართიჭალის ბაზაზე იყო. ამასთან, მქონდა ინფორმაცია აჭარის მისადგომებთან, ჩოლოქზე არსებული სტაციონარული ხიდის აფეთქების შესახებ.

მთელი დამე არ მძინებია. წარმოგიდგენიათ, თუ ამის აუცილებლობა შეიქნებოდა, აჭარაში სამხედრო ტექნიკის შესვლა ჩემი გაკეთებული ხიდის საშუალებით განხორციელდებოდა. დილით საქართველოს ფინანსთა მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს პირადად დაუუკავშირდი და “ჩვენი კუთხის კაცს” მთელი ჩემი განცდები გავუხიარე. მან დამამშვიდა და მითხრა – ელგუჯა, ვფიქრობ სამხედრო ტექნიკის შეყვანა აჭარაში არ გახდება საჭირო.

კვლავ დავუბრუნდეთ უცხოეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერების თემას.

საქართველო ჯერჯერობით დუმს ალექსანდრე ნადირაძის, როგორც ქართველის, მეცნიერის და გენერალური კონსტრუქტორის დაფასებაზე. თუ არ ვცდები და ეს აღვნიშნე, მისი სახელობის პატარა ქუჩაც კი არ არის საქართველოში. არადა, ასევე დამსახურებულად, თბილისში არის საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილის, საინჟინრო ჯარების მარშალ გელოვანის სახელობის პროსპექტი.

ალექსანდრე დავითის ძე ნადირაძე იყო მეცნიერი, კონსტრუქტორი და გამომგონებელი. იგი გორში დაიბადა 1914 წლის 20 აგვისტოს. 1936 წელს დაამთავრა ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტი, შემდეგ კი – მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი. მან მეცნიერებაში, მეცნიერების ორგანიზაციასა და შეიარაღებულ ძალებში მოღვაწეობის რთული და დიდი გზა განვლო. იგი გახდა №1 სამხედრო-სამეცნიერო ინსტიტუტის – მოსკოვის თბოტექნიკის ინსტიტუტის გენერალური დირექტორი და გენერალური კონსტრუქტორი. მისი გენერალური კონსტრუქტორობით, საბჭოთა კავშირის ათეულობით ორგანიზაციისა და ასეულობით გამოჩენილი მეცნიერის მოღვაწეობით შეიქმნა მრავალი

მობილური სარაკეტო კომპლექსი, მათ შორის: “ტემპი-1”; “ტემპი-2”; “პიონერი”; შემდეგ კი “ტოპოლი”; “სკოროსტი” და სხვები.

აღექსანდრე ნადირაძეს, რომ მხოლოდ “პიონერი” ან მარტო “ტოპოლი” შეექმნა იგი მაინც შევიდოდა მსოფლიოს იმ გენიალური კონსტრუქტორების მოკლე ჩამონათვალში, რომლებმაც თავისი შექმნილი იარაღით შეცვალეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთდაპირისპირების სტრატეგია. სწორედ ეს სარაკეტო კომპლექსები, რომლებიც ავტოგამწევა განლაგებული და მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში 11 000 კილომეტრის მანძილზე ახორციელებენ წერტილოვან დარტყმებს მოწინააღმდეგეზე და ნატოს კლასიფიკაციით წოდებული SS-27 და SS-20, გახდა მთავარი საკვანძო საკითხი ურთიერთშეთანხმებისა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის. დღესაც რუსეთის ძირითადი სარაკეტო, სტრატეგიული დამრტყმელი ძალა არის კომპლექსი “ტოპოლი”.

“რუსეთის სტრატეგიულმა ძალამ” შემახსენა, რომ ეს სახელმწიფო, რომელიც საუკუნეების განმავლობაში სახეს იცვლიდა – ჯერ რუსეთის იმპერიის, შემდეგ საბჭოთა კავშირისა და ახლა რუსეთის ფედერაციის სახით, კვლავაც რჩება საქართველოს “კარის მეზობლად” და ეს, გვინდა თუ არა, ასევე უცვლელი იქნება მომავალშიც. ევროპასთან მჭიდრო კავშირში მყოფმა საქართველომ, თავისი ტერიტორიის მთლიანობის აღდგენისთვის, კეთილდღეობისთვის და სიმშვიდისთვის, აუცილებლად უნდა მოძებნოს გზები რუსეთის კეთილგანწყობისა თუ არა, არამტრული დამოკიდებულებისა მაინც. მერწმუნეთ ნათქვამში. დიდხანს ვმოღვაწეობდი მათთან ერთად და ძალიან კარგად ვიცნობ მათ ხასიათსა და შეუღამაზებელ ფილოსოფიას.

ახლა კი კვლავ საქართველოში დავბრუნდეთ. თუ ქართველ მეცნიერს უნდა, რომ მეტი ფასი დაედოს მას თავის სამშობლოში, მოცემულ ეტაპზე, ვურჩევ საზღვარგარეთ დაიწყოს მოღვაწეობა. ეს არ არის საღი პოზიცია, მაგრამ რეალობაა. სხვანაირად ვერ აგხსნი იმ ფაქტს, რომ პერსპექტიული სამუშაოები ბევრი, გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საქართველოს სამეცნიერო ინსტიტუტებისა, საქართველოდან ექსპერტიზაზე ძირითადად ქართველ მეცნიერებს ეგზავნებათ საზღვარგარეთ, რომლებიც ხშირად არ არიან შესაბამის დარგში მოღვაწე მეცნიერები და ზოგიერთ შემთხვევაში ვერაფრით წარმოჩინდნენ საქართველოში. რა არის ეს – არის თუ არა საქართველოში მოღვაწე მეცნიერების, რბილად რომ ვთქვათ, დაუფასებლობა, უნდობლობა და საზღვარგარეთ მომუშავე ქართველი მეცნიერის გამორჩეული დაფასება ისე, რომ მისი კვლევების რეალური შედეგების შესახებ ხშირად არაფერი ვიცით. ამას გარდა, რატომ უნდა დაუპირისპირდნენ ერთმანეთს სამშობლოსა და უცხოეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერები. მიმაჩნია, რომ ქართველი მეცნიერების სამუშაოები უნდა იგზავნებოდეს საექსპერტოდ საზღვარგარეთ და საქართველოში, ოღონდ დარგის გამოჩენილ უცხოელ და ქართველ მეცნიერებთან.

მეცნიერები და განსაკუთრებით ტექნიკის დარგის მკვლევრები უნდა ფასდებოდნენ თავისი სამეცნიერო მიღწევების შედეგების მიხედვით და არა მათი საზღვარგარეთ მუშაობის მიხედვით.

კიდევ კარგი, რომ ყოველივე ამას არც ჩემ შესახებ და არც ჩემი ინსტიტუტის მაგალითით არ ვლაპარაკობ.

... შემდეგ ცოტა ხანს მხოლოდ თოლიების ხმა მესმოდა, და კვლავ ჩამითრია ფიქრებმა.

ჩემს თავს დაუსვი შეკითხვა – როგორც გენერალურ კონსტრუქტორს, რა ემოციური განცდა მქონდა, როდესაც თანამგზავრულ ორბიტაზე პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი უნდა გასულიყო.

... იმ დღეებშიც, როცა კოსმოსში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი წარმატებით “აბარებდა ორბიტულ გამოცდებს” და შემდგომშიც ყველგან, ქალაქად თუ სოფლად, ვგრძნობ ადამიანებისაგან განსაკუთრებულ კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას ჩემდამი და რაც მთავარია, ისტორიული მოვლენებისადმი – საქართველოში შექმნილი, პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ორბიტაზე წარმატებული გაყვანისადმი.

ამ მოვლენის აღნიშვნისათვის სახელმწიფომ თავის მხრივ, თავისი შესაძლებლობების მიხედვით და თავისი ხედვების მასშტაბებიდან გამომდინარე, როგორც უკვე ითქვა, 23 ივლისი ოფიციალურად აღიარა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის დღედ. ასევე, გამოსცა საფოსტო მარკები, სადაც ასახულია პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ორბიტაზე გაყვანისა და გაშლის სურათები. საქართველოს, რუსეთისა და საფრანგეთის მოქალაქეები, პროგრამა “რეფლექტორში” მონაწილეობისათვის და მისი ხელშეწყობისათვის, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებით და მედლებით.

მაგრამ ყველაფერი ეს ვერ შეედრებოდა ქართველი ხალხის მიერ, ამ მოვლენისადმი გამოხატულ მაღლიერებას და დიდი გამარჯვების გრძნობას და ეს ჩემთვის არის მთავარი და შეიძლება ითქვას, ყველაზე მნიშვნელოვანი საჩუქარი.

ძალიან ძნელია სიტყვებით ზუსტად გადმოცემა, ამ მართლაც მრავალმხრივი დატვირთვის მქონე განცდისა, მაგრამ მიმაჩნია, რომ ყველაზე უფრო მიახლოებულად რეალობასთან იყო ჩემი პასუხი, ცნობილი და სახელგანთქმული პიროვნების – კოტე მახარაძის შეკითხვაზე.

მახსოვს, ეროსი მანჯგალაძის სახელობის რადიოსტუდიაში, ერთ-ერთი გადაცემის ჩაწერაზე ვიყავი მიწვეული. მრავალ ღირსეულ პიროვნებას შორის სტუდიაში ბატონი კოტე მახარაძეც გახლდათ. გადაცემის ჩაწერის დაწყებამდე მან მოულოდნელად მკითხა – ბატონო ელგუჯა, მაინც რას გრძნობდით, როდესაც, ერეკლე მეფის არ იყოს, მთელი საქართველოს პასუხისმგებლობა დაიკისრეთ და უკიდვგანო კოსმოსში ქართველების სახელით პირველი ნაკეთობა გაუშვითო.

მისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ჩემი პასუხი – ბატონო კოტე, თქვენი ხმა ჩამესმოდა. საქვეყნოდ აღიარებულ ხელოვანსა და სპორტულ კომენტატორს რეაქცია არ დაუგვიანებია და შეუჩერებლივ მეორე შეკითხვა დამისვა – მე რა შუაში ვიყავიო.

ჩემი პასუხი, ამჯერად, სრული და სრულიად მართალი გახლდათ – ბატონო კოტე, როდესაც დადგა წუთები, ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ორბიტაზე გატანისა, თქვენი ხმითა და სიტყვებით ჩამესმოდა და აღიწერებოდა ყოველივე – “გამორბენი, დარტყმა – არის!”

მას გაეღიმა. მახსრობით აღნიშნა, რომ არ იცოდა თუ ასეთი დიდი წვლილი მიუძღვოდა ქართველების კოსმოსურ ოდისეაში. მერე, ბატონი კოტე ჩაფიქრდა. მცირე პაუზის შემდეგ, ჩვეული ლაკონური რიტორიკით და დამაჯერებლობით, მოკლე, მაგრამ

მრავლისმთქმელი კომენტარი გააკეთა – ქართველებმა კოსმოსში წარმატებით ფეხბურთის მოედანზე კი არა მსოფლიო ცივილიზაციის არენაზე ინტელექტუალური გამარჯვება მოიპოვა, რაც ნებისმიერი ერისათვის ყველაზე საპატიო და ძნელად მისაღწევი ტრიუმფიაო. ეს სიტყვები დღესაც მახსოვს. ამ სიტყვებმა კიდევ უფრო გაზარდა პასუხისმგებლობა პროფესიული მოვალეობისა და ქვეყნის სამსახურისა, რაც უკვე სამამულო სამხედრო-საინჟინრო დარგის განვითარებით მქონდა დასახული.

ბატონ კოტესთვის კიდევ მქონდა სათქმელი, რომელიც აღარ ვუთხარი მას, როდესაც პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი ტრიუმფით ჩამოსცილდა ორბიტულ სადგურს და დაიწყო ფრენა უკიდვანო კოსმოსში, ჩამესმა მისი სიტყვები – “Ликует столица Грузии”.

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი, როგორც პრიორიტეტული და ანალოგიის არმქონე მოვლენა კოსმონავტიკის განვითარებაში მრავლად წარმოჩინდა, შეფასდა და აისახა სხვადასხვა ქვეყნის უცხოური კომპანიების, უნივერსიტეტების, მეცნიერებათა აკადემიების, ევროპული კოსმოსური სააგენტოსა და კონკრეტული მკვლევრების სამეცნიერო შრომებში, სხვადასხვა პუბლიკაციასა და კონფერენციებზე, საექსპერტო დასკვნებსა და კოსმონავტიკის დარგის ფუნდამენტურ ენციკლოპედიურ გამოცემებში.

ამ მხრივ, ქართველი და უცხოელი მეცნიერების, საზოგადო მოღვაწეებისა და უცნობი თუ ნაცნობი ადამიანების ასეულობით წერილში, რომლებიც პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის წარმატებულ გამოცდას უკავშირდება, განსაკუთრებით ნიშანდობლივია ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ გურამ გაბრიჩიძის შეფასება – “ამ ექსპერიმენტს მთელი მსოფლიო აკვირდებოდა. ასეთი დიდი აუდიტორია ქართული საინჟინრო აზრის არც ერთ პროდუქციას არ ჰყოლია. თქვენი ექსპერიმენტი ძალიან საჭირო დროს ჩატარდა, მან შეახსენა შინაურსაც და გარეულსაც, მთელს მსოფლიოს, რომ ქართველ მეცნიერებსა და ინჟინრებს უმაღლეს დონეზე შეუძლიათ აზროვნება და შემოქმედება. მნიშვნელოვანია, რომ ეს განცხადდა “უმაღლესი საერთაშორისო ტრიბუნდან” – კოსმოსიდან”.

ჩემთვის, როგორც ქართველისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ორ ეპიზოდს, რითაც მკაფიოდ გავაცნობიერე პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ისტორიული მნიშვნელობა.

– ტელევიზიის შენობაში სახელოვან ქალბატონს, აკადემიკოს მარია ლორთქიფანიძეს ვესაუბრებოდი. მოხდა ისე, რომ ჩვენ შემოგვიერთდა ჟურნალისტების ჯგუფი, რომლებმაც დიდი ცნობისმოყვარეობით “შეკითხვების სეტყვა” დამაყარეს კოსმოსური რეფლექტორის შესახებ. საუბარში ქალბატონი მარია ჩაერთო და მისთვის დამახასიათებელი აკადემიურობით განაცხადა – თავი დაანებეთ ბატონ ელგუჯას – პირველი ქართული კოსმოსური ქმნილება მისი გენერალური კონსტრუქტორის საკუთრება აღარ არის. ის უკვე საქართველოს ისტორიის საკუთრებაა და ჩვენი – ისტორიკოსების სპეციალობის კომპეტენციას განეკუთვნება.

არ ვიცი იქ მყოფებზე, როგორ იმოქმედა აკადემიკოსის ასეთმა შეფასებამ, მაგრამ ჩემზე განსაკუთრებული გავლენა იქონია. თითქოს მომცილდა ტვირთი პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის პატრონაჟის პასუხისმგებლობისა და საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინაშე მხოლოდ ახლა ვიგრძენი განცდა ვალის მოხდისა, რომელიც თითქოს ისტორიას

გადავეცი. ცნობიერებაში სწორედ მაშინ გაჩნდა ფრაზა – “ისტორიაში პიველი ქართული კოსმოსური ობიექტი” – რომელიც შემდეგ საქვეყნოდ იქნა აღიარებული.

– XX საუკუნის დამთავრებას წამებიდა აკლდა, საახალწლო სუფრასთან მსხდომი – მთელი საქართველო ტელევიზორს შესცქეროდა და მაშინ, როდესაც ეკრანზე საათის ისარი 12 საათს აჩვენებდა, XXI საუკუნის პირველ წამებშივე ცისფერ ეკრანზე წარმოჩნდა ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი, რომელიც “ჩაკრულოს” თანხლებით, გამარჯვებული ელფერით, მიფრინავდა უკიდევანო კოსმოსში. მაშ ასე, სახელმწიფო ტელევიზიის პირველ არხზე, საქართველოსთვის XXI საუკუნე, ქართველთა ნიჭის, ცოდნის, შრომისა და გამარჯვების სიმბოლოს – ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის დამოუკიდებელ თანამგზავრულ ორბიტაზე ლაღი და ლამაზი ფრენის კადრებით დაიწყო. ამ გადაცემის ავტორი იყო ბასა ფოცხიშვილი.

ჩვენთვის ეს იყო განუზომელი ემოციის ამაღლებული ტალღა, აღსავსე პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობით.

მიმანდა და, რა თქმა უნდა, ახლაც მიმანია, რომ ჯილდოდ მერგო ის, რომ შევექმი XX საუკუნეში, 1999 წლის 23 ივლისს საქართველოსთვის, როგორც სახელმწიფოსთვის, და ქართველებისათვის, როგორც ერისათვის, დაწვებულიყო საკუთარი კოსმოსური ეპოქა – ცივილიზაციის საოცნებო მონაპოვარი. შევექმი ისიც, რომ უკვე XX საუკუნეში საქართველო, სულ რამდენიმე ქვეყანასთან ერთად, მოხვედრილიყო “კოსმოსური სახელმწიფოების” ჩამონათვალში. შევექმი ის, რომ საქართველოს კოსმოსში გაეტანა ან გაეყვანა არა სახელმწიფოს სახელწოდებით წაწერილი “ვიმპელი” ან თავისი მილიონერი ტურისტ-კოსმონავტი, და თუნდაც სახელმწიფოს მიერ სიმბოლურად დასახელებული პასიური მგზავრი – “ქართველი კოსმონავტი”, არამედ სათანადო ვიდუოდასაბუთებით ორბიტაზე გავიდა და წარმატებით გამოიცადა სამოქალაქო და სამხედრო მიზნებისათვის სტრატეგიული, უნიკალური და პრიორიტეტული, მაღალტექნოლოგიური და მეცნიერებატევადი ობიექტი, რაც სამი ათეული წელი ვერ შეძლეს სხვებმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ქართულმა კოსმოსურმა ობიექტმა მსოფლიო კოსმონავტიკის განვითარებაში თავისი აღიარებული და პრესტიჟული ადგილი დაიკავა და მოხვდა კოსმონავტიკის ისტორიის ძირითად მოვლენათა ჩამონათვალში.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ სხვა და შეიძლება უფრო დიდი ჯილდოც მერგო. ეს კახეთში, წინანდალში ჭავჭავაძეების სასახლეში, კახური ტრადიციით გამართულ მიღებაზე აღმოვაჩინე. შუა ღხინში, როცა გრძნობები ნაღდია და აღტყინებული, მაგრამ არა ზღვარგადასული, კახელმა კაცმა, ღვინით სავსე ფიალით ხელში, ყველას გასაგონად მომმართა – “როდესაც მთელი კახეთი ქართველების კოსმოსში გამარჯვებას ტელევიზორში ვხედავდით, ჩვენს მიწა-წყალზე კიდევ ერთმა გამარჯვებამ იზეიმა – იმ წუთებში, თქვენმა მიღწევამ ქართველები სიამაყისა და ღირსების შეგრძნებით გააერთიანა, რაც იშვიათად ხდება, და რაც ასე სჭირდება ჩვენს ხალხს”.

ფიქრებიდან ჩემმა ვაჟმა, ნიკოლოზმა გამომიყვანა, როცა მომიახლოვდა და მითხრა, რომ უკვე წასვლის დრო იყო. მე მას ვუთხარი, რომ ცოტა მოეცადა. იგი სკამზე ჩამოჯდა. ორივე მდუმარედ ვისხედით და მშვიდ ზღვასა და ცის სივრცეს გავეყურებდით, სივრცეს, რომელიც უსასრულოა. უსასრულოა დროთა სვლაც. ამ უსასრულობაში, ჩვენი ცხოვრების გზაზე, ყოველ ადამიანს გარკვეული დროის ხანგრძლივობის სასრული ინტერვალი აქვს

გამოყოფილი. არასოდეს დაფიქრებულვარ გასულ დროზე. მხოლოდ შვილების არსებობა მიმანიშნებს წლების სწრაფ სვლაზე.

ცის სივრცეში გარინდული დრო ნიკოლოზმა დაარღვია, მან მკითხა – ხომ არ გახსენდება აქ გატარებული ახალგაზრდობის წლები და ხომ არ გაქვს სურვილი იყო ახალგაზრდა და ახლა იწყებდე ცხოვრების გზის გაკვლევას.

არა, ვუპასუხებე მე.

მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების დიდმა გზამ რთულ ვითარებაში, ორი ეპოქის მიჯნაზე გაიარა, ქვეყნის წინაშე სამსახურში ეს არ დამტყობია. განსხვავება იყო ის, რომ საბჭოთა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში კოსმოსური და სამხედრო-საინჟინრო ტექნიკის შექმნისას, როგორც პროფესიონალს და მოქალაქეს, პასუხისმგებლობა მქონდა სახელმწიფოს წინაშე.

მაგრამ უკვე დამოუკიდებელ საქართველოში მოღვაწეობისას, დიდ სახელმწიფოებრივ პასუხისმგებლობას დაემატა კიდევ უფრო დიდი ემოციის მქონე განცდა – პასუხისმგებლობა საკუთარი სამშობლოს წინაშე.

ნიკოლოზ, იმასაც გეტყვი, რომ სამშობლოს სამსახურშიც ორნაირი განცდა მქონდა.

როდესაც ისტორიაში პირველ ქართულ კოსმოსურ ობიექტს ვქმნიდი – საქართველოს პრესტიჟზე ვფიქრობდი.

როდესაც სამამულო სამხედრო-საინჟინრო დარგის განვითარებისათვის ვმოღვაწეობ, საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს ვემსახურები.

ასე რომ, არ იყო იოლი საქართველოში დამეარსებინა, მანამდე ჩვენთან სრულიად უცნობი და ახალი – კოსმოსური ორბიტული ნაგებობის შექმნის სამეცნიერო-ტექნიკური დარგი და ორბიტაზე წარმატებით გასულიყო ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი, მოგვიანებით კი, შევედგომოდი სამამულო სამხედრო-საინჟინრო დარგის განვითარებას. მით უმეტეს, რომ ცხოვრების რეჟიმი და ტემპი არ მაძლევდა საშუალებას, თუნდაც ორი ან სამი ათეული წლის წინ, დაფიქრებულიყავი იმაზე თუ რა ძვირფასია ადამიანის ცხოვრებაში ახალგაზრდობის წლები და შემეგრძნო მათი სიღიადე.

მიუხედავად ამისა, ჩემი გასაკეთებელი საქმე არასდროს დამივალება სხვისთვის და არც სხვისი დამისაკუთრებია. ასეთი ტვირთი უშედავათო სვლისათვის მძიმე სატარებელი იყო, მაგრამ ყოველთვის მაინც სიმსუბუქეს ვგრძნობდი, ვინაიდან, როგორც მეცნიერს, ორგანიზატორს, კონსტრუქტორსა და გამომგონებელს, შემოქმედების გზაზე არავისი ვალი არ მქონია, გარდა განგებისა, რომელმაც ყოველი ასე ინება.

ელგუჯა მეძმარიაშვილი

ელგუჯა მეძმარიაშვილის სამეცნიერო-სამხედრო მოღვაწეობის და მათ შორის
პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ზოგიერთი შეფასება

ELGUJA MEDZMARIASHVILI MILITARY-ENGINEERING ACTIVITIES AND ESTIMATION
OF THE FIRST GEORGIAN SPACE OBJECT

“მსურს გულითადად მოგილოცოთ თქვენ და მთელ ქართველ ხალხს ეს შესანიშნავი წარმატება. ამით საფუძველი ჩაეყარა გასაშლელი ანტენების სისტემათა ახალ თაობას და დამტკიცდა ახალ კონსტრუქციათა სრულყოფილება და მუშაობის საიმედოობა.

გრანდიოზულია იმის წარმოდგენა, რომ კოსმონავტები ანტენას მოაცილებენ სადგურ „მირს“ და გადაიყვანენ მას დამოუკიდებელ ორბიტაზე. მაგონდება ის დღეები, როცა მთელი მსოფლიო სუნთქვაშეკრული უყურებდა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გახსნას კოსმოსურ სადგურ „მირზე“.

დოქტორი, პროფესორი იოჰანეს ზემლერი

“დაიმლერ ბენცი”

(დედნის ტექსტი გერმანულია).

„კონსტრუქციული თვალსაზრისით თუ შევხედავთ, ძალზე შთამბეჭდავია ის, რომ ხუთი დღის შემდეგ გაშლა გაგრძელდა და ის დასრულდა გაშლილი რეფლექტორული ანტენის სახით“.

ვან კლოსტერი

ვეროპული კოსმოსური სააგენტოს ანტენების განყოფილება

(დედნის ტექსტი ინგლისურია)

„კომპანია „ალენია აეროსპაციო“ ექსპერიმენტ „რეფლექტორის“ ჩატარებას მნიშვნელოვან მიღწევად მიიჩნევს. ამ ექსპერიმენტმა დაგვანახა პროფესორ ელგუჯა მექმარიაშვილის, როგორც შემოქმედისა და გამომგონებლის მაღალი დონე. კოსმოსურ სადგურ „მირზე“ მყოფმა მფრინავმა სისტემამ, აგრეთვე გვიჩვენა ქართული ინტელექტის მიერ მიღწეული ასევე მაღალი დონე“.

არნოლდო კაპუცი და ლორენცო შალინო

„ალენია აეროსპაციო“ (დედნის ტექსტი იტალიურია)

„მირზე“ ჩატარებულმა ექსპერიმენტმა თვალნათლივ დაადასტურა, რომ პროფესორ მექმარიაშვილისა და მისი გუნდის მიერ საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტში შემუშავებული ნოუ-ჰაუ მხოლოდ თეორია არ არის. სწორედ კოსმოსის პირობებში პრაქტიკულმა გამოცდამ დაგვანახა, რომ დიდი სიზუსტის მქონე მსუბუქი კონსტრუქციების მომავალი მხოლოდ ახლა დაიწყო..“

დოქტორი კლაუს-დიტერ ბერგნერი

“დაიმლერ ბენც აეროსპეისი”

(დედნის ტექსტი გერმანულია)

“... ვულოცავთ ქართველ კოლეგებს და მთელ საქართველოს 23 ივლისის მნიშვნელოვან თარიღს, როდესაც ორბიტულ სადგურ „მირზე“ პირველად გაიშალა ქართული კონსტრუქცია. მოხარული ვართ, რომ ამ დიდ საქმეში ჩვენც, თქვენი მეგობრები და კოლეგები, თქვენთან ვიდექით ...”.

იგორ ეფრემოვი

სერგეი კოროლიოვის სახელობის სარაკეტო-კოსმოსური კორპორაცია
„Энергия“-ს გენერალური კონსტრუქტორის მოადგილე
(დედნის ტექსტი რუსულაია)

“... ქართველმა პარტნიორებმა შთამბეჭდავად მოკლე დროში დაასრულეს გასაშლელი რეფლექტორის აგება და მოახდინეს მისი წარმატებული გაშლა ...”.

ვერნერ ჰაინცმანი

„დორნიერ სატელიტენსისტემ“
(დედნის ტექსტი ინგლისურაია)

“... თქვენი კოსმოსური ექსპერიმენტით, თქვენ და თქვენმა კოლექტივმა, კიდევ ერთხელ გაუსვით ხაზი დიდგაბარტიანი გასაშლელი რეფლექტორების დარგში, თქვენს დიდ უნარს. თქვენ აჩვენეთ – რისი მიღწევა შეიძლება შესაბამისი ცოდნისა და ნებისყოფის არსებობის შემთხვევაში ...”

პროფესორი ჰორსტ ბაიერი

მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის მსუბუქი კონსტრუქციების კათედრის გამგე,
საავიაციო და კოსმოსური ფრენის ინსტიტუტის დირექტორი
(დედნის ტექსტი გერმანულაია).

ქართველი და უცხოელი მეცნიერების და საზოგადო მოღვაწეების ასეულობით წერილში, რომლებიც პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის წარმატებულ გამოცდას უკავშირდება, განსაკუთრებით ნიშანდობლივია ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ გურამ გაბრიჩიძის შეფასება – “ამ ექსპერიმენტს მთელი მსოფლიო აკვირდებოდა. ასეთი დიდი აუდიტორია ქართული საინჟინრო აზრის არც ერთ პროდუქციას არ ჰყოლია. თქვენი ექსპერიმენტი ძალიან საჭირო დროს ჩატარდა, მან შეახსენა შინაურსაც და გარეულსაც, მთელს მსოფლიოს, რომ ქართველ მეცნიერებსა და ინჟინრებს უმაღლეს დონეზე შეუძლიათ აზროვნება და შემოქმედება. მნიშვნელოვანია, რომ ეს განცხადდა “უმაღლესი საერთაშორისო ტრიბუნიდან” – კოსმოსიდან”.

«...К нам на кафедру Военно-инженерной Академии им. Куйбышева Элгуджа Медзмариашвили был направлен начальником Научно-технического комитета Инженерных войск Министерства Обороны СССР. На нашей кафедре детально обсуждались его предложения в области военно-инженерного дела, конкретно по военно-инженерным конструкциям, в том числе и мостов.

На нашей кафедре мы смогли сформулировать основные приоритеты и логические основы создания конструкции для экстремальных ситуаций. Тогда под экстремальными ситуациями мы

подразумевали военно-инженерное назначение предложенных систем. Еще тогда я прогнозировал обобщенный характер предложенной им концепции трансформируемых систем и это, практически, оказалось предсказанием. Уже в начале 80-х годов, на основе предложенных им конструкций, было принято решение, - Элгуджа Медзмариашвили был назначен главным конструктором космической и наземной военно-инженерной техники.

В этом направлении, на основе государственных решений, были выполнены многие военные программы, успех которых, в большей мере, определил перемещение принципов военно-инженерного обеспечения сложных механических систем на космические орбиты.

Скорее всего, как отмечают многие специалисты космической техники, подход Элгуджи Медзмариашвили был практически первым прецедентом, который в дальнейшем нашел отражение в отечественной и зарубежной практике ...».

Лауреат Ленинской премии,
Заслуженный Деятель Науки,
доктор технических наук, профессор,
полковник

ГЛАЗУНОВ ЮРИЙ НИКОЛАЕВИЧ

«... Результаты теоретических исследований, экспериментальных и опытно-конструкторских работ, проведенных профессором Медзмариашвили Элгуджей Виктровичем показывает, что трансформируемые пространственные конструкции могут и должны занять свое место при создании средств инженерного вооружения для обеспечения многих задач, выполняемых, как инженерными войсками Вооруженных сил, так и другими ведомствами – формированиями гражданской обороны, спасательной службы и др.

Разработанные профессором Медзмариашвили Э.В. принципы построения пространственных конструкций позволяет их реализовать в целом ряде задач инженерного обеспечения.

Так при маскировке передвижения войск по дорогам могут найти свое место наддорожные и придорожные горизонтальные и вертикальные маски, собираемые из плоских пространственных конструкций, затянутых маскировочными сетями. При фортификационном оборудовании позиций войск могут быть использованы быстроразвертываемые пространственные каркасы для возведения оборонительных сооружений – блиндажей, убежищ командных и медицинских пунктов.

И, конечно, использование трансформируемых конструкций для создания штурмовых мостов («мостов сопровождения») может успешно решить задачу обеспечения переправы войск через водные преграды малой (а может быть и средней) ширины.

Реализация этой идеи для создания однопролетных мостов является, по существу, новым направлением в решении этой проблемы, поскольку развитие существующих мостов сопровождения идет, в основном, в направлении увеличения длины пролетных строений (ферм), надвигаемых на препятствие и повышение мощности базовых машин (танков, боевых машин, автомобилей и т.д.), что влечет за собой их утяжеление, снижает транспортабельность и маневренность. Быстровозводимыми мостами, в которых используются результаты исследований профессора Медзмариашвили Э.В., могут оснащаться инженерно-дорожные, понтонно-мостовые, инженерно-маскировочные, инженерно-позиционные подразделения инженерных войск, формирований Гражданской обороны и ведомства по чрезвычайным ситуациям

и т.д. Это позволит во многом обеспечить самостоятельность действий войск при преодолении ими водных преград и решении специальных задач другими ведомствами.

В целом, принцип создания военно-инженерных конструкций на основе трансформируемых пространственных систем, разработанных Медзмаришвили Элгуджей Викторовичем открывает большие возможности для совершенствования средств и способов инженерного обеспечения действий войск, а также выполнения различных народно-хозяйственных задач...».

Профессор кафедры инженерного обеспечения
Военно-Инженерной Академии России,
генерал-лейтенант

Медлев Леонид Сергеевич

• სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების დარგში ელგუჯა მეძმარიაშვილის სამეცნიერო შრომების მიმართ საინტერესოა მარშალ უუკოვის სახელობის საჰაერო-კოსმოსური აკადემიის პროფესორის, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორ ანატოლი კარაბელნიკოვის შეფასება:

«... автору удалось создать единую методологию военно-инженерного искусства для современных условий применительно к Грузии».

• ელგუჯა მეძმარიაშვილის სამეცნიერო კვლევების მიმართ სამხედრო და სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების სფეროში, მრავალ სამეცნიერო სიახლეებს შორის, ტვერის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი ხ.ი.ლეიბოვონი განცალკევებულად აღნიშნავს იმას, რომ ავტორმა კვლევების პრაქტიკულ ღირებულებას მიაღწია – “... введением в оборот и выделением воздушно-космической сферы, как объекта военно-инженерного обеспечения ...».

• უფრო მოგვიანებით რუსეთის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის პროფესორი, გენერალ-ლეიტენანტი ლეონიდ მედლევი კვლავ უბრუნდება ელგუჯა მეძმარიაშვილის სამუშაოების შეფასებას, – ახლა უკვე სამხედრო ხელოვნების დარგში და აღნიშნავს:

«...Медзмаришвили Элгуджа Викторович продемонстрировал вполне профессиональный подход к решению проблемы военно-инженерной подготовки страны. Проведенные им исследования ... несомненно являются дальнейшим развитием вопросов теории и практики военно-инженерного искусства и будут способствовать качественному выполнению многих важнейших задач не только военно-инженерной подготовки, но и развития всей инфраструктуры в целом».

ელგუჯა მეძმარიაშვილის ნაშრომის – „საქართველოს ტერიტორიის, ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების თავდაცვისათვის მომზადების და საბრძოლო მოქმედებათა საინჟინრო უზრუნველყოფის სახელმწიფო სისტემების” მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების არმიის საინჟინრო კორპუსის გენერალ-ლეიტენანტი, რომელიც წლების განმავლობაში აშშ-ის მრავალ უნივერსიტეტში მოღვაწეობდა, შემდეგ დასკვნას აკეთებს:

“ ... ნაშრომს აქვს უნიკალური შესაძლებლობა, განავრცოს ზოგად ქართული უნარი საკუთარი, როგორც ერის სამხედრო ძალამოსილობის გარდაქმნისა, ასევე ეკონომიკური პოტენციალის გარდაქმნისა, და წაადგეს მის გეოპოლიტიკურ სტაბილურობას ქვეყნის

შიგა თუ რეგიონალური თვალსაზრისით. ნაშრომი, აგრეთვე, გამოსადეგია, როგორც ნიმუში სისტემური მიმართვისათვის სახელწიფო საინჟინრო კომპლექსების დარგში. ეროვნული ეკონომიკური განვითარების პროგრამათა შესაბამისად, რაც მთლიანად სამხედრო სფეროს გარეთ იმყოფება.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა დამოკიდებული იქნება საქართველოს სამხედრო და ეროვნული კაპიტალის უნარზე, კონსტრუქციულად შეითვისოს და გამოიყენოს თეორიები, მოდელები, ანალიზები. მისი თავდაპირველი პრაქტიკული სარგებელი მშვენივრად გამოიკვეთება მის ინტელექტუალურ ქვაკუთხედში იმ კონცეფციათა მხარდასაჭერად, რომლებითაც მთავრობის სამინისტროებს შეუძლიათ კომპლექსურ პრობლემებთან შეჭიდება. მას პრაქტიკული გამოყენება შესაძლოა ჰქონდეს, ასევე, საქართველოს საუნივერსიტეტო სისტემებში – კომპლექსური განშლადი თეორიების სისტემური კვლევებისა და ინტეგრაციის მეთოდოლოგიით სასწავლებლად“.

ბენერალ-ლეიტენანტი შილიამ ჰ. რენო
(დენის ტექსტი ინგლისურია)

“... მისმა ინოვაციურმა სამუშაოებმა ათეული წლების განმავლობაში საერთაშორისო კოსმოსურ საინჟინრო პროგრამებში უდიდესი ყურადღება დაიმსახურა. ეს მოიცავდა ქართული პროდუქციის წარმოებასა და მიწოდებას ისეთი საერთაშორისო პარტნიორებისათვის, როგორც არის გერმანიის MBB (დრეს ასტრუმი), იტალიის თალეს ალენია და RSC ენერჯია. როგორც საერთაშორისო კარგად ცნობილი მომენტი, უნდა აღინიშნოს პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი კოსმოსში, 1999 წელს კოსმოსურ სადგურ „მირზე“ დიდი გასაშლელი რეფლექტორული ანტენის წარმატებული გამოცდა. ჩვენი თანამშრომლობა გაიზარდა 2009 წელს ელგუჯასა და მისი გუნდის მიერ თბილისში წარმატებით ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „მოწინავე მსუბუქი კონსტრუქციებისა და რეფლექტორულ ანტენებზე“ - შემდეგ.

მიწისზედა ხიდებისა და გასაშლელი კოსმოსური კონსტრუქციების დიზაინმა და მათმა რეალიზაციამ კონფერენციის მსვლელობისას ჩვენზე დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა.

ჩვენ ვთანამშრომლობდით მსუბუქი გასაშლელი კოსმოსური კონსტრუქციების განვითარებაზე, მათ შორის არის მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის ხელშეკრულება ევროპულ კოსმოსურ სააგენტოს საქმიანობისათვის.

ჩვენ გვექონდა შესაძლებლობა ვწვეოდით საგურამოს ბაზას და მოგვეცა საშუალება სრული წარმოდგენა მიგველო ძალისხმევისა და მიღწევების სიდიდეზე.

ჩვენ სიამოვნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ელგუჯასა და მისი გუნდის შემოქმედებითობა და პროდუქტიულობა მტკიცედ უჭერს მხარს საერთაშორისო პროგრესს დიდი კოსმოსური გასაშლელი კონსტრუქციების განვითარებაში ...”

დოქტორი ჯულიან სანტიაგო პროვალდი
TEC-MSS კონსტრუქციების სექცია
ევროპული კოსმოსური სააგენტო / ESTEC

“... პროფ. მექმარიაშვილმა თავის მკვლევართა გუნდთან ერთად განახორციელა რამდენიმე საერთაშორისო კვლევითი პროექტი, როგორც დიდი გასაშლელი კოსმოსური რეფლექტორების წამყვანი მეცნიერება. ეს კვლევები ფინანსდებოდა და კვლავ ფინანსდება ევროპული კოსმოსური სააგენტოს მიერ.

ის იყო მთავარი სამეცნიერო ორგანიზატორი სამეცნიერო კონფერენციებისა დიდი გასაშლელი კონსტრუქციების დარგში, რომელიც ჩატარდა თბილისში. ამ კონფერენციების მონაწილეები ჩამოვიდნენ ჩინეთიდან, უკრაინიდან, დიდი ბრიტანეთიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, იტალიიდან, ესპანეთიდან, აშშ-დან და სხვა ქვეყნებიდან. თითოეული მონაწილის მოწონება დაიმსახურა კონფერენციის მაღალმა დონემ და განსაკუთრებით პროფ. მექმარიაშვილის და მისი გუნდის წვლილმა.

დასაფასებელია მისი ცოდნის გამოყენება სხვა სფეროებშიც, მაგალითად მისი კვლევები მიწისზედა ტრანსფორმირებად საინჟინრო სისტემებში, როგორც არის მიწისზედა დიდი ანტენები და დიდი სწრაფად ასაგები ხიდები, რომელთაც შეუძლიათ დიდი ტვირთის გადატანა.

ჩემი ვარაუდით მისი საქმიანობის უმაღლეს მწვერვალს პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის კოსმოსურ სადგურ «მირზე» წარმატებული გაშვება და გაშლა წარმოადგენდა. ამ მოვლენის ვიდეო და დოკუმენტური მასალა იყო და კვლავ არის აღიარებული საერთაშორისო კოსმოსური თანამეგობრობის მიერ.

ეს წარმატებული სამუშაო მხოლოდ თეორიული კვლევებით არ მიიღწევა. ექსპერიმენტული კვლევების დიდი ლაბორატორია, რომელიც პროფ. მექმარიაშვილის მიერ არის შექმნილი, ამ წარმატებული სამუშაოების მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენს და ნოვატორულადაც შეიძლება ჩაითვალოს.

ნათელია რომ ეს სამეცნიერო საქმიანობები შეტანილია ბევრ სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ნაშრომში და ასევე სახელმძღვანელოში, რომელიც ასახავს კინემატიკისა და მსგავსი კონსტრუქციული კონცეფციის ძირითად თეორიულ საფუძვლებს...”

პროფესორი, დოქტორი, ინჟინერი ჰორსტ ბაიერი

“... აღენია სპაციო, იტალიის კოსმოსური სააგენტო და ევროპული კოსმოსური სააგენტო დაინტერესებულნი იყვნენ ჰქონოდათ წვდომა დიდი გასაშლელი რეფლექტორის ტექნოლოგიაზე, რომელიც განთავსდებოდა სატელეკომუნიკაციო თანამგზავრზე. პროფესორი მექმარიაშვილი განსაკუთრებით ცნობილი გახდა 1999 წელს რეფლექტორის წარმატებული გაშლის შემდეგ და ის აღიარებულ იქნა როგორც მსგავს კონსტრუქციათა ტექნოლოგიების ერთ-ერთი საუკეთესო ექსპერტი.

პროფესორ მექმარიაშვილთან ერთად მუშაობამ აშკარა გახადა რომ რეფლექტორის ექსპერიმენტი სადგურ მირზე იყო მისი კვლევების წარმატებული ნაბიჯი და დიდი გასაშლელი კონსტრუქციების ტექნოლოგიებზე მისი საინჟინრო ხედვა და აღქმა გამორჩეული იყო.

დიდი გასაშლელი კონსტრუქციები კოსმოსისთვის მოითხოვს კომპლექსური მექანიკის ღრმა გაგებას და შესაძლებლობებს შეიქმნას წუნდაუდებელი არქიტექტურა.

ჩემთვის კარგად არის ცნობილი რომ შემდგომ წლებში პროფესორმა მექმარიაშვილმა გამოიგონა და შეიმუშავა დიდი გასაშლელი რეფლექტორების ისეთი გამორჩეული კონსტრუქციები, რომლებიც საქართველოს გარეთ არის სამაგალითოდ აღებული შემდგომი განვითარებისთვის.

მისი წიგნი ტრანსფორმირებადი კონსტრუქციები, რომელიც ამ კომპლექსებს და რთულ ტექნოლოგიებს ეხება, არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტექსტი მსოფლიოში. ამ წიგნის თარგმნა გახდება მექანიკური ინჟინერიის ამ კონკრეტული სფეროს მსოფლიო მეცნიერებაში შეტანილი წვლილი.

როგორც მოწინავე კონსტრუქციების კონსტრუქტორი მე ნამდვილად ნათლად ვაღიარებ პროფესორ მექმარიაშვილის მიერ გამოგონილ კონსტრუქციებს, რომლებიც განკუთვნილია ტრანსფორმირებადი სისტემების კოსმოსში გამოყენებისათვის, ტრანსფორმირებად ხიდებს და სოფლის მეურნეობის გასაშლელ კონსტრუქციებს. დიდი გასაშლელი რეფლექტორების დედამიწის პირობებში გაუწონადების გამოცდამ აჩვენა კველევის საუკეთესო შესაძლებლობები და ინდუსტრიული ტექნოლოგიების აღქმა.

არ უნდა დაგვავიწყდეს პროფესორ მექმარიაშვილის წვლილი ახალგაზრდა ინჟინერთა ინსტრუქტირებაში, რომელიც ტექნოლოგიური კონსტრუქციების ხელოვნების ცენტრის ჩამოყალიბებით გამოიხატა და მსოფლიოში გახდა აღიარებული ...”

დოქტორი, ინჟინერი ლორენცო შალინო

«... В современном военном искусстве интенсивно развиваются формы и способы ведения боевых действий и операций с совместным использованием наземного и воздушно-космического пространства, которое позволяет создать глобальные информационно-ударные, информационно-управляющие и разведывательные системы.

Такие наземные, воздушные и космические группировки сил и средств создают единую сферу военных действий, которая требует реализовать принцип централизованного руководства боевыми действиями – единства организации, ответственности, управления и обеспечения.

В этом направлении актуальными являются оригинальные теоретические работы и новый класс конструкций и сооружений, разработанные в начале 1980-х годов Э.В.Медзмариашвили, применительно

к информационным космическим системам, созданным под моим руководством, которые использовались в принятых к выполнению государственных программах оборонного значения.

В дальнейшем исследования Э.В.Медзмариашвили по теории трансформируемых систем, открывающих логику создания развёртываемых космических конструкций, хорошо известные на международной арене, начинают охватывать более широкий круг научных проблем не только в космосе, но и в военно-инженерном искусстве.

Эти работы дают возможность не только разрабатывать перспективные модели военно-инженерной подготовки государства, но и определяют принципы инженерного обеспечения воздушно-космического направления, реализации и комплектации соответствующей группировки инженерными средствами для достижения требуемых параметров оценки космической обстановки.

Созданные Э.В.Медзмариашвили комплексы инженерного обеспечения космических и наземных систем и их полномасштабные испытания доказали возможность практического создания

на Земле и на космических орбитах крупногабаритных трансформируемых сооружений, позволяющих получить требуемую эффективность при их использовании в системах космической и наземной разведки для указания цели.

Результаты исследований Э.В.Медзмаришвили многократно были успешно апробированы, как в наземных условиях, так и на космических орбитах.

Теоретические и экспериментальные исследования Э.В.Медзмаришвили легли в основу создания гражданских и военных наземных и космических комплексов, среди которых многие разработки и изделия обеспечили выполнение государственных оборонительных программ. Первый космический объект Грузии, который был развёрнут на орбитальной станции «Мир», разработан генеральным конструктором Элгуджа Медзмаришвили ...»

Генеральный конструктор военно-космической техники;

Научный руководитель ОАО «Концерн ПВО «Алмаз-Антей»;

Герой социалистического труда;

Академик Российской Академии Наук;

Лауреат Ленинской премии;

Лауреат трёх Сталинских премий;

Лауреат трёх Государственных премий СССР, России и Грузии;

Лауреат Премии им. академика А.А. Расплетина;

Кавалер четырёх орденов Ленина, трех орденов Трудового Красного Знамени, ордена Отечественной войны II степени;

Кавалер орденов "За заслуги перед отечеством" III и II степеней;

Награждён золотыми медалями им. А.А.Расплетина и им. А.С.Попова;

Доктор технических наук, профессор,


Савин А.И.

_____ . _____

ელგუჯა მეძმარიაშვილის მიერ შექმნილი კონსტრუქციული და მიწისზედა
კომპლექსები და კონსტრუქციები, რომლებსაც
ანალოგი არ გააჩნიათ მსოფლიოში




OVERGROUND COMPLEXES AND SPACE CONSTRUCTIONS WITHOUT ANALOGUE
THROUGHOUT THE WORLD, MADE BY ELGUJA MEDZMARIASHVILI

ადრეული სამუშაოები



პეტერბურგის სპორტის სასახლე, “იუბილეინის” დახურვის, საკონკურსო მაკეტი წარმოდგენილი იყო საკავშირო სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მოსკოვში – Свидетельство № 140071 ВДНХ СССР. 1974г.

გადახურვის კონსტრუქციაზე გაცემული იყო გამოგონების საავტორო მოწმობა – А.С. СССР № 408999, 7. 09. 1973 г.



მოსკოვის სტადიონ “ლუჩნიკების” გასაშლელ-დასაკეცი დახურვის საკონკურსო პროექტი


**თეორიული და ექსპერიმენტული კვლევები სამხედრო-საინჟინრო დარგში
და რეალიზებული კოსმოსური და მიწისზედა ბაზირების
ნაგებობები და კომპლექსები**

სამოქალაქო საინჟინრო სისტემებში ჩატარებულმა სამუშაომ სტრუქტურების კონსტრუირების ლოგიკაში განაპირობა ისეთი კონსტრუქციების შექმნა, რომლებიც, სიმსუბუქის, ტექნოლოგიურობის, ეკონომიურობის გარდა, ქმნიან მათი იოლი ტრანსპორტირებისა და ექსტრემალურ სიტუაციებში გაშლის, აგრეთვე უმოკლეს დროში ფუნქციონირების პირობებს. ამან, შემდეგ ეტაპზე განსაზღვრა სამეცნიერო და საკონსტრუქტორო სამუშაოს გავრცელება სამხედრო-საინჟინრო დარგში და, განსაკუთრებით, სამხედრო კოსმოსურ ტექნიკაში, სადაც ექსტრემალურ პირობებში ნაგებობის შექმნის მოთხოვნა უმთავრესი კრიტერიუმია.



ხმელეთისა და წყლის ტრანსფორმირებადი ნაგებობები

- 1975 წლიდან კვლევები გაგრძელდა მოსკოვის სამხედრო-საინჟინრო აკადემიაში, კონსტრუქციების კათედრაზე. აღნიშნულ პერიოდში, 1977 წლის დასაწყისში, სამუშაოთი – «Постановка вопроса о разработке новых эффективных видов военно-инженерных и строительных конструкций» – დაინტერესდა თავდაცვის სამინისტროს საინჟინრო ჯარების სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტი, რომელმაც მიმართა ქალაქ ნახაბინოს სამხედრო-სამეცნიერო ინსტიტუტს ელგუჯა მეძმარიაშვილის სამუშაოების 1979 წლის სამეცნიერო თემატიკის გეგმაში ჩასმის შესახებ.



Изобретение с грифом «Секретно» (Тематика – Военные штурмовые мосты, конструкция и способ)
 А.С. СССР № 109303, 4.10.1976 г.





- 1980 წელს ელგუჯა მეძმარიაშვილი, თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილების საფუძველზე და სამხედრო-კოსმოსური ტექნიკის გენერალური კონსტრუქტორის, ანატოლი სავინის რეკომენდაციით, სამხედრო-საინჟინრო დარგიდან გადადის სამხედრო-კოსმოსურ დარგში, სადაც იგი უშუალოდ ექვემდებარებოდა მინისტრის მოადგილეს, გენერალ-ლეიტენანტ ოლეგ ლოსევს.

ელგუჯა მეძმარიაშვილის სამეცნიერო და სამხედრო მოღვაწეობის შედეგად, მინისტრთა საბჭოს სამხედრო-სამრეწველო სახელმწიფო კომისიის გადაწყვეტილებით, თავდაცვის სამინისტროს სპეციალური დავალებებით და საქართველოს სამთავრობო დადგენილებებით, საერთაშორისო პროგრამების, საზღვარგარეთული კომპანიების შეკვეთების და საქართველოს სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების შესრულებით, საზღვარგარეთ და საქართველოში რეალურად შეიქმნა, დედამიწაზე და კოსმოსურ სივრცეში განხორციელდა ათეულობით მნიშვნელოვანი დანერგვა.






განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ყოველი მათგანი, სამეცნიერო თვალსაზრისით წარმოადგენს კვლევების ძირითადი მიმართულების პრაქტიკულ რეალიზაციას კოსმოსურ სივრცესა და დედამიწაზე – ტრანსფორმირებად (გასაშლელ-დასაკეც) საინჟინრო სისტემებს და მათი გამოყენების ხელოვნებას.





_____ . _____

კოსმოსური ტექნიკის დარგში კვლევების დაწყების ადრეულ ეტაპზე, შემოთავაზებულ იქნა ორბიტული კონცენტრატორების, რეზონატორების და ბრძივი ელემენტების ახალი გადაწყვეტები






ჩატარდა ექსპერიმენტული კვლევები, რომელთა მიზანი იყო იმ ძირითადი პრინციპების განსაზღვრა, რომლებიც საფუძვლად დაედებოდა შემდგომ სამუშაოებს – დიდი ზომის კოსმოსური რეფლექტორების, გრძელი მზიდი ელემენტების, მზის ბატარეებისა და ძალოვანი კარკასების შექმნას.





ჩატარებული კვლევებისა და პროექტირების საფუძველზე განისაზღვრა პირველი სქემები და შეიქმნა დიდი კოსმოსური გასაშლელი რეფლექტორის ექსპერიმენტული, ტრანსფორმირებადი კონსტრუქცია, რომელსაც საფუძვლად დაედო “მფრინავდეროებიანი”, განტური გუმბათის შექმნის იდეოლოგია.




**მიწისზედა სასტენლო კომპლექსი დიდბაბარითიანი კონსტრუქციების
დედამიწის პირობებში აწყობისა და სრულმასშტაბიანი გამოცდებისათვის**

კომპლექსის შედგენილობაშია:


- ჰიდროაუზი ნაკეთობათა ჰიდროუწონობისათვის. დიამეტრი – 40 მ, სიმაღლე – 21მ, ფუნქციური ტევადობა – 20000მ³.
- ნაკეთობათა აწყობისა და გაშლის პრეცეზიული სტენდი. დიამეტრი – 40 მ, სიმაღლე – 12 მ.
- მექანიკური უწონობის, დიდი გაშლის სტენდი. ზომები – 40მ×40მ×40მ.
- გაშლილი რეფლექტორის გადასაადგილებელი სტაპელი. დიამეტრი – 30მ.
- მბრუნავი, რადიოტექნიკური პარამეტრების ტესტირების სტენდი. დიამეტრი – 40 მ, სიმაღლე – 20 მ.




კოსმოსური ნაბეობის აწყობისა და გამოცდის მიწისზედა უნიკალური სასტენდო კომპლექსი დაპროექტდა და აიგო ელგუჯა მემბარიაშილის მიერ შემხნილი ერთიანი ტექნოლოგიური სქემების და ცალკეული სტენდების უსპიზების მიხედვით



სასტენდო კომპლექსი განლაგებულია საქართველოში, თბილისიდან 27 კილომეტრის დაშორებით, მცხეთის რაიონში, სოფელ საგურამოსთან, არაგვის ველზე




ჰიდროაუზი



პრეცეზიული სტენდი



მექანიკური უწყობის სტენდი




რეფლექტორული ანტენის რადიოპარამეტრებზე ტესტირების სტენდი

კოსმოსური გასაშლელი რეფლექტორული ანტენა, დიამეტრით 30 მეტრი






ექსპერიმენტული და თეორიული კვლევების შედეგად დადგინდა ბალისტიკური რაკეტების სტარტის ადრეული აღმოჩენის კოსმოსური სისტემის ორბიტული საინჟინრო-რადიოტექნიკური კომპლექსის, უპირატესად გასაშლელი 30-მეტრიანი რეფლექტორული ანტენის ძირითადი სქემა და მისი კონსტრუქციული გადაწყვეტა, მისი მაღალი ტექნიკური, ტექნოლოგიური და ტაქტიკური მაჩვენებლები დადასტურდა სასტენდო გამოცდებით, როგორც მისი გაშლის, ისე რადიოტექნიკური პარამეტრების შორეული ზონით ტესტირების დროს.

**“ფორინაში ღეროები”, მანტაბით – გაჭიმული ტროსები და თხელკედლიანი ფურცლებით
შედგენილი, წინასწარდაგეგმილი სტრუქტურის მქონე, რბოლურ-პარკასული 30 მეტრი
დიამეტრის მქონე რეფლექტორის გამოცდა**



კოსმოსური რეზოლუციური ანტენის გაშლის სტენდიდან, რადიოტექნიკურ პარამეტრებზე
შემოწმების მგრუნავ სტენდზე გადატანის ეტაპები




_____ . _____

მსტრემალური ტრანსპორტირების და კლიმატურმეტეოროლოგიური პირობების მაღალმთიანო ზონის პოლიგონო



ბაზა მდებარეობს თბილისიდან 190 კილომეტრის დაშორებით. იგი განთავსებულია ბორჯომ-ბაკურიანის მთიან ზონაში.



გადასატანი 15 მეტრი დიამეტრის ლინზური ანტენის საყრდენი კარკასი – “სამი რგოლი”, რომელიც განსაზღვრულია როგორც “ლინზის”, ისე გარსაცმის მოსაწყობად.

_____ . _____

ბალისტიკური რაკეტების – “პერშინგ 2-ის” სტარტის ადრეული აღმოჩენისათვის და სტრატეგიული კოსმოსური შეიარაღების მიწისზედა მართვის ცენტრებისათვის შეიქმნა მრავალჯერადი გამოყენების, სწრაფად ასაგები 12-მეტრიანი, სრული ბრუნვის რეჟიმში მომუშავე, საინჟინრო-რადიოტექნიკური დანადგარი, რომლის საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანას 12-15 წუთი სჭირდება. იგი განკუთვნილია ექსტრემალური სიტუაციებისათვის და მას ანალოგი არ გააჩნია მსოფლიოში.




მრავალჯერადი გამოყენების, გასაშლელი სრულად მბრუნავი, მაღალი სიზუსტის მიწისზედა რეფლექტორული ანტენა დიამეტრით 12 მეტრი.

კოსმოსური ბასაზღვლი, 15 მეტრი დიამეტრის პნევმონისტი
კონსტრუქციის რეზლექტორი, რომელიც მყარდება კოსმოსურ ბარემოში




კოსმოსური ბასაზღვლი კალგანი კონსტრუქციის გამოცდა უწონობის
ჰიდრომიტიაციის აუზში




ავტონომიური რადიოტექნიკური თანამგზავრული კომპლექსი

აღნიშნული სისტემის იდოლოგია, მისი გადაწყვეტა და კონსტრუქცია განხილული და მოწონებულია NATO-ს კონფერენციაზე. დიდი ზომის რეფლექტორული ანტენის აგება ავტონომიური თანამგზავრის პრინციპით, რის საშუალებასაც ქართული რეფლექტორი იძლევა, NATO-ს სპეციალისტებმა აღიარეს როგორც დიდი ზომის რეფლექტორების ბაზაზე კოსმოსური თანამგზავრის შექმნის სრულიად განსხვავებული მიდგომა (NATO – Meeting, Orlando, Florida, USA, 2000; და “Use of Space Systems in Integrated Military Missions”. Lisbon, 2001. NATO).





კოსმოსური რადიოტექნიკური ავტონომიური თანამგზავრული სისტემა და მისი აგების
საბაზო ბასაშუღელი რეფლექტორი, რომლის დიამეტრია 30 მეტრი




საქართველოში შეიქმნა კოსმოსური სისტემის, 30 მეტრი დიამეტრის მქონე ავტონომიური თანამგზავრული საინჟინრო-რადიოტექნიკური კომპლექსი. კოსმოსური სისტემა ბალისტიკური რაკეტების სტარტის ადრეული ფიქსაციისა და წყალქვეშა ნაგების გადაადგილების კოორდინატების განსაზღვრისათვის იყო განკუთვნილი. მას ასევე ჰქონდა მრავალი სატელეკომუნიკაციო სამხედრო და სამოქალაქო ფუნქციები.

კოსმოსური ნაგებობის გასაშლელი კალოვანი კონსტრუქცია



ორბიტული სადგურების მზიდი კარკასით და გრძელი გასაშლელი ელემენტებით აღჭურვისათვის შეიქმნა სპეციალური კონსტრუქცია, რომელიც გამოიყენება სასტენდო კომპლექსში, როგორც მექანიკური უწყობის, ისე ჰიდროუწყობის პირობებში.

ასაწყობი კალოვანი კარკასი ორბიტული სადგურის ფრაგმენტის შემსაქმნელად




სარადარო, კოსმოსური გაწვევილებული 20 მეტრი დიამეტრის წრიული ანტენა “კრაბი”, რომელიც განთავსდა კოსმოსურ ხომალდ “პროგრეს-40-ზე”.

კოსმოსური პროგრამა შესრულდა აკადემიკოს ბ.ე.პატონის თანამონაწილეობით – განხორციელებულია ღია კოსმოსურ სივრცეში. 1989 წ.




კოსმოსურ კონსტრუქცია – “კრაბს”, სრულმასშტაბიანი წინასაფრენოსნო გამოცდები ჩაუტარდა საგურამოს სასტენდო კომპლექსში, საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის მიერ

“სოფორას” აგების საბაზო ნაწილის ელემენტების კომპლექტი




ორბიტული სადგურის რესურსის გაზრდისათვის “თბილავიამშენში” დამზადდა კონსტრუქცია “სოფორას” აწყობის საბაზო სისტემა, რომელიც გატანილი იქნა კოსმოსში და დამონტაჟდა ორბიტულ სადგურზე.







8 წლის შემდეგ სწორედ კონსტრუქცია “სოფორა” გახდა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის განთავსების საბაზო სისტემა.



საქართველოში დაიღო ხელშეკრულება გერმანულ კომპანია “დაიმლერ ბენც აეროსპეისთან”. ამ თანამშრომლობამ წარმოაჩინა ქართველი სპეციალისტების დიდი უნარი ახალი თაობის კოსმოსური დიდი გასაშლელი რეფლექტორების კონსტრუირების ძირითადი პრინციპებისა და საფუძვლების შექმნაში. ქართველებმა ევროპისათვის შექმნეს და გამოსცადეს რეფლექტორების ორი მოდიფიკაცია.



ბასაშლელი კოსმოსური ოფსეტიური 12-მეტრიანი რეფლექტორები



<p>Pressefoto/Photo Nr. 51144</p> <p>Abdruck honorarfrei Publication free of charge</p> <p>Urhebervermerk/copyright Dornier Satellitensysteme GmbH</p> <p>Belegexemplar erbeten an Please send a reference copy to</p>	<p>Dornier Satellitensysteme GmbH Presse und Öffentlichkeitsarbeit 88039 Friedrichshafen Telefon (0 75 45) 8-91 22/91 23 Telefax (0 75 45) 8-55 89</p>	 <p>Daimler-Benz Aerospace Dornier Dornier Satellitensysteme GmbH</p>
--	--	---

Titel/Title
 Die Möglichkeiten einer Zusammenarbeit bei großen, entfaltbaren Satellitenantennen untersucht jetzt die zum Daimler-Benz Aerospace Konzern gehörende Dornier Satellitensysteme GmbH (DSS, Friedrichshafen) zusammen mit Partnern in Georgien.
 Dornier Satellitensysteme GmbH (DSS, Friedrichshafen), a unit of the Daimler-Benz Aerospace Group, is investigating the possibilities of a cooperation with partners in Georgia in the field of large extendable satellite antennas.

პროგრამა განხორციელდა “დორნიერ სატილიტიმენსტიმ” –
“დიამლერ ბენც აეროსპეისის” შიკვითით ღა ვართობლიზი სამუშაოებით



გასაშლელი კოსმოსური ოფსეტური 12-მეტრიანი რეფლექტორის
სასტენდო გამოცდა

_____ . _____

— **“პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი”** – 6,42 მეტრი მაქსიმალური გაბარიტის გასაშლელი რეფლექტორი, შეიქმნა და დაპროექტდა ქართული მხარის – საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ. იგი დამზადდა თბილისის საავიაციო ქარხანა “თბილავამშენში”, სადაც კონსტრუქციამ გაიარა საქარხნო ტექნიკური და ტექნოლოგიური გამოცდები. მას სრულმასშტაბიანი წინასაფრენოსნო გამოცდები ჩაუტარდა საქართველოში ქართული მხარის მიერ. საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის მიერ განისაზღვრა ღია კოსმოსურ სივრცეში ქართული კოსმოსური ობიექტის გამოცდის ძირითადი მიმართულებები. კოსმოსური ხომალდი “პროგრესი”, რომელშიც განთავსებული იყო სამეცნიერო ტვირთი – ქართული კოსმოსური ობიექტი, ორბიტაზე გაიყვანა რაკეტა-მატარებელმა “სოიუზმა”. “პროგრესმა” ორბიტულ სადგურ “მირზე” მიიტანა ქართული კოსმოსური ობიექტის დაკეცილი პაკეტი, სადაც ღია კოსმოსურ სივრცეში კოსმონავტების ინტერნაციონალურმა ეკიპაჟმა, პროგრამა “რეფლექტორის” მიხედვით გათვალისწინებული პროცედურებით, წარმატებით გაშალა და გამოცადა პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი. კოსმოსური პროგრამების დასრულების შემდეგ, ქართული კოსმოსური ობიექტი ჩამოსცილდა ორბიტულ სადგურს და დაიწყო ფრენა დამოუკიდებელ დედამიწის ივრვლივ, თანამგზავრულ ორბიტაზე.

ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის კოსმოსურ ორბიტაზე გატანას მიეძღვნა ორი ქართული საფოსტო მარკის გამოცემა



საქართველოში ყოველი წლის 23 ივლისი
აღიარებულია
“პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის დღედ”



საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება

№ 337 2002 წლის 19 ივლისი ქ.თბილისი

**პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის
დღის დაწესების შესახებ**

1999 წლის 23 ივლისს ორბიტალურ სადგურ „მირზე“ პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ღია კოსმოსურ სივრცეში წარმატებული გამოცდა და დამოუკიდებელ ორბიტაზე გადასვლა საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული ეროვნული მნიშვნელობის მოვლენად იქცა და საერთაშორისო არენაზე აღიარებულ იქნა მსოფლიო კოსმონავტიკის ახალი, პრიორიტეტული მიმართულების დასაწყისად. ამასთან დაკავშირებით:

ყოველი წლის 23 ივლისი დაწესდეს „პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის დღედ“.

ელუარდ შევარდნაძე





თბილისი
1999
VII. 23-28

კოსმოსურ პროგრამაში მონაწილეობდნენ:

კოსმოსური რეფლექტორული ანტენის შექმნა – მისი დაპროექტება, და სრულმასშტაბიანი, წინასაფრენოსნო გამოცდები



საქართველოს კოსმოსურ ნავებობათა ინსტიტუტი

კოსმოსური რეფლექტორული ანტენის დამზადებისა და გამოცდების ფინანსური და ორგანიზაციული უზრუნველყოფა



საერთაშორისო კომპანია
“საქართველოს პილიტექნიკური ინტელექტი”



რეფლექტორის კონსტრუქციის დამზადება და აწყობა

თბილისის საავიაციო გაერთიანება
“თბილავიამშენი”

ორბიტაზე ექსპერიმენტის ჩატარების დამატებითი ორგანიზაციული უზრუნველყოფა



ქართულ-რუსული კომპანია
“Energia-GPI-Space”

რეფლექტორის გატანა ორბიტაზე, მიტანა ორბიტულ სადგურ «МИР»-ზე და ღია კოსმოსურ სივრცეში მისი გამოცდა




ს. კოროლიოვის სახელობის რუსეთის სარაკეტო-კოსმოსური კორპორაცია
«Энергия»

ორბიტულ სადგურ «МИР»-ის ინტერნაციონალური ეკიპაჟი



კოსმოსური ხომალდის – “СОЮЗ”-ის გაშვება კოსმოსში კოსმოდრომ “ბაიკანურიდან”


**რეფლექტორის შექმნისას ძირითად თანამშრომელთა მიერ
სამუშაოს შესრულების სტრუქტურა**




ქართული კოსმოსური ობიექტის – რეფლექტორის პარამეტრები:

- მასა _____ 34 კგ;
- ზომები სატრანსპორტო პაკეტის მდგომარეობაში
- დიამეტრი, D _____ 0,6 მ;
- პაკეტის სიმაღლე, H_1 _____ 1,2 მ;
- ზომები გაშლილ მდგომარეობაში
- ამრეკლი ეკრანის მაქსიმალური გაბარიტი, L_{max} _____ 6,42 მ;
- ამრეკლი ეკრანის მინიმალური გაბარიტი, L_{min} _____ 5,2 მ;
- რეფლექტორის განივკვეთის სიმაღლე, H _____ 1,1 მ;
- რეფლექტორის გაშლის დრო, t _____ 11 წუთი;
- რეფლექტორის აპროქსიმირებული ამრეკლი ზედაპირის გადახრა საპროექტო მდგომარეობიდან, Δ _____ $\pm 0,25$ სმ;
- გამშლელი ძრავებისა და ამძრავების რაოდენობა, n _____ 8 ცალი;
- ძაბვა ძრავაზე, V _____ 27 ვოლტი.




საქართველოში დაკომპლექტებული პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი –
“რეფლექტორი” დამზადდა, აიწყობ და საქარხნო დანადგარებზე გაემოცადა
თბილისში, კომპანია “თბილავიანგენში”




საქართველოში დაპროექტებული პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი –
“რეფლექტორი” დამზადდა, აიწყო და საქარხნო დანადგარებზე გაემოცადა
თბილისში – კომპანია “თბილავიაგონში”




საქართველოში დაკომპლექტებული პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი –
“რეფლექტორი” დამზადდა, აიწყო და საქარხნო დანადგარებზე გაემონტაჟა
თბილისში – კომპანია “თბილავიაგზენში”



საქართველოში დაკომპლექტებული პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი –
“რეფლექტორი” დამზადდა, აიწყო და საქარხნო დანადგარებზე გაემოცადა
თბილისში – კომპანია “თბილავიაგონი”




პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის – “რეგულატორის” სარეზერვო ვარიანტის
წინასაზრუნოვო გამოცდები ჩატარდა თბილისში, საქართველოს კოსმოსურ
ნაგებობათა ინსტიტუტის სსტენდო ღარბაზში



1999 წლის 16 ივლისი

19 საათზე : 37 წუთზე : 33 წამზე ბაიკანურის კოსმოდრომის პირველი მოედნის № 5 გამშვები დანადგარიდან, რაკეტამატარებელმა – “სოიუზ – Y” – 11 A 511 Y № 667, აიღო სტარტი კოსმოსური ხომალდის “პროგრეს - 42-ის” – 11 Ø 615 A 55 N 242, კოსმოსურ ორბიტაზე გასაყვანად.



რაკეტამატარებლის “სოიუზ – Y-ს “ღამის სტარტის კადრები (ფოტოები აღებულია არსებული ლიტერატურული წყაროებიდან)

კოსმოსური ხომალდის, “პროგრეს – 42-ის” ბორტზე ირიცხებოდა სამეცნიერო ტვირთი – “რეფლექტორი”.

კოსმოსური ხომალდი, საწყისი მასით 7150 კილოგრამი, 8 წუთისა და 48,8 წამის შემდეგ, ჩამოსცილდა რაკეტამატარებლის მესამე საფეხურს და გავიდა ორბიტაზე.



კოსმოსური ხომალდი “პროგრესი” ორბიტაზე (ფოტო აღებულია არსებული ლიტერატურული წყაროებიდან)

ორბიტის პარამეტრები კოსმოსური ხომალდის, “პროგრეს – 42” რაკეტამატარებლის მესამე საფეხურის ჩამოცილების მომენტში იყო:

დახრილობა ————— 51, 658 °


ორბიტის მინიმალური სიმაღლე – პერიგეა ————— 193,9 კმ.

ორბიტის მაქსიმალური სიმაღლე – აპოგეა ————— 247,8 კმ.

დედამიწის ირგვლივ შემოვლის პერიოდი ————— 88,613 წთ.

1999 წლის 18 ივლისი

20 საათზე: 53 წუთზე: 21 წამზე, 34-ე შემოვლაზე “პროგრეს - 42” წარმატებით შეუპირაპირდა ორბიტულ სადგურ “მირს”, რომელიც იმ მომენტში აკეთებდა 76638-ე შემოვლას დედამიწის ირგვლივ.



კოსმოსური ხომალდის “პროგრეს – 42-ის” მიახლოება და შეპირაპირება სადგურ “მირ”-თან (ფოტოები აღებულია არსებული ლიტერატურული წყაროებიდან)

ორბიტულ სადგურ “მირთან”, კოსმოსური ხომალდის, “პროგრეს – 42-ის” შეპირაპირების მომენტში, კოსმოსური სადგურის ორბიტის პარამეტრები იყო:

დახრილობა _____ 51, 684 °

ორბიტის მინიმალური სიმაღლე – პერიგეა _____ 348,8 კმ.

ორბიტის მაქსიმალური სიმაღლე – აპოგეა _____ 365,1 კმ.

დედამიწის ირგვლივ შემოვლის პერიოდი _____ 91,474 წთ.

უშუალოდ შეპირისპირების კონტაქტი დაფიქსირდა 20 საათსა: 53 წუთზე: 32 წამზე.

1999 წლის 19 ივლისი

კოსმონავტებს ორბიტულ სადგურზე “რეფლექტორი” უნდა გადმოეტანათ “პროგრეს - 42-დან”, მაგრამ იგი ძალიან დიდი გამოდგა. მათ ნახეს ფილმი-ინსტრუქცია, რომელიც თბილისში იყო გადაღებული, და გაიარეს კონსულტაცია კოსმოსური ფრენის მართვის ცენტრთან. კოსმონავტებმა მოხსნეს “რეფლექტორს” გარე შეპირისპირების კვანძი და გადაიტანეს იგი ორბიტულ სადგურში.

1999 წლის 20 ივლისი

კოსმონავტებმა, ახლა უკვე ორბიტულ სადგურზე, კონსტრუქციას კვლავ დაამაგრეს შეპირაპირების კვანძი. კოსმოსური ფრენის მართვის ცენტრში გადაწყდა, რომ “რეფლექტორის” გატანა ღია კოსმოსურ სივრცეში მოემზადებინათ არა ხელსაწყოებისა და მეცნიერების ნაკვეთურში, როგორც ეს ადრე იყო დაგეგმილი, არამედ დარაბვის ნაკვეთურში.

განსაკუთრებული დავალება მიიღო ფრანგმა ასტრონავტმა ჟან-პიერ ენერიემ. მას წინასწარ უნდა დაეზუსტებინა ადგილები, სიუჟეტები და სცენარები კოსმოსური პროგრამა “რეფლექტორის” ღია კოსმოსურ სივრცეში გადაღებისათვის. კოსმოსური ფრენის მართვის ცენტრი იძლეოდა მითითებებს იმის შესახებ, რომ “რეფლექტორი” მომავალში გეოსტაციონარულ ორბიტაზე უნდა დადგმულიყო და მნიშვნელოვანი იყო გადაღებების არა მარტო სამეცნიერო ღირებულება, არამედ კომერციული მიმზიდველობაც.

1999 წლის 21 ივლისი

კოსმონავტები გადიან ტრენინგს “ჰასელბლადის” ფოტოაპარატისა და “სონის” ციფრული ვიდეოკამერის მომზადებასა და ექსპლუატაციაში. აღნიშნული ფოტო- და ვიდეოტექნიკა გამიზნული იყო პროგრამა “რეფლექტორის” გადასაღებად. აღსანიშნავია ისიც, რომ ძვირად ღირებული “ჰასელბლადის” ფოტოაპარატი სათანადო მოწყობილობა და ფირები, რომლებიც მთლიანად კოსმოსური გადაღებისათვის იყო განკუთვნილი, შეიძინა კომპანია “საქართველოს პოლიტექნიკურმა ინტელექტმა”.

1999 წლის 23 ივლისი

12 საათსა და 02 წუთიდან – 12 საათსა და 17 წუთამდე კოსმონავტებმა ინსტრუქციის მიხედვით შეამოწმეს სკაფანდრები და, ამის შესახებ მოახსენეს კოსმოსური ფრენის მართვის ცენტრს. ცენტრმა გასცა დარაბვის დაწყების ნებართვა. დარაბვა, როგორც წესი, 2 საათს გაგრძელდა.

14 საათსა და 16 წუთზე – ციკლოგრამით დადგენილ დროსთან შედარებით ერთი წუთის დაგვიანებით, კოსმონავტებმა გახსნეს ლიუკი და რეფლექტორთან ერთად, ორბიტული სადგურიდან ღია კოსმოსურ სივრცეში გამოვიდნენ.

1999 წლის 23 ივლისს კოსმონავტებმა სკაფანდრებში, სადაც ჟანგბადის მიწოდების, ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ნორმალიზაციის პრობლემები იყო, იმუშავეს 5 საათსა და 57 წუთს. ამ დროის განმავლობაში მათ ძალიან რთული და ძნელი სამუშაო შეასრულეს. მათ, თბილისიდან, გენერალური კონსტრუქტორის – ელგუჯა მეძმარიაშვილის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, ჯერ გააშრეს რეფლექტორის კონსტრუქცია, რომელიც ორბიტულ სადგურში კონსტრუქციისთვის ძალიან ცუდ – ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო პირობებში ჰქონდათ. კოსმონავტებმა ამ

პროცედურას 12 წუთი მონადომეს, რაც ადრე არ იყო ციკლოგრამით გათვალისწინებული. შემდეგ იგი სათანადო მოწყობილობით მიამაგრეს კონსტრუქცია “სოფორას”, ამას მოჰყვა კონსტრუქციის ელექტრული ძრავების ჩართვა ორბიტული სადგურის ბორტის გარე ქსელში. ამ მომენტში კოსმონავტებმა შეცდომა დაუშვეს - ნაცვლად 27-ვოლტიანი ძაბვის ქვეშ მყოფი ბუდისა, ძრავები 7-ვოლტიანი ძაბვის ქვეშ მყოფ ბუდეში ჩართეს, რასაც შედეგად არასაშტატო ვითარება მოჰყვა. რეფლექტორმა გაშლა დაიწყო, მაგრამ შენელებული ტემპით. კოსმონავტები დაელოდნენ ანტენის ნაწილობრივ გაშლას და, პირველი გამოსვლის შემდეგ, დაბრუნდნენ ორბიტული სადგურის ნაკვეთურში.

20 საათსა და 13 წუთზე კოსმონავტებმა ორბიტული სადგურის ლიუკი დაკეტეს.

1999 წლის 27 ივლისი

შემოწმების შედეგად ტექნიკურმა კომისიამ ეკიპაჟს მისცა მითითება, რომ 23 ივლისს ელექტროწრედში არასწორად იყო ჩართული რეფლექტორის კონსტრუქციის ელექტრული ძრავები და ჩართვის ბუდის შეცვლას უნდა აღედგინა რეფლექტორის გახსნის პროექტით გათვალისწინებული ტემპი.

1999 წლის 28 ივლისი

ეს იყო კოსმონავტების მესამე და ბოლო გამოსვლა ღია კოსმოსურ სივრცეში. რეფლექტორის გახსნა, ნაცვლად 13 საათისა და 12 წუთისა, გაცილებით ადრე დაიწყო – 12 საათსა და 37 წუთზე. ეს იმიტომ მოხდა, რომ კოსმონავტებს დარაბვის პროცესი უკვე კარგად ჰქონდათ ათვისებული და ამ პროცედურას გაცილებით ნაკლები დრო მონადომეს.

მაშ ასე, 12 საათსა და 37 წუთზე ღია კოსმოსურ სივრცეში გასასვლელი ლიუკი გაიღო. კოსმონავტებმა თავიანთი ადგილები დაიკავეს. კოსმოსური ფრენის მართვის ცენტრიდან მიიღეს ბრძანება – შემოწმდეს ელექტრული ჩართვა, მისი მდგომარეობა და, შეცდომის შემთხვევაში, გადაირთოს კონსტრუქციის ელექტროძრავები სხვა – 27-ვოლტიან ბუდეში.

კოსმონავტი შეუდგა ბრძანების შესრულებას – მან რეფლექტორის ძრავები გადართო შეცდომით შეერთებული 7-ვოლტიანი ელექტრობუდიდან 27-ვოლტიან ელექტრობუდეში.

კონსტრუქციამ დაუყოვნებლივ, შეუფერხებლად და სრული საშტატო ვითარებით იწყო გახსნა. ამის შემდეგ, ორბიტაზე პრობლემები აღარ შექმნილა. ყველაფერი დაგეგმილად, დროულად და საშტატო ვითარების რეჟიმში ხდებოდა.

1999 წლის 28 ივლისს კოსმონავტებმა ღია კოსმოსურ სივრცეში, სკაფანდრებში 5 საათი და 22 წუთი გაატარეს. ისინი ვალმოხდილნი დაბრუნდნენ ორბიტულ სადგურში და ლიუკი ჩაკეტეს 17 საათსა და 59 წუთზე.

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ღია კოსმოსურ სივრცეში გაშლის, მისი გამოცდების და შემდეგ, დამოუკიდებელ თანამგზავრულ ორბიტაზე გადაყვანის ფოტო- და ვიდეოკადრები გადაღებულია ფრანგი ასტრონავტის – ჟან-პიერ ენიერე მიერ.

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ღია კოსმოსურ სივრცეში გაყვანას, მისი გაშლისათვის მომზადებას, სრულ გაშლას, ფორმის ფიქსაციას, სრულმასშტაბიან გამოცდებს და შემდეგ ქართული კოსმოსური ობიექტის დამოუკიდებელ თანამგზავრულ ორბიტაზე გადაყვანას, რასაც ორბიტულ სადგურ «მირზე» ფრანგი და რუსი კოსმონავტები ასრულებდნენ ქართულ-რუსული პროგრამა “რეფლექტორით”, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა კოსმოსური ტექნიკის შემდგომი განვითარებისთვის. ამ ექსპერიმენტით რეალურად და დოკუმენტურადაც უნდა დაფიქსირებულიყო ის ფაქტი, რომ კოსმოსში შესაძლებელია დიდი გასაშლელი რეფლექტორის შექმნა და ამასთან ფორმის გეომეტრიის პარამეტრების ზუსტი დაცვა.

ამ მხრივ, მანამდე თითქმის 35 წელი, მრავალი ექსპერიმენტი უშედეგოდ დამთავრდა. წარუმატებლობა ხვდა წილად ამერიკის პნემატურ, საფრანგეთის ღეროვან და რუსეთის KPT-ს კონსტრუქციების კოსმოსში გაშლას. ამასთან, ვერცერთხელ ვერ მოხერხდა ჩატარებული ექსპერიმენტის მაღალი ხარისხის ფოტო- და ვიდეომასშტაბით დასაბუთება. ამ მხრივ, პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის – “რეფლექტორის” კოსმოსური პროგრამა ყველა წინა პირობას აკმაყოფილებდა, რაც რეალობაში სრული წარმატებით დამთავრდა.

- ფოტოკადრების გადაღებისათვის კომპანია “საქართველოს პოლიტექნიკურმა ინტელექტმა”, გერმანიაში შეიძინა “ჰასსებლადის” ფოტოკამერა და კოსმოსში გადაღებისათვის ადაპტირებული ფოტოფირები. ფოტოკამერა და ფოტოფირები დაცული იყო კოსმოსში არსებული ზემოდალი სინშირის ელექტრომაგნიტური ტალღების ზემოქმედებისაგან.
- “ჰასსებლადის” ფოტოკამერა აგრეგატ “რეფლექტორთან” ერთად კოსმონავტებს გაეგზავნათ რაკეტა მატარებლით – “სოიუზ-Y-თი” კოსმოდრომ ბაიკანურიდან.
- ვიდეოკადრები გადაღებულია ორბიტული სადგურის საშტატო სპეციალური “სონის” ვიდეოკამერით.



ასტრონავტი
ბრიზაღის ბენერალი
ჟან-პიერ ენიერე
(საფრანგეთი)

- “რეფლექტორის” სატრანსპორტო პაკეტის გატანას ღია კოსმოსში, რეფლექტორის გაშლას, ექსპერიმენტის ჩატარებას და რეფლექტორის დამოუკიდებელ თანამგზავრულ ორბიტაზე გადაყვანის პროცესს ორბიტულ სადგურზე ემსახურებოდნენ კოსმონავტები – ვიქტორ მიხეილის ძე აფანასიევი, სერგეი ვასილის ძე ავდეევი და ფრანგი ასტრონავტი ჟან-პიერ ენიერე.


კოსმონავტი
ვიქტორ
მიხეილის ძე
აფანასიევი
(რუსეთი)



კოსმონავტი
სერგეი
ვასილის ძე
ავდეევი
(რუსეთი)




ინტერნაციონალური ეკიპაჟის წევრებს, კოსმონავტებს სერგეი ავდეევსა და ვიქტორ აფანასიევს რეფლექტორის დაკეცილი, სატრანსპორტო პაკეტი კოსმოსურ ხომალდ “პროგრეს - 42-დან” გადააქვთ სადგურ “მირის” ნაკვეთურში.
ფოტო გადაღებულია “მირის” ინტერნაციონალური ეკიპაჟის წევრის, ფრანგი ასტრონავტის, საფრანგეთის არმიის ბრიგადის გენერალ ჟან-პიერ ენიერეს მიერ.



პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი დაკეცილ მდგომარეობაში, სატრანსპორტო პაკეტის სახით, გატანილია ღია კოსმოსურ სივრცეში.




კოსმონავტები პირველ ქართულ კოსმოსურ ობიექტს აცლიან გარსაცმს და მას დაკეცილ მდგომარეობაში ამაგრებებენ კონსტრუქცია – “სოფორაზე”.



კოსმოსური ობიექტი მიმაგრებულია კონსტრუქცია “სოფორაზე” და იგი მზად არის გასაშლელად.



პირველმა ქართულმა კოსმოსურმა ობიექტმა – რეფლექტორმა გახსნა დაიწყო.




პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გაშლა, რომელიც წინასწარ განსაზღვრული დროით 11 წუთს გაგრძელდა, საშტატო ვითარებაში დაგეგმილი პარამეტრების დაცვით მიმდინარეობდა.



ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი – რეფლექტორი სრულად გაიშალა და დაიწყო მისი საშტატო გამოცდა, რომელიც წარმატებით დამთავრდა.







დაიწყო პროგრამის მეორე ეტაპის სამზადისი. პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის – რეფლექტორის გადაყვანა დამოუკიდებელ თანამგზავრულ ორბიტაზე.



პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი ჩამოსცილდა ორბიტულ სადგურს და დაიწყო მოძრაობა დამოუკიდებელ ორბიტაზე.



რეფლექტორი უკვე საკმაო მანძილზეა ორბიტული სადგურიდან.



ისტორიაში პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის – რეფლექტორის თავისუფალი მოძრაობა დამოუკიდებელ თანამგზავრულ ორბიტაზე.

_____ . _____

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის
- რეფლექტორის -
კოსმოსურ ორბიტაზე გაყვანისა და ბამოცდის პირითაღი მიზნები

- პირველად საქართველოში, ქართველების მიერ შექმნილი კოსმოსური ობიექტის კოსმოსურ სივრცეში გატანა, მისი წარმატებული გამოცდა და დამოუკიდებელ თანამგზავრულ ორბიტაზე გადაყვანა, რასაც ერისათვის ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა.
- დიდი ზომის რეფლექტორული კონსტრუქციის გაშლის სისტემების აპრობაცია ღია კოსმოსურ სივრცეში.
- კოსმოსურ სივრცეში კონსტრუქციის გაშლის პროცესში ფორმატწარმოქმნის და ფორმის ფიქსაციის პარამეტრული და ხარისხობრივი განსაზღვრა.
- კონსტრუქციის მიღწეული ფორმის შენარჩუნების კონტროლი.
- დიდი ზომის ტრანსფორმირებადი სისტემის – გასაშლელი რეფლექტორის სიხისტის პარამეტრების (რხევის სიხშირე, დეფორმაციულობა და სხვა) განსაზღვრა.
- ამრეკლი ბადის დაჭიმულობის ხარისხობრივი ანალიზი და ეკრანის მიერ დისკრეტულ ზედაპირზე მისი ჩამაგრებით სრული, პარაბოლოიდური ფორმის შექმნის შესაძლებლობების დადგენა.
- გაშლის პროცესების სტაბილური მართვა და ანომალიური პროცესების წარმოშობის გამორიცხვა.

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის
– რეფლექტორის –
მნიშვნელობა კოსმონავტიკის განვითარებისთვის

დაკეცილ მდგომარეობაში მყოფი რეფლექტორის ღია კოსმოსურ სივრცეში გატანა, მისი წარმატებით გაშლა და პროგრამით გათვალისწინებული პარამეტრების დადგენა, რომლებმაც ყველა ეტაპზე სრულად დააკმაყოფილა ექსპერიმენტის მოთხოვნები, მსოფლიო კოსმონავტიკაში გახდა ტექნოლოგიების ახალი ეტაპის დასაწყისი დიდი ზომის კოსმოსური რეფლექტორის შექმნისა და პრაქტიკული რეალიზაციის მხრივ.

რეფლექტორის კონსტრუქციას პარაბოლოიდური ამრეკლი ეკრანი აქვს. იგი შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან: გამშლელი სიხისტის რგოლისაგან, რომლის ფუნქციებია რეფლექტორის გაშლა და მისი ცენტრალური ნაწილის დაჭიმულ მდგომარეობაში შენარჩუნება; და, მოქნილი, პრეცეზიული, ცენტრალური ნაწილისაგან, რომელსაც ემაგრება ამრეკლი – მეტალის ძაფებისაგან ნაქსოვი ბადე. სისტემას ცენტრალური ნაწილის პერიმეტრზე აქვს მოწყობილი კონსოლები, რომლებზეც ასევე ემაგრება ამრეკლი ბადის პერიფერიული ნაწილი. რეფლექტორის მიმაგრება კოსმოსურ აპარატთან ხორციელდება ცენტრალური კვანძიდან, სადაც გაშლის სტაბილიზატორები და სინქრონიზატორებია განთავსებული.

აღნიშნული ტიპის რეფლექტორებით შესაძლებელია ანტენებისა და მზის ენერჯის კონცენტრატორების დამზადება ზომით 5-დან 30-მეტრამდე, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კოსმოსურ ტექნიკაში.

კოსმოსურ ორბიტაზე, უძლიერესი კოსმოსური სახელმწიფოების მრავალი მცდელობის მიუხედავად, საქართველომ პირველმა შეძლო წარმოეჩინა დიდი ზომის კოსმოსური რეფლექტორი – მისი ფორმათწარმოქმნის შესაძლებლობები, მაღალი სიზუსტე და სიხისტე, ასევე, გაშლის პროცესებისა და ფორმის ფიქსაციის მართვა.

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ისტორიული,
სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური შეფასება

საქართველოსათვის პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის – რეფლექტორის ღია კოსმოსურ სივრცეში გატანას, მის გამოცდას და შემდეგ თანამგზავრულ ორბიტაზე გადაყვანას ისტორიული მნიშვნელობა ენიჭება. ამ მოვლენით საქართველომ პირველი ნაბიჯი გადადგა კოსმოსში, რაც, გარდა სამეცნიერო ღირებულებისა, უდიდესი ეროვნული ღირსების დამადასტურებელი ფაქტია.

• • • • •

საქართველოში ყოველი წლის 23 ივლისს აღინიშნება “პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის დღე”.

• • • • •

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის – რეფლექტორის, ორბიტაზე გატანას და მის წარმატებით გამოცდას, როგორც ისტორიულ მოვლენას საქართველოსათვის, მიეძღვნა საფოსტო მარკების გამოცემა.

• • • • •



პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის – რეფლექტორის კოსმოსში გატანა და წარმატებით გამოცდა აღიარებულია ლიტერატურაში, როგორც ახალი ტექნოლოგიების დასაწყისი მსოფლიო კოსმონავტიკაში, ხოლო მისი განხორციელების თარიღი შეტანილია კოსმონავტიკის ღირშესანიშნავ ქრონიკათა ჩამონათვალში.

• • • • •


პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის – რეფლექტორის შესახებ უცხოელი და ქართველი სპეციალისტების მიერ პუბლიკაციები, სამეცნიერო სტატიები და მოხსენებათა ტექსტები, ასევე, ევროპული კოსმოსური სააგენტოს ოფიციალური მემორანდუმი შესაბამისად გამოქვეყნებულია: ამერიკის შეერთებულ შტატებში; იაპონიაში; იტალიაში; გერმანიაში; რუსეთში; ფინეთში; ნიდერლანდებში; ესპანეთსა და სხვა ქვეყნებში.

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის – “რეფლექტორის” ღია კოსმოსურ სივრცეში წარმატებით გამოცდა, რომელიც განხორციელდა ქართულ-რუსული ერთობლივი ექსპერიმენტით რუსეთის ორბიტულ სადგურ «მირზე», პრაქტიკულად საფუძვლად დაედო დიდი გასაშლელი კოსმოსური რეფლექტორების შექმნის ევროპული კოსმოსური სააგენტოს პროგრამას.

ორბიტულ სადგურ «მირზე» წარმატებით გამოცდილი დიდი ზომის გასაშლელი ანტენის – “რეფლექტორის” შექმნელმა საქართველოს მხარემ “ალენია აეროსპაციოსთან” მჭიდრო თანამშრომლობით, საწყის ეტაპზევე, როგორც პროგრამის მონაწილემ, მეტად მნიშვნელოვანი პერსპექტივა წარმოაჩინა.



საქართველოს მხარემ, ევროპული კოსმოსური სააგენტოს პერსპექტიული დამუშავებისათვის, წარადგინა სრულიად განსხვავებულ პრინციპებზე შექმნილი ახალი თაობის რეფლექტორების კონსტრუირების ლოგიკა და კონკრეტული კონსტრუქციის ვარიანტი.



ტრანსპორტირებადი, მრავალჯერადი გამოყენების სწრაფადსაბეზი ხილი KM-01T



ტრანსპორტირებადი, მრავალჯერადი გამოყენების სწრაფადსაგები,
უნომერსალური ხიდის – KM-02T-ს მონტაჟის ეტაპები



ტრანსპორტირებადი, მრავალჯერადი გამოყენების სწრაფადსაგები, უნივერსალური
სამხედრო ხიდი – KM-02T



სამხედრო-საველე გამოცდა კრწანისის პოლიგონზე.



ხიდის გამოყენება სამხედრო მანევრებში (კახეთის რეგიონი).

სწრაფადსაბეზი, მრავალჯერადი გამოყენების ხიდი ექსპლუატაციის დროს



ხიდი KM-02T მრავალჯერადი გამოყენების სამოქალაქო ექსტრემალურ სიტუაციებში, მათ შორის მდინარე მტკვარზე, გორის რაიონში დენილების დასახლების მშენებლობისას.

_____ . _____

ევროპული კოსმოსური სააგენტოს ("ESA") საკონტრაქტო სამუშაო – რომელსაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი ასრულებს მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის მსუბუქი კონსტრუქციების ინსტიტუტთან (LLB, Technische Universitat Munchen) ერთად, ახალი თაობის დიდი გასაშლელი კოსმოსური რეფლექტორის შესაქმნელად.



კონსტრუქციათა პრიორიტეტი – მაქსიმალური სიმსუბუქე, სიზუსტე, სიხისტე და მინიმალური გაბარიტები დაკეცილ მდგომარეობაში.










— ჩინეთი. ხარბინის ტექნიკური უნივერსიტეტი. პნევმოხისტი გასაშლელი კოსმოსური რეფლექტორის 6-მეტრიანი დიამეტრის ფუნქციური სისტემის შექმნა საქართველოს პატენტ P2342-ის მიხედვით. პარტნიორული სამეცნიერო სამუშაო. 2004წ.









————— . —————

გამოგონება – “გასაშლელი პარაბოლური ანტენა”. საქართველოს პატენტი P2342. 02.10.1999.
ავტორები: ე. მემქარიაშვილი, ზ. გოგავა, გ. კიზირია.






განსაზღვრული სპიერით გამოქვეყნებული მალის მქონე ხიდი და ხიდგამდგები – I პარტიკი.



ბასსაშლელი სპიეროზო დიდი მალის მძონე ხიდი ღა ხიღბაშღეპი – II ვარინატი.



ბასეზული სპირიტო დიდი მალის მქონე ხიდი და ხიდაგამები – III ვარიანტი.






ბასაზღული ერთმალისანი, სპირიშო ხიდის მასშტაბური მოდელი




- დაპროექტდა და შეიქმნა სრულყოფილი კონსტრუქცია, რომელშიც რეალიზებულია სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის შექმნის უახლესი ტექნოლოგია.



წყალზე მცურავი გასაწვლელ-დასაკეცი კომპაქტური სისტემა




საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემია, ელგუჯა მექმარიაშვილის ინიციატივით და სასწავლო სამეცნიერო მასალების სრული უზრუნველყოფით, ოფიციალურად ამოქმედდა 2003 წლის 3 სექტემბერს.



ინდუსტრიული მუზეუმი – საგამოფენო დარბაზი.
მუზეუმი შეიქმნა და ვითარდებოდა 2001 წლიდან.
რეკონსტრუქციის მოთხოვნით დაიხურა 2008 წლის დასაწყისში.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო
აკადემია



საქართველოში, უფროსი და უმაღლესი წოდების ქართველი ოფიცრები მომზადდა
სამამულო, უმაღლესი სამხედრო საგანმანათლებლო პროგრამით.

აკადემია შეიქმნა 2000 წელს. მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარდა 2000-2003 წლებში.
სრულფასოვნად ამოქმედდა 2003 წლიდან. თავდაცვის მინისტრის ბრძანებით დაიხურა 2005 წელს.



საკართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი.

მოღვაწეობის ძირითად მიღწევათა ჩამონათვალი:

- I. პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის შექმნა, მისი ორბიტაზე გაყვანის და პროგრამა “რეფლექტორის” რეალიზაცია ღია კოსმოსურ სივრცეში.
- II. ტრანსფორმირებადი საინჟინრო სისტემების თეორიის შექმნა.
- III. კოსმონავტიკის დარგის – კოსმოსური ნაგებობების ქართული სამეცნიერო და ტექნიკური სკოლის ჩამოყალიბება.
- IV. საქართველოში სამხედრო-საინჟინრო დარგის სამეცნიერო მიმართულების განვითარება.
- V. ახალი თაობის ორბიტული სისტემების შექმნა და მათი რეალიზება საზღვარგარეთის კოსმოსურ პროგრამებში.
- VI. ახალი თაობის სამხედრო-საინჟინრო ტექნიკის შექმნა და მათი რეალიზება საქართველოსა და საზღვარგარეთ.
- VII. ახალი სამეცნიერო მიმართულების რეალიზება აკადემიურ სფეროში – ახალი დისციპლინის შექმნა და ლექციები უნივერსიტეტში, ასევე სადოქტორო პროგრამა სამხედრო მეცნიერების დარგში.




საქართველოში შექმნილი კოსმოსური ბაზირების სისტემები
SPACE BASING SYSTEMS CREATED IN GEORGIA

LIST OF BASIC ACTIVITY ACHIEVEMENTS:

- I. Creation First Georgian Space Reflector, delivering it on orbit and program “reflector” realization in an open space.
- II. Creation a theory of Transformable engineering systems.
- III. Cosmonautics field – Establishing Georgian Scientific and technical school of Construction building.
- IV. Developing scientific directions in Military-engineering field in Georgia.
- V. Creation of new generation orbital systems and their realization in foreign space programmes.
- VI. Creation of new generation military-engineering technique and realization in Georgia and abroad.
- VII. Realization of created new scientific directions in academic field – Creation new disciplines and lectures at the university, also Doctor programme in military-scientific field.

პიროვნებები, რომლებმაც განსაზღვრეს ელგუჯა მემკარიაშვილის
სამხედრო-სამეცნიერო მოღვაწეობის პროფესიული გზა
და რიგ შემთხვევებში იყვნენ და არიან მისი მასწავლებლები



თეიმურაზ ლოლაძე
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
აკადემიკოსი, პროფესორი



ირაკლი ჯორჯაძე
სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
გენერალ-ლეიტენანტი. საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ციკლის
ხელმძღვანელი გენერალური შტაბის სამხედრო
აკადემიაში



გიორგი სამოილოვიჩი
სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, გენერალ-ლეიტენანტი. სამხედრო-
საინჟინრო ციკლის ხელმძღვანელი გენერალური
შტაბის სამხედრო აკადემიაში.



ლეონიდ მელკონი
სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, გენერალ-ლეიტენანტი.
სამხედრო-საინჟინრო აკადემიის უფროსის
მოადგილე სამეცნიერო დარგში



ვიტალი შაბანოვი
თავდაცვის მინისტრის მოადგილე შეიარაღების
დარგში, არმიის გენერალი, ინჟინერი



ოლეგ ლოსოვი
რადიომრეწველობის მინისტრის მოადგილე
გენერალ-ლეიტენანტი



იური ბლავუნოვი

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პოლკოვნიკი. სამხედრო-საინჟინრო აკადემიის კათედრის გამგე. პონტონების პარკის შემქმნელი



ანატოლი სავინი

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სამხედრო-კოსმოსური ტექნიკის გენერალური კონსტრუქტორი



ოქსანეს ზიმლერი

“დაიმლერ ბენცის” სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დოქტორი, პროფესორი (გერმანია)



მაიმერ ლანდრუტი

“დაიმლერ ბენცის” წარმომადგენელი აღმოსავლეთ ევროპაში. წარსულში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი საბჭოთა კავშირში (გერმანია)



ვერნერ კაინცმანი

“დაიმლერ ბენც აეროსპეისის” დირექტორი სამხედრო შეიარაღების ტექნიკის დარგში, დოქტორი (გერმანია)



უილიამ რენო


ამერიკის შეერთებული შტატების არმიის საინჟინრო კორპუსის გენერალ-ლეიტენანტი, დოქტორი, სამხედრო უნივერსიტეტის პროფესორი (აშშ)

პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის
მემორიალური სკულპტურის პროექტები

PROJECTS OF THE FIRST GEORGIAN SPACE OBJECT MEMORIAL SCULPTURE

ვახტანგ დავითიას პროექტები მემორიალური სკულპტურისა, რომელთა დადგმა იბეზმეოდა თბილისში, რუსთაველის გამზირზე, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის წინ.




პროექტი გამოქვეყნებულია წიგნში –
“ვახტანგ დავითაია. არქიტექტურა, ფერწერა, გრაფიკა”.
მაგთიკომი. 2015.



პირველი ქართული კოსმოსური აპარატის
მემორიალი თბილისში. 2014
Memorial of first Georgian space Shuttle in Tbilisi. 2014

მემორიალური სკულპტურის პროექტები, რომლებიც დამუშავებულია საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და
საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტში ელგუჯა მემორიალშილის მიერ





ელგუჯა მეხმარიაშვილის მიერ შექმნილი მემორიალური სკულპტურა შეიქმნა დაიდგას მის მშობლიურ ქალაქში – ბათუმში.



ელგუჯა მემბარიაშვილის მიერ შექმნილი მემორიალური სკულპტურა შეიქმნა დაიდგას მცხეთაში, სადაც, სოფელ საბურამოსთან, არაბვის ველზე აშენებულ კოსმოსური ნაგებობების გამოცდებისა და აბების სასტენდო კომპლექსში, შეიქმნა მრავალი ორბიტული სისტემა



ფოტოები ელგუჯა მეძმარიაშვილის
პირადი ალბომიდან


**PHOTOS FROM PRIVATE ALBUM OF
ELGUJA MEDZMARIASHVILI**



მემპარიაშვილების ოჯახი ელგუჯამდე – დედა, მამა და ძმა, რომელიც ადრე გარდაიცვალა. შემდეგ კი იყო მეორე მსოფლიო ომი, რომლის მონაწილე ელგუჯას მამა გახლდათ.



ბერლინი. 1945 წლის 11 მაისი. ქალაქის ერთ-ერთი რაიონის მორიგე კომუნდანტი, ლეიტენანტი ვიქტორ მემპარიაშვილი.



ელგუჯას პირველი მასწავლებელი
და კლასის დამრიგებელი ქეთევან
მიქელაძე.


ელგუჯა ომის შემდეგ დაიბადა. იგი იზრდებოდა მშობლებისა და კლასის
დამრიგებლის – ქეთევან მიქელაძის გარემოცვაში.



დაუვიწყარი წლები მშობლებთან ერთად.



ბათუმში, პიონერთა პარკის წინ მდებარე სახლში, მეორე სართულზე ცხოვრობდა მეცნიერ-მედიკოსების ოჯახი.



ბათუმში ელგუჯას მეგობრები იყვნენ: ლეილა მამალაძე, მზევინარ ქიქავა, მანანა კოპლატაძე, მიხეილ ჯანიკაშვილი, ალექო გვარამია, ირაკლი შენგელაია, თამაზ გიორგაძე, გია კვაჭანტირაძე, გენო ქაცარავა, დემურ თოფურია, თამაზ თხილაიშვილი, ჯემალ აბაშიძე, დემური ლიპარტია და სხვები.









ინსტიტუტსა და ასპირანტურაში სწავლის პერიოდი.



ურთიერთობები და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.



საზოგადოებრივი მოღვაწეობა.



ელგუჯა სწორი მიმართულებით მოღვაწეობდა. სამხედრო-საინჟინრო დარგს კოსმოსური ტექნიკა დაემატა. დაიწყო სასტენდო კომპლექსის მშენებლობა.

სამთავრობო დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების შესრულების პერიოდში კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტში – საგურამოს სასტენდო კომპლექსში, ბორჯომის მთიანი ზონის პოლიგონსა და თბილისის სასტენდო დარბაზში მიმდინარე სამუშაოების და მათი შედეგების შესასწავლად და გასაცნობად ოფიციალური ვიზიტით ჩამოდიოდნენ სახელმწიფოს პირველი პირები, ქვეყნის სამხედრო ხელმძღვანელობა და მეცნიერების ორგანიზატორები, ასევე, ცნობილი მეცნიერები.



სამხედრო-კოსმოსური ტექნიკის მთავარი კონსტრუქტორი ელგუჯა მექმარიაშვილი მიმდინარე სამუშაოების და პერსპექტიული პროექტების შესახებ განმარტებებს აძლევს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, სამგზის სოციალისტური შრომის გმირს, ანატოლი პეტრეს ძე ალექსანდროვს.



საგურამოს სასტენდო კომპლექსის მშენებლობის შესახებ სამხედრო-კოსმოსური ტექნიკის მთავარი კონსტრუქტორი ელგუჯა მექმარიაშვილი ესაუბრება მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს ევგენი პავლეს ძე ველიხოვს და საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ბატონ ჯუმბერ პატიაშვილს.



სამხედრო-კოსმოსური ტექნიკის მთავარი კონსტრუქტორი ელგუჯა მექმარიაშვილი, 15-მეტრიანი დიამეტრის მქონე კოსმოსური რეფლექტორის შექმნის შესახებ ანგარიშს აბარებს მინისტრის მოადგილეს, გენერალ-ლეიტენანტ ოლეგ ანდრეის ძე ლოსევს; სამხედრო-კოსმოსური ტექნიკის გენერალურ კონსტრუქტორს, აკადემიკოს ანატოლი ივანეს ძე სავინს; გენერალური კონსტრუქტორის მოადგილეს, დოქტორს, პროფესორ იური ივანეს ძე დანილოვს და სამუშაოთა საერთო ხელმძღვანელს, დოქტორს, პროფესორ ბორის მიხეილის ძე ზაქსონს.



საგურამოს სასტენდო კომპლექსის ბაზაზე არც ერთი წუთით არ იგრძნობოდა შემმოწმებლებისა და შემფასებლების ნაკლებობა არც ცენტრიდან და არც საქართველოს ხელისუფლებიდან.



თბილისში დაპროექტებული კოსმოსური ნაგებობა საავიაციო ქარხანაში მზადდებოდა. მოსკოვი ნაგებობის შექმნის ყველა ეტაპს აკვირდებოდა და შეისწავლიდა.



ელგუჯა კი ორივე მხარის ინტერესებს ისე აჯერებდა ერთმანეთს, რომ მის მიერ განსაზღვრული კონსტრუქციული სქემის პრინციპები არ დარღვეულიყო.




1996 წელი. კონტრაქტის ოფიციალური გაფორმება
კომპანია „DAIMLER BENZ AEROSPACE“-თან

„DAIMLER BENZ AEROSPACE“-თან სამეცნიერო სამუშაოს დამთავრების შემდეგ, 1998 წლის 10 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო ევროპული კოსმოსური სააგენტოს (ESA) გენერალური დირექტორის ანტონიო როდოტას წერილი, სადაც სხვა საკითხებთან ერთად აღნიშნული იყო, რომ „... ESA ამჟამად იხილავს თავისი კვლევებისა და განვითარების მომდევნო ციკლში დიდი ზომის რეფლექტორების შესწავლის შესაძლებლობას. თუკი ეს თემატიკა დამტკიცდება, ESA ისევ დაუკავშირდება წევრი ქვეყნების კომპეტენტურ კომპანიებს, მათ შორის „Matra Markoni Space“-სა და „Dornier Satellitensysteme“-ს, რომელთათვისაც ურთიერთობა ფირმა „საქართველოს პოლიტექნიკური ინტელექტთან“ სასარგებლო გამოდგა.

ამით, ალბათ, გაგვეხსნება საქართველოსთან თანამშრომლობის შესაძლებლობა.“



საქართველოში დროის ახალი ათვლა დაიწყო – კონტრაქტები გერმანიასთან, უკრაინასთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რასაც ნდობით და იმედით აკვირდებოდა საქართველოს ხელისუფლება.



პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის შექმნის, მისი გაშვების და შემდგომი ახლო პერიოდის კადრები. იგრძნობა ფიქრები მომავალზე.



მოდვაწეობა საქართველოში – სამხედრო-საინჟინრო დარგსა და პარლამენტში, ოღონდ ძველი მეგობრების დავიწყების გარეშე.



პარლამენტში ყველაფერი ისე არ არის



მისაღები გამოცდები სამხედრო-საინჟინრო აკადემიაში.

ESA – ევროპული კოსმოსური სააგენტოს, გერმანიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და იტალიის სპეციალისტები, რომელთა რეკომენდაციებით და გადაწყვეტილებით ევროპულმა კოსმოსურმა სააგენტო – “ESA”-მ გააფორმა კონტრაქტი – TEC – MCC/2010/84/In/ISP 28.II.2010 – ახალი თაობის დიდი გასაშლელი კოსმოსური რეფლექტორის შესაქმნელად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტთან.



მარცხნიდან მარჯვნივ: დოქტორი მარკ ტომპსონი – კომპანია “ასტრო” (აშშ); ქალბატონი ნინო შერვაშიძე – თარჯიმანი; დოქტორი მანანა ტყეშელაშვილი; დოქტორი ნოდარ წიგნაძე; დოქტორი რობერტ ვოტერსი – კომპანია “ლოკსიდ მარტინის” წარმომადგენელი აღმოსავლეთ ევროპაში (აშშ); პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი ელგუჯა მექმარიაშვილი; დოქტორი კირილ მანუენოტი – ევროპული კოსმოსური სააგენტო (ESA); დოქტორი ჯულიან სანტიაგო-პრივალდი (ESA); დოქტორი კის ვან'ტ კლოსტერი (ESA); პროფესორი, დოქტორი სერხიო პელეგრინო – კალიფორნიის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (აშშ).



1.



2.



3.


1. პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი ელგუჯა მექმარიაშვილი; დოქტორი ალბერტო მესკინი – კომპანია “თალეს ალენია სპეისი” (იტალია).
2. პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი ელგუჯა მექმარიაშვილი; პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი ჰორსტ ბაიერი – მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის მსუბუქი კონსტრუქციების ინსტიტუტის დირექტორი (გერმანია).
3. პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი ელგუჯა მექმარიაშვილი; დოქტორი ლერი დათაშვილი და დოქტორი ტომას კუჰნი – მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის მსუბუქი კონსტრუქციების ინსტიტუტი (გერმანია).

2009 და 2014 წლებში, საქართველოში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე, მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლობით და ევროპული კოსმოსური სააგენტოს ეგიდით ჩატარდა I და II სამეცნიერო საერთაშორისო კონფერენცია კოსმოსური დიდგაბარიტიანი ნავებობების დარგში.



კონფერენციის მონაწილენი





წლები სწრაფად გადის – ელგუჯა, მისი შვილები და შვილიშვილები.



წლები ძალიან სწრაფად გადის – ელგუჯა, მისი მეუღლე და შვილები







სარედაქციო ჯგუფისგან

მიუხედავად ჩვენი დიდი სურვილისა, მოცემულ ეტაპზე, წიგნში ვერ მოხერხდა ყველა ჩვენი თანამშრომლის წარმოჩენა და მათთან დაკავშირებული საინტერესო შემოქმედებითი, სამეცნიერო და პროფესიული საქმიანობის განხილვა. სარედაქციო ჯგუფი იმედოვნებს ახალი წიგნის გამოცემას, რომელშიც ასახული იქნება ინსტიტუტის ისტორია, სადაც თანამშრომლის დამსახურება უფრო დეტალურად იქნება წარმოჩენილი. ახლა კი გვინდა წარმოგიდგინოთ იმ თანამშრომელთა სრული სია, რომლებიც ამ საქმიანობის უშუალო მონაწილე იყო:

ბდებიშვილი მერაბი, არჩვაძე სულხანი, ავალიშვილი ლამარა, აბუაშვილი რამაზი, არჩვაძე გიორგი, ანთიძე ირაკლი, ავთანდილოვა კარინა, აბეხსრიშვილი ზურაბი, ასათიანი მამუკა, ამირანაშვილი თ., ავალიანი სპარტაკი, აბუაშვილი მაგული, ახსაბაძე ისაკი, ახოზაძე ანრი, ამროვი იოსები, აფციაური გიორგი, ანჯაფარიძე ტარიელი, ანდიაშვილი გონა, ანტონიშვილი ნარგიზა, ანდლულაძე გიორგი, აბაშიძე გურამი, ანჩაბაძე გიორგი, ანდიაშვილი მაია, ალადაშვილი ირაკლი, არაქელაძე მარგარიტა, ალიოფ-კიზი თამილა, აბაშიძე ავთანდილი, აივაზოვი ედგარ, აროიანი ლანა, ახვლედიანი გივი, არავიაშვილი ირაკლი

ბიუსი ირაკლი, ბოგდანოვი ფაიკა, ბეჟიტაშვილი ვლადიმერი, ბაკულინი არკადი, ბოჩიკაშვილი იოსები, ბარამიძე ტარიელი, ბელენკო ირა, ბასიაშვილი მამუკა, ბელენკოვა ნინა, ბეროზაშვილი მაია, ბოკერია მერაბი, ბუხსიანიძე პაატა, ბაბიანი მარინა, ბოჩიკაშვილი თამარი, ბედუკაძე გურამი, ბედუკაძე ღვთისო, ბაზაროვა ირინა, ბაკურაძე სიმონ, ბაკულინა ელენე, ბოგოიაველენსკი იური, ბიჯოიანი ედუარდი, ბირკაძე დავითი, ბაზაროვა იულია, ბაკურაძე გიორგი, ბობოხიძე ა., ბანძელაძე თ., ბოლქვაძე თამაზი, ბაღაშვილი ვაჟა, ბირიუკოვა ნინა, ბაქრაძე ლევანი, ბაქრაძე დავითი, ბაგიშვილი სოსო, ბიჩინიაური იოსები, ბეკურაშვილი ზაზა, ბროძელი სოსო, ბაქრაძე ტიტე, ბედუკაძე ნათელა, ბერინაშვილი გონა, ბერიძე თამარი, ბეჟუაშვილი გუბაზი, ბაშარაძე ნატალია, ბოტეზატე ვლადიმერი, ბელიკოვი ვ., ბუკია დავითი, ბანცაძე ეკატერინე, ბოხუა გია, ბიჩინიაური თეიმურაზი, ბახტაძე გიორგი, ბერიძე ვლადიმერი, ბურდულაძე დავითი, ბაიაძე შოთა, ბაბაშვილი მერაბი, ბატკუაშვილი ირაკლი, ბეკურაშვილი მარინე, ბოლქვაძე ზინა, ბარდაძე რევაზი, ბოჭორიშვილი ნაუმი, ბაირამოვა თამილა, ბენდუქიძე ნატალია, ბრეგაძე რევაზ, ბალავაძე-ბედიანიშვილი მზია, ბიჩინიაური თეიმურაზ

ბოქაძე ნანა, გოგილაშვილი ვახტანგი, გორდიენკო ნინა, გუბელიძე ზურაბი, გოგილაშვილი ონისე, გადელია ზაზა, გელაძე ევა, გოქაძე ლია, გაგნიძე გივი, გაზაშვილი ვოვა, გოქსაძე ბიჭიკო, გედევანიძე ვასილი, გონჩარი გალინა, გოგოლაშვილი ნ., გოგავა ოთარი, გასპაროვა ედა, გვარამაძე სულიკო, გოქსაძე მადონა, გვეტაძე ზურაბი, გერასიმოვა ტატიანა, გაგნიძე თინა, გამსახურდაშვილი მარინე, გურგენიძე ბადრი, გოგავა ზურაბი, გიორგობიანი ნანა, გასვიანი დავითი, გველესიანი ლევანი, გოგოლაძე თამაზი, გომელაური გიორგი, გრიგალაშვილი ქეთევანი, გოგავა ნანა, გამცემლიძე გურამი, გიგინეიშვილი ლალი, გუგუშვილი პაატა, გრძელიშვილი ზურაბი, გოზალოვი კონსტანტინე, გელავა დავითი, გოგორიშვილი მზია, გულბათაშვილი თამაზი, გულბათაშვილი მერაბი, გაჯიფევი ჰასანი, გალუსტოვი ჯიმი, გავაშელიშვილი რ., გავაშელი გ., გოგოლაძე ალექსანდრე, გოგოლაძე როსტომი, გამილაღდიშვილი მერაბი, გულქანიანი ირმა, გიგუაშვილი მზია, გლოველი გიორგი, გედენიძე ზურაბი, გელაძე ზურაბი, გვიმრაძე ჯიმშერი, გორშკოვი თეიმურაზი, გუჯაბიძე ირაკლი, გოგია გურამი, გალდავა ბადრი, გიგაშვილი სოფიო, გოგებაშვილი მარინე, გაბრიჩიძე გურამი, გარიშვილი ციცილო, გურგენიძე ირაკლი, გოგოჭური გულადი, გეგეშიძე დავითი, გრატიაშვილი გიორგი, გობეჯიშვილი ირაკლი, გოგიტიძე მამუკა, გოგოლიძე აკაკი, გოგოლაშვილი ირინა, გაფრინდაშვილი რევაზი

ღანელია კონსტანტინე, დათოშვილი ივანე, დიდმელაშვილი მაია, დუბროვინი იური, დავითაძე ვალერიანი, დაბაგიანი ირინა, დეგანდი ირმა, დათაშვილი ლერი, დუმბაძე ჯემალი, დევდარიანი ალექსანდრე, დათიშვილი ბესარიონი, დოლიძე ზურაბი, დიდმელაშვილი გიორგი, დვალიშვილი რამაზი, დემეტრაშვილი გურამი, დარჩია შოთა, დავითაშვილი ქეთევანი, დათუნაშვილი გიორგი, დოსნაძე გამარლი, დეკანაძე გენადი, დვალიშვილი დავითი

მსვანჯია ვახტანგი, ელიზაროვი ილია, ექვშაურაშვილი ფირუზა, ებანოძე თამაზი, ენდელაძე მალხაზი

მელიაშვილი თამარი, ვარდოსანიძე ზ.

ზარგინავა ფიქრია, ზადიკიანი ივეტა, ზურაშვილი ზურაბი

თევდორაძე ბესარიონი, თიგიშვილი სოსო, თიბილაშვილი პაატა, თევზაძე მერაბი, თანდილაშვილი ა., თათაშვილი არნოლდი, თვალავაძე ივერი, თეიმურაზოვი არტური, თუშური ზვიადი, თოფურია შოთა, თეხელაშვილი გურამი, თვალავაძე გიორგი, თათანაშვილი ზ., თათარაშვილი ვ., თათარაშვილი ზ., თოთიბაძე თეიმურაზი, თევდორაძე გურანდა, თორაძე გია, თევზაძე დავით, თავხელიძე მეგი, თავხარაშვილი თენგიზი, თადუმაძე ზურაბი, თაბაგარი გიორგი

იაკობაშვილი ალექსანდრე, იმედაძე როინი, ირემაშვილი იზოლდა, იაკიმენკო ოლია, იურევიჩი მარინა, იმედაძე ლევანი, ირემაშვილი ედიშერი, ივანიძე იური, იაშვილი ირინა, იოსელიანი ზაური, ისაკაძე ვაჟა

ბრავეიშვილი ელდავი, კაკაურიძე რევაზი, კაციტაძე მერაბი, კახეთელიძე თენგიზი, კობიძე გოვენი, კილაძე მარინე, კამკამიძე ელენე, კრიჭაშვილი არჩილი, კრავეიშვილი ხათუნა, კვიციანიძე ა., კერესელიძე ოთარი, კვიციანი ვ., კოტლაიჩი გიორგი, კინწურაშვილი ღია, კავრიშკინი ვადიმი, კოსია ბესიკი, კონევა თამარი, კეკელია გია, კარბელაშვილი გია, კუზმინი იური, კორღალიძე მაია, კოსრეიძე პავლე, კიკნაძე მ., კველიშვილი ზვიადი, კუჭავა მალხაზი, კორძაძე ეკა, კილინკაროვა ელენე, კერესელიძე თამაზი, კაციტაძე ჯემალი, კარამანიანი პრისტავი, კარამანოვი ნუგზარი, კერესელიძე ნინო, კაციტაძე ომარი, კარამანიანი თინა, კავთელაძე მურადი, კავთელაძე ლალი, კიზირია გივი, კუპრაშვილი თამაზი, კუჭავა მარიამი, კაციტაძე კახაბერი, კუპატაძე ელვერი, კობალაძე ღია, კარიჭაშვილი ანნა, კაპანაძე ვახტანგი, კობახიძე კახა, კირთაძე ვალერიანი

ლომაძე ასმათი, ლეკვეიშვილი ბადრი, ლალუნდარიძე გია, ლაბაური ღია, ლაპინსკასი იგორი, ლილუაშვილი მეველუდი, ლომიძე ბადრი, ლაბაური მარია, ლელუაშვილი ქეთევანი, ლიხელი ნანა, ლაფანაშვილი რამაზი, ლაფანაშვილი ლევანი, ლორთქიფანიძე კონსტანტინე, ლაშაური უენია, ლობჯანიძე შალვა, ლომთათიძე ლევანი, ლომიძე ბესარიონი, ლეფონავა გივი, ლიკლიკაძე კობა, ლეხანიძე ივანე, ლომიძე ზურაბი, ლანჩავა ომარი, ლანჩავა ზურაბი, ლაოშვილი ზურაბი, ლევიძე გია, ლოგაჩევა ელენე, ლეხანიძე ლალი, ლაბაური ჯემალი

მემპრიაშვილი ელგუჯა, მანჯგალაძე გურამი, მესხი დავითი, მიშელაძე გიორგი, მიქაძე მალხაზი, მიტრიაკოვიჩი ლეონიდე, მიქაელიანი ონიკა, მგელაძე გიორგი, მეღაძე თეიმურაზი, მანუჩარიანი მ., მახარაშვილი თამარი, მახარობლიშვილი ოლია, მაზანაშვილი ჯემალი, მაჭავარიანი ანზორი, მგალობლიშვილი მამუკა, მიშველიძე ქეთევანი, მსხილაძე გიორგი, მარგალიტაძე დანტესი, მარქარიანი მარგარიტა, მამიაშვილი გიორგი, მახარობლიშვილი მარინე, მჭედლიძე ნინა, მადრაძე ყარამანი, მაისურაძე დავითი, მარგიშვილი ერნა, მანასიანი ივეტა, მაჩაიძე ლიანა, მერაბიშვილი გია, მწარიაშვილი ლეონინე, მეტრეველი კ., მომცელიძე ნოდარი, მახარაშვილი გ., მათიაშვილი ბელა, მამულაშვილი გიორგი, მეგრელიშვილი ნ., მეტრეველი ღ., მამაჯანოვი გ., მელიქ-ნუბაროვა ნ., მეგველია მალხაზი, მანაგაძე დ., მამოევი შამილი, მაზანაშვილი ქეთევანი,

მოდვრიშვილი მედეა, მიშელაძე ისაკი, მახარაშვილი ილია, მამაცაშვილი ლუიზა, მარიცაშვილი ნ., მახარაშვილი მ. მაისურაძე ნანა, მაჭავარიანი პავლე, მოდებაძე მარინა, მშვენიერაძე ინგუშა, მახარაშვილი კობა, მაჭავარიანი ეკატერინე, მეშველაშვილი ქეთევანი, მახარაშვილი ნუკრი, მალლაკელიძე მარინე, მიქანაძე ნინო, მესხია დავითი, მოისწრაფიშვილი ენვერი, მოსიაშვილი გივი, მიქაბერიძე რევაზი, მესხიშვილი ზურაბი, მირიანაშვილი ალექსანდრე, მანჯგალაძე არჩილი, მოისწრაფიშვილი მანანა, მუხიგულაშვილი ზაზა, მახარაშვილი ვარდო, მახარაშვილი ნოდარი, მესხი ალექსანდრე, მესხი ალექსანდრე, მაჭარაშვილი გელა, მეძმარიაშვილი გიორგი, მეგრელიშვილი ეკატერინე, მოსიაშვილი თორნიკე, მეძმარიაშვილი ნიკოლოზი, მელაძე მანანა, მაისურაძე სოფო

ნასყიდაშვილი შოთა, ნიკოლაძე მალხაზი, ნოქრიშვილი დავითი, ნიკოლაიშვილი მაია, ნიბლიაშვილი ალექსანდრე, ნიკოლაიშვილი ნინო, ნაირაშვილი დავითი, ნაცვლიშვილი ალექსანდრე, ნუცუბიძე ნიკოლოზი, ნადირაშვილი გიორგი, ნარეშელაშვილი ნიკოლოზი, ნასყიდაშვილი ლიანა, ნათაძე ლევანი, ნამორაძე შოთა, ნადარეიშვილი დონარა, ნევეროვი ანატოლი, ნემსაძე სიმონი, ნადარეიშვილი ნინო

ომანაძე როზა, ოსეფაშვილი ვაჟა, ობოლენსკაია ევგენია, ოკმელაშვილი ვახტანგი, ოდიშვილი კონსტანტინე, ოსტრიკოვა ნადეჟდა, ომანაძე მანუჩარი, ოკუნი ბორისი

პონსენი იური, პაპალაშვილი ინგა, პირუშოვი ნიკოლოზი, პეტროსიანი კარინა, პატარაია რაული, პატაშური ბესარიონი, პარკაული ტიტე, პარკაული ჯულიეტა, პარკაული ნათელა, პაპაშვილი შალვა, პარკაული ღია, პარკაული ხვიჩა, პონომარენკო ვალერი, პატარაია თეიმურაზი, პაპანაშვილი თამარი

შიქიაშვილი იაგო, ჟორჟოლიანი ნოდარი, ჟორდანი მალხაზი, ჟამგარიანი მარინე, ჟღენტი ბორისი, ჟორჟოლიანი ლელა

რატინი ნუგზარი, როსტიაშვილი ივანე, რუხაძე ივანე, რუხაძე ნინო, რუხაძე მერაბი, რიახანცვეი ოლეგი, რაჭგელიშვილი პაატა, რეხვიაშვილი ანა

სალუაშვილი გელა, სულავა ვია, სანიკიძე მამუკა, სარალიძე რუსუდანი, სანიკიძე მარინა, სარჩიმელია ალექსანდრე, სინიცა ალექსანდრე, სულავა ოლია, სამაშვილი მარინა, სირაძე გულო, სუთიძე დავითი, სირაძე მ., სამაშვილი მანანა, სურმავა გ., სოლოლაშვილი ირმა, სულხანიშვილი აკაკი, სუბელიანი ლალი, სალია გიორგი, სამიტაშვილი ირმა, სარგისიანი არამაისი, სხირტლაძე ანა, სამუშია მ., სულაშვილი მეგი, სულიაური ხვიჩა, სულიაური გონა, სოხაშვილი გ., სილაგავა დიმიტრი, სერნაკოვი იური, სხირტლაძე ბორისი, სამიტაშვილი რამაზი, სხილაძე დავითი, სურმავა გიორგი, სულაშვილი დავითი,

ტყეშური ზვიადი, ტუსიშვილი ოთარი, ტყეშელაშვილი რუსიკო, ტორონჯაძე მანანა, ტაბატაძე ო., ტაბატაძე ეთერი, ტამოუსკაია ს., ტაბიძე მარიამი, ტოკარევა დ., ტრიანდაფილოვი ჯემალი, ტაბიძე ლევანი, ტალახაძე მ., ტრაპაიძე პ., ტაბატაძე დ., ტაკაშვილი ვალერიანი, ტაბატაძე მ., ტეტუნაშვილი გიორგი, ტაკაშვილი ჯემალი, ტაკაშვილი მიხეილ, ტაბატაძე ზ., ტაბატაძე ჯემალი, ტერუნაშვილი ქეთევანი, ტაბატაძე თედორე

შრუშაძე ვასილი, უნდილაშვილი თ., უსანეთაშვილი ა., უნდილაშვილი ნუგზარი

შაღავა ოთარი, ფონხაძე ოთარი, ფონხაძე ელგუჯა, ფატარიძე გიორგი, ფილოიანი გრიგორი, ფესვიანიძე ანზორი, ფატურია ი., ფრიდონაშვილი გიორგი, ფარეიშვილი გაიოზი, ფიროსმანაშვილი პაატა, ფეიქრიშვილი ნინო, ფატარიძე ილია, ფირცხალაიშვილი ჯონი, ფილიპენკო ლუდმილა, ფეხუაშვილი შალვა, ფოცხვერაშვილი ვლადიმერი

ძვლივიძე მანანა, ქანთარია ვალტერი, ქრისტესიაშვილი თენგიზი, ქობულაშვილი მ., ქობულაშვილი ვ., ქუტაშვილი ნ., ქობულაშვილი შოთა, ქორიძე გიორგი, ქავთარაძე

ჯემალი, ქურდიანი ვაჟა, ქარჩავა ნოდარი, ქავთარაძე მაია, ქვარაია ვალერიანი, ქაჯაია ლალი, ქარსელაძე რამინი,

ღამბაშიძე რუსუდანი, ღამბაშიძე რუსუდანი ღოლიჯაშვილი თეიმურაზი, ღლონტი ლევანი, ღლონტი ნიკოლოზი, ღონდაძე თამაზი, ღონდაძე სვეტლანა, ღუდუშაური ამირანი, ღარიბაშვილი ირაკლი, ღონდაძე ნარინე, ღვინიაშვილი ზვიადი,

შურაშვილი მერაბი, ყურმაშვილი ციალა, ყანჩაველი ტიტე, ყიფიანი ნუგზარი, ყარამანიანი ბასე, ყიფიანი დალი

შაუტიძე ვერა, შკილკოვა მარიანა, შაყულაშვილი გია, შენგელია ი., შიოშვილი ირაკლი, შერგელაშვილი ბეჟანი, შოთაშვილი ეკა, შანიძე ლევანი, შოთაძე გიული, შელია პ., შერმადინი ა., შარაშენიძე ნაზი, შალიკაშვილი ირინა, შიდლოვსკი ევგენი, შენგელია ზურაბი, შილაკაძე მიხეილი, შუბლაძე თენგიზი, შატაკიშვილი ლენა, შათირიშვილი ალექსანდრე

ჩიქოვანი მერი, ჩალაური თინა, ჩიხაშვილი აკაკი, ჩარგეიშვილი ალექსანდრე, ჩიკვაძე რევაზი, ჩხიკვაძე ტარიელი, ჩხიკვაძე კონსტანტინე, ჩოგოვაძე ჯემალი, ჩხაიძე იური, ჩუთლაშვილი ე., ჩიხაშვილი აკაკი, ჩიხაშვილი ნანა, ჩაჩანიძე მერაბ, ჩიბურდანიძე გოგი, ჩალაძე რევაზი, ჩიჩუა გ., ჩქარეული ლელა, ჩიხლაძე დავითი, ჩიკვაძე მარინე, ჩაჩანიძე ლაშა, ჩაჩანიძე დავითი, ჩიმაკაძე გურამი, ჩაჩანიძე ლაშა

ცეციტიშვილი მერაბი, ცხვედიანი ნუგზარი, ცაგარეიშვილი ბაგრატ, ცხენოსანიძე მერაბი, ცუცქირიძე ინგა, ცარიოვი ალექსანდრე, ცირდავა მ., ცხოვრებაძე ალექსანდრე, ცხადია კახა, ციტაშვილი გ., ცაცურიანი უნანი, ცაცანაშვილი მარიამი, ციხელაშვილი ზაური, ციციქიშვილი უშანგი, ცაცურიანი ოვანეს, ციციქიშვილი ლევანი, ცოცხალაშვილი გიორგი, ციციქიშვილი თამაზი

ძანძავა ვახტანგი, ძამუკაშვილი ნანა, ძაგოევი რევაზი

წიგნაძე ნოდარი, წიწილაშვილი თამაზი, წიქარიძე ვ., წეროძე შოთა, წურწუშია რომანი, წიქარიშვილი რ., წოწინაშვილი ინგა, წოწინაშვილი ლალი, წიკლაური როზა, წიგნაძე ელვარდი

ჭანტურია მერაბი, ჭედია შოთა, ჭკვიანიშვილი ვალდია, ჭკვიანიშვილი ნანა, ჭიპაშვილი ზურაბი, ჭუმბურიძე ლელა, ჭუჭულაშვილი ქეთევანი, ჭილაძე გიორგი, ჭოხონელიძე გუგა, ჭაფოძე აბესალომი, ჭელიძე ომარი

ხმალაძე იზაბელა, ხატიაშვილი ნოდარი, ხმალაძე კახაბერი, ხაუსტოვა გალინა, ხელაძე ვიქტორი, ხელაშვილი ზაქარია, ხამიცაშვილი ზაზა, ხაზოვი იგორი, ხაჩიძე აკაკი, ხმელიძე თამაზი, ხაცაკვაძე მზია, ხარაიშვილი როლანდი, ხატიაშვილი ალექსანდრე, ხუგაევი ს., ხორხელი მანანა, ხაჩიძე ნუგზარი, ხაჩიძე თამაზი, ხაჩიძე მიხეილი, ხაჩიძე გიორგი, ხოლუაშვილი ნონა, ხუნდაძე ნანი, ხიტალიშვილი გერმანე, ხურცილავა გია, ხუციძე დავითი

ჯანიკაშვილი მიხეილი, ჯაჯანიძე ინგა, ჯალიაშვილი გიორგი, ჯავახიშვილი ზურაბი, ჯაში რუსუდანი, ჯავახაძე მარიამი, ჯოლოხავა ბესარიონი, ჯანეზაშვილი გია, ჯანდიერი დავითი, ჯავახიშვილი ვახტანგი, ჯაფარიძე ნუნუ, ჯავახიშვილი მამუკა, ჯანელიძე ა., ჯანუაშვილი ირაკლი, ჯორბენაძე მამია, ჯანგველაძე ირინე, ჯანგველაძე ალექსანდრე, ჯაფარიძე რუსუდანი, ჯახუა არიადნა, ჯანაშია იოსები, ჯანელიძე გონა, ჯოჯუა ივანე, ჯანჯღავა ასლანი, ჯიჯიშვილი ლაშა, ჯავახიშვილი თორნიკე.

სარჩევი

პროლოგი	3
პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გენერალური კონსტრუქტორის, ელგუჯა მემმარიაშვილის მოღვაწეობის ძირითადი ეტაპები.....	5
წინასიტყვაობის მაგიერ – სპეციალური სატელევიზიო გამოშვება – ორბიტაზე პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი	19
გენერალური კონსტრუქტორის ჩანაწერები და ოფიციალური მასალები	21
I თავი – 1999 წლის 23 ივლისი	23
II თავი – “ზღვის ცა”	31
III თავი – მომავლის კონტურები	39
IV თავი – “... წინასწარ ვგრძნობდი, რომ დიდი და საინტერესო ცხოვრების გზა იწყებოდა”.....	51
V თავი – “... ესკორტის მე-10 მანქანაში მე ვიჯექი ...”	65
VI თავი – “... კაბინეტში “ვ.ჩ.”-ემ დარეკა ...”	71
VII თავი – “... კრემლის დიდი კარის უკან ...”	85
VIII თავი – საქართველოში ნგრევის სტიქია მძვინვარებდა	151
IX თავი – ნგრევის პროცესები ოდნავ მიწყნარდა, დამოუკიდებელმა საქართველომ იწყო განვითარება	159
X თავი – “პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი ორბიტაზე”.....	173
XI თავი – “ორბიტაზე ჯერ პროგრამა “რეფლექტორი” დამთავრებული არ იყო, საქართველო კი კოსმოსში ღირსეულ გამარჯვებას უკვე ზეიმობდა”	187
XII თავი – საქართველოს პარლამენტში	199
XIII თავი – სამეცნიერო და სამხედრო მოღვაწეობაში “მეორე ტომი” დაიწყო	227
XIV თავი – საქართველოს სამხედრო ორგანიზაციის ძირითადი პრიორიტეტები	253
XV თავი – ...ზღვაზე ქალაქის მეთევზეები ანკესებით თევზაობდნენ ... გაქრობა იმ მარადისობის განცდისა	269
ელგუჯა მემმარიაშვილის სამეცნიერო-სამხედრო მოღვაწეობის და მათ შორის პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის ზოგიერთი შეფასება	289
ელგუჯა მემმარიაშვილის მიერ შექმნილი კოსმოსური და მიწისზედა კომპლექსები და კონსტრუქციები, რომლებსაც ანალოგი არ გააჩნიათ მსოფლიოში	299

მოდულაციის ძირითად მიღწევათა ჩამონათვალი	365
პიროვნებები, რომლებმაც განსაზღვრეს ელგუჯა მექანიკის სამხედრო-სამეცნიერო მოდულაციის პროფესიული გზა და რიგ შემთხვევებში იყვნენ და არიან მისი მასწავლებლები	367
პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის მემორიალური სკულპტურის პროექტები	369
ფოტოები ელგუჯა მექანიკის პირადი ალბომიდან	375
სარედაქციო ჯგუფისაგან	400
სარჩევი	404

იბეჭდება სარედაქციო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი
სახით

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
მ. ხორხელი, გ. ქორიძე, გ. გონჩარი, ვ. ოკმელაშვილი

გადაეცა წარმოებას 14.07.2016. ხელმოწერილია დასაბეჭდად 08.12.2016. ქაღალდის ზომა
60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 26. ტირაჟი 200 ეგზ.

საგამომცემლო სახელი “ტექნიკური უნივერსიტეტი”, თბილისი, კოსტავას 77

